ნიკოლოზ ბაკაშვილი

საბაზრო ინფრასტრუქტურა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2004

უაკ (UDC) 338.24
ბ 191

წინამდებარე სახელმძღვანელოს დანიშნულებაა, დაინტერესებულ პირებს გააცნოს ბაზრის ინფრასტრუქტურის ელემენტები, მისი სისტემის ორგანიზაციული აგებულება, ინფრასტრუქტურის გავლენა სამეურნეო საბაზრო სტრუქტურებზე და ა.შ.

დამხმარე სახელმძღვანელო გამოადგებათ როგორც ეკონომიკური პროფილის სტუდენტ მაგისტრანტებსა და ასპირანტებს, ასევე პრაქტიკოს მუშაკებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი პროფ. ნ. ბიჭიაშვილი

რეცენზენტები: პროფ. ს. პავლიაშვილი
პროფ. ი. ანანიაშვილი
დოც. ო. გიგიაშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

© ნ. ბაკაშვილი

ISBN 99940-20-68-4

თავი I. ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის არსი, განსაზღვრა, შედგენილობა. ტერმინი "ინფრასტრუქტურა" პირველად გამოიყენეს დასავლეთ ევროპის ეკონომისტებმა. ვარაუდობენ, რომ იგი წარმოდგება ლათინური "infrastructure"-დან, რომელიც ნიშნავს ნაგებობის ქვედა ნაწილს / "infra" ქვედა, " structure " - ნაგებობა/. ეს მას აკავშირებს როგორც საშენებლო წარმოებასთან, ისე სამხედრო საქმესთან. როგორც ერთ, ისე მეორე საქმეს სჭირდება რაღაც ფუნდამენტი /ქვედა ნაწილი/, რომელიც მთლიანობაში აპირობებს ამ საქმის /საშენებლო წარმოებასთან მისადაგებით შენობა-ნაგებობის აშენების, ხოლო სამხედრო საქმესთან მისადაგებით საბრძოლო ოპერაციის/ წარმატებას. მაშასადამე, უკვე მაშინ, ე.ი. ინფრასტრუქტურის წარმოშობისას მას ისეთი დატვირთვა მიეცა, რომლის ძალითაც იგი აღიქმებოდა, როგორც რაღაცა ერთიანი, მთლიანი საქმის / მაგ. კაპიტალური შენებლობის, ან ქვეყნის თავდაცვის და ა.შ. / წარმატებით განხორციელების მატერიალურ - ტექნიკური პირობების კომპლექსი. ამ კომპლექსში მოიაზრებოდა საინჟინრო – ტექნოლოგიური ნაგებობები და ობიექტები, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები /კომუნიკაციები/, ენერგიის და სხვა რესურსების მიწოდება და მრავალი სხვ. ამ გაგებით მრავალი მეცნიერი მიუთითებს "ინფრასტრუქტურის" მრავალდარგობრივ და კომპოზიციურ ხასიათზე. მართლაც, "ინფრასტრუქტურა" მოიცავს დარგობრივი ნიშნით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სამუშაოებს, მომსახურებას და წარმოებას, ამასთან რადგან იგი "ზურგის ძალაა", მისი კომპოზიციური მოლიანობის დარღვევა დაუშვებელია.

თუ ადრეულ წლებში ინფრასტრუქტურა აღიქმებოდა მხოლოდ სამშენებლო, ან საომარი საქმის წარმატებით განხორციელების პირობების კომპლექსად, შემდეგ მოხდა მისი განზოგადოება ჯერ მატერიალურ წარმოებაზე, ხოლო შემდეგ ეკონომიკურ სისტემაზე მთლიანად /კაპიტალისტური ეკონომიკა/. მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში აშშ-ში და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამუშავდა ინფრასტრუქტურის განვი-

თარების 10-25 წლიანი გეგმები, რომლებშიც პროგნოზის დონეზე იყო ნაჩვენები ინფრასტრუქტურის გავლენა სამრეწველო განვითარების ტემპებზე. 70-80-იან წლებში კი გამოიკვეთა ინფრასტრუქტურად იმ საერთო სარგებლობის დარგების კომპლექსის აღიარების ცდები, რომელთა ფუნქციონირების მიზანი იყო კერძო კაპიტალისტურ საწარმოთა და მთლიანად კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებისათვის პირობების შექმნა.

ინფრასტრუქტურა განიხილება ქრონოლოგიური, გენეალოგიური, სტრუქტურულ -ლოგიკური და ფუნქციური მიდგომებით.

ტერმინი "ინფრასტრუქტურის" გამოყენების ქრონოლოგია მეტად გაურკვეველია. რიგი ავტორებისა[1] ამ თარიღად მიიჩნევს 1955 წელს, როდესაც ამერიკელმა მეცნიერმა პ.როზენშტეინ-როდანმა გამოიყენა იგი თავის ეკონომიკურ გამოკვლევებში. ამ აზრს იზიარებს პ.სამუელსონიც.

არსებობს განსხვავებული აზრიც. მაგალითად, ინგლისელი ეკონომისტი ა.იანგსონი ამ ტერმინის პიონერად თვლის ხ.ზინგერს, რომელმაც 40-იანი წლების დასაწყისში ამ შინაარსის ტერმინი "Overhead capital" /ინფრასტრუქტურა/ გამოიყენა[2].

ტერმინი "ინფრასტრუქტურის" გენეალოგია, როგორც უკვე აღვნიშნეთ ან სამხედრო საქმიდან იღებს სათავეს, ან მშენებლობიდან. ამ შემთხვევაშიც მეცნიერთა აზრი იყოფა. ავტორთა ერთი ნაწილი, რომელთა რიცხვშიც არის რუსი მეცნიერი ი.მაერგოიზი მას სამხედრო ტერმინოლოგიიდან ნასესხებად თვლის[3], მეორენი კი - მშენებლობიდან[4].

სადისკუსიოა ტერმინ "ინფრასტრუქტურის" სემანტიკური შესაბამისობაც მასში ჩაქსოვილ ეკონომიკურ შინაარსთან. ი.მაერგოიზი უფრო შესატყვისად მიიჩნევს "ინფრასტრუქტურის"

---

[1] Прокофьев В.А. Управление отраслями инфраструктуры в системе региона. Межвуз. сб.А., 1980.

[2] Федько В.П.,Федько Н.Г.Инфраструктура товарного рынка. Ростов-на-Дону, Феникс, 2000, გვ. 8.

[3] Маергойз И.М. Инфраструктура и размещение производства. Экономическая география промышленности. Вып.4-5, М., 1971.

[4] Горкин А.П., Смирняшин Л.В. О факторах и условиях размещения капиталистической промышленности. Изд. АН СССР. «География», 1973, №1.

ნაცვლად "საერთო საფონდო ბაზის /ტერიტორიის/" გამოყენებას, ხოლო კ.ჰიულერ - ბიულოვი "ინფრასისტემის" გამოყენებას.

სადისკუსიოა ინფრასტრუქტურის განმარტებაც.

ინფრასტრუქტურის ცნობილი მკვლევარი რ.იოხიმსენი ასე განსაზღვრავს მას: "ინფრასტრუქტურა არის სამეურნეო ერთეულების განკარგულებაში მყოფ ინდივიდუალურ, ინსტიტუციონალურ და მატერიალურ პირობათა ერთობლიობა... რომლებიც რესურსების მიზანშეწონილი განლაგების პირობებში უზრუნველყოფენ სრულ ინტეგრაციას და სამეურნეო საქმიანობის უმაღლეს შედეგებს"[1]. რუსი მეცნიერ ეკონომისტის ყ.სტახანოვის აზრით "ინფრასტრუქტურა წარმოადგენს მომსახურების გაწევის ხაზით შრომითი პროცესების ერთობლიობას და იგი უზრუნველყოფს ადამიანთა ცხოვრებაში და საზოგადოებრივ წარმოებაში საქმიანობის გაცვლას."[2] პროფესორი ა.შარიპოვი თვლის, რომ "ინფრასტრუქტურა არის მეურნეობის იმ დარგების და ქვედარგების ერთიანობა, რომლებიც საწარმოო მომსახურებას უწევენ მატერიალურ წარმოებას, უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ბრუნვას მეურნეობაში, მომსახურეობას უწევენ მოსახლეობას და ჰქმნიან გარემოს დაცვისა და კვლავწარმოების პირობებს"[3]. ჯ.ფ. რეი წერს, რომ ტერმინ "ინფრასტრუქტურას" არა აქვს ზუსტი განმარტება. როგორც წესი, მასში იგულისხმება ყველა მომსახურება, რომელიც კი სჭირდება თანამედროვე ეკონომიკის შექმნას".

უცხოელი მეცნიერები პ.როზენშტეინ-როდანი და ხ.ზინგერი ინფრასტრუქტურას აკუთვნებენ ეკონომიკის საბაზო დარგებს ენერგეტიკას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას. განავითარა რა ეს მოსაზრება, ხ.ზინგერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალი (ინვესტიცია) დარგებსა და საქმიანობის სფეროებს შორის საბაზრო მექანიზმის ძეშვეობით ავტომატურად ნაწილდება, განვითარებად ქვეყნებში, რომლე-

---

[1] Jochimsen R. Theorie der Infrastruktur. Tuburgen 1966, p. 99.

[2] Стаханов В.Н.Экономика инфраструктуры общественного производства. Учеб.пос. Ростов-на-Дону 1989, გვ. 6.

[3] Шарипов А.Ю.Экономическая сущность инфраструктуры при социализме. Управление отраслями инфраструктуры в системе региона, Л., 1980, გვ.4-5.

ბიც ახლა გადადიან საბაზრო ურთიერთობებზე, საჭიროა ინვესტიციურ პოლიტიკაში გარკვეული სტრატეგიის დაცვა, რაც იმით გამოიხატება, რომ მათი თავდაპირველი კაპიტალი /ინვესტიციები/ უპირატესად უნდა წარმართონ ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რომელიც ხ.ზინგერის აზრით გამოიწვევს "კუმულატიურ პროცესს" ეკონომიკის განვითარებაში. განსხვავებით სხვა დარგებში მიმართული კაპიტალიდან ხ.ზინგერმა ამ კაპიტალს ზედნადები, დამხმარე კაპიტალი, ანუ ინფრასტრუქტურის კაპიტალი /"Overhead capital"/ უწოდა.

მაშასადამე, უცხოელი მეცნიერები ერთნი არიან იმაში, რომ ინფრასტრუქტურა ეს არის საზოგადოებრივი წარმოების ზრდის საერთო პირობა. თუმცა ამ საერთო პირობის შედგენილობის შესახებ მათი აზრი განსხვავებულია. ერთნი[1] მას აკუთვნებენ ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას და ა.შ., მეორენი[2] საერთო პირობებში თვლიან ბუნებას, რესურსებს, შრომას და ა.შ. /იხ.ცხრ. №1/.

ზემოთ აღნიშნულიდან ის დასკვნა კეთდება, რომ ეკონომიკური კატეგორია – ინფრასტრუქტურა ჯერჯერობით სათანადო დონეზე არ არის შესწავლილი და მისი გამოკვლევა კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

<u>ინფრასტრუქტურის ფუნქციები</u>. ინფრასტრუქტურის ეკონომიკური შინაარსი მის ფუნქციებში აისახება. ინფრასტრუქტურის ფუნქციებია[3]:

1. შექმნას პირობები მატერიალური წარმოების ძირითადი დარგების ეფექტური ფუნქციონირებისათვის;
2. უზრუნველყოს მთლიანად ეროვნულ მეურნეობაში და მის თითოეულ სტრუქტურულ რგოლში კვლავწარმოების ფაზების ერთიანობა;
3. უზრუნველყოს სასაქონლო, ფულადი, ინფორმაციული და ა.შ. ნაკადების მოძრაობის უწყვეტობა.

---

[1] Гликман Н. Экономический анализ региональних систем, М., 1980.
[2] Государство и управление в США (отв. ред. Л.И. Евенко), М., 1985.
[3] Федько В.П., Федько Н.Г., Инфраструктура товарного рынка, Ростов-на-Дону, "Феникс", 2000, გვ. 121.

ინფრასტრუქტურის ელემენტობრივი შედგენილობა სხვადასხვა მეცნიერების შეხედულებით[1].

ცხრილი 1

რ. ოხიმსენი	ს. იანო.	პროზენშტეინ-როდანი, ხ.ზინგური, ბსამუელსონი	აპიზენტი	ვორეშინი
1. მატერიალური /მშენებლობა, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა/ 2. ინსტიტუციონალური /საფინანსო-საკრედიტო საქმიანობა, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები/ 3. პერსონალური /განათლება, ჯანმრთელობა, კულტურა და სხვ./	1. ვაჭრობა 2. ტრანსპორტი 3. კავშირგაბმულობა 4. მართვა 5. იურისპრუდენცია 6. მედიცინა 7. ფინანსები 8. დაზღვევა 9. ინფორმაციის და ცოდნის ინდუსტრია 10. გასართობი ინდუსტრია	1. ზედნადები კაპიტალი, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა ენერგეტიკა	1. გზები 2. სატრანსპორტო საშუალებები 3. მიწათმოწყობა 4. მელიორაცია-ირიგაცია 5. წყალ, გაზ, ენერგომომარაგება	1. ტრანსპორტი 2. სასაწყობო მეურნეობა 3. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება 4. კავშირგაბმულობა 5. კომუნიკაციური მეურნეობა 6. საქმიანი ხასიათის საწარმოები

1. Федько В.П., Федько Н.Г., Инфраструктура товарного рынка. Ростов на Дону, "феникс", 2000г., გვ. 86-88.

ა. კრამერი	კ. კლარკ	კ. მარქსი	ა. კარტერი, დ.ჰილადი, ერლიხი
1. ტრანსპორტი 2. კავშირგაბმულობა 3. მატერიალურ-ტექ-ნიკური მომარაგება, გასაღება, დამზადე-ბა 4. სასაწყობო მეურნე-ობა 5. ენერგო-ელექტრო-წყალმომარაგება 6. მელიორაცია-ირიგა-ცია 7. საქმიანი მომსახურე-ბა	1. საბიჟუმო და საცა-ლო ვაჭრობა 2. სახელმწიფო სა-წარმოები და ორ-განიზაციები 3. საფინანსო და უძ-რავი ქონების ინ-სტიტუტები 4. კომუნალური მეურ-ნეობა	1. შრომის საშუალებები, რომლებიც უზ-რუნველყოფენ წარმოების საერთო პი-რობებს 2. მატერიალური პირობები გზები, არხე-ბი, დამხმარე შენობები 3. ფარული კაპიტალი საწარმოო მარაგე-ბის შესანახი საშუალებები 4. კომუნიკაციური კაპიტალი - სატრან-სპორტო და კავშირგაბმულობის საშუ-ალებანი	1. ენერგოსისტემა 2. ტრანსპორტი 3. კავშირგაბმულობა 4. საბინაო მეურნეობა 5. ვაჭრობა
ი. ბლოხინი	ს. ხეიმანი	კ. მაკკონელლი, ს. ბრიუ	ლ. სუხოვა
1. ელექტროენერგეტი-კა 2. ტრანსპორტი 3. კავშირგაბმულობა 4. მშენებლობა 5. ვაჭრობა 6. მომარაგება-გასაღე-ბა 7. დამზადება	1. წყალმომარაგება 2. ტრანსპორტი 3. ელექტროგადაცემა 4. კავშირგაბმულობა 5. მომარაგება-გასაღე-ბა, დამზადება, საწყობები, ელევა-ტორები, მაცივრები 6. საქმიანი მომსახურე-ბა	1. ავტომაგისტრალები 2. ხიდები, ქალაქის ტრანსპორტი, აერო-პორტები, წყალმომარაგება 3. საფინანსო და საბანკო მომსახურება, ტვირთის გადატანა 4. ნარჩენების გატანა, ელექტრომომარაგე-ბა	1. ტრანსპორტი 2. კავშირგაბმულობა 3. სასაწყობო მეურნე-ობა 4. ინფორმაცია, გამოთ-ვლითი ტექნიკა, პროგრამირება

საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება და შეფასება. საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების ფაქტობრივი რაოდენობის შესახებ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს მონაცემები არ გააჩნია. იმ კლასიფიკაციით, რომლითაც დეპარტამენტი საწარმოთა დ ორგანიზაციათა აღრიცხვას აწარმოებს, ინფრასტრუქტურის ზოგიერთი ინსტიტუტების გამოყოფა ფაქტობრივად შეუძლებელია. ეს ეხება ბირჟების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, აუდიტორულ კომპანიებს, სალიზინგო კომპანიებს და ა.შ.

ამიტომ ჩვენ თავს ვიკავებთ საქართველოში საბაზრო ინფრასტრუქტურის თანამედროვე მდგომარეობის შეფასებისგან და მოგვყავს მონაცემები ამ სფეროს განვითარების შესახებ საზღვარგარეთ / იხ.ცხრ. 2 /.

ცხრილი 2

საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებლები საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნებში

/ ცხრილში მოცემულია მხოლოდ მიმოქცევის სფეროს ინფრასტრუქტურა /

ქვეყნები	წელი	ინფრასტრუქტურული კომპლექსის საწარმოთა და ორგანიზაციათა რაოდენობა, ერთეული	ერთ ორგანიზაციაზე მოსული სამოსამსახურო ტერიტორიის საშუალო სიდიდე /კვ.მ/
აშშ	1989	250000	37
იაპონია	1988	120500	3
საფრანგეთი	1988	28000	20
გერმანია /გფრ/	1988	41200	6
შვედეთი	1988	24000	18
რუსეთი	1989	5100	3353

[1] Федько В.П., Федько Н.Г., Инфраструктура товарного рынка, Ростов-на-Дону, "Феникс", 2000, გვ. 121.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ინფრასტრუქტურის საწარმოთა რიცხვი ყველაზე მეტია აშშ-ში, მაგრამ ერთ ასეთ საწარმოზე მოსული კლიენტთა სამოსამსახურო ზონის სიდიდე ყველაზე მცირე აქვს იაპონიას / 3კვ.მეტრი /, შემდეგ კი გერმანიას /6კვ.მეტრი/. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ ეროი ინფრასტრუქტურული ინსტიტუტი იაპონიაში მომსახურებას უწევს 3კვ.მეტრის ზონაში მყოფ კლიენტებს, გერმანიაში კი 6 კვ. მეტრის ზონაში მყოფ კლიენტებს. ცხადია, ეს ფაქტი მეტყველებს ინფრასტრუქტურული ობიექტებით იაპონიისა და გერმანიის მაღალ უზრუნველყოფაზე.

ამასთან შედარებით მეტად დაბალია რუსეთის უზრუნველყოფა ინფრასტრუქტურული ობიექტებით. აქ ამ ტიპის 5100 ორგანიზაციაა და ერთ ასეთ ორგანიზაციაზე მოდის 3353 კვ.მეტრი სამოქმედო ზონა, ე.ი. თითქმის ათასჯერ მეტი, ვიდრე იაპონიაში და ასჯერ მეტი, ვიდრე აშშ-ში.

მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსეთში მხოლოდ გარდაქმნის შემდეგ დაიწყო ამ ინსტიტუტების შექმნა და, რომ ეს პროცესი მეტად სწრაფად მიმდინარეობს / იხ. ცხრილი 3 / იძლევა იმის დიდ იმედს, რომ მოკლე ხანში რუსეთშიც და ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მ.შ. საქართველოში, ეკონომიკის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად ამაღლდება.

საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფაზე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მრავალი სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ინფრასტრუქტურის განვითარების დონის შეფასებაზე მუშაობენ ვ.ორეშინი, ლ.მერკუშევი, ბ.კრასნოპოლსკი, ი.ბელიამვსკი, ენგელი, ჩერნოვი და სხვები. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ენგელის კოეფიციენტი

$$K_э = \frac{D}{\sqrt{T_m \times r_m}}$$

ფორმულაში $K_э$ ენგელის კოეფიციენტია; D ინფრასტრუქტურული კომუნიკაციების სიგრძე, T_m - საეროო ტერიტორია, r_m მოსახლეობის რიცხვი, რომელიც ინფრასტრუქტურის კონკრეტული ობიექტებისათვის კომუნიკაციებისათვის არის შედგენილი. ჩვენ მიერ ზემოთ მოცემული / ცხრილი 2 / ინ-

ფრასტრუქტურის ობიექტების სამოქმედო ზონების მაჩვენებელი სწორედ ამ კოეფიციენტის ანალოგია.

ცხრილი 3

საბაზრო ინფრასტრუქტურის ცალკეული ინსტიტუტების რაოდენობა რუსეთში 1993-1997 წ.წ.-ში[1].

ინფრასტრუქტურის ცალკეული ინსტიტუტები	1993	1994	1995	1996	1997	ზრდა 1993-1997 წლებში
1. სადაზღვევო კომპანიები	900	1534	2175	2230	2458	2,73-ჯერ
2. კომერციული ბანკები	1713	2019	2517	2598	2623	1,53-ჯერ
3. რეგისტრირებული ბირჟები	182	238	180	122	112	61,5%

ჩვენ ვთვლით, რომ ინფრასტრუქტურით საქართველოს ეკონომიკის უზრუნველყოფის დონეც ესგელის კოეფიციენტით უნდა გაანგარიშდეს, მაგრამ ამისათვის უპირველესად საჭიროა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა აწარმოოს მაღალი ზუსტი აღრიცხვა. გაანგარიშება უნდა ჩატარდეს ინფრასტრუქტურის კონკრეტულ ტიპებზე / ბანკები, ბირჟები და ა.შ. / ცალ-ცალკე და იმის მიუხედავად რომ ამის ნორმატივები საქართველოში არ არსებობს, შეუდარდეს იგი საზღვარგარეთ ფაქტობრივად მიღწეულ დონეებს.

<u>საბაზრო ინფრასტრუქტურის შედგენილობა</u>. საბჭოთა პერიოდის ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფრასტრუქტურა იყოფოდა ორ ბლოკად: საწარმოო ინფრასტრუქტურა და არასაწარმოო, ანუ სოციალური ინფრასტრუქტურა.

საწარმოო ინფრასტრუქტურა ჰქმნიდა მატერიალური წარმოების საერთო პირობებს და მასში შედიოდა: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საინჟინრო კომუნიკაციები, ინფორმაციული უზრუნველყოფა და ა.შ. სოციალური ინფრას-

[1] Федько В.П., Федько Н.Г., Инфраструктура товарного рынка. Ростов-на-Дону, "Феникс", 2000, გვ. 59.

ტრუქტურა ემსახურებოდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის არასაწარმოო სფეროს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფრასტრუქტურის შემადგენელ ბლოკებს დაემატა მესამე ბლოკი-საბაზრო ინფრასტრუქტურა. ისე რომ ამჟამად ინფრასტრუქტურა მოიცავს საწარმოო, სოციალურ და საბაზრო ინფრასტრუქტურებს[1].

საბაზრო ინფრასტრუქტურაში იგულისხმება საქმიანობის ის სახეები, რომელნიც უშუალოდ ბაზრის ფუნქციონირებას სჭირდება. ეკონომისტთა ერთი ნაწილი მას "ბაზრის ინფრასტრუქტურას" უწოდებს, მეორე "საბაზრო ინფრასტრუქტურას". ჩვენი აზრით უფრო უმჯობესია მას ეწოდოს "საბაზრო ინფრასტრუქტურა". ასეთი სახელწოდება მის შინაარსაც ასახავს და ქართულადაც კარგად ჟღერს.

საბაზრო ინფრასტრუქტურის ზოგადი კლასიფიკაცია მოგვცა რუსმა მეცნიერმა ვ.პ. ფედკომ / ის. ნახაზი 1 /.

საბაზრო ინფრასტრუქტურის ვ.პ. ფედკოსეული კლასიფიკაცია ზოგადიც არის და რამდენადმე საკამათოც. მაგალითად, მასში არ არის მოცემული სასაწყობო მეურნეობა, ლიზინგური კომპანიები, ლოგისტიკური ცენტრები, აუდიტორული და კონსალტინგური ფირმები, რომლებიც საბაზრო ეკონიმიკის პირმშონი არიან. ამის გარდა, თავისუფალი კაპიტალის ინვესტირების თვალსაზრისით სადაზღვევო და საპენსიო ფონდები მართლაც კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურაში შედიან, მაგრამ, ამის გარდა მათ აქვთ ძირითადი ფუნქცია დაზღვევა და პენსიონერების პენსიებით უზრუნველყოფა - რის გამოც უფრო მისაღები იქნებოდა საპენსიო ფონდების მიკუთვნება შრომის ბაზრისათვის, ხოლო სადაზღვევო კომპანიებისა - სასაქონლო და კაპიტალის ბაზრებისათვის ეროობლივად.

საბაზრო ინფრასტრუქტურაზე შექმნილი სპეციალური ლიტერატურის გაცნობით დავრწმუნდით, რომ უმრავლესს მეცნიერ ეკონომისტთა აზრით საბაზრო ინფრასტრუქტურაში უნდა შევიდეს: სასაქონლო და საფონდო ბირჟები, შრომის ბირჟები,

---

[1] Говорин А.А. Инфраструктура современного предпринимательства: проблемы теории и практики . М. ЗАО "Финансстатинформ", 1999, გვ. 55-56.

საბანკო სისტემა, აუდიტორული, კონსალტინგური და ლიზინგური ფირმები, საადაზღვევო ორგანიზაციები და საპენსიო ფონდები, მიგრაციული ცენტრები, კადრების მომზადება - გადამზადების ცენტრები, ინვესტიციური ინსტიტუტები, დასაქმების ცენტრები, დასაქმების ფონდები, საბაჟო და საგადასახადო სამსახურები, კომუნიკაციური უზრუნველყოფა.



ნახ. 1. საბაზრო ინფრასტრუქტურის შედგენილობა

ჩვენ ვიზიარებთ მათ აზრს და საბაზრო ინფრასტრუქტურისადმი მიძღვნილ წინამდებარე სახელმძღვანელოს ვაგებთ მსგავსი სტრუქტურით.

თავი II. სასაქონლო ბირჟა

<u>სასაქონლო ბირჟის წარმოშობა.</u> ბირჟის ელემენტები უძველეს დროს გაჩნდა. ჯერ კიდევ ძველ რომში არსებობდა მოედანი, სადაც დაკანონებული იყო ვაჭრების შეკრების განსაზღვრული დრო და ორგანიზაციას უკეთებდნენ ბაზრობას - "ფორუმს", აქ ბარტერული და ხშირად ფულადი გარიგების გარდა, ხდებოდა საბოლოო ანგრიშსწორების გადავადება, რაზეედაც იდებოდა ხელშეკრულება. საბირჟო ოპერაციებისათვის კი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია წინასწარი და ვადიანი კონტრაქტების დადებაა. ძველ საბერძნეთში მსგავსს ფუნქციას ასრულებდა სპეციალური მოედანი - "აგორა". მაგრამ არც ერთი მათგანი არ გადაიზარდა თუნდაც ბირჟის მსგავსს ორგანიზაციად. მხოლოდ შუა საუკუნეებში გამოჩნდნენ ჯერ წვრილი, ხოლო შემდეგ მსხვილი იარმარკები.

"ბირჟის" სახელწოდების შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. ვარაუდობენ, რომ იგი დაკავშირებულია ახალ ლათინურ სიტყვასთან ბურსა /bursa/, რაც ტყავის ქისას ნიშნავს. ამ სიტყვის ფუძეს უკავშირდება ფრანგულში /bouse/, გერმანულსა და იტალიურში /borsa/. ყველა ვარიანტში იგი დაკავშირებულია ფულთან ან საფულესთან, უფრო სწორედ კი იმ დროს გავრცელებულ ტყავის ქისასთან, რომელიც ლითონის ფულის სატარებლად გამოიყენებოდა. აქ გამონაკლისია ინგლისური ენა, სადაც ბირჟას "exchange" შეესაბამება, რაც სიტყვა სიტყვით გაცვლას ნიშნავს. იმის გამო, რომ ბირჟები თავიანთი დანიშნულებით განსხვავებულია, ინგლისურ ენაში მას ემატება მისი აღმნიშვნელი სიტყვა "commadity", რაც ერთად სასაქონლო ბირჟას ნიშნავს. არის ერთი ვერსია, რომლის თანახმად ბირჟის სახელწოდების წარმოშობას უკავშირებენ ჰოლანდიელი ვაჭრის, ბელგიის პატარა ქალაქ ბრიუგეში მცხოვრებ ვან დერ ბურსეს სახელს. მის საგვარეულო გერბზე სწორედ სამი ტყავის ქისა იყო გამოსახული.

თანამედროვე ბირჟების წინამორბედი იყო ბაზრები და იარმარკები. ბაზრებზე ვაჭრობა მიმდინარეობდა რეგულარულად, მაგრამ ბირჟისაგან განსხვავებით იყიდებოდა სახეზე არ-

სებული საქონელი. ხოლო მყიდველები, როგორც წესი, გამოდიოდნენ საქონლის მომხმარებლის როლში. იარმარკებზე რეალური საქონელი ვაჭრობაში მონაწილეობას არ იღებდა. სავაჭრო პროცესი ხორციელდებოდა ნიმუშების მიხედვით საბითუმო პარტიებით და მას ყიდულობდნენ საყაჭრო შუამავლები. იარმარკები ეწყობოდა წელიწადში რამოდენიმეჯერ. იარმარკა ემსახურებოდა საერთაშორისო სავაჭრო საქონელბრუნვის განვითარებას, ხოლო ბაზარი შეზღუდული, გარკვეული რაოდენობის საქონელბრუნვას.

ბირჟების წარმოშობის ისტორია ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. საბირჟო ვაჭრობის პირველი ფორმა იყო საქარავნო / ეპიზოდიური /, რომელიც შემდეგ შეიცვალა საიარმარკო ვაჭრობით, ხოლო ეს უკანასკნელი თანდათანობით გამოდეენა საბირჟო ვაჭრობამ.

სულ მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში ითვლიან 200 ბირჟას. მათ შორის ზოგიერთი უკვე საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებს. მაგალითად, ნიუ - იორკის საფონდო ბირჟა ჩამოყალიბდა 1792 წელს და ა.შ.

პირველი ბირჟები ევრაზიის რიგ ქეეყნებში რამდენიმე საუკუნის წინ აღმოცენდნენ, მაგრამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მათ შორის იყო ანტვერპენის ბირჟა, რომელსაც ჰქონდა საკუთარი შენობა წარწერით "ყველა ეროვნებისა და ენაზე მოვაჭრე საზოგადოებისათვის".

ანტვერპენის ბირჟა მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მე-17 საუკუნის დასაწყისში. მას ჰქონდა სასაქონლო და საფონდო სექცია. ამ ბირჟაზე პირველად განხორციელდა ვადიანი გარიგებები.

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა სპეციალიზირებული ბირჟებიც. ასე მაგალითად, ჩიკაგოში ბირჟები ვაჭრობდნენ მარცვლეულით, ცოცხალი პირუტყვით, ლითონებით. ასევე იყო კანზას-სიტის ბირჟებზე.

აშშ-ში 13 უმსხვილესი ფიუჩერსული ბირჟა მოქმედებს. ამის მიუხედავად საბირჟო ვაჭრობის ცენტრი მაინც არის ლონდონი.

რუსეთში ბირჟა დაარსა პეტრე I მა, რომელმაც ჰოლანდიაში მოგზაურობის დროს ნახა "უცხოეთის საკვირველება" ამსტერდამის ბირჟა. სხვა ქვეყნებთან შედარებით რუსეთში

სასაქონლო ბირჟები რამდენადმე უფრო ნელა ვითარდებოდა, რაც უწინარეს ყოვლისა განპირობებული იყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განუვითარებლობით.

1903-1908 წლებში რუსეთში ფუნქციონირებადი 114 ბირჟიდან 50 სასაქონლო იყო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე რუსეთში მოქმედი ყველა ბირჟა თუ ბირჟისმაგვარი ორგანიზაცია დაიხურა. 1921 წელს კი ხელახლა შეიქმნა ექვსი ბირჟა. 1922 წელს მიღებული სპეციალური დადგენილების თანახმად ბირჟების ფუნქციონირება ლეგალური გახდა. ნეპის პერიოდში ბირჟების რაოდენობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 114-მდე გაიზარდა. ამ პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა ბათუმისა და თბილისის სასაქონლო ბირჟები. 30-იანი წლებიდან კი სსრ კავშირში გაუქმდა საბირჟო ინსტიტუტი.

<u>სასაქონლო ბირჟის არსი</u>. საბაზრო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი არის სასაქონლო ბირჟა. სხვადასხვა ავტორები "ბირჟის" ცნებას რამდენადმე განსხვავებულად განმარტავენ. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც შესაძლებელია ბირჟის შესახებ საერთო ნიშნების მონახვა, რომელზეც მიუთითებდა ეკონომისტთა უმრავლესობა: "ბირჟა უპირველეს ყოვლისა ბაზარია", "უზარმაზარი ბაზარია", "ბაზრის უმაღლესი ფორმაა". ბირჟა, როგორც საბითუმო ვაჭრობის ფორმა, აღმოცენდა და განვითარდა საბაზრო ურთიერთობებთან ერთად. მასთან ერთად არსებობდნენ სხვა ფორმებიც: ბაზარი, იარმარკები /ვაჭრობები/, აუქციონი, ვაჭრების სხვადასხვა შეკრებები და ა.შ.

ბირჟებსა და ბაზრის სხვა სახეებს შორის განსხვავება შემდეგშია[1]:

1. ბირჟაზე არ არსებული საქონლის კოტირება;
2. თავისუფალი ბაზრისაგან განსხვავებით ბირჟა ორგანიზებული ბაზარია;
3. ბირჟაზე ოფიციალურად დგინდება კურსი და ხდება კოტირება.

---

[1] გ.ხმალაძე, ნ.ხმალაძე, ლ.ძნელაძე, სასაქონლო და საფონდო ბაზარი, თბ., "ნიკე", 1997, გვ.11.

ბირჟის ამ ნიშნებიდან გამომდინარე იგი არის საბითუმო ბაზრის განსაკუთრებული სახე, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა ფასიანობებით ვაჭრობა, რომელთა წარდგენა ბირჟაზე სავალდებულო არ არის. ბირჟაზე ყველა საქონელი ურთიერთშენაცვლებადია. საბირჟო საქონლის შენაცვლებადობიდან გამომდინარეობს ის, რომ ყიდვის მომენტში საქონელი არც ბირჟაზე იმყოფება და შეიძლება ჯერ კიდევ არც გამყიდველის განკარგულებაში იყოს. თავის მხრივ, მყიდველსაც შეუძლია შეიძინოს საქონელი, თუკი მას ყიდვის მომენტში არ გააჩნია შესაბამისი თანხა. ბირჟა ორგანიზებული ბაზარია, ის ჩვეულებრივი ბაზრისაგან იმით განსხვავდება, რომ მას აქვს მართვის ორგანოები, რომლებიც იცავენ საბირჟო გარიგებათა წესებს. ბირჟა არის ორგანიზაცია, რომლის მიზანია მიმოქცევაში არსებულ საქონელზე ფასის ოფიციალური დადგენა. ამ პროცესს კოტირება ეწოდება.

მეცნიერ-ეკონომისტთა უმრავლესობა გამოყოფს ბირჟის შემდეგ ნიშნებს:

1. ბირჟა არის საბითუმო ბაზრის ფორმა;
2. იგი არის ურთიერთშენაცვლებადი საქონლის ბაზარი;
3. ბირჟა არის ორგანიზებული ბაზარი;
4. ბირჟა არის ბაზარი, სადაც მიმდინარეობს ოფიციალური ფასწარმოქმნა.

ა.ნიკოლაევის აზრით ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად შეიძლება სასაქონლო ბირჟას მივცეთ ასეთი განმარტება: "სასაქონლო ბირჟა მყიდველებისა და გამყიდველების გაერთიანებაა სავაჭრო ოპერაციების წარმოების მიზნით, იგი ორგანიზებული ბაზარია, სადაც დადგენილი წესების შესაბამისად ხორციელდება განსაზღვრული სახეობის საქონლის ყიდვა - გაყიდვაზე სავაჭრო გარიგებები საბაზრო ფასების მიხედვით"[1].

აღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, სასაქონლო ბირჟის ძირითადი უპირატესობა ის არის, რომ მისი მეშვეობით ხორციელდება საწარმოებისა და ორგანიზაციების სწრაფი და დროული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. საბირჟო სისტემა ამ ოპერაციებს შეუფერხებლად და მოკლე დროში ახორ-

---

[1] Николаев А.А., Товарная биржа, рынок ценных бумаг 1992 №: 4

ციელებს. ბირჟაზე სწრაფად წყდება მნიშვნელოვანი გარიგებები მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით.

<u>სასაქონლო ბირჟის ფუნქციები</u>. სასაქონლო ბირჟის ფუნქციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთია[1]:

1. ვაჭრობის ორგანიზების ფუნქცია;
2. საქონელზე ფასების სტაბილიზაციის ფუნქცია;
3. ფასწარმოქმნის ფუნქცია;
4. საქონელმიმოქცევის ფუნქცია.

ვაჭრობის ორგანიზების ფუნქცია იმით ვლინდება, რომ ბირჟა მოქმედებს როგორც საბაზრო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი ორგანიზებული ინსტრუმენტი. სასაქონლო ბირჟაზე შეუძლებელია საბირჟო საქონლის პარტიების თვითნებური, ნებისმიერი ინდივიდუალური პარამეტრების დაწესება. მწარმოებლებმაც და მომხმარებლებმაც წინასწარ უნდა დაგეგმონ პროდუქციის მიწოდებისა და შეკვეთის განსაზღვრული მოცულობა.

ბირჟებზე საქონელზე ფასების სტაბილიზაციის ფუნქცია რეალიზდება საბირჟო სპეკულაციის მექანიზმით, რის შედეგადაც წარმოიქმნება აჟიოტაჟი და რიგ შემთხვევაში პანიკაც.

ასეთი მექანიზმი ითვალისწინებს თამაშს ფასების შემცირება-გადიდებაზე. იმ პირთა მოქმედება, რომლებიც ცდილობენ ფასების ამაღლებას და შემცირებას (საბირჟო ტექნოლოგიის მიხედვით მათ უწოდებენ "ხარებს" და "დათვებს"), ნორმალურ პირობებში მიმართულია ურთიერთშესახვედრად და აწონასწორებენ ერთმანეთს. ეს კი ხელს უწყობს ფასების სტაბილიზაციას.

ბირჟებზე ფასების სტაბილიზაციის ფუნქცია ვლინდება გარიგების დადების საჯაროობაშიც. როცა ფასების დადგენის პროცესი საზოგადოებრივი კონტროლით მიმდინარეობს. თანამედროვე ბირჟების პრაქტიკაში ფასების ყოველდღიური მერყეობა გარკვეულ ფარგლებში შეზღუდულია, იგი განსაზღვრულია საბირჟო ვაჭრობის წესებით.

კლასიკური ბირჟების ყველაზე არსებითი ფუნქცია ფასწარმოქმნაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბაზარზე ორიენტი-

---

[1] გ.ხმალაძე, ნ.ხმალაძე, ლ.ძნელაძე, სასაქონლო და საფონდო ბაზარი, თბ. „ნიკე“, 1997, გვ. 15.

რებული ეკონომიკური ურთიერთობები ვერ ჩამოყალიბდება, ყიდრე არ შეიქმნება ნამდვილი საბაზრო, თავისუფალი, ანუ წონასწორული ფასები, რომლებიც აბალანსებენ მოთხოვნასა და მიწოდებას. აქაც დიდია ბირჟის როლი.

ბირჟის მეშვეობით ხდება ყოველი ფასიანი ქაღალდის, საქონლის, ფრახტის კოტირება, რითაც ისინი იღებენ თავიანთი საცვლელი ღირებულების ზუსტ აღნიშვნას. კლასიკურ ვარიანტში კოტირება არის საბირჟო ფასების რეგისტრაცია მათი შემდგომი განზოგადებითა და პუბლიკაციით. შინაარსობრივად თუ შევაჯამებთ განხორციელებული გარიგებების შედეგებს და განვსაზღვრავთ რეალიზაციის საშუალო ობიექტურ მიზეზებს, კოტირება საშუალებას მისცემს ბირჟას შეასრულოს ფასწარმოქმნის ფუნქცია. მუდმივად ცვალებადი საბაზრო კონიუნქტურის პირობებში კოტირების შედეგები ორიენტირია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედი გამყიდველებისათვის. საბირჟო ვაჭრობის შედეგების მიხედვით დადგენილი საშუალო საბაზრო ფასები საბაზრო კონიუნქტურის თავისებური ინდიკატორი და წარმმართველია კონტრაქტების დადებისას. იგი ფასების მოძრაობის სხვადასხვა ტენდენციის გაწონასწორების მნიშვნელოვანი მექანიზმია. ფასების კოტირებით ხორციელდება მუდმივმოქმედი უკუკავშირი ცალკეულ სამეურნეო სუბიექტებსა და მთლიანად ბაზრებს შორის. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს საცალო ფასების მერყეობას და უზრუნველყოფს საბაზრო კონიუნქტურის სწრაფი ცვლილების აღმოფხვრას.

ბირჟის საქონელმიმოქცევის ფუნქციის განხილვისას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბირჟებს ამჟამად არა აქვთ გადამწყვეტი როლი საბითუმო საქონელბრუნვაში საბირჟო საქონლის მიხედვითაც კი. რეალური საქონლის მიწოდება საბირჟო კონტრაქტების მეშვეობით არ აღემატება საბირჟო საქონლით მსოფლიო საბითუმო ვაჭრობის 10%-ს. დანარჩენი 90% საბირჟო და 100% არასაბირჟო საქონლისა რეალიზდება საბითუმო - სავაჭრო კომპანიების, სავაჭრო სახლების, სავაჭრო - სამრეწველო პალატების და სხვა საბითუმო სასაქონლო ბაზრების მიერ.

ბირჟების კლასიფიკაცია. ბირჟების საქმიანობის თავისებურებების გამოსაკვეთად აუცილებელია მათი კლასიფიკაცია, რაც გულისხმობს მათ გაერთიანებას გარკვეულ ჯგუფებში.

ბირჟების კლასიფიკაციის ნიშნებს მიეკუთვნება:

- საბირჟო საქონლის სახე;
- ორგანიზაციის პრინციპი /სახელმწიფო როლი ბირჟების ორგანიზაციაში/;
- სამართლებრივი მდგომარეობა /ბირჟის სტატუსი/;
- საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის ფორმა;
- საქონლის ნომენკლატურა, რომელიც არის საბირჟო ვაჭრობის ობიექტი;
- ადგილი და როლი მსოფლიო ვაჭრობაში;
- საქმიანობის სფერო;
- საბირჟო გარიგებათა უპირატესი სახე;
- საქმიანობის ხასიათი.

მსოფლიო პრაქტიკაში საბირჟო საქმიანობის სახისაგან დამოკიდებულებით მიღებულია გამოიყოს სასაქონლო-სანედლეულო, საფონდო, სავალუტო და შრომის ბირჟები.

სასაქონლო ბირჟაში იგულისხმება ორგანიზაცია იურიდიული პირის უფლებით, რომელიც აყალიბებს ორგანიზაციულ საბითუმო ბაზარს საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაციისა და რეგულირების გზით. ეს უკანასკნელი ხორციელდება საჯარო ფორმით, ტარდება წინასწარ განსაზღვრულ ადგილსა და დროში დადგენილი წესების შესაბამისად.

საფონდო ბირჟა ფასიანი ქაღალდების მუდმივმოქმედი რეგულირებადი ბაზარია. იგი ქმნის ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და მათი გამოყენების შესაძლებლობებს გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ თანამედროვე საფონდო ბირჟები არეგულირებენ არა მხოლოდ ქვეყნის ფინანსურ ბაზარს, არამედ განსაზღვრავენ საერთაშორისო სამეურნეო კავშირების ფორმების მიმართულებებსა და განვითარების ხასიათს.

უცხოური ვალუტის ბაზრის ორგანიზაციისა და მომსახურებისათვის იქმნება სპეციალური სავალუტო ბირჟები. მათ, თა-

ვისი სპეციფიკური როლის გამო, სხვა ბირჟებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით მკაცრად აკონტროლებს სახელმწიფო.

ორგანიზაციის პრინციპის მიხედვით განასხვავებენ ორი სახის ბირჟებს: საჯარო სამართლის /სახელმწიფო ბირჟები/ და კერძო სამართლის /კერძო ბირჟები/.

საჯარო სამართლის ბირჟები კონტროლდება სახელმწიფოს მიერ და ცხადია იქმნება ბირჟების შესახებ კანონის საფუძველზე. ასეთი ბირჟის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მეწარმე, რომელიც შეტანილია საჯარო რეესტრში და აქვს ბრუნვის გარკვეული მოცულობა. ის პირები, რომლებიც არ არიან ბირჟის წევრები, საბირჟო ოპერაციებზე დაიშვებიან ერთჯერადი ბილეთების შეძენის გზით. ასეთი ბირჟები გავრცელებულია ევროპაში /საფრანგეთი, პოლანდია, ბელგია/.

კერძო სამართლის ბირჟები ფუნქციონირებენ ინგლისში, აშშ-ში. ეს ბირჟები ხელმისაწვდომია მხოლოდ საბირჟო კორპორაციაში შემავალი ვიწრო წრის პირთათვის. ასეთი ბირჟების წევრთა რიცხვი შეზღუდულია. ამ სახის ბირჟები წილობრივ საზოგადოებებს წარმოადგენენ. მათი საწესდებო კაპიტალი იყოფა წილების /სერთიფიკატების/ განსაზღვრულ რაოდენობად. ბირჟის ყველა წევრი უნდა იყოს ერთი წილის /სერთიფიკატის/ მფლობელი მაინც, რომელიც მას უფლებას აძლევს განახორციელოს გარიგება ბირჟის შენობაში.

საბირჟო ვაჭრობაზე დამსწრეთა მონაწილეობის ფორმის მიხედვით ბირჟები შეიძლება იყოს ღია და დახურული. დახურული ბირჟების ვაჭრობაზე მონაწილეობას იღებენ მისი მუდმივი წევრები, რომლებიც ასრულებენ საბირჟო შუამავლის როლს, ამიტომ უშუალო მყიდველებისა და გამყიდველებისათვის საბირჟო დარბაზი დახურულია. დახურული ბირჟების დამახასიათებელი ნიშანია შეკვეთების შეკრებისა და დამუშავების სპეციალიზებული ორგანოების ე.წ. ბირჟების პერიფერიული სამსახურის არსებობა.

საზღვარგარეთის თანამედროვე სასაქონლო ბირჟები უმთავრესად დახურულია, რამდენდაც საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაცია მოითხოვს საკმაოდ მაღალ პროფესიონალიზმს. ღია ბირჟების ვაჭრობებზე, მუდმივი წევრების და საბირჟო შუამავლების გარდა მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სტუმრებსაც. ამიტომ ღია ბირჟები ორი ტიპისაა:

- წმინდა /"იდეალური"/ ღია ბირჟა, რომელზეც კონტრაგენტებს არ ავალდებულებენ ისარგებლონ შუამავლების მომსახურებით. ასეთ ბირჟებზე უზრუნველყოფილია საბირჟო წრეში კლიენტი გამყიდველებისა და შემკვეთი მყიდველების დაშვება /კლიენტი ასეთ შემთხვევაში აყალიბებს მიწოდებას, ხოლო შემკვეთი მოთხოვნას/. ამრიგად, წმინდა ღია ბირჟა ხასიათდება მწარმოებლებისა და მომხმარებლების პირდაპირი კავშირით;
- შერეული ტიპის ღია ბირჟა, რომელზეც მყიდველებთან და გამყიდველებთან მუშაობს შუამავალთა ორი ჯგუფი:

1. კლიენტის სახელითა და ხარჯით მომუშავე ბროკერები;
2. თავისი სახელითა და ხარჯით მოქმედი დილერები.

საქონლის ნომენკლატურის მიხედვით /რომლებიც არიან საბირჟო ვაჭრობის ობიექტი/ ბირჟები იყოფა უნივერსალურ და სპეციალიზირებულ ბირჟებად.

უნივერსალურ ბირჟებზე ვაჭრობა მიმდინარეობს მრავალფეროვანი საქონლით. სპეციალიზებულ ბირჟებს სპეციალიზაცია აქვთ ერთი სახეობის საქონლით, ან საქონლის ჯგუფის მიხედვით. მათ შორის გამოიყოფა ფართო პროფილის ან ვიწრო სპეციალიზებული ბირჟები.

მსოფლიო ვაჭრობაში ადგილისა და როლის მიხედვით მიღებულია ბირჟების დაყოფა საერთაშორისო და ეროვნულ ბირჟებად.

საერთაშორისო ბირჟები არიან მუდმივად მოქმედი საბითუმო ბაზრის განსაკუთრებულ სახე, რომლებიც მოიცავენ რამდენიმე სახელმწიფოს. ასეთ ბირჟებზე ხორციელდება გარკვეული სახის საბირჟო საქონლის ყიდვა-გაყიდვაზე რეაგირება. ის ქვეყნები, სადაც განლაგებულია საერთაშორისო ბირჟები, ვალდებული არიან დაიცვან შესაბამისი სავალუტო, სავაჭრო და საგადასახადო რეჟიმი. საერთაშორისო ბირჟები იყოფა სასაქონლო, სავალუტო და საფონდო ბირჟებად. საერთაშორისო სასაქონლო ბირჟები თავმოყრილია სამ ქვეყანაში: ინგლისში, იაპონიასა და აშშ ში. 90-იან წლებში ამ სამი ქვეყნის წილად მოდიოდა საერთაშორისო საბირჟო ბრუნვის 90%.

ეროვნული ბირჟები მოქმედებენ ერთი ცალკე აღებული ქვეყნის ფარგლებში.

საქმიანობის სფეროს მიხედვით ბირჟები შეიძლება დაიყოს ცენტრალურ /დედაქალაქის/, რეგიონთაშორის და რეგიონალურ /ლოკალურ/ ბირჟებად.

ოპერაციათა ხასიათის მიხედვით მსოფლიო საბირჟო ვაჭრობის პრაქტიკაში გამოყოფენ შემდეგი სახის ბირჟებს: რეალური საქონლის, ფიუჩერსულს, ოპციონით და შერეულს.

რეალური საქონლის ბირჟა დამახასიათებელია საბირჟო ვაჭრობის საწყისი ეტაპისათვის. მისი განმასხვავებელი ნიშანია ვაჭრობის რეგულარული განახლება, გარკვეულ ადგილთან ვაჭრობის შეთანაწყობა, მასობრივი, ეროგვაროვანი, შესადარისი, ერთიერთშეთანაწყობადი საქონლით ვაჭრობა. რეალური საქონლის ბირჟებზე გარიგების დადება ხდება საქონლის არ არსებობის შემთხვევაშიც. ამის გამო, იქ ხდება მყიდველებისა და გამყიდველების შემხვედრი წინადადებები. რეალური საქონლის ბირჟის ყველაზე არსებითი ნიშანია საქონლის სავალდებულო მიწოდება ვაჭრობის დამთავრების შემდეგ. თანამედროვე პირობებში რეალური საქონლის ბირჟები შენარჩუნებულია მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში და აქვთ უმნიშვნელო ბრუნვა. ისინი, როგორც წესი, წარმოადგენენ ადგილობრივი დანიშნულების საქონლით ვაჭრობის ფორმას. ასეთი სახის ბაზრები ხასიათდება წარმოების, გასაღებისა და მოხმარების დაბალი დონით. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში რეალური საქონლის ბირჟები თითქმის აღარ არსებობენ, თუმცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დღემდე შემორჩა სასაქონლო ბირჟები, რომლებიც აერთიანებენ ვაჭრებს, მაკლერებს, სატრანსპორტო და გადამამუშავებელ ფირმებს. დღესდღეობით ასეთი ბირჟები ძირითადად დაკავებულნი არიან ტიპური კონტრაქტების დამუშავებით და სასოფლო-სამეურნეო საქონლის /ხორბალი, კარაქი, ბამბა და სხვა/ ბაზრების შესახებ ინფორმაციის შეკრებით. ასეთ ბირჟებზე ოპერაციები შეადგენს საერთო საბირჟო ბრუნვის დაახლოებით 10 – 15 % - ს.

საბირჟო ვაჭრობის გაფართოებამ განაპირობა ახალი ტიპის ფიუჩერსული ბირჟების შექმნა. მათი ჩამოყალიბება ასახავს ბირჟების გარდაქმნას რეალური საქონლის ბაზრებიდან სა-

ქონელზე უფლების ბაზრებად. ფიუჩერსული ვაჭრობის ძირითადი ნიშნებია:

- გარიგების ფაქტობრივი ხასიათი;
- რეალური საქონლის ბაზართან კავშირი დაზღვევით /ჰეჯირებით/ და არა საქონლის მიწოდების მეშვეობით
- წინასწარ ზუსტად განსაზღვრული და უნიფიცირებული საქონლის არსებობა, რომელსაც არ გააჩნია განსაკუთრებული ინდივიდუალური სახმარი ღირებულება;
- საქონლის მიწოდების პირობების სრული უნიფიკაცია;
- გარიგების გაუპიროვნებლობა, მისი კონტრაგენტების შენაცვლებადობა, რომლის უზრუნველყოფაც ხდება ბირჟის საანგარიშსწორებო პალატის მიერ. ფიუჩერსული ბირჟები არიან თავისებური ფინანსური ინსტიტუტები. ყველაზე ხშირად ისინი იქმნებიან ფულადი რესურსების მაღალი კონცენტრაციის ადგილებში, ე.ი. წამყვან ფინანსურ ცენტრებში. ფიუჩერსული ბირჟა, როგორც ფინანსური ინსტიტუტი, ავსებს ფირმების საქონლის რეალიზაციის საბანკო დაკრედიტებას და მისი შემდგომი შენახვის სტადიაზე აიაფებს მას. მსოფლიო პრაქტიკაში ასევე დიდ როლს ასრულებენ ბირჟები ოპციონით. ისინი გამოიყენება საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთა დაზღვევისათვის, რამდენადაც ოპციონი მყიდველებს შესაძლებლობას აძლევს შეამცირონ შესაძლო ზარალი საბირჟო გარიგებების დადებისას.

ოუ ფიუჩერსული ბირჟები აღმოცენდნენ დიდი ხნის წინათ /აშშ-ში ფუნქციონირებენ 1848 წლიდან/, ბირჟები ოპციონით გაჩნდნენ სულ ახლახან - ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში.

<u>საბირჟო საქონელი.</u> ყოველ ბირჟას უფლება აქვს დამოუკიდებელად დაადგინოს საქონლის შემადგენლობა, რომელიც საბირჟო ვაჭრობის ობიექტი იქნება. თუმცა, გათვალისწინებული უნდა იყოს ის მოთხოვნები, რომელიც საბირჟო ვაჭრობის პრაქტიკის თანახმად წაეყენება საბირჟო საქონელს.

საბირჟო საქონლისადმი წაყენებული მოთხოვნები ყოველთვის იცვლებოდა საბირჟო ვაჭრობის განვითარებასთან ერთად. თავდაპირველად, მათ არ წაეყენებოდათ რაიმე განსაკუთრებუ-

ლი მოთხოვნები. თანამედროვე პირობებში, როდესაც ბირჟაზე ვაჭრობა ხორციელდება რეალური საქონლის გარეშე და თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობებში, როცა ყიდვა - გაყიდვის ოპერაციები არა მხოლოდ საქონლით, არამედ კონტრაქტებითაც მიმდინარეობს, საჭიროა სპეციალური საბირჟო საქონლის მკაცრად შერჩევა.

პირველ ყოვლისა, საბირჟო საქონელი უნდა იყოს მასობრივი, ე.ი. მისი გამოშვება უნდა ხდებოდეს საკმაოდ დიდი მოცულობით, მწარმოებელთა დიდი რაოდენობის მიერ და განკუთვნილი უნდა იყოს მომხმარებელთა ფართო წრისათვის. ბირჟაზე კონკრეტული საქონლის მყიდველებისა და გამყიდველების დიდი რაოდენობით თავმოყრა შესაძლებლობას იძლევა შედარებით სწორად განისაზღვროს მოთხოვნა - მიწოდება და გამოვლინდეს წონასწორობის ნამდვილი ფასი. ერთადერთი მწარმოებლის ნაკეთობა, გამოყენების უნიკალური ხასიათით, თუნდაც საკმაოდ დიდი რაოდენობით იწარმოებოდეს, არ შეიძლება იყოს საბირჟო ვაჭრობის ობიექტი, რადგან ასეთი საქონლის უნიკალური თვისება არ იძლევა მისი შეფასების საშუალებას და შესაბამისად არ ხერხდება ყველაზე მეტად მისაღები ფასის დადგენა.

საბირჟო საქონლისადმი წაყენებული აუცილებელი მოთხოვნაა თავისუფალი ფასწარმოქმნა; ე.ი. ფასი ამ საქონელზე უნდა დადგინდეს ბაზრის კონიუნქტურისა და აგრეთვე სხვა ფაქტორებზე /სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფორსმაჟორული/ დამოკიდებულებით.

საბირჟო საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ ხარისხობრივ მოთხოვნებს, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გაზომვის პირობებს. ითვლება, რომ სტანდარტიზაცია აყალიბებს საბირჟო საქონლის მთავარ ნიშანს, რომლის დახმარებით შეიძლება საუკეთესო ეკონომიკური შედეგის მიღწევა.

საბირჟო სტანდარტის როლი საქონლის თვისებრივ მაჩვენებელთა ერთნაირ დონეზე დაყვანაში მდგომარეობს. ამ სტანდარტის შედგენა მეტად საპასუხისმგებლოა, რადგან მაღალმა საბირჟო სტანდარტმა, რომელიც ამაღლებს სარეალიზაციო საქონლის საერთო ხარისხობრივ დონეს, შეიძლება საბირჟო ბრუნვიდან გამორიცხოს სტანდარტების შეუსაბამო საქონლის მნიშვნელოვანი მასა.

პირიქით, დაბალმა საბირჟო სტანდარტმა არახარისხობრივი საქონლის ნაკადის მეშვეობით შეიძლება შელახოს ბირჟის ავტორიტეტი და შეამციროს საბირჟო ბრუნვა.

საბირჟო სტანდარტი მოიცავს აგრეთვე მოთხოვნებს, როგორიცაა ყიდვა-გაყიდვისათვის შეთავაზებული საქონლის რაოდენობა. ბირჟაზე იყიდება მკაცრად განსაზღვრული ზომის საქონელი. რეალიზაცია ხდება ე.წ. საბირჟო ერთეულებში, რომელიც შეესაბამება ან სატრანსპორტო საშუალებების ტევადობას /მაგ., რკინიგზის ვაგონების/ ან გარკვეულ მოცულობასა და წონას. ამიტომ, გაყიდვის ფაქტობრივი მოცულობა უნდა იყოს საბირჟო ერთეულის ჯერადი.

სასაქონლო ბირჟაზე შეუძლებელია ვიყიდოთ ან გავყიდოთ საქონლის პარტია, რომელიც საბირჟო ერთეულის ჯერადი არ არის. აქედან გამომდინარე, მწარმოებელიც და მომხმარებელიც წინასწარ გეგმავენ აუცილებელი საქონლის მიწოდებას, ან შეკვეთის მოცულობას.

საბირჟო სტანდარტი ითვალისწინებს აგრეთვე გამყიდველის მიერ იმ საწყობის ამორჩევის უფლებას, სადაც უნდა მოხდეს საქონლის გადაცემა-მიღება. საწყობის მფლობელი პასუხისმგებელია ტვირთის შენახვაზე. ყოველ პარტიაზე გამოწერს სპეციალურ, საქონლის შენახვის დამადასტურებელ დოკუმენტს /გარანტს/.

საბირჟო ვაჭრობის ობიექტი თანამედროვე პირობებში დაახლოებით 70 სახის საქონელია, რომელიც შეიძლება გაერთიანდეს შემდეგ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად:

1. სასოფლო - სამეურნეო და სატყეო საქონელი, აგრეთვე მათი გადამუშავების პროდუქტები:

- მარცვლეული /ხორბალი, სიმინდი, შვრია, ჭვავი, ქერი/;
- ზეთოვნების /სელის, ბამბის, სოიას/ თესლები;
- ცოცხალი პირუტყვი და ხორცი /მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ბარკლის ხორცი/;
- საფეიქრო საქონელი /ბამბა, მატყლი, ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმი, სელი, ნაერთი, ჯუთი/;

- კვების პროდუქტები /შაქარი, მცენარეული ზეთი, კარტოფილი, ბილბილი, კვერცხი, არაქისი, ფორთოხლის წვენის კონცენტრანტი/;
- სატყეო საქონელი /დახერხილი მასალები, ფანერა/;
- ნატურალური კაუჩუკი;

2. ნედლეული და ნახევარფაბრიკატები:

- ფერადი და ძვირფასი ლითონები /სპილენძი, ტყვია, თუთია, კალა, ნიკელი, ალუმინი, ოქრო, ვერცხლი, პლატინა/;

3. ნავთობი და ნავთობპროდუქტები.

ყველა ჩამოთვლილი საქონლის დამახასიათებელი თავისებურება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის მათი წარმოების მასობრიობა და მყარი მოთხოვნა.

საერთაშორისო საბირჟო ვაჭრობის ობიექტებად თანამედროვე პირობებში გვევლინება დაახლოებით 70 სახეობის საქონელი, რომელთა ხვედრითი წილი შეადგენს საერთაშორისო საქონელბრუნვის 30%-ს. საერთაშორისო სასაქონლო ბირჟების ბრუნვა ყველა სახის ოპერაციების მიხედვით ფასდება ყოველწლიურად 3,5-4 ტრილიონი დოლარის მოცულობით.

<u>სასაქონლო ბირჟის დაფუძნება.</u> სასაქონლო ბირჟა იქმნება საშუამავლო და სავაჭრო ორგანიზაციების, საძრეწველო საწარმოებისა და გაერთიანებების, ეროობლივი საწარმოების, საზღვარგარეთული ფირმებისა და სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციების, აგრეთვე, კერძო პირების ნებაყოფლობითი გაერთიანებების საფუძველზე.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბირჟების დაფუძნებისათვის მიზანშეწონილია ღია ტიპის სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმის შერჩევა. სააქციო საზოგადოების თავისებურება ის არის, რომ იგი მსხვილი წარმოების ორგანიზაციული ფორმაა, რომლის საწესდებო კაპიტალი მთლიანად დაყოფილია აქციებად. ამდენად, მისი ქონება განუყოფელია. "შეწარმეთა შესახებ კანონის" თანახმად, სასაქონლო ბირჟის სააქციო ფორმით დაფუძნებისათვის აუცილებელია, რომ საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა აღემატებოდეს 15

ათას ლარს, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი კი შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც ფულადი, ისე ნატურალური შენატანების საფუძველზე. მისი სიდიდე არ უნდა იყოს 2000 ლარის ეკვივალენტ თანხაზე ნაკლები. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ ერთი აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით ან მისი მრავალჯერადი. სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით ჩამოყალიბებულ ბირჟებს შორის განსხვავების ეკონომიკური არსი ისაა, რომ სააქციო საზოგადოების სახით შექმნილი ბირჟების ძირითადი მიზანია საქმიანობის გაფართოება და რეინვესტირება. ამის გამო აქციონერები ხშირად უარს ამბობენ მიმდინარე დივიდენდების მიღებაზე, რათა ის ვმართოთ ინვესტირებაზე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის სახით ჩამოყალიბებული სასაქონლო ბირჟები ითვალისწინებს მოგების დიდი ნაწილის განაწილებას დამფუძნებლებს შორის. ამ შემთხვევაში ინდივიდუალური წილი გროვდება და ფართოვდება, რომელიც საზოგადოების წლიური შედეგების გაჩხილვისას, ან ლიკვიდაციისას გადაეცემა თითოეულ წევრს ფულადი, ან ნატურალური სახით.

ბირჟის, როგორც იურიდიული პირის საკუთრება ყალიბდება[1]:

1. ბირჟის წევრების მიერ საწესდებო კაპიტალის სახით შეტანილი ნატურალური ქონებისა და ფულადი სახსრების საფუძველზე;
2. ბირჟის საქმიანობის პერიოდში მომუშავეების მიერ შექმნილი პროდუქციისა და მომსახურებისაგან;
3. ბირჟის წევრების ყოველწლიური შენატანების, საბირჟო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების, გაწეული მომსახურებიდან მიღებული ანაზღაურებისა და სხვადასხვა დარღვევებისათვის ჯარიმის გადასახდელებისაგან;
4. საკუთარი ანგარიშის ხარჯზე შეძენილი ფულადი და ნატურალური ფორმის სხვა ქონებისაგან.

---

[1] სასაქონლო ბირჟა, თბ., ფირმა „ივერია", 1992, გვ.31; სასაქონლო ბირჟის ცნობარი, თბ., მცირე საწარმო „შრომის ბირჟა", 1991, გვ. 38.

ამასთან, ბირჟამ სარგებლობისა და მფლობელობის უფლებით /არენდით/ თავისი წევრებისაგან შეიძლება მიიღოს ქონება, რომელიც, როგორც სააქციო საზოგადოების, ისე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პირობებში დაწესებულების ლიკვიდაციის, ან კანონით დადგენილ სხვა შემთხვევაში უბრუნდება მესაკუთრეს ნატურალური ფორმით გასამრჯელოს გარეშე.

დახურული ტიპის სააქციო საზოგადოების სახით დაფუძნებისას გარანტირებულია აქციის ღირებულების დაბრუნება საზოგადოების ლიკვიდაციის პირობებში.

საქართველოში დაფუძნებული ბირჟების ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის შედარება საზღვარგარეთის ანალოგიურ ფორმებთან გვიჩვენებს, რომ ამ კუთხით ძირითადი კანონზომიერება შენარჩუნებულია. მათი უმრავლესობა, ისევე როგორც საზღვარგარეთ, თავდაპირველად შეიქმნა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, რაც პირველ რიგში განპირობებული იყო მისი დამფუძნებლების საწესდებო შენატანების სიმცირით. საწესდებო კაპიტალის წილობრივი ფორმა საშუალებას იძლევა საკმაოდ სწრაფად გაიზარდოს წილობრივი შენატანების ღირებულება, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება თავდაპირველად დაბანდებული სახსრების მოკლე დროში გადიდება.

<u>სასაქონლო ბირჟის მართვა.</u> მსოფლიო პრაქტიკაში ბირჟის მართვის ორგანოები მოიცავს სამ დონეს. მართვის უმაღლესი დონეა ბირჟის წევრთა საერთო კრება. იგი გარკვეულწილად ასრულებს კანონშემოქმედებით ფუნქციას. აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრება დირექტორთა საბჭოს, მას უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს დანარჩენი სამსახურის საქმიანობას და დააშუშაოს ბირჟის მუშაობის ძირითადი მიმართულებები, კორექტივები შეიტანოს, ან დაადგინოს საბირჟო ვაჭრობის წესები. აშშ-ში ბირჟის დირექტორთა საბჭოს წევრებს ირჩევენ 3 წლის ვადით, თუმცა მათი გადარჩევა შეიძლება მოხდეს ყოველწლიურად. ბირჟის მიმდინარე მართვას ახორციელებს საშტატო აპარატი პრეზიდენტის მეთაურობით. იგი ინიშნება დირექტორთა საბჭოს მიერ. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დირექტორთა საბჭოს აქვს შემდეგი ძირითადი ფუნქციები: ბირჟის

საქმიანობის გეგმების შემუშავება და შესრულების ორგანიზაცია, ბირჟის წევრებთან მუდმივი ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა, ბირჟის პარტნიორებთან, მათ შორის სხვა ბირჟებთან, კომერციული და სხვა სახის კავშირების ორგანიზაცია, ბუღალტრული და სტატისტიკური აღრიცხვის წარმართვა და ფინანსური ოპერაციების განხორციელება, ბირჟის მომარაგება ტექნიკური საშუალებებით, საბირჟო ვაჭრობის წესების დაცვაზე კონტროლი და სხვა. დირექტორთა საბჭო დამოუკიდებლად განსაზღვრავს მუშაკთა ოდენობას, მათ პროფესიულ და კვალიფიციურ შემადგენლობას.

ბირჟის ორგანიზაციული სტრუქტურის სათავეში დგას საერთო კრება, რომელიც წლის განმავლობაში შეიძლება ერთჯერ ან რამდენჯერმე გაიმართოს. გარდა ამისა, ბირჟას ესაჭიროება მართვის ისეთი ორგანოები, რომლებიც კრებებს შორის პერიოდში იმუშავებენ ე.წ. მუდმივმოქმედი ორგანოები. ასეთებს მიეკუთვნება: სააქციო საზოგადოებაში - ბირჟის საბჭო და გამგეობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში - საბირჟო კომიტეტი და აღმასრულებელი დირექცია. საბირჟო კომიტეტი მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელსაც საზოგადოების საერთო კრება ირჩევს და არის მიმდინარე მართვის საკონტროლო-განმკარგულებელი ორგანო. საბჭო და კომიტეტი არჩევითია და ბირჟის მართვის ფუნქციებს ასრულებს საერთო კრების შუალედებში.

საზოგადოების საერთო კრება ნიშნავს აღმასრულებელ ორგანოს დირექტორატს ან გამგეობას. გამგეობის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები ირჩევენ სათანადო კვალიფიკაციის კადრებს ბირჟის ოპერატიული ხელმძღვანელობისთვის, მიმდინარე საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაციისათვის.

სასაქონლო ბირჟის - როგორც დაწესებულების სამეურნეო საქმიანობისა და მიმდინარე მუშაობისათვის, აგრეთვე, საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის იქმნება ბირჟის ფუნქციური ორგანოები, რომელთა შორის მთავარია: საინფორმაციო - საცნობარო, სარეგისტრაციო, კოტირების, სტანდარტიზაციისა და ხარისხის კომიტეტები, აგრეთვე, საანგარიშსწორებო პალატა, არბიტრაჟი და სხვა.

საინფორმაციო საცნობარო განყოფილება იქმნება საბირჟო ვაჭრობის ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის, საბირჟო დღის განმავლობაში ბირჟის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, იმისათვის, რომ საბირჟო ოპერაციების მონაწილეებს გაუადვილოს ვაჭრობაში ჩართვა. აღნიშნული განყოფილება შედგება ოპერატიული და საცნობარო ქვეგანყოფილებებისაგან. ისინი საბირჟო დარბაზში განლაგებულია ერთად. ოპერატიული ქვეგანყოფილების ფუნქციაში შედის განცხადების რეგისტრაცია ბირჟაზე საქონლის ყიდვა - გაყიდვაზე და ბირჟის ბიულეტინის გავრცელება; მონაცემთა შეკრება ბირჟაზე მოთხოვნა - მიწოდების, მყიდველებისა და გამყიდველების ფასების სარეგისტრაციო განცხადების მიხედვით მოვაჭრეთათვის ინფორმაციის მისაწოდებლად და ფასების კოტირებისათვის; საინფორმაციო ტაბლოზე ინფორმაციის სწორად გასვლაზე კონტროლი; ბირჟის კომიტეტში საბირჟო ვაჭრობის პროცესის რაციონალიზაციაზე წინადადების შეტანა.

საცნობარო ქვეგანყოფილების ფუნქციაში შედის: ბირჟაზე გარიგებათა და რეგისტრაციის, ვაჭრობის, სამართლებლივ და საგადასახადო ხასიათის საკითხებზე კონსულტირება; ცნობების გაცემა ბირჟაზე განხორციელებულ კოტირებასა და ბიულეტენებზე; საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთათვის ინფორმაციის წარდგენა მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაზე და დადებული კონტრაქტების რაოდენობასა და შემადგენლობაზე.

კოტირების კომიტეტი იქმნება სასაქონლო ბირჟაზე რეალიზებულ საქონელზე ფასების კოტირების განსახორციელებლად და ბირჟის ბიულეტენის შესადგენად. მისი ძირითადი ფუნქციებია:

კოტირებად საქონელზე ფასების საბირჟო ბიულეტენის შედგენა, რომლის საფუძველია მოცემული დღის გარიგებები და კომისიის განკარგულებაში მყოფი სხვა მონაცემები;

ბროკერების, ბირჟის წევრებისა და დამსწრეთა მიერ დადებულ გარიგებებზე ცნობების დროული მიწოდების მეთვალყურეობა, საქონლის პარტიის მოცულობის დადგენა;

კოტირებული საქონლის სიის დადგენა, საინფორმაციო-საცნობარო განყოფილებისათვის ინფორმაციის მიწოდება ფასებისა და საქონლის კონიუნქტურის შესახებ;

წინადადებების წარდგენა საბირჟო კომიტეტისადმი კოტირების წესების, ანდა ბიულეტენის ფორმებზე, მისი გამოქვეყნების წესებსა და საშუალებებზე ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

სტანდარტიზაციისა და ხარისხის კომიტეტი იქმნება სასაქონლო ბირჟაზე კოტირებული და არაკოტირებული საქონლის ექსპერტიზისათვის და ბირჟაზე სარეალიზაციო საქონლის ტექნიკური, წონითი, ხარისხობრივი და სხვა მახასიათებლების შესამოწმებლად. მისი ძირითადი ფუნქციებია:

საქონლის მარკის, სახის, ხარისხის, მისი წარმოშობისა და მდგომარეობის განსაზღვრა ექსპერტიზის მომენტში;

საქონლის მიახლოებითი ღირებულების განსაზღვრა, საბირჟო სტანდარტების, ბირჟის ტიპური კონტრაქტების შემუშავება;

ბირჟაზე საქონლის რეგისტრაცია;

საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთა კონსულტირება საერთო და სპეციალურ საკითხებზე.

ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს როგორც საქონლის შენახვის ადგილზე, ასევე ბირჟაზე წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით.

ექსპერტიზის დასრულების შემდეგ დგება აქტი, რომელშიც მითითებულია: ექსპერტიზის რეკვიზიტები, ექსპერტიზის ჩატარების ადგილი და დრო, მისი შედეგი და სხვა.

საბირჟო ვაჭრობის გამარტივების, განხორციელებული გარიგებების შედეგების ოპერატიული განზოგადებისა და საბირჟო დარბაზის კონიუნქტურის მიმდინარე მდგომარეობის ინფორმირებისათვის, აგრეთვე, ფასების კოტირებისათვის აუცილებელი საწყისი მონაცემების მისაღებად ბირჟაზე წარმოებს გარიგების, მოთხოვნისა და მიწოდების რეგისტრაცია. რეგისტრაციას ექვემდებარება დადებული გარიგებების შემდეგი ძირითადი რეკვიზიტები: მყიდველისა და გამყიდველის დასახელება, გასაყიდი სა-

ქონლის დასახელება და ხარისხი, წარმოდგენილი საქონლის პარტიის ოდენობა, საქონლის ერთეულის ფასი, მიწოდების აღგილი და ვადა, ანგარიშსწორების წესი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განსახორციელებლად საბირჟო სტრუქტურაში იქმნება სარეგისტრაციო კომიტეტი. გარიგების რეგისტრაცია უნდა მოხდეს მხარეების მიერ გარიგების შესახებ შეთანხმების მიღწევისთანავე. ხოლო მონაცემები განზოგადებული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს საბირჟო ბიულეტენში.

სასაქონლო ბირჟის ორგანიზაციული სტრუქტურის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს მიეკუთვნება საანგარიშსწორებო პალატა. იგი ასრულებს ერთიანი საანგარიშსწორებო საფინანსო ცენტრის როლს საბირჟო გარიგებათა განხორციელებისას. საანგარიშსწორებო პალატის ძირითადი ამოცანებია: გარიგებებზე ანგარიშსწორების განხორციელება საბირჟო ვაჭრობის მონაწილეებს შორის, საქონლის მიწოდებისა და ანგარიშსწორების პროცედურების რეგულირება და მოწესრიგება, მხარეთა შორის დადებულ კონტრაქტებზე ვალდებულებების შესრულების მექანიზმის უზრუნველყოფა. ამ ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად საანგარიშსწორებო პალატამ უნდა შეასრულოს შემდეგი ძირითადი ფუნქციები: მხარეთა შორის ანგარიშსწორება, მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის გაფორმება, საგარანტიო შენატანების მიღება და აღრიცხვა; საქონლის მიწოდების რეგულირება; ცალკეულ შემთხვევაში კრედიტის გაცემა მიმწოდებლებზე; ზედამხედველობა და კონტროლი ანგარიშსწორებათა სისწორეზე.

<u>საბირჟო ვაჭრობა და საბირჟო გარიგებები.</u> ვაჭრობა სასაქონლო ბირჟაზე მიმდინარეობს მკაცრად განსაზღვრული წესით, რომელიც მტკიცდება ბირჟის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

საბირჟო ვაჭრობის მონაწილეები არიან ბროკერები, ბირჟის მაკლერები, უფროსი მაკლერები, ბროკერებისა და საბირჟო მაკლერების დამხმარეები. გარდა ამისა, საოპერაციო დარბაზში დაიშვებიან შემდეგი პირები: ბირჟის პერსონალი, მთავარი სამმართველოს პერსონალი, თავმჯდომარე, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც ბირჟის საბჭოს გადაწყვეტილებით აქვთ დასწრე-

ბის უფლება. საბირჟო ვაჭრობის მონაწილენი უნდა განვასხვაოთ ბირჟის სავაჭრო დარბაზში დამსწრეთაგან. დარბაზში დამსწრენი პირობითად შეიძლება დაყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. გარიგების დამდებნი;
2. საბირჟო გარიგების დადების ორგანიზატორები;
3. საბირჟო ვაჭრობის მიმდინარეობის მაკონტროლებლები;
4. ვაჭრობის მიმდინარეობის შეოვალყურენი.

გარიგების დამდები პირების შემადგენლობა განისაზღვრება საბირჟო ვაჭრობის წესებით და განსხვავებულია იმის მიხედვით, დასურულია, თუ ღიაა ბირჟა. ღია ბირჟაზე ბირჟის შენობაში გარიგების დადების უფლება აქვთ:

ბირჟის წევრებსა და მათ წარმომადგენლებს;

ბირჟაზე აკრედიტებულ ბროკერებს;

მუდმივ და ერთჯერად დამსწრეებს.

დახურულ ბირჟაზე კი გარიგების დადების უფლება აქვთ ბირჟის წევრებსა და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე ბირჟაზე აკრედიტებულ ბროკერებს.

მცირე ჯგუფს, რომლებიც საბირჟო გარიგების დადების ორგანიზაციას ახდენენ, მიეკუთვნება დარბაზში მყოფი ბირჟის თანამშრომლები:

მაკლერები, რომლებსაც მიჰყავთ ვაჭრობა;

ოპერატორები /მაკლერების დამხმარეები/, რომლებიც აფიქსირებენ გარიგების დადებას თავიანთ წრეში /სექციაში/;

საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაციის საანგარიშსწორებო ჯგუფის თანამშრომლები, რომლებიც ბროკერებს ეხმარებიან დადებული გარიგების გაფორმებაში;

ბირჟის საექსპერტო განყოფილების მუშაკები, რომლებიც ახდენენ ვაჭრობაზე წარდგენილი საქონლის ექსპერტიზას და ვაჭრობის მონაწილეებს უწევენ აუცილებელ კონსულტაციას.

მეორე ჯგუფში შეიძლება აგრეთვე ჩაირთოს ბროკერების თანაშემწეები, რომლებსაც აქვთ ბირჟის დარბაზში დასწრების უფლება, მაგრამ არ შეუძლიათ გარიგების დადება.

ვაჭრობის წარმართვის მაკონტროლებელ ჯგუფში შედიან სახელმწიფოსა და ბირჟის წარმომადგენლები.

საბირჟო ვაჭრობის მონაწილეებს შორის ცენტრალური ფიგურაა ბროკერი. იგი დამაკავშირებელი რგოლია ბირჟასა და კლიენტებს შორის. საბირჟო ვაჭრობის წარმართვისათვის ბროკერს უფლება აქვს: იყიდოს ან გაყიდოს საქონელი კლიენტის შეკვეთით ან თავისი შეხედულებით /თუ ის გამოდის დილერის როლში/; შეცვალოს გასაყიდად წარმოდგენილი საქონლის ფასი და რაოდენობა; გაეცნოს ვაჭრობაზე წარმოდგენილ საქონელთან დაკავშირებულ ინფორმაციას; ისარგებლოს ბირჟის მიერ გაწეული მომსახურებით. ბროკერის ვალდებულებას კი შეადგენს: საქონლის გამოცხადების მომენტში დარბაზში ყოფნა; საბირჟო ვაჭრობის წესების დაცვის მეთვალყურეობა; კლიენტების შეკვეთების შესრულება; დადებული გარიგების რეგისტრაცია და დოკუმენტური გაფორმება; საბირჟო ვაჭრობის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის წარდგენა საბროკერო ფირმაში, რომლის სახელითაც ის მუშაობს ბირჟაზე. მხოლოდ ბირჟის წევრებს /პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით/ და საბირჟო ბროკერებს /ბირჟის წევრების დავალებით/ შეუძლიათ განახორციელონ საბირჟო ოპერაციები. ამიტომ, გარკვეული საქონლის ყიდვით, ან გაყიდვით დაინტერესებული პირები მიმართავენ ბირჟის წევრ საბროკერო ფირმას, ან თვითონ ხდებიან ბირჟის წევრები.

ბირჟის წევრობისათვის აუცილებლია საწევროს გადახდა, რომელიც გამოხატავს ბირჟაზე "ადგილის" ღირებულებას. იგი ბირჟის წევრის საკუთრებაა და შეიძლება გაიყიდოს მისი ბირჟიდან წასვლის შემთხვევაში. ადგილის ღირებულება განისაზღვრება საბირჟო კომიტეტის მიერ.

ბროკერი არის შუამავალი სასაქონლო ბირჟაზე მყიდველებსა და გამყიდველებს შორის გარიგებების დადების დროს. იგი მოქმედებს კლიენტების დავალებით, მათ სარჯზე და შუამავლობისათვის იღებს გარკვეულ გასამრჯელოს. ბროკერი ფაქტობრივად აგენტია მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობებში.

საოპერაციო დარბაზში საბირჟო ვაჭრობის პროცესში მონაწილეობენ საბირჟო მაკლერები, უფროსი მაკლერები, ბროკერებისა და ბირჟის მაკლერების დამხმარეები.

მსოფლიო პრაქტიკაში შემუშავებულია საბირჟო ვაჭრობის წარმართვის ორი მეთოდი: 1. საჯარო ვაჭრობა /გარიგება იდება წამოძახილების მეშვეობით დუბლირებადი სიგნალებით, რომლის გადაცემაც ხდება ხელებითა და თითებით/; 2. ვაჭრობა ჩურჩულით. აღსანიშნავია, რომ ჩურჩულით ვაჭრობას საკმაოდ შეზღუდული ხასიათი აქვს და უპირატესად გავრცელებულია სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიასა და იაპონიაში.

ხელითა და თითების მეშვეობით სიგნალის გადაცემის შემოხვევაში ხელის მდგომარეობა აღნიშნავს გაყიდვას და ყიდვას. მაგ., თუ ხელისგული მიმართულია ბროკერისაკენ, ეს ნიშნავს, რომ სუბიექტი თანახმაა ყიდვაზე. ხოლო თუ იგი მის საწინააღმდეგოდაა მიმართული, ნიშნავს, რომ სუბიექტი თანახმაა გაყიდვაზე. როცა ბროკერს ხელი და თითები უჭირავს ჰორიზონტალურად, ის თითებით აჩვენებს, თუ რამდენადაა მისი წინადადება საინფორმაციო ტაბლოზე ასახულ ბოლო ფასზე მაღლა ან დაბლა. ვერტიკალურად მაღლა აწეული ხელები და თითები აჩვენებს იმ კონტრაქტების რიცხვს, რომელსაც ბროკერი ყიდულობს ან ყიდის შეთავაზებული ფასების მიხედვით. გარიგების დადების ასეთი სისტემა აუცილებელია წამყვანის უფრო ზუსტი მუშაობისათვის, ვინაიდან ბირჟის დარბაზში, როგორც წესი, იკრიბება ბროკერი მყიდველებისა და ბროკერი გამყიდველების დიდი რაოდენობა.

საბირჟო გარიგება, საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთა მიერ საბირჟო საქონელზე ვაჭრობის წესების შესაბამისად დადებული და რეგისტრირებული ხელშეკრულებაა.

ბირჟაზე დადებული გარიგებებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

გარიგება არის შეთანხმებას საბირჟო საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, დაუყონებლივ ან წინასწარ შეთანხმებულ ვადაში მიწოდებით;

გარიგების დადების წესი შეესაბამება კანონმდებლობას საბირჟო ვაჭრობის შესახებ, აგრეთვე კონკრეტულ ბირჟაზე ვაჭრობის წესებს;

საბირჟო გარიგების მონაწილეები არიან საბირჟო ვაჭრობის მონაწილეები;

გარიგებები სრულდება ბირჟის გარეთაც;

გარიგება ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას დადგენილი წესის შესაბამისად;

ბირჟა არის საბირჟო ვაჭრობაზე წარმოებული გარიგების შესრულების გარანტი;

ბირჟას უფლება აქვს მიიღოს სანქციები საბირჟო ვაჭრობის მონაწილეების მიმართ, რომლებიც განახორციელებენ არასაბირჟო გარიგებას;

საბირჟო გარიგებები არ შეიძლება დაიდოს ბირჟის სახელით და მის ხარჯზე. გარიგების დადება არის საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთა ფუნქცია, ე.ი. ბირჟის წევრების და ბროკერის ფუნქცია. ეს უკანასკნელნი გამოდიან პროფესიონალი შუამავლების როლში.

გარიგების შინაარსის პირობებია:

საქონლის დასახელება;

მისი ხარისხი;

საქონლის რაოდენობა;

ნაყიდი საქონლისა და ანგარიშსწორების ფორმა;

მიწოდების ფორმა (დანახარჯების განაწილება ტრანსპორტირების, შენახვის, დაზღვევის მიხედვით);

საქონლის ადგილსამყოფელი;

გარიგების შესრულების ვადა და მიწოდების პირობები.

საბირჟო გარიგებების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მათგან მნიშვნელოვანია შესრულების ვადა.

მსოფლიო პრაქტიკაში უფრო მეტად გავრცელებულია ვადიანი გარიგება. ეს განსაკუთრებით ეხება სასურსათო საქონელს. სასაქონლო ბირჟაზე ყოველი საქონლის მიხედვით დგინდება ლიკვიდაციის, ანუ ვადიანი გარიგების შესრულების ვადა. მაგ., ჩიკაგოს ბირჟაზე სტანდარტული ვადები ხორბალსა და სიმინდზე - მარტი, მაისი, ივლისი, სექტემბერი და დეკემბერია.

რეალურ საქონელზე გარიგება შეიძლება იყოს მოკლევადიანი მიწოდების ვადით. მსოფლიო პრაქტიკაში მას უწოდებენ "სპოტ"-გარიგებას. გარიგება შეიძლება იყოს ხანგრძლივი მიწოდების ვადით "ფორვარდ" გარიგება. მისი ერთ-ერთი სახეა გარიგება გირავნობით.

თანამედროვე პირობებში რეალურ საქონელზე გარიგებებს შორის ჭარბობს ბარტერული გარიგებები. ეს გარიგების ისეთი სახეა, როდესაც ხდება საქონლის საქონელზე, ან საქონელსა და ფულზე გაცვლა.

გარდა რეალურ საქონელზე გარიგებისა, არსებობს ვადიანი გარიგება არარეალურ საქონელზე. დასავლეთის ბირჟაზე ეს გარიგება აქტუალურად გამოიყენება ბროკერების მიერ, რადგან იგი საშუალებას აძლევს მათ გამოამჟღავნონ პროფესიული ოსტატობა და მიიღონ დიდი ზოგება.

არარეალურ საქონელზე ვადიანი გარიგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს მიეკუთვნება კონტრაქტი მომავალ მიწოდებაზე.

გარიგების ობიექტია არა ნაღდი საქონელი, არამედ საბირჟო კონტრაქტი /ფიუჩერსი/.

დასავლეთის ბირჟებზე ფართო გავრცელება ჰპოვა გარიგებებმა პრემიით - ოპციონი. მათ მიეკუთვნებათ გარიგებები, რომელშიც ერთ-ერთი კონტრაგენტი იხდის რა პრემიას, იძენს ოპციონს, ანუ უფლებას განსაზღვრულ დღემდე გარიგებასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ არჩევანის გაკეთებაზე. განასხვავებენ ასეთი გარიგების რამოდენიმე სახეს:

1. უბრალო ოპციონი (ამ გარიგების მიხედვით, თუ ნაყიდია ოპციონი, მაშინ შეძენილია უფლება კონტრაქტებისაგან თავისი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნაზე).
2. ორმაგი ოპციონი - არის ისეთი გარიგება, სადაც პრემიის გადამხდელი იღებს არჩევანის უფლებას გამყიდველისა და მყიდველის პოზიციებს შორის, აგრეთვე გარიგებაზე უარის თქმის უფლებას.
3. რთული ოპციონი აერთიანებს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო გარიგებას პრემიით.
4. ჯერადი ოპციონი არის გარიგება, რომლის დროსაც ერთ - ერთი კონტრაგენტი იღებს უფლებას განსაზღვრული პრემიის საფასურად მეორე მხარის სასარგებლოდ გაზარდოს გადაცემას, ან მიღებას დაქვემდებარებული საქონლის რაოდენობა.

როგორც ცნობილია, ბირჟა თავისი სახელით გარიგებებს არ დებს. იგი ქმნის მისი დადებისათვის აუცილებელ პირობებს

და ემსახურება ყიდვა - გაყიდვის პროცესს. გარიგების განხორციელება ესაა ბირჟის წევრების, ან პროფესიონალი შუამავლების - ბროკერების ფუნქცია, რომლებიც დებენ გარიგებებს კლიენტის სახელით და მის ანგარიშზე; კლიენტის სახელით, მაგრამ თავის ანგარიშზე; თავისი სახელით და თავის ანგარიშზე. თავისი სახელით და თავისი ანგარიშით გარიგებების დადებაზე დაკავებულნი არიან დილერები.

საბირჟო საქმიანობის განვითარება საქართველოში

1990 წლიდან საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების საჭიროებამ კვლავ დღის წესრიგში დააყენა სასაქონლო ბირჟების შექმნის საკითხი. პირველი ბირჟები საქართველოში კვლავ გაჩნდნენ 1991 წლიდან, რომელთაგან აღსანიშნავია: "კავკასიის სასაქონლო-სანედლეულო ბირჟა", "საქართველოს უნივერსალური ბირჟა", "თბილისის უნივერსალური ბირჟა", "თბილისის უძრავი ქონების ბირჟა უტა", "ქ.თბილისის ღვინის ბირჟა", "თბილისის უნივერსალური საავტომობილო ბირჟა "შერკური". 1996 წელს კი მათ რიგებს მიემატა "თბილისის მარცვლეულისა და ნავთოპროდუქტების საერთაშორისო ბირჟა".

პირველი ბირჟა, რომელიც დაარსდა საქართველოში სააქციო საზოგადოების სახით 1991 წლის აპრილში, იყო კავკასიის ბირჟა. იგი მოიცავდა ოთხ სექციას; სამშენებლო მასალებითა და უძრავი ქონებით ვაჭრობის, შერეული საქონლით ვაჭრობის, საფონდო და სასურსათო სექციებს. კავკასიის ბირჟის საფონდო სექცია 1991 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა. ბირჟის ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და საფონდო სექციის სპეციალისტების ძალისხმევით მომზადდა საკანონმდებლო, სამთავრობო და ნორმატიული დოკუმენტების პროექტების პაკეტი, რომელიც აუცილებელი იყო საფონდო ბაზრის ორგანიზებისათვის.

წესდების მიხედვით კავკასიის სასაქონლო - სანედლეულო, საფონდო და სავალუტო ბირჟა /შემდგომში "კავკასიის ბირჟა"/ შეიქმნა როგორც სააქციო საზოგადოება. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისობის გამოვლენა ბაზარზე, ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების მოწესრიგება, ბირჟაზე კოტირებადი ფასიანი ქაღალ-

დების, ვალუტის მოთხოვნისა და მიწოდების განსაზღვრა. ბირჟაზე ვაჭრობის საგანია მატერიალური და სანედლეულო რესურსები, წარმოების საშუალებები, უძრავი ქონება, საწარმოოტექნიკური დანიშნულების პროდუქცია, ინტელექტუალური შრომის შედეგად მიღებული ფასეულობა /ლიცენზიები, გამოგონებები, პატენტები/, სამეცნიერო - კვლევითი და ცალკეული საკონსტრუქტორო სამუშაოები, ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუ, სასოფლო სამეურნეო წარმოების პროდუქცია, სახალხო მოხმარების საქონელი და სხვა ფასეულობები.

ბირჟის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 80 მილიონი მანეთით /1991წ/. იგი დაიყო 10 ათასი მანეთის ნომინალური ღირებულების 8 ათას ცალ სახელობით აქციად.

ბირჟამ პირველი ვაჭრობა გამართა 1991 წლის ივლისში და მხოლოდ ერთი დასახელების პროდუქცია გაიყიდა. აგვისტოში ვაჭრობაზე გამოტანილი იყო 8 დასახელების საქონელი, სექტემბერში 9, ოქტომბერში 13, ნოემბერში 15. კვირაში ორჯერ რეგულარულად /სამშაბათობით და ხუთშაბათობით/ იმართებოდა საჯარო ვაჭრობები საკმაოდ დიდი საქონელბრუნვითა და მნიშვნელოვანი გარიგებებით. რა თქმა უნდა, "კავკასიის ბირჟამ" პირველ სამეურნეო წელს /თანაც არასრულ წელს/ იმ დონეს ვერ მიაღწია, რასაც დამფუძნებლები ვარაუდობდნენ, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ იგი მძლავრ და დასრულებულ ორგანიზმად იქცა.

1991 წელი სააქციო საზოგადოება "კავკასიის ბირჟამ" 9 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალით დაამთავრა. დაარსებიდან ერთი წლის განმავლობაში ბირჟა უკვე აერთიანებდა 4 ათასამდე აქციონერს, მოქმედებდა 419 საბროკერო ფირმა. განვლილ ერთ წელიწადში საბირჟო ვაჭრობაზე დაიდო 181,3 მლნ მანეთის საერთო ღირებულების 757 გარიგება, საქონლის ყიდვის თაობაზე შემოვიდა 22420 განაცხადი, ვაჭრობაზე გამოტანილი იყო 41907 მლნ მანეთის საერთო ღირებულების საქონელი. საქონელბრუნვის ზრდას ხელი შეუწყო ვაჭრობაში საბროკერო ფირმების აქტიურმა მონაწილეობამ. ამ ხნის მანძილზე მოწინავეებში გამოიკვეთა 40 გამყიდველი და 33 მყიდველი საბროკერო ფირმა.

რეალური ვაჭრობები "კავკასიის ბირჟაზე" ტარდებოდა 1993 წლის გაზაფხულამდე /იდებოდა გარიგებები რეალურ სა-

ქონელზე/. 1993 წლის მარტის შემდგომ პერიოდში დღემდე ხდება საბირჟო ვაჭრობის დაცემა, განსაკუთრებით სასაქონლო სექციაში. 1994 წლის დასაწყისიდან ფაქტობრივად გარიგებების აღრიცხვა - რეგისტრაცია შეწყდა და ორგანიზებული საბირჟო ვაჭრობა აღარ მიმდინარეობს.

1991 წლის მარტში რეგისტრაციაში გატარდა და იმავე წლის ოქტომბრიდან მუშაობას შეუდგა "საქართველოს უნივერსალური ბირჟა", მისი დამფუძნებლები იყვნენ "განახლების ქართულ ამერიკული დასი", მცირე საწარმო "ეკო", მცირე საწარმო "პროგრესი 21", "რუსთავის მოსაპირკეთებელ მასალათა კომბინატი" და "კულტურის ფონდის მრავალდარგოვანი გაერთიანება". სააქციო საზოგადობა მხოლოდ ორი დამფუძნებლის "განახლების ქართულ- -ამერიკული დასისა" და მცირე საწარმო "ეკოს" ბაზაზე შეიქმნა. ის ორგანიზაცია თუ პირი, რომლებმაც 50000 მანეთი გადაიხადა, გახდა აქციონერი საბროკერო ადგილის უფლებით. ბირჟაზე რეგისტრირებული იყო 60 საბროკერო ფირმა, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, გავრცელდა აგრეთვე 10000 მანეთის ღირებულების აქციები.

სასაქონლო ვაჭრობა მიმდინარეობდა კვების პროდუქტებით, ნედლეულითა და მასალებით, საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქციით. თავდაპირველად ვაჭრობები ტარდებოდა კვირაში ორჯერ, სამშაბათსა და პარასკევს. შემდეგ კვირაში ერთხელ - სამშაბათობით. 1993 წლის გაზაფხულიდან, კუპონის შემოღების შემდეგ, გაჩნდა ფინანსური სიძნელეები და 1994 წლის აგვისტოდან ბირჟამ შეწყვიტა საქმიანობა.

1993 წლის გაზაფხულიდან 1994 წლის აგვისტომდე ბირჟაზე გარიგებები არ იდებოდა და იგი ფაქტობრივად საინფორმაციო სამსახურის როლს ასრულებდა. 1994 წლის აგვისტოდან ბირჟა იურიდიულად არსებობს და დღემდე შენარჩუნებულია.

1991 წლის ოქტომბერში დაარსდა საქართველოს უნივერსალური საავტომობილო ბირჟა "მერკური". მისი დამფუძნებლები იყვნენ მცირე საწარმო "მერკური", "სპორტკულტვაჭრობა", "ჩაის სახლი", სანკტ-პეტერბურგის ტელებირჟის საბროკერო ფირმა და ორი კერძო იურიდიული პირი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იგი პირველი საავტომობილო ბირჟა იყო. მისი დამფუძნებლების მიზანი იყო ევროპული სტილის "საავაჭრო სახლის" ჩამოყალიბება, სადაც ნებისმიერი მსურველი მივიდოდა და ავტომობილს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე

შეიძენდა. სხვა ბირჟებისგან განსხვავებით "მერკურის" აქციები და საბროკერო ადგილები არ გაუყიდია.

უძრავი ქონების ბირჟა - "უტა" რეგისტრაციაში გატარდა 1991 წლის აგვისტოში. მას პქონდა 6 სექცია, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებდნენ. მათგან ერთ-ერთი მოაყვარი იყო - საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის, მიწის ნაკვეთების, სამშენებლო მასალებისა და ტენდერების სექციები. მისი დამფუძნებლები იყვნენ ამავე სახელწოდების ყოფილი ასოციაცია, ასოციაცია "თბილმშენი" და თბილისის მერია. ბირჟა დაფუძნდა როგორც ღია ტიპის სააქციო საზოგადოება. მისი საწესდებო ფონდი შეადგენდა 14 მლნ მანეთს. აქედან 9 მლნ მანეთი დამფუძნებლებმა შეიტანეს. 1992 წლის აპრილისათვის შექმნილი იყო 25 საბროკერო ფირმა, საბროკერო ფირმები მოქმედებდნენ ქუთაისში, სამტრედიაში, კახეთის რეგიონში. ბირჟა აპირებდა მიღებული მოგების ნაწილის საბინაო მშენებლობაში ჩადებას, ბინათმშენებლობის დაფინანსებას და განსაზღვრული რაოდენობის ბინების გადაცემას ქალაქის მერიაზე, ხოლო დანარჩენის გაყიდვას. სამწუხაროდ, უძრავი ქონების ბირჟის "უტას" ეს გეგმები არ განხორციელებულა.

1992 წლიდან მოყოლებული საქართველოში არც ერთი სასაქონლო ბირჟა არ გახსნილა. ასეთი სავალალო მდგომარეობის ფონზე იმედის მომცემია თბილისის "მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟის" დაარსება, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა 1996 წლის 17 მაისს. ბირჟის დამფუძნებლები არიან სააქციო საზოგადოება "საქართველოს მთავარი საფონდო ბირჟა" და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მეგაბროკსერვისი".

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს ბირჟების ფორმირებისა და საბირჟო საქმიანობის განვითარების რეალური ეკონომიკური წანამძღვრები. საბითუმო ვაჭრობის საზღვარგარეთულ ფორმათა პირდაპირი გადმონერგვა შეუძლებელია, ვინაიდან იგი ვერ ითვალისწინებს საქართველოს მეურნეობრივი გარემოს თვითმყოფადობას. აღნიშნულის გარდა საქართველო დღეს რეალურად კვლავ ეკონომიკური კრიზისის მდგომარეობაშია. ასეთ პირობებში კი, როგორც ცნობილია, ბირჟები ვერ უზრუნველყოფენ თავის საქმიანობას.

საქართველოში საბირჟო საქმიანობის თანამედროვე ეტაპის თავისებურებაა მისი გარდამავალი ხასიათი, სასაქონლო ბირჟების განვითარება მოითხოვს ბირჟისმაგვარი სტრუქტურებიდან თანამედროვე სრულფასოვან ბირჟებზე გადასვლას, რაც უზრუნ-

ველყოფს საბაზრო ინფრასტრუქტურაში მათ მიერ ოაკისი ფუნ-ქციების ეფექტურ შესრულებას.

სასაქონლო ბირჟების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლე-ბის უმნიშვნელოვანესი გზა საქართველოში არის საბირჟო ვაჭ-რობის ტექნოლოგიის სრულყოფა, რაც გულისხმობს ეფექტია-ნობის ამაღლების შემდეგი შიდა ფაქტორების გამოყენებას:

1. ბირჟების სპეციალიზაცია;
2. საქონლის სტანდარტიზაცია;
3. კონტრაქტების უნიფიკაცია;
4. ფიუჩერსული ვაჭრობის განვითარება;
5. ჰეჯირება /რისკისაგან დაზღვევა/;

<u>სასაქონლო ბირჟების განვითარების ტენდენციები საზღ-ვარგარეთ.</u> დასავლეთის საბირჟო საქმიანობის განვითარებაში, როგორც რიგი მკვლევარები აღნიშნავენ, ძირითადი ტენდენციაა რეალური საქონლიდან ფიუჩერსულ ვაჭრობაზე გადასვლა.

ფიუჩერსული საბირჟო ვაჭრობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ერთ-ერთი დინამიკური სექტორია. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით გაიზარდა ომის შემდგომ პე-რიოდში, რაც აისახა საბირჟო საქონლისა და გარიგებათა სა-შუალო წლიური რაოდენობის გაზრდაში. თუ 1951-55 წლებში ფიუჩერსულ ბირჟაზე გარიგებათა საშუალო წლიური ღირებუ-ლება შეადგენდა მიმდინარე ფასებში 54 მლრდ დოლარს, 1988 წელს იგი გაიზარდა 3 ტრილიონ დოლარამდე.

70-იან წლების შუახანებიდან საზღვარგარეთის სასაქონლო და ფიუჩერსულ ბირჟებზე ხდება ამ უკანასკნელის გაძლიერება. სასაქონლო ბირჟებმაც განიცადეს სერიოზული ცვლილებები, უფრო მეტად ისინი გახდნენ უნივერსალურნი, თუმცა შეინარჩუ-ნეს სპეციალიზაციის გარკვეული დონეც. ყველაზე მსხვილი სა-საქონლო ბირჟა მსოფლიოში არის - "ჩიკაგო ბორდ ოფ თრეი-დი" და, საერთოდაც, საბირჟო ვაჭრობაში ლიდერის როლი აშშ-ს ეკუთვნის. ფიუჩერსული ბირჟების უმეტესობა განლაგებუ-ლია სამ ქვეყანაში: აშშ - ში, იაპონიასა და დიდ ბრიტანეთში. საერთაშორისო სასაქონლო ბირჟების ბრუნვა თანამედროვე ეტაპზე შეადგენს 4,0 ტრილიონ დოლარს წელიწადში, ფიუ-ჩერსულისა - 1,5 ტრილიონ დოლარს.

ფიუჩერსული საბირჟო ვაჭრობის განვითარების მნიშვნე-ლოვანი ტენდენციაა მისი სწრაფი ინტერნაციონალიზაცია.

პრაქტიკულად ყველა ბირჟაზე არის უცხოელი წევრები. ბევრი წამყვანი ბანკი, საბროკერო თუ სავაჭრო ფირმა ერთდროულად სამი-ოთხი და ზოგჯერ მეტი ბირჟის წევრები არიან, მათ შორის სხვა ქვეყანაში. შეკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ გარიგებებზე შემოდის საზღვარგარეთიდან. თვითონ სასაქონლო ბირჟები, რომლებიც მუშაობენ ფიუჩერსული კონტრაქტებით, თავიანთ ბაზრებს უფრო მისაწვდომსა და მიმზიდველს ხდიან უცხოელი მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის. ეს ხდება საზღვარგარეთის სხვადასხვა ფირმებთან კავშირების განმტკიცებით, სამუშაო დღის ხანგრძლივობის გაზრდით, კანტორებისა და წარმომადგენლობის გახსნით ამ ქვეყნებში, საერთაშორისო ხასიათის კონტრაქტების მომზადებით.

თავი III. საფონდო ბირჟა

<u>საფონდო ბირჟის არსი და წარმოშობის ისტორია.</u> თუ ცოტაოდენ ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მე-XVI მე-XVII საუკუნეების ევროპაში, კერძოდ კი, ჰოლანდიაში ფართო გავრცელება პოვა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობამ. ეს იყო პირველი საფონდო ბირჟები, რომელთა ვაჭრობის საგანი სამეფო სესხის ობლიგაციები და კოლონიური კომპანიების აქციები იყო. მე-18 საუკუნიდან ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის აღიარებული ცენტრი ლონდონის ბირჟა გახდა, რომელიც უკვე აღარ ითავსებდა სასაქონლო ვაჭრობის ფუნქციებს და ჩამოყალიბდა როგორც საფონდო ბირჟა.

საფონდო ბირჟა, ეს არის ფასიანი ქაღალდებისა და სხვა საფინანსო ინსტრუმენტების ორგანიზებული, რეგულარულად ფუნქციონირებადი ბაზარი.

საფონდო ბირჟა არის ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის მთავარი საგანია ფასიანი ქაღალდების ნორმალური მიმოქცევისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, მათი საბაზრო ფასის განსაზღვრა, ფასებისა და დადებული გარიგებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა მაღალი პროფესიული დონის შენარჩუნება. საფონდო ბირჟა თავის კლიენტებს აძლევს განსაზღვრულ გარანტიებს /მაგ. ფასიანი ქაღალდების ხარისხსა და უტყუარობასთან მიმართებაში/, სთავაზობს ფართო საანგარიშსწორებო და საინფორმაციო მომსახურებას, აწესრიგებს დადებულ გარიგებებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და ა.შ.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით საფონდო ბირჟა საშუამავლო-საფინანსო დაწესებულებაა მუშაობის რეგლამენტირებული რეჟიმით. საფონდო ბირჟაზე ხორციელდება სავაჭრო გარიგებები საფონდო ფასეულობების მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ოფიციალური წესით დადგენილი საბირჟო შუამავლების მონაწილეობით. ეს წესი დგინდება, როგორც საბირჟო /ბირჟის წესდება/, ისე სახელმწიფო კანონმდებლობით. აღსანიშნავია, რომ საფონდო ბირჟა და მისი პერსონალი არ ახორციელებენ ფასიანი ქაღალდებით გარიგებას, იგი მხოლოდ ქმნის პირობებს მისი განხორციელებისათვის, ემსახურე-

ბა ამ გარიგებების დადებას, აკავშირებს მყიდველებსა და გამ-ყიდველებს, ეწევა საკონსულტაციო და საარბიტრაჟო, აგრეთ-ვე, ტექნიკურ მომსახურებას. მაშასადამე, საფონდო ბირჟა ქმნის ყველა აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ საბოლოოდ მი-ვაღწიოთ ინტერესების შესაბამისობას მყიდველსა და გამყიდ-ველს შორის და მოხდეს გარიგების დადება. ამრიგად, საფონდო ბირჟა – სტანდარტული ფინანსური ინსტრუმენტებით სავაჭრო რეგულარულად ფუნქციონირებადი ორგანიზებული ბაზარია, რომელიც შექმნილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონა-ლი მონაწილეების მიერ.

კლასიკური სახის საფონდო ბირჟას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

ცენტრალიზებული ბაზარი, ფიქსირებული ვაჭრობის ადგილით /სავაჭრო დარბაზი/;

საუკეთესო ფასიანი ქაღალდების შერჩევის პროცედუ-რა, რომელიც გარკვეულ მოთხოვნებს პასუხობს;

ბირჟის წევრების შერჩევის პროცედურა;

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებითი რეგლა-მენტი;

გარიგებების რეგისტრაციისა და მათზე ანგარიშსწო-რების ცენტრალიზაცია;

ოფიციალური კოტირება;

ბირჟის წევრებზე ზედამხედველობა;

საფონდო ბირჟის ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება:

თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია, კონ-ცენტრაცია და დაგროვება ფასიანი ქაღალდების გა-ყიდვის საშუალებით;

ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების მაღალი ლიკვიდურობის უზრუნველყოფა;

საფონდო ბაზარზე არსებული მდგომარეობის ინდექ-საცია.

საფონდო ბაზარი ეროვნულ მეურნეობაში ფულადი სახ-სრების მოძრაობის ორგანიზაციის ფორმაა. იგი ფუნქციონირებს სასესხო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახით.

სამამულო და საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ტერმინოლოგიის თანახმად, საფონდო ბაზარი ესაა ფულის ბაზარს პლიუს კაპიტალის ბაზარი. ფულის ბაზარზე ხორციელდება მოკლევადიანი /ერთ წლამდე/ დაგროვების, ხოლო კაპიტალის ბაზარზე გრძელვადიანი და საშუალოვადიანი /ერთ წელზე მეტი/ დაგროვების მოძრაობა. ფასიანი ქაღალდების ბაზარი არის როგორც ფულის ბაზრის, ასევე კაპიტალის ბაზრის სეგმენტი.

ფასიანი ქაღალდები ყოველთვის ფულადი კაპიტალის, ან სხვა მატერიალური ფასეულობების „სიმბოლოა". ამიტომ ხშირად უწოდებენ „საფონდო ფასეულობას". ამასთან ერთად, ფასიანი ქაღალდი ყოველთვის განსაზღვრული „საფონდო ინსტრუმენტია". მისი მეშვეობით შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს რეალური ფასეულობა, ან უზრუნველყოფილი იქნეს მისი გადასვლა ერთი სუბიექტიდან მეორეზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ბევრი სტიქიურად მიმდინარე პროცესების მარეგულირებელია. ეს, პირველ ყოვლისა, შეეხება კაპიტალის ინვესტირებას. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ხელს უწყობს კაპიტალის ყველაზე მეტად საჭირო მიმართულებით მოძრაობას. ამ მოძრაობის მექანიზმი ცნობილია: იზრდება მოთხოვნა რაიმე საქონელზე /მომსახურებაზე/, შესაბამისად იზრდება მოგება მათი წარმოებიდან. ასეთი დარგისაკენ ისწრაფვიან „თავისუფალი კაპიტალები", რომლებიც ტოვებენ იმ დარგებს, რომელთა საქონელზე მოთხოვნა მცირდება. ამ მექანიზმის მუშაობის უზრუნველმყოფი საშუალებაა ფასიანი ქაღალდები. ისინი ახდენენ დროებით თავისუფალი კაპიტალის აბსორბციას, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი და ყიდვა - გაყიდვის მეშვეობით ეხმარება მას საჭირო მიმართულებით „გადასროლაში". საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამას მივყავართ იქამდე, რომ კაპიტალი განთავსდება იმ წარმოებებში, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებისათვის. ყოველივე ამის შედეგად ჩამოყალიბდება საზოგადოებრივი წარმოების ოპტიმალური სტრუქტურა /არა მხოლოდ კაპიტალის განთავსების მხრივ, არამედ მისი ოპტიმალური სიდიდით ცალკეულ დარგებსა და საწარმოებში/ და იქმნება უდეფიციტო ეკონომიკა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი პროფესიონალები ბროკერებია /შუამავლები გარიგებების დადებისას/, დილერები

/გარიგებაში მონაწილენი თავიანთი კაპიტალით/ და ჯობერები/ ბაზრის კონიუნქტურის სპეციალისტები/. მათთან ერთად ფასიანი ქაღალდების ბაზარს ემსახურებიან ბანკის მომსახურეები, საინვესტიციო ფონდის მომუშავენი, აგრეთვე, სახელმწიფო ჩინოვნიკები და იურისტები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბროკერები წარმოადგენენ სპეციალიზებულ ფირმებს, რომლებსაც აქვთ იურიდიული პირის სტატუსი. დასავლეთის ქვეყნებში ესენი არიან ან კერძო ფირმები, ან სააქციო საზოგადოებები.

საბროკერო ფირმების საქმიანობის სფეროში შედის კონსალტინგი, ფასიანი ქაღალდების განთავსება პირველად და მეორად ბაზრებზე, საინვესტიციო ფონდების შექმნა და მართვა და ა.შ. გარდა ამისა, ბროკერი ფასიანი ქაღალდების ბაზარს უწევს საშუამავლო მომსახურებას საბანკო კრედიტისა და გარიგებების დაზღვევის სფეროში.

ბროკერებისაგან განსხვავებით დილერები გარიგებებში მონაწილეობენ თავიანთი კაპიტალით. ისინი ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

- უზრუნველყოფენ ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მათი კურსისა და საიმედოობის შესახებ;
- მოქმედებენ როგორც აგენტები, ასრულებენ რა კლიენტის დავალებას /ხანდახან დავალება გადაეცემათ ბროკერებისაგან/;
- თვალყურს ადევნებენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგომარეობას, ყიდვა-გაყიდვის აქტივობის დაცემის შემთხვევაში დილერები თავის ანგარიშზე ასრულებენ ოპერაციებს, მათი კურსების სტაბილიზაციის მიზნით;
- იმპულსს აძლევენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას /მოქმედებენ როგორც ბაზრის კატალიზატორები/.

დილერების მოქმედება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბროკერებთან შედარებით მასშტაბურობით გაძოირჩევა. ისინი ფლობენ მნიშვნელოვან კაპიტალს, რომელსაც აფართოებენ საკომისიოსა და ინვესტირებულ კაპიტალზე მოგების მეშვეობით.

ჯობერები, ანუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კონიუნქტურის პრობლემების კონსულტანტები, პირველად გამოჩნდნენ ლონდონის სიტში. მათი საქმიანობა აუცილებელია ბაზრის მასშტაბებისა და სტრუქტურის მუდმივ გაფართოებასთან დაკავშირებით. ჯობერები მხოლოდ ეროვერად კონსულტაციებს არ იძლევიან, ისინი კომპლექსურად წყვეტენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რთულ პრობლემებს.

<u>ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია.</u> ფასიანი ქაღალდების არსის გარკვევა და მის შესახებ ერთიანი აზრის ჩამოყალიბება თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ფასიანი ქაღალდების არსისა და კლასიფიკაციის შესახებ რამდენადმე განსხვავებული თვალსაზრისია ჩამოყალიბებული.

განსხვავების მიუხედავად ყველა ავტორი ეთანხმება აზრს, რომ ფასიანი ქაღალდები უნდა პასუხობდნენ რიგ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთაგან აღსანიშნავია:

ა/ მიმოქცევადობა;

ბ/ ხელმისაწვდომობა სამოქალაქო ბრუნვისადმი;

გ/ სტანდარტულობა და სერიულობა;

დ/ დოკუმენტურობა;

ე/ რეგულარობა და სახელმწიფოს მიერ მათი აღიარება;

ვ/ ლიკვიდურობა;

ზ/ რისკი.

მიმოქცევადობა ესაა ფასიანი ქაღალდის უნარი გაიყიდოს და შეისყიდოს ბაზარზე, აგრეთვე გამოიყენოს როგორც დამოუკიდებელი საგადამხდელო დოკუმენტი, რომელიც აიოლებს სხვა საქონლის მიმოქცევას.

სამოქალაქო ბრუნვისადმი ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მხოლოდ ფასიანი ქაღალდის ყიდვა გაყიდვას, არამედ მის თვისებას, იყოს სხვა სამოქალაქო ურთიერთობების ობიექტი გარიგების ყველა სახის ჩართვით /შენახვა, გასხვისება, დაპატრონება, ნაჩუქრობა და ა.შ/.

სტანდარტულობა გულისხმობს ფასიანი ქაღალდის სტანდარტულ შინაარსს. სწორედ სტანდარტულობა აქცევს მას მიმოქცევის უნარის მქონე საქონლად. სტანდარტულობა დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ისეთ თვისებასთან, როგორიცაა

სერიულობა, ფასიანი ქაღალდების ერთგვაროვან სერიებად გამოშვების შესაძლებლობა.

ფასიანი ქაღალდი ყოველთვის დოკუმენტალურია იმისაგან დამოუკიდებლად, იგი სერთიფიკატის სახით არსებობს, თუ ანგარიშებზე ჩანაწერის ფორმით. დოკუმენტალურობა ფასიან ქაღალდს აძლევს საბოლოო „მატერიალურ“ სახეს.

საფონდო ინსტრუმენტები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ფასიან ქაღალდებზე, აღიარებულნი და ცნობილნი უნდა იყვნენ სახელმწიფოს მიერ, რაც უზრუნველყოფს მათ რეგულარობასა და საზოგადოების მხრიდან ნდობას.

ფასიან ქაღალდებს აუცილებლად უნდა ახასიათებდეს ლიკვიდურობა – სწრაფი გაყიდვისა და ფულად ფორმად გადაქცევის უნარი, მისი მფლობელისთვის რაიმე მნიშვნელოვანი დანაკარგის გარეშე. ფასიანი ქაღალდების შეძენა გარკვეულწილად ყოველთვისაა დაკავშირებული რისკთან, ვინაიდან საფინანსო სფერო, საწარმოო სექტორთან შედარებით, გაცილებით მგრძნობიარეა არახელსაყრელი ფაქტორების მოქმედებისადმი.

(ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს:

1. შემოსავლის მიხედვით;
2. ემიტენტის ხასიათის მიხედვით;
3. მოქმედების ვადისა და ფუნქციონირების ადგილის მიხედვით.)

(შემოსავლის მიხედვით ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყოს სასესხო და საინვესტიციო. სასესხო ფასიანი ქაღალდი გულისხმობს ემიტენტის ვალდებულებას, გადაიხადოს პროცენტი და დაფაროს ძირითადი თანხა შეთანხმებული გრაფიკისა და ვადების მიხედვით. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი მის მფლობელს აძლევს ემიტენტის აქტივების ნაწილზე საკუთრების უფლებას. ეს სერთიფიკატი არის მოწმობა ფირმის კაპიტალის წილზე. სასესხო ფასიან ქაღალდს მიეკუთვნება ყველა სახის ობლიგაცია და თამასუქი ემიტენტისა და მათი არსებობის ხანგრძლივობისაგან დამოუკიდებლად.

საინვესტიციო ფასიან ქაღალდს კი მიეკუთვნება ყველა სახის აქცია.

ფასიანი ქაღალდების ემიტენტი შეიძლება იყოს სახელმწიფო ინსტიტუტები, ხელისუფლების მუნიციპალური ორგანოები, კორპორაციები, საფინანსო ინსტიტუტები, ნებისმიერი უფლე-

ბამოსილი იურიდიული პირი. ამასთან დაკავშირებით ყველა სასესხო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი იყოფა შემდეგ ტიპებად:

სახაზინო ისეთი ფასიანი ქაღალდია, რომლის გამოშვება ხდება ცენტრალური ხელისუფლების სახელით ფინანსთა სამინისტროს მიერ. იგი არის ფასიანი ქაღალდის ერთ-ერთი საიმედო სახე.

- მუნიციპალური და კომერციული ფასიანი ქაღალდები – ადგილობრივი ორგანოებისა და საწარმოების საკუთრებაა. მათი უზრუნველყოფა ხდება ადგილობრივი გადასახადებით, ან კონკრეტულ ფაქტებზე ფედერალური ხელისუფლების დოტაციებით. ამ ტიპის ფასიანი ქაღალდების ყველაზე გავრცელებული სახეა მუნიციპალური და კომუნალური ობლიგაციები.

კორპორაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში საუბარია იმ იურიდიულ პირებზე, რომლებსაც აქვთ ღია ტიპის სააქციო საზოგადოების სტატუსი. ასეთ ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება აქციები და ობლიგაციები.

- ბანკის ფასიანი ქაღალდების რიცხვში შედის დეპოზიტური სერთიფიკატები, ჩეკები, საგირავნო ფურცლები და ბანკის სხვა სასესხო ვალდებულებები.

- მეწარმეთა ფასიანი ქაღალდები – ეს არის კომერციული დოკუმენტები, ფიუჩერსული კონტრაქტები და სხვა.)

ფასიანი ქაღალდების სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქციები და ობლიგაციები.

აქცია – ფასიანი ქაღალდის განსაკუთრებული სახეა. იგი განსაზღვრავს მფლობელის მიერ საპაიო შენატანის თანხას და მასთან ერთად მის უფლებამოსილებას. პიროვნება აქციებს იძენს დამატებითი შემოსავლების მისაღებად. ანაბრებისაგან განსხვავებით, აქციების შემოსავლის სიდიდე წინასწარ ცნობილი არ არის. იგი დამოკიდებულია იმ საწარმოების /დაწესებულებების/ მოგების სიდიდეზე, სადაც დაბანდებულია ეს თანხა. აქცია იმის დამადასტურებელია, რომ კრედიტორის მიერ მისი ღირებულება შეტანილია სააქციო საზოგადოების კაპიტალში და მისი მფლობელი მიიღებს მოგების ნაწილს დივიდენდის სახით. რამდენადაც აქციების შემოსავალი მერყეევია მისი მფლობელი მუდმივ რისკს

ეწევა. თუმცა, ასეთი რისკი მეტწილად კომპენსირდება მაღალი დივიდენდებით. აქციონერების მიერ შეტანილი თანხა გადაიქცევა წარმოების პროცესში დაბანდებული კაპიტალის ნაწილად, რის გამოც აქციონერს მისი გატანა ნებისმიერ მომენტში არ შეუძლია. აქციის მფლობელი იღებს უფლებას არა წარმოების ქონების ნაწილზე, არამედ მისი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების წილზე. აქციის მფლობელს შეტანილი თანხის დაბრუნება შეუძლია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ანუ ბირჟაზე შესაბამისი აქციების გაყიდვით.

სამეურნეო პრაქტიკაში რამდენიმე სახის აქციაა გავრცელებული:

- სახელობითი, ანუ ჩვეულებრივი აქცია – მისი შეძენა შეიძლება სააქციო საზოგადოებაში როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიერ. სახელობითი აქციების მფლობელები და აქციების რაოდენობა საჯაროდ ცნობილია. სახელობითი აქციის მფლობელი სააქციო საზოგადოების თანამესაკუთრეა და მართვაში მონაწილეობის უფლებაც აქვს. ცხადია, აქციონერი გარანტირებული არაა მტკიცე შემოსავლით. მას შეუძლია პრეტენზია განაცხადოს სააქციო საზოგადოების მოგების იმ ნაწილზე, რომელიც ყველა სახის გადასახადებისა და ხარჯების დაფარვის შემდეგ რჩება.

- უსახელო, ანუ ანონიმური აქცია – მისი შეძენა შეუძლია ყველას. აქციონერებზე რიცხული აქციების რაოდენობა უცნობია.

პრივილეგირებული აქცია – აქციის და ობლიგაციის ერთგვარი ჰიბრიდია. მის მფლობელს წინასწარ გარანტირებული აქვს შემოსავლის სიდიდე ფიქსირებული დივიდენდის სახით, მაგრამ კარგავს ხმის უფლებას სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობასა და საერთო კრებაზე. იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოებამ წლის განმავლობაში ვერ მიიღო მოგება, მაშინ პრივილეგირებული აქციის მფლობელიც ვერ მიიღებს მოგებას და იგი გადავა მომავალი წლისათვის. ასეთ შემთხვევაში აქციის მფლობელები კომპენსაციის სახით იღებენ საზოგადოების მართვის პროცესში მონაწილეობის უფლებას. დივიდენდებს კი მიიღებენ ერთად ორი წლის შედეგების მიხედვით.

კუმულაციური აქციის მფლობელი შემოსავალს იღებს არა ყოველი წლის შედეგების მიხედვით, არამედ რამდენიმე

წელში ერთხელ. ბუნებრივია, ასეთი აქციის შეძენა მეტი რისკით ხასიათდება, მაგრამ ეგი კომპენსირებულია გადიდებული შემოსავლით.

- კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები პრივილეგირებულ აქციათა სახესხვაობაა. მათი გაცვლა შეიძლება ჩვეულებრივ აქციაზე. ასეთი აქციების გამოშვების ძირითადი მიზანია დამატებითი ინვესტორების მოზიდვა.

(<u>საფონდო ბირჟის ტიპები და ფორმები</u>. სამართლებრივი სტატუსის თვალსაზრისით მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს სამი ტიპის საფონდო ბირჟა:

1. საჯარო უფლების;
2. კერძო;
3. შერეული.

საფონდო ბირჟას, როგორც საჯარო უფლების ორგანიზაციას სახელმწიფო მუდმივად აკონტროლებს. სახელმწიფო მონაწილეობს საბირჟო ვაჭრობის წესების დადგენაში და აკონტროლებს მათ შესრულებას, უზრუნველყოფს ბირჟაზე წესრიგს ვაჭრობის დროს. საჯარო უფლების ტიპის საფონდო ბირჟები გავრცელებულია, მაგალითად, გერმანიაში და საფრანგეთში.

საფონდო ბირჟები, როგორც კერძო კომპანიები, იქმნება სააქციო საზოგადოებების სახით. ასეთი ბირჟები აბსოლუტურად დამოუკიდებელია საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაციაში. ყველა გარიგება ბირჟაზე ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, რომლის დარღვევა განაპირობებს განსაზღვრულ სახელმწიფო პასუხისმგებლობას. სახელმწიფო არავითარ გარანტიას არ იღებს თავის თავზე საბირჟო ვაჭრობის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად და საგაჭრო გარიგებების რისკის შესამცირებლად. კერძო ბირჟები დამახასიათებელია ინგლისისა და აშშ - სათვის.

თუ საფონდო ბირჟები იქმნება როგორც სააქციო საზოგადოებები, მაგრამ ამასთან მათი კაპიტალის არანაკლებ 50%-ისა ეკუთვნის სახელმწიფოს, ასეთი ბირჟები მიეკუთვნება შერეული ტიპის ორგანიზაციებს. მათ სათავეში უდგას არჩევითი საბირჟო ორგანოები. ასეთი ბირჟები დამახასიათებელია ავსტრიის, შვეიცარიისათვის.)

თანამედროვე პირობებში მსოფლიოში ითვლიან ორასამდე საფონდო ბირჟას. რიგ ქვეყნებში არსებობს ეროვნული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ბირჟების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს საბირჟო სისტემის ფუნქციონირების ხასიათს მთლიანად ქვეყანაში და ყოველი კონკრეტული ბირჟის ადგილს.

აშშ ში საბირჟო ვაჭრობის განვითარებამ განაპირობა თავისებური საბირჟო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ცალსახად არ მიეკუთვნება არც პოლიცენტრისტულ და არც მონოცენტრისტულ სისტემას.* ამ ქვეყანაში ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის უსიტყვო ბატონობის პირობებში რეგიონალური საფონდო ინსტიტუტები კი არ გადაიქცნენ მის დანამატად, არამედ შეინარჩუნეს თავისი დამოუკიდებლობა და მტკიცედ ფუნქციონირებენ საერთო სახელმწიფო საბირჟო სისტემის ფარგლებში.

<u>საფონდო ბირჟის ფუნქციები და საქმიანობა.</u> საფონდო ბირჟის ძირითადი ფუნქციებია:

1. თავისუფალი ფულადი კაპიტალის მობილიზაცია და კონკურენცია, მისი დაგროვება ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გზით;
2. სახელმწიფო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების დაკრედიტება და დაფინანსება მათი ფასიანი ქაღალდების შესყიდვის საშუალებით;
3. ფასიან ქაღალდებში დაბანდების ლიკვიდურობის მაღალი დონის უზრუნველყოფა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბირჟის საქმიანობის ძირითადი მიზანია ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, სიცოცხლისუნარიანი სავაჭრო მექანიზმის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ბირჟის საქმიანობის საგანია:

---

* მონოცენტრისტული ეწოდება ერთი მსხვილი ბირჟის დომინირებას, ხოლო პოლიცენტრისტული ისეთ საბირჟო სისტემას, რომლის დროსაც მთავარი ბირჟის გარდა მოქმედებენ სხვა ბირჟებიც. პირველი სისტემა გავრცელებულია: იაპონიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ხოლო მეორე – გერმანიაში, კანადაში, ავსტრალიაში.

ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება;

ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობის ორგანიზება საბირჟო წესებისა და პროცედურების შესაბამისად;

საბირჟო ვაჭრობის შედეგების შესახებ და საფონდო ბაზართან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება;

კანონით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა: ბირჟა შეიძლება ჩართული იყოს მხოლოდ საფონდო ბირჟის საქმიანობაში.

კაპიტალის მოზიდვა არის ფასიანი ქაღალდების ბირჟის ძირითადი ფუნქცია. საბროკერო კომპანიები მოქმედებენ როგორც შუამავლები.

ბროკერი მხოლოდ შუამავალია, თუმცა სიტყვა „შუამავალი“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სიტყვა „ბროკერი“. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ფაქტობრივად წაიშალა ზღვარი დილერსა /აქ დილერს ჯობერს უწოდებენ/ და ბროკერს შორის. ბირჟის ყველა წევრს შეუძლია როგორც შუამავლობა, ისე თავის სასარგებლოდ ვაჭრობა.

ბირჟის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების მოპოვებას ბირჟაზე ადგილის ყიდვას უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ ბირჟის წევრი ნამდვილად იღებს ადგილს დარბაზში. დილერის, ან ბროკერის ადგილს უწოდებენ სტენდს. იგი ხშირად გამოიყენება როგორც მცირე კაბინა, რომელიც აღჭურვილია კავშირგაბმულობის საშუალებებით.

ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭრო ბრუნვაში დასაშვებად აუცილებელია ნებართვის მიღება. საბირჟო სიაში ფასიანი ქაღალდების შეტანის უფლების მოპოვების ოპერაციას ლისტინგს, ანუ ინტროდუქციას უწოდებენ.

საფონდო ბირჟაზე ვაჭრობაში ფასიანი ქაღალდების დაშვების წესი /ლისტინგი/, აგრეთვე, მათი ვაჭრობიდან მოხსნის წესი /დელისტინგი/ უნდა დადგინდეს ბირჟის ძიერ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. ამ უკანასკნელს უფლება აქვს დაადგინოს მინიმალური მოთხოვნები ემიტენტებისადმი და მათი ფასიანი ქაღალდებისადმი, სანამ ეს ქაღალდები დაიშვებიან საფონდო ბირჟაზე კოტირებისათვის.

ლისტინგის ძირითადი ამოცანაა კომპანია ემიტენტის მენეჯმენტისა და ფინანსური მდგომარეობის შემოწმება, რომელიც ტარდება აუდიტის პრინციპებზე.

ბირჟაზე შემოსული ყველა ფასიანი ქაღალდი არის საბირჟო ოპერაციების ობიექტი. საბირჟო ოპერაცია არის ბირჟის წევრებსა და მუდმივ დამსწრეებს შორის ფასიან ქაღალდებზე დადებული გარიგება, რომელიც ფორმდება წერილობით და რეგისტრირდება საფონდო ბირჟის სარეგისტრაციო ჟურნალში. ფასიანი ქაღალდების ოპერაციის კლასიფიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია გარიგების ვადა. ამასთან დაკავშირებით განასხვავებენ საკასო და ვადიან გარიგებებს. საკასო ოპერაციების დროს ანგარიშსწორება ხორციელდება დაუყოვნებლივ ან უახლოეს საბირჟო ან კალენდარულ დღეს /გერმანიაში ანგარიშსწორება ხორციელდება ორი დღის ფარგლებში, აშშ – ში, დიდ ბრიტანეთსა და შვეიცარიაში ხუთ დღეში და ა.შ./.

ვადიანი ოპერაცია უნდა შესრულდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

საფონდო ბირჟის ცენტრი მისი სავაჭრო დარბაზია, აქ იმყოფება ბირჟის თანამშრომელთა უმრავლესობა. მათგან ყველა დაკავებულია თავისი საქმით და დაძაბულად მუშაობს: იღებენ კლიენტების შეკვეთას, თვალყურს ადევნებენ ელექტროტაბლოზე გამოტანილ ინფორმაციას, აწყობენ შეხვედრებს გარიგების დასადებად, ამის შესახებ ინფორმაციას აწვდიან სავაჭრო დარბაზის ადმინისტრაციას. მსოფლიოს უმსხვილესს საფონდო ბირჟაზე მიმდინარეობს მილიონობით გარიგებების დადება ერთი დღის განმავლობაში. ასეთს მიეკუთვნება, მაგალითად, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა. მისი სავაჭრო დარბაზი შედგება გასასვლელებით დაკავშირებული რამდენიმე შენობისაგან, სადაც ხორციელდება სხვადასხვა ოპერაციები.

ვაჭრობა საბირჟო დარბაზში მიმდინარეობს აუქციონის პრინციპით, წამოძახილების სახით. ფასიანი ქაღალდების კურსი განისაზღვრება მოთხოვნა - მიწოდების შესაბამისად. მონაწილეები ვაჭრობის პროცესში იყენებენ თავიანთ პირობით ენას /მისი ძირითადი ნიშან-თვისებაა ჯერადობა/, ჟესტებს; მათი ქცევა მუდმივად უნდა იყოს შეჯერებული ელექტრონულ ტაბლოზე წარმოდგენილ ფასიანი ქაღალდების კურსებთან და სხვა ინფორმაციასთან, რომელიც შემოდის დარბაზში.

ბირჟა ახდენს ფასიანი ქაღალდების ყიდვა - გაყიდვაზე მოთხოვნისა და მიწოდების კონცენტრაციას, განსაზღვრავს თანაფარდობას მიმდინარე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რომლის შედეგადაც გამოვლინდება ფასი, როგორც წონასწორობის დროებითი და შეფარდებითი გამოხატულება, მაგრამ საკმაოდ საკმარისი ამა თუ იმ გარიგების განსახორციელებლად.

ფასს, რომლის მიხედვითაც იდება გარიგებები და ფასიანი ქაღალდები გადადის ხელიდან ხელში, ეწოდება კურსი. საბირჟო კურსი გამოიყენება, როგორც ორიენტირი, გარიგებების დადებისას საბირჟო და ბირჟის გარეშე ბრუნვაში.

<u>საკალუტო ბაზარი.</u> ვალუტა არის თავისებური საქონელი; იგი მიმოიქცევა საფონდო ბირჟის სპეციალურ სეგმენტში, რომელსაც საკალუტო ბაზარი ეწოდება. ეს უკანასკნელი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სისტემაა. საკალუტო ბაზრის მთავარი მონაწილეები არიან მსხვილი კომერციული ბანკები, საბანკო სახლები, საბროკერო ფირმები და მსხვილი კორპორაციები. საკალუტო ბაზარზე განხორციელებულ საკალუტო გარიგებათა 85-95% მოდის ბანკებსა და საბროკერო ფირმებზე, რაც საფუძველს იძლევა, რომ საკალუტო ბაზარი დახასიათდეს როგორც ბანკთაშორისი დაწესებულება.

საკალუტო ოპერაციების ხასიათის, მოცულობისა და გამოყენებული ვალუტის ნაკრების მიხედვით საკალუტო ბაზრები იყოფიან: საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ /ადგილობრივ/ ბაზრებად.

ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელია ეროვნული, ანუ ადგილობრივი საკალუტო ბაზარი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო მონაწილეობას არ იღებს საერთაშორისო ან რეგიონულ საკალუტო ბაზრებზე.

ეროვნული საკალუტო ბაზარი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის შეზღუდული რაოდენობით ყიდვა-გაყიდვის მხრივ განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩამოყალიბებული ურთიერთობებია. აღნიშნულ ოპერაციებს /ყიდვა-გაყიდვა/ თავიანთი კლიენტებისათვის, როგორც წესი, ახორციელებენ ბანკებში. ასეთ კლიენტებს შორის არიან სამრეწველო საწარმოები, საალიცო საზოგადოებები, კერძო პირები, ბანკები, რომლებიც არ არიან

სპეციალიზირებულნი საერთაშორისო სავალუტო ოპერაციების წარმოებაზე. გარდა ამისა, ეროვნული სავალუტო ბაზრის ოპერაციებს მიეკუთვნება ცალკეული კომპანიების მიერ ერომანეთის შორის წარმოებული სავალუტო გარიგებები, კერძო პირებს შორის ოპერაციები, აგრეთვე სავალუტო ბირჟაზე დადებული გარიგებები.

სავალუტო გარიგების მეორე სახეა ვადიანი, ანუ ფორვარდული გარიგება. ასეთი გარიგებების აუცილებლობა გამოწვეულია მის მონაწილეთა მისწრაფებით, რათა დაადგინონ ის კურსი, რომლის მიხედვითაც მომავალში განხორციელდება სავალუტო გარიგების ანგარიშსწორება.

ფორვარდული სავალუტო გარიგების არსი ისაა, რომ გამყიდველი იღებს თავის თავზე ვალდებულებას, განსაზღვრულ ვადაში /ერთი წლის ფარგლებში/ გადასცეს მყიდველს ვალუტა, ხოლო მყიდველი ვალდებულია მიიღოს იგი და აანაზღაუროს გარიგების პირობების შესაბამისად.

ფორვარდული გარიგების დროს დგინდება კურსი, რომლის მიხედვითაც ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მომავალში. ის ატარებს ვადიანი /ფორვარდული/ კურსის სახელწოდებას. მას საფუძვლად უდევს საკასო გარიგების კურსი, რომელიც ყალიბდება ფორვარდული გარიგების დადების მომენტში, აგრეთვე დამატებები /რეპორტი, აჟიო/ ან ფასდაკლება/ დეპორტი, დიზაჟიო/.

ფორვარდული სავალუტო გარიგების გამოყენება მომგებიანია როგორც იმპორტიორისათვის, ისე ექსპორტიორისათვის.

<u>ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოში.</u> საქართველოში პირველი ბირჟების შექმნა მე-20 საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ძალისხმევა, სამწუხაროდ, ბირჟების დაფუძნების საქმეს არ გასცილებია. იმ პერიოდის საქართველოსა და მსგავსს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისათვის ბირჟების შექმნა ძირითადად უკავშირდებოდა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მიბაძვის სურვილს და არა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ისეთი განვითარების დონეს, რომელიც ბირჟის ფუნქციონირების დაწყებას ლოგიკურად აუცილებელს გახდიდა.

საბირჟო საქმიანობის მეორე გამოცოცხლება საქართველოში მე-20 საუკუნის 90-იან წლებზე მოდის და თავის მხრივ ორი ეტაპისაგან შედგებოდა. პირველი ეტაპი /1991-1993 წლები/ შეიძლება დახასიათდეს, როგორც ნამდვილი „საბირჟო ბუმი“ და უკავშირდება საქართველოში და მთელ პოსტ-საბჭოურ სივრცეში კერძო მეწარმეობის გაჩენასა და განვითარებას. მეორე ეტაპი /1995-2000 წლები/ დაკავშირებულია საქართველოში მასიური პრივატიზაციის პროცესთან და ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველი ელემენტის გაჩენასთან. ეს ეტაპი ფაქტობრივად დასრულდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებით.

პირველი ბირჟების შექმნის ინიციატივა საქართველოში ხელში აიღეს საშუამავლო და საბანკო ბიზნესში დაწინაურებულმა სამეწარმეო ჯგუფებმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში საბირჟო საქმიანობამ, როგორც სიახლემ, ძალიან სწრაფად გაიკვლია გზა და სწორედ ამიტომ, პირველი რუსული ბირჟების შემდგომ /როგორიც იყო მაგ. „მოსკოვის სასაქონლო სანედლეულო ბირჟა“/ კვლავ არსებული საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მესამე ბირჟა სწორედ საქართველოში დაფუძნდა – „კავკასიის ბირჟის“ სახით.

განვითარებულ ქვეყნებში ბირჟების დაფუძნებასთან არსებული თანმიმდევრობა საქართველოში დაირღვა: ჯერ დაფუძნდა ბირჟა და შემდგომ მაგ. „კავკასიის ბირჟის“ აქციონერთაგან დაიწყო საბროკერო ფირმების ჩამოყალიბება. ბირჟის იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების შედეგად შესაძლებელი გახდა 400-ზე მეტი საბროკერო ფირმის ორგანიზება, რომელთა აქტიურმა ოპერაციებმა „კავკასიის ბირჟაზე“ განაპირობეს მისი ვაჭრობების ინტენსიური ხასიათი.

1992 წელს სასაქონლო სექციის პარალელურად „კავკასიის ბირჟაზე“ საფონდო სექცია ამოქმედდა. პრივატიზაციის სფეროში აბსოლუტურ უძრაობის პირობებში „კავკასიის ბირჟის“ საფონდო ვაჭრობები გადაიქცა სააქციო საზოგადოებების აქციების, სხვადასხვა ორგანიზაციათა ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების პირველ ორგანიზებულ ბაზრად საქართველოში. „კავკასიის ბირჟის“ საფონდო ვაჭრობებზე კოტირდებოდა: „კავკასიის ბანკის“, „იბერია ბანკის“, „ივერთბანკის“, ბანკი „ქართლის“, კონცერნ „ჰერმესის“, ს/ს „ნაშე ვრემიას“, ს/ს „როსიისკიე სპლავის“ და სხვათა აქციები.

1992 წლის შემოდგომაზე „კავკასიის ბირჟის“ საფონდო სექციაში დაიწყო „ნაღდი“ ფულით საბირჟო ვაჭრობა, რამაც მოკლე ხანში დაადგინა მასზე რეალური ფასი, და სხვაობა „ნაღდ“ და „უნაღდო“ ფულს შორის 25-30% -ზდე შემცირდა. აღნიშნული ოპერაციები არ იყო თავისი ხასიათით საბირჟო ვაჭრობის საგანი, მაგრამ მათმა ლეგალიზებამ გამოაცოცხლა ანგარიშსწორების სისტემა და ფაქტობრივად საფუძველი მოუშალა კორუფციას ამ სფეროში. „ნაღდ“ ფულთან ოპერაციები „კავკასიის ბირჟაზე“ შეწყდა 1992 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე.

„კავკასიის ბირჟის“ საფონდო სექციაზე 1992 წელს აგრეთვე მიმდინარეობდა საკრედიტო რესურსებითა და უცხოური ვალუტით საბირჟო ვაჭრობა. საკრედიტო რესურსებით ვაჭრობამ, მიუხედავად ვაჭრობის წესებში ჩამოყალიბებული მკაცრი მოთხოვნებისა, ვერ მოიკიდა ფეხი კრედიტის დაბრუნების დაბალი გარანტირებულობის პირობებში. რაც შეეხება უცხოური ვალუტით საბირჟო ვაჭრობას, მან 1992-1993 წლებში ფართო გავრცელება პოვა „კავკასიის ბირჟის“ საფონდო სექციაში, რამაც იგი ფაქტობრივად აქცია საქართველოში უცხოური ვალუტის რეალური კოტირების ცენტრად.

ამავე დროს ათასობით საჯარო ოპერაციები საგრძნობ შემოსავალს აძლევდა სახელმწიფო ბიუჯეტს. მაგრამ, სამწუხაროდ 1994 წლის დამდეგისათვის საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა შესაძლებელი არ გახადეს საბირჟო საქმიანობის შემდგომი განვითარება.

„კავკასიის ბირჟაზე“ მუშაობას განაგრძობდა მხოლოდ სასაქონლო სექცია. სავალუტო სექციამ ფუნქციონირება შეწყვიტა ბირჟისათვის სავალუტო ლიცენზიის ჩამორთმევის შედეგად, ხოლო საფონდო სექცია ვეღარ ვითარდებოდა ფასიანი ქაღალდების ისედაც მწირი ბაზრის კიდევ უფრო შემცირების გამო.

პირველმა მიღწეულმა წარმატებებმა საქართველოში ბირჟების შექმნის ბუმი გამოიწვია. „თბილისის უნივერსალური ბირჟა“, „საქართველოს ბირჟა“, „აგრობირჟა“, „უძრავი ქონების ბირჟა“, „საქართველოს უნივერსალური ბირჟა“ და ა.შ. მხოლოდ იმისი მცირედი ჩამონათვალია, რომლებიც 1991-1992 წლებში ფუნქციონირებდნენ.

კონკურენციამ და კლიენტურის სიმცირემ, სახელმწიფოს მხრიდან გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ და ბირჟების ფუნქციონირების სურვილმა (გარდაიქმნებოდნენ არამომგებიან, უდივიდენდო ორგანიზაციებად) გამოიწვია თითქმის ყველა მათგანის დახურვა, ან მოქმედების სფეროს შეცვლა. გადარჩენილი და სიცოცხლისუნარიანი „კავკასიის ბირჟა“ კი არაკეთილმოსურნეთა აქტიური ზემოქმედების შედეგად გამოცხადდა არსებული ეკონომიკური ანარქიის საწყისად და იძულებით მოხდა მისი ფუნქციონირების შეწყვეტა. ბირჟაზე მოქმედი კვალიფიციური კადრების ნაწილი რუსეთის საფონდო ბაზარს შეეკედლა, ნაწილი კი შავი ბაზრის დიდ არმიას შეუერთდა.

საქართველოში საბირჟო საქმიანობის მეორე ეტაპი უკავშირდებოდა ხელისუფლების მიერ ეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებებისა და პრივატიზაციის პროცესის დაწყებას. ამ ეტაპზე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით განხორციელდა ინფლაციის მოთოკვა, ახალი ქართული ვალუტის – ლარის შემოღება და სხვა ღონისძიებები; მათ შორის დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების - საპრივატიზაციო ბარათის /ვაუჩერის/ მიმოქცევაში გაშვება. გამოჩნდნენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველი პროფესიონალი მონაწილეები, პრივატიზაციის სპეციალიზირებული საინვესტიციო ფონდების სახით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცდა ფასიანი ქაღალდების ორგანიზაციული ბაზრის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები. საპრივატიზაციო აუქციონის შედეგად, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ საპრივატიზაციო ბარათებით (ვაუჩერებით), განხორციელდა ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოს პრივატიზება და ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად „საქართველოს კონსტიტუციის“, „მეწარმეთა შესახებ კანონის“ და ა.შ. მიღებამ შექმნა პირობები საქართველოში ორგანიზაციული საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებისათვის. ამ პერიოდს ემთხვევა ისეთი ბირჟების შექმნა, როგორებიცაა: „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბირჟა“ „თბილისის საფონდო ბირჟა“ და „საქართველოს მთავარი საფონდო ბირჟა“. საქმიანობას განაგრძობს „კავკასიის ბირჟაც“.

საბირჟო საქმიანობის განვითარების პირველი ეტაპისაგან განსხვავებით, საგრძნობლად შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება ბირჟებისადმი, რაც გამოიხატა საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაციის ღონისძიებათა განმსაზღვრელ დადგენილებებში და კონკრეტული ბირჟების მხარდაჭერაში. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს წინადადებით „საქართველოს მთავარ საფონდო ბირჟაზე" მომზადდა ხორბლით ვაჭრობისა და აუქციონების პროექტი, რის შედეგადაც აღნიშნული ბირჟა გარდაიქმნა „მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟად". ხელისუფლების ინტერესის ზრდას საბირჟო საქმიანობისადმი საკანონმდებლო სფეროში აშკარა გამოცოცხლებაც ადასტურებს.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამებმა თანდათანობით თავიანთი მისია ამოწურეს საქართველოში და ისინი თანდათანობით ადგილს უთმობენ ეკონომიკური რეფორმების პრაქტიკული განხორციელების პროგრამებს. შესაბამისად იცვლება ეკონომიკური ორიენტირები და ინფორმაცია. 1997 წლის 1 აპრილს დაიწყო „ტასისის" ერთწლიანი პროგრამა „დახმარება ფინანსთა სამინისტროსადმი ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებაში". 1997 წლის 18 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ გამოაცხადა 2 წლიანი პროგრამის დაწყება საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით დაბოლოს, 1998 წლის 2 აპრილს მსოფლიო ბანკმა დაიწყო საქართველოში ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროგრამის განხორციელება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 იანვარს №21 განკარგულების შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი „საფონდო ბირჟისა და საბირჟო ვაჭრობის" შესახებ, ხოლო ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟის ინსპექციამ - „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ". თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში საბირჟო ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შექმნის მოთხოვნა ჯერ კიდევ 1991 წლიდან არსებობს, ორივე ზემოთ ხსენებული პროექტის ასეთი სასწრაფო წესით მომზადება აშკარად ხელისუფლების მიერ საბირჟო ვაჭ-

რობისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორგანიზაციის საკითხებისადმი განსაკუთრებული პრიორიტეტების მინიჭების მანიშნებელია.

ყოველივე ამის შემდეგ, საქართველოში ახალი საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში ჩამოყალიბდა ის ინსტიტუტები, რომლებიც აუცილებელია ფინანსური ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის: ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო – საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია; საქართველოს საფონდო ბირჟა; საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები; საბროკერო კომპანიები. ყველა ეს ინსტიტუტი შეიქმნა და ფუნქციონირებას შეუდგა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, თუმცა ამას წინ უძღოდა დაძაბული საკანონმდებლო და ორგანიზაციული მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად.

„საქართველოს საფონდო ბირჟა" დაარსდა სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ბირჟის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 50 000 /ორმოცდაათი ათას/ ლარს. საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 50 /ორმოცდაათ/ ცალ აქციად, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება 1000 /ათასი/ ლარია.

„საქართველოს საფონდო ბირჟის" ლიცენზია გაიცა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ 2000 წლის 14 იანვარს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" და „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ. გაცემული ლიცენზიის საფუძველზე „საქართველოს საფონდო ბირჟას" ენიჭება საქართველოში ფასიანი ქაღალდებით მეორადი საჯარო ვაჭრობის ორგანიზების უფლება. ამასთანავე, ლიცენზირებული საფონდო ბირჟა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", საქართველოს კანონის მიხედვით აღიარებულია თვითრეგულირებად ორგანიზაციად. ეს იმას ნიშნავს, რომ ბირჟას შემუშავებული აქვს თავისი წესები და შინაგანაწესი, რომლითაც არეგულირებს ბირჟის წევრ აქციონერთა საქმიანობას. კომისიის მიერ დადასტურებული თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესები არ შეიძლება შეიცვალოს და გაუქმდეს კომისიის წინასწარი ნებართვის გარეშე, ასევე მას არ შეუძლია დაამტკიცოს ახალი წე-

სი კომისიის თანხმობის გარეშე. თვითრეგულირებადი ორგანიზაცია ნებისმიერი ახალი წესის, ან არსებული წესის ცვლილების პროექტს აცნობს კომისიას.

„საქართველოს საფონდო ბირჟა" არის საშუამავლო არაკომერციული ორგანიზაცია. სხვა სააქციო საზოგადოებებისგან განსხვავებით, საფონდო ბირჟის აქციის ფლობა არ იძლევა დივიდენდის მიღების უფლებას, სამაგიეროდ ბირჟის აქციის ფლობა იძლევა ბირჟის სავაჭრო სისტემაში ჩართვის და საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებას. ბირჟის მესაკუთრე წევრებისათვის დადგენილია საწევრო შესატანები და სხვა გადასახდელები, რომლებიც გამოიყენება ბირჟის სავაჭრო სისტემის ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე, ბირჟის შემდგომი განვითარებისათვის.

საფონდო ბირჟის მესაკუთრე – წევრები შეიძლება გახდნენ მხოლოდ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიები. საბროკერო კომპანიის ლიცენზირება ხდება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. დღეს საქართველოში ლიცენზირებულია 30-ზე მეტი საბროკერო კომპანია. ბანკებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მათი შვილობილი საბროკერო კომპანიის მეშვეობით.

საფონდო ბირჟის მესაკუთრე – წევრის მიერ ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით გარიგების დადებისას, სისტემა ავტომატურად ადგენს ანგარიშს გარიგების შესახებ, რომელიც ბირჟის მიერ აღირიცხება მარეგულირებელი მიზნებისათვის და ვრცელდება საჯაროდ ბაზრის მონაცემების სახით. საბირჟო ვაჭრობის შედეგების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ვრცელდება ბირჟის მიერ დადგენილი წესით. „საქართველოს საფონდო ბირჟის" მიერ ოფიციალური ინფორმაციის საჯარო გავრცელების სხვა წესის შემუშავებამდე, დადებული გარიგებების, სრული დღიური ბრუნვისა და ფასების შესახებ ინფორმაცია მისი შემდგომი გავრცელების მიზნით მიეწოდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კონტრაქტორ ორგანიზაციას.

სავაჭრო სესიის დამთავრების შემდეგ, ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით, ვაჭრობის მონაწილეებს მიეწო-

დებათ ანგარიში მათ მიერ დადებული გარიგებების შესახებ, რომელიც შემდგომ საფუძვლად ედება ცენტრალურ კლირინგსა და ანგარიშსწორებას. „საქართველოს საფონდო ბირჟის“ მიერ დაფუძნებულია „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“, რომელიც ხელს უწყობს ბირჟაზე დადებული გარიგებების სწრაფ და საიმედო კლირინგსა და ანგარიშსწორებას. აშკამად საქართველოში არსებობს ერთი ცენტრალური დეპოზიტარი - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, რომელიც საქართველოს საფონდო ბირჟის 100%-იან შვილობილ საწარმოს წარმოადგენს. მისი წევრები არიან ბანკები, საინვესტიციო კომპანიები და პრაქტიკულად ყველა ლიცენზირებული საბროკერო კომპანია. ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ცენტრალური დეპოზიტარის კლირინგის და ანგარიშსწორების სისტემებს შორის ელექტრონული კავშირი საშუალებას იძლევა ვაჭრობა განახორციელოს სისტემით T + 1, რაც იმას ნიშნავს, რომ ანგარიშსწორება მოხდება ბირჟაზე გარიგების დადების მეორე დღეს.

„საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ვაჭრობის დაწყების დღიდან მატულობს ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდების რიცხვი. 2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია 269 ემიტენტის ფასიანი ქაღალდები.

ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების რიცხვის ზრდამ განაპირობა სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგების რაოდენობისა და ვაჭრობის მოცულობის ზრდა. სულ 2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბირჟაზე დაიდო 601 გარიგება, 5 892 325 ლარის ღირებულებით 4 354 640 ფასიან ქაღალდზე. ხოლო ვაჭრობის მოცულობამ პიკს მიაღწია 2000 წლის დეკემბერში და შეადგინა 2291737 ლარი.

თუ განვიხილავთ დადებული გარიგებების საერთო მოცულობაში ღირებულებას და გაყიდული აქციების რაოდენობას ცალკეული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მიხედვით, ვნახავთ, რომ დილერები არიან „გაერთიანებული ქართული ბანკი“ /76,4%/ და „საქართველოს ბანკი“ /13%/, შედარებისათვის: უნივერმაღი „თბილისი“ /0,42%/, „საქქალაქმშენპროექტი“ /0,65%/, „ელექტროტექნიკური ქარხანა“ /0,49%/, „თემქაპური“ /1,02%/,

დანარჩენი /1,71%/, ხოლო დადებული გარიგების რაოდენობის მიხედვით ლიდერობენ „ინდუსტრია ინვესტი“ /24%/, და „საქქალაქმშენპროექტი“ /23%/. შედარებისათვის: გქბ /6%/, „თემქაპური“ /6%/, „თბილხელსაწყო“ /5%/, „საქართველოს ბანკი“ /13%/, უნივერმაღი „თბილისი“ /5%/, „ტრანსმშენი“ /13%/, დანარჩენი /16%/.

„საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ დაფუძნდა 1999 წლის ნოემბერში. 2000 წლის 1 მარტს ფასიანი ქაღალდების ეროვნულმა კომისიამ გასცა ლიცენზია ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობაზე და აღიარა ის თვითრეგულირებად ორგანიზაციად.

ცენტრალური დეპოზიტარი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არის პირი, რომელიც ნორმალური მფლობელის დავალებით უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ კლირინგსა და ანგარიშსწორებას, ან ეწევა კომისიის წესებით განსაზღვრულ სხვა მომსახურებას. ცენტრალური დეპოზიტარის მოვალეობებია: გახსნას, აამოქმედოს და დახუროს მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშები, მისი წესების შესაბამისად; უზრუნველყოს აღრიცხვის სისტემის მთლიანობა და უსაფრთხოება; მისცეს მონაწილეს ამონაწერი ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ; უზრუნველყოს სხვა მომსახურება მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მომსახურების მიზნით.

დეპოზიტარის წევრები /მონაწილეები/ შეიძლება გახდნენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდეგი მონაწილეები: საბროკერო კომპანიები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, ემიტენტები, საინვესტიციო კომპანიები და საფონდო ბირჟები, რომლებიც დააკმაყოფილებენ წევრებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წევრია 38 საბროკერო კომპანია.

„საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარსა“ და მის წევრებს შორის დადებული ხელშეკრულებით დეპოზიტარი პასუხს აგებს ყველა იმ ზარალზე, რომელიც გამოწვეული იქნება დეპოზიტარის არასწორი ქმედებით, აგრეთვე, პასუხისმგებელია ყველა სხვა გაუგებრობაზე, რომელიც წარმო-

იქმნება მისი თანამშრომლის, ან წარმომადგენლის დაუდევრობით. დეპოზიტარის წესებით დაცული არის ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომლის საჯაროობამ შეიძლება მორალური, ან მატერიალური ზარალი მიაყენოს მის წევრებს.

„საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ წესების მიხედვით მისი წევრი საბროკერო კომპანიები დეპოზიტარში ხსნიან ფასიანი ქაღალდების შემდეგი სახის ანგარიშებს: წევრის საკუთარი ფასიანი ქაღალდების ანგარიში; სადაც ანგარიშის მფლობელი არის ცენტრალური დეპოზიტარის წევრი საბროკერო კომპანია და, სადაც აღირიცხება მის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები და, წევრი კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიში, რომლის ანგარიშის მფლობელია წევრი – საბროკერო კომპანია და რომელზეც აღირიცხება მის ნომინალურ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდის მფლობელს ცენტრალურ დეპოზიტარში შეუძლია გახსნას პირდაპირი ანგარიში /კლიენტის ანგარიში/, მაგრამ ამ ანგარიშიდან ფასიანი ქაღალდის ბირჟაზე სავაჭროდ გატანა მაინც უნდა მოხდეს საბროკერო კომპანიის მეშვეობით. ცენტრალურ დეპოზიტარში შეიძლება გაიხსნას: ა) ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიში, რომელზეც აღირიცხება თავისუფალი საკუთრების პოზიციები; ბ) ბლოკირების ანგარიში, რომელზეც აღირიცხება ვალდებულებებით დატვირთული საკუთრების პოზიციები და გ) სავაჭრო ანგარიში, სადაც აღირიცხება ბირჟაზე ვაჭრობისათვის განკუთვნილი საკუთრების პოზიციები. 2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბროკერ-კლიენტის ანგარიშების რაოდენობამ შეადგინა – 623, ხოლო კლიენტების პირდაპირი ანგარიშების რაოდენობამ – 39.

ფულადი ანგარიშსწორების სისტემა ცენტრალური დეპოზიტარის წესებით შემდეგნაირად არის განსაზღვრული: ცენტრალურ დეპოზიტარს, ისევე, როგორც მის წევრ საბროკერო კომპანიებს, აქვთ გახსნილი ანგარიშები ოთხ საანგარიშსწორებო ბანკში. ამასთან, საბროკერო კომპანიებს კლიენტის სახსრების საკუთარი სახსრებისაგან გამიჯვნის მიზნით გახსნილი აქვთ განცალკევებული ანგარიშები. კლირინგისა და ანგარიშსწორების ამგვარი სისტემა იძლევა საშუალებას საერთაშორისოდ მიღებუ-

ლი T+3 დღიანი ანგარიშსწორების ნაცვლად საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება განხორციელდეს T+1 ვადაში, რომელსაც ფაქტობრივად ნაკლები რისკი ახლავს. ეს, თავის მხრივ, საფონდო ბირჟაზე სწრაფი და საიმედო გარიგებების ერთ-ერთ გარანტად გვევლინება. ცენტრალური დეპოზიტარის საანგარიშსწორებო მომსახურება ემყარება ფასიანი ქაღალდის გამყიდველი ანგარიშის მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდების წინასწარი მიწოდების და ფასიანი ქაღალდის მყიდველი ანგარიშის მფლობელის მიერ ფულის წინასწარი გადახდის პრინციპს. წლის განმავლობაში ცენტრალური დეპოზიტარის ანგარიშებზე დეპონირებულმა ფულადი სახსრების რაოდენობამ შეადგინა 8 679 347 ლარი. ხოლო ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული იყო 5 657 972 აქცია.

„საქართველოს საფონდო ბირჟაზე" დადებული გარიგებების და წევრი საბროკერო კომპანიების დავალების შესრულების მიზნით ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის მიერ 2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელებულია 7879 ოპერაცია.

საქართველოში საჯარო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა უნდა განხორციელდეს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის მეშვეობით. ლიცენზია გაიცემა ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ ან რამოდენიმე საქმიანობაზე:

- ინვესტორებისათვის პირდაპირი კონსულტაციების გაწევა ინვესტიციებთან დაკავშირებით;
- ემიტენტებისათვის კონსულტაციის გაწევა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე;
- ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსების მომზადება და განხორციელება არაგარანტირებულ საფუძველზე;

მიიღოს და გადასცეს კლიენტის დავალებები ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, კლიენტების სახსრებით ფასიანი ქაღალდებით გარიგების განხორციელება მათივე ინტერესებისათვის;

კლიენტების საინვესტიციო პორტფელების და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისათვის გამოყოფილი სახსრების მართვა;

კლიენტების საინვესტიციო სახსრების, ან ფასიანი ქაღალდების შენახვა და აღრიცხვა, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდების ნორმალური მფლობელის მომსახურება;

საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდებით გარიგება თავისივე ინტერესებისათვის;

- ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსების მომზადება და განხორციელება გარანტირებულ საფუძველზე;

- ასესხოს კლიენტებს და ისესხოს მათგან ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე გამოიყენოს საკუთარი სახსრები კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდების შესაძენად, მიიღოს მონაწილეობა კომისიის წესებით განსაზღვრულ „მოკლე გაყიდვებში".

საბროკერო კომპანიებს ეკრძალებათ ნებისმიერი სხვა საქმიანობა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა.

კომისიას შეუძლია გასცეს გენერალური ლიცენზია, რომლის მიხედვითაც საბროკერო კომპანიას უფლება აქვს ჩაებას ყველა ნებადართულ საქმიანობაში, ან სპეციალური ლიცენზიები, რომლებიც საბროკერო კომპანიებს აძლევს მხოლოდ ზოგიერთი საქმიანობის განხორციელების უფლებას. საკუთარი კაპიტალის ოდენობის მიხედვით საბროკერო კომპანიები იყოფა სამ კატეგორიად:[1] პირველი – იძლევა პირველი ორი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების საშუალებას, მეორე – იძლევა პირველი ექვსი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების უფლებას; მესამე – უფლებას აძლევს საბროკერო კომპანიას განახორციელოს საბროკერო კომპანიის საქმიანობა სრული სპექტრით.

2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ საბროკერო კომპანიის საქმიანობაზე სულ გაცემულია 41 ლიცენზია.

კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს, ან გააუქმოს საბროკერო კომპანიის ლიცენზია. მიმდინარე წელს გაუქმდა 2 საბროკერო კომპანიის ლიცენზია: ერთ-ერთი ლიცენზიის გაუქმების მიზანი იყო ის, რომ საბროკერო კომპანია აღარ აკმაყოფილებდა სალიცენზიო მოთხოვნებს, ხოლო მეორე ლიცენზია გა-

---

[1] რ. მძინარაშვილი, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა – 2000 წელი. შ."ფასიანი ქაღალდების ბაზარი", 2001, №2, გვ.25.

უქმდა საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე, საქმიანობის პროფილის შეცვლის სურვილის გამო. დარჩენილი ლიცენზირებული 39 საბროკერო კომპანიიდან საქმიანობის I კატეგორია აქვს ერთ კომპანიას, II კატეგორია 31 საბროკერო კომპანიას, ხოლო III კატეგორია - 7 საბროკერო კომპანიას. 38 საბროკერო კომპანია „საქართველოს საფონდო ბირჟის“ მესაკუთრე-წევრია, 1 - პირობითი მესაკუთრე წევრი. 38 კომპანია არის ცენტრალური დეპოზიტარის წევრი. 20 საბროკერო კომპანიას, ბირჟის მიერ დამტკიცებული წესების მიხედვით მინიჭებული აქვს უფლება ივაჭროს სავაჭრო დარბაზში, დანარჩენი კომპანიები ამ უფლებას უახლოეს პერიოდში მოიპოვებენ, 21 კომპანიას ოთხივე საანგარიშსწორებო ბანკში გახსნილი აქვს ანგარიშები. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისათვის ფულადი სახსრებით ანგარიშსწორება ხორციელდება ოთხი ცნობილი და სანდო ბანკის მიერ, რომელთაც სპეციალური შეთანხმებები გააჩნიათ ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტართან. ეს ბანკები არიან: „გაერთიანებული ქართული ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“ და ბანკი „ქართუ“.

საბროკერო კომპანიების მფლობელები არიან არა მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები, არამედ ინვესტორები დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან და აშშ-დან.

39 საბროკერო კომპანიიდან 37 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, 2 სააქციო საზოგადოება /“ქაბარჯინა“ და „ინდუსტრია-ინვესტი“/; საიდანაც „ინდუსტრია-ინვესტი“ ანგარიშვალდებული საწარმოა და მისი ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ „საქართველოს საფონდო ბირჟის“ სავაჭრო სისტემაში. ანგარიშვალდებულ საწარმოებად ითვლებიან ემიტენტები, რომელთა ფასიან ქაღალდებს ფლობს არანაკლებ 100 პირისა ან თუ ეს ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე და მათ ეკისრებათ გახსნილობისა და ანგარიშგების მნიშვნელოვანი მოთხოვნები. დღეს საქართველოში მათი რიცხვი 400-ს აჭარბებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობის მისაღებად კომერციულმა ბანკებმა უნდა დააფუძნონ შვილობილი საბროკერო კომპანიები. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში

კომერციული ბანკების მიერ მოლიანი წილით დაფუძნებულია შეიდი შვილობილი საბროკერო კომპანია. ესენია:

1. შპს „ქართული საფონდო კომპანია“ /“გაერთიანებული ქართული ბანკი“/
2. შპს „თიბისი ბროკერი“ /“თიბისი ბანკი“/
3. შპს „საბროკერო კომპანია რება“ /ბანკი „ქართუ“/
4. შპს „ინტელ-ბროკერი“ /“ინტელექტბანკი“/
5. შპს „სბ-ინვესტი“ /“საქართველოს ბანკი“/
6. შპს „GMB Group“ /“საქართველოს საზღვაო ბანკი“/
7. შპს „ბაზისი“ /“ბაზისბანკი“/

კომისიის მიერ მიღებული „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ“ წესი მოითხოვს, რომ ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიას გააჩნდეს ადეკვატური კაპიტალი კლიენტებისა და კონტრაგენტების დასაცავად იმ ზარალისაგან, რომლებიც შეიძლება განიცადოს კომისიამ სავაჭრო წიგნში აღრიცხული ფასიანი ქაღალდების ფასების ცვალებადობის, საბაზრო რისკების, კონტრაგენტების მიერ გარიგებათა პირობების დროულად შეუსრულებლობის, სავალუტო კურსის მერყეობით გამოწვეული სავალუტო რისკების, აგრეთვე საკუთარი ანგარიშის ცალმხრივი ზეგავლენისადმი დიდი დაქვემდებარებისა და სხვა რისკების გამო. ეს წესი, აგრეთვე, განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მონიტორინგისა და ზედამხედველობის ფარგლებსა და შიდა კონტროლის სისტემებს. კომპანიას მოეთხოვება ისეთი შიდა კონტროლის სისტემებისა და ადმინისტრაციული და ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურების ჩატარება, რომლებიც ამ წესთან მათი შესაბამისობის ნებისმიერ დროს შემოწმებისა და ჩაწერის საშუალებას იძლევა.

საბროკერო კომპანიის საწყისი საკუთარი კაპიტალი უნდა იყოს არანაკლები ცხრილი 4 - ში მოცემული სიდიდეებისა, საქმიანობის კატეგორიის შესაბამისად.

ცხრილი 4

საბროკერო კომპანიების საწყისი საკუთარი კაპიტალის მოთხოვნები[1]

საქმიანობის კატეგორია	2000 წლის 1 იანვრისათვის		
I	4 000 ლარი	5 600 ლარი	7 800 ლარი
II	10 000 ლარი	14 000 ლარი	19 600 ლარი
II	18 600 ლარი	26 000 ლარი	36 400 ლარი

ყოველი ლიცენზირებული საბროკერო კომპანია მოვალეა აწარმოოს კომისიის წესებით დადგენილი ჩანაწერები და მათი ასლები, მოამზადოს და გაავრცელოს ანგარიშები. „საბროკერო კომპანიების ანგარიშებისა და პერიოდული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ“ კომისიის წესი განსაზღვრავს საბროკერო კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგებების მომზადების, პერიოდულობის, აუდიტის და მათი კლიენტებისა და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისადმი წარდგენის წესებს. ამ წესის მიხედვით საბროკერო კომპანიამ ყოველწლიურად, კალენდარული წლის საფუძველზე, კომისიაში უნდა წარადგინოს აუდიტებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები /ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები/ და, ამასთან ერთად, კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლის ანგარიშგებაც. გარდა ამისა, ყველა საქმიანობის განხორციელების ნებართვის მიმცემი ლიცენზიის მქონე საბროკერო კომპანიამ კომისიას უნდა წარუდგინოს ყოველთვიური ანგარიშგება, ხოლო ერთი, ან რამდენიმე საქმიანობის განხორციელების ლიცენზიის მქონე კომპანიამ – ყოველკვარტალური ანგარიშგება.

2000 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით კომისიაში ანგარიშის წარდგენა ეკუთვნოდა 36 საბროკერო კომპანიას, 25-მა იგი წარადგინა, საიდანაც 14 საბროკერო კომპანიის ანგარიში

[1] ფასიანი ქაღალდების საქართველოს ეროვნული კომისიის პირველი წლიური ანგარიში, თბ., 2001, გვ.68

იყო სრულყოფილი, 11 კომპანიის - ნაწილობრივ სრულყოფილი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ საბროკერო კომპანიებს, მათ ვერ წარადგინეს ანგარიშები, რადგან ლიცენზიის აღების დღიდან მათ არ მიუღიათ მონაწილეობა საგაჭრო სესიებში, არც ერთი გარიგება არ აქვთ დადებული და შესაბამისად არ ჰქონიათ არავითარი ბრუნვა. მათ, ამის თაობაზე, შესაბამისი წერილებით აცნობეს კომისიას.

ბირჟაზე საგაჭროდ დაშვებული საბროკერო კომპანიებიდან გარიგების რაოდენობის მხრივ ლიდერობენ "თიბისი ბროკერი", „ინდუსტრია-ინვესტი" და „ქაბარჯინა", რომელთა მიერ ბირჟაზე დადებული გარიგებების რაოდენობა შეადგენს შესაბამისად: 293, 156 და 121-ს.

გარიგების მოცულობის /ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და ღირებულება/ მხრივ გამოირჩევა „ქართული საფონდო კომპანია" და „თიბისი ბროკერი", მათ მიერ ბირჟაზე დადებულმა გარიგების ღირებულებამ შეადგინა შესაბამისად: 4 502 782 და 1 235 653 ლარი, 2 731 409 და 1 033 791 ფასიან ქაღალდზე, რაც საერთო ჯამში შეადგენს ბირჟაზე დადებული გარიგებების საერთო ღირებულების 95,5%-ს.

ვინაიდან ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში თავისი განვითარების საწყისს ეტაპზეა, საბროკერო კომპანიების სტრუქტურა მარტივია, შესაბამისად მცირეა მათში მომუშავე ბროკერების რაოდენობაც. 2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბროკერის ლიცენზია აქვს 114 ფიზიკურ პირს.

საბროკერო საქმიანობისათვის ფიზიკურ პირზე კომისიის მიერ გაიცემა გენერალური ან სპეციალური ლიცენზიები. გენერალური ლიცენზია, რომელიც საბროკერო კომპანიის სახელით მოქმედ კანდიდატს მისი დამქირავებლები ფასიანი ქაღალდების ყიდვა გაყიდვის, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე კონსულტირებისა და საინვესტიციო პორტფელის მართვის უფლებებს მიანიჭებს. სპეციალურია ლიცენზია, რომელიც კანდიდატს მიანიჭებს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ამგვარი საქმიანობის განხორციელების უფლებას, რაც დამოკიდებულია კანდიდატის მონაცემებსა და კვალიფიკაციაზე. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული 114 ბროკერის ლიცენზია გენერალურია.

ბროკერის ლიცენზიის მისაღებად კანდიდატი აბარებს კომისიის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდას. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის შექმნის დღიდან ბროკერის ლიცენზიის მიღების მსურველთათვის ჩატარდა შვიდი საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 57 ფიზიკურმა პირმა, მაოგან გამოცდა ჩააბარა და ლიცენზია მიიღო 39-მა.

ლიცენზიის მქონე 114 ბროკერიდან საბროკერო კომპანიებში დასაქმებულია 79 ბროკერი /მათ შორის კომპანიის დირექტორის თანამდებობა უკავია 42-ს/, აქედან საფონდო ბირჟის მიერ აკრედიტებულია 43 ბროკერი.

ბროკერთა ინდივიდუალური საქმიანობის დონის ამაღლების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო "Barents Group"-ის მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსები და სემინარები, რომელიც მოიცავდა 6 ნაწილს:

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები;

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები;

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონისა და „მეწარმეთა შესახებ" კანონში ცვლილებების მიმოხილვა;

საინვესტიციო ინდუსტრიის საქმიანობა;

კაპიტალის ბაზრის ინდუსტრიის მიმოხილვა;

კორპორატიული მართვის პრინციპებისა და აქციონერთა უფლებების მიმოხილვა;

თითოეული კურსის ბოლოს, მსმენელებს ჩაუტარდათ გამოცდა ტესტური მეთოდით. თითოეულ ტესტში დადებით პასუხებზე გარკვეული პროცენტების დაგროვების შემთხვევაში, მსმენელებს გადაეცათ დასრულების სერთიფიკატები; 2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 79 დასაქმებული ბროკერიდან 48 ბროკერმა გაიარა ზემოთ ხსენებული კურსები.

აქციონერთა დიდი რიცხოვნობის მქონე სააქციო საზოგადოებებისათვის /ანუ სააქციო საზოგადოებები, რომელთა აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს/ და იმ საწარმოებისათვის, რომელთა აქციები დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული მფლობელის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების და მათი გადაცემე-

ბის ზუსტი ასახვა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად არის პირი, რომელიც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების რეესტრს და ასრულებს მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას სააქციო საზოგადოებისათვის და მისი აქციონერებისათვის. 2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებდა 8 ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, აქედან – 6 თბილისში, ხოლო 2 – ბათუმში. ყველა მათგანზე ლიცენზიები გაიცა 1999 წელს.

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი განთავსებული უნდა იყოს არასაცხოვრებელ ტერიტორიაზე და უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა. რეგისტრატორის თანამშრომლები უნდა იყვნენ კვალიფიციური პირები.

ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია ორგანიზაციას უწევს რეესტრის მწარმოებელ ფიზიკურ პირთა საკვალიფიკაციო გამოცდას. ფიზიკური პირები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდას, ხდებიან ფასიანი ქაღალდების რეესტრის მწარმოებლის საკვალიფიკაციო ატესტატის მფლობელები და მათ ენიჭებათ უფლება აწარმოონ ფასიანი ქაღალდების რეესტრი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან ან უშუალოდ ემიტენტთან. 2000 წელს 10-ჯერ ჩატარდა საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 21-მა ფიზიკურმა პირმა. სულ გაცემულ იქნა 14 სერთიფიკატი.

არსებული მდგომარეობით სულ 647 ემიტენტის რეესტრი იწარმოება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიერ, მათ შორის 379 ანგარიშვალდებული საწარმოა. ისინი შემდეგნაირად ნაწილდება რეგისტრატორებს შორის: /ის.ცხრ.5/

ცხრილი 5

ემიტენტების რაოდენობა, რომელთა რეესტრს აწარმოებენ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები[1]

რეგისტრატორი	სულ ხელშეკრულებები	მათ შორის ხელშეკრულებები ანგარიშვალდებულ საწარმოებთან
კომპანია – ცენტრი	175	105
კავკას რეესტრი	80	55
რეესტრ – ცენტრი	58	38
რეგისტრი	75	63
ქართული სარეგისტრაციო კომპანია	84	28
Jct – დელამენი	52	33
ეროვნული რეესტრი	117	55
აჭარსტოკსერვისი	6	2

თუ გავეცნობით „საქართველოს საფონდო ბირჟაზე" განხორციელებული ვაჭრობის წლიურ შედეგებს, ვნახავთ, რომ ბირჟაზე დადებულ გარიგებებში მონაწილე უმეტესი ემიტენტების ფასიანი ქაღალდების რეესტრებს აწარმოებდნენ შემდეგი რეგისტრატორები: „რეგისტრი", „კომპანია ცენტრი" /29,6%/ და „რეესტრ-ცენტრი" /25,3%/. შესაბამისად დადებული გარიგებების რაოდენობა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების ჭრილში შეადგენს 179, 178, 152-ს.

თუ გავაანალიზებთ ბირჟაზე განხორციელებულ ვაჭრობას ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ღირებულების მოცულობის მიხედვით, დავინახავთ, რომ გარიგებათა მოცულობის ყველაზე დიდი ნაწილი მოდის „კავკასრეესტრზე" /ფასიანი ქაღალდების რაოდენობის 66,4% და გარიგების ღირებულების 77%; შესაბამისად 2 890 054 და 4 540 138 ლარი/ და „რე-

[1] 1. ფასიანი ქაღალდების საქართველოს ეროვნული კომისიის პირველი წლიური ანგარიში, თბ., 2001, გვ.74.

გისტრზე“ /ფასიანი ქაღალდების რაოდენობის 15% და გარიგების ღირებულების 21%, შესაბამისად 651 160 და 1 223 432 ლარი/.

საქართველოში ფინანსური ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებია. მათი გამოშვება და განთავსება წარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ“ დებულების და მასში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. სახაზინო ვალდებულებების განთავსება წარმოებს აუქციონის გზით, ეროვნული ბანკის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტრუმენტის როლი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვაში დიდი არ არის /1999 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 1,6, ხოლო 2000 წელს 3,7 მლნ.ლარი/ მის ემისიას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის: ჯერ ერთი, მისი როლი თანდათან გაიზრდება ბიუჯეტის დეფიციტის შევსებაში, მეორე, მეორად ბაზარზე მათი გამოჩენა მთავრობის საფინანსო ვალდებულებების მიმართ ნდობის ამაღლებას ნიშნავს, რაც მომავალში უფრო გრძელვადიანი სასესხო ფასიანი ქაღალდების – სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვებაზე გადასვლას და ქვეყნად კომერციული აქტივობის ზრდას შეუწყობს ხელს. საქართველოს ფინანსურ ბაზარზე სახაზინო ვალდებულებების აუქციონთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონი და თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა.

1998 წლიდან ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონზე საკრედიტო რესურსების განთავსება ხდება 7, 30, 60 და 90 დღიანი ვადით. 2000 წელს აუქციონზე საკრედიტო რესურსების საერთო ბრუნვამ /გარიგებათა მოცულობამ/ შეადგინა 41,7 მლნ ლარი. ამ წელს საპროცენტო განაკვეთები შესაბამისად შეადგენდა 18%, 17%, 21% /90 დღიანზე 2000 წელს ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა/, რაც საკმაოდ მაღალია და ხელს არ უწყობს კრედიტის გაიაფებას. აუქციონის გზით დადებული გარიგებების გარდა ხდება კომერციულ ბანკებს შორის რესურსების უშუალო სესხებაც, ე.ი. პირდაპირი გარიგებები, თუმცა მათი მოცულობა დიდი არ არის. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2000 წელს გარიგებათა მოცულობამ

შეადგინა 149,3 მლნ აშშ დოლარი. რაც შეეხება აშშ დოლარების შესყიდვას კომერციული ბანკების მიერ, მან შეადგინა 77,8 მლნ დოლარი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეისყიდა 71,4 მლნ დოლარის ოდენობით აშშ ვალუტა.

ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის თანდათან გაუმჯობესების კვალობაზე, მომავალში სულ უფრო მეტად გაფართოვდება და გაიზრდება ფინანსური ინსტრუმენტების ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში.

<u>ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება და ინტეგრაცია.</u> თანამედროვე პირობებში არსებობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორგანიზაციის ორი ძირითადი მოდელი. ერთი მათგანი ითვალისწინებს ბაზარზე კომერციული ბანკების ბატონობას /გერმანია, იაპონია, საფრანგეთი/, მეორე შერეულია, ე.ი. გულისხმობს როგორც საბანკო, ისე არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების აქტიურ როლს /აშშ, დიდი ბრიტანეთი/. იმ ქვეყნებში, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დომინირებს კომერციული ბანკების შეზღუდული რაოდენობა, სახელმწიფო რეგულირება უფრო მეტია.

საქართველოში დღევანდელ პირობებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის მთავარი მონაწილეები არიან კომერციული ბანკები, რომლებიც არასაბანკო ინსტიტუტებთან შედარებით დიდ ფულად რესურსებს ფლობენ. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების რიცხვი საკმაოდ დიდია: ფინანსთა სამინისტრო, ცენტრალური ბანკი, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, საგადასახდო ინსპექცია და ა.შ. (იხ. ცხრილი 6, 7).

მარეგულირებელი ორგანოები ყველა ქვეყანაში ასრულებენ სამ ძირითად ფუნქციას:

1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა მონაწილის რეგისტრაცია. რეგისტრაცია უნდა გაიაროს როგორც თვით ფირმებმა, ასევე ყველა თანამშრომელმა, რომლებსაც უშუალოდ საქმე აქვთ ფასიან ქაღალდებთან.

2. ეკონომიკის სტრუქტურების უზრუნველყოფა საიმედო ინფორმაციით, რისი მიღწევაც შესაძლებელია საემისიო პროსპექტის პუბლიკაციით, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას

ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე და ემიტენტებზე. გარდა ამისა, ემიტენტები ვალდებულნი არიან პერიოდულად გამოაქვეყნონ ფინანსური ანგარიშები, ფირმის ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებები.

3. კონტროლის და წესრიგის დაცვის ფუნქცია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

გარდა ზემოთ აღნიშნული სახელმწიფო ღონისძიებებისა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ოვითრეგულირებას. ამაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის საფონდო ბირჟას, როგორც ბაზრის განვითარებულ, ორგანიზაციულ ფორმას. ბირჟა ახორციელებს მკაცრ კონტროლს საბირჟო ვაჭრობის ყველა მონაწილის საქმიანობაზე, ადგენს მათთვის ვაჭრობის ნორმებსა და წესებს. ბირჟების გარდა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქტიურად ზემოქმედებენ სხვა ორგანიზაციებიც. ასეთებია, საინვესტიციო ბიზნესის მონაწილეთა პროფესიონალური ასოციაციები, რომლებიც იქმნებიან ბაზრის გაფართოების კვალობაზე, როცა სახელმწიფოს ზემოქმედება მისი რეგულირების მიმართულებით ამა თუ იმ მიზეზის გამო არასაკმარისია. ასეთი ასოციაციები ავლენენ ცალკეული პირების არაკეთილსინდისიერ ქცევას, რასაც დანაკარგები მოაქვს არა მხოლოდ მათი წევრებისათვის, არამედ საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთა ფართო წრისათვის და ამცირებენ საზოგადოების ნდობას, იწვევენ მოგების შემცირებას. ასე, რომ, პროფესიული ასოციაციების ინტერესები ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების თვალსაზრისით ძირითადად ემთხვევა სახელმწიფოს ინტერესებს.

საფონდო ბაზარი, რაც არ უნდა კარგად მუშაობდეს, მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებში ვერ იარსებებს, ის უფრო რეგიონალური და მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების მონაპოვარია. როცა საუბარია საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ამაში, რა თქმა უნდა, მარტო საქართველოს ფიზიკურ ტერიტორიას არ ვგულისხმობთ. ნებისმიერი საფონდო ბირჟის ფუქციონირების საბოლოო მიზანია დანარჩენ მსოფლიო საფონდო ბაზრებთან ინტეგრაციის საკითხი, რათა შიდა ბაზარი

ცხრილი N6

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების
სტრუქტურა განვითარებულ ქვეყნებში[1])

შედარების მაჩვენებელი	ა შ შ	იაპონია	გერმანია	დიდი ბრიტანეთი	საფრანგეთი
1	2	3	4	5	6
დასახელება	ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების კომისია	ფასიანი ქაღალდების ბიური	საბანკო ზედამხედველობის ფედერალური სამმართველო /BAKred/	ფასიანი ქაღალდების და ინვესტიციების საბჭო	საბირჟო ოპერაციების კომისია
სტატუსი	დამოუკიდებელი მარეგულირებელი სააგენტო	ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი	ავტონომიური მარეგულირებელი საგენტო	არასახელმწიფო ორგანიზაცია	დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო
დაქვემდებარება	პრეზიდენტს	ფინანსთა მინისტრს	ფინანსთა მინისტრს	ფინანსთა მინისტრს	მთავრობას
ხელმძღვანელობის დანიშვნის წესი	კომისიის 5 წევრს ხელმძღვანელის ჩათვლით ნიშნავს პრეზიდენტი სენატის თანხმობით	დირექტორს ნიშნავს ფინანსთა მინისტრი	სახელმწ. კომისარებს ნიშნავენ "მიწების მთავრობები"	საბჭ.წევრებს ნიშნავს ფინანსთა მინისტრი ინგლისის ბანკის თავმჯდომარესთან ერთად	თავმჯდომარეს ნიშნავს მთავრობა, დანარჩენი წევრები წარმოადგენენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს
რეგულირების ფორმა			სწდს-ცენტრ. ბანკის ფილიალის მეშვეობით	თვითრეგულირება და ორგანიზაციების მეშვეობით	თვითრეგულირება და ორგანიზაციების მეშვეობით

1) დ. ლომაძე, დ. რუსიძე, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ბიულეტენი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 1998, №18, გვ.17.

ცხრილი №7

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა მეზობელ ქვეყნებში[1])

შედარების მაჩვენებელი	თურქეთი	რუსეთი	საქართველო	მოლდოვა	ბელორუსია	ხორვატია
1	2	3	4	5	6	7
დასახელება	კაპიტალის ბაზრის სამსახური	ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფედერალური კომისია	ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბირჟების ეროვნული კომისია	ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო კომისია	ფასიანი ქაღალდების ინსპექცია	ფასიანი ქაღალდების ინსპექცია
სტატუსი	დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო	რუსეთ მთავრობის სტრუქტურული ქვედანაყოფი	ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი	მთავრობის სტრუქტურაში მყოფი ქვედანაყოფი	ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი	ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი
რეგიონალური ჭრილის არსებობა						

1) დ. ლომაძე, დ. რუსაძე, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ბიულეტენი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 1998, №18, გვ.18.

უცხოელთათვის სასურველი და უცხოური თავისუფალი სახსრები ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდეს. თუმცა მსოფლიო ბაზრებთან საქართველოს ინტეგრაციას ესაჭიროება ამ ბაზარზე გასვლის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება.

თუ სამოქმედო არეალზე გვაქვს საუბარი, მაშინ რამდენიმე ვარიანტი უნდა განვიხილოთ:

<u>ვარიანტი პირველი</u>: რუსეთის საფონდო ბაზართან ინტეგრირება. ამ ვარიანტის საწინააღმდეგოდ განვითარებული მოვლენები მეტყველებენ, რომ ამან ბაზრის სრული პარალიზება გამოიწვია; თუმცა ამ ვარიანტის სრული უარყოფა არ იქნება მართებული, რამეთუ რუსეთის კრიზისი მსოფლიო ფულად - საკრედიტო სისტემის კრიზისის შემადგენელი და ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მისმა მასშტაბებმა ექსპერტთა ყველაზე არასასურველი პროგნოზებიც კი გაამართლა. თანამედროვე მსოფლიო კი ერთიანი პატარა სამყაროა, სადაც რაიმე მოვლენა ცალკე დამოუკიდებლად არ მიმდინარეობს. ამ პოსტულატიდან გამომდინარე უკვე შეინიშნება დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მცდელობაც სიტუაციის გამოსწორებისა. უკანასკნელ მოვლენათაგანს მიეკუთვნება უცხოელი კრედიტორების მიერ გადადგმული უპრეცედენტო ნაბიჯი, რომლითაც მათ რუსეთის მთავრობას სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციები /URJ/ გადაუცვალეს ხუთ წლიან უპროცენტო ვექსილებზე. მომავალში უნდა მოხდეს დაკვირვება, თუ როგორ მოახდენს რუსეთი კრიზისის დაძლევას, გაანალიზდეს ამ ბაზრის პოტენციალი და მხოლოდ ამის შედეგად უნდა მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება თანამშრომლობის, თუ მისი იგნორირების საკითხზე.

<u>ვარიანტი მეორე</u>: დასავლეთ ევროპის ბაზართან ინტეგრირება. ამ ვარიანტის განხილვისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ზოგიერთ მიმდინარე მოვლენაზე. ევროვალუტის შემოღება, რომელიც ევროკავშირის 11 სახელმწიფოს გააერთიანებს, მსოფლიოში მოცულობით მეორე ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოქმნის მომსწრეს გაგვხდის. 1997 წელს ევროკავშირის ქვეყნების ფასიანი ქაღალდების მთლიანი ღირებულება 5,256 ტრილიონ ეკიუდ ფასდებოდა. აღნიშნული თანხა აღემატება იაპონიის საფონდო ბაზარს, თუმცა მაინც ჩამორჩება ამერიკულს. მოცემული ბაზრის სიღრმისეული ანალიზის გაკეთების შემდეგ

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ძალიან გაუჭირდება მოცემულ ბაზარზე დამკვიდრება.

<u>ვარიანტი მესამე</u>: ამიერკავკასიის საფონდო ბაზარი. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ბაზარი ჯერ არ არის შექმნილი და არც სპეციალისტთა განხილვის საგანია, საქართველოსათვის ყველაზე ხელსაყრელ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს. ინვესტიციების მოზიდვის საკითხი აქტუალურად მარტო საქართველოს არ უდგას. დარწმუნებული ვართ, ამ ვარიანტს სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც მრავალი მომხრე გამოუჩნდება და იგი სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკების საგნად იქცევა. მის დადებით მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ:

1. მოცემული ბაზარი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და გააზრებული მოქმედების შედეგად საქართველოს შეუძლია მასში დომინანტის ფუნქციები შეასრულოს;

2. დანარჩენი მსოფლიოს დაინტერესება ამ რეგიონით და ის ფინანსური სახსრები, რომელთა დაბანდებაზეც ინვესტორები წამომსვლელები არიან;

3. საქართველოს მოსახერხებელი გეოგრაფიული მდგომარეობა და აქედან წამოსული მთელი სიკეთე. ასევე დიდ შემოსავლებსა და დიდ ინვესტიციებს გვპირდება კასპიის ზღვის რეგიონიდან „პირველადი ნავთობის“ ტრანსპორტირება საქართველოს გავლით. ამ პროექტისათვის გათვალისწინებულია 250 მლნ დოლარის დაბანდება საქართველოში. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი საქართველო წარმატებით გაართმევს თავს „ადრეული ნავთობის“ ტრანსპორტირების საკითხს, მაშინ მას დიდი შანსი ეძლევა, რომ „დიდი ნავთობის“ მარშრუტის მესაკუთრე გახდეს.

„ამიერკავკასიის საფონდო ბაზრის“ ჩამოყალიბების წინაპირობების შესაქმნელად მიზანშეწონილია საკოორდინაციო საბჭოს მსგავსი ორგანოს ჩამოყალიბება, რომელშიც სამივე სახელმწიფოს სპეციალისტები იქნებიან ჩართულნი. პირველ ეტაპზე მათ ძირითადად სათათბირო ან მრჩეველთა ფუნქციები დაეკისრებათ, რითაც ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივი გარემოს ჩამოყალიბებას და ამ იდეის სახელმწიფო დონეზე აყვანას.

თავი IV. შრომის ბირჟა

<u>შრომის ბაზრის არსი და გამოვლინების ფორმები.</u> შრომის ბაზარს რამოდენიმე სინონიმი აქვს; ასეთებია: სამუშაო ძალის ბაზარი, შრომითი რესურსების ბაზარი და სხვა. კითხვაზე, თუ რომელია მათ შორის ყველაზე სწორი, ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. მეცნიერთა ერთ ნაწილს პირველი დასახელება მიაჩნია სწორად, მეორე ნაწილს – მეორე დასახელება და მესამე ნაწილს კი – მესამე.

შრომის ბაზარში ხდება მომუშავეთა სამუშაო ძალის, ანუ მათი შრომის შესაძლებლობების დაქირავება მეწარმეების მიერ გარკვეული ვადით და გარკვეული ანაზღაურებით. მაგრამ, რადგან შრომის პროცესში მუშაკი იყენებს არა თავის პოტენციურ სამუშაო ძალას, არამედ მხოლოდ ფუნქციურს, ამიტომ შრომის ბაზარს, ჩვენის აზრით, უმჯობესია ან ფუნქციონირებული სამუშაო ძალის ბაზარი ვუწოდოთ, ანდა უბრალოდ შრომის ბაზარი.

ადგილს, სადაც მიმდინარეობს სამუშაო ძალის დაქირავება, შრომის ბირჟა ეწოდება.

<u>შრომის ბირჟის არსი, ფუნქციები, სტატუსი.</u> შრომის ბირჟაზე, როგორც წესი, იყიდება განსაკუთრებული საქონელი – სამუშაო ძალა. შრომის ბირჟაზე დამქირავებელ მეწარმესა და მუშებს შორის შუამავლის როლს ასრულებს რომელიმე დაწესებულება. განყოთარებულ ქვეყნებში თანამედროვე შრომის ბირჟები, როგორც წესი, სახელმწიფოს ეკუთვნის და შრომის სამინისტროს ემორჩილება. ბირჟის საშუალებით სახელმწიფო ზემოქმედებას ახდენს სამუშაო ძალის ბაზარზე.

შრომის ბირჟები ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს: 1. უმუშევართა შრომითი მოწყობა; 2. იმ პირებისათვის ხელშეწყობა, რომლებსაც სამუშაოს შეცვლა სურთ; 3. სამუშაო ძალის საბაზრო კონიუნქტურის შესწავლა; 4. ახალგაზრდობის პროფორიენტაციის განხორციელება; 5. უმუშევართა აღრიცხვა და მათთვის დახმარების გაცემა.

შრომის ბირჟის სტატუსსა და ორგანიზაციულ სტრუქტურას რესპუბლიკური კანონმდებლობა განსაზღვრავს. შრომის ბირჟები იქმნება საქართველოს შრომის, დემოგრაფიისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში, რომელსაც რესპუბლიკის რეგიონების მიხედვით ექნება ბირჟები და მათი ფილიალები, ხოლო ქალაქებსა და რაიონებში ეყოლებათ რეგიონალური ბირჟების წარმომადგენლები. ბირჟა – დეპარტამენტის სისტემაში იქმნება დასაქმების სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც მოქალაქეთა დასაქმების უფლების დაცვის საყოველთაო კონტროლს ახორციელებს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესაძლოა მოქმედებდნენ კომერციული ბირჟები, სააგენტოები და სხვა სახის ორგანიზაციები, რომლებიც მოქალაქეთა შრომითი მოწყობისა და საერთო დასაქმების საკითხების მოწესრიგებას უნდა ემსახურებოდნენ. მაგრამ საჭიროა ეს განხორციელდეს რესპუბლიკის შრომის, დემოგრაფიისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვით. ყველა ისინი მუშაობას რესპუბლიკის შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში წარმართავენ.

საქალაქო შრომის ბირჟა ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:[1] აღრიცხავს დროებით უმუშევარ მოსახლეობას, რეგისტრაციაში ატარებს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც ბირჟას მიმართეს შრომითი მოწყობისათვის, აგრეთვე ორგანიზაციას უწევს უმუშევართათვის შეღავათებისა და სხვადასხვა სახის დახმარების საკითხთა მოგვარებას, ეხმარება მშრომელებს სამუშაო ადგილის ნებაყოფლობით არჩევაში, ხელს უწყობს საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთავისუფლებული მუშაკების დასაქმებასა და რაიონებს შორის კადრების გაცვლას სამუშაოთა სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით, პროფორიენტაციის ღონისძიებათა რეალიზაციასა და მოსახლეობაში სააგიტაციო-სარეკლამო მომსახურების მოგვარებას, შრომის ადგილობრივი ბაზრის შესწავლას, საბაზრო სტრუქტურებისა და არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებისათვის დახმარებას შრომითი მოწყობისა და სამუშაო ძალის გადანაწილების საქმეში.

გამოთავისუფლებული მუშაკების ეფექტიანი დასაქმების მიზნით სწავლობს ახალი დარგებისა და სამუშაო ადგილები-

---

[1] დ. ძნელაძე. საბაზრო ეკონომიკის საკითხები, თბ., 1993, გვ. 135.

სათვის პროფესიული კადრების საჭიროებას, ამუშავებს მათი მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს. ახალი საწარმოების შექმნის, ან არსებულის ლიკვიდაციის პირობებში აუცილებელი უნდა გახდეს ბირჟის დასკვნა რიგორც სახელმწიფო, ასევე ყველა სახის საბაზრო სტრუქტურებისა და უწყებისათვის.

შრომის ბირჟა უფლებამოსილია შეამოწმოს, თუ რამდენად საიმედოა მიღებული ინფორმაცია თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანსიების შესახებ, აგრეთვე, თუ რამდენად სამართლიანია მოქალაქეებსა და სამუშაოს გამცემთა შორის დადებული ხელშეკრულებანი, როგორია შრომით კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობა და ა.შ. ამ მხრივ შრომის ბირჟის რეკომენდაციები სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახის სამუშაოს გამცემი ორგანოებისა და დაწესებულებებისათვის.

შრომის ბირჟისა და დასაქმების სახელმწიფო ორგანოების დაფინანსება წარმოებს სახელმწიფოს ხარჯზე, ხოლო საინფორმაციო სტრუქტურის ფუნქციონირების წესი რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე განისაზღვრება.

შრომის ბირჟა შრომის ბაზრის რეგულირებისათვის თავის პრაქტიკულ საქმიანობას საფუძვლად უდებს ნებაყოფლობის, ურთიერთთანამშრომლობის, ჰუმანურობის, სამართლიანობის, ნდობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპს. მისი დაფინანსება ხდება დასაქმების რესპუბლიკური და რეგიონალური ფონდებიდან, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშიანი საწარმოებიდან მიღებული შემოსავლებით, ფასიანი მომსახურების სახით შესრულებული შრომითი საშუამავლო სამუშაოების, ხელშეკრულებებისა და გარიგების ხარჯზე. ბირჟის საქმიანობაში შედის სოციალური გარანტიების გაცემა, სხვა რაიონებში მოქალაქეთა გადასახლებისა და სხვა სახის დახმარებებისათვის დაფინანსება — დასაქმების რესპუბლიკური ფონდის სახსრებიდან. ხოლო ადგილობრივი შრომის ბაზრის რეგულირება, დასაქმების სფეროს გაფართოება და სხვა სახის საზოგადოებრივი ხასიათის ღონისძიებათა დაფინანსება წარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — დასაქმების რეგიონალური ფონდიდან. რაც შეეხება კერძო ორგანიზაციებს, ასოციაციური გაერთიანებების, კოოპერატივების, კერძო პირები-

სა და სხვა სახის საბაზრო სტრუქტურების კადრებით დაკომპლექტება, მომზადება და გადამზადება, მათი საკონსულტაციო და მეთოდური მომსახურება ფასიანია და ბირჟის მოქმედების ზონაში ხორციელდება სამეურნეო ანგარიშის წესით ხელშეკრულების საფუძველზე.

საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ამოცანებითა და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებით განისაზღვრება, შრომის ბირჟამ, დასაქმების სფეროს გაფართოების მიზნით, შეიძლება მოაწყოს საკუთარი საწარმო, შექმნას სავაჭრო და ფასიანი მომსახურების საწარმოები და სამსახურები საშეურნეო ანგარიშის საფუძველზე და ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები სოციალური სფეროს განვითარებას მოახმაროს. შრომის ბირჟა აქტიურად მონაწილეობს პუმანიტარულ, საქველმოქმედო და სხვა სახის სოციალურ ღონისძიებებში, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ, ამასთან, შრომის ბირჟა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს იმ პირთა მიმართ, რომლებსაც შეზღუდული შრომისუნარიანობა აქვთ შრომითი აქტივობის, ადაპტაციის, პროფესიული სრულყოფისა და სპეციალური ორგანიზაციის თვალსაზრისით. ამ მიზნებისათვის მათ შეუძლიათ გამოიყენონ საწარმოთა, ორგანიზაციათა, კერძო პირთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შემოწირულობები, ნებაყოფლობითი ანარიცხები და სხვა სახის სოციალური ფონდები, რომლებიც შეიძლება შეივსოს სხვადასხვაგვარი საქველმოქმედო ღონისძიებების, კონცერტების, სპექტაკლების, სპორტული შეჯიბრების შემოსავლებიდან და სხვა.

შრომის ბირჟა იურიდიული პირია და აქვს საკუთარი ანგარიში საბანკო სისტემის დაწესებულებებში, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებრივი კომპეტენციითა და დამოუკიდებლობის განსაზღვრული სტატუსით. მოქალაქეთა შრომის უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებული შრომის ბირჟის ყოველგვარი საქმიანობა, დასაქმების ფონდის სახსრებით დაფინანსდება და მოსახლეობას უფასოდ გაეწევა.

შრომის ბირჟას უფლება აქვს მიიღოს, ან თავის საკუთრებაში შეიძინოს, ანდა იჯარით დაიქირავოს ყველა სახის შენობა-ნაგებობა და ტექნიკური საშუალება, რომლებიც დაკავშირე-

ბულია სოციალურ – ეკონომიკურ და სამეურნეო-ანგარიშიან საქმიანობასთან, ბირჟა-დეპარტამენტის ფუნქციები და უფლებამოვალეობანი უფრო დეტალურად შრომითი კანონმდებლობის რესპუბლიკურ კანონებსა და იურიდიულ აქტებში აისახება.

<u>შრომის ბაზრის სტრუქტურა.</u> შრომის ბაზრის კომპონენტებია:[1] შრომის ბაზრის სუბიექტები; 2. შრომის ბაზრის სუბიექტების მიერ მიღებული ეკონომიკური პროგრამები, გადაწყვეტილებები და იურიდიული ნორმები; 3. საბაზრო მექანიზმი /სამუშაო ძალაზე მოთხოვნა და მიწოდება, სამუშაო ძალის ფასი, კონკურენცია/; 4. უმუშევრობა და სოციალური დახმარებები; 5. საბაზრო ინფრასტრუქტურა.

შრომის ბაზრის სუბიექტები არიან დაქირავებული მუშაკები /და მათი გაერთიანებები – პროფკავშირები/, დამქირავებლები /მეწარმეები/ და მათი კავშირები /მეწარმეთა კავშირი/, სახელმწიფო და მისი ორგანოები.

დაქირავებულ მუშაკებად ითვლებიან ის მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივ წარმოებაში მათ მიერ მესაკუთრე მეწარმისათვის, ანდა მისი მენეჯერისათვის სამუშაო ძალის მიქირავების /მიყიდვის/ გზით. დაქირავებული მუშაკები ერთიანდებიან სპეციალურ კავშირებში, რომელთა შორის ყველაზე მასობრივი არის პროფესიული კავშირები. ასეთი კავშირები დაქირავებულ მუშაკთა ინტერესებს გამოხატავენ.

დამქირავებლად ითვლებიან ინდივიდები, რომლებიც მუდმივად ქირაობენ სამუშაო ძალას. მცირე საწარმოებში დამქირავებლად გამოდის საწარმოს მესაკუთრე, სააქციო საზოგადოებებში კი – მენეჯერი, რომელიც, თავის მხრივ, თვითონაც დაქირავებული პირია.

შრომის ბაზრის სუბიექტი არის სახელმწიფოც მართვის რეგიონული და დარგობრივი ორგანოებით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებით. იგი ასრულებს სოციალურ-ეკონომიკურ, საკანონმდებლო, ბაზრის რეგულირებისა და ბაზრის სხვა სუბიექტების უფლებების დაცვის ფუნქციებს.

---

[1] Рынок труда, учебник, под общей редакцией профессора Буланова В.С.,М., «Экзамен», 2000, გვ. 35.

შრომის ბაზრის მეორე კომპონენტი არის იურიდიული ნორმები და ეკონომიკური პროგრამები. შრომის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ყოველ ქვეყანაში იქმნება საკანონმდებლო აქტები, ნორმები, წესები, რომლებიც არეგულირებენ ბაზრის სუბიექტებს შორის ურთიერთობებს. ისინი ჩადებულია კონსტიტუციაში, დასაქმების შესახებ კანონში და ა.შ. ასევეა ეკონომიკური პროგრამებიც, რომლებიც იქმნება მოსახლეობის დასაქმების სფეროში, მუშაკთა მომზადება – გადამზადების საკითხში და ა.შ.

შრომის ბაზრის მესამე კომპონენტია სამუშაო ძალის მიწოდება – მოთხოვნა. რაოდენობრივი თვალსაზრისით, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ასახავს მომუშავეებზე მოთხოვნის მოცულობასა და სტრუქტურას. იგი განისაზღვრება დროის კონკრეტულ პერიოდში დასაქირავებლად საჭირო მუშაკთა რიცხვით და მათი დაჯგუფებით მაღალკვალიფიციურ, საშუალო, დაბალ და არაკვალიფიციურ სამუშაო ძალად. სამუშაო ძალაზე მოთხოვნა წარმოშობს მის მიწოდებას.

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია უმუშევრობა. იგი შრომის ბაზრის მეოთხე კომპონენტს წარმოადგენს. უმუშევრების გადამზადებისათვის, რაც საჭიროა შრომის პროცესში ხელმეორედ ჩასართავად, დაწესებულია სოციალური დახმარებები.

შრომის ბაზრის მეხუთე კომპონენტია მისი ინფრასტრუქტურა, რომლის ძირითადი ელემენტი არის დასაქმების სახელმწიფო სამსახური. ამის გარდა ინფრასტრუქტურა მოიცავს სამუშაო ძალის მომზადება – გადამზადების ცენტრებს, კადრების პროფორიენტაციის ინსტიტუტებს და ა.შ.

შრომის ბაზრის კომპონენტები, საბოლოო ჯამში, ემსახურებიან სამუშაო ძალის მიწოდება – მოთხოვნის დაბალანსებას, შრომაზე ადამიანთა უფლებების რეალიზაციას, საქმიანობის არჩევის თავისუფლებას.

<u>შრომის ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი</u>, იგი შეიცავს: სამუშაო ძალაზე მოთხოვნას, სამუშაო ძალის მიწოდებას, შრომის ფასს /ხელფასი/ და კონკურენციას.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ეს არის დამქირავებლებისთვის საჭირო მომუშავეების რაოდენობა. სამუშაო ძალის მიწოდებით კი წარმოგვიდგება შრომისუნარიანი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მზადაა იმუშაოს.



S – სამუშაო ძალის მიწოდება
D - მოთხოვნა სამუშაო ძალაზე
L_0 – დასაქმებულთა რაოდენობა

ნახაზი 2. სამუშაო ძალის მიწოდება – მოთხოვნა შრომის ბაზარზე

შრომის ბაზარზე წარმოშობილი სამუშაო ძალის მიწოდება – მოთხოვნის ურთიერთობა იხილეთ ნახაზზე №2. იგი გვიჩვენებს, რომ სამუშაო ძალის მიწოდების მრუდი /S/ მუდმივად ზევით მიიმართება იმ შემთხვევაში, თუ ხელფასი იზრდება, ხოლო სხვა პირობები თანაბარია.

ასეთ შემთხვევაში, ხელფასის ზრდა იწვევს დანახარჯების საერთო მოცულობის ზრდას და გამომდინარე აქედან, მეწარმის მოგების შემცირებას. დამქირავებლისათვის, ცხადია, ასეთი სიტუაცია არახელსაყრელია და იგი ამცირებს მუშების მიღებას. ამის გამოხატულებაა სწორედ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მრუდის / D / ქვევით დაშვება. იმ შემთხვევაში, როცა

შრომის ფასი აწყობს დამქირავებელსაც და დაქირავებულსაც, მაშინ შრომის ბაზარზე წონასწორობის ფასი მყარდება. ასეთ დროს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება ემთხვევა მასზე მოთხოვნას. ნახაზზე მას მიწოდება-მოთხოვნის მრუდების გადაკვეთის წერტილი (L_0) გამოხატავს.

როგორც ნახაზიდან ჩანს, როცა შრომის ფასი არის W_0, მაშინ სამუშაო ძალის დამქირავებლები აკომპლექტებენ ყველა თავისუფალ სამუშაო ადგილებს, ხოლო ყველა მუშაობის მსურველი – პოულობს სამუშაოს. ეს გრძელდება მანამ, სანამ სამუშაო ძალაზე არის წონასწორობის ფასი – W_0. თუ რომელიმე ფაქტორის გავლენით შრომის ფასი გაიზრდება და მიაღწევს W_2 – ის დონეს, მაშინ გაიზრდება სამუშაო ძალის მიწოდებაც S_2 – ის დონემდე, ხოლო მოთხოვნა სამუშაო ძალაზე შემცირდება D_2 – ის დონემდე. ასეთ დროს წარმოიშვება კონკურენცია სამუშაო ადგილისათვის. მიწოდების მეტობა მოთხოვნაზე და კონკურენცია აიძულებს დამქირაველებს შეამცირონ ხელფასის განაკვეთები და საბოლოო ჯამში იგი W_0 – ის დონემდე დადის.

თუ შრომის ფასი წონასწორობის ფასზე დაბალია და ტოლია W_1 – ის, მაშინ წარმოიშვება სამუშაო ძალის დეფიციტი /მისი მიწოდება S_1 – ის დონეზეა, ხოლო მოთხოვნა D_1 – ის დონეზე/. მოთხოვნის მეტობა აიძულებს დამქირავებლებს აამაღლონ ხელფასის განაკვეთები, რათა მიიზიდონ მომუშავეები. საბოლოოდ ხელფასის დონე მაღლდება W_0 – მდის.

<u>შრომის ბაზრის სახეები და მოდელები.</u> შრომის ბაზარი რთული, მრავალპლანიანი ფენომენია. იგი მოიცავს მრავალნაირ /ეკონომიკურ, იურიდიულ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ/ ურთიერთობებსა და ელემენტებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ტემპით და სხვადასხვა შეთანაწყობით ვითარდება. ამ განსხვავებებმა გამოიწვია შრომის ბაზრის ასევე განსხვავებული სახეებისა და მოდელების ჩამოყალიბება.

შრომის ეროვნული ბაზრის ორი სახეა ცნობილი:[1] პირველი სახე ორიენტირებულია სამუშაო ძალის ტერიტორიულ მოძრაობაზე, ანუ მომუშავეთა გადაადგილებაზე ფირმებს შორის. ასეთ ბაზარზე ფირმების დაკომპლექტება ხდება გარედან – უკვე მომზადებული პროფესიის და კვალიფიკაციის მუშაკებით. პირობითად ასეთ შრომის ბაზარს საგარეო ბაზარი ეწოდება. შრომის ბაზრები ტიპურია აშშ-თვის, ამიტომ მან მიიღო შრომის ბაზრის ამერიკული მოდელის სახელწოდება.

შრომის ბაზრის მეორე სახე ორიენტირებულია მუშაკთა შიდასაფირმო მოძრაობაზე როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური ხაზით. შრომის ბაზრის ასეთი სახე, რომელიც პირობითად საშინაო ბაზრად იწოდება, ყველაზე მეტად დამახასიათებელია იაპონიისათვის. მას შრომის ბაზრის იაპონურ მოდელსაც უწოდებენ და მისი თავისებური ნიშანი არის მუშაკის დაქირავება მთელი სიცოცხლით. შრომის ბაზრის იაპონური მოდელისათვის დამახასიათებელია კომპანიის ხელმძღვანელის პატერნალისტური დამოკიდებულება პერსონალისადმი.

ცნობილია შრომის ბაზრის შვედური მოდელიც. მისი თავისებურება არის დასაქმებაში სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკა. 1993-1994 წლებში შვედეთმა სამუშაო ძალის დასაქმების და გადამზადების მხარდაჭერის პროგრამის შესრულებაზე დახარჯა მთლიანი შიდა პროდუქტის 3,5 %.

<u>შრომის ბაზრის სეგმენტები.</u> შრომის ბაზრის სეგმენტაცია ეს არის გარკვეული ნიშნების მიხედვით მისი დაყოფა ნაწილებად, სექტორებად /სეგმენტები/.

შრომის ბაზარი შრომითი ურთიერთობების სტაბილურობის თვალსაზრისით იყოფა 3 სეგმენტად. ესენია: შრომის ბაზრის ბირთვი, პერიფერია და უმუშევრობა. მათ შორის ყველაზე მდგრადი სექტორია ბირთვი, ანუ შრომის პირველადი ბაზარი. ამ სექტორის პერსონალს სტაბილური დასაქმება აქვთ, მუშაობენ სრული სამუშაო დღის რეჟიმით და იღებენ მაღალ ხელფასს.

---

[1] Рынок труда, учебник, под ред. Буланова В.С.,М., «Экзамен», 2000, გვ. 51.

მეორე სეგმენტია პერიფერია, ანუ შრომის მეორადი ბაზარი. მისთვის დაშახასიათებელია ნაწილობრივი დასაქმება, სამუშაოს სეზონურობა, დაბალი ხელფასი, შრომატევადი და უინტერესო სამუშაო და ა.შ.

შრომის ბაზრის სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ხარისხის მიხედვით არჩევენ სეგმენტს, რომელიც კონტროლდება დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მიერ და, რომელიც არ კონტროლდება მის მიერ. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება შრომითი მოწყობა პირადი კონტრაქტებით.

მომუშავეთა ასაკის, სქესის, კვალიფიკაციისა და ჯანმრთელობის ნიშნიდან გამომდინარე, შრომის ბაზრის სეგმენტებს აკუთვნებენ: ქალთა სამუშაო ძალას, ინვალიდთა სამუშაო ძალას და ა.შ. საზღვარგარეთის ფირმებს ეძლევათ ინვალიდთა დასაქმების კვოტები და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში ისდიან გადასახადს ინვალიდთა პირობების გაუმჯობესების სპეციალურ ფონდში.

<u>უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. დასაქმების ფონდი.</u> დასაქმება, უპირველეს ყოვლისა, არის ხედვა, მუდმივი ძიების პროცესი, აგრეთვე სახელმწიფო საქმიანობის შედეგი, რომელიც ასახვას ჰპოვებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ყველა ღონისძიებაში. იგი უნდა გამომდინარეობდეს ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მიმართულებიდან, იქნება ეს ფისკალური, საინვესტიციო, ფულად – საკრედიტო, საგანმანათლებლო, პროტექციონისტული თუ სხვა.

დასაქმება, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, ზეგავლენას ახდენს ადამიანური რესურსების განვითარებაზე, მათი ცხოვრების წესის გააქტიურებაზე, საზოგადოებაში უმუშევრობით გამოწვეული სტრესული მდგომარეობის აღმოფხვრაზე.

დასაქმების პოლიტიკის შემდგომი გააქტიურება მოითხოვს იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბაზრო ეკონომიკის მკაცრ და სამართლიან პირობებში ამჟამად უმუშევრად რეგისტრირებული ადამიანის ეკონომიკურად აქტიურ პიროვნებად ფორმირებას. მუშაობა უნდა წარიმართოს იქითკენ, რომ დღეს სამუშაოს მაძიებელი ხვალ სამუ-

შაოს მიმცემად გადაიქცეს. რაც შეეხება უმუშევრობას, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც სადაზღვევო შემთხვევა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უმუშევრის სოციალური გარანტიები მისი კვალიფიკაციის, სამუშაო სტაჟის, შემოსავლების და ა.შ. ადეკვატურად.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს სოციალურ – ეკონომიკურმა მდგომარეობამ ბევრი ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობის წინაშე დააყენა ხელისუფლება, რომლებიც უცხო იყო გეგმიური ეკონომიკისათვის, მაგრამ საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისას ისინი რეგულირების აუცილებელი მექანიზმია. ასეთთაგანს მიეკუთვნება დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომლის „ისტორია" 1991 წლიდან იწყება. თავდაპირველად სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს სისტემაში სამი დამოუკიდებელი უწყების – დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის, დასაქმების დეპარტამენტის /შრომის ბირჟის/ და პროფესიული ორიენტაციისა და მომზადება – გადამზადების ცენტრის სახით იყო წარმოდგენილი. თითოეულ ამ უწყებას ფუნქციები ერთმანეთისაგან ჰქონდა გამიჯნული, არ არსებობდა სრულფასოვანი კოორდინაციის სისტემა, რითაც დაირღვევა საქმიანობის მიზეზ - შედეგობრივი კავშირი და შესაბამისად, შედეგები არასახარბიელო იყო. წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, 1998 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს გადაწყვეტილებით სამივე უწყება დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბაზაზე გაერთიანდა.

აქვე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ რეორგანიზებული ფონდი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე იყო სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეული და ახდენდა მის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის აღსრულებას ისეთ ძირითად მიმართულებებში, როგორიცაა:

- შრომის ბაზრის რეგულირების ხელშეწყობა;
  სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია – აღრიცხვა;
  უმუშევრების სახელმწიფო სოციალური გარანტიებით, მ.შ. შემწეობით, პროფესიული ორიენტაციით, გადამზადებით უზრუნველყოფა;

- დროებითი სამუშაოების ორგანიზაცია და სხვა;

მიუხედავად არსებობის მცირე პერიოდისა, აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო ინსტიტუტი მუდმივი სისტემური და სტრუქტურული ტრანსფორმაციის ობიექტი იყო, რამეოუ საერთაშორისო გამოცდილება, ქართული მენტალიტეტი და პოსტსაბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი მოვლენები მუდმივ ცვალებადობას და განვითარებას გვკარნახობდა.

საქართველოში წარმოდგენილი დასაქმების სახელმწიფო სისტემის – დასაქმების სახელმწიფო ფონდის ერთიან სახელმწიფო ინსტიტუტად ჩამოყალიბებამ უზრუნველყო დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების სისტემატიზაცია, შრომით ბაზარზე მიმდინარე პროცესების რეგულირების მექანიზმების ეტაპობრივი ამოქმედება. პარალელურად გამოიკვეთა დასაქმების პრობლემათა გადაწყვეტის ერთიანი მიდგომის უპირატესობა უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა მომსახურებისა და სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფის, სამუშაო ძალის ეფექტური გამოყენებისათვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავების თვითდასაქმებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის საქმეში, მეწარმეებთან ურთიერთობაში – ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობდა შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესების რეგულირებას. სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფოში ამ სფეროში ყოველივეს ეფექტურად კეთების ჩამოყალიბებული ნების საფუძველზე შეიქმნა დასაქმების ფონდის რაიონული განყოფილებები, მ.შ. ქ.თბილისის რაიონებში, სამაჩაბლოს და კოდორის ხეობაში.

დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი შეიქმნა, როგორც დამოუკიდებელი საფინანსო სისტემა. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული და შრომის სახელმწიფო ბირჟის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიების დაფინანსება.

ფონდის სახსრების ძირითადი წყაროა საწარმო-ორგანიზაციებიდან სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხები /3% - ის ოდენობით/, რომელთა მობილიზაციის მიზნით საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1991 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით დაამტკიცა დებულება „საქართველოს დასაქმების ერთიან სა-

ხელმწიფო ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების ამოღების შესახებ".

ამავე წლის 25 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცდა: „საქართველოს შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის დებულება", „საქართველოს შრომის სახელმწიფო ბირჟის დებულება", დებულება „უმუშევართათვის შემწეობის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" და დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში დროებითი სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ".

უნდა ითქვას, რომ დასაქმების სფეროს მარეგულირებელმა სამსახურებმა ფუნქციონირება დაიწყეს საქართველოსათვის მეტად მძიმე პერიოდში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ფაქტობრივად დაიშალა არსებული ეკონომიკური სისტემა, მოიშალა ძველი სამეურნეო კავშირები, ამას დაემატა სამოქალაქო ომის უმძიმესი შედეგები, კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში და მასთან დაკავშირებული დევნილთა პრობლემა, რომელმაც კიდევ უფრო გაარღმავა ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკური კრიზისი. ამან გამოიწვია ეკონომიკური აქტივობის არსებითი შემცირება, ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრი ამაღლება, ჰიპერინფლაციური პროცესების განვითარება, პროდუქციის გამოშვების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება და უმუშევრობის დონის ამაღლება. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნულ ვითარებაში დასაქმების სამსახურის სამივე რგოლმა, რომელთა საქმიანობას კოორდინაციას უწევდა შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო, მოსახლეობის სოციალური დაცვის, უმუშევართა სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფის და მათი გარკვეული კატეგორიების დასაქმების საკითხების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 აგვისტოს №502 ბრძანებით, საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით, შრომის სახელმწიფო ბირჟას ეწოდა დასაქმების დეპარტამენტი, რომლის ფუნქციები პრაქტიკულად იგივე დარჩა, ერთი განსხვავებით, დასაქმების სამსახურში აღრიცხული სამუშაოს მაძიებ-

ლებთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზის გარდა, დაემატა ზოგადად შრომის ბაზრის მონაცემთა ანალიზი.

საქართველოში წარმოდგენილი დასაქმების სახელმწიფო ფონდის ერთიან სახელმწიფო ინსტიტუტად ჩამოყალიბებამ უზრუნველყო დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების სისტემატიზაცია, შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესების რეგულირების მექანიზმების ეტაპობრივი ამოქმედება. პარალელურად გამოიკვეთა დასაქმების პრობლემათა გადაწყვეტის ერთიანი მიდგომის უპირატესობა უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა მომსახურებისა და სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფის, სამუშაო ძალის ეფექტური გამოყენებისათვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავების, თვითდასაქმებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის საქმეში, მეწარმეებთან ურთიერთობაში – ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესების რეგულირებას.

ქვეყანაში დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზება არ არის მხოლოდ ერთი უწყების პრეროგატივა, ამიტომ რეორგანიზებულმა დასაქმების ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა თავის საქმიანობაში პრიორიტეტულ მიმართულებად დასახა დარგობრივ უწყებებთან ურთიერთობა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო, დარგის განვითარების ადეკვატურად დასაქმების პროცესების პროგნოზირება, პროგრესულ პროფესიებზე მოთხოვნის განსაზღვრა, რეგისტრირებულ უმუშევართა დასაქმება, მათი გადამზადება შემდგომი დასაქმების პერსპექტივით და სხვა ამ მიზნით:

- პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №92 განკარგულების „ტურიზმისა და კურორტების სფეროში დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ“ საფუძველზე, დასაქმების ფონდისა და ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალისტებისაგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც საქმიანობას წარმართავდა ამ სფეროში დასაქმების ხელშეწყობის გლობალური და ლოკალური პროგრამების შემუშავების მიმართულებით. ერთ-ერთი ასეთი პროგრამის საფუძველზე 1999 წლის ოქტომბრის დასაწყისში დაიწყო ახალგაზრდა უმუშევართა გადამზადება დარგისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ

სპეციალობაზე: მეტრდოტელი, რეგისტრატორი, ბარმენი და სხვა.

სოციალური ინვესტიციებისა და დასაქმების ფონდის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგი იყო სოციალური ინვესტიციების ფონდის სახსრებით განხორციელებულ პროექტებში რეგისტრირებულ უმუშევართა დასაქმება.

- დასაქმების რეგიონალური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით დასაქმების ფონდი თანამშრომლობდა სახელმწიფო კანცელარიის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურთან, სამხარეო ადმინისტრაციებთან. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ დასაქმების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა ერთობლივი ღონისძიებები სამაჩაბლოსა და კოდორის ხეობის ხელმძღვანელობასთან ერთად, რომელთა ძირითადი ნაწილი რეალიზებულია.

დასაქმების პრობლემების წარმატებით გადასაჭრელად აუცილებელია სახელმწიფოში არსებული შესაბამისი ინფორმაციის მიღება – გაანალიზება. ამ მიზნით დასაქმების ფონდი, 1999 წლის დასაწყისიდან აქტიურად თანამშრომლობდა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან. წარმატებით იმუშავა ერთობლივმა სამუშაო ჯგუფმა, რომლის საქმიანობის მიზანი იყო სტატისტიკური ინფორმაციის შეჯერება, შრომის ბაზრის ანალიზისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება და დამუშავების სისტემის შექმნა.

- საერთაშორისო პროგრამების რეალიზებისას დასაქმების პროცესების რეგულირების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან „ბისეკის“ და „აბრეშუმის გზის“ პროექტებში შრომითი მიგრაციის, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, გადამზადების და სხვა საკითხების დასარეგულირებლად.

- ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში დასაქმების პროცესების პროგნოზირებისა და ხელშეწყობის, აგრეთვე, მსხვილი უცხოური ინვესტიციებით რეალიზებული პროგრამების განხორციელებისას რეგისტრირებულ უმუშევართა დასაქმების მიზნით მუშაობა მიმდინარეობდა ეკონომიკის, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა სამინისტროებთან.

დასაქმების ფონდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მეწარმეებთან და მეწარმეთა გაერთიანებებთან თანამშრომლობის გაღრმავებას რეგისტრირებული უმუშევრობის დასაქმებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის მიზნით. ფონდი აწყობდა სხვადასხვა სახის ერთობლივ ღონისძიებებს.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 7 მაისის №180 ბრძანებულებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის" დებულება, რომლის შესაბამისად ფონდი ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა საერთო რაოდენობამ 2000 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 121,7 ათასი კაცი /რომლის 96%, ანუ 116,9 ათასი კაცი უმუშევარია/, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 14,5% - ით აღემატება / იხ. ცხრილი 8 /.

2000 წლის განმავლობაში დასაქმების სამსახურების მეშვეობით მთლიანად დასაქმდა სამუშაოს 10,3 ათასი მაძიებელი, ნაცვლად წინა წლის შესაბამის პერიოდში დასაქმებული 12,6 ათასი კაცისა.

დღევანდელ პირობებში, როდესაც სამუშაო ადგილების რაოდენობა შეზღუდულია, გაძნელებულია ახალგაზრდების დასაქმება, რაც გამოწვეულია მათი დაბალი კვალიფიციური მახასიათებლებით. ამის ნათელი დადასტურებაა დასაქმების ფონდში რეგისტრირებულ უმუშევართა შორის 30 წლამდე ასაკის მაღალი ხვედრითი წილი, რომელიც შეადგენს 34% - ს.

რეგისტრირებულ უმუშევრებს შორის აგრეთვე მნიშვნელოვანი წილი /23%/ უკავია წინასაპენსიო ასაკის პირებს, რომელთა გამოთავისუფლება პირდაპირ კავშირშია უკანასკნელი წლების საერთო ეკონომიკური კრიზისის შედეგად სამრეწველო საწარმოების გაჩერებასთან. უმუშევართა ეს კატეგორია თავისი სპეციფიკის გამო, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნაკლებ მობილურია და ამიტომ გაძნელებულია მათი დასაქმება.

ცხრილი 8

დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ანგარიშგება სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციისა და დასაქმების შესახებ ჯამური ფორმა 2000 წლის დეკემბრის თვე

რაოდენობა მაჩვენებელი	სტრიქონის კოდი	საანგარიშო პერიოდის ბოლოს		საანგარიშო პერიოდის განმავლობაში		საანგარიშო წლის დასაწყისიდან	
		სულ	მ.შ. ქალი	სულ	მ.შ. ქალი	სულ	მ.შ. ქალი
1	2	3	4	5	6	7	8
რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი /02 – 05/	01	121 702	63 801	1 958	897	26 401	9 232
უმუშევარი	02	116 889	61 440	1 904	856	25 492	8 818
დასაქმებული, რომელსაც სურს სამუშაოს შეცვლა	03	2 117	1 022	21	16	326	162
მოსწავლე /სტუდენტი/	04	1 392	716	23	15	301	102
პენსიონერი	05	1 304	623	10	10	292	150
იძულებით გადაადგილებული პირი	06	5 859	3 058	29	22	575	257
02 სტრიქონიდან	07	116 889	61 440	1 904	856	25 482	8 818
ასაკის მიხედვით							
30 წლამდე	08	39 256	19 448	663	284	7 325	2 826
50 წლის ზემოთ	09	25 903	12 207	292	126	4 885	1 500
განათლების მიხედვით							
უმაღლესი	10	34 056	19 264	494	287	6 931	3 032
პროფ.ტექნიკური	11	31 312	16 932	451	232	6 493	2 463
საშუალო	12	46 228	21 641	923	318	11 762	3 171
პროფესიის მიხედვით /13-15/							
მუშა	13	44 697	20 532	874	268	11 012	2 717
სპეციალისტი	14	50 834	27 794	633	342	10 620	4 397
უმცროსი მომს.პერსონალი	15	21 358	13 114	397	246	3 850	1 704
უმუშევრობის ხანგრძლივობის მიხედვით / 16 – 18 /							
1 წლამდე	16	20 102	10 510	975	465	9593	4535
1 – 3 წელი	17	40 739	22 021	462	221	7104	2280
3 წლის ზემოთ	18	56 048	28 909	467	170	8785	2003

1	2	3	4	5	6	7	8
გაიგზავნა გადასამზადებ-	19	X	X	2848	212	3361	373
ლად	20	X	X	1123	458	11976	4454
მოიხსნა აღრიცხვიდან							
შემწეობის მიმღებ	21	2 829	1766	X	X	X	X
უმუშევართა რაოდენობა	22	X	X	541	365	4783	2887
დაეხმარა შემოწმება	23	X	X	410	224	3696	2207
მოეხსნა შემოწმება							
უმუშევარი, რომელსაც	24	2 689	1655	X	X	X	X
დაერიცხა შემოწმება							
შემოწმების მიღების							
ვადის მიხედვით							
/25 – 27/	25	995	676	X	X	X	X
1-2 თვე	26	681	462	X	X	X	X
3-4 თვე	27	1 013	517	X	X	X	X
5-6 თვე							

ქვეყანაში განსაკუთრებით მწვავედ დგას უმაღლესი განათლების პირთა დასაქმების პრობლემა /რეგისტრირებულ უმუშევრებს შორის მათი წილი 30%-ია/. განათლების ევროპული ფონდის ინფორმაციით, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობაში უმაღლესი განათლების მქონე პირები მთლიანობაში უკეთესად იყვნენ დაცულნი უმუშევრობისაგან. გამონაკლისი ამ წესიდან საქართველოა, სადაც უმაღლესი განათლების მქონე პირებს შორის უმუშევრობის პროცენტი უფრო მაღალია, ვიდრე ზოგადი და პროფესიული განათლების მქონე პირებს შორის. ეს გამოიწვია 90-იან წლებში მომრავლებული არასახელმწიფო, საერო უმაღლესი სასწავლებლების მიერ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მასობრივმა, უკონტროლო გამოშვებამ. აღნიშნული კონტინგენტის უდიდესი ნაწილი ვერ პოულობს პროფესიის შესაბამის სამუშაოს, რაც გამოწვეულია მათი პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის შეუსაბამობით საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან. ყოველივე ამან წარმოშვა უკიდურესად მძიმე, ძნელად გადასაჭრელი პრობლემები, ვინაიდან მათი დასაქმება სპეციალობის მიხედვით გაძნელებულია.

განათლების იმავე ევროპული ფონდის ინფორმაციით, 90-იან წლებში საქართველოში განათლებაზე გამოყოფილი თანხების მოცულობა მერყეობდა ეეპ (ერთობლივი ეროვნული პროდუქტი) – ის 1% - ის ფარგლებში, მაშინ როდესაც იგივე მაჩ-

ვენებელი ბელორუსიაში, უზბეკეთსა და მოლდოვაში შეადგენდა დაახლოებით 7% -ს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში საბჭოური მემკვიდრეობის ზეგავლენით, დაფინანსება /როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან/ უპირატესად მიმართულია არა პროფესიული, არამედ ზოგადი განათლების სისტემის განვითარებისაკენ. შესაბამისად პროფესიული განათლების სისტემაზე გამოყოფილი სახსრები არ ყოფნის აღნიშნულ სფეროში დასაქმებული მუშახელის ხელფასის ფონდის ფორმირებას, რომ არაფერი ვთქვათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება-განახლებაზე. ამასთან მოსახლეობაშიც ნიპილისტური დამოკიდებულებაა პროფესიულ სასწავლებლებში შეძენილ ჩვევებზე მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამიტომ ზოგადი და უმაღლესი განათლების სისტემაში ცოდნის მიმღებთა ხვედრითი წილი მუდმივად მატულობს პროფესიული განათლების სისტემის საპირისპიროდ. ეს უარყოფითად მოქმედებს სამუშაო ძალის პროფესიულ – ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

საქართველოში ქრონიკული უმუშევრობის არსებობაზე მიუთითებს რეგისტრირებულ უმუშევრებს შორის სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უმუშევართა მაღალი ხვედრითი წილი, რომელიც შეადგენს 48%-ს. ეს ფაქტი ადასტურებს ქვეყანაში არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის არსებობას, თავისუფალი სამუშაო ადგილების დეფიციტს და ამ კატეგორიის უმუშევრების დაბალკონკურენტუნარიანობას. აღნიშნული საკითხი მეტად რთული პრობლემაა, რადგან მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები მეტად მძიმეა.

ქვეყნის რეგიონებში არსებული დასაქმების ტენდენციების და უმუშევართა სოციალური მდგომარეობის ერთმნიშვნელოვანი შეფასება შეუძლებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რიგ რეგიონებში შრომის ბაზარზე კრიტიკული სიტუაცია ჩამოყალიბდა, რომელიც ხასიათდება: „თვითრეგულირების“ მექანიზმის არარსებობით, კრიზისული მდგომარეობის სტიქიური კვლავწარმოების მნიშვნელოვანი ტენდენციებით, პროფესიულ– კვალიფიკაციური მახასიათებლების მკვეთრი გაუარესებით; სამუშაო ადგილების მიწოდების დეფიციტითა და უმუშევართა დასაქმების შესაძლებლობების შემცირებით.

დასაქმების მაჩვენებლების შემცირება ძირითადად აღინიშნა: თბილისში, აჭარაში, ქვემო ქართლში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთში. ამასთან ერთად რიგ რეგიონებში: იმერეთში, მცხეთა-მთიანეთსა და გურიაში აღინიშნა წინა წლის შესაბამისი მაჩვენებლების უმნიშვნელო გაუმჯობესება. გაიზარდა აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის დასაქმება: აფხაზეთის დასაქმების ფონდმა 1999 წელს დაასაქმა 200 ლტოლვილი უმუშევარი, ხოლო 2000 წელს – 473.

შრომის რეგიონალურ ბაზარზე არსებული ვითარება საჭიროებს დასაქმების ადგილობრივი სამსახურის როლის გააქტიურებას, მთლიანად, დასაქმების ერთიანი სისტემის რეორგანიზაციის ფონზე.

ქვეყნის მასშტაბით, მასობრივი უმუშევრობის კრიზისიდან თავის დაღწევა კი მოითხოვს ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების გაღრმავებას და საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სამამულო წარმოების აღორძინებას. რეფორმების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ადგილობრივი წარმოება ფეხის ადგმას და საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაბმას, თუ რამდენად ეფექტურად მონახავს იგი ადგილს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. მეწარმეებმა უნდა აწარმოონ მაღალი ხარისხის საქონელი, რომელიც როგორც შიდა, აგრეთვე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციას უწევს სხვა ქვეყნის პროდუქციას. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის დონის შემცირება.

უმუშევართა დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით აქტიურად გამოიყენება უმუშევართა მომზადება – გადამზადების, დროებითი დასაქმების, თვითდასაქმებისა და სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები.

2000 წლის მეორე ნახევრიდან უმუშევართა მომზადება – გადამზადების ეფექტურობის ამაღლების მიზნით დაინერგა განათლების სფეროს სასწავლო დაწესებულებებთან შეკვეთების სისტემა, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეზარდა უმუშევართა გადამზადების სპექტრი 4-დან 32 სხვადასხვა პროფესიამდე.

შრომის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უმუშევრის მომზადება - გადამზადების დასაფინანსებლად, ფონდმა 2000 წლის განმავლობაში რეგიონებში სულ გადარიცხა 338 847 ლარი. მათგან 44 პროექტის რეალიზაცია დაიწყო 2001 წლის პირველ კვარტალში. გადამზადებული კონტინგენტის საერთო რაოდენობამ შეადგინა 3 424 უმუშევარი, რაც 2,5 – ჯერ აღემატება 1999 წლის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო ერთი უმუშევრის გადამზადების საშუალო ღირებულებამ კი შეადგინა 99 ლარი, ანუ წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 3,8- ჯერ ნაკლები.

2001 წლის პირველ კვარტალში ფონდში წარმოადგინეს უმუშევართა მომზადება – გადამზადების 38 პროექტი, რომელთაგან მომზადება – გადამზადების პროგრამის მიზნებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ, მიზანშეწონილად ჩაითვალა – „საყრდენ – მამოძრავებელი აპარატის დაზიანების მქონე ინვალიდების აქტიური ცხოვრების სწავლების პროგრამა ვიქტორია – 2001“ – ის დაფინანსება. ხოლო დანარჩენი პროექტების დაფინანსება მოხდება შერჩევითი წესით, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მათი აქტიურობისა და ფონდის ბიუჯეტის გათვალისწინებით.

როგორც განვლილი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, უმუშევართა მომზადება – გადამზადების სფეროში 2000 წელს განხორციელებულმა რეფორმებმა, გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო. იგი გამოიხატა: ერთი უმუშევრის გადამზადების საშუალო ღირებულების შემცირებაში, გადასამზადებელი კონტინგენტის რაოდენობის ზრდაში, სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლებაში.

აქრიგად, უმუშევართა მომზადება – გადამზადების რეფორმირებული სისტემის გამართულ მუშაობას განაპირობებს: მოქნილობა და შრომის ბაზართან ადაპტირება /კონკრეტული მიკროპროექტები გამომდინარეობენ შრომის ლოკალური ბაზრის და რეგიონის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებიდან/, მუდმივი ხარჯების არარსებობა, გადამზადების ფართო სპეციალიზაცია და მასშტაბურობა /გადამზადება ხდება 30-ზე მეტი სახეობის სპეციალობაზე და ყველა რეგიონში/,

შეკვეთის დროს კონკურენციის ფაქტორების სრული გათვალისწინება.

მომზადება-გადამზადების აღნიშნული სისტემისათვის დამახასიათებელია მომზადება-გადამზადების ორგანიზაცია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით:

შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე;

ორგანიზაცია – დაწესებულებებისა და საწარმოების კონკრეტული შეკვეთების შესაბამისად.

მომზადება – გადამზადების პროექტების შემუშავება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ლოკალურ შრომის ბაზარზე არსებული სოციალურ – ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

მაი შემუშავება ეყრდნობა რიგ უმთავრეს პრინციპებს, რომელთაც ახასიათებს კონცეპტუალური მიდგომა დასაქმების პრობლემისადმი. ამ პრინციპებს განეკუთვნება:

- შრომის ბაზარზე აქტიური პოლიტიკის პრიორიტეტები /შრომის მოწყობაში ხელშეწყობა, თვითდასაქმების ხელშეწყობა, შრომის ბაზარზე უმუშევართა კონკურენტუნარიანობის ამაღლება, შრომითი რესურსების კვლავწარმოების პროცესის ხელშეწყობა/;

- ფინანსური საშუალებების ეფექტური გამოყენება;

- პროექტის პრიორიტეტების განსაზღვრა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით.

უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების სფეროში დასავლეთის მოწინავე, პოზიტიური გამოცდილების გაზიარების მიზნით, ქართული მხარე თანამშრომლობს უცხოეთის ქვეყნების შესაბამისს სამსახურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ურთიერთობები შვედეთის ეროვნული შრომის ბაზრის საბჭოსთან.

შრომის ბაზრის სექტორის ფარგლებში საქართველოსა და შვედეთს შორის 1999 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის მიზანია საქართველოში დასაქმების პროცესების ხელშემწყობი პროექტის განხორციელება.

პროექტის მიზანია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, დასაქმების სფეროში შვედური შრომის ბაზრის ადმინისტრაციის გამოცდილების დანერგვა და თანამედროვე ევროპული ტიპის დასაქმების სამსახურების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, საქართველოში შრომის ბაზრის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებების დასახვა უახლესი ორი – სამი წლისათვის.

პროექტი ოთხი ნაწილისაგან შედგება:

შრომის ბაზრის პოლიტიკა და შრომის ბაზრის მმართველობის სტრუქტურა;

შრომის ბაზრის ტრეინინგი;

შრომის ბაზრის ღონისძიებები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე;

ადგილობრივი დასაქმების სამსახურების განვითარება;

ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პარტნიორია შვედეთის ეროვნული შრომის ბაზრის საბჭო.

პროექტის ფარგლებში დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის თანამშრომლები 1999 წლის IV კვარტალში იმყოფებოდნენ შვედეთში. სასწავლო პროგრამის შესაბამისად, მოეწყო შეხვედრები შვედეთის ეროვნული შრომის ბაზრის საბჭოში /AMS/, შვედეთის დასაქმების საოლქო საბჭოში /LAN/ და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც შეისწავლეს შრომის ბაზრის პოლიტიკასთან დაკავშირებული შვედური მეთოდები და გამოცდილებები, ანუ:

კანონმდებლობა;

შრომის ბაზრის მმართველობის სტრუქტურა;

შრომის ბაზრის პოლიტიკის მიზანი და საშუალებები;

დასაქმების სამსახურის როლი;

შრომის ბაზრის ანალიზი და პროგნოზირება;

შრომის ბაზრის ტრეინინგი დამქირავებელთა და სამუშაოს მაძიებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამები.

1999 – 2000 წლებში შვედეთის მხარემ საქართველოში განახორციელა ორი ორკვირიანი და სამი ერთკვირიანი სასწავ-

ლო პროგრამები, რომლის მიზანიც იყო კონსულტაციების გაწევა მენეჯმენტის, კანონმდებლობისა და დასაქმების პოლიტიკის სფეროში, აგრეთვე, კონკრეტული ღონისძიებების დასახვა შრომის ბაზრის პოლიტიკის სტრუქტურის /ანალიზი, პროგნოზირება, კანონმდებლობა, ორგანიზება/ შემდგომი განვითარებისათვის და შრომის ბაზრის ტრეინინგის ჩატარების უნარის გაზრდისათვის.

2000 წლის მეორე ნახევარში დასაქმების ფონდის დელეგაცია მიეწვინებით იმყოფებოდა შვედეთში, რომლის დროსაც გაეცნო შვედეთის მხარის მიღწევებს შრომის ბაზრის პოლიტიკის სრულყოფის სფეროში. საქართველოს მხარემ, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღო შვედეთის განვითარების სააგენტო SIDA-ს მიერ ქ. სანკტ-პეტერბურგში ორგანიზებულ სემინარში, სადაც განიხილებოდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დასაქმების ეფექტური სისტემების ჩამოყალიბების პრობლემები და გადაჭრის გზები.

თავი V. საბანკო სისტემა

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ურთულესი სფეროა. ადმინისტრაციულ - საკომანდო ეკონომიკის პირობებში ფულად - საკრედიტო სისტემა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რამეთუ ეკონომიკა უმთავრესად ნატურალური მეურნეობის პრინციპებზე იყო აგებული. საბაზრო ურთიერთობები კი წარმოუდგენელია ფულად - საკრედიტო სისტემის აქტიური ფუნქციონირების გარეშე. საბანკო სისტემა უშუალოდ ზემოქმედებს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად ნებისმიერ სფეროზე და ამასთან ერთად, თვით საბანკო სისტემა არის გარკვეული აზრით ცალკე სამყარო, რომელსაც ახასიათებს განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები.

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში საბანკო სისტემას განვითარების მდიდარი ისტორია აქვს. დღევანდელი საბანკო ინდუსტრია ურთულესი ფულად – საკრედიტო ეკონომიკური მექანიზმია, რომელიც განსაზღვრავს მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას.

საქართველო დღეს დგამს პირველ ნაბიჯებს საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალ გზაზე. ასეთი ნაბიჯები საბანკო სისტემის რეფორმირებაში ძნელად გადაიდგმება და ეს არც არის გასაკვირი.

ყოფილი სსრ კავშირის ფარგლებში საქართველოს არ გააჩნდა თუნდაც იმდროინდელი უპირატესად ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელი საკუთარი საბანკო სისტემა. საქართველოში იყო ერთიანი, მოუქნელი საკავშირო საბანკო სისტემის ერთ-ერთი პატარა და თანაც რიგითი ნაწილი. ყოველივე, რაც საჭირო იყო ამ სისტემის ფუნქციონირებისათვის, წყდებოდა მოსკოვში. საქართველოში, ისე როგორც ყოფილი სსრ კავშირის სხვა რეგიონებში, ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ მათი მორჩილი აღსრულება.

<u>საბანკო საქმიანობის წარმოშობა.</u> საბანკო საქმიანობის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია კაპიტალთან, რომელსაც პროცენტები მოაქვს. ამ უკანასკნელს ისტორიულად წინ უსწრებდა სავახშო კაპიტალი, რომელიც უკვე არსებობდა

პირველყოფილი წყობილების პერიოდში. პროცენტების მომტანი კაპიტალის მოავარ ფორმად სასესხო კაპიტალი ითვლება. როგორც კი კერძო საკუთრება წარმოიქმნა, საქონელგაცვლიდან განვითარდა საქონლურ-ფულადი ურთიერთობანი, რაშაც გააძლიერა საზოგადოების ქონებრივი უთანაბრობა. სათავეში მდგომმა მდიდარმა წარმომადგენლებმა შესაძლებლობა მიიღეს ფული სესხად მიეცათ მათთვის, ვისაც იგი სჭირდებოდა. ასეთი სესხები, როგორც წესი, დაკავშირებული იყო მიწის საწინდართან. თუ მევალეს არ შეეძლო სესხის დაბრუნება, მაშინ საწინდარი მიწა სესხის მიმცემის საკუთრებაში გადადიოდა. თუ მსესხებელს მიწა არ ჰქონდა, მაშინ იგი თვითონ ხდებოდა დამოკიდებული. სავახშო კაპიტალის წარმოქმნასა და განვითარებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საბანკო საქმის წარმოშობა.

ბანკების ფუძემდებლური და საწყისი ფუნქცია გადასახადებში შუამავლობა იყო. ასეთი შუამავლობის შედეგად ბანკებმა თავისუფალი ფულადი კაპიტალი პროცენტის მომტანად აქცია. ისინი ფულად საშუალებებს ყველა შესაძლო წყაროებიდან აგროვებდნენ და კრედიტით აძლევდნენ მოთხოვნების შესაბამისად, პირველ ყოვლისა, გაბატონებულ კლასს. ბანკები და მისი მსგავსი ინსტიტუტები, ჯერ კიდევ, ძველად არსებობდნენ. ეგვიპტეში საბანკო ოპერაციები ხორციელდებოდა ჩვ. წ. აღ - მდე 2700 წელს. ბაბილონისა და ასურეთის მრავალრიცხოვანი დოკუმენტები, მაგალითად, ხამურაპის კანონების კრებული /1704-1662 ჩვ. წ. აღ.-მდე/ მოწმობს, რომ მაშინაც იყო თავისებური ვექსილი და ჩეკი, ხოლო სახსრების შენახვისა და სასესხო ოპერაციების ფორმები კანონებით რეგულირდებოდა. მაგალითად, სახსრების შენახვისათვის კანონი ითვალისწინებდა გადასახადს. იმ დროს სესხები გაიცემოდა არა მხოლოდ ფულადი ფორმით, არამედ ცალკეული საქონლის სახით, მაგალითად, ხორბლით, ფინიკით, შალით, თესლით, ზეთით და ა. შ. აქაც აგრეთვე, ხდებოდა პროცენტების დარიცხვა. ამასთან, საქონლის შესანახად გამოიყენებოდა მონასტრები, რადგან იქ უზრუნველყოფილი იყო უმაღლესი უსაფრთხოება.

მონათმფლობელურ საბერძნეთში მონასტრები, როგორც ფულის შენახვის ადგილები, წამყვან როლს ასრულებდნენ და კულტის მსახურებიც არსებითად თავისებურ ბანკირებად ითვლებოდნენ. ერნსტ კურტიუსი წიგნში „საბერძნეთის ისტორია“

წერს: ყველა წამყვან მონასტერთან დაკავშირებული იყო ფინანსების მართვა. ქურუმები ესწრაფოდნენ მონასტრის წლიური შემოსავლების გაზრდას მათი უნარიანი მართვით, მიწის არენდით, სესხების მომგებიანი გაცემის საშუალებით, რომელიც საკმარისი იქნებოდა არამარტო წეს-ჩვეულებების შესასრულებლად, არამედ მონასტრის ძლიერების განმტკიცებისათვის. მეხუთე ასწლეულში ჩვ.წ. აღ.-მდე რომში გაიცემოდა პროცენტიანი სესხები, საწინდარით, ან მის გარეშე, ხოლო 100 წლის შემდეგ გამოჩნდნენ „ბანკირები". მეორე პუნიკური ომის დროს /დაახლოებით 200 წ.ჩვ.წ. აღ.-მდე/ რომი ხმელთაშუა ზღვის წამყვან საფინანსო ცენტრად ითვლებოდა.

საგახშო კაპიტალმა თავის სრულ განვითარებას მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში მიაღწია. იგი ორი ძირითადი ფორმით არსებობდა: ფულადი სესხის სახით გაბატონებული კლასებისათვის /მონათმფლობელებისა და ფეოდალებისათვის/ და ფულადი სესხის ფორმით საქონლის მარტივი მწარმოებლებისათვის, ანუ გლეხებისა და ხელოსნებისათვის. ამ დროისათვის მევახშეებად უმთავრესად ვაჭრები, ფეოდალ-მიწათმოქმედნი, აგრეთვე მონასტრები გამოდიოდნენ. პროცენტული განაკვეთი განსაკუთრებით მაღალი იყო; იგი 40-დან 100%-ს შეადგენდა, ცალკეულ შემთხვევაში უფრო მეტსაც კი. მაღალი პროცენტები ეწინააღმდეგებოდა საწარმოო ძალების განვითარებას. ძირს უთხრიდა მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოების მეურნეობას.

ფეოდალიზმის პერიოდში მეფეები და თავადები, ომისა და შეჭირვების დროს, მიმართავდნენ მიმოქცევაში არსებული ლითონური ფულის გაფუჭებას. ამის შემდეგ გაჩნდა ზარაფის პროფესია, რომლებიც ამოწმებდნენ მონეტების ხარისხს და გაცვეთილის შეცვლის აუცილებლობისას, ახდენდნენ ახლის გამოჭედვას. ფულის ასეთმა გაცვლამ, ბოლოს და ბოლოს, გამოიწვია დეპოზიტური ოპერაციების განვითარება თანამედროვე გაგებით. პირველად ფული თავსდებოდა საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების სახით, იმ პირობით, რომ შემდგომ პარტნიორებს იგივე მონეტები დაუბრუნდებოდათ. შემდეგ დაიწყეს დეპოზიტების გამოყენება სესხისათვის, რამდენადაც მევახშეს უნდა დაებრუნებინა იგივე თანხა და არა იგივე ფული, როგორც ასეთი, ამიტომ ე.წ. შენახვის დეპოზიტები თანდათან გარდაიქმნენ

ბანკის დეპოზიტებად. კლიენტს შეჰქონდა ბანკში ფულადი თანხა იმისათვის, რომ გარკვეული დროის შემდეგ გადაეტანა იგი თავის სავაჭრო პარტნიორის ანგარიშზე. იმავდროულად მის საბანკო ანგარიშზე შედიოდა გადასახადები კლიენტებისაგან. ანგარიშებში დებიტური და კრედიტური ჩაწერების საშუალებით ხორციელდებოდა ფულის ბრუნვა. წარმოიქმნა სპეციალური ინსტიტუტები – ჟირო ბანკები /ჟირო ბერძნულია და წრეს ნიშნავს/, რომლებიც ამ ოპერაციებს ახორციელებდნენ.

პირველი ბანკი, თანამედროვე გაგებით, იტალიაში, ქ.გენუაში წარმოიქმნა 1407 წელს იმ დროისათვის იტალიაში, გამოჩნდა საბანკო საქმიანობის ახალი ინსტრუმენტები. წარმოიქმნა და განვითარდა ბუღალტრული აღრიცხვის ორმაგი სისტემა, რომელმაც თავისი მნიშვნელობა აქამდე შეინარჩუნა. მე-12 ასწლეულში იტალიაში პირველი ვექსილი გაჩნდა. მე-14 ასწლეულში ჩვეულებრივი გახდა ვექსილის წარმოდგენა არა მარტო შეანაბრის, არამედ მესამე პირის სასარგებლოდ. მე-17 საუკუნის ბოლოს შემოიღეს გადაცემითი წანაწერი /ინდოსამენტი/ ვექსილებზე, რაც აბსტრაქტულ საგადასახადო ვალდებულებად იქცა. იტალიაშივე დეპოზიტების ბაზარზე გაჩნდა ბანკნოტები. ეს განპირობებული იყო ეკონომიკური აუცილებლობით, საწარმოო ძალებისა და ვაჭრობის სწრაფი განვითარებით. ოქრო ფულის სახით არ კმაროდა და წარმოიქმნა მოთხოვნილება „სავაჭრო ფულზე". პირველად ეს ბანკნოტები სრულყოფილად უზრუნველყოფილი იყო დეპოზიტებით. როგორც კი ზარაფებმა შეამჩნიეს, რომ ყოველდღიურად ყველა ანაბარი არ გამოიყენებოდა თავისი პატრონების მიერ და, რომ ყოველდღიური მოთხოვნილება ყველა დეპოზიტის მხოლოდ განსაზღვრულ პროცენტს შეადგენდა, მაო დაიწყეს საგირაო ბილეთების მიცემა ვაჭრებზე დეპოზიტური დაფარვის გარეშე, და ამით თვითონ აძლევდნენ მათ კრედიტებს. ასეთი ბანკნოტი შეიძლება განვისილოთ, როგორც თანამედროვე ბანკნოტის წინამორბედი. მე-17 ასწლეულში, ინგლისში კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიაზე, ბანკნოტებმა ფართო გავრცელება მიიღეს მას შემდეგ, რაც ინგლისის ბანკმა, რომელიც 1664 წ. შეიქმნა, დაიწყო მათი მიმოქცევაში გამოშვება.

მევახშეების მონოპოლიური პოზიციები დაირღვა საშრეწველო და ვაჭარი კაპიტალისტების მიერ, რომლებმაც შემოი-

ღეს ერომანეთისათვის კრედიტების მიცემა ზომიერი პროცენტებით. მათ ბრძოლას მევახშეების წინააღმდეგ მრავალ ქვეყანაში მხარს უჭერდა სახელმწიფო. 1624 წ. ინგლისში მიიღეს კანონი, რომლითაც შეიზღუდა განაკვეთი რვა პროცენტით. 1651 წ. პროცენტის ზედა საზღვარი განისაზღვრა ექვსით, 1714 წ. - ხუთით. არსებობდა სპეციალური წესები იმ მევახშეთა დაჯარიმებისათვის, რომლებიც ეცდებოდნენ ასეთი შეზღუდვების გვერდის ავლას.

თანამედროვე საბანკო საქმის სათავეები უნდა ვეძებოთ, პირველ ყოვლისა, იტალიის უფრო ზუსტად, ჩრდილოეთ იტალიის, საშუალო საუკუნეების ზარაფების საქმიანობაში. ცნება „ბანკ“ მომდინარეობს იტალიური სიტყვისაგან „ ანცო“ /ზარაფების სკამი, ფულის მაგიდა/. ყველაზე გავლენიანი იყო კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ბანკები - კურიები. საყოველთაოდ ცნობილია მედიჩის სახელოვანი კლასიკური ლიტერატურის ბანკი, ფლორენციაში. დინასტია არსებობდა იქ პრაქტიკულად მე-15-დან მე-18 ს.-ის ჩათვლით. ფლორენციაში არსებული ბანკის მთავარ კანტორას 16 ფილიალი ჰქონდა ისეთ ქალაქებში, როგორიცაა, პარიზი, ლონდონი, ბრიუგე, ლიონი, ვენეცია, გენუა, რომი, ნეაპოლი. მთავარი კანტორა იძლეოდა ფულად გზავნილებს, რომლებსაც ყველა ფილიალი ანაღდებდა და აღნიშნავდნენ, რომ „მედიჩის სავაჭრო სახლი ანაზღაურებს თანხას დედამიწის ნებისმიერ კუთხეში ნამდვილი გზავნილების წარდგინებისას... ოქროს გულდენებში“. გერმანიაში აუგსბურგის და საბანკო სახლის ფიუგერებმა 1508 წ. შეძლეს მთელი თავისი რომის აგენტურის გაეროიანება პაპ იოანე მეორის ბანკში. მაგრამ ფიუგერები ახორციელებდნენ ოპერაციებს არა მარტო პაპთან, არამედ ევროპის მეფეებთან და კაიზერებთანაც.

კაპიტალიზმის სასაქონლო ფულადი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ბანკების წინაშე გაიხსნა სრულიად ახალი ჰორიზონტები. გამოჩნდა თავისუფალი კაპიტალი, რომელიც სესხად ეძლეოდა სამრეწველო კაპიტალისტებს რეალურად დაბალი პროცენტებით.

კაპიტალიზმის სასაქონლო ფულადი ურთიერთობები სასესხო კაპიტალის ფორმით გამოდის. გარეგნულად იგი არ განსხვავდება სავახშო კაპიტალისაგან. ორივეს პროცენტი მო-

აქვს. კრედიტორი ასესხებს ფულს, მევალე იხდის პროცენტებს და ვალდებულია დაფაროს ვალი. ურთიერთობანი კრედიტორსა და მევალეს შორის კაპიტალიზმში განსხვავებულია სხვა ფორმაციების შესაბამისი ურთიერთობებისაგან. წარმოების კაპიტალისტური წესისას მევალე ხდება კაპიტალისტი, რომელიც კრედიტს გასცემს მოგების მიღების მიზნით. მრეწველ კაპიტალისტს კრედიტის გადახდა შეუძლია მხოლოდ მოგების ნაწილით, რომელიც მიღებულია დაქირავებულ მუშათა ექსპლუატაციის საფუძველზე. მოგების პირველადი დანაწილება საშეწარმეო შემოსავლად და პროცენტად შემთხვევითი იყო. როცა იგი რეგულარულად იქცა, მოხდა კაპიტალ - მესაკუთრის გამოყოფობა კაპიტალ ფუნქციისაგან. კაპიტალისტთა ერთი ნაწილი იღებს პროცენტს, მეორე სამეწარმეო შემოსავალს. პირველი მათგანი ითვლება გაშესესებელ კაპიტალისტად, ანუ ბანკირად, მეორე - ფუნქციონალურ (მაგ. მრეწველ) კაპიტალისტად.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ბანკი, არც ისე უბრალოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. წესით ბანკები ფულის საცავებია. ამასთან ბანკის ასეთი და ამგვარი ცხოვრებისეული განმარტება არა თუ არ ხსნის მის არსს, არამედ მის ნამდვილ დანიშნულებას მალავს. სიტყვა „ბანკის“ /„ბანკი“ - მერხი, რომელზეც ფულად-საკრედიტო ოპერაციები სრულდება/ ტერმინოლოგიური დანიშნულება, ასევე თანამედროვე გამოთქმები, როგორიცაა: მონაცემთა ბანკი, მცენარეთა ბანკი, წიგნების ბანკი, რომელთაც ბანკთან, როგორც ასეთთან, არავითარი ურთიერთობა არა აქვს, კიდევ უფრო ართულებს საქმეს. რიგით მკითხველებს გაუჭირდებათ ბანკის არსის გარკვევა.

საბანკო დაწესებულებების საქმიანობა ისე მრავალმხრივია, რომ მათი ნამდვილი არსი, თურმე ნამდვილად განუსაზღვრელია. თანამედროვე საზოგადოებაში ბანკები სხვადასხვა ოპერაციებს ასრულებენ. ისინი არა მარტო ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობების ორგანიზაციას ახდენენ, არამედ მათი მეშვეობით ხორციელდება სახალხო მეურნეობის დაფინანსება, სადაზღვევო ოპერაციები, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, საშუამავლო გარიგებები და ქონების მართვა. საბანკო დაწესებულებები გამოდიან კონსულტანტების სახით, მონაწილეობენ სახალხო მეურნეობის

პროგრამების განხილვაში, აწარმოებენ სტატისტიკურ აღრიცხვას, აქეთ დამსმარე მეურნეობები.

სანამ ბანკის არსის შესახებ ვუპასუხებდეთ კითხვას, აუცილებელია განვსაზღვროთ, თუ როგორი ამოცანებია მის წინაშე დასმული. ბოლოს და ბოლოს ბანკის არსის ცოდნა, როგორც ნებისმიერი სხვა მოვლენისა, მოითხოვს პასუხს იმ კითხვაზე, რითაა ის დაკავებული, როგორ ოპერაციებს ასრულებს, ან ასრულებდა თავისი ისტორიული განვითარების პროცესში, არამედ იმაზე, თუ როგორი თვისებები ახასიათებს მას, როგორია მისი სპეციფიკა, როგორია მისი საფუძველი დაბოლოს, როგორია მისი შინაგანი სტრუქტურა და, უპირველეს ყოვლისა, რომელი ოპერაციები უნდა შეასრულოს.

<u>ბანკი, როგორც საწარმო.</u> ამასთან დაკავშირებით ლოგიკურია ბანკის არსის განმარტება არა როგორც ორგანიზაციისა, არამედ, როგორც საწარმოსი. სწორედ ასე ხასიათდებოდა ის ზოგიერთ საბჭოთა გამოცემაში. ბანკისათვის შესაბამისი სოციალური ელფერის მისაცემად, იგი განისაზღვრებოდა არა როგორც წარმოება, არამედ, როგორც კაპიტალისტური წარმოება, არა უბრალოდ ბანკი, არამედ კაპიტალისტური ბანკი. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა ბანკის არსის შეცნობაში წინ არ გვწევდა, პირიქით, მისი ჭეშმარიტი გაგებისაგან გვაშორებდა. ბანკის, როგორც კაპიტალისტური წარმოების განსაზღვრა, ჯერერთი ბანკს წარმოადგენდა როგორც კაპიტალისტური მეურნეობის მოვლენას, რაც ისტორიულ პროცესს არ შეესაბამება /ბანკები, როგორც ფეოდალიზმის, ასევე მონათმფლობელური წყობილების დროსაც არსებობდნენ/. მეორეც – შემდგომი საზოგადოებრივი წყობილების განვითარების დროს მის არსებობას უარყოფდა. პირველ ეტაპზე სწორედ ასეთ დასკვნამდე მიდიოდა მრავალი ეკონომისტი, რომელსაც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ბანკები თავისებურ „არა ბანკებად“ გამოაცხადეს, რომლებიც კაპიტალისტური ბანკებისაგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ. სამწუხაროდ, საბჭოთა ბანკს აღნიშნულმა განმარტებამ ცუდი სამსახური გაუწია, რომლის განვითარებაც მისი ჭეშმარიტი არსის უარყოფის გზით მიდიოდა. ბანკისაგან, როგორც საწარმოსაგან, მისი საქმიანობის მოწყვეტით, იმის გარკვევის გარეშე, თუ რა „ამახინჯებს“ ბანკს, რო-

გორც კაპიტალისტურ დაწესებულებას, პრაქტიკულად, ჩვენ ნამდვილად გადავაქციეთ ის „არაბანკად“. მუშაობის ისეთი მეთოდების კულტივირება დავიწყეთ, რომელიც მისთვის, როგორც ეკონომიკური ინსტიტუტისათვის, უჩვეულოა.

ბანკის, როგორც კაპიტალისტური საწარმოს განსაზღვრებას, მეორე ნაკლიც გააჩნია: იგი ბანკის, როგორც საწარმოს საგვარეულო ფესვების გამოვლენის საშუალებას არ იძლეოდა. ყველაფერი დაიყვანებოდა სოციალურ იერამდე, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, მის ეკონომიკურ არსს ხაზს არ უსვამდა.

ბანკი, როგორც ნებისმიერი სხვა საწარმო, დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტია, იურიდიული პირის უფლებები აქვს, აწარმოებს და რეალიზაციას უკეთებს მომსახურებას, სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპით მოქმედებს. ბანკის, როგორც საწარმოს, ინტერესებიც ცოტათი თუ განსხვავდება. იგი თავისი მომსახურებით ისეთი საკითხების გადაწყვეტას ახორციელებს, რომლებიც საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან არის დაკავშირებული. იგი, მიღებული მოგების საფუძველზე, როგორც ბანკის ქონების მესაკუთრეთა, ასევე მისი კოლექტივის წევრების სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს ახორციელებს.

ბანკს ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა შეუძლია განახორციელოს /რასაკვირველია, თუ ისინი ბანკის წესდებიდან გამომდინარე, ქვეყნის კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგებიან/. ბანკს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საწარმოს, სპეციალური ნებართვა /ლიცენზია/ უნდა ჰქონდეს.

ამასთან ბანკს, როგორც საწარმოს თავისი სპეციფიკა გააჩნია. მისი საქმიანობა, სხვა საწარმოების საქმიანობისაგან განსხვავდება. განსხვავება შემდეგშია:

უწინარეს ყოვლისა, ბანკები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებისგან განსხვავებით, გაცვლის და არა წარმოების სფეროში მოქმედებენ. ამ გარემოებამ რიგ ავტორებს საშუალება მისცა ბანკი სავაჭრო საწარმოებად ჩაეთვალათ. შემთხვევითი არაა საბანკო საქმიანობის სავაჭროსთან ასოცირება. სინამდვილეში, ბანკები რესურსებს, თითქოსდა „ყიდულობენ“ და „ყიდიან“, ამით განაწილების სფეროში ფუნქციონირებენ, საქონლის გაცვლას ხელს უწყობენ. ბანკებს თავიანთი „გამყიდველები“

ჰყავთ, განსაკუთრებული „სასაქონლო მარაგი“ და საცავები გაა-ჩნიათ. მათი საქმიანობა ბევრადაა დამოკიდებული ბრუნვადობაზე. ამით ბანკსა და სავაჭრო სფეროს შორის მსგავსება ძირითადად მთავრდება.

უფრო მეტიც, მსგავსება გარეგნულ სახეს ატარებს, რადგან ბანკი, არა საქონლით, არამედ განსაკუთრებული საქონლით ვაჭრობს. მაგალითად, ცნობილია ისეთი ოპერაციები, რომლებსაც ბანკები ფულად ბაზარზე ვალუტის გაცვლით /ყიდვა - გაყიდვა/ აწარმოებენ. ამ დროს ერთი ქვეყნის ვალუტა /ან ოქრო/ განსაზღვრული კურსით და ფასით შეისყიდება, ან გაიყიდება.

აღნიშნული ოპერაციები ემსახურება რა საგარეო - ეკონომიკურ ურთიერთობებს, განსაკუთრებით იმ ბანკებში, რომლებიც საგარეო ვაჭრობის მომსახურებით არიან დაკავშირებული, აქციების და ობლიგაციების ყიდვა გაყიდვასთან ერთად, საბანკო მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირებას ახდენენ. ამასთან, საბანკო „ვაჭრობის“ ჩამოყალიბება კრედიტით „ვაჭრობის“ შედეგად ხდება, როდესაც ბანკები რესურსებს ყიდულობენ, მოზიდულ სახსრებზე პროცენტს გადაიხდიან, /რომლებიც საწარმოებისა და მოსახლეობის მიერ საბანკო ანგარშზე, ანაბარზეა შეტანილი/ და შემდეგ მსესხებელს ამ სახსრებს „მიჰყიდიან“. აქ არსებითია, ვაჭრობისაგან განსხვავება: ვაჭრობის დროს საქონელი თავის მესაკუთრეს იცვლის, გამყიდველიდან მყიდველთან გადადის. დაკრედიტების დროს გასესხებული ღირებულების მესაკუთრე იგივე რჩება.

საქონლით ვაჭრობის შემთხვევაში ღირებულების შემხვედრ მოძრაობასთან გვაქვს საქმე. გამყიდველისაგან მყიდველთან საქონელი მიდის, მყიდველისაგან გამყიდველთან კი - ფული. დაკრედიტების შემთხვევაში, კრედიტის გაცემის მომენტში ღირებულების ცალმხრივი მოძრაობა ხდება, გასესხებული ღირებულება კრედიტორისაგან სესხის ამღებთან გადაადგილდება, მისი ეკვივალენტის გადახდის გადავადება ხდება. ის მხოლოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ თავის საწყისს იურიდიულ წერტილს უბრუნდება. განსხვავება ისაა, რომ სავაჭრო გარიგების შემთხვევაში, გამყიდველი თავის საქონლის ეკვივალენტს - ფულს იღებს, ხოლო დაკრედიტების დროს კრედიტორს არა მარტო თავდაპირველი გასესხებული ღირებულე-

ბა, არამედ მასთან ერთად სასესხო დამატება პროცენტიც უბრუნდება.

<u>ბანკი, როგორც საშუამავლო საწარმო.</u> ბანკის გაცვლის სფეროში ფუნქციონირება, მის არსზე სხვა წარმოდგენასაც იძლევა. ბანკს, ხშირად, როგორც საშუამავლო ორგანიზაციას, ისე ახასიათებენ. ამის საფუძველია იმ რესურსების განსაკუთრებული გადინება, რომლებიც ერთგან დროებით ჩაწოლილია, სხვებთან კი გამოყენებას მოითხოვს. ამასთან სიტუაციის განსაკუთრებულობა ისაა, რომ კრედიტორს, რომელიც რესურსების განსაზღვრულ ნაწილს ფლობს, სურს ის შესაბამისი გარანტიებით, კონკრეტული ვადით და პროცენტით სხვა კონტრაგენტს - მეანაბრეს გადასცეს. კრედიტორის ინტერესი მეანაბრის ინტერესს უნდა ემთხვეოდეს და ამასთან აუცილებელი არ არის, რომ მეანაბრე მოცემულ რეგიონში იმყოფებოდეს. რასაკვირველია, თანამედროვე ფულად მეურნეობაში შემთხვევითია ინტერესების ასეთი თანხვედრა. აქ დამაკავშირებელ რგოლად შუამავალი ბანკი გამოდის, რომელიც მოთხოვნა - მიწოდების გათვალისწინებით გარიგების განხორციელების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ინდივიდუალური კრედიტორისაგან განსხვავებით, რესურსები ბანკის „ჯიბეში" თავიანთ საწყისს სახეს კარგავენ. ბანკი, შეაგროვებს რა მრავალრიცხოვან სახსრებს, მეანაბრეების ყველაზე მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შეძლებს. კრედიტორი ვადის, უზრუნველყოფის, პროცენტის მიხედვით ნებისმიერი კრედიტის არჩევის საშუალებას იძლევა. ბანკი, მოცემულ შემთხვევაში, იმ იღბლიანი „მაჭანკალის" როლში გამოდის, რომელიც ორი სუბიექტის — კრედიტორისა და მსესხებლის ურთიერთგაცნობას უწყობს ხელს.

რა მნიშვნელობით ხდება ბანკი შუამავალი? ვისა და ვის შორის არის იგი შუამავალი? ცნობილია, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები შუამავლად გამოდიან. მაგ: ვაჭრობა - შუამავალია, რადგან ის მწარმოებელსა /სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები/ და მომხმარებლების /მოსახლეობის და სხვა საწარმოების/ მოთხოვნილებების შუა მდებარეობს. ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში შუამავლის როლი შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ყველაზე განსაკუთრებულმა სამსახურებმა /იურიდიული, საკომისიო, საფოსტო და სხვა/, მაგრამ

ამის შედეგად ისინი ბანკებად არ გადაიქცევიან. ბანკს, როგორც შუამავალს, სხვა ბუნება აქვს, რომელიც, როგორც ასეთი, საშუამავლო საქმიანობასთან კი არა, მისი საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობებთან არის დაკავშირებული.

ამ საკითხისთვის სხვა მომენტიც მნიშვნელოვანია. თუ ჩავთვლით, რომ ბანკი კრედიტორსა და მსესხებელს შორის შუამავალია, მაშინ როგორ ავხსნათ, რომ თავის ყოველდღიური საქმიანობის დროს ის ერთდროულად კრედიტორიცაა და მსესხებელიც. ის ხომ რესურსებს ყოველდღე გასცემს და სხვებისაგან იღებს. თუ ბანკის საშუამავლო ინტერპრეტაციის ლოგიკას გავყვებით, მაშინ შეგვიძლია ის ერთ შემთხვევაში კრედიტორად, მეორეში კი მსესხებლად ჩავთვალოთ და ეს ჭეშმარიტებასთან ახლოს იქნებოდა, რადგან აქ მისი საქმიანობის სპეციფიკა, სხვა სამეურნეო ობიექტების საქმიანობისაგან განსხვავებით, სრულად გამოჩნდებოდა.

პარადოქსი ისაა, რომ ბანკი გამოდის რა, როგორც კრედიტორი, მსესხებელი და, როგორც მათ შორის შუამავალი, თავისი არსის პოზიციიდან, ის არც ერთს, არც მეორეს და არც მესამეს არ წარმოადგენს. ბანკი კრედიტორი, ბანკი, როგორც მსესხებელი, ბანკი, როგორც შუამავალი, ეს მისი საქმიანობის ფრაგმენტებია და ამ გაგებით მისი არსის ნაწილებია, რომელიც საზოგადოებაში მისი მდგომარეობის და საქმიანობის სპეციფიკას არ ამოწურავს. ნებისმიერ საწარმოს, კერძო პირს შეუძლია გამსესხებლად, სესხის ამღებად გამოვიდეს, ნაღდი და უნაღდო ფულით ანგარიშსწორების სფეროში საშუამავლო ოპერაციები განახორციელოს, მაგრამ ამის ისინი ბანკებად არ გადაიქცევიან. ალბათ, ბანკი კრედიტორიცაა, მსესხებელიცაა და ასევე ფულად ანგარიშსწორებებში შუამავალიცაა. მით უმეტეს, ამ თვისებებით ის თავის არსს სავსებით წარმოაჩენს. ბანკი სამეურნეო ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენაა.

ბანკი, როგორც ბირჟის აგენტი. ჯერ კიდევ 20-იან წლებში, მიმოქცევის სფეროში ბანკის საქმიანობამ, მასზე, როგორც ბირჟის აგენტზე, გარკვეული წარმოდგენა შექმნა. როგორც ცნობილია, ამის საბაბი გახდა ის, რომ ბანკები ბირჟის აუცილებელი მონაწილეები იყვნენ. მათ შეუძლიათ საბირჟო ოპერაციების დამოუკიდებლად მოწყობა, ფასიანი ქაღალდებით

ვაჭრობის ოპერაციების შესრულება, თუმცა, ყოველივე ეს ბანკს, არც ისტორიულად, არც ლოგიკურად საბირჟო ორგანიზაციის ნაწილად არ აქცევს. კერძო ბანკები /საბანკო სახლები/ ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა - გაყიდვის ოპერაციების წარმოქმნამდე გაცილებით ადრე გამოჩნდნენ. ამასთან ისიც არსებითია, რომ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საბანკო ოპერაციების ნაწილია, ამასთან არა მთავარი ნაწილი. იმან, რომ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საკმაოდ სპეციფიკურია და ბანკის საკუთარი საქმიანობისაგან განსხვავებულია, საშუალება მისცა ბირჟას სპეციალური აპარატით და ამოცანებით, დამოუკიდებელი ელემენტის სახით ბანკისაგან გამოყოფილიყო.

<u>ბანკი, როგორც საკრედიტო საწარმო.</u> თავის მხრივ, ბანკი თანდათან სულ უფრო საკრედიტო ცენტრის ფუნქციებს იძენს, რაც მისი, როგორც საკრედიტო საწარმოს, განსაზღვრების საშუალებას იძლევა. თუმცა, ეს ბანკის კრედიტთან შერევის საფუძველს არ იძლევა.

კრედიტი ეს არის გასესხებული ღირებულების უკუმოძრაობის საბაბით კრედიტორსა და მსესხებელს შორის ურთიერთობა. საკრედიტო ურთიერთობებში მხარეებიდან რომელიღაც კრედიტორია და რომელიღაც – მსესხებელი. ყოველ ცალკე აღებულ საკრედიტო გარიგებაში, თითქოს და ყოველთვის ორი მხარეა ფოტოგრაფირებული. ამასთან, კრედიტი მათ შორის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ურთიერთობას გამოხატავს. კრედიტისაგან განსხვავებით, ბანკი ამ ურთიერთობების ერთ ერთი მხარეა, რომელსაც შეუძლია ერთდროულად კრედიტორის და მსესხებლის როლი შეასრულოს.

ბანკი არის სპეციალური დაწესებულება, რომლის უმთავრესი ფუნქციაა საკრედიტო ოპერაციებში შუამავლის როლის შესრულება, ე.ი. ერთი მხრივ, თავისუფალი ფულადი თანხების /ფულადი კაპიტალის/ თავმოყრა, ხოლო მეორე მხრივ, ამ თანხების დაბანდება კრედიტის სახით ეროვნული მეურნეობრიობის სხვადასხვა დარგებში.[1]

---

[1] რ. კაკულია, ლ.ხაბურზანია, საბანკო სისტემა და ფასიანი ქაღალდები საბაზრო-ეკონომიკის პირობებში, თბ., 1993, გვ.73.

ერთი პირის მიერ უშუალოდ მეორე პირზე სესხის /კრედიტის/ გაცემას ხელს უშლის ის, რომ ერთის ხელში თანხის გამოთავისუფლების დრო არ ემთხვევა მეორის სესხზე მოთხოვნის დროს, ამასთან, გამოთავისუფლებული თანხა, რომელსაც ერთი პირი ფლობს, არ ემთხვევა იმ თანხას, რომელიც მეორე პირს სჭირდება. ამ მეტისმეტად რთული საქმისაგან მას ათავისუფლებს ბანკი, რომელიც თავს უყრის თავისუფალ თანხებს და ამით ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ დროებით სესხის გაცემით დააკმაყოფილოს სხვების მოთხოვნილება.

ბანკი ყველაზე არ გასცემს სესხს. ის უნდა დარწმუნდეს, რომ სესხის ამღები უსათუოდ და დაოქმულ ვადაში დააბრუნებს აღებულ სესხს, ამასთან, ბანკმა უნდა იცოდეს რისთვის, რა მიზნით გასცა სესხი და მან ამ ოპერაციიდან გარკვეული მოგება უნდა ნახოს. აქ ისიც არის მხედველობაში მისაღები, რომ როცა ბანკი მეანაბრეთა თავისუფალ თანხებს უკეთებს მობილიზაციას, თვითონაც უხდის მათ გარკვეულ პროცენტს. სამაგიეროდ, როცა ის სესხს აძლევს, პროცენტის სახით თვითონ იღებს ამ სესხის ერთგვარ საფასურს -სარგებელს. სხვაობა, გაცემულ და მიღებულ პროცენტებს შორის, არის ბანკის მოგება.

ბანკის როლი არ ამოიწურება შუამავლობით ფულის შემოტანასა და სესხის ამღებს შორის. ის ბევრ სხვა ფუნქციასაც ასრულებს. პირველ რიგში, ბანკის მეშვეობით საზოგადოების სხვადასხვა ფენების ფულადი დანაზოგები და შემოსავლები გადაიქცევა მოქმედ კაპიტალად. ბანკი რომ არ იყოს, მაშინ მოსახლეობის დროებით თავისუფალი თანხები უმოქმედოდ შეინახებოდა სეიფებში და პრაქტიკულად არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა საზოგადოებას. ბანკები ახდენენ ამ სახსრების აკუმულაციას და შემდგომ სესხად აძლევენ კაპიტალისტებს, რომლებიც იყენებენ ამ ნასესხებ თანხებს ფულადი კაპიტალის სახით.

რა სახის სახსრებს უკეთებს აკუმულაციას ბანკი?

მეწარმის შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც პირადი მოხმარებისათვის არის განკუთვნილი;

მიწის რენტას;

მოსახლეობის ფულად დანაზოგებს;

სახელმწიფო ბიუჯეტის დროებით თავისუფალ სახსრებს.

ბანკები გასცემენ სესხს არა მარტო აკუმულირებული სახსრების ხარჯზე, არამედ საკუთარი კაპიტალიდანაც, რომელსაც, როგორც შემდგომ დავინახავთ, სავალო ვალდებულებების ფორმით ქმნიან. ისინი, ამავე დროს, გამოდიან თავიანთი კლიენტის /მეანაბრის/ მოლარის როლშიც, ვინაიდან ინახავენ მათ ფულად სახსრებს, აწარმოებენ გადახდის და ანგარიშსწორების ოპერაციებს.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ბანკები ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

- ისინი შუამდგომლობენ სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობებში;
- წვრილ ანაბრებს, მათი აკუმულაციის გზით, გადააქცევენ კაპიტალად;
- ქმნიან მიმოქცევის საკრედიტო საშუალებებს, რითაც ამცირებენ ნაღდი ფულის მოცულობას;
- ემსახურებიან ეკონომიკურ სუბიექტთა შორის ანგარიშსწორების პროცესს.

ამჟამად, საბანკო სისტემის განვითარებისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, მათი კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, მათი სპეციალიზაციის გაღრმავება. ეს პროცესი საკრედიტო – საბანკო სისტემას თანდათანობით უქვემდებარებს ფინანსურ კაპიტალს. მათი ურთიერთზემოქმედების შედეგად წარმოიშვა საბანკო სისტემა, რომელსაც ემსგავსება სხვა საკრედიტო - საბანკო დაწესებულებები, როგორიცაა: სადაზღვევო, საინვესტიციო, ფინანსური კომპანიები, შემნახველი სალაროები, ურთიერთდახმარების სალაროები, საპენსიო ფონდები და ა.შ. ყველა ამ დაწესებულებათა ერთობლიობა ქმნის თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების საკრედიტო სისტემას.

<u>ბანკების ტიპები.</u> ბანკები თავიანთი ფუნქციებისა და ოპერაციათა ხასიათის მიხედვით დაიყოფიან: ცენტრალურ, ანუ ეროვნულ საემისიო ბანკებად, კომერციულ /სადეპოზიტო/ ბანკებად, საინვესტიციო ბანკებად, შემნახველ ბანკებად და სპეცი-

ალური დანიშნულების /იპოთეკურ, სასოფლო სამეურნეო, საგარეო - სავაჭრო და ა.შ/ ბანკებად.

ცენტრალური საემისიო ბანკების ძირითადი ფუნქციაა, განახორციელონ ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა ქვეყნის მთელ საბანკო სისტემაზე. მათ ზოგჯერ „ბანკთა ბანკსაც" უწოდებენ, ვინაიდან ისინი ინახავენ სხვა ბანკების დროებით თავისუფალ და სარეზერვო სახსრებს, მონოპოლიურად ახორციელებენ საერთო სახელმწიფოებრივი საკრედიტო ფულის – ბანკნოტების ემისიას; აწარმოებენ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო მომსახურებას, აკრედიტებენ სელისუფლების ორგანოებს, ცხოვრებაში ატარებენ სახელმწიფოს ფულად საკრედიტო პოლიტიკას.

ცენტრალურ საემისიო ბანკებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ თანამედროვე სახელმწიფოებში. ქვეყნების უმეტესობას, როგორც წესი, გააჩნიათ ერთი ცენტრალური ბანკი, როგორც, მაგალითად, ინგლისის ბანკი დიდ ბრიტანეთში, ბუნდესბანკი გერმანიაში და ა.შ. სხვანაირი სისტემაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ცენტრალური საემისიო ბანკის როლს ფედერალური სარეზერვო სისტემა ასრულებს, რომელიც ერთი ბანკისაგან კი არ შედგება, არამედ 12 ფედერალური ბანკისაგან, მათში შემავალი უამრავი საშტატო და აქციონერულ ბანკებთან ერთად.

საემისიო ცენტრალური ბანკების ძირითადი ფუნქციებია:

- საკრედიტო ფულის /ბანკნოტების/ გამოშვება;
  კომერციული ბანკების ფულადი რეზერვების თავმოყრა და მათზე საჭიროების შემთხვევაში კრედიტის გაცემა;
- სახელმწიფო ხაზინის ნაღდი ფულის შენახვა, სახელმწიფოს საკასო მომსახურება.

ორგანიზაციული თვალსაზრისით საემისიო ბანკს შეიძლება მართავდეს:

კერძო აქციონერების მიერ არჩეული გამგეობა, სახელმწიფო, ან ერთდროულად კერძო აქციონერები და სახელმწიფო.

საემისიო ბანკის მიერ გამოშვებული ბანკნოტი უზრუნველყოფილია ან კეთილშობილი ლითონით /ოქრო, ვერცხლი/, ან კრედიტით. ლითონით უზრუნველყოფა ნიშნავს, რომ ემიტენს /საემისიო ბანკს/ შეუძლია გამოუშვას მხოლოდ იმდენი ბანკნო-

ტი, რამდენიც მას გააჩნია ლითონი, მარაგის სახით. როცა ბანკნოტი უზრუნველყოფილია ლითონით, მაშინ იგი თავისუფლად იცვლება ნამდვილ /ლითონის/ ფულზე, რის გამოც ასეთი ბანკნოტი პრაქტიკულად არ უფასურდება.

ხშირ შემთხვევაში ბანკნოტი უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდებით. ეს ბანკნოტის უზრუნველყოფის საკმაოდ გავრცელებული, მაგრამ ყველაზე არასაიმედო ხერხია, ვინაიდან ამ საფუძველზე განხორციელებული ემისია არ გამოხატავს ფულზე ეკონომიკის ნამდვილ მოთხოვნილებას და შეიძლება მიმოქცევაში მისი ზედმეტი რაოდენობა მოხვდეს.

ცნობილია საბანკნოტო ემისიის რამდენიმე სისტემა, რომლებიც მოქმედებდნენ პირველ მსოფლიო ომამდე:

1. ინგლისური. ამ სისტემის არსი ისაა, რომ კანონმდებლურად იყო ფიქსირებული ბანკნოტების ის რაოდენობა, რომლის ემისია შეიძლებოდა ოქროთი უზრუნველყოფის გარეშე. დაშვებული იყო ასეთი ბანკნოტების გამოშვება მხოლოდ 14 მლნ გირვანქა სტერლინგის რაოდენობით. დანარჩენი ბანკნოტები ასი პროცენტით უნდა ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილი ოქროთი.

2. ფრანგული. კანონმდებლობა ბანკნოტების ემისიის მხოლოდ მაქსიმუმს აწესებდა; მაგრამ ამ მაქსიმუმის ფარგლებში ბანკი თვითონ არეგულირებდა ლითონით უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ ფულად მასებს შორის თანაფარდობას.

3. გერმანული. ისევე, როგორც ინგლისური, აქაც დაწესებული იყო: ოქროთი არაუზრუნველყოფილი ბანკნოტების მოცულობა რეიხსბანკისათვის - 250 მლნ მარკა, ხოლო დანარჩენი ბანკებისათვის — 135 მლნ მარკა. ბანკნოტების სხვა მასა მთლიანად ექვემდებარებოდა ოქროთი უზრუნველყოფას.

4. ამერიკული. 1913 წლამდე აშშ - ში საბანკნოტო ემისია დეცენტრალიზებული იყო და მას ე.წ. ნაციონალური ბანკი ეწეოდა. ამ ბანკების თავისებურება ისაა, რომ ისინი ერთდროულად არიან როგორც საემისიო, ისე კომერციულიც. სხვა სისტემისაგან განსხვავებით, აქ ბანკნოტების უზრუნველსაყოფად იყენებდნენ არა ოქროს, ან რომელიმე სხვა კეთილშობილ ლითონს, არამედ სახელმწიფო სესხს. ბანკებს შეეძლო იმდენი ბანკნოტი გამოეშვათ, რამდენ ფასიან ქაღალდსაც შეიძენდნენ სახელმწი-

ფოსაგან. ეს ეწინააღმდეგებოდა ბანკნოტის ეკონომიკურ ბუნებას, რაც იმით გამოიხატება, რომ მათი რაოდენობა განისაზღვრება საქონელბრუნვის მოთხოვნილებით და არა სახელმწიფოს საჭიროებით. ამიტომ ასეთმა წესმა გამოიწვია ბანკნოტების გამოშვება გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე საჭირო იყო. 1993 წელს ეს სისტემა შეიცვალა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ბანკნოტების ოქროზე გაცვლა ევროპის ქვეყნებში საერთოდ შეწყდა, ხოლო მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ ბანკნოტებს ოქროზე უკვე აღარსად ცვლიან. დაიწყო დაუოკებელი ინფლაციის ეპოქა.

საემისიო ბანკების მთავარი თავისებურება ის კი არ არის, რომ ისინი საემისიო ცენტრები არიან, არამედ ის, რომ მათი კლიენტები არიან არა სავაჭრო, სამშენებლო ან სამრეწველო კორპორაციები, ან ცალკეული პირები, არამედ კომერციული ბანკები, რომლებიც ვალდებულნი არიან თავიანთი დროებით თავისუფალი და სარეზერვო თანხები შეიტანონ ცენტრალურ საემისიო ბანკებში. ამავე დროს, ცენტრალური საემისიო ბანკები კომერციულ ბანკებს საჭიროების შემთხვევაში აკრედიტებენ, რის გამოც კომერციული ბანკები მჭიდროდ არიან გადაჯაჭვული ცენტრალურ საემისიო ბანკებთან. ეს გარემოება, თავის მხრივ, ქმნის შესაძლებლობას, ცენტრალურმა საემისიო ბანკებმა გააკონტროლონ კომერციული ბანკების საქმიანობა და დაუქვემდებარონ ისინი ერთიან სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

კომერციულ ბანკებზე ზემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია სადისკონტო /სააღრიცხვო/ პოლიტიკა, რომელსაც ცენტრალური საემისიო ბანკები ატარებენ. ეს პოლიტიკა გამოიხატება იმით, რომ საემისიო ბანკები, თავიაანთი ოქროს მარაგის მდგომარეობისა და მსოფლიო საკრედიტო სავალუტო კონიუნქტურის მიხედვით, ცვლის სარგებლობის დონეს, რითაც ზემოქმედებენ თვით კომერციული ბანკების მიერ დაწესებულ სარგებელზეც.

კომერციული ბანკები ცენტრალური საემისიო ბანკებისაგან სესხებს /კრედიტებს/ თამასუქებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების რედისკონტის, ანუ მათი გადაგირავების გზით იღებენ.

კომერციული ბანკები თავიანთ კლიენტებს სესხს თამასუქით აძლევენ. მაგრამ, როცა თვითონ ბანკს სჭირდება ცენტრალური საემისიო ბანკისაგან კრედიტის მიღება, ის მას გადასცემს ამ თამასუქსა და ამ თამასუქით გარანტირებულ ვალდებულებებსაც. ეს არის თამასუქის რედისკონტი, ანუ მისი ხელმეორედ ჩათვლა. ამ ხელმეორედ აღრიცხულ /ჩათვლილი/ თამასუქის გარანტიით გაცემულ კრედიტზე საემისიო ბანკი თავის პროცენტს /სარგებელს/ აწესებს, რომელიც, თავის მხრივ, ზემოქმედებს კომერციული ბანკის სარგებლის დონეზე. ამით ცენტრალური საემისიო ბანკი ახორციელებს კრედიტის რესტრიქციას /შეზღუდვას/, ან პირიქით, მის ექსპანსიას /გაფართოებას/. ცენტრალური საემისიო ბანკები თავიანთი სადისკონტო პოლიტიკითა და ღია ბაზარზე სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების შესყიდვა გაყიდვით უაღრესად დიდ გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიაზე წარმოშობილი ემისიური ბანკების ფუნქციები ახლანდელი დროისათვის მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ეკონომიკის სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების პირობებში, ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის ბანკები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, რადგან ამათ ხელში ეჭირათ მისი უმნიშვნელოვანესი ბერკეტები. თუ XX ასწლეულის დასაწყისში ემისიური ბანკები კერძო იყო, მეორე მსოფლიო ომის წინ დაიწყო მათი ნაციონალიზაციის პროცესი – ეს დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპთან და სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების გაფართოებასთან. 1938 წ. სახელმწიფო ბანკი გახდა კანადის ბანკი, 1939 წ. – გერმანული რეიხს ბანკი, 1942 წ. – იაპონიის ბანკი, 1946 წ. – ინგლისისა და საფრანგეთის ბანკები.

გერმანიის ცენტრალური ბანკი, როგორც სახელმწიფო ბანკი, 1957 წ. შეიქმნა. ადრე ასეთი სახით გამოდიოდა გერმანული მიწების ბანკი, 1951 წლიდან ავსტრიაში ცენტრალური ბანკი სააქციო საზოგადოებად ითვლება, 50%-ით მონაწილეობს სახელმწიფო, დანარჩენი კაპიტალი ეკუთვნის კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებს. შვეიცარიის ბანკიც - სააქციო საზოგადოებაა, რომლის მთავარ აქციონერებად ითვლება კანტონების თავისუფლება, კანტონალური ბანკები და სხვა სახელმწიფო ინ-

სტიტუტები, აგრეთვე 40-ზე მეტი კერძო აქციონერი. ამერიკის ცენტრალური ბანკის წევრებად ითვლება 5470 სხვადასხვა ბანკი. ავსტრიაში, შვეიცარიაში და აშშ – ში სახელმწიფოს გავლენა ცენტრალური ბანკების პოლიტიკაზე კანონით რეგულირდება.

ის ფაქტი, რომ მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში ცენტრალური ბანკები სახელმწიფოებრივად ითვლება, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო შეუზღუდავად მოქმედებს მათ პოლიტიკაზე. ამ გავლენის ძალა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ცენტრალური ბანკების მდგომარეობა ორგვარია. ერთი მხრივ, ეკონომიკისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს სფეროებში ისინი „მუშაობენ" მთავრობასთან ერთად, მეორე მხრივ, ტაქტიკის საკითხებში და ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში მათ შორის ხშირად დიდი შეუსაბამობაა. ეს უთანხმოება ზოგჯერ პრინციპულ ხასიათს ატარებს. ცენტრალური ბანკები, იმისაგან დამოუკიდებლად სახელმწიფოსია ისინი თუ არა, როგორც წესი, იურიდიულად დამოუკიდებელია და სახელმწიფოს არ ემორჩილება. ცენტრალური ბანკების პოლიტიკა ყოველთვის იყო საჯილდაო ქვა სახელმწიფოს, მონოპოლიებისა და პროფკავშირებისათვის. მაგალითად, ექსპორტზე ორიენტირებული მონოპოლიები გამოდიან მათი ქვეყნების ვალუტის კურსის შემცირებისათვის. სასესხო კაპიტალის წარმომადგენლები დაინტერესებული არიან ფულის მყიდველობითი უნარის სტაბილიზაციით, სამრეწველო მეწარმეები მხარს უჭერენ „იაფ ფულს", რადგან იაფი კრედიტები სტიმულს აძლევენ და აფართოებენ მათ ინვესტიციებს. პროფკავშირები გამოდიან სრული დასაქმების პოლიტიკის მხარდასაჭერად. სახელმწიფო ესწრაფვის პოლიტიკას, რომელიც დაეხმარება აიცილოს საგადასახადო ბალანსის დეფიციტი. ყველა ეს და სხვა წარმოქმნილი წინააღმდეგობები, თავის მხრივ, აისახება ცენტრალური ბანკების პოლიტიკაზე. პოლიტიკაში პრიორიტეტი ეძლევა ამა თუ იმ მხარის ინტერესებს, ძალების კონკრეტული განლაგებისაგან დამოკიდებულებით. ეკონომიკური პოლიტიკის ამ წინააღმდეგობრივმა მიზნებმა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში მიიღო სახელწოდება „მაგიური ოთხკუთხედი", რომლის „კუთხეებია" ეკონომიკური ზრდა, სრული დასაქმება, ფულის ღირებულების სტაბილობა და საგადასახადო ბალანსის ბალანსურობა. როგორც გამოკვლევები გვიჩვე-

ნებს, სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში ამ მიზნების ერთდროული მიღწევა შეუძლებელია.

ცენტრალური ბანკები ფლობენ სპეციალურ ინსტრუმენტებს საბანკო სფეროს სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების განხორციელებისათვის. განვიხილოთ ამ ინსტრუმენტარიის ძირითადი შემადგენლობა.

XIX ასწლეულის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის ბევრ ქვეყანაში, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ოქროს სტანდარტი ბატონობდა. ემისიური ბანკები ადგენდნენ განსაზღვრული რაოდენობის ოქროს ყიდვა - გაყიდვის ფასებს ნაციონალურ ვალუტებში. ამის საფუძველზე განისაზღვრებოდა კურსი ვალუტებს შორის, საგადასახადო ბალანსის აქტივი, ან პასივი თანაბრდებოდა ოქროს ექსპორტის ან იმპორტის შესაბამისობის საშუალებით. ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე ქვეყანაში მიმოქცევადი ბანკნოტები სრულებით ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ოქროს მონეტებით, ზოდებით, ან უცხოური ოქროს მონეტებით.

XIX ასწლეულის მეორე ნახევარში კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობაში რამდენიმე საემისიო ბანკი ითვლებოდა, მაგრამ ერთი ათეული წლის განმავლობაში ბანკნოტების ემისიის უფლება გადაეცა ერთ ნაციონალურ ბანკს, ცენტრალურ ბანკს. აქედან მოყოლებული ცენტრალურ ბანკებს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ბანკნოტების ემისიის მონოპოლიური უფლება. ამის შედეგად ცენტრალურმა ბანკებმა მუდმივი ლიკვიდობა მიიღეს და კომერციული ბანკებისათვის უკანასკნელი ინსტანციის ლიკვიდობის წყაროები გახდნენ. თუმცა „ევრობაზრის“ წარმოქმნით კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა გაუჩნდათ გადაეჭრათ ლიკვიდობის პრობლემა მისი ან მსგავსი საერთაშორისო ფულადი ბაზრების საშუალებით, რომელთა რეგულირება ცენტრალური ბანკების საშუალებით შესაძლებელია ძალზე შეზღუდულად. თანხა, რომელიც მიღებულია ევრობაზარზე და გაცვლილია ნაციონალურ ვალუტაზე, ზრდის ცენტრალური ბანკების ფულად მარაგს. ამჟამად ცენტრალური ბანკებისათვის კანონით დადგენილი არ არის ბანკნოტების ემისიის ზედა ზღვარი, ან მისი დაფარვის რომელიმე პირობა. ამით კანონმდებლობაში მოცემულია ფულადი მასის ინფლაციური გაბერვის ყველა წანამძღვარი. მხოლოდ შვეიცარიის ბანკია ვალ-

დებული ჰქონდეს მიმოქცევადი ბანკნოტების ოქროთი უზრუნველყოფა 40% - ით.

ცენტრალური ბანკი არსებით გავლენას ახდენს ქვეყნის ფულად მიმოქცევაზე ბანკნოტების ემისიის შედეგად.

ბანკნოტების ფუნქციები იცვლება კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში, წმინდა კრედიტული ფულიდან სახელმწიფო ბანკნოტები, რომელთა ემისია ეყრდობოდა სავაჭრო ვექსილების განაღდებას, თანდათან გარდაიქმნა ფულში, რომელიც ემიტირდებოდა ფიქტიური კაპიტალის საფუძველზე /მაგალითად, სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდები/, რაც განსაკუთრებით ცხადად გამომჟღავნდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს. ეს პროცესი გრძელდებოდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე და განსაკუთრებით მესამე ეტაპზე. ამის შედეგად ფიქტიური კაპიტალი გახდა უნაღდო ფულის დიდი ნაწილის და საერთაშორისო საკრედიტო ფულადი ანგარიშებისათვის გამოყენებული ფულის საფუძველი. ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ფულადი ბრუნვის არანორმალური გაბერვა, რომელიც ნაღდი და უნაღდო ფულისაგან შესდგება, ყველაზე ხშირად ხდება ცენტრალური ბანკების მიერ ფულადი ემისიის გაფართოების საფუძველზე.

ნაღდ ფულში იგულისხმება მონეტები და ბანკნოტები. მონეტები იჭედება, როგორც წესი, ხაზინის მიერ, თანაც მონეტის ღირებულება შეესაბამება მხოლოდ /დასახურდავებელი მონეტების/ ნომინალის ნაწილს. მონეტები გამოდის დასახურდავებელი ფულის სახით შეზღუდული კონვერსიით. სახელმწიფო, ცენტრალური ბანკის მოთხოვნით, აწარმოებს მონეტების ბეჭდვას და გადასცემს მას მის განკარგულებაში. მონეტები მიმოქცევაში შეაქვს ცენტრალურ ბანკს. სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის ანგარიშზე ერიცხება ნაბეჭდი ფულის თანხა და ამით იგი იღებს ბეჭდვის შემოსავალს /ლითონის თვითღირებულებისა და ჭედვის დანახარჯების გამოკლებით/. მაგრამ სახელმწიფოს არ შეუძლია მისი ჭედვა ნებისმიერი რაოდენობით. ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული ბანკნოტები, დასახურდავებელი მონეტებისაგან განსხვავებით, შეუზღუდავად მიიღება და ამიტომ კანონიერ შეუზღუდავ საგადასახადო საშუალებად ითვლება.

უნაღდო ფულში იგულისხმება უნაღდო ანგარიშების ჩანაწერები /ჟირაანგარიშები/ ცენტრალურ ბანკში, მის განყოფილებებში და საფოსტო სამსახურებში, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ესაა დეპოზიტები და კომერციული ბანკების კონტოკორენტული ანაბრები. ეს ანაბრები არც ისე გვიან იწოდება აგრეთვე საბანკო ფულად. ამას გარდა, უნაღდო ფულს ეკუთვნის ღია და საკრედიტო ინსტიტუტების მიერ გამოუყენებელი კონტოკორენტული ხაზები. პირიქით, უნაღდო ფულს არ ეკუთვნის შემნახველი სალაროების ვადიანი ანაბრები, რადგანაც, ეს ანაბრები არ შეიძლება ნებისმიერ დროს გამოყენონ საგადასახადო ბრუნვაში. მით უფრო პოტენციურად ისინი უნაღდო ფულია, რადგან შეიძლება მათი ასეთნაირად გადაქცევა გადახდის ვადის დადგომის მომენტიდან. უნაღდო ფული ნაღდისაგან განსხვავებით არ ითვლება კანონიერ საგადასახადო საშუალებად, მაგრამ ნებისმიერ მომენტში ისინი შეიძლება იქცეს ნაღდად, რაც გარანტირებულია საკრედიტო ინსტიტუტებით. პრაქტიკულად, უნაღდო ფული გამოდის ნაღდთან თანაბრად და ზოგიერთი უპირატესობაც კი აქვთ ამ უკანასკნელთან. ნაღდი ფული დაკავშირებულია ქაღალდთან, ან ლითონთან. მათ შენახვისა და ტრანსპორტირების რეალურად მაღალი დანახარჯები აქვთ და შეიძლება დაიკარგოს, ან გაყალბდეს. კომერციული ბანკებისათვის უნაღდო ფულის უპირატესობად ნაღდთან შედარებით ითვლება, როგორც წესი, ის, რომ მათ მოაქვთ პროცენტები ე.ი. ფულადი კაპიტალია.

ცენტრალური ბანკის ფულში იგულისხმება, ჯერ ერთი, თვით ცენტრალური ბანკის /პირველ ყოვლისა, ბანკნოტები, აგრეთვე, მონეტებიც/ ნაღდი ფული; მეორე, კომერციული ბანკების ანგარიში ცენტრალურ ბანკში, რომელიც იწოდება აგრეთვე ცენტრალური ბანკის უნაღდო ანგარიშებად, ისინი შეიძლება ნებისმიერ მომენტში ანაზღაურდეს ცენტრალური ბანკის ბანკნოტებით. ცენტრალური ბანკი, ფლობს რა ბანკნოტების ემისიის გამონაკლის უფლებას, ნებისმიერ წუთში შეიძლება გამოუშვას „თავისი“ ფული. მისთვის ქვეყნის შიგნით არ არის ლიკვიდობის პრობლემები. აქედან გამომდინარე, ბურჟუაზიულ

თეორიასა და პრაქტიკაში ფულის სახეები წარმოდგენილია შემდეგნაირად:[1]

ფულის კლასიფიკაცია ბურჟუაზიულ ეკონომიკურ ლიტერატურაში

<table>
<tr><td colspan="3">ფ უ ლ ი</td></tr>
<tr><td colspan="2">ცენტრალური ბანკის ფული</td><td rowspan="3">ბანკის ფული /უნ
დო: კომერციუ
ბანკის მიმდინარე
გარიშები/</td></tr>
<tr><td colspan="2">ნაღდი ფული</td><td rowspan="2">უნაღდო ფული
/ცენტრალური
ბანკის ანგარიში/</td></tr>
<tr><td>ბანკნოტები</td><td>მონეტები</td></tr>
</table>

ფულად – საკრედიტო სისტემის ხერხემალია კომერციული ბანკები, რომლებიც ახორციელებენ როგორც სამრეწველო, სავაჭრო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების, ისე მოსახლეობის დაკრედიტების უმეტესს ნაწილს იმ რესურსების ხარჯზე, რასაც აგროვებენ დეპოზიტების სახით, ამიტომაც მათ ხშირად დეპოზიტურ ბანკებსაც უწოდებენ.

ამჟამად, კომერციული ბანკების ხელშია თავმოყრილი საბანკო რესურსების უდიდესი ნაწილი და ისინი აწარმოებენ საკრედიტო, ანგარიშსწორებით და ფულადი ოპერაციების დიდ უმეტესობას.

კომერციული ბანკები:

- უხსნიან თავიანთ კლიენტებს საჩეკო დეპოზიტებს;
- გასცემენ კომერციულ სესხს;
- გასცემენ სესხებს უძრავი ქონების გირავნობით;
- გასცემენ სესხებს მოხმარების საგნებისა და ფასიანი ქაღალდების შესაძენად;
- აწარმოებენ კლიენტებს შორის ანგარიშსწორებას;
- ახორციელებენ კლირინგულ, ლიზინგურ და ფაქტორინგულ ოპერაციებს;
- აწარმოებენ ვალუტის გაცვლა-გადახურდავებას;

[1] ერვინ როდე, ბანკები, ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში, ქუთაისი, „სარანგი", 1993, გვ. 23.

- ქირით /არენდით/ აძლევენ კლიენტებს განძის შესანახ სეიფებს, სხვადასხვა საბანკო და საანგარიშო მოწყობილობებს, დანადგარებს, მანქანებს;
- უშვებენ და ავრცელებენ საკრედიტო ბარათებს და საგზაო ჩეკებს;
- ახორციელებენ სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების შეძენა - განთავსებასთან დაკავშირებულ გარიგებებს;

  იძლევიან კორპორაციებისა და მუნიციპალური ორგანოების აქციების გასაღების გარანტიას;

  ახორციელებენ კომპიუტერულ მომსახურებას და ა.შ.

რაოდენ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არ უნდა იყოს კომერციული ბანკების ოპერაციები, საბოლოოდ ისინი იყოფა ორ დიდ ჯგუფად — პასიურ და აქტიურ ოპერაციებად.

<u>ბანკის რესურსები და ბანკების გაერთიანება.</u> ბანკის რესურსები /მათ ბანკის პასივს უწოდებენ/ შედგება საკუთარი და მოზიდული სახსრებისაგან. ბანკის საკუთარი კაპიტალი იმისდა მიხედვით, თუ რა გზითაა იგი შექმნილი, შეიძლება იყოს ერთპიროვნული /ე.ი. ეკუთვნოდეს თვითონ ბანკის დამაარსებელს, მის პატრონს/ ან აქციონერული /ეს იმ შემთხვევაში, როცა ბანკის დამაარსებლები უშვებენ აქციებს და მათი გაყიდვის გზით ქმნიან ბანკის კაპიტალს/. ზოგჯერ ბანკის აქციონერები ვალდებულნი არიან გამოშვებული აქციების ღირებულება მთლიანად შეიტანონ საწესდებო კაპიტალში, ხოლო ზოგჯერ ეს აუცილებელი არ არის: მათ შეუძლიათ აქციების ნომინალური ღირებულების მხოლოდ ნაწილი შეიტანონ ბანკში, ხოლო დანარჩენი გადაიხადონ ან განვადებით, ან ბანკის მმართველობის მოთხოვნის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განაღდებული კაპიტალი გამოშვებული აქციების ნომინალზე ნაკლები იქნება. აქციების განაღდებული /აუნაზღაურებელი/ თანხა იქნება ბანკის საკუთარი კაპიტალის ნამდვილი მოცულობა, ხოლო გაუნაღდებელი ნაწილი მხოლოდ აქციონერების ვალდებულება ბანკის წინაშე, მაგრამ გაუნაღდებელი აქციების ღირებულება შედის იმ ვალდებულებათა საერთო მოცულობაში, რომლებსაც ბანკი იღებს.

აქციების განაღდებული ღირებულების გარდა ბანკის საკუთარი კაპიტალი არის ის სარეზერვო კაპიტალი, რომელსაც ბანკი მოგების ნაწილის ხარჯზე ქმნის.

საკუთარი კაპიტალი კომერციული ბანკის რესურსების მხოლოდ მცირე ნაწილია. ამ რესურსების უდიდესი ნაწილი კი მოზიდული სასესხრების ხარჯზე იქმნება, მაგრამ საკუთარ და მოზიდულ კაპიტალებს შორის, როგორც იტყვიან, გარკვეული პირდაპირი პროპორციული ურთიერთობა არსებობს: რაც უფრო დიდია საკუთარი კაპიტალი, მით უფრო საიმედოა ბანკი და, მაშასადამე, მეტ ნდობას იმსახურებს, რაც უადვილებს მას სხვისი კაპიტალების მოზიდვას. ამიტომ საკუთარ კაპიტალს, მის სიდიდეს ბანკის ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამის მიუხედავად საკრედიტო საბანკო ოპერაციების საფუძველს მაინც ანაბრები, ანუ დეპოზიტები შეადგენს. პირველად ეს იყო უპირატესად, შესანახად ჩაბარებული თავისუფალი საშუალებები. ანაბრები შეიძლება მიეკუთვნოს სხვადასხვა ფონდებს, მაგალითად, აკუმულაციურს, ამორტიზაციულს, აგრეთვე რეზერვებს. ანაბრის სახე განისაზღვრება მისი ბანკში მოთავსების ვადით. ბანკის საკუთარი კაპიტალი ჩვეულებრივ ბევრად მცირეა ანაბრების საერთო თანხაზე. 1977 წ. ბანკების საერთო ბალანსში საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წონა იყო: შვეიცარიაში 8,3%; აშშ 6,4 %; გერმანიაში – 3,4 %; იაპონიაში – 1,2 %; ამასთან საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა ბანკის ნასესხებ საშუალებებთან შეადგენდა: შვეიცარიაში 1:12, აშშ-ში 1:15; გერმანიაში 1:30; იაპონიაში – 1:83.

ბანკისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მას შეუძლია, როგორც საკუთარი კაპიტალის, ასევე თავისი კლიენტების დეპოზიტების კრედიტით გაცემა. აქედან გამომდინარე ბანკები, როგორც კაპიტალის შემგროვებლები, მრეწველობის, ვაჭრობისა და სახელმწიფოს აუცილებელი სიდიდის ფულადი კაპიტალით მომსახურეობის შემძლეა და ამასთან ერთად, შეუძლიათ გავლენის მოხდენა კვლავწარმოების პროცესზე მისი დაჩქარებით, ან შემცირებით. კაპიტალიზმის მონოპოლისტურ სტადიაზე ბანკების ძალა იზრდება საბანკო და სავაჭრო კაპიტალის მონაწილეობის სისტემის განვითარებისა და ურთიერთდაკავშირების შედეგად, რაც ბანკებს საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად გაზარდონ თავიანთი ბრუნვა. ასეთი ბან-

კების ძირითად კლიენტებად ხდებიან მსხვილი სამრეწველო კომპანიები. ეს, თავის მხრივ, აფართოებს ბანკის დეპოზიტურ ბაზას. რაც უფრო დიდია ანაბრების მოცულობა, მით მაღალია ბანკის კრედიტუნარიანობა. ბანკების გიგანტიზაციის პროცესი მნიშვნელოვანწილად განვითარდა XX ასწლეულის დასაწყისში. ამ დროისათვის, მაგალითად, გერმანიაში ბერლინის 9 უმსხვილესმა ბანკმა კონცენტრაცია მოახდინა ყველა საბანკო ანაბრის 47%-ს. მსგავსმა ტენდენციებმა ასახვა ჰპოვა პრაქტიკულად ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, რამაც ბანკების როლის ხარისხობრივი ცვლილება გამოიწვია.

საერთო მასიდან საწარმოების გამოყოფის პროცესები (მონოპოლიების თავისუფალი კონკურენციის შედეგად), როგორც მრეწველობაში, ასევე საბანკო სფეროში ერთმანეთთან ურთიერთკავშირში იყო და ერთმანეთს განაპირობებდა. ბანკების საკრედიტო ოპერაციებმა, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობამ, სააქციო საზოგადოებების გამოჩენამ და საბირჟო ოპერაციების განვითარებამ დააჩქარა მონოპოლიზაციის პროცესი.

წარმოების მზარდმა განსაზოგადოებამ, მეცნიერულ ტექნიკურმა პროგრესმა უზრუნველყო სამრეწველო საწარმოების საკუთარი კაპიტალის მინიმალური დონის ზრდა. ეს სამართლიანია ბანკებისათვისაც. ბანკების საკრედიტო ოპერაციების გაფართოებამ გამოიწვია ანაბრების გაზრდა. ფულადი ბრუნვის განვითარებას და საკუთარ კაპიტალს, ლიკვიდობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, უნდა ჰქონოდა განსაზღვრული სიდიდე. ყველა ამან გამოიწვია საკუთრების სააქციო ფორმები საბანკო სფეროშიც, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა საბანკო კაპიტალის კონცენტრაციის პროცესის შემდგომი გაძლიერება. დამოუკიდებელი ბანკების ძირითადი ნაწილი თანდათან შთაინოქა უფრო მსხვილით და გადაიქცა მისი ფილიალებად. ბანკები გიგანტებად გადაიქცნენ და დაეუფლნენ ფილიალების ფართო ქსელს მთელ ქვეყანაში. ამდენად, ბანკები საწარმოების, ფულის შენახვისა და „მოკრძალებული შუამავლებიდან“ მსხვილი მონოპოლისტები გახდნენ.

მსხვილმა ბანკებმა განაპირობა კაპიტალისტური კონცენტრაციის პროცესის დაჩქარება, რომელშიც მათ ახალი როლი ითამაშეს და მათ ურთიერთობებში სამრეწველო კაპიტალისტებთან დაისახა პრინციპული შემობრუნება.

თანამედროვე საბანკო სისტემის უმნიშვნელოვანეს ნიშნებად, ცალკეულ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ითვლება საბანკო კაპიტალის მაღალი ხვედრითი წონა, რამდენიმე ბანკი გიგანტის გამოყოფა და ამ უკანასკნელის გარდაქმნა მოელი ეკონომიკური სისტემის მთავარ ნერვულ კვანძებად. ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნის საბანკო სფეროებში კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი უწყვეტი, თუმცა ფრიად არათანაბარზომიერი იყო. შეიძლება გამოიყოს საბანკო კაპიტალის კონცენტრაციის სამი ეტაპი:

1. მე-19 ასწლეულის დასასრული და მე-20 ასწლეულის დასაწყისი. ეს ეტაპი დაემთხვა მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის გადასვლას მონოპოლისტურ სტადიაში. მაგალითად, გერმანიაში ეს იყო გრიუნდერობის პერიოდი /საფრანგეთ - პრუსიის ომის შემდეგ 1870 - 1871 წ.წ./; მაშინ გამოჩნდა პირველი სააქციო საზოგადოებები, რომლებიც დღემდეა შენარჩუნებული და წინანდებურად თავიანთ პოზიციებს ინარჩუნებენ ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნის საბანკო სისტემაში. მაგალითად, აშშ - ში 1877 წელს შეიქმნა „ჩეიზ მანსეტტენ ბანკ“, გერმანიაში 1870 წელს „დოიჩე ბანკ“ და „კომერც ბანკ“, 1872 წელს – „დრეზდენ ბანკ“, დიდ ბრიტანეთში 1865 წელს „ლოიდზე ბანკ“, 1886 წელს – „მიდლენდ ბანკ“, იაპონიაში 1890 წ. – „ფუჟი ბანკ“.

2. მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასასრული და 30-იანი წლების დასაწყისი. საბანკო კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი ვითარდება მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობისა და სახელმწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში. იგი დაჩქარდა პირველი მსოფლიო ომისა და 1929-1933 წ.წ.-ში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით. წვრილი ბანკები გაღატაკდა და შთაინთქა მსხვილების მიერ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მარტო 1929-1933 წ.წ.-ში გაკოტრდა დაახლოებით 10 ათასი ბანკი და ყველა კრედიტული ინსტიტუტის კაპიტალის ძირითადი ნაწილი კონცენტრირდა მცირერიცხოვან ბანკ-გიგანტებში. 1930 წ. „ბენკ ოფ იტალიას“ და „ბენკ-ოფ ამერიკა ოფ კალიფორნიას“ შერწყმის შედეგად წარმოიქმნა აშშ – ს წამყვანი ბანკი „ბენკ ოფ ამერიკა“. ესაა მსოფლიოს ერთ ერთი უმსხვილესი ბანკი.

3. მე 20 საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში და 60 იანი წლების დასასრული. ხდება ბანკების კონკურენციის მნიშვნელოვანი გამწვავება მეცნიერულ ტექნიკური რევოლუციის გავლენით. ეს, პირველ ყოვლისა, დამახასიათებელია აშშ-სათვის. მოცემული ეტაპი ხასიათდება ბანკების შერწყმით უმაღლეს დონეზე. ასე, მაგალითად, 1955 წ. „ჩეიზ მანხეტენ ბენკ“ შეერწყა რიგ ბანკებს და გაჩნდა „ჩეიზ მანხეტენ კორპორეიშენ“, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა როკფელერების იმპერია. იმავე წელს შერწყმის შედეგად წარმოიქმნა აგრეთვე „ფერსტ ნეშნ სიტი ბენკ“; 1959 წ. „მორგან გარანტი ტრასტ“ და 1961 წ. – „მანუფექჩურერზ ჰანოვერ ტრასტ“. დიდ ბრიტანეთში „ვესტმინისტერ ბენკ“-ს შეერწყა „ნეშლ პროვინშელ ბენკ“, რის საფუძველზეც წარმოიქმნა „ნეშლ ვესმინისტერ ბენკ“. „ბარკლაიზ ბენკ“ და „მარტინს ბენკ“ გაერთიანდნენ „ბარკლაიზ მარტინს ბენკ“-ში. ამჟამად დიდი ოთხეული, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე „ლოიდზ ბენკ“ და „მიდლენდ ბენკ“, კონცენტრაციას უკეთებს დიდი ბრიტანეთის საბანკო დეპოზიტების დაახლოებით 90 %-ს.

80-იანი წლების დასაწყისიდან უმთავრესად ისეთი ქვეყნების მრეწველობაში, როგორიცაა აშშ და გერმანია, მსხვილი შერწყმები მიმდინარეობს. ეს აისახა ბანკებზეც. ერთმანეთს შეეჯახა, პირველ რიგში, ბანკები გიგანტები, რამაც გამოიწვია ძალების თანაფარდობის ცვლილება საბანკო მონოპოლიებს შორის.

<u>კომერციული ბანკების სახეები.</u> სხვადასხვა ქვეყნის კომერციული ბანკების ჯგუფს მიეკუთვნება მთელი რიგი ინსტიტუტები სხვადასხვა სტრუქტურითა და საკუთრების სხვადასხვა ურთიერთობებით. სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირად არ განიმარტება თვით ცნება „კომერციული ბანკი“. ცენტრალური ბანკებისაგან მათ მთავარ განმასხვავებლად ითვლება ბანკნოტების ემისიის უუფლებობა. კომერციული ბანკები ორი ტიპისაა - უნივერსალური და სპეციალური.

უნივერსალური ბანკი ახორციელებს ყველა, ან თითქმის ყველა სახის საბანკო ოპერაციას: როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი კრედიტების გაცემა; ოპერაციები ფასიან ქაღალდებზე, ყველა სახის ანაბრის მიღება, ყველა შესაძლო მომსახურების აღმოჩენა და ა.შ.

სპეციალური, ბანკი პირიქით, სპეციალდება ერთი ან რამდენიმე სახის საბანკო ოპერაციაზე. ცალკეულ ქვეყანაში საბანკო კანონმდებლობა ეწინააღმდეგება, ან უბრალოდ უკრძალავს ბანკებს ოპერაციების ფართო წრის განხორციელებას. მით უფრო, ბანკების მოგება ცალკეული სპეციალური ოპერაციებისაგან შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ სხვა სფეროებში საქმიანობა აუცილებელი არ ხდება.

რიგი ოპერაციებისათვის კანონმდებლური შეზღუდვები შემოიღეს, მაგალითად, ინგლისში 30-იანი წლების დასაწყისში, როგორც რეაქცია ბანკების უზარმაზარ, მასიურ გაკოტრებაზე. 1929 წელს ბანკები „მუდმივი კონიუნქტურის" იმედით გრძელვადიან კრედიტებს იძლეოდნენ მოკლევადიანი შემნახველი ანაბრების საფუძველზე. როცა ჭარბწარმოების ციკლური კრიზისის შედეგად შემცირდა გასაღება და დაეცა ფასები, მრავალმა საწარმომ ლიკვიდობის სიძნელეები განიცადა. კრედიტებისა და ბანკების პროცენტების დაფარვა არარეგულარული გახდა, ან თითქმის შეწყდა. უკანასკნელმა გამოიწვია ბანკების გადახდისუნარობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეანაბრეებმა გადაწყვიტეს თავისი დანაზოგების უკან გატანა. ასეთ სიტუაციაში, სახელმწიფოს მხარდაჭერის წყალობით, გადარჩენა შეეძლო მხოლოდ მსხვილ ბანკებს. გრძელვადიანი კრედიტების გაცემამ მოკლევადიანი ანაბრების საფუძველზე, ისე, როგორც ფასიანი ქაღალდების ყიდვა - გაყიდვის სპეკულაციამ, გარდაუვლად გამოიწვია მრავალი, განსაკუთრებით მცირე ბანკების გაკოტრება. სუსტი ბანკების ნანგრევებზე მოხდა საბანკო კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესების შემდგომი განვითარება. კანონმდებლურ აქტებს არ შეეძლო არც ბანკების გაკოტრების აღკვეთა, არც კონცენტრაციის პროცესის შემდგომი განვითარების შეჩერება.

ამა თუ იმ ქვეყნის საკრედიტო სისტემაში ბანკის ერთი ტიპის უპირატესობა უნდა გავიგოთ, როგორც ტენდეცია. ცალკეულ ქვეყნებში, სადაც ბატონობს, მაგალითად, უნივერსალური ბანკები, მრავალრიცხოვანი სპეციალური ბანკები არსებობს და პირიქით, დომინირებული სპეციალური ბანკების ქვეყნებში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, სულ უფრო მეტღავნდება უნივერსალიზაციის ტენდეცია. ეს ხდება, როგორც ცალკეული ქვეყნის საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის საფუძველზე, ასევე

ბანკების მიერ არსებული კანონების გვერდის ავლის გზით. მაგალითად, გამოდგება დამოუკიდებელი სპეციალური ბანკების შექმნის პრაქტიკა, რომლებიც ნამდვილად ბანკებს ეკუთვნის და აფართოებს ამ უკანასკნელის საბანკო ოპერაციების დიაპაზონს. ქვეყნებს, სადაც ბანკების სპეციალიზაციის პრინციპი სჭარბობს, ეკუთვნის დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ, იტალია, ნაწილობრივ იაპონია. უნივერსალიზაციის პრინციპი დომინირებს შვეიცარიაში, გერმანიასა და ავსტრიაში. მაგრამ ძრავალ ქვეყანაში ამ ორი ტიპის ბანკს შორის სტატისტიკით ასახული განსხვავება სულ უფრო ბუნდოვანი და სადაო ხდება, რადგანაც იმ ქვეყნებშიც, სადაც სტატისტიკის თანახმად, სპეციალური ბანკები ბატონობენ, ფაქტობრივად მრავალი მათგანი უკვე უნივერსალური ხდება. უნივერსალიზაციის გზაზე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ წამოყენებულ შეზღუდვებში ხელჩასაჭიდი ყოველთვის რჩება. აშშ - ში - ესაა საბანკო ჰოლდინგები. ანალოგიური მაგალითები სხვა ქვეყნებშიც არსებობს. ცალკეული ქვეყნის განსაკუთრებულობებისაგან დამოუკიდებლად კომერციული ბანკები მთლიანად შეიძლება დაიყოს ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ.3 - ზე.

60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში ინტერნაციონალიზაციის პროცესის განვითარებამ გამოიწვია საერთაშორისო საბანკო დაჯგუფებების წარმოქმნა. ისინი აერთიანებენ წამყვან საეროაშორისო ბანკებს, რომლებიც საერთაშორისო ფულად ბაზრებზე ერთად გამოდიან, როგორც კრედიტორები და მსესხებლები, იღებენ რა უფრო მომგებიან პირობებს კონკრეტულ ბრძოლაში მაქსიმალური მოგებისათვის. მსგავსი გაერთიანების მონაწილეთა შემადგენლობა მუდმივი არაა. დროთა განმავლობაში ის შეიძლება შეიცვალოს.

80-იან წლებში ასეთ საბანკო დაჯგუფებებად ითვლება აბეკორი, ებიკი და სხვა. თუ რა ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა ქვეყნის ბანკები ამ ჯგუფებში, შეიძლება განვიხილოთ ებიკის მაგალითზე. იგი შეიქმნა 1970 წ. ბრიუსელში. პირველადი კაპიტალი შეადგენდა 175 მლნ ბელგიურ ფრანკს 14,3 % წილობრივი მონაწილეობით მისი თითოეული მონაწილისათვის; დამფუძნებელი იყო მსოფლიოს ისეთი მსხვილი ბანკები, როგორიცაა: „სოხეტე ჟენერალი“ /საფრანგეთი/, „დოიჩე ბანკი“ /გერმანია/, „ბანკა კომერჩიალე იტალიანა“ /იტალია/,

„მიდლენდ ბანკი“ /დიდი ბრიტანეთი/, „ამსტერდამ როტერდამ ბანკ“ /ნიდერლანდები/, კრედიტანშალტბანკფერაინ /ავსტრია/, „სოსეტე ჟენერალი და ბანკ G.A“ /ბელგია/. უეჭველია, რომ ამ დაჯგუფებების როლი გაიზრდებოდა.



ნახ. 3. კომერციული ბანკები და საკრედიტო ინსტიტუტები საზღვარგარეთ.

ცხრილი 9

მსოფლიოს 20 უმსხვილესი საბანკო მონოპოლია[1]

ადგილი			ბ ა ნ კ ი	საათავო კანტორა	აქტივი მლრდ დოლ.	
1970	1980	1993			1970	1993
1	2	3	4	5	6	7
2	1	1	„სიტი - კორპ"-ი	ნიუ - იორკი	25,3	125,9
1	2	2	„ბენკ ოფ ამერიკა კორპ"	სან - ფრანცისკო	28,9	115,4
4	10	3	„დაი - იტი კანგე ბენკ"	ტოკიო	6,5	110,3
0	12	4	„ფუდზი ბენკ"	ტოკიო	9,7	103,5
18	13	5	„სემიტოპო ბენკ"	ოსაკა	9,4	101,3
18	3	6	„ბ ნ პ"	პარიზი	10,6	101,0
12	16	7	„მიცუბისი ბენკ"	ტოკიო	9,4	98,7
2	7	8	„ბაირკლაიზ გრუპ"	ლონდონი	15,8	94,1
0	18	9	„სანვა ბენკ"	ოსაკა	9,2	91,3
4	4	10	„კრედიტი აგრიკოლი"	პარიზი	-	90,2
21	5	11	„კრედიტი ლიონე"	პარიზი	9,8	88,1
	9	12	„ნეშნლ ვესმინისტერ"	ლონდონი	12,9	87,1
1	6	13	„სოსეტე ჟენერალ"	პარიზი	8,1	86,3
6	8	14	„დოიჩე ბენკ"	მაინის ფრანკფურტი	10,5	76,8
5	17	15	„მიდლენდ ბენკ"	ლონდონი	8,8	76,3
2	11	16	„ჩეიზს ნანხებენ ბენკ"	ნიუ – იორკი	24,0	75,4
6	11	17	„ნორისუკინ ბანკ ოფ"	ტოკიო		75,2
15		18	„ინდასტრიელ ბანკ ოფ"	ტოკიო		71,3
2		19	„მიცუი ბანკ"	ტოკიო	-	67,2
2	15	20	„როიალ ბენკ ოფ	მონრეალი	8,0	65,7
3			კანადა"			
2						
4						

[1] ერვინ როდე, ბანკები, ბირჟები და საგალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში, ქუთაისი, „სარანგი", 1993, გვ. 17.

ამ ცხრილში ნაჩვენებია მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების პოზიციების ცვლილება, რომლებიც 1970 წ. 20 წამყვანთა რიცხვში შედიოდა. სიის თავშია ორი ამერიკული საბანკო გიგანტი „სიტი კორპი" და „ბენკ ოფ ამერიკა". უნდა აღინიშნოს, რომ 1981 წ. საფრანგეთის ბანკები მე-3,4,5 და მე-7 ადგილებს იკავებდნენ, 1982 წ – მე-3,4,5,9, ხოლო 1993 წ. – მე-6,10,11,13. მათ მიეკუთვნება „კრედი აგრიკოლი" – სასოფლო სამეურნეო ბანკი 3 ათასზე მეტი ფილიალით საფრანგეთში. პირველი ოცეულის მრავალი ბანკი - იაპონურია. 1970 წ. ისინი მხოლოდ სამი იყო, 1981 წ ს უკვე 6 გახდა, ხოლო 1993 წ. - 8. სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ გერმანული ბანკებიც. 1970 წლიდან დღემდე მათი პოზიციები მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

<u>კომერციული ბანკის სტრუქტურა.</u> ბანკის საქმიანობის ორგანიზაციაში საკმაო მნიშვნელობა აქვს მის სტრუქტურას. დიდი ხანი არაა გასული მას შემდეგ, რაც ის ძველი სისტემის ანაბეჭდს ატარებდა. ყოველი ბანკი თავის მართვის აპარატის წყობის პოზიციიდან ასახავდა ერთი და იგივე საქმეს, რომელიც აირეკლავდა მის მიერ შესრულებული ოპერაციების სიღარიბეს /სიმწირეს/ ძირითადად დაკრედიტების მართვაში და ანგარიშსწორების ორგანიზაციაში. ბანკების გადასვლამ საბაზრო ურთიერთობებზე აუცილებლად უნდა დაშალოს ეს ერთფეროვნება. ფუნქციონალური ნიშნით აგებულმა კომერციული ბანკის მართვის სტრუქტურამ არ შეიძლება არ გაითვალისწინოს ოპერაციების გაზრდილი ჩამონათვალი, რომელიც მისთვის ტრადიციულადაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკის სტრუქტურა შეიძლება გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:[1]



[1] საბანკო საქმე, ო.დავრუშინის რედაქციით, თბილისი, 1996, გვ.23-24.

ადვილი შესამჩნევია, რომ ბანკის მმართველობის რგოლების შემადგენლობაში გამოყოფილია საბანკო ოპერაციების დაგეგმვის და განვითარების სამმართველო, რომლის შემადგენლობაში შედის ბანკის საშეურნეო ანგარიშიანობის ორგანიზაციის და საბანკო ლიკვიდობის მართვის განყოფილება, ასევე ეკონომიკური ანალიზისა და კლიენტების კრედიტუნარიანობის შემსწავლელი განყოფილება, ბანკის კომერციის საქმიანობის საფუძვლების, გეგმების დამუშავების განყოფილება და მარკეტინგის განყოფილება.

საბანკო ოპერაციების დაგეგმვის განვითარების

სამმართველო:

ბანკის საშეურნეო ანგარიშიანობის ორგანიზაციის და საბანკო ლიკვიდობის მართვის განყოფილება
ეკონომიკური ანალიზის და კლიენტების კრედიტუნარიანობის შემსწავლელი განყოფილება
ბანკის კომერციული საქმიანობის საფუძვლების და გეგმების დამუშაეების განყოფილება
კლიენტებთან კავშირის და მარკეტინგის განყოფილება

დეპოზიტური ოპერაციების სამმართველო:

დეპოზიტური ოპერაციების განყოფილება

საფონდო განყოფილება

საკრედიტო ოპერაციების სამმართველო:

კლიენტების მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკრედიტების განყოფილება
მოსახლეობის დაკრედიტების განყოფილება
დაკრედიტებასთან დაკავშირებული არატრადიციული საბანკო ოპერაციების განყოფილება

საშუამავლო და სხვა ოპერაციების სამმართველო:

საატრანსპორტო ოპერაციების და მინდობილობითი ოპერაციებს განყოფილება

საბანკო მომსახურების განყოფილება

ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების განყოფილება

საერთაშორისო საბანკო ოპერაციების ორგანიზაციის სამმართველო:

საავალუტო და საკრედიტო ოპერაციების განყოფილება

სააღრიცხვო – საოპერაციო სამმართველო:

საოპერაციო განყოფილება

საკასო ოპერაციების განყოფილება

საანგარიშსწორებო განყოფლება

ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ი:

ადმინისტრაციულ – სამეურნეო განყოფილება

იურიდიული განყოფილება

კადრების განყოფილება

ელექტრო გამოთვლითი მანქანების დანერგვის და ექსპლუატაციის განყოფილება

სარევიზიო განყოფილება

შეიძლება ითქვას, რომ ლაპარაკია ბანკის „ტვინის ცენტრზე", რომელიც ოპერაციების განვითარების და მისი შესაძლებლობების პროგნოზებს აკეთებს. როგორც ეს სქემიდან ჩანს, მმართველობითი რგოლების შემადგენლობაში შედიან სხვა სამმართველოებიც, რომლებიც ფუნქციონალურად აღადგენენ იმას, რითაც ბანკი ტრადიციულად არის დაკავებული. ესენია: დეპოზიტური, საკრედიტო, საშუამავლო, საანგარიშსწორებო, საერთაშორისო და სხვა ოპერაციები. დანარჩენი ქვედანაყოფები შეადგენენ ბანკის იმ რგოლებს, რომლებიც ემსახურებიან მის ძირითად კომერციულ საქმიანობას.

რასაკვირველია, მოცემული სქემა არ არის უნივერსალური, რადგან ბანკის აპარატის სტრუქტურაზე უდიდესს გავლენას ახდენს მისი საქმიანობის მასშტაბები, სპეციალიზაციის ხარისხი, ამა თუ იმ ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობა. რიგ შემთხვევაში ბანკი არ ასრულებს ამა თუ იმ მომსახურეობებს. მისი ოპერაციის მოცულობა ძალიან უმნიშვნელოა, იმისათვის, რომ მოახდინოს არა მარტო სამმართველოს, არამედ განყოფილებების ფორმირება, მაშინ ბანკის აპარატის შემადგენლობაში იქმნება მომსახურების შედარებით პატარა ჯგუფები, რომლებიც საბანკო საქმიანობის შესაბამის მხარეებს ემსახურებიან. მოცემული სქემა გვიჩვენებს ძირითად მიდგომას მმართველობითი რგოლების დაკომპლექტებისათვის, იმ პრინციპს, რომელზეც დაფუძნებულია ამა თუ იმ ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ფუნქციონალური დანიშნულება. ბანკის სტრატეგიის პოზიციიდან მნიშვნელოვანია მმართველობის საერთო ორგანიზება, რომ მან უპასუხოს გენერალურ ხაზს, რომლის ფორმირებაც ხდება განვითარების შესაბამისს ეტაპზე.

ბანკის სტრატეგიული ორიენტაციის გვერდით, რომელიც საბანკო საქმიანობის მიღწევებს განსაზღვრავს, საჭიროა გამოვყოთ მენეჯმენტის ხარისხი და კვალიფიკაცია, ასევე მისი მარკეტინგული აქტიურობა. მოცემულ ფაქტორებს, მართალია თავიანთი საკუთარი საგანი აქვთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სტრატეგიის პოზიციიდანაც საინტერესოს წარმოადგენენ. მაგალითად, როდესაც სტრატეგიულ მენეჯმენტს ვეხებით, მას მოკლევადიანი პოზიციებიდან კი არა, არამედ გრძელვადიანი პერსპექტივების პოზიციიდან განვიხილავთ. ეს საშუალებას იძლევა არა მომენტალური შედეგის, არამედ მომავალში მუდმივი წარმატე-

ბის მისაღწევად. ეროს აღვნიშნავთ: დასავლეთის ბანკებმა, უწინარეს ყოვლისა, მშვენიერი, მოწესრიგებული მენეჯმენტის და მარკეტინგის წყალობით თავიანთ განვითარებაში ხარისხიანი ნახტომის გაკეთება შეძლეს. მართვის თანამედროვე მეთოდებზე, ტექნოლოგიაზე, ბანკის გარე სტრუქტურებთან ფართო კავშირებზე ყურადღების გამახვილებამ, ჩვენ ბანკებსაც უდავოდ შეუძლიათ მისცენ მძლავრი იმპულსი განვითარებისათვის. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად საბანკო მომსახურებაში ძირითად დაბრკოლებას სწორედ სამეწარმეო კულტურის უქონლობა, მართვის არაეფექტური სისტემა იწვევს.

<u>კომერციული ბანკების სესხები</u>. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომერციული ბანკების დანიშნულებაა აკუმულაცია გაუკეთონ საზოგადოებაში არსებულ დროებით თავისუფალ თანხებს და ამ გზით თავმოყრილი ფულადი სახსრები სესხის სახით გასცენ მათზე, ვისაც სჭირდება, მაგრამ მათ ამ მოცემულ მომენტში არ გააჩნიათ საჭირო ოდენობის ფული. უნდა განვიხილოთ, თუ ვის, რა პირობებში და რა ფორმით აძლევენ კომერციული ბანკები სესხებს, როგორ იბრუნებენ გაცემულ თანხებს, როგორ იღებენ მოგებას და როგორ ხდება მათი კომერციულ - საკრედიტო საქმიანობის რეგულირება იქ, სადაც ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა. ეს საკითხები ჩვენთვის იმით არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ როგორც საბაზრო ურთიერთობები, ისე კომერციული ბანკები მხოლოდ ახლა იწყებენ ფუნქციონირებას საქართველოში. ამიტომ საჭიროა შევისწავლოთ უცხოეთის გამოცდილება და ჩვენი ქვეყნის თაყისებურებათა გათვალისწინებით შემოქმედებითად გამოვიყენოთ იგი. ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებას, სადაც, როგორც ცნობილია, საბანკო სისტემა საერთოდ, და კომერციული ბანკების ქსელი ყველაზე ძლიერად არის განვითარებული.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ კომერციული ბანკების სესხების ისეთ ფორმებს, რომლებიც ჩვენთან ან საერთოდ არ არის გავრცელებული, ან ახლა ყალიბდება.

კომერციული ბანკების ძირითადი ფუნქცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მდგომარეობს საზოგადოებაში არსებული დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების თავმოყრასა და სესხის

სახით მათ წარმართვაში ეკონომიკის სხვადასხვა დარგის დასაფინანსებლად.

საიდან ჩნდება საზოგადოებაში ეს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები?

დროებით თავისუფალ სახსრებს მრავალი წყარო გააჩნია. მაგალითად, ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის თანხა ამ კაპიტალის ფუნქციონირების მთელ პერიოდში გროვდება და მხოლოდ მისი გამოცვლის დროს იხარჯება. ამ ხნის განმავლობაში ეს თანხები თავისუფალია და სხვა მიზნებისათვის მათი დროებითი გამოყენება სრულებით კანონზომიერი და მიზანშეწონილიც იქნება. ასევეა წარმოებაში დასაქმებული მუშაკების ხელფასიც. იგი ყოველდღიურად ერიცხება მუშაკს, მაგრამ გაიცემა, როგორც წესი, თვეში ორჯერ. დარიცხვიდან გაცემამდე ეს თანხებიც თავისუფალია. ანდა, ვთქვათ, თქვენ გინდათ შეიძინოთ ავტომანქანა და ამისათვის აგროვებთ საჭირო თანხას. თქვენ თქვენი ფულადი შემოსავლის ნაწილი ყოველთვიურად უნდა გადადოთ, სანამ საჭირო თანხა არ დაგროვდებათ. ეს თანხებიც დახარჯვის მომენტამდე /მანქანის შეძენამდე/ თავისუფალია, მაგრამ მათ ჯიბეში არავინ, ან თითქმის არაკინ ინახავს. ჯერ ერთი, ჯიბეში შენახული ფული უმოძრაოა და პატრონისათვის მას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. მეორეც ჯიბით ფულის ტარება სარისკოა /შეიძლება მოგპარონ, მოგტაცონ, უბრალოდ დაკარგოთ და ა.შ/ ამიტომ ფულის პატრონს ურჩევნია იგი ვინმე საიმედო პირს, ან რომელიმე საიმედო ორგანიზაციას ჩააბაროს შესანახად. ასეთ ორგანიზაციად მას სამართლიანად მიაჩნია ბანკი, რომელსაც შეუძლია საიმედოდ შეინახოს მიბარებული თანხა და პირველსავე მოთხოვნისას დაუბრუნოს იგი მის მფლობელს. უფრო მეტიც, მიბარებულ თანხაზე ბანკი მას სარგებელსაც გადაუხდის. ბანკისათვის მიბარებული თანხა მისი პატრონისათვის ახალი ფულის მომტან წყაროდ იქცევა. ამიტომ ფულადი დანაზოგის ბანკში შენახვა მისი მფლობელისათვის არა მარტო საიმედო, არამედ სასარგებლოცაა.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ ბანკი მოთხოვნისთანავე უბრუნებს პატრონს მიბარებულ ფულს და დამატებით კიდევ სარგებელს უხდის მას. საიდან და რატომ იხდის ბანკი ამ სარგებელს? რა თქმა უნდა, ბანკი არც თავისუფალ თანხებს უყრის

თავს რაიმე ფილანტროპიული მოსაზრებით და არც პროცენტებს იხდის ამ მიზნით. მან ამ ოპერაციებიდან რაღაც სარგებლობა თუ არ მიიღო, იგი მას ხელს არ მოკიდებს.

ამასთან საზოგადოებაში მრავლად არის ორგანიზაცია და პიროვნება, რომელსაც სჭირდება, მაგრამ მოცემულ მომენტში არა აქვს საჭირო რაოდენობის თანხა. ასეთმა ორგანიზაციამ, ან პირმა ეს თანხა სადღაც უნდა ისესხოს. ბანკი არის სწორედ ის დაწესებულება, რომელსაც შეუძლია დახმარების ხელი გაუწოდოს ასეთ პირს, ან ორგანიზაციას და ასესხოს ფული გარკვეული დროით და გარკვეულ პირობებში. სესხად გაცემულ თანხას კრედიტი ჰქვია. კრედიტი სასაქონლო ურთიერთობათა აუცილებელი თანმხლები და დიდად გავრცელებული ფორმაა. მის გამცემს კრედიტორი ეწოდება.

ბანკი კრედიტს იძლევა გარკვეული დროით და წინასწარ დათქმული პირობებით. არის ორი ძირითადი პირობა, რომელთა დაცვას მკაცრად მოითხოვს სესხის გამცემი ბანკი. პირველი პირობა ისაა, რომ სესხის ამღებს ევალება დროზე დააბრუნოს სესხი და მეორე ის, რომ აღებულ სესხზე ბანკის მიერ დაწესებული და მასთან წინასწარ შეთანხმებული პროცენტიც გადაიხადოს. ბანკი სხვა პირობებსაც უყენებს სესხის ამღებს, მაგრამ მათ შორის ეს ორი მთავარია.

პროცენტს, რომელსაც სესხის ამღები უხდის ბანკს, ეწოდება სესხის სარგებელი. სარგებლის ნაწილს ბანკი მეანაბრეს მისცემს, ხოლო ნაწილს თვითონვე იტოვებს. სარგებელსა და მეანაბრეზე გაცემულ პროცენტს შორის სხვაობა არის ბანკის მოგება. ცხადია, რომ რაც უფრო მეტია ეს სხვაობა, მით უფრო მეტია ბანკის მოგებაც. ამიტომ ბანკი ყოველთვის დაინტერესებულია, რომ მეანაბრეს უფრო დაბალი პროცენტი დაუწესოს მიბარებულ თანხაზე, ხოლო გაცემულ სესხზე კი რაც შეიძლება უფრო მაღალი პროცენტი აიღოს.

თავისუფალი თანხების აკუმულაციისა და სესხების გაცემის პროცესში რა როლს ასრულებს ბანკი? იგი აქ გამოდის სესხის ამღებსა და ფულის პატრონს შორის შუამავლის როლში: სესხის ამღებმა უშუალოდ კი არ დაუწყო ძებნა თავისუფალი სახსრების მფლობელს /ეს მის ნაცვლად ბანკმა გააკეთა/, არამედ ისარგებლა იმით, რომ ფულის პატრონს იგი შენახული

ჰქონდა ბანკში და სწორედ ამ დაწესებულებას მიმართა სესხისათვის.

ბანკის ამ საქმიანობას /შუამავლობას/ სარგებლობა მოაქვს სამივე მხარისათვის: მეანაბრეები თავიანთ უმოძრაო თანხებს გარკვეული პროცენტის მომტან კაპიტალად, ანუ აქტიურ დეპოზიტად აქცევენ, სესხის ამღებს საშუალება ეძლევა ისარგებლოს სხვისი ფულით თავისი მიზნების განსახორციელებლად და ბანკმაც ამ საქმიანობიდან გარკვეული მოგება მიიღო.

როგორც აღვნიშნეთ, ბანკები თავიანთ მოგებას იმით იღებენ, რომ გაცემულ სესხზე აწესებენ უფრო მაღალ პროცენტს, ვიდრე თვითონ უხდიან მეანაბრეებს. მაგრამ კომერციული ბანკებისათვის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ პერიოდში, ეს გზა ერთად ერთი არაა. ისინი მნიშვნელოვან შემოსავალს იღებენ მათ მიერ განსორციელებული სხვადასხვა მომსახურების საზღაურის სახითაც. ამ მომსახურების მრავალი ფორმიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ორი – ფაქტორინგი და ლიზინგი, რომლებიც ჩვენთან ეს ესაა იწყებენ ფეხის მოკიდებას და, რომლებსაც უეჭველად დიდი მომავალი გააჩნიათ.

<u>სესხის კატეგორიები.</u> ბანკებში თავმოყრილი ფულადი სასესხრების გამოყენების მიმართულებათა თვალსაზრისით მათ მიერ გაცემული სესხები იყოფა: სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებზე, უძრავი ქონების გირაოზე, კერძო პირებზე, სახელმწიფო ორგანოებზე, საფინანსო ორგანიზაციებზე, სასოფლო სამეურნეო საქმიანობაზე /ფერმერებზე/, ლიზინგის დებიტორულ დავალიანებაზე, უცხოეთის ოფიციალურ სახელმწიფო ორგანოებზე და უცხოეთის ბანკებზე გაცემულ სესხებად.

1. სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებზე /საწარმოებზე/ გაცემული სესხებიდან ყველაზე დიდი ნაწილი საქმიან ერთეულებზე - სამეურნეო აგენტებზე მოდის. მაგალითად, ამ მიმართულებით გაცემული სესხები კრედიტის საერთო მოცულობის ერთ მესამედზე მეტია.

ეს სესხები ძირითადად სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შესაძენად გამოიყენება და შედარებით მოკლე ვადით გაიცემა /მათი გადახდის ვადა, როგორც წესი, რამდენიმე თვეს არ აღემატება/. მაგრამ სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციები არც თუ ისე იშვიათად გრძელვადიან სესხებსაც იღე-

ბენ. ასეთი გრძელვადიანი სესხები ჩვეულებრივ მანქანა-დანადგარებისა და სხვა ძირითადი კაპიტალის შესაძენადაა გამიზნული.

სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებზე გაცემული სესხი, როგორც წესი, გარანტირებული უნდა იყოს სესხის ამღები ორგანიზაციის ქონებით. სესხის გაცემის პროცედურა კი ყოველთვის გულისხმობს, რომ სესხის ამღები ბანკში უდავოდ წარადგენს ყველა იმ საფინანსო - საანგარიშგებო დოკუმენტაციას, რომელიც მისი ფინანსური მდგომარეობის სრულ სურათს იძლევა. ამის საფუძველზე ბანკს ექმნება წარმოდგენა სესხის ამღების გადახდისუნარიანობის შესახებ, რაც აუცილებელია სესხის გაცემის, თუ გაუცემლობის საკითხის გადასაწყვეტად.

სესხის აღების ყველა შემთხვევაში სესხის აღება - გაცემის პროცედურა დოკუმენტურად ფორმდება. მაგრამ, თუ ფირმა ხშირად სარგებლობს ბანკის სესხით და ამავე დროს დროული გადამხდელის რეპუტაცია აქვს დამსახურებული, მაშინ ბანკს შეუძლია ასეთ კლიენტს გაუხსნას ე.წ. „საკრედიტო ხაზი", რაც იმას ნიშნავს, რომ დათქმული თანხის ფარგლებში კლიენტს უფლება აქვს საჭიროებისამებრ ისარგებლოს ბანკის სესხით ყოველგვარი დამატებითი დოკუმენტების გაფორმების გარეშე. ასეთი პრაქტიკა ორივე მხარეს – ბანკსაც და კლიენტსაც დიდ დროს უზოგავს და ამიტომ ორივესთვის ხელსაყრელია.

2. თანამედროვე საბანკო სახსრებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უძრავი ქონების გირავნობით გაცემულ სესხებს, ანუ სესხებს უძრავ ქონებაზე. ასეთი სესხი, როგორც წესი, გამოიყენება საცხოვრებელი სახლების, საწარმოო შენობების შეძენისა და აშენების დასაფინანსებლად. უძრავ ქონებაზე სესხს /მას იპოთეკურსაც ეძახიან/, ბანკების გარდა, გასცემენ აგრეთვე კერძო პირები და სხვადასხვა სახის საკრედიტო დაწესებულებები. უძრავი ქონების გირავნობის საფუძველზე გაცემული სესხი საკმაოდ უსაფრთხო სესხად ითვლება, რადგანაც იგი საიმედოდაა უზრუნველყოფილი დაგირავებული ქონების ღირებულებით და როგორც წესი, გრძელვადიანი სესხის სახეს ატარებს. არსებობს საგირავნო სესხის რამდენიმე ფორმა: გირაო მყარი პროცენტული განაკვეთით, გირაო კორექტირებადი პროცენტული განაკვეთით და გირაო ინფლაციაზე კორექტირებადი შენატანებით.

<u>გირაო მყარი პროცენტული განაკვეთი</u>. გირაოზე გაცემული ყოველგვარი სესხი პრაქტიკულად განვადებით დასაფარი სესხის სახეა. გირაოთი სესხის ამღები ვალდებულია ყოველთვიური შენატანებით დაფაროს აღებული სესხი და მასზე დარიცხული პროცენტები. სესხის ამღებს, პირველ რიგში, აინტერესებს, თუ როგორია ვალის დაფარვისათვის დათქმული პირველი შენატანისა და ყოველთვიურად შენატანების მოცულობა და გადასახდელი პროცენტის დონე. ამჟამად პირველი შენატანის სიდიდე, როგორც წესი, შეადგენს აღებული სესხის 20 პროცენტს. შემდგომ სესხის ამღებს ყოველთვიურად შეაქვს სესხის გარკვეული ნაწილი და სესხზე დარიცხული პროცენტი ერთი და იმავე მოცულობით.

გარდა ამისა, გირაოზე გასაცემი სესხის გაფორმება გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს /ხარჯები ქონების შეფასებაზე, იურიდიულ პროცედურებზე, გადასახადებზე და ა.შ./, რომელსაც სესხის ამღები ფარავს.

<u>გირაო კორექტირებადი პროცენტული განაკვეთი</u> არის ისეთი სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით და რომელზეც სარგებლის განაკვეთი იცვლება /კორექტირდება/ იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება პროცენტის განაკვეთი სასესხო ბაზარზე, ე.ი. ასეთ სესხზე დაწესებული სარგებლის განაკვეთი „მიბმულია“ სხვა საბაზრო პროცენტულ განაკვეთებზე. სარგებლის განაკვეთის კორექტირება ხდება ყოველწლიურად აუცილებლად იმ დღეს, როცა გაფორმდა გარიგება სესხის გამცემსა და სესხის ამღებს შორის. მაგრამ ასეთი კორექტირება შეიძლება მოხდეს 2-3 წელიწადში ერთხელ. კორექტირება ხდება 2-6 პროცენტის ფარგლებში.

<u>გირაო კორექტირებადი პროცენტული განაკვეთი</u> დიდი პოპულარობით არ სარგებლობს.

<u>გირაო ინფლაციაზე კორექტირებადი შენატანებით</u> ისეთი გირაოა, როცა შენატანების კორექტირება ხდება ინფლაციის დონის ცვლილებათა შესაბამისად. ასეთ სესხს მიმზიდველობას ის ანიჭებს, რომ პირველი შენატანი 25 პროცენტით უფრო დაბალია, ვიდრე მყარპროცენტიანი გირაოს პირობებში.

3. სესხების გაცემა კერძო პირებზე, ანუ სამომხმარებლო სესხი. ამჟამად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. სამომხმარებლო სესხები, რომელთაც

კომერციული ბანკები აძლევენ კერძო პირებს მათ მიერ ხანგრძლივი სარგებლობის საგნების შესაძენად. სამომხმარებლო კრედიტი ჩვეულებრივ განვადებით გაიცემა, მაგრამ არსებობს ამ სესხის ისეთი სახეებიც, რომელთა დაფარვა ერთდროულად ხდება, ან კიდევ გულისხმობს ანგარიშის გახსნას მაღაზიაში და სხვა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ განვადებით დასაფარი სამომხმარებლო სესხები საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

კერძო პირებზე სესხის მისაღებად საკმარისია საკუთარი ხელმოწერა, თუმცა ზოგჯერ ბანკი გარკვეულ გარანტიას, ან გირაოს მოითხოვს. ძალიან პოპულარულია ე.წ. სარეზერვო ნაღდი ანგარიში.

პერსონალური სესხის მნიშვნელოვან სახეობად იქცა, აგრეთვე, ბანკების მიერ გამოშვებული ე.წ. საკრედიტო ბარათები. ასეთი ბარათის მფლობელს შეუძლია ავტომატურად ისარგებლოს ბანკის სესხით გარკვეული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში. ამ ლიმიტის მოცულობა დამოკიდებულია საკრედიტო ბარათის მფლობელის შემოსავალზე.

სესხი ფასიან ქაღალდებზე მიეცემათ ბროკერებსა და დილერებს, აგრეთვე კერძო პირებს კორპორაციების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შესაძენად. ბროკერები, რომლებიც თავიანთი კლიენტებისათვის აქციების შეძენას აფინანსებენ და დილერები, რომლებიც ახორციელებენ სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ოპერაციებს, ხშირად იღებენ მოთხოვნამდე სესხს /ე.წ. ონკოლურ სესხებს/. ასეთ სესხებზე დაფარვის დრო წინასწარ არ გაითვალისწინება. ბანკს უფლება აქვს გაცემული სესხის დაბრუნება ნებისმიერ დროს მოითხოვოს. სესხის ამღებსაც აქვს უფლება ნებისმიერ დროს დააბრუნოს სესხი, თუ ბანკი არ მოითხოვს სესხის დაბრუნებას დროის გარკვეულ მომენტში. ტრადიციისამებრ, ბანკები ასეთ სესხს აძლევენ მხოლოდ იმ ბროკერებს, რომლებსაც საკუთარი სადეპოზიტო ანგარიში აქვთ გახსნილი ბანკში.

დილერები და ბროკერები ვალდებულნი არიან სესხის აღებისას ბანკს გადაუხადონ აქციის, ან ობლიგაციის საბაზრო ღირებულების გარკვეული წილი. აქციის, ან ობლიგაციის საბაზრო ღირებულების წილს, რომელიც დილერმა, ან ბროკერმა

უნდა გადაუხადოს ბანკს ამ ობლიგაციებისა და აქციების შესაძენად აღებულ სესხებზე, სავალდებულო მარჟა ეწოდება. სავალდებულოა მარჟის მინიმუმი, თუ სესხი კერძო პირზე გაიცემა, მერყეობს შესაძენი აქციის საბაზრო ღირებულების 25 პროცენტიდან 100 პროცენტამდე.

4. სესხები არასაბანკო საფინანსო ორგანოებზე. ისეთი საფინანსო ორგანოები, როგორიცაა ფინანსური კომპანიები, იპოტეკური კომპანიები, საბანკო ჰოლდინგ კომპანიები და საინვესტიციო ბანკები გამოდიან სესხის აღების როლში, თუმცა ოეითონაც ასორციელებენ კომერციული ქაღალდების გაყიდვას. საფინანსო ორგანოები სესხს იღებენ იმისათვის, რომ შემდეგ გასცენ სესხი კერძო პირებზე ავტომანქანებისა და ხანგრძლივი სარგებლობის მოხმარების საგნების შესაძენად.

5. სასოფლო-სამეურნეო სესხები. ფერმერებს სესხი ყოველთვის სჭირდებათ სეზონური ხარჯების დასაფარავად, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენად და მიწის დასამუშავებლად. თანამედროვე სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ძვირადღირებული ტექნიკა, ქიმიური სასუქები, ჰიბრიდული თესლები, ვიტამინები, ანტიბიოტიკები. ყოველივე ამას კი სეზონის განმავლობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფულადი რესურსები სჭირდება. ეს კი აიძულებს ფერმერს ისარგებლოს ბანკის სესხით. მაგრამ სოფლის მეურნეობის დაფინანსება მარტო კომერციული ბანკების სესხებით არ ხორციელდება. ხშირად ახალი ტექნიკის შეძენის დაფინანსებას თვითონ ამ ტექნიკის გამყიდველები აწარმოებენ.

კომერციული ბანკების სესხებში სასოფლო სამეურნეო სესხებს ძალიან მცირე ხვედრითი წილი უჭირავთ. მათი მნიშვნელობა თანდათანობით კიდევ უფრო მცირდება. მიუხედავად ამისა, დეპრესიამ, რომელიც მოხდა სოფლის მეურნეობაში მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, საბანკო საქმიანობის არასტაბილურობა გამოიწვია, რადგან სასოფლო - სამეურნეო სესხები ძირითადად გარკვეულ ბანკებში იყო კონცენტრირებული, რომელთა დიდი ნაწილი 80-იან წლებში გაკოტრდა.

<u>საბანკო მომსახურების ახალი ფორმები — ფაქტორინგი</u>

ლიზინგი, ფაქტორინგი ნიშნავს ვალის გადავალებას სხვა პირზე. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე იურიდიული, ან

ფიზიკური პირი იღებს მევალისაგან ვალს და დასახმარებლად ბანკს მიმართავს. ასეთ შემთხვევაში ბანკი მოვალის მაგივრად უბრუნებს მევალეს თანხას გარკვეული პროცენტის გამოკლებით. ვალის გადაფორმება ოფიციალურად სდება და ამის შემდეგ მოვალე უკვე ბანკის წინაშეა ვალდებული ფულის გადახდაზე.

ფაქტორინგი საბანკო მომსახურების შედარებით ახალი ფორმაა. მომსახურების ამ ფორმას უმეტესწილად წვრილი და საშუალო ფირმები მიმართავენ.

ფაქტორინგულ მომსახურეობას უპირატესად მძლავრი ბანკები ახორციელებენ, ისინი ქმნიან სპეციალურ ფირმებს, რომლებიც მხოლოდ ფაქტორინგული ოპერაციებით არიან დაკავებული. ასეთმა ფირმებმა ფაქტორ ფირმის სახელწოდება მიიღეს.

ფაქტორინგი ეფექტიან ზეგავლენას ახდენს საწარმოთა ურთიერთანგარიშსწორებაზე და ფირმების ფინანსურ მდგომარეობაზე. ის, რომ ფაქტორ-ფირმები უმსხვილეს ბანკებს ეკუთვნიან, აიძულებენ იმ ფირმებსაც კი, რომლებიც ხშირად აგვიანებდნენ მომწოდებელთან ანგარიშსწორებას, დროულად გადაიხადონ თავიანთი ვალი, რადგანაც ბანკებთან ურთიერთობის გამწვავება არავისთვის არ არის სელსაყრელი.

ფაქტორ - ფირმები თავიანთ კლიენტებს ისეთ სამსახურსაც კი სთავაზობენ, როგორიცაა გადახდის გარანტია. ასეთ შემთხვევაში ფაქტორ ფირმა თავისი კლიენტისაგან ფაქტობრივად ყიდულობს დებიტორული დავალიანებას. ბანკი (ფაქტორ-ფირმა) თაკის კლიენტს ამ გარიგების დადებიდან 2-3 დღის განმავლობაში აუნაზღაურებს დებიტორული დავალიანების შესყიდვისათვის დაფიქსირებული გარიგების ფასის 70 90 პროცენტს, ხოლო დანარჩენ თანხას ჩაურიცხავს მას შემდეგ, როცა მთლიანად ამოიღებს ხსენებულ დავალიანებას.

ფაქტორ-ფირმები, გარდა ამისა, მზად არიან რეგულარულად მიაწოდონ თავიანთ კლიენტებს სრული ინფორმაცია მომხმარებელთა გადახდისუნარიანობაზე და საჭირო შემთხვევაში თავის თავზე აიღონ კლიენტის ფინანსური რისკი, თუ მომხმარებლის გადახდისუნარიანობა ეჭვს იწვევს.

ფაქტორ-ბანკები /ფაქტორ ფირმები/ ემსახურებიან არა მარტო ქვეყნის შიგნით მოქმედ ფირმებს, არამედ ექსპორტ-იმ-

პორტის ოპერაციებსაც. არსებობს ამ ოპერაციების მომსახურების რამდენიმე ვარიანტი. მაგალითად, არსებობს ე.წ. „ჩუმი“, ანუ „ფარული“ ფაქტორინგი, რომლის არსია: კლიენტი - ექსპორტიორი ფაქტორინგის ხელშეკრულებას აფორმებს ფაქტორინგ-ფირმასთან, რეგულარულად აწვდის ინფორმაციას დადებულ გარიგებათა შესახებ და ასევე რეგულარულად უგზავნის მას ყველა საექსპორტო ანგარიშის ასლს. ექსპორტიორის კლიენტმა თავდაპირველად ამის შესახებ არაფერი იცის. ფაქტორ-ბანკი ექსპორტიორს უსაღდებს გამოწერილი ანგარიშის 80 პროცენტს, როცა ექსპორტიორის პარტნიორი გაუნაღდებს ექსპორტირებული საქონლის ღირებულებას, იგი ბანკს დაუფარავს გაცემულ თანხას.

მაგრამ, თუ ექსპორტიორის პარტნიორმა დააგვიანა ანგარიშის განაღდება, გადახდის ვადის გასვლიდან 60 დღის შემდეგ ექსპორტიორი აცნობებს მას, რომ მან თავისი მოთხოვნები ფაქტორინგ-ბანკს /ფაქტორინგ - ფირმას/ გადასცა. ამის შემდეგ ექსპორტიორის პარტნიორთან საქმე უკვე ექნება არა ექსპორტიორ-ფირმას, არამედ ფაქტორ - ბანკს, რომელიც თვითონ ღებს უკვე ყველა ზომას ვალის ამოსაღებად.

ექსპორტული ფაქტორინგის მეორე ვარიანტი, რომელსაც ღია ფაქტორინგს უწოდებენ, ისაა, რომ ფირმა მყიდველს აყენებს საქმის კურსში მოთხოვნათა ფაქტორინგ ბანკისათვის მიყიდვის თაობაზე. ამის შესახებ ექსპორტიორი კლიენტისათვის წარდგენილ ანგარიშში მიუთითებს. აქაც ფაქტორინგ ფირმა გარანტირებულად უხდის თავის კლიენტს გადატვირთული საქონლის ღირებულებას, ხოლო თვითონ კი ექსპორტიორის პარტნიორისაგან იღებს საქონლის ანაზღაურებას.

ფაქტორინგ-ფირმებთან დადებული ხელშეკრულება ექსპორტიორისათვის არის იმის ასპროცენტიანი გარანტია, რომ მისი ანგარიშები დროზე იქნება ანაზღაურებული.

ფაქტორინგის დებულებაში შედის არა მარტო სესხის სარგებელი, არამედ დავალიანების საბუღალტრო მომსახურების საკომისიო ხარჯებიც.

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს ბანკების ოპერაციების ისეთი ახალი ფორმა, როგორიცაა არენდის თავისებური სახე-ლიზინგი. ლიზინგი პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება საბანკო ოპერაციებს არც კი მივაკუთ-

ვნოთ. უფრო სწორი იქნება აღინიშნოს, რომ ლიზინგი არის საბანკო საქმიანობის დივერსიფიკაციის ერთ ერთი ფორმა. ლიზინგი არის მანქანა - დანადგარების გრძელვადიანი არენდით გაცემა, როცა ისინი გამქირავებლის საკუთრებაში რჩებიან.

არსებობს ლიზინგური ოპერაციების ორი ძირითადი ფორმა: ფინანსური და ოპერატიული. ფინანსური ლიზინგი გულისხმობს, რომ დამქირავებელი ხელშეკრულების ვადის პერიოდში იხდის დაქირავებული /არენდით აღებული/ მანქანებისა და დანადგარების ამორტიზაციის სრულ თანხას, ან მის უდიდეს ნაწილს, აგრეთვე, გამქირავებლის მოგებას. საარენდო ვადის გასვლის შემდეგ არენდატორმა /დამქირავებელმა/ უნდა დაუბრუნოს პატრონს არენდით აღებული მანქანები და დანადგარები, ან განაახლოს ხელშეკრულება ახალი ვადით, ან საერთოდ გამოისყიდოს ისინი ნაშთი ღირებულებით. ფინანსური ლიზინგი გამოიყენება მაშინ, როცა მანქანები და დანადგარები არენდით გაიცემა მთელი მათი საამორტიზაციო პერიოდის ვადით. ოპერატიული ლიზინგის დროს მანქანა-დანადგარები საამორტიზაციო პერიოდზე უფრო ნაკლები ვადით გაიცემა. ამ ვადის დამთავრების შემდეგ შეიძლება არენდით ხელშეკრულება ხელახლა დაიდოს, ან მანქანა-დანადგარები დაუბრუნდეს გამქირავებელს. ოპერატიული ლიზინგის ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეიძლება გაუქმდეს.

თავდაპირველად ლიზინგი ძირითადად ქვეყნის ფარგლებს არ სცილდებოდა, მაგრამ უკანასკნელ დროს მან საერთაშორისო მასშტაბები მიიღო და ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ერთ-ერთი წამყვანი როლი დაისაკუთრა.

ლიზინგს, რომლის დროსაც სალიზინგო კომპანია მანქანა-დანადგარებს ქვეყნის შიგნით ყიდულობს, ხოლო არენდით საზღვარგარეთულ ფირმებს აძლევს, საექსპორტო ლიზინგს უწოდებენ. ხდება პირიქითაც: ლიზინგური კომპანია დანადგარებს საზღვარგარეთ ყიდულობს და სამამულო ფირმებზე აქირავებს. ასეთ ლიზინგს საიმპორტო ლიზინგს უწოდებენ.

რა განსხვავებაა ჩვეულებრივ კრედიტსა და ლიზინგს შორის?

ჩვეულებრივი კრედიტის დროს სესხის სრულ დაფარვამდე საკუთრების უფლება დასაფინანსებელ ობიექტზე სესხის გამცემს ეკუთვნის, ამ დროის განმავლობაში სესხის ამღებს უფლე-

ბა არა აქვს გაასხვისოს /გაყიდოს/ ობიექტი, მაგრამ როგორც კი მთლიანად დაფარავს სესხს, იგი ხდება ობიექტის მფლობელი. ლიზინგის დროს ლიზინგის ამღებს /დამქირავებელს/ ასეთი უფლება არ ეძლევა და მანქანა - დანადგარები გამქირაველის /ლიზინგის გამცემის/ საკუთრებაში რჩება. მართალია, დამქირავებელს აუქციონის /შემდგომი გამოსყიდვის/ უფლება ეძლევა, მაგრამ ამ უფლების ხორცშესხმა სავალდებულო არ არის.

სესხის ამღები, როცა ის კრედიტით შეიძენს ნივთს, ერთდროულად იღებს უფლებას ნივთით სარგებლობაზე. ეს უფლება უკანასკნელი გადასახდელის შეტანისთანავე ავტომატურად გადადის ამ ნივთზე საკუთრების უფლებაში. ლიზინგის ამღები ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იღებს არა ნივთზე უფლებას, არამედ მხოლოდ ნივთით სარგებლობის უფლებას. ეს ნიშნავს, რომ თუ კრედიტით შეძენილი ნივთი თავიდანვე შეიძინება როგორც საკუთრება, ლიზინგის დროს ნივთის შეძენას საკუთრებაში საერთოდ არა აქვს ადგილი. იგი შეიძლება გახდეს ლიზინგის ამღების საკუთრება მხოლოდ ახალი, სულ სხვა შინაარსის /ყიდვა - გაყიდვის/ ხელშეკრულების საფუძველზე.

როცა ნივთს კრედიტით /ან განვადებით/ ყიდულობენ, ამ ნივთით სარგებლობის შედეგად მიღებული მოგება მთლიანად მყიდველს ეკუთვნის. ლიზინგით მიღებული მოგება კი ნაწილდება ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის ამღებს შორის.

ამრიგად, ლიზინგი დაფინანსება - დაკრედიტების საინტერესო ფორმაა, რომელიც მსოფლიოში სულ უფრო მეტ გავრცელებას პოულობს. საქართველოში ჯერჯერობით ეს ფორმა არ არსებობს, მაგრამ საბაზრო ურთიერთობების მომძლავრების კვალობაზე იგი ჩვენშიც იპოვის განვითარებისათვის ნაყოფიერ ნიადაგს.

<u>კომერციული ბანკის სესხის უზრუნველყოფის ფორმები.</u> როგორც ვთქვით, სესხი ბანკს დროზე უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ ბანკი ყოველთვის ვერ იქნება დარწმუნებული, რომ ეს პირობა უსათუოდ შესრულდება. ზოგჯერ სუბიექტური, ზოგჯერ კი ობიექტური მიზეზით სესხის ამღებმა შეიძლება იგი დროზე და სრულიად ვერ დააბრუნოს. ასეთი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით ბანკი სესხის ამღებისაგან გარკვეულ გარანტიას ითხოვს. ამ საქმეს ეწესახურება ოამასუქი და გირაო.

თამასუქი სესხის ამღების განსაკუთრებული წერილობითი ვალდებულებაა, რომელიც სესხის გამცემს /ბანკის, თამასუქის მფლობელს/ უფლებას აძლევს დაოქმულ ვადაში უდავოდ მოსთხოვოს თამასუქის გამცემს /სესხის ამღებს/ გადაიხადოს აღებული სესხი.

თამასუქი უდავო დოკუმენტია. მის გამცემ იურიდიულ, ან ფიზიკურ პირს უფლება არა აქვს თავი აარიდოს აქ ნაჩვენები თანხის დათქმულ ვადაში გადახდას. თუ რაიმე მიზეზით თამასუქის გამცემმა დროზე ვერ გადაიხადა სესხი, მას იძულებითი წესით ჩამოართმევენ შესაბამისი ღირებულების ქონებას და ამით /ან ამ ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხით/ დაფარავს თამასუქში ნაჩვენებ ვალს.

თამასუქი ხშირად მიმოქცევისა და გადახდის საშუალებად გადაიქცევა. ეს ნიშნავს, რომ თამასუქის მფლობელს უფლება აქვს გადასცეს იგი სხვა პირს, ან სხვა ორგანიზაციას თავისი ვალდებულების დასაფარავად, ე.ი. გამოიყენოს იგი როგორც გადახდის საშუალება. ერთი მფლობელისაგან მეორეზე გადაცემისას თამასუქზე კეთდება სპეციალური მინაწერი, რომელსაც ინდოსამენტი ეწოდება. ინდოსამენტი არის თამასუქზე და შესაბამისად, ვალის /გასესხებული თანხის/ ამოღებაზე უფლების ერთი პირისაგან მეორეზე გადაცემა. ინდოსამენტი თამასუქის ახალ მფლობელს უფლებას აძლევს ვალის დროზე გადაუსდელობის შემთხვევაში, პასუხი მოსთხოვოს როგორც თამასუქის თავდაპირველ გამცემს, ე.ი. სესხის უშუალოდ ამღებს, ისე თავის წინამორბედ მფლობელსაც.

ინდოსამენტი შეიძლება მრავალჯერ განმეორდეს. ამიტომაც ვამბობთ, რომ თამასუქი ასრულებს მიმოქცევისა და გადახდის საშუალების ფუნქციებს, ე.ი. თამასუქი გამოდის ფულის როლში.

თამასუქში ნაჩვენები ვალის გადახდის ვადა მხარეების მოლაპარაკების საფუძველზე შეიძლება გარკვეული დროით გადაიდოს. თამასუქის განაღდების ვადის გადაწევას პროლონგაცია ეწოდება. თამასუქი შეიძლება იყოს მარტივი და გზავნილი.

მარტივი თამასუქი სესხის ამღების მიერ უშუალოდ გაიცემა სესხის გამცემზე /კრედიტორზე/. მარტივ თამასუქში ნაჩვენებია სავალო ვალდებულების /თამასუქის/ გაცემის ადგილი

და დრო, სესხის თანხა, ვალის გადახდის ადგილი და დრო, აგრეთვე პირი, ვისაც უნდა გადაუხადონ ვალი.

გზავნილი თამასუქი /სხვანაირად მათ ტრატას ეძახიან/ არის თამასუქის მფლობელის კრედიტორის /ანუ ტრასანტის/ წერილობითი განკარგულება მოვალისადმი /თამასუქის გამცემისადმი ტრასატისადმი/, რომ მან თამასუქში ნაჩვენები ვალის თანხა გადაუხადოს მესამე პირს – რემინენტს. გზავნილი თამასუქის გამოყენების შეპოხვევაში საჭიროა, რომ ტრასატმა დაადასტუროს თავისი თანხმობა ნაჩვენებ დროში ვალის გადახდაზე. ეს თანხმობა, რომელსაც აქცეპტი ეწოდება, წერილობით უნდა იყოს გაცემული.

როგორც აღვნიშნეთ, ბანკი ყოველთვის არაა დარწმუნებული კლიენტის საიმედოობაში. სესხის დაუბრუნებლობის თავიდან აცილების მიზნით ბანკი ზოგჯერ კლიენტისაგან მოითხოვს გირაოს, ანუ სხვანაირად, იგი კლიენტს წაუყენებს პირობას, რომ მან თავისი კანონიერი უფლება უძრავ ქონებაზე, ანაბრებზე, აქციებზე, ზოგჯერ კი ავტომანქანაზე, ან ხანგრძლივი სარგებლობის სხვა საგანზე სესხის დაფარვამდე ბანკს გადასცეს. ბანკსა და კლიენტს შორის ასეთი ურთიერთობა იმის გარანტიაა, რომ ბანკი უსათუოდ დაიბრუნებს თავის სესხს. თუ სესხის ამღები მას დროზე ვერ აბრუნებს, ბანკს უფლება აქვს გაყიდოს დაგირავებული ქონება დაუბრუნებელი სესხის საკომპენსაციოდ. როცა კლიენტსა და ბანკს შორის ურთიერთობა გირაოს საფუძველზე მყარდება, ე.ი. როცა სესხი გირაოთის გაიცემა, ამ წესით გაცემულ სესხს გარანტირებულ, ანუ უზრუნველყოფილ სესხს უწოდებენ. სხვანაირად, გარანტირებული, ანუ უზრუნველყოფილი სესხი ის სესხია, რომელიც გირაოთია გაცემული.

ამის საპირისპიროდ არსებობს არაუზრუნველყოფილი, არაგარანტირებული სესხის ფორმაც. არაგარანტირებული სესხის გაცემისას ბანკი გირაოს არ მოითხოვს და ჩვეულებრივად ისეთ კლიენტს აძლევს, რომლის გადახდისუნარიანობაში დარწმუნებულია.

<u>საბანკო სისტემის განვითარება საქართველოში.</u> საქართველოს საბანკო სისტემის განვითარებას, თუ ისტორიასთან კონტექსტში გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ მის ძირითად პრობლემებს: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღებამდე

საქართველოს საბანკო სისტემაში შედიოდა ცენტრალური და დარგობრივი სახელმწიფო ბანკები /80-იან წლებში საქართველოში წარმოიშვა 5 დარგობრივი ტიპის სპეციალიზირებული სახელმწიფო ბანკი: საექსპორტო ბანკი ექსიმბანკი, სამრეწველო ბანკი მრეწვმშენბანკი, სოფლის მეურნეობის ბანკი - აგრომრეწვბანკი, კომუნალური მეურნეობის მომსახურების ბანკი - ბინსოცბანკი და შემნახველი ბანკი. საკანონმდებლო ბაზის ლიბერალიზაციის პირობებში დაიწყო ახალი კომერციული ბანკების წარმოშობა. მათ სიმრავლეს ხელი შეუწყო რეალური საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის შემცირებამ, რაც განპირობებული იყო მზარდი ინფლაციური პროცესებით. ამ დროს უკონტროლოდ იყო მათი საქმიანობის ხარისხი და პროფესიონალიზმი. ბანკები უმთავრესად კრედიტების მიზნობრივად განაწილებით, ან ეროვნული ბანკიდან აღებული კრედიტების რეფინანსირებით იყვნენ დაკავებული, ასევე დიდ მოგებას პოულობდნენ შავ ბაზარზე სპეკულაციური სავალუტო ოპერაციებით.

1991-1994 წ.წ. ეროვნული ბანკის პოლიტიკა მიმართული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე და კომერციული ბანკების ფართო რეფინანსირებაზე. ეს პოლიტიკა ეხმარებოდა ახალი ბანკების წარმოშობას. საბანკო საქმიანობისათვის ლიცენზიის აღება არ იყო რთული. ამის შედეგად 1995 წ. საბანკო საქმიანობის ლიცენზია 230 ბანკს ჰქონდა, საიდანაც ნახევარს საწესდებო კაპიტალი საშუალოდ 5000 დოლარი ჰქონდა.

ბანკებს სისტემატურად ეცვლებოდათ ვალდებულება – 1996 წელს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოცულობა გაიზარდონ 100 ათას დოლარამდე. შემდგომ, 1998 წლის ივნისამდე უნდა გაეზარდათ საწესდებო კაპიტალი 500 ათას დოლარამდე. საერთოდ საწესდებო კაპიტალის ზრდის გრაფიკის შეუსრულებლობის შედეგად 60 ბანკი დაიხურა. საერთო რეგულირების წესებს დაექვემდებარენ სახელმწიფო ბანკებიც და მოხდა მათი განსახელმწიფოებრიობა; რითაც ეროვნულმა ბანკმა პრაქტიკულად დაამთავრა სამსაფეხურიანი სისტემის /ცენტრალური, სახელმწიფო და კომერციული ბანკები/ ორსაფეხურიანად /ცენტრალური და კომერციული ბანკები/ გარდაქმნა.

1996 წლის დეკემბერში მიღებული იყო გადაწყვეტილება, აიძულონ კომერციული ბანკები 2000 წლის 31 დეკემბრი-

სათვის მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოცულობა ყოფილიყო 5 მლნ ლარი /რაც 3,8 მლნ დოლარის ეკვივალენტურია/.

ამის შედეგად საქართველოში 1995 წლის დასაწყისიდან /როცა მოქმედებდა 230 ბანკი/ 1997 წლის ბოლომდე არსებობა შეწყვიტა 180 – მა საბანკო დაწესებულებამ. ასეთი ისტორიას არ ახსოვს, ორნახევარ წელიწადში არსებობა შეწყვიტა რეგისტრირებული ბანკების 80% მა. 70%-მდე ბანკებმა შეწყვიტეს საქმიანობა ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიების გამოთხოვნის შედეგად, 13%-მა თვითლიკვიდაცია მოახდინა, 17% შეერწყა, ან გაერთიანდა.

საბანკო სისტემის გაწმენდა პატარა და სუსტი ბანკებისაგან უდავოდ დადებითი ფაქტია. შეწყვიტეს არსებობა იმ ბანკებმა, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ არა მხოლოდ მინიმალურ საბანკო ზედამხედველობის მოთხოვნებს, არამედ არ ჰქონდათ განვითარების არავითარი შანსი. ამ მოთხოვნილებების შედეგად მომავალშიც მოსალოდნელია ბანკების რიცხვის შემცირება.

„გაწმენდილი“ საბანკო სისტემის ძირითად ნაკლოვანებად კვლავ რჩება ბანკების საკუთარი კაპიტალის დაბალი დონე. 1997 წლის განმავლობაში საბანკო სისტემის საწესდებო ფონდი 36 მლნ ლარით გაზარდა და 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მისმა ოდენობამ 96 მლნ ლარი შეადგინა. მოქმედი 53 ბანკიდან მინიმალური საწესდებო ფონდის ფორმირება უზრუნველყო: 18-მა კომერციულმა ბანკმა – 230 ათ.ლარიდან 500 ათ.ლარამდე, 6-მა კომერციულმა ბანკმა – 500 ათ.ლარიდან დან 650 ათ.ლარამდე, 22 მა კომერციულმა ბანკმა – 650 ათ.ლარიდან 2 მლნ ლარამდე, 7 – მა კომერციულმა ბანკმა – 2 მლნ ლარიდან 4 მლნ ლარამდე და მეტ ლარამდე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკები, რომლებიც ვერ შეძლებენ საწესდებო კაპიტალის გაზრდას, მის ბაზაზე თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვასა და მათ ეფექტურ დაბანდებას მოგების მისაღებად, კონკურენციული გარემო თვითონ აიძულებს გაეროიანდნენ, შეუერთდნენ სხვა ბანკებს, გადაკეთდნენ ფილიალებად, ან შეწყვიტონ საბანკო საქმიანობა. გადარჩენის რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

1. ინვესტიციების მოზიდვა;

2. შერწყმა – გაერთიანება;
3. შთანთქმა.

დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს საბანკო სისტემის მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ინტეგრაციას და უცხოური გამოცდილების გაცნობას. მსოფლიო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა უცხოური ვალუტით მიმდინარე ვაჭრობის ორი ფორმა: ბანკთაშორისი ვაჭრობა და სავალუტო აუქციონები.

უპირატესობა მინიჭებული აქვს ბანკთაშორის ბაზარს, რომელიც ფუნქციონირებს კერძო სექტორში და მისი მონაწილენი არიან კერძო ბანკები და სავალუტო დილერები. ბანკთაშორის ბაზარზე ვალუტის კურსი განისაზღვრება ბანკებსა და მის კლიენტებს შორის გარიგებათა პროცესში, აგრეთვე სხვა საბანკო დაწესებულებებს შორის გარიგებისას და ეს კურსი თავისუფლად იცვლება ყოველდღიურად და ყოველსაათობრივად.

ქვეყანათა ერთი ნაწილი მიმართავს ვალუტით ვაჭრობის მეორე ფორმას სავალუტო აუქციონებს. სავალუტო აუქციონები ბანკთაშორისი ბაზრებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მთავრობა ატარებს და იქ დაწესებული კურსი ძალაში რჩება მომდევნო აუქციონამდე.

ვალუტით მიმდინარე ვაჭრობის ამ ორი ფორმიდან მთავრობა უპირატესობას აძლევს იმ ფორმას, რომელიც უფრო შეესაბამება ქვეყნის ადგილობრივ ინსტიტუციონალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს.

საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, ახდენს ვალუტით მიმდინარე ვაჭრობის ადრე აღნიშნული ორივე ფორმის რეგულირებას, მაგრამ რეგულირების დონე უფრო მკაცრია აუქციონის პირობებში.

საქართველოში დღეისათვის უპირატესობა მინიჭებული აქვს აუქციონის ტიპის ვაჭრობას. კერძოდ, ამ მიზნებისათვის ჩამოყალიბებულია თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, რომელზეც დაფიქსირებული ლარის სავალუტო კურსის ეროვნული ბანკის მიერ აღიარება ხდება, როგორც ოფიციალური სავალუტო კურსი.

მსოფლიოში ერთი გარიგების მინიმალური ოდენობა უდრის ერთ მილიონ აშშ დოლარს, რუსეთში ამ მხრივ მიახლოებული მდგომარეობაა, კერძოდ, ერთი გარიგება ტოლია 100000 აშშ დოლარის, საქართველოში კი – 10 000 აშშ დოლარისა.

სავალუტო ბაზრის ამ მოკლე მიმოხილვიდან გადავალთ ჩვენი ქართული რეალობის განხილვაზე და რამდენიმე მოსაზრებას შემოგთავაზებთ მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ქართულ საბანკო დაწესებულებათა შესაძლო მონაწილეობის შესახებ.

ნებისმიერმა დაინტერესებულმა ქართულმა კომერციულმა ბანკმა უნდა შეიმუშავოს სადილინგო სფეროში ოპერაციათა წარმოების პოლიტიკა, განსაზღვროს ღია სავალუტო პოზიციის ზღვრული ლიმიტები და ზარალის შემთხვევაში ამ უკანასკნელის დასაშვები მაქსიმალური ოდენობა.

საერთაშორისო ანგარიშსწორება აუცილებელს ხდის ერთი ვალუტის მეორეზე კონვერტაციას. მაგალითისათვის, რუსეთის ლითონის ექსპორტიორს თურქეთში აინტერესებს არა თურქული ლირა, არამედ რუსული რუბლი. ანალოგიური მდგომარეობაა გერმანული მერსედესების ექსპორტისას საქართველოში, სადაც გერმანელებს აინტერესებთ არა ქართული ლარი, არამედ გერმანული მარკა. ექსპორტიორთა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელია საერთაშორისო სავალუტო ბაზრის მეშვეობით, ამ საერთაშორისო ბაზარზე ხდება ვალუტის გაცვლა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ცენტრალიზებულ ბაზართან, არამედ სავალუტო მექანიზმებისა და ბერკეტების ერთობლიობასთან. მას აქვს სრულიად არაოფიციალური ხასიათი, არ გააჩნია განსაზღვრული სამუშაო საათები და, რაც ყველაზე საინტერესოა, ამ ბაზარს არა აქვს ვაჭრობის სტანდარტული წესები. დადებულ გარიგებებში კი ხელმძღვანელობენ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეთიკური პრინციპებით და აპრობირებული პროცედურებით.

უცხოურ ვალუტაში ოპერაციებს ახორციელებს თითქმის ყველა ბანკი, მაგრამ მათი მონაწილეობა განსხვავდება სავალუტო კურსზე ზემოქმედების და სავალუტო რეზერვების ზომით. ბანკებს, რომლებიც ქმნიან და მხარს უჭერენ საერთაშორისო სავალუტო ბაზარს, კერძოდ, მიჰყავთ სავალუტო პოზიცია და ინახავენ რეზერვებში საკმაო რაოდენობით უცხოურ ვალუტას, ეწოდებათ „მარკეტ-მეიკერები". მათ მიერ დაფიქსირებულ სავალუტო კურსს იყენებენ დანარჩენი საბანკო დაწესებულებები, რომლებსაც ეწოდებათ „მარკეტ -იუზერები". ამ დომინანტ ბანკებთან ურთიერთობა ნებისმიერი ქართული ბანკისათვის, რა-

ღა თქმა უნდა, სასურველი და მეტად ნაყოფიერი იქნება, რამეთუ მათ დროის ნებისმიერ მომენტში ექნებათ ჩვენი კლიენტურისათვის საჭირო ვალუტის განსაზღვრული ოდენობა.

როგორც ვიცით, მსოფლიო სავალუტო ბაზრის ყველაზე მსხვილი ცენტრები მდებარეობენ: ლონდონში, ნიუ იორკში, ფრანკფურტში და ტოკიოში. ამასთან, არსებობს საკმაოდ საინტერესო პერსპექტივა ახალი რეგიონალური ცენტრის ჩამოყალიბებისა, კერძოდ, მოსკოვში.

ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დასავლეთის და ამიერკავკასიის სავალუტო ბაზრები. ეს ბაზრები გამოირჩევიან თავიანთი სიჭრელით, მრავალფეროვნებით, აუთვისებლობით და მთელი რიგი დადებითი თავისებურებებით.

საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე მრავალი მოულოდნელი და მეტად საინტერესო წინადადებებია, რომელთა რეალიზაციაში მონაწილეობა მაღალი მოგების მიღების საწინდარი შეიძლება გახდეს. ნებისმიერ ქართულ ბანკს, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი საბანკო ტექნოლოგიებით და აქვს მჭიდრო პარტნიორული კავშირურთიერთობები საერთაშორისო სავალუტო ბაზრის დომინანტი ბანკების საფინანსო ჯგუფებთან, შეუძლიათ სარგებლის მიღება სხვაობის სახით „მყიდველის ფასსა“ და „გამყიდველის ფასს“ შორის, რომელიც ხშირად თანხის 1 % - საც უახლოვდება.

სავალუტო ოპერაციებზე დასპეციალიზებული მცირე ბანკები ძირითადად გამოდიან ბროკერთა როლში. ამ ამპლუაში ისინი დიდი სავალუტო რეზერვების არქონის გამო, მართალია, ვერ ახერხებენ „პოზიციის მხარდაჭერას“, მაგრამ აპრობირებული პოზიციის დაცვით უზრუნველყოფენ მყიდველის გაყვანას გამყიდველზე, რისთვისაც იღებენ მოგებას საკომისიო სახით.

ამ პროცესებში, ორიენტაციის სისწორის შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია, ბანკი, ან საფინანსო ჯგუფი ფლობდეს ამომწურავ ინფორმაციას იმ ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომლის ვალუტაზეც არის ორიენტირებული მოცემული ბანკი. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ ბანკს უნდა ჰყავდეს ძლიერი ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც რეგულარულად მოახდენს არსებული სიტუაციის ანალიზს და საბომავლო პროცესების პროგნოზირებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დსთ-ს სავალუტო ბაზარი; ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი დამაფიქრებელი ფაქტი, კერძოდ, ქართული საბანკო დაწესებულებები ფლობენ ძალიან მწირ ინფორმაციას დსთ-ს სივრცეში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე.

ამასთან, სავალუტო ბაზარზე მიმდინარე პროცესების განხილვა სასაქონლო ბაზარზე არსებული სიტუაციისაგან იზოლირებულად არასწორად მიგვაჩნია, რამეთუ მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. აქვე უნდა ითქვას, რომ დსთ - ში შემავალ სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ურთიერთობათა მასშტაბები განუხრელად იზრდება და ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდა.

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არცთუ იშვიათად დსთ - ში შემავალ სახელმწიფოთა მთავრობები იღებენ ეკონომიკური ხასიათის არაორდინალურ გადაწყვეტილებებს საკუთარი ეროვნული ვალუტის წარმოების დასაცავად. მაგალითად: ყაზახეთში, უზბეკეთში და თურქმენეთში შემოღებული აქვთ სპეციფიკური შეზღუდვები, ვითომდა საკუთარი სავალუტო ბაზრის დაცვის მიზნით. თუმცა დსთ-ს ბაზარზე მოქმედი დომინანტი ბანკები ადგილობრივი ბიზნესმენების და ბანკების დახმარებით პოულობენ სარქველებს, რომლითაც არ არღვევენ ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილ ნორმატივებს და ამასთან ახორციელებენ სავალუტო ოპერაციებს აპრობირებული საბანკო ტექნოლოგიების მეშვეობით.

ამგვარ ოპერაციებზე მუშაობისას დომინანტი ბანკი ძალაუნებურად იღებს უნიკალურ ყოვლისმომცველ ინფორმაციას ბაზრის მოცემულ სეგმენტზე არსებული ინფორმაციის შესახებ და აქედან გამომდინარე, თავის კლიენტურას მარტივი რეკომენდაციების მაგივრად უკვე სთავაზობს დოკუმენტების პაკეტს, რომელშიც შედის ოპერაციები, დაწყებული საქონლის ხარისხის დადგენით და დამთავრებული საბანკო მომსახურებით.

თუმცა აქ შეიძლება ერთი ასპექტი გამოგვრჩეს. კერძოდ, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია. საქართველოს ჩართვა დსთ-ს ეკონომიკურ სივრცეში ხომ არ გამოიწვევს პოლიტიკურადაც დსთ ზე საქართველოს მიბმას და გაზრდის რუსეთის პოლიტიკურ გავლენას ამიერკავკასიის რეგიონზე. აქედან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია ალტერნატიული

წინადადების განხილვა, კერძოდ, ამიერკავკასიის სივრცე, ბისეკის სივრცე, ან ამიერკავკასია - შუა აზიის სივრცე.

ჩვენი ბანკებისათვის საკმაოდ დიდ ინტერესს უნდა იწვევდეს ამიერკავკასიის სახელმწიფოების: აზერბაიჯანისა და სომხეთის კომერციულ ბანკებთან მუშაობა. გასაოცარია ის ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც არსებობს ამჟამად ამიერკავკასიის ბანკებს შორის. არადა, საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს საქონელგაცვლა ამ ქვეყნებს შორის, მაგრამ საქონელგაცვლასთან დაკავშირებული გარიგებების საფინანსო ნაწილი ხორციელდება ჩანოებით, დიპლომატებით ნაღდი ფულის ერთი ქვეყნის მეორეში გადატანის გზით. ამგვარი მეთოდებით საქმიანობის ფაქტები კი შემდგომში კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტთა გასარჩევი ხდება ხოლმე, რაც დამეთანხმებით, საკმაოდ შორს დგას ეკონომიკური საკითხებისაგან. დღეისათვის სამივე ქვეყანაში არსებობენ ბანკები, რომლებსაც შეუძლიათ ითანამშრომლონ ევროპული ბანკების შუამავლობის გარეშეც. აღნიშნულის საფუძვლად კი შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს მიერ ორივე ქვეყანასთან ხელმოწერილი დიდი ხელშეკრულება, რომლის პაკეტშიც დევს ხელშეკრულება ბანკებს შორის თანამშრომლობაზე. ასევე, ფოთის და ბათუმის პორტების ფენომენის გამო საქართველოს ბუნებრივად ენიჭება პრიორიტეტული ადგილი სომხეთისა და აზერბაიჯანის ბაზარზე მუშაობის თვალსაზრისით, რაც ქართულმა ბანკებმა ხელიდან არ უნდა გაუშვან. სხვადასხვა დაზუსტებული ინფორმაციით, სტრატეგიულ პროდუქტებზე, როგორებიც არის: ნავთობპროდუქტები, ბამბა, ჩაი – გარიგებების საბანკო მომსახურებას ეპიზოდურად ახორციელებენ ევროპული ბანკები. გასაგებია, რომ ამ სტრატეგიულ პროდუქტებზე საბანკო მომსახურებისათვის დღემდე ჩვენი ბანკები ფინანსურად არ იყვნენ მზად, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს უფლება ხელიდან გავუშვათ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა რეზიდენტებისა და არარეზიდენტების თუნდაც მცირე ბიზნესთან დაკავშირებული მომსახურების ბაზარი, რომელსაც, ცხადია, თან ახლავს მუშაობა ამ ქვეყნების სავალუტო ბაზარზე.

თანამედროვე ეტაპზე, მიუხედავად საბანკო საქმიანობის პირობების გაუმჯობესებისა, ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა კვლავ რჩება საქართველოს ეკონომიკისათვის არადამაკმაყოფილებელი მაღალი საკრედიტო რისკისა და არა-

საიმედო ინვესტირების პირობებში. უმთავრესად, კომერციული ბანკების მიერ გატარებული დაკრედიტების პოლიტიკა კონცენტრირებულია ვიწრო წრის ოპერაციებისათვის. საქართველოს საბანკო სექტორის ძირითადი სუსტი მხარე არის გრძელვადიანი კრედიტების არარსებობა, რაც ხელს შეუწყობდა წარმოებისა და ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გაატაროს ეროვნულმა ბანკმა. მან პირველ რიგში უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომელიც დააინტერესებს კომერციულ ბანკებს განავითარონ გრძელვადიანი დაკრედიტება და ასევე უნდა იზრუნოს საბანკო სექტორში მსხვილი ინვესტორების მოსაზიდად.

თანამედროვე საბანკო სისტემა არის სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური რგოლი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო კომერციული ბანკების ძლიერი და ფართო ქსელის არსებობას. ბანკის სიძლიერეს განაპირობებს მენეჯმენტის გონივრული სტრუქტურის არსებობა, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს როგორც ბანკის მომგებიანობას, ასევე ლიკვიდობის სათანადო დონის შენარჩუნებას.

კომერციული ბანკის მართვისას, ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი ამოცანა არის ლიკვიდობის სათანადო დონის უზრუნველყოფა. ბანკი ითვლება ლიკვიდურად, თუ მას ხელი მიუწვდება სახსრებზე, რომლებიც შეიძლება მოზიდულ იქნეს გონივრული ფასებით, სწორედ იმ მომენტში, როდესაც მათზე წარმოიშობა მოთხოვნილება. ეს ნიშნავს, რომ ბანკი ან ფლობს ამ სახსრებს, ან შეუძლია სწრაფად მიიღოს ისინი სესხის აღების, ან აქტივების გაყიდვის გზით.

გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ლიკვიდობის არასაკმარისი დონე არის პირველი ნიშანი იმისა, რომ ბანკი განიცდის ფინანსურ სირთულეს. ასეთ სიტუაციაში იწყება ბანკიდან დეპოზიტების მასიური გატანა, რაც უფრო ამცირებს მის ნაღდ საშუალებებს და იძულებულს ხდის, გაყიდოს ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები. ამავე დროს სხვა ბანკები უხალისოდ გასცემენ სესხებს მსგავს სიტუაციაში ჩავარდნილ ბანკებზე დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე, ან თუ გასცემენ ჩვეულებრივზე მაღალი პროცენტით, რაც უფრო ამცირებს ისედაც რთულ ფინანსურ სიტუაციაში ჩავარდნილ ბანკის მოგებას.

ბოლო წლებში ბანკებმა, განსაკუთრებით იმ ბანკებმა, რომლებმაც განიცადეს მძიმე ფინანსური სიტუაციები, გაითვითცნობიერეს ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნილების უზრუნველყოფის პრობლემა და დიდი ყურადღება დაუთმეს ფულადი სახსრების მარაგების შექმნას. ლიკვიდობის მართვა ბანკისათვის გადაიქცა უფრო მთავარ ამოცანად, ვიდრე მანამდე იყო.

საბანკო სფეროში ლიკვიდობასთან დაკავშირებულ პრობლემათა უმრავლესობა წარმოიშობა ბანკის ფარგლებს გარეთ, მათი კლიენტებიდან გამომდინარე. სინამდვილეში, კლიენტის ლიკვიდობის პრობლემა ტრანსფორმირდება მათი ბანკების ლიკვიდობის პრობლემაში. თუ, ვთქვათ, ფირმა განიცდის ლიკვიდური სახსრების უკმარისობას, იგი მიმართავს ბანკს, კრედიტისთვის, ან მოხსნის სახსრების ნაშთს თავის დეპოზიტებიდან. ყველა შემთხვევაში ბანკს, რომლის კლიენტიც არის მოცემული ფირმა, მოუწევს გამოძებნოს დამატებითი სახსრები.

იმ შემთხვევაში, თუ დროის გარკვეულ მომენტში ბანკს გააჩნია ლიკვიდური სახსრები, ხელმძღვანელობა მზად უნდა იყოს შეუფერხებლივ მოახდინოს ამ სახსრების ინვესტირება, რათა თავიდან აიცილოს გამოუყენებელი სახსრების ალტერნატიული ღირებულების წარმოშობა, რომელსაც მოგება არ მოაქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის ლიკვიდობის მართვა დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკთან /საპროცენტო რისკი/ და ბანკისათვის საჭირო ლიკვიდური სახსრების მიუწვდომლობის რისკთან. მაგალითად, თუ საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ფინანსური აქტივების ღირებულება, რომლის გაყიდვასაც ბანკი აპირებს, რათა მიიღოს ლიკვიდური სახსრები, მცირდება და ცალკეული აქტივები გაიყიდება ზარალით. ამ შემთხვევაში, ბანკი არამარტო იძენს ნაკლებ ლიკვიდურ სახსრებს აქტივების გაყიდვით, არამედ ამცირებს თავის შემოსავალს იძულებითი დანაკარგების გამო. გარდა ამისა, საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად ლიკვიდური სახსრების მიღება უფრო ძვირი ჯდება და გარკვეული სახის ლიკვიდური სახსრების სესხად აღება ბანკისთვის მიუწვდომელი ხდება.

ლიკვიდურ სახსრებზე ბანკის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ყველაზე ძველი ხერხი ცნობილია, როგორც ლიკვიდობის მართვა აქტივების მართვით. წმინდა სახით სტრატეგიის

ეს სახე მოითხოვს ლიკვიდური სახსრების დაგროვებას ლიკვიდური აქტივების სახით – მნიშვნელოვანწილად ფულად სახსრებად და ფასიან ქაღალდებად. როცა წარმოიშობა მოთხოვნა ლიკვიდურ სახსრებზე, მოცემული აქტივები გაიყიდება მანამდე, სანამ არ დაკმაყოფილდება ნაღდ საშუალებებზე მოთხოვნა. ლიკვიდობის მართვის ამ სტრატეგიას ხშირად უწოდებენ აქტივების ტრანსფორმაციას, რამდენადაც ლიკვიდური აქტივები მიიღება არაფულადი აქტივების ნაღდ საშუალებებად გადაქცევის ხარჯზე.

ლიკვიდური აქტივები უნდა ფლობდნენ სამ თვისებას:

1. ჰქონდეთ საკუთარი ბაზარი, რათა სწრაფად გადაიქცნენ ფულად /რაც საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს/.

2. ჰქონდეს საკმაოდ სტაბილური ფასები, ანუ ბაზარმა უნდა მიიღოს ყველა გასაყიდი აქტივი, მათზე ფასების მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე.

3. უნდა იყვნენ უკუქცევითი, ანუ გამყიდველს უნდა შეეძლოს აინაზღაუროს პირველადი ინვესტიციები მინიმალური რისკით.

რა თქმა უნდა, ბანკმა შეიძლება გაზარდოს ლიკვიდობის დონე ლიკვიდური აქტივების გაზრდის ხარჯზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბანკი აუცილებლად ლიკვიდური იქნება, რამდენადაც ლიკვიდობის დონეზე მოქმედებს ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნა. ბანკი ითვლება ლიკვიდურად, როცა შეუძლია მიიღოს ლიკვიდური სახსრები გონივრული ფასებით, საჭირო რაოდენობით და დროის აუცილებელ მომენტში. საქართველოს ბანკების უმრავლესობა იყენებს ლიკვიდობის მართვის შუალედურ სტრატეგიებს, ანუ ლიკვიდობის მართვას აქტივებით და პასივებით. რა თქმა უნდა ეს მეთოდი უფრო ეფექტურია და მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში, მაგრამ ეს არ არის მიზეზი იმისა, რომ ქართული ბანკების ხელმძღვანელობა ლიკვიდობის მართვის ამ სტრატეგიას ანიჭებს უპირატესობას. ამას აშკარად დავინახავთ, თუ ერთმანეთს შევადარებთ აშშ - სა და საქართველოს ბანკების საბალანსო მაჩვენებლებს.

აშშ ის ბანკებში მეტწილად გავრცელებულ ლიკვიდურ აქტივებს განეკუთვნებიან: სახაზინო თამასუქები, დეპოზიტები სხვა ბანკებში, მუნიციპალური ხელისუფლების ობლიგაციები, ფედერალური უწყებების ფასიანი ქაღალდები და ა.შ. ამავ-

დროულად, აქტივები ითვლება ლიკვიდურად, თუ ისინი ასრულებენ სამ თვისებას: აქვს საკუთარი ბაზარი, ფასები მათზე სტაბილურია და უნდა იყვნენ უკუქცევითი.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ აშშ - ს ბანკების ბალანსში ლიკვიდური აქტივების დიდ მოცულობას შეადგენს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, თამასუქები და ობლიგაციები. მათ გააჩნიათ საკუთარი ბაზარი და საკმაოდ სტაბილური ფასები. მაგალითად, სახაზინო თამასუქებში სახსრების დაბანდება ითვლება ურისკოდ, ამავე დროს, სხვა ფასიანი ქაღალდების კურსის ათვლა ხდება სახაზინო თამასუქებიდან და მისი ნომინალი აიღება ერთად.

როგორც ჩანს, იმის გამო, რომ საქართველოში ძნელად მიმოიქცევა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და არ არსებობს მათთვის მეორეული ბაზარი, ბანკებს საშუალება არა აქვთ, შეიძინონ ისეთი ლიკვიდური აქტივები, რომელთაც ექნებათ საკუთარი ბაზარი სტაბილური ფასებით. აქედან გამომდინარე, რეალურად საქართველოში ბანკების ხელმძღვანელობა ლიკვიდობის აქტივებით მართვის სტრატეგიას ვერ გამოიყენებს.

რაც შეეხება ლიკვიდობის პასივებით მართვას, საქართველოში ბანკების ხელმძღვანელობისათვის ეს სტრატეგიაც მიუღებელია კონკრეტული მიზეზების გამო. ჯერ ერთი, სააქართველოში არ არსებობს ისეთი ფულადი ბაზარი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისაღები ფასებით, საჭირო რაოდენობით და დროის აუცილებელ მომენტში ლიკვიდური სახსრების მოზიდვა. გარდა ამისა, პასივებით მართვის სტრატეგია საკმაოდ მაღალრისკიანია; რისკს ზრდის ისიც, რომ კომერციული ბანკებისათვის ეროვნული ბანკის ნორმატივი აიძულებს მათ ყოველი თვის ბოლოს აქტივებში ლიკვიდური აქტივების დონე უზრუნველყონ 30% ით /ლიკვიდურ აქტივებში იგულისხმება: ფული სალაროში და ინკასოების პროცესში; თანხები კორესპონდენტი ბანკების ანგარიშზე; ჩეკები და სხვა საგადამხდელო დოკუმენტები ინკასირების პროცესში; წმინდა რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში/.

ამდენად, ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ზემოთ წარმოდგენილი ლიკვიდობის მართვის სამი სტრატეგიიდან, საქართველოს კომერციული ბანკების ხელმძღვანელობა

იყენებს მართვის შუალედურ სტრატეგიას, ანუ ლიკვიდობის მართვა პასიკებით და აქტივებით.

ამ ბოლო დროს გაიზარდა უცხოელ პარტნიორთა ინტერესი საქართველოს კომერციული ბანკების მიმართ. საბანკო სისტემაში დაბანდებულია 10 მლნ აშშ დოლარის კაპიტალი, რაც უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის 8%-ია. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ის, რომ უცხოელ ინვესტორთა „სანდო" ბანკის სიაში სულ 9 ბანკი მოხვდა,[1] აქედან 7 - ს ევრობანკმა უკვე გაუხსნა საკრედიტო ხაზი, რამაც უდავოდ ხელი შეუწყო მათ ზრდასა და განვითარებას.

საბანკო ზედამხედველობის სისტემა საქართველოში სულ უფრო და უფრო იხვეწება. კომერციული ბანკების სისტემა მეანაბრეებისთვის თანდათან საიმედო ხდება. 2000 წლის მე-2 ნახევარში დაინერგა კომერციული ბანკების CAMEL-ის სისტემით გარე საბანკო შეფასება რომელიც CAMEL-ის სისტემის მოდიფიცირებული ვარიანტია. 2000 წელს ცხრა კომერციულ ბანკს გააუქმდა ლიცენზია და 28 ბანკს მიენიჭა CAMEL – ის სხვადასხვა რეიტინგი.

2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა მოგებამ შეადგინა 65,6 მლნ ლარი.[2] ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საბანკო სისტემა, რომლის ლიდერია ეროვნული ბანკი, სწორ გზაზე დგას, პირნათლად ემსახურება ქვეყნის ეკონომიკას და ნაბიჯ - ნაბიჯ წინაც მიიწევს.

---

[1] დ.ლომაძე. საქართველოს საბანკო სისტემა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №11, 1998, გვ. 29.

[2] მ. მელია, ერთადერთი წარმატებული სფერო ეროვნული ბანკი – ეროვნული ატრიბუტი, ჟ. „მაკრო - მიკრო ეკონომიკა", №7-8, 2001, გვ.24.

თავი VI. აუდიტური ფირმები

<u>აუდიტის ცნება, აუდიტორული მომსახურების სახეები</u>. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა და დამკვიდრდა ტერმინი აუდიტი და დამკვიდრდა მისგან წარმოებული სხვა ტერმინები /აუდიტორი, აუდიტორული და სხვა/, მაგრამ ისინი ახალი და მანამდე უცნობი როდი იყო. პირიქით, სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის ხაზით საზღვარგარეთის პრაქტიკით დაინტერესებულმა სპეციალისტებმა დიდი ხნის წინათ იცოდნენ ზემოაღნიშნული ტერმინების შინაარსი, ვინაიდან ინგლისში სავალდებულო აუდიტის შესახებ კანონი ჯერ კიდევ 1862 წელს გამოვიდა, საფრანგეთში 1867 წელს, ხოლო აშშ - ში 1937 წელს.

საქართველოში აუდიტორული საქმიანობის კანონი მიიღეს 1995 წლის 7 თებერვალს.

სიტყვა აუდიტი ლათინური წარმოშობისაა /audio, audire/ და ნიშნავს "ვისმენ", "ესმის"; სწორედ ამ ფუძიდან არის ნაწარმოები აუდიტორულ ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინები: აუდიტორი, აუდიტორული და სხვა.

ა უ დ ი ტ ი შინაარსობრივად აუდიტორულ საქმიანობას ნიშნავს. იგი უაღრესად ტევადი შინაარსის ცნებაა, რის გამოც მისი მოკლე ფორმულირების სახით განსაზღვრა ერთობ ძნელია. ამიტომაა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ზოგიერთ ავტორს აუდიტის ერთი მხარე აქვს წამოწეული წინა პლანზე, ზოგიერთს – მეორე და ა.შ. ზოგიერთი ავტორი აუდიტის ცნებას ვიწრო გაგებით იხილავს, ზოგიერთი კი უაღრესად ფართო დიაპაზონს ანიჭებს.

"აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში აუდიტის ცნება ასეა განსაზღვრული: "აუდიტი არის აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიერ სამეურნეო სუბიექტების საჯარო საბუღალტრო ანგარიშგების, აღრიცხვის, პირველადი დოკუმენტებისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ სხვა ინფორმაციის შემოწმება სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე მათი უტყუარობის, სისრულის, მოქმედ

კანონმდებლობასა და დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით /მუხლი მე-3/".

"აუდიტის ძირითადი კონცეფციების დებულებაში", რომელიც 1973 წელს გამოაქვეყნა ამერიკის ბუღალტერთა ასოციაციის /AAA/ აუდიტის ძირითად კონცეფციათა კომიტეტმა, მოცემულია აუდიტის ასეთი განმარტება: "აუდიტი ეწოდება ეკონომიკურ ქმედებათა და მოვლენათა შესახებ ცნობების ობიექტური შეკრებისა და შეფასების სისტემატურ პროცესს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს დადგენილ კრიტერიუმებთან ამ მტკიცებების შესაბამისობის ხარისხი და შემოწმების შედეგები გადაეცეს დაინტერესებულ პირებს".[1]

AAA - ს კომიტეტი აღნიშნავს, რომ შეგნებულად მისცა აუდიტს ასეთი ვრცელი განსაზღვრა. იგი საშუალებას იძლეყა ასახოს "აუდიტის მიზანთა და კვლევის საგანთა ნაირგვარობა, რომლებზეც კონცენტრირებულია ყურადღება აუდიტორული შემოწმების კონკრეტულ პროცესში".

ყველაფერი, რასაც აუდიტორი აკეთებს შემოწმების პროცესში, უპირველესად მიმართულია მთავარი მიზნის მისაღწევად – ჩამოაყალიბოს აზრი შემოწმებული ფაქტების შესახებ. აუდიტორის აზრი ზუსტად განსაზღვრავს, რამდენად შეესაბამებიან ისინი კრიტერიუმებსა და სტანდარტებს. საფინანსო აუდიტში ამგვარ კრიტერიუმებად ითვლება საყოველთაოდ მიღებული შესაბამისობის პრინციპები საბუღალტრო აღრიცხვის საყოველთაო კრიტერიუმებსა /GAAP/ და ანგარიშის მტკიცებებს შორის GAAP – ის მოთხოვნათა თანახმად.

აუდიტი არსებითად ისაა, რომ მოიძებნოს და შეფასდეს ცნობები, რომელთა საფუძველზე აუდიტორი ნათელყოფს, თუ რამდენად შეესაბამება ფაქტები დადგენილ კრიტერიუმებს. "მიღებულ ცნობათა ტიპები და მათი შეფასებისათვის გამოყენებული კრიტერიუმები შეიძლება იცვლებოდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში აუდიტის პროცესის საფუძველს მათი მიღება და შეფასება წარმოადგენს" /"დებულება აუდიტის ძირითადი კონცეფციების შესახებ"/. მაგალითად, საფინანსო აუდიტის დროს ფინანსურ ანგარიშში შემავალ მტკიცებებსა და აღრიცხვის საყო-

---

[1] რ.ხ. მონტგომერი, აუდიტი, თბ., გვ. 8.

ველთაოდ მიღებულ პრინციპებს შორის შესაბამისობის ხარისხის მაჩვენებელი საბუთები სააღრიცხვო მონაცემებია, რომლებიც საფუძველად უდევს ანგარიშს /ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა: ჟურნალები, მთავარი წიგნები და სხვა, აგრეთვე მონაცემთა დამადასტურებელი ინფორმაცია ანგარიშ – ფაქტურებიდან და შემოწმების მასალებიდან, გამოკითხვის, დაკვირვების, ქონების ფაქტობრივი დათვალიერებისა და დამკვეთებთან მიმოწერის შესწავლის გზით მიღებული ინფორმაცია/.

ვიდრე დასკვნას გააკეთებდეს, რამდენად შეესატყვისება ფაქტები ობიექტურ კრიტერიუმებს, აუდიტორმა არა მარტო უნდა შეკრიბოს მიღებული ცნობები, არამედ უნდა შეაფასოს კიდეც ისინი. აუცილებელი დასკვნის შემუშავებისთვის კი კვალიფიკაციის მაღალი დონეა საჭირო. მაგალითად, იმისათვის, რომ გააკეთოს დასკვნა, სწორად არის, თუ არა შეფასებული საქონლის მარაგი ოვითღირებულებისა, ან საბაზრო ღირებულების მიხედვით, აუდიტორმა უნდა გაიგოს და განსაზღვროს კონკრეტულად როგორ ანგარიშობს საწარმო დანახარჯებს. ეს არცთუ იოლი საქმეა იმ შემთხვევაში, როდესაც იყენებენ რთულ მეთოდებს, როგორიცაა მაგალითად, "ლიფო" /"უკანასკნელი მოვიდა, პირველი წავიდა"/ ან თუნდაც ხარჯთაღრიცხვის სტანდარტული სისტემა. ასევე აუცილებელია, რომ აუდიტორმა შეაფასოს, თუ როგორ განსაზღვრავდა ადმინისტრაცია აღდგენით ღირებულებას, როგორ ანგარიშობდა რეალიზაციის ფასს და მოგების ნორმას "საბაზრო" ღირებულების ფორმირების პროცესში. დაბოლოს აუდიტორმა უნდა შეაფასოს მოძველებული და ძნელადგასასაღებელი საქონლით მიღებული ზარალის ასანაზღაურებელი რეზერვები. ამ მსჯელობათა დამამტკიცებელი, დამაჯერებელი საბუთების მოპოვება საკმაოდ რთულია, მაგრამ ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას.

აუდიტის განსაზღვრაში ხაზგასმულია, რომ ცნობათა შეკრებისა და შეფასების პროცესი ობიექტურობას მოითხოვს.

ამრიგად, აუდიტი, მისი შინაარსის ძირითადი ნიშან – თვისებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გულისხმობს საწარმოების, მათი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საბუღალტრო ანგარიშგების, პირველადი დოკუმენტებისა და

საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრირების, საგადასახადო დეკ-ლარაციების, სხვა ფინანსური ვალდებულებების შემოწმებას და მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატივებისადმი ფაქტობრივად არსებული შესაბამისობის გამოყლინებას.

ა უ დ ი ტ ო რ ი – მსმენელს ნიშნავს, ხოლო სიტყვა აუდიტორია – ოთახს, ან დარბაზს, სადაც ლექცია – მოსსენებები და მსგავსი ღონისძიებები ტარდება.

საქართველოს "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" კანონში აუდიტორი შემდეგნაირადაა განმარტებული: "აუდიტორი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია" /მუხლი მე-4/.

უფრო თუ დავაკონკრეტებთ, აუდიტორი არის სათანადო კვალიფიკაციისა და სერთიფიკატის /ლიცენზიის/ მქონე პიროვნება /ფიზიკური პირი/, რომელიც აუდიტორულ საქმიანობას ეწევა მოქმედი საკანონმდებლო წესის შესაბამისად. მისთვის აუცილებელია აუდიტორის კვალიფიკაცია /რომელიც დასტურდება აუდიტორის საკვალიფიკაციო სერთიფიკატით/ და შესაბამისი ლიცენზია /ნებართვა/ აუდიტორული საქმიანობის წარმოებაზე უფლებამოსილების შესახებ. იგი აუდიტორულ მუშაობას ეწევა დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად /ფიზიკური პირი/, ან აუდიტურ ფირმაში /იურიდიული პირი/.

თუ აუდიტორი თავის საქმიანობას ეწევა ინდივიდუალურად, მაშინ მას, საკვალიფიკაციო სერთიფიკატთან ერთად, უნდა გააჩნდეს ლიცენზიაც, ხოლო თუ აუდიტორი გაერთიანებულია აუდიტურ ფირმაში, მაშინ ლიცენზია ესაჭიროება მხოლოდ ფირმას.

ა უ დ ი ტ უ რ ი ფ ი რ მ ა არის საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორულ საქმიანობის ლიცენზია და რომლის ერთადერთი საწესდებო მიზანია აუდიტორული საქმიანობა. სხვა ნებისმიერი საქმიანობის წარმართვა მისთვის აკრძალულია.

აუდიტურ ფირმას აუდიტორული საქმიანობის უფლება ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ მასში სულ ცოტა ერთი აუდიტორი მაინც მუშაობს.

აუდიტორი, სტატუსის მიხედვით, დამოუკიდებელი ექსპერტია და თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი პასუხისმგებლობით.

განასხვავებენ აუდიტორული მომსახურების შემდეგ სახეებს:

1. ეკონომიკური /სამეურნეო/ სუბიექტის საბუღალტრო /ფინანსური/ ანგარიშგების, საგადასახადო – საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, საგადასახადო დეკლარაციებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დამოუკიდებელი გარესაუწყებო შემოწმება;
2. საბუღალტრო აღრიცხვის დაყენება, აღდგენა და წარმოება, დეკლარაციების შედგენა შემოსავლებისა და საბუღალტრო /ფინანსური/ ანგარიშგების შესახებ;
3. საწარმოს საფინანსო – სამეურნეო საქმიანობისა და ქონების მდგომარეობის ექსპერტიზა;
4. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზი, საწარმოს აქტივებისა და პასივების შეფასება;
5. საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის პროგნოზირება;
6. კონსულტირება საფინანსო, საგადასახადო, საბანკო და სხვა სამეურნეო კანონმდებლობის საკითხებზე;
7. საწარმოს საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურის მუშაკთა სწავლება;
8. საწარმოს მეთოდიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფა;
9. მეთოდიკური მასალების დამუშავება საბუღალტრო აღრიცხვისა და გადასახადით დაბეგვრის საკითხებზე;
10. თავისი საქმიანობის პროფილის მიხედვით სხვა მომსახურების გაწევა.

აუდიტორული საქმიანობის ცნობათა წყარო უმთავრესად არის საბუღალტრო /ფინანსური/ ანგარიშგებები /პირველ ყოვლისა, ბალანსი/, პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემები, ბუღალტერიის ცნობები და გაანგარიშებები, ტექნოლოგიური და გეგმიური დოკუმენტაცია, საქმის წარმოებისა და სხვა დოკუმენტაცია /იურიდიული, სამეურნეო, საკონტაქტო, შრომითი, საიჯარო

ხელშეკრულებები, აქტები, ოქმები, ბრძანებები, განკარგულებები და სხვა; ნორმატიული კრებულები, ცნობარები, საკანონმდებლო აქტები, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებები და სხვა/.

აუდიტორული საქმიანობა მოიცავს აუდიტორულ შემოწმებას, აუდიტორული მომსახურების გაწევას და აუდიტის ორგანიზაციულ და მეთოდიკურ უზრუნველყოფას. ისინი განუყოფლად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და განაპირობებენ ეროიმეორეს, მაგრამ ძირითადი მათ შორის მაინც აუდიტორული შემოწმებაა.

აუდიტორული შემოწმება გულისხმობს აუდიტორის /აუდიტური ფირმის/ მიერ სამეურნეო სუბიექტის საფინანსო – სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას ფაქტობრივი მასალებისა და მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების მიხედვით. იგი უაღრესად მრავალმხრივი და რთული საქმეა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ის უმთავრესი სამუშაოები, რომლებიც აუდიტორის /აუდიტური ფირმის/ შემოწმებას ექვემდებარება, სახელდობრ:

1. მართვის სტრუქტურის, საწესდებო მოთხოვნების, საგეგმო – ეკონომიკური მუშაობისა და საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის შესწავლა – შემოწმება;
2. საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშებში ჩანაწერების ასახვისა და აღრიცხვის რეგისტრების შედგენის სისწორის შემოწმება;
3. ანალიზური აღრიცხვის მონაცემების პირველადი აღრიცხვის მონაცემებთან შესადარისობის შემოწმება;
4. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემთა შესაბამისობის შემოწმება;
5. სამეურნეო, შრომითი და საარესდო ხელშეკრულებების შესრულებისა და აღრიცხვის ორგანიზაციის მდგომარეობის შემოწმება;
6. ძირითადი საშუალებების მოძრაობის, არამატერიალური აქტივების, საწარმოო მარაგების, მზა პროდუქციისა და მისი რეალიზაციის შემოწმება;

7. ფულადი საშუალებების მოძრაობის, გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაბანდებების აღრიცხვის მდგომარეობის შემოწმება;
8. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების, საანგარიშსწორებო – საკრედიტო ოპერაციების ასახვის სისწორის შემოწმება;
9. შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების ასახვისა და გაანგარიშების სისწორის შემოწმება;
10. გადასახადებისა და გადასახდელების გამოანგარიშების, ბიუჯეტში შეტანისა და ანგარიშებში ასახვის სისწორის 'შემოწმება;
11. პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულების გაანგარიშების სისწორის შემოწმება;
12. ფონდებისა და რეზერვების, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შემოწმება;
13. საწარმოს მეთოდური და საინფორმაციო უზრუნველყოფა;
14. საწარმოს საბუღალტრო სამსახურის მუშაკების სწავლება;
15. აუდიტორული საქმიანობის პროფილის მიხედვით სხვა მომსახურების გაწევა.

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, აუდიტორული შემოწმება მოიცავს საწარმოს ძირითადი საქმიანობის ყველა მხარეს. მისი საბოლოო შედეგი არის აუდიტორებისა და შემოწმებაში მონაწილე სხვა სპეციალისტების აზრის ფორმირება იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად და ობიექტურადაა დაყენებული ფინანსური ანგარიშგება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოებისა, აუდიტორები /აუდიტური ფირმები/ სამეურნეო სუბიექტებს უსრულებენ სხვა სახის სამუშაოებსაც, ე.ი. უწევენ სხვა სახის აუდიტორულ მომსახურებას. ასეთი მომსახურების სახეები თვით სამეურნეო სუბიექტის მიერ ისაზღვრება /მისი საჭიროებიდან გამომდინარე/ და მისივე დაკვეთით სრულდება. ასეთი მომსახურებაც მრავალფეროვანია და საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარეობს.

აუდიტის წარმოშობა და განვითარება. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ანგარიშგების შედგენის პრაქტიკა სათავეს იღებს დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 4000 წლიდან, როდესაც ახლო აღმოსავლეთის უძველესმა ცივილიზაციებმა დაიწყეს მაღალორგანიზებული სახელმწიფოების შექმნა და სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგება. მმართველმა წრეებმა იმთავითვე ხელი მიჰყვეს შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვას, გადასახადების აკრეფას. ყოველივე ეს მოითხოვდა კონტროლს, ასევე აუდიტს, რომელიც მიზნად ისახავდა არაკომპეტენტური, ან უპატიოსნო ჩინოვნიკების მხრიდან შეცდომებისა და მოტყუების შემთხვევათა გამოაშკარავებას. იმდროინდელი შინაგანი კონტროლის სხვადასხვა ფორმები აღწერილია ბიბლიაში, რომლის შინაარსი, საზოგადო აზრის თანახმად, მოიცავს პერიოდს ძველი წელთაღრიცხვის 1800 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 95 წლამდე. აუდიტორული კონტროლის შემოღების ლოგიკური დასაბუთება ისაა, რომ თუკი მოხელეს მიეცემა მოპარვის შესაძლებლობა, იგი ისარგებლებს ამ შესაძლებლობით, ასახავს იმ პროფესიულ სკეპტიციზმს, რაც დღესაც უნდა ახასიათებდეს აუდიტორს და რასაც მისგან მოელიან. კონკრეტულად ბიბლია ეხება ქონების ორშაგი დაცვის, კომპეტენტური და პატიოსანი მუშაკების დაქირავების, მოვალეობათა დანაწილების და უფლებათა შემოფარგვლის საკითხებს.

ჩინეთში, ჩჟოუს დინასტიის ეპოქაში /1122-256 წ. ჩვ.წ. – მდე/ აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა მოიცავდა საფუძვლიანად დამუშავებულ ბიუჯეტს და ყველა სამთავრობო დეპარტამენტის აუდიტს. ათენში, ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში, სახალხო კრება აკონტროლებდა სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალს, ხოლო ქვეყნის საფინანსო სისტემაში შედიოდნენ სამთავრობო აუდიტორები, რომლებიც ამოწმებდნენ თანამდებობის პირთა დოკუმენტებს მათი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. კერძო სექტორში ქონების მეპატრონეები თვითონ ატარებდნენ თავიანთი ანგარიშების აუდიტს. რომის რესპუბლიკაში სახელმწიფო ბიუჯეტს ხაზინადარის მეთვალყურეობით ამოწმებდა აუდიტორთა შტატი. რომაელებმა პრაქტიკაში დანერგეს მოვალეობათა დანაწილება, თანამდებობის პირთაგან განსხვავებული პასუხისმგებლობის დაკისრება. ზოგი მათგანი გადასახა-

ღებისა და დანახარჯების საქმეს უძღვებოდა, სხვები ამონაგებსა და ბეგარაზე აგებდნენ პასუხს. ბერძენთა მსგავსად რომაელებმა დაამუშავეს შემოწმებისა და ურთიერთკონტროლის რთული სისტემა.

ინგლისურენოვან ქვეყნებში ცნობა აუდიტის შესახებ და ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი საალრიცხვო დოკუმენტი ეს არის ინგლისისა და შოტლანდიის "სახაზინო არქივი", რომელიც დათარიღებულია 1130 წლით, მე-13 საუკუნეში ცნობები აუდიტორთა და აუდიტის შესახებ გვხვდება როგორც ინგლისში, ისე იტალიაში, ხოლო ამაკე საუკუნეში საფრანგეთში დაწერილი თხზულება ქონების მართვის შესახებ მეპატრონეებს ურჩევდა, ყოველწლიურად ჩაეტარებინათ აღრიცხვის აუდიტი. ლონდონის სიტიში აუდიტი დანერგილი იყო უკვე 1200 წლიდან, ხოლო მე-14 საუკუნის დასაწყისში თანამდებობის პირთა არჩევნებში აუდიტორების არჩევაც შედიოდა. იმ დროიდან მოყოლებული, არქივებში დაგროვდა დიდძალი დოკუმენტაცია, რომელიც მოწმობს აუდიტის მნიშვნელობის ფართო აღიარებას და ადასტურებს, რომ რეგულარულად ტარდებოდა მუნიციპალიტეტების, კერძო მიწათმფლობელებისა და ხელოსანთა გილდიების ანგარიშგების აუდიტი.

ძველად დიდ ბრიტანეთში ორი ტიპის აუდიტი ტარდებოდა. ქალაქებში აუდიტი საჯაროდ ტარდებოდა და მას მმართველი თანამდებობის პირები და მოქალაქეები ესწრებოდნენ. აუდიტი მთავრდებოდა აუდიტორის ანგარიშის მოსმენით, რომელსაც ხმამაღლა კითხულობდა ხაზინადარი /"ანგარიშის მოსმენის პრაქტიკა დაინერგა იმასთან დაკავშირებით, რომ ძველ დროში მოსახლეობის უმეტესობა წერა – კითხვის უცოდინარი იყო. თვით ტერმინი "აუდიტი" ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და "მოსმენას" ნიშნავს/. ანალოგიური სახით ტარდებოდა გილდიების აუდიტის მოსმენა მისი წევრების თანდასწრებით. მე-16 საუკუნის დასაწყისისათვის ქალაქების აუდიტორებმა დაიწყეს თავიანთ ანგარიშებში ასეთი ტიპის შენიშვნების ჩართვა: "მოსმენილია ქვემორე ხელისმომწერი აუდიტორების მიერ". ასეთი იყო აუდიტორული დოკუმენტის პირველადი ფორმა. აუდიტის მეორე ტიპი წარმოადგენდა მსხვილი მამულების ფინანსურ მმართველთა საგადასახადო ანგარიშების დეტალურ შემოწმე-

ბას "დებეტისა და კრედიტის" მიხედვით, რომელიც მთავრდებოდა "აუდიტორული დეკლარაციით", ე.ი. ზეპირი ანგარიშგებით მამულის მეპატრონისა და მმართველთა საბჭოს წინაშე. აუდიტორი, ჩვეულებრივ, ამ საბჭოს წევრი იყო და, ამრიგად, თანამედროვე შინაგანი აუდიტორის წინამორბედად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა.

აუდიტის ორივე ტიპი, რომელიც ტარდებოდა დიდ ბრიტანეთში, თითქმის მე-18 საუკუნემდე, პირველ რიგში იქეთ იყო მიმართული, რომ უზრუნველეყო სახელმწიფო და კერძო თანამდებობის პირთა ანგარიშგება მათ გამგებლობაში არსებულ საშუალებებზე. ამ სახეობათა აუდიტის მიზანს არ წარმოადგენდა გაანგარიშებათა ხარისხის შემოწმება, თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როცა უზუსტობები მოტყუების მცდელობას უკავშირდებოდა. ეკონომიკურმა ცვლილებებმა 1600 წლიდან 1800 წლამდე პერიოდში, როცა ინტენსიურად მიმდინარეობდა ქალაქების ზრდა, მრეწველობისა და ვაჭრობის გაფართოება, ახალი მოთხოვნები წაუყენა სააღრიცხვო საქმეს. ყურადღების ცენტრში მოექცა ქონებაზე საკუთრების უფლება და მოგებადანაკარგის კალკულაცია, ამ სიტყვის ეკონომიკური აზრით. აუდიტმაც თანდათან იცვალა სახე და მოსმენის პროცესიდან წერილობითი დოკუმენტაციის დაწვრილებით ანალიზად და დამამტკიცებელი მოწმობების კვლევად იქცა. მე-17 საუკუნის ბოლოს მიიღეს /შოტლანდიაში/ პირველი კანონი ზოგიერთი თანამდებობის პირთათვის ქალაქის აუდიტორად მუშაობის აკრძალვის შესახებ. ამით დასავლეთის სამყაროში შემოიღეს თანამედროვე ცნება აუდიტორის დამოუკიდებლობა.

აუდიტორული პრაქტიკის ასეთი პროგრესის მიუხედავად, მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იქცა პროფესიონალი აუდიტორი საქმიანი სამყაროს ორგანულ ნაწილად. ეს დაკავშირებულია რკინიგზების მშენებლობასთან, სადაზღვევო კომპანიების, ბანკების და სააქციო საზოგადოებების მომრავლებასთან. სარკინიგზო ტრანსპორტი ერთ-ერთი პირველი დარგია აშშ – ში, რომელმაც შექმნა შინაგანი აუდიტორების სამსახური. მე-19 საუკუნის დასასრულს ე.წ. გამსვლელი აუდიტორები უკვე მუშაობდნენ მთელ ქვეყანაში გაფანტულ სატრანსპორტო საა-

გენტლოებში იმ მიზნით, რომ შეეფასებინათ ანგარიშგების სისტემა და ქონებაზე ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა.

მე-20 საუკუნის მიჯნამდე გარეშე აუდიტი აშშ – ში ინგლისური მოდელის მიხედვით იყო აგებული. მასში იგულისხმებოდა საბალანსო მონაცემთა დეტალური გამოკვლევა. რობერტ ხ. მონტგომერიმ "აღრიცხვის აუდიტი" უწოდა ამ ადრეული ეტაპის ამერიკულ აუდიტს, რითაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აუდიტორის სამუშაო დროის სამი მეოთხედი საბუღალტრო წიგნების შედგენასა და გაანგარიშებაზე იხარჯებოდა. ამერიკაში არ არსებობდა კანონით დადგენილი მოთხოვნები აუდიტორის მიმართ და შემოწმებას უმეტეს შემთხვევაში ახორციელებდნენ აშშ – ს ფირმებში ინგლისიდან ინგლისელი ინვესტორების მიერ გამოგზავნილი აუდიტორები, რის გამოც ეს პროფესია თავიდან ნელა ვითარდებოდა.

თანდათან „ამერიკული აუდიტი" ტესტურ აუდიტში გადაიზარდა, როდესაც სწრაფად განვითარებადმა ამერიკულმა ბიზნესმა საკმარისად აითვისა აუდიტის პროცედურები, ამერიკელმა ბიზნესმენებმა ჩათვალეს, რომ შემოწმების ბრიტანული სტილი მეტისმეტად ბევრ დროსა და საშუალებებს მოითხოვდა. გარდა ტესტირების მეთოდისა, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა, აუდიტორებმა დაიწყეს იმ ფორმათა საქმიანობის ამსახველი ცნობების შეკრება, რომლებიც მონათესავე ბიზნესში იყვნენ ჩაბმული. პარტნიორთა საქმიანობის ანალიზი ეხმარებოდა მათ ოპერაციების შემოწმებაში. ინვესტორთა ინტერესების გათვალისწინებით, ამერიკელმა აუდიტორებმა მეტი ყურადღება დაუთმეს აქტივებისა და პასივების შეფასებას. ყველა ეს სიახლე ასახავდა აუდიტის ამოცანათა გაფართოებას.

აუდიტის სტანდარტიზაციის თანამედროვე ერა დაიწყო 1939 წლიდან, როდესაც ნაფიც ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტმა დააწესა აუდიტურ პროცედურათა კომიტეტი და ამ კომიტეტმა გამოსცა აუდიტორული პროცედურის პირველი დებულება /SAP/. 1973 წლამდე გამოვიდა 54 დებულება, ხოლო კომიტეტმა ამასობაში ახალი სახელწოდება მიიღო: აუდიტორულ სტანდარტთა აღმასრულებელი კომიტეტი /შემდგომში აუდიტორული სტანდარტების საბჭო/, რომელმაც მოახდინა ყველა დებულების კოდიფიცირება და თავი მოუყარა მათ "აუ-

დიტორული პროცედურის დებულება №1" – ის სახით /SAS/, რომელიც ამჟამად მოქმედებს.

<u>აუდიტის მიზნები და ამოცანები</u>. აუდიტორული მომსახურება შეიძლება ხორციელდებოდეს სათანადო ლიცენზიების მქონე ინდივიდუალური აუდიტორების ან აუდიტური ფირმების მიერ. სამსახურის ამ ორი სამართლებრივი ფორმიდან არსებითი უპირატესობა გააჩნია აუდიტორულ ფირმებს.

აუდიტური ფირმის მიზანია, რომ მოთხოვნების დონეზე უზრუნველყოს აუდიტორული შემოწმება და გამოავლინოს სამეურნეო სუბიექტების საბუღალტრო /ფინანსურ/ ანგარიშგებასა და ფაქტობრივად განსორციელებულ საფინანსო – სამეურნეო ოპერაციების საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის მდგომარეობა.

აუდიტური ფირმის მთავარი ამოცანაა აუდიტორული შემოწმების მაღალსარისხოვნად ჩატარება. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი შესაძლებელია მაშინ, თუ:

აუდიტორულ შემოწმებას ატარებენ თავისი საქმის მცოდნე, მაღალკვალიფიციური, ობიექტური და აუდიტორული სამსახურის წარმატებებით დაინტერესებული აუდიტორები და მოწვეული სპეციალისტები;

რამდენად გულდასმით იქნება შესწავლილი გამოკვლევის მიზანთან დაკავშირებული საინფორმაციო ბაზა; ამასთან ერთად, გავითვალისწინოთ ისიც, რომ აუდიტური ფირმის სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. აუდიტური ფირმის აღჭურვა თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკით;
2. სამეურნეო ობიექტების შერჩევა;
3. ფირმის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

<u>აუდიტის კლასიფიკაცია</u>. აუდიტორული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუდიტის სახეებიც სხვადასხვაა. ყოველი სახის აუდიტს თავისი მიზანი, დანიშნულება, ჩატარების წესი, ორგანიზაცია, საინფორმაციო ბაზა, ჩატარების დრო, ჩამტარებ-

ლები და სხვა გააჩნია. ამიტომ აუდიტის სახესხვაობა უნდა კლასიფიცირდეს გარკვეული, წინასწარ შემუშავებული ნიშან – თვისებების მიხედვით, რამეთუ ერთი რომელიმე ნიშნის მიხედვით გამოყოფილი აუდიტის სახის აღრევა ან გაიგივება სხვა რომელიმე ნიშნის მიხედვით გამოყოფილ სახესთან გამოიწვევდა აუდიტორული საქმიანობის არევ – დარევას.

აუდიტის კლასიფიკაცია არის აუდიტის სახეების დაჯგუფება განსაზღვრული, ძირითადი ნიშნების მიხედვით მათი უკეთ შესწავლისა და სწორი გამოყენების მიზნით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აუდიტის დაჯგუფების ნიშნები, დღეისათვის არსებულ აუდიტორულ ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, არასაკმარისად არის განხილული.

პირველი ნიშანი, რომლის მიხედვითაც ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ აუდიტის სახეები, შეიძლება იყოს ჩატარების ვალდებულებისადმი დამოკიდებულება.

ამ ნიშნის მიხედვით, უნდა განვასხვაოთ საინიციატივო აუდიტი და საყალდებულო აუდიტი.

საინიციატივო /ნებაყოფლობითი/ აუდიტის ჩატარება თვით სამეურნეო სუბიექტის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, ე.ი. ტარდება მისი ინიციატივით. ამიტომ მას საინიციატივოს /ნებაყოფლობითს/ უწოდებენ. ასეთი სახის აუდიტი ტარდება ადგილობრივი ძალების გამოყენებით /თუმცა შეიძლება სპეციალისტების გარედან მოწვევაც/ და მმართველი აპარატის ორგანიზაციული ხელმძღვანელობით.

საყალდებულო აუდიტი არ არის დამოკიდებული სამეურნეო სუბიექტის ნება – სურვილზე. იგი საკანონმდებლო წესით მტკიცდება და საყალდებულოა ყველა საწარმოსათვის, რომელსაც იგი ეხება. საყალდებულო აუდიტის ჩატარების დრო და წესი წინასწარაა დადგენილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ.

აუდიტორული საქმიანობის შესახებ, საქართველოში მოქმედი კანონის თანახმად, აუდიტის ჩატარება საყალდებულოა:

ა) იმ სამეურნეო სუბიექტებისათვის, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ითვალისწინებს მესაკუთრეთა შეზღუდულ ქონებრივ პასუხისმგებლობას;

ბ) ბანკების, სადაზღვეო კომპანიების, არასაბიუჯეტო ფონდების, საფონდო და სასაქონლო ბირჟებისათვის;

გ) ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისა და საინვესტიციო ინსტიტუტებისათვის;

დ) სხვა სუბიექტებისათვის, რომელთა სიას ყოველწლიურად ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მეორე ნიშანი, რომლის მიხედვითაც უნდა განვასხვაოთ აუდიტის სახეები, შეიძლება იყოს სამეურნეო სუბიექტებისადმი დამოკიდებულება.

ამ ნიშნის მიხედვით უნდა განვასხვაოთ შიდა აუდიტი და გარე აუდიტი.

შიდა აუდიტი არის საწარმოს ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად ადგილობრივი სპეციალისტების მიერ ჩატარებული აუდიტი. შიდა აუდიტი უმთავრესად ტარდება მსხვილ საწარმოებში, სადაც მმართველ აპარატს ყოველთვის არა აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის საჭირო ინფორმაცია. შიდა აუდიტი აუდიტორული საქმიანობის მასობრივი სახეა. იგი აერთიანებს საქმიანობის მთელ სპექტრს, როგორიცაა: ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი საქმიანობა, საწარმოო საქმიანობა, სამეურნეო საქმიანობა, ეკონომიკური შეფასება /ეფექტიანობა, ნაყოფიერება, ეკონომიურობა და სხვა/. მისი მიზანია, დაეხმაროს შესაბამის მუშაკებს, რაც შეიძლება ეფექტიანად წარმართონ თავიანთი საქმიანობა.

როგორც შიდა, ისე გარე აუდიტი შეიძლება მოიცავდეს ფინანსური ანგარიშების შემოწმებას, პროცედურებისა და ნორმების დაცვას, საქმიანობის ხასიათის შეფასებას. მათ შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ შიდა აუდიტი ტარდება თვით ორგანიზაციის შიგნით, მისი ხელმძღვანელობის მოთხოვნითა და ინიციატივით და მისი სახელით, მაშინ როცა, გარე აუდიტი გულისხმობს იმ ჯგუფების წინაშე პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას, რომლებიც ითვლებიან მოცემული ორგანიზაციის მომხრეებად. შიდა აუდიტორი თვით მოცემულ ორგანიზაციაში მომუშავე პიროვნებაა და ამიტომ იგი ზოგიერთი თავისი ფუნქციის შესრულებაში შედარებით დამოკიდებულია, ვიდრე გარე აუდიტი.

შიდა აუდიტი შეიძლება განვიხილოთ როგორც სამართავი კონტროლის საერთო სისტემის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. ისტორიულად შიდა კონტროლის ხასიათი იცვლებოდა. თავდაპირველად აუდიტის როლი შემოიფარგლებოდა ფინანსური მართვის ამოცანებით და აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფით და ატარებდა კონტროლის ხასიათს დეტალურ დონეზე. უფრო მოგვიანებით აუდიტორთა საქმიანობის სფეროში მოექცა არა მარტო იმის შემოწმება, თუ როგორ ფუნქციონირებს კონტროლისა და ინფორმაციის დამუშავების სისტემა, არამედ ისიც, თუ რამდენად ეფექტურია ისინი მიზნის მისაღწევად და რა მიმართულებით შეიძლება მოხდეს მათი სრულყოფა.

უკანასკნელ პერიოდში ბევრ ორგანიზაციაში კიდევ უფრო გაფართოვდა შიდა აუდიტის როლი მის საქმიანობაში იმ ინფორმაციის ხარისხის შეფასების ჩართვით, რომელსაც იძლევა მართვის ინფორმაციული სისტემა და რომელიც გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია. აგრეთვე მის ფუნქციებს მიეკუთვნა ინფორმაციის ანალიზის გამოყენებული მეთოდიკის სარგებლიანობის შეფასებაც.

საზღვარგარეთული გამოცდილებიდან გამომდინარე, შიდა აუდიტორები ახორციელებენ ფირმის, საწარმოს და ა.შ. სამართავი ფუნქციების, მათ შორის, თავიანთი საქმიანობის დამოუკიდებელ საექსპორტო შეფასებას. ისინი თავიანთ სათაო ფირმას წარუდგენენ ანალიზის შედეგებს, შეფასებებს, რეკომენდაციებს, რჩევებს და ინფორმაციას მათ მიერ შემოწმებული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. შიდა აუდიტორები მუშაობენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. შიდა აუდიტორის ამოცანაა – დაეხმაროს შესაბამის მუშაკებს თავიანთი მოვალეობების კვალიფიციურად და ეფექტურად შესრულებაში. შიდა აუდიტორი ამოწმებს საბუღალტრო ინფორმაციას და მის უტყუარობას. ისინი ანგარიშვალდებული არიან ზემდგომი ხელმძღვანელობის წინაშე და, ჩვეულებრივ, პირდაპირი კავშირი აქვთ აუდიტორულ კომიტეტთან, დირექტორთა საბჭოსთან და სხვა სამართავ ქვედანაყოფებთან.

უნდა შევნიშნოთ, რომ შიდა აუდიტის შინაარსის შესახებ არსებობს რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებები. ზოგიერთი

თვლის, რომ აუდიტორი ბუღალტერია, სხვები თვლიან, რომ – რევიზორია.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ევროპის ქვეყნებში, შიდა აუდიტთან ერთად, ფართო გავრცელება პპოვა გარე აუდიტმა, რომელსაც ახორციელებენ ცალკეული აუდიტური ფირმები სხვა ორგანიზაციების შემოწმების მიზნით. გარე აუდიტი იურიდიულად რეგლამენტირებულია, რაც გარეშე ჯგუფებს უფლებას აძლევს შეისწავლონ და პოტენციურად გააკონტროლონ ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების საქმიანობა. გარე აუდიტორების სტატუსი ჩვეულებრივ განსაზღვრავს მათი პასუხისმგებლობის მოთხოვნებს საკუთარ ანგარიშზე, აგრეთვე კრიტერიუმებს, რომლებზედაც ეს ანგარიშია დამყარებული, შემოწმებელთა უფლებამოსილებას, მათი დანიშვნისა და განთავისუფლების წესებს, მათი კვალიფიკაციის დონეს, ანაზღაურების სიდიდეს და ქცევის ნორმებს.

გარე აუდიტორების ძირითადი მოვალეობა საწარმოს რეგულარული ფინანსური ანგარიშგების შეფასებაა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების მსვლელობაში გარე აუდიტორი ჩვეულებრივ იჭრება შიდა კონტროლის სისტემაში. აქ შეიმჩნევა დიდი მსგავსება გარე და შიდა აუდიტორების მიერ გამოყენებულ მეთოდებთან და მათ მიერ გამოტანილ შეფასებებთან. გასაკონტროლებელი სისტემის შემოწმების შედეგების საფუძველზე, გარე აუდიტორები ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის აშზადებენ ანგარიშებს, რომლებშიც მითითებული იქნება ამ სისტემის სუსტი მხარეები; უკანასკნელ პერიოდში გარე აუდიტორების საქმიანობა გასცილდა ფინანსური ანგარიშგების შემოწმების ფარგლებს. ისინი დამატებით ახდენენ ორგანიზაციის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობის და მათი მუშაობის შედეგიანობის ხარისხობრივ შეფასებას.

გარე აუდიტორული მომსახურების შემსრულებლები არიან აუდიტური ფირმები აუდიტორთან ერთად, ისინი ცდილობენ, თავიანთ კლიენტებს აღმოუჩინონ მრავალფეროვანი მომსახურება, მაგალითად, საგადასახადო დაბეგვრის სფეროში, კონსულტაციები მართვისა და ინფორმაციული სისტემების მუშაობის საკითხების ირგვლივ, გადასახადების შეწყვეტის შესახებ და სხვა.

შიდა და გარე აუდიტის ფუნქციების განხილვიდან უკვე ნათლად ჩანს მათ შორის არსებული განსხვავება, თითოეული მათგანის წვლილი ორგანიზაციული კონტროლის მთლიან პროცესში.

კერძოდ, მათ შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ შიდა აუდიტი მიმართულია მენეჯერებისადმი დახმარების აღმოჩენისკენ მათ მიერ კონტროლის ფუნქციების განხორციელების საქმეში, მაშინ როცა, გარე აუდიტი ემსახურება უცხო, გარე ჯგუფების ინტერესებს. შეიძლება ითქვას, რომ კონტროლის ამ ორი აღნიშნული სახის ფუნქციები ერთმანეთს ავსებს, ემსახურებიან რა სხვადასხვა მიზნებს. მაგრამ სინამდვილეში ის მომსახურება, რომელსაც ეწევიან შიდა და გარე აუდიტორები, პოტენციურად მნიშვნელოვნად ფარავენ ერთმანეთს. ამიტომ ხშირად შიდა და გარე აუდიტორთა საქმიანობაში შეიმჩნევა კოორდინაცია, რაც ქმნის იმის პირობებს, რომ თავიდან ავიცილოთ მუშაობაში არასაყალდებულო დუბლირება და შემცირდეს დანახარჯები.

შიდა და გარე აუდიტს შორის განსხვავების ანალიზი თითოეული ელემენტის მიხედვით გამოკვეთილად ჩანს ცხრილ 10-ის მონაცემებიდან. მესამე ნიშანი, რომლის მიხედვითაც უნდა დავაჯგუფოთ აუდიტის სახეები, შეიძლება იყოს მიზნობრივი დანიშნულება.

მართალია, უმიზნოდ არც ერთი აუდიტი არ ტარდება, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულება გააჩნია. ასეთია, მაგალითად, საბუღალტრო /ფინანსური/ ანგარიშგების აუდიტი.

საბუღალტრო /ფინანსური/ ანგარიშგების აუდიტი ასახავს საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს ფულად გამოსახულებაში და იმავდროულად არის საბუღალტრო სამუშაოების დასკვნითი ეტაპი საანგარიშგებო პერიოდში. იგი მიზნად ისახავს ამ საქმიანობის ფაქტობრივ მდგომარეობასა და საყალდებულო მოთხოვნებს შორის შესაბამისობის გამოვლენას. აუდიტორული შემოწმება ხორციელდება ინდივიდუალური აუდიტორების, ან აუდიტური ფირმების მიერ, რომელთა დასკვნა ქვეყნდება, ეცნობება სამეურნეო სუბიექტს და ეგზავნება მიზნობრივი დანიშნულებით /აქციების მფლობელებს, კრედიტორებს, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს/.

ცხრილი 10

შიდა და გარე აუდიტის შედარებითი დახასიათება[1]

ელემენტები	შიდა აუდიტი	გარე აუდიტი
საზღვრები, ობიექტი	განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ. თავდაპირველად მისი მიზანი იყო აქტივების დაცვის უზრუნველყოფა და ზარალის თავიდან აცილება. ამჟამად აქცენტი გადატანილია ინფორმაციული სისტემის ფუნქციონალურ აუდიტზე	განისაზღვრება აუდიტორიული ორგანიზაციის სტატუსით. დომინირებს ფინანსური ანგარიშგებისა და ინფორმაციის უტყუარობის აუდიტი. ზოგიერთ ქვეყანაში ვითარდება საწარმოო საქმიანობის აუდიტი
კვალიფიკაცია	განისაზღვრება მმართველობითი სტრუქტურის გადაწყვეტილების საფუძველზე. გააჩნია დამოუკიდებლობის ნაკლები ხარისხი და შედარებით დაბალი პროფესიული დონე	მკაცრად განისაზღვრება, განსაკუთრებით პროფესიული ასოციაციების წევრთათვის, ახასიათებს დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხი და პროფესიული კვალიფიკაციის მაღალი დონე.
მეთოდები	გამოყენებულ მეთოდებს ბევრი რამ აქვს მსგავსი, განსაკუთრებით შიდა კონტროლის სისტემის ანალიზისა და შერჩევითი შემოწმებების გამოყენების სფეროში აუდიტორული ტესტირების დროს. განსხვავება – დეტალურობის ხარისხი, შემოწმებების სიზუსტე.	
მიზნები	განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ ან გეგმებიდან გამომდინარე	გამომდინარეობს კანონმდებლობიდან, სასამართლო ინსტანციების ინტერპრეტაციიდან, აგრეთვე მოთხოვნილებებიდან
ანგარიშვალდებულება	ხელმძღვანელობის წინაშე	გარე ჯგუფების, ან ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წინაშე. შეიძლება ჰქონდეს დამატებითი მომსახურების სახე.

[1] პრაქტიკული აუდიტი (მეთოდური სახელმძღვანელო), თბილისი, 1995, გვ.23.

სპეციალური აუდიტი არის სამეურნეო სუბიექტის კონკრეტული საქმიანობის აუდიტორული შემოწმება. მისი მიზანია იმის დადგენა, თუ კონკრეტული საკითხების მიხედვით, რამდენად შეესაბამება საწარმოში არსებული მდგომარეობა დადგენილ პროცედურებს, ფორმებს, წესებს. იგი არკვევს აგრეთვე განხორციელებულ ღონისძიებათა კანონიერებას, მატერიალურ პასუხისმგებლობას, ხელმძღვანელობის ეფექტიანობას, საგადასახადო ანგარიშგებების შედგენის სისწორეს, სოციალური ფონდების გამოყენების მიზნობრიობას და სხვ.

მეოთხე ნიშნად შეიძლება დავასახელოთ ჩატარების პერიოდულობა. ამ ნიშნის მიხედვით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ თავდაპირველი აუდიტი და პერიოდული აუდიტი.

თავდაპირველი აუდიტი მხოლოდ ერთხელ ტარდება საწარმოს არსებობის შანძილზე. იგი ტარდება აუდიტორების /აუდიტური ფირმების/ მიერ საწარმოს დაარსების დროს, როდესაც საწარმოში ჯერ კიდევ არ არის აუდიტორული საქმიანობის პრაქტიკა. ეს საგრძნობლად ართულებს აუდიტორულ შემოწმებას, ვინაიდან აუდიტორები მოკლებულნი არიან აუდიტორული შემოწმებისათვის საჭირო ინფორმაციას. მიუხედავად ამისა, ასეთი აუდიტის ჩატარება ყველა სამეურნეო სუბიექტისათვის აუცილებელია.

პერიოდული /განმეორებადი/ აუდიტი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, პერიოდულად მეორდება. იგი ტარდება აუდიტორებსა /აუდიტურ ფირმასა/ და სამეურნეო სუბიექტს შორის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც შესაბამისი ხელშეკრულებით ფორმდება. ამიტომ ამ სახის აუდიტს უწოდებენ განმეორებად, რეგულარულ აუდიტსაც.

პერიოდული აუდიტი დიდად უწყობს ხელს სამეურნეო სუბიექტის და აუდიტორის /აუდიტური ფირმის/ ურთიერთშეთანხმების განმტკიცებას. ეს კი სასარგებლოა ორივე მხარისათვის: აუდიტორისათვის /აუდიტური ფირმისათვის/ იმიტომ, რომ წლების განმავლობაში ის საფუძვლიანად სწავლობს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობას, ხოლო საწარმოსათვის იმიტომ, რომ იგი იღებს მაღალკვალიფიციურ, მრავალმხრივ და პრაქტიკით შემოწმებულ შეფასებასა და დახმარებას.

მეხუთე ნიშნად შეიძლება დავასახელოთ დაჯგუფება საქმიანობის სახეების მიხედვით. ამ ნიშნის მიხედვით დაჯგუფების დროს ვსვდებით აუდიტორული საქმიანობის ისეთ სახეებს, როგორიცაა: კონსალტინგი, მმართველობითი საქმიანობა და ეკოლოგიური საქმიანობა. ამის შესაბამისად, აუდიტიც შესაბამის სახელწოდებებს იღებს. ე.ი. ცალკე სახეებად გამოიყოფა კონსალტინგი, მმართველობის აუდიტი, ეკოლოგიური აუდიტი.

კონსალტინგი /საკონსულტაციო აუდიტი/ დამოუკიდებელი, თავისთავადი სახის აუდიტია, რომლის მიზანია, აუდიტორმა /აუდიტურმა ფირმამ/ საჭირო საკონსულტაციო დახმარება გაუწიოს სამეურნეო სუბიექტს. საკონსულტაციო დახმარება მოიცავს საწარმოსათვის საჭირბოროტო საკითხების მთელ სპექტრს. კონსალტინგი შეიძლება ჩატარდეს ზეპირად, ან წერილობით. ეს საქმიანობაც სამეურნეო სუბიექტსა და აუდიტორს /აუდიტურ ფირმას/ შორის წინასწარი შეთანხმების მიხედვით სრულდება. იგი შეიძლება იყოს ერთჯერადი, ან რეგულარული. რეგულარული ტარდება მთელი წლის განმავლობაში საწარმოს მოთხოვნის შესაბამისად. ასეთი მომსახურება შესაძლებლობას აძლევს საწარმოსაც და აუდიტორსაც, წინასწარ დაიზღვიონ თავი მოსალოდნელი ნაკლოვანებებისაგან და უზრუნველყონ სათანადო დონის ანგარიშგების შედგენა.

მმართველობითი საქმიანობის /ოპერატიული/ აუდიტიც საკითხების ფართო წრეს აერთიანებს. ასეთ შემოწმებას ექვემდებარება საწარმოს აქტივები, ფინანსური შედეგების ფორმირების სისწორე, გადაწყვეტილებების საფუძვლად აღებული დოკუმენტაციის სარწმუნოება, სახელმწიფო პროგრამის შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებების მიზანშეწონილობა, საწარმოო ანგარიშგებების შედგენის სისწორე და თავისდროულობა, დანახარჯების განსაზღვრისა და მათი თვითღირებულებაში შეტანის სისწორე და სხვა. ამ სახის აუდიტის მიზანია მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ეკონომიკურად დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავება.

ეკოლოგიური საქმიანობის აუდიტი გულისხმობს წარმოებისა და მისი გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შემოწმებას, აუდიტორის /აუდიტური ფირმის/ მიერ სამეურნეო სუბიექტის მასშტაბით ეკოლოგიური თვალსაზრისით განხორციელებული

ღონისძიებების მიზანშეწონილობის შემოწმებას, იმის გაპოვლენას, თუ რამდენად შეესაბამება სამეურნეო სუბიექტის არსებული მდგომარეობა საკანონმდებლო მოთხოვნებს. ეკოლოგიური აუდიტი სულ უფრო სცილდება ერთი საწარმოს ფარგლებს და იღებს გრძელვადიან სტრატეგიულ მიმართულებას.

მეექვსე ნიშნად შეიძლება გამოვყოთ წაყენებული მოთხოვნებისადმი დამოკიდებულება. ამ ნიშნის მიხედვით გამოიყოფა დამადასტურებელი /დამამტკიცებელი/ აუდიტი, სისტემურ – ორიენტირებული აუდიტი და რისკზე დაფუძნებული აუდიტი.

დამადასტურებელი /დამამტკიცებელი/ აუდიტის შინაარსი ისაა, რომ ამოწმებს რა საინფორმაციო ბაზის, კვარტალური და წლიური ანგარიშგებების შედგენის სისწორეს, სამეურნეო სუბიექტი აუდიტორისაგან /აუდიტური ფირმისაგან/ მოითხოვს მათი მუშაობის შედეგების სისწორის წერილობით დადასტურებას /დამტკიცებას/, რამეთუ ამის გარეშე იგი არ შეიძლება გამოდგეს მართვისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების საფუძვლად.

სისტემურ – ორიენტირებული აუდიტის დროს აუდიტორი /აუდიტური ფირმა/ თავისი აზრის ფორმირების საფუძვლად იღებს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური კონტროლის სისტემის მონაცემებს. თუ აუდიტორი /აუდიტური ფირმა/ შიდაკონტროლის სისტემას მიიჩნევს როგორც ეფექტიანს და მის მიერ ჩატარებული შერჩევითი შემოწმების შედეგად ეს შეფასება დადასტურდა, შემოწმების სერიები /დეტალური შემოწმებები/ საჭირო აღარ არის, აუდიტორს /აუდიტურ ფირმას/ შეუძლია დაეყრდნოს საწარმოს აღრიცხვის სისტემის მონაცემებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შეცდომების დაშვების ალბათობა ძალიან მცირეა.

/შენიშვნა: შიდა კონტროლის არაეფექტიანობის შემთხვევაში ასეთი სახის აუდიტი არ ტარდება/.

რისკზე დაფუძნებული აუდიტი არის აუდიტური ფირმის სამეწარმეო რისკი, რომელსაც თავის თავზე იღებს აუდიტური ფირმა დასკვნის მიცემის დროს. იგი გარკვეულწილად ყოველთვის არსებობს, მაგრამ განუზომლად იზრდება მაშინ, როცა აუდიტორი ანგარიშგების უტყუარობას ამოწმებს სუბიექტურად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუდიტორი ანგარიშგების ობიექტუ-

რად შემოწმების გარეშე აძლევს მას დადებით დასკვნას, ე.ი. ადასტურებს მისი სრული უტყუარობის სინამდვილეს, მაშინ, როცა ანგარიშგებაში შეიძლება იყოს შეცდომები და ხარვეზები.

მეშვიდე ნიშნად, თანასმად "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონისა, მიჩნეულია აუდიტორული საქმიანობის მიმართულება. ამ ნიშნის მიხედვით გამოიყოფა:

- საბანკო აუდიტი;
- სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტი;
- საბირჟო, არასაბიუჯეტო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტი;
- ზოგადი აუდიტი /სხვა ეკონომიკური სუბიექტების აუდიტი/.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის კლასიფიკაცია სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ (ის. ცხრილი 11).

<u>აუდიტორის ქცევის ნორმები</u>. იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს თავისი მოვალეობები, აუდიტორი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებიდან ერთ – ერთი ძირითადია აუდიტორის სათანადო განათლება. გარდა ამისა, პროფესიონალი აუდიტორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე. ამერიკული, აგრეთვე ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივ ბუღალტერთა /აუდიტორთა/ ინსტიტუტის ეთიკური ნორმების კოდექსში გამოკვეთილია აუდიტორთა პასუხისმგებლობის აუცილებლობა საზოგადოების, კლიენტებისა და კოლეგების წინაშე. კოდექსში ფორმულირებულია აუდიტორის სავალდებულო ქცევის წესების აუცილებელი მინიმუმი.

ცხრილი 11

აუდიტის კლასიფიკაცია[1]

დაჯგუფების მიზანი	აუდიტის სახე
1. ჩატარების ვალდებულებისადმი დამოკიდებულების მიხედვით	1. ნებაყოფლობითი /ანუ საინვესტიციო/ აუდიტი 2. სავალდებულო აუდიტი
2. ეკონომიკური სუბიექტებისადმი დამოკიდებულების მიხედვით	1. შიდა /შინაგანი/ აუდიტი 2. გარე /გარეგანი/ აუდიტი
3. ძიზნობრივი დანიშნულების მიხედვით	1. საბუღალტრო /ფინანსური/ ანგარიშგების აუდიტი 2. სპეციალური აუდიტი
4. ჩატარების პერიოდულობის მიხედვით	1. თავდაპირველი აუდიტი 2. პერიოდული /განმეორებადი/ აუდიტი
5. საქმიანობის სახეების მიხედვით	1. კონსალტინგი /საკონსულტაციო/ აუდიტი 2. მმართველობითი /ოპერატიული/ აუდიტი 3. ეკოლოგიური აუდიტი
6. წაყენებული მოთხოვნებისადმი დამოკიდებულების მიხედვით	1. დამადასტურებელი /დამამტკიცებელი/ აუდიტი 2. სისტემურ – ორიენტირებული აუდიტი 3. რისკზე დაფუძნებული აუდიტი
7. საქმიანობის მიმაროულების მიხედვით	1. საბანკო აუდიტი 2. სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტი 3. საბირჟო, არასაბიუჯეტო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტი 4. ზოგადი აუდიტი /სხვა ეკონომიკური სუბიექტების აუდიტი/.

[1] ივ. გოდერძიშვილი, აუდიტორული საქმიანობა და მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა, თბილისი, 1997, გვ. 27.

აუდიტორის ქცევის ნორმები შეიძლება ჩამოყალიბდეს სავალდებულო და ამკრძალავი ხასიათის ეთიკურ პრინციპებში, რომლებიც ნაკარნახევია პრაქტიკით; კერძოდ:

1. აუდიტორი ვალდებულია შეასრულოს თავისი ფუნქციები მიუკერძოებლად, რისთვისაც ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, პატიოსანი და ობიექტური. აუდიტორის პატიოსნებას და ობიექტურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა ის გამოხატავს თავის აზრს ფინანსური ანგარიშის ირგვლივ. მართალია, პატიოსნების, ობიექტურობის გაზომვა შეუძლებელია რაოდენობრივად, მაგრამ ეს თვისებები მით უფრო აუცილებელია აუდიტორის პროფესიისათვის. აუდიტორს არ შეუძლია თავი აარიდოს მასზე ზეწოლას თავისი პროფესიული საქმიანობის პროცესში, მაგრამ იგი ვალდებულია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ ზეწოლას.

რეკომენდებულია, რომ აუდიტორმა თავიდან აიცილოს კლიენტებთან სხვა სახის ურთიერთობები, რომლებიც არ არის დაკავშირებული აუდიტორულ შემოწმებებთან, მიუხედავად სამუშაოს ხასიათისა /საკონსულტაციო მომსახურება მართვისა და გადასახადებით დაბეგვრის სფეროში და სხვა/, აუდიტორმა უნდა შეინარჩუნოს პატიოსნება და ობიექტურობა მუშაობის ყველა სტადიაზე და ფინანსური ანგარიშის შესახებ თავისი აზრის გამოხატვისას, თავი აარიდოს ისეთ სიტუაციებს, რომლებიც შელახავს მის დამოუკიდებლობას.

2. აუდიტორი ვალდებულია ყოველგვარი გადახვევის გარეშე დაიცვას საერთო და ტექნიკური პროფესიული სტანდარტები და ცდილობდეს, მუდმივად აიმაღლოს თავისი პროფესიული დონე და ხარისხი. იგი უნდა იყოს ფართოდ ინფორმირებული, ახორციელებდეს თავის საქმიანობას გეგმაზომიერად და იყენებდეს მონაცემთა საკმარის რაოდენობას, რაც აუცილებელი იქნება დასაბუთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოსატანად თანამედროვე მოთხოვნების დონის შესაბამისად.

3. აუდიტორი უნდა იყოს პატიოსანი და მიუკერძოებელი კლიენტებთან ურთიერთობებში, მაქსიმალურად უნდა ავლენდეს თავის შესაძლებლობებს, იმუშავებს რა მათი ინტერესების შესაბამისად, თუ ეს ინტერესები არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივს და არ უშლის ხელს პროფესიული ვალის შესრულებას.

აუდიტორი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს მთელი ინფორმაცია, რომელიც ეხება კლიენტის საქმიანობას. ამასთან, აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი უკან უნდა დაუბრუნდეს კლიენტს ისე, რომ არ დაიტოვოს თავისთვის არავითარი ასლი, შავი ჩანაწერები და მუშა ჩანაწერები /აუდიტორობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი არის კლიენტის საკუთრება/.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აუდიტორმა რაიმე დათმოს, თუ კლიენტი არ არის მზად, აღიაროს ის შეცდომები, რომლებსაც ადგილი ექნება ფინანსურ ანგარიშებში და რაც აუცილებელია მისი საქმის მდგომარეობის სრულად წარმოდგენისათვის. მართალია, აუდიტორი უნდა იყოს თავაზიანი და შორსმჭვრეტელი კლიენტებთან, მაგრამ არ უნდა შეცვალოს თავისი აზრი და დასკვნები ზემოთ დასახელებული მოსაზრებების გამო. მას ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ კლიენტთან პრინციპული საკითხების ირგვლივ კონფლიქტის შემთხვევაში /სერიოზული დარღვევები საფინანსო – სამეურნეო საქმიანობაში/ შეიძლება იძულებული გახდეს, უარი თქვას თავის სამუშაოზე. აუდიტორმა უნდა დაიცვას კონფიდენციალობა, ანუ არ უნდა გაუმხილოს არავის სამუშაოს შესრულების მსვლელობაში მიღებული ინფორმაცია ან ფაქტები, გარდა იმ შემთხვევისა, რაც მისი კანონიერი მოვალეობის შესრულებას შეეხება. თუ არ ექნება კლიენტის თანხმობა, მას არ აქვს უფლება, გამოიყენოს აღნიშნული ინფორმაცია და ფაქტები თავის სასარგებლოდ, ან კლიენტის საზიანოდ, ან რომელიმე სხვა პირის სასარგებლოდ; სამეურნეო და სისხლის სამართლის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, აუდიტორი ვალდებულია კლიენტს ურჩიოს, რომ მან განაცხადოს ამის შესახებ საგამომძიებლო – სასამართლო ორგანოებში ან საგადასახადო სამსახურებში.

4. აუდიტორი უნდა იყოს კეთილმოსურნე, ხელს უწყობდეს კარგი ურთიერთობების დამყარებას მოცემული პროფესიების წარმომადგენლებს შორის. პროფესიონალის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია მისწრაფება თავისი პროფესიის ყოველმხრივ მხარდაჭერასა და კოლეგებს შორის კოოპერაციისადმი. აუდიტორი, რომელიც ცდილობს თავისი პრაქტიკის გაფართოებას, არ უნდა ართმევდეს თავის კოლეგებს კლიენტებს ისე-

თი გზებით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მუშაობის ხარის-ხის დადაბლება, ან ინფორმაციის მომხმარებელთა უფლებების დარღვევა. ნაშდვილი აუდიტორი ვალდებულია, დახმარება გა-უწიოს ნაკლებად გამოცდილ კოლეგებს, ხოლო აუცილებლობ-ების შემთხვევაში გადასცეს დაკვეთა სხვა უფრო მცოდნე აუდი-ტორს; თუ აუდიტორი ჯგუფის ხელმძღვანელია, იგი ვალდებუ-ლია, აცნობოს აუდიტური ფირმის უფროსს იმ ნეგატიური მოვ-ლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა სერიოზული ზარალი მიაყენონ კლიენტის საკუთრებას; აუდიტორი არ უნდა ეწეოდეს თვითრეკლამას, რათა არ დააბნიოს კლიენტები და არ დაჩრდი-ლოს კოლეგების ინტერესები.

5. აუდიტორი ვალდებულია ხელი შეუწყოს თავის პროფე-სიის ავტორიტეტის ზრდას საზოგადოებაში. იგი უნდა იყოს პა-ტიოსანი და არც პირად და არც პროფესიულ ცხოვრებაში არ უნდა იქცეოდეს ისე, რომ შეირყეს აუდიტორის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობა და დამოკიდებულება. აუდიტორს ეკრძა-ლება, მიიზიდოს კლიენტები მოტყუებით, ან მცდარი და დამაბ-ნეველი მტკიცებებით, ან ქმედებით. აუდიტორმა უნდა მოიხვე-ჭოს კომპეტენტური და პატიოსანი სპეციალისტის რეპუტაცია არა სიტყვით, არამედ საქმით. აუდიტორი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს არა მატერიალური ინტერესებით, არამედ საქმიანი მოსაზრებებით, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა აინტერესებდეს ის ანაზღაურება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს იმ პასუხისმგებლობის დონეს, რომელიც აკის-რია მის მოვალეობებს, ენერგიასა და კვალიფიკაციას, და რაც აუცილებელია მოცემული სამუშაოს შესასრულებლად. ჰონორა-რები უნდა გადაიხდებოდეს იმ ცოდნისა და გამოცდილების შე-საბამისად, რომელსაც იყენებს აუდიტორი თავის პროფესიულ საქმიანობაში, აგრეთვე ყოველი ცალკე დავალების მოცულობის მიხედვით. აუდიტორმა არ უნდა გააბნილოს თავისი ხელფასის სიდიდე, რადგან იგი არის აუდიტური ფირმის კომერციული საი-დუმლოება, ამასთან, იგი არ შეიძლება ფლობდეს იმ ფირმის აქციებსა და ობლიგაციებს და იყოს მისი თანამესაკუთრე, სა-დაც იგი ეწევა აუდირებას.

შემოწმების ჩატარების პროცესში აუდიტორს შეუძლია: შეამოწმოს საბუღალტრო დავთრები, ფულადი დოკუმენტები

და საფინანსო – სამეურნეო საქმიანობის ამსახველი სხვა დოკუმენტაცია, ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების, მატერიალური ფასეულობების არსებობა, მიიღოს საწარმოსგან ყველანაირი ახსნა – განმარტება და დამატებითი ცნობა, რაც აუცილებელია შემოწმებისათვის.

პასუხისმგებლობა ამ მონაცემთა სისწორეზე, რომელიც ეძლევა აუდიტორს მისი მოთხოვნის საფუძველზე, ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელს. აუდიტორი პასუხს აგებს თავისი მოვალეობების კვალიფიციურ შესრულებაზე, რასაც ითვალისწინებს კანონმდებლობა და დამკვეთთან დადებული ხელშეკრულება. საწარმოსადმი მიყენებულ იმ ზარალზე, რაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს აუდიტორული შემოწმების უხარისხოდ ჩატარებას, აუდიტორს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა იმ ოდენობით, რაც მოცემულია ხელშეკრულებაში, პასუხისმგებლობის კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვის გათვალისწინებით, აუდიტორებს შეუძლიათ დააზღვიონ თავიანთი პასუხისმგებლობა აუდიტური ფირმის სახსრების ხარჯზე, ხოლო ინდივიდუალურ აუდიტორებს – საკუთარ ხარჯზე.

<u>აუდიტის სტანდარტები და ნორმები</u>. საზღვარგარეთ აუდიტორული საქმიანობა რეგულირდება სტანდარტებისა და ნორმების საფუძველზე (იხ. ცხრილი 12). აუდიტის თეორიასა და პრაქტიკაში სტანდარტებში გულისხმობენ აუდიტორული პროცედურების ძირითად წესებს, ან ძირითად პრინციპებს. წესების მოცემული მინიმუმი ეხმარება აუდიტორს, განსაზღვროს სარევიზიო ღონისძიებების მასშტაბი და მათი ჩატარების მეთოდიკა. სტანდარტები უნდა შესრულდეს იმ პირობების მიუხედავად, რომელშიც ტარდება აუდიტი. მიუხედავად ამისა, აუდიტორული სტანდარტები აუდიტორისაგან მოითხოვს საკუთარი აზრის გამოთქმას.

სტანდარტებისაგან განსხვავებით, აუდიტის ნორმები არ ითვალისწინებს ძირითად პრინციპებს, მაგრამ იგი მოიცავს იმ პროცედურებით ხელმძღვანელობის საკითხებს, რომლებიც შესაძლებელია გამოვიყენოთ: სპეციფიკური საკითხების შემოწმება; აუდიტის გამოყენება მრეწველობისა და მომსახურების სფეროს

სხვადასხვა დარგებში; არააუდიტორული ანგარიშების მომზადება და ა.შ. ნორმები უნდა იყოს დამაჯერებელი, მაგრამ მათ არა აქვთ დირექტიული ხასიათი. აუდიტორებს შეუძლიათ ნორმებიდან გადახვევა, მაგრამ მათ ყოველთვის უნდა შეეძლოთ ახსნან მათი დაუცველობის მიზეზები.

აუდიტორული საქმიანობის სტანდარტები შედგება ოთხი ურთიერთდაკავშირებული თანმიმდევრული ნაწილისაგან, რომლებიც წარმოდგენილია ნახაზზე №4.

სტანდარტების ძირითადი პოსტულატებია – კანონზომიერებები, ლოგიკური პრინციპები და აუცილებელი პირობები, რომლებიც ქმნიან აუდიტორული საქმიანობის სტანდარტების საერთო საფუძველს.

მუშა სტანდარტები – ის წესებია, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს აუდიტორი რევიზიის ამოცანების შესრულების დროს. ეს წესები მოიცავს აუდიტორული რევიზიისადმი მომზადებას, სასჯელს, სწორი, უტყუარი ინფორმაციის შეგროვებას და შიდა კონტროლის საშუალებების შესაბამის დონეზე შესწავლას და შეფასებას.

ძირითადი პოსტულატები

სტანდარტისადმი შესაბამისობა. სტანდარტების შეთანხმებულობა.
მსჯელობის მიუკერძოებლობა. შიგა კონტროლის საშუალებები საზო-
გადოებრივი ანგარიშვალდებულება. ინფორმაციაზე დაშვება.
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა. საქმიანობის კონტროლი.
სტანდარტების მისაწვდომლობა. რევიზიის ტექნიკის გაუმჯობესება.
ინტერესების შეჯახება.

↓

:საერთო სტანდარტები

დამოუკიდებლობა, კომპეტენტურობა, სათანადო ყურადღება.
სხვა საერთო სტანდარტები.

↓

სამუშაო სტანდარტები

დაგეგმვა /მომზადება/.
მეთვალყურეობა და კონტროლი.
შიდა კონტროლის საშუალებები.
მონაცემები /მტკიცებები/.
დოკუმენტების ანალიზი.

↓

ანგარიშგების სტანდარტები

ფორმა: სათაური, რიცხვი, ხელმოწერა.

შინაარსი: სისრულე, რევიზიის საგანი, კანონიერი საფუძველი სტანდარ-
ტებისადმი.

შესაბამისობა, დროულობა.

ნახ. 4. აუდიტორული საქმიანობის სისტემა

ცხრილი 12

აუდიტის და მისი თანმხლები სამუშაოების საერთაშორისო ნორმები /ასნ და თსნ/[1]

ნორმატივების დასახელება	ნორმატივების შინაარსი
1	2
ასნ 1. აუდიტის ჩატარების მიზნები და ძირითადი პრინციპი	დამოუკიდებელი აუდიტი აღწერს აუდიტის ამოცანებსა და სფეროს
ასნ 2. აუდიტორის წერილობითი ვალდებულება კლიენტის წინაშე	გვამცნობს წერილობითი ვალდებულების ძირითად შინაარსს, განსაზღვრავს აუდიტორული სამუშაოს მასშტაბს, პასუხისმგებლობასა და ანგარიშგების ფორმას.
ასნ 3. აუდიტის მარეგულირებელი ძირითადი პრინციპები	განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს: ერთიანობა, ობიექტურობა და დამოუკიდებლობა, კონფიდენციალობა, ცოდნა და კომპეტენტურობა, დაგეგმვა, აუდიტორული მტკიცების მიღება, აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების შემოწმება, მიღებული დასკვნების ანალიზი, ანგარიშების შედგენა.
ასნ 4. დაგეგმვა	დაადგენს დაგეგმვის პროცესის ძირითად ელემენტებს და დასაგეგმი სამუშაოების პრაქტიკულ მაგალითებს
ასნ 5. სხვა აუდიტორის მასალების გამოყენება	გადმოგვცემს მოსაზრებებს სხვა დამოუკიდებელი აუდიტორის ნამუშევრების გამოყენების შესახებ
ასნ 6. რისკის შეფასება და შიგა კონტროლი	აღწერს სააღრიცხვო სისტემას, შიდა კონტროლის ელემენტებს, შეზღუდვებს და აუდიტორულ პროცედურებს, რომლებიც დაკავშირებულია შიდა კონტროლის შესწავლასა და შეფასებასთან

[1] პრაქტიკული აუდიტი (მეთოდური სახელმძღვანელო), თბ., 1995, გვ. 219 – 224.

1	2
ასნ 7. აუდიტორის მუშაობის ხარისხზე კონტროლი	შეიცავს ცალკეული აუდიტორის კონტროლის ოპერაციებს, რომელთაც ამტკიცებს აუდიტური ფირმა
ასნ 8. აუდიტორული მტკიცებები	ახასიათებს აუდიტორულ მტკიცებებს და მათი მიღების წესებს.
ასნ 9. დამატება	გვამცნობს მითითებებს აუდიტორული პროცედურების გამოყენების შესახებ უტყუარი აუდიტორული მტკიცებების მისაღებად.
ასნ 10. დოკუმენტაცია	გაუქმებულია აუდიტორის მიერ შედგენილი სამუშაო ქაღალდების ფორმა და შინაარსი
ასნ 11. შიდა აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგების გამოყენება	მოცემულია იმ პროცედურების დახასიათება, რომლებიც უნდა შეასრულოს დამოუკიდებელმა აუდიტორმა შიდა აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად
ასნ 12. ტყუილი და შეცდომა	განისაზღვრება ტყუილისა და შეცდომის სიდიდე, ყურადღება ექცევა მატერიალურად მცდარი ინფორმაციის გამოვლენას
ასნ 13. ანალიზური პროცედურები	აღწერილია ანალიზური პროცედურების არსი
ასნ 14. აუდიტორის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების შესახებ	ნაჩვენებია აუდიტორული ანგარიშის ფორმა და შინაარსი, მოცემულია შეუცვლელი, შესაცვლელი და საწინააღმდეგო აუდიტორული ანგარიშგების მაგალითები, აგრეთვე აზრის გამოთქმაზე უარის გაცხადების ფორმა
ასნ 15. სხვა ინფორმაცია შესამოწმებელი ფინანსური ანგარიშგების შესახებ	განსაზღვრავს სხვა ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას, რომელიც მოცემულია დოკუმენტში და შემოწმებულია აუდიტორის მიერ

1	2
ასნ 16. მონაცემთა ელექტრონული დამუშავების გამოყენება აუდიტში	მოცემულია მითითება დამატებით პროცედურებზე, როცა აუდიტორული შემოწმება სრულდება მონაცემთა ელექტრონული დამუშავების გარემოში
ასნ 17. აუდიტის ჩატარების ტექნიკა კომპიუტერების გამოყენებით	შეიცავს აუდიტორის მითითებებს აუდიტორული ინსტრუმენტების გამოყენებაზე კომპიუტერის მონაწილეობით, აუდიტორული პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა შემოწმება
ასნ 18. დაკავშირებული მხარეები	განიხილება პროცედურები, რომლებიც ექვემდებარება შემოწმებას აუდიტორული მტკიცებების მიღების პროცესში და რომლებიც ეხება დაკავშირებული მხარეების ოპერაციებს
ასნ 19. ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება	აძლევს მითითებას აუდიტორს ექსპერტის /სპეციალისტი/ მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენებისა და შეფასების შესახებ
ასნ 20. აუდიტორული შერჩევა	განსაზღვრავს ფაქტორებს, რომელთაც შეისწავლის აუდიტორი აუდიტორული ნიმუშის შერჩევისას და აუდიტორული პროცედურების შედეგების შეფასებისას ახასიათებს შერჩევის რისკს, შერჩევის მეთოდებსა და შეცდომების დაპროექტებას
ასნ 21. მონაცემთა ელექტრონული დამუშავების გავლენა საღრიცხვო სისტემებისა და შიდა კონტროლის შეფასებაზე	ითვალისწინებს საღრიცხვო სისტემის შიდა კონტროლის სხვა სახეების შესწავლას და შეფასებას მონაცემთა ელექტრონული დამუშავების გარემოში
ასნ 22. აუდიტორის ანგარიშის შედგენის თარიღი; მოვლენების ასახვა ფინანსური ანგარიშგების პუბლიკაციის შემდეგ	მოცემულია მითითება აუდიტორული ანგარიშის თარიღის შესახებ აუდიტორული პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების შესახებ ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ

1	2
ასნ 23. ხელმძღვანელობის განკარგულებაში არსებული ინფორმაცია	აუდიტორი ყურადღებას ამახვილებს ხელმძღვანელობის განკარგულებაში არსებული ინფორმაციის, როგორც აუდიტორული მტკიცებების, გამოყენებაზე და მაღი მიღების გზებზე
ასნ 24. აუდიტორის მიერ საწარმოს შესაძლო მუდმივი ფუნქციონირების შეფასება	განსაზღვრავს აუდიტორების ვალდებულებებს იმ სიტუაციებისათვის, როცა საწარმოს მუდმივი ფუნქციონირების პრინციპი, როგორც ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, ეჭვის ქვეშ დგება
ასნ 25. სპეციალური დანიშნულების აუდიტორული დასკვნა	იძლევა მითითებას სპეციალური მიზნობრივი აუდიტორული ანგარიშგების შედგენის შესახებ /საკონტროლო შეთანხმებების გამოყენება, ფინანსური ანგარიშგების განსაკუთრებული მუხლები და სხვა/
ასნ 26. მატერიალურობა და აუდიტორული რისკი	აღწერს მატერიალურობისა და აუდიტორული რისკის კონცეფციებს, მათ გამოყენებას აუდიტორის მიერ აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარებისას, მისი პროცედურების შედეგების შეფასებისას
ასნ 27. სააღრიცხვო შეფასების აუდიტი	იძლევა მითითებებს იმ აუდიტორულ პროცედურებზე, რომელთა მეშვეობით შეიძლება ინფორმაციის შემცველი სააღრიცხვო შეფასებების შესაბამისობაში დარწმუნება
ასნ 28. პერსპექტიული საფინანსო ინფორმაციის შესწავლა	ითვალისწინებს პერსპექტიული საფინანსო ინფორმაციის შემოწმების აუდიტორულ პროცედურებს
ასნ 29. აუდიტორის პასუხისმგებლობა თავდაპირველ ნაშთებზე საწარმოს ფინანსური ანგარიშგების პირველი შემოწმებისას	მოცემულია მითითებები აუდიტორის პასუხისმგებლობის შესახებ თავდაპირველ ნაშთებზე ისეთი პროცედურებისას, როცა ფინანსური ანგარიშგება ექვემდებარება შემოწმებას პირველად, ან წინა პერიოდში შემოწმებული იყო სხვა აუდიტორის მიერ

1	2
ასნ 30. რისკისა და მისი გავლენის შეფასება დამოუკიდებელ პროცედურებზე	იძლევა მითითებას საკუთარი და საკონტროლო რისკების შეფასებისა და ამ შეფასების გამოყენების შესახებ, რათა განსაზღვროს დამოუკიდებელი პროცედურების არსი, ჩატარების დრო და მოცულობა რისკის მისაღებ დონემდე შეზღუდვის მიზნით
ასნ/თსნ 1. მიმოხილვის გამოყენების ვალდებულებების ძირითადი პრინციპები	განსაზღვრავს მიმოხილვის ვალდებულებების ძირითად პრინციპებსა და ნორმატივებს
ასნ/თსნ 2. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი	აღწერს იმ პროცედურებს, რომლებიც აუდიტორმა უნდა შეასრულოს ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის ვალდებულებების დროს, აგრეთვე შედგენილი ანგარიშის ფორმას და შინაარსს
ასნ/თსნ 3. ვალდებულებები შეთანხმებული პროცედურების შესრულებაზე	აღწერს იმ ძირითად პრინციპებს და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება აუდიტორსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ფინანსური ანგარიშგების ცალკეული მუხლების შესამოწმებლად, აგრეთვე ანგარიშის შინაარსის ფაქტობრივი მონაცემების შესახებ
ასნ/თსნ 4. ვალდებულებები საფინანსო ინფორმაციის შეგროვებაზე	აშუქებს ფინანსური ინფორმაციის შეგროვების ვალდებულებების პრინციპებს, პროცედურების სახეებს, ბუღალტრული ანგარიშის ფორმას და შინაარსს

საერთო სტანდარტებში შედის კვალიფიკაციის გარკვეული თვისებები და ხარისხი, რომელიც უნდა გააჩნდეს აუდიტორს, რათა ეფექტურად და პროფესიულ დონეზე შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები. აუდიტორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: მომზადების დონე; კომპეტენტურობა; დამოუკიდებლობა და ობიექტურობა; აუდიტორული შე-

მოწმების გულმოდგინე მომზადება; სათანადო ყურადღების დათმობა ინფორმაციის შეგროვებისა და შეფასებისადმი, ანგარიშების შედგენისადმი, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებისათვის.

აუდიტის საბოლოო ეტაპზე იყენებენ ანგარიშგების სტანდარტებს. იგი მოიცავს აუდიტორული რევიზიის შედეგების მასალების შინაარსს, ფორმებს, განლაგებასა და წარდგენის წესებს. შემოწმების სფეროსა და მიზნების მიხედვით აუდიტორული ანგარიშები შეიძლება წარმოადგინოთ შემდეგი ფორმით: ა/ დასკვნა – საფინანსო რევიზიის შედეგებიდან გამომდინარე; ბ/ ანგარიში – აუდიტორის დასკვნისათვის სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შედეგების მიხედვით; გ/ წერილი – ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის; დ/ შენიშვნები – პატარა ფირმებისა და საწარმოების დირექციისათვის.

<u>აუდიტორული ჯგუფები და ორგანიზაციები</u>, აუდიტორთა საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციაში სამი ჯგუფი გამოიყოფა: დამოუკიდებელი, შინაგანი და სახელმწიფო.

დამოუკიდებელ აუდიტორებს გარეშე აუდიტორებსაც უწოდებენ. დამოუკიდებელი აუდიტორები არასოდეს არ არიან იმ ორგანიზაციის მფლობელები ან თანამშრომლები, რომელიც იწვევს მათ აუდიტის ჩასატარებლად /ეს ორგანიზაცია დამკვეთად იწოდება/, თუმცა ისინი თავიანთი მუშაობისათვის გასამრჯელოს იღებენ დამკვეთისაგან. დამოუკიდებელი აუდიტორები ამოწმებენ ფინანსურ ანგარიშგებებს ინვესტორებისა და კრედიტორების, აგრეთვე მარეგულირებელი ორგანიზაციების /როგორიცაა "ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია"/ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. შემოწმების შედეგია აუდიტორული დასკვნა იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორადაა შედგენილი ფინანსური ანგარიშები /მატერიალური მხრით/ ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებიდან გამომდინარე. შინაგანი აუდიტორები მსახურობენ იმ საწარმოებში, სადაც აუდიტს ატარებენ. შინაგან აუდიტორთა ინსტიტუტი განსაზღვრავს შიდა აუდიტს როგორც ორგანიზაციის შიგნით ჩატარებულ დამოუკიდებელ შეფასებას. შინაგანი აუდიტორული სამსახურის ამოცანაა, დაეხმაროს ორგანიზაციის წევრებს მათი სამ-

სახურებრივი მოცალეობების ეფექტურად შესრულებაში. შინაგანი აუდიტის განყოფილება ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილია და ფუნქციონირების ხელმძღვანელობისა და მმართველობის წარმომადგენელთა მიერ /დირექტორთა საბჭო/ განსაზღვრული პოლიტიკის ფარგლებში.

შინაგანი აუდიტორების ძირითადი ფუნქცია არის ორგანიზაციის შინაგანი მართვის სტრუქტურის შემოწმება და მისი ეფექტურობისა და ადეკვატურობის ხარისხის შეფასება. ამ ფუნქციის შესრულებისას შინაგანი აუდიტორები ხშირად ატარებენ ოპერატიულ აუდიტს, რომელიც მოიცავს როგორც ფინანსურ შემოწმებას, ისე შემოწმებას შესაბამისობაზე.

შინაგანი აუდიტორების დამოუკიდებლობა განსხვავდება გარეშე აუდიტორების დამოუკიდებლობისაგან. შინაგანი აუდიტორების დამოუკიდებლობა განისაზღვრება მათი სტატუსით ორგანიზაციაში; ე.ი. მათი ფუნქციითა და დაქვემდებარებით, აგრეთვე, ობიექტურობით. გარეშე აუდიტორების დამოუკიდებლობა კი განისაზღვრება დამკვეთი ფირმის, მისი ხელმძღვანელობისა, ან მფლობელების მიმართ რაიმე ვალდებულებების, ან ფინანსური დაინტერესების არარსებობით.

სახელმწიფო აუდიტორები მუშაობენ სახელმწიფო, ან ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურათა სააგენტოებში. როდესაც აუდიტი ტარდება სახელმწიფო სააგენტოში, ან იმ განყოფილებაში, სადაც ისინი მუშაობენ, ეს აუდიტორები მოქმედებენ როგორც შინაგანი აუდიტორები, ხოლო როდესაც ამოწმებენ სახელმწიფო ფონდების მიმღებლებს /მათ შორის სხვა სახელმწიფო სააგენტოებს/, მაშინ მოქმედებენ როგორც გარეშე აუდიტორები. მაგალითად, აშშ ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში მომუშავე აუდიტორებს შეუძლიათ შეამოწმონ ამ დეპარტამენტის შიგა ოპერაციები; მათ შეუძლიათ, აგრეთვე, შეამოწმონ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ სუბსიდირებული, მაგრამ სხვა სუბიექტების, მაგალითად კოლეჯების, ან უნივერსიტეტების მიერ შესრულებული მეცნიერული გამოკვლევების ეფექტურობა, ეკონომიურობა და პროგრამული შედეგები. აუდიტთა უმეტესობა, რომლებსაც სახელმწიფო აუდიტორები ატარებენ, ეს არის ეკონომიკის საქმიანობის ეფექტურობის და იმ პროგრამების შემოწმება, რომლებიც შეიცავენ შესაბამისი

კანონებისა და წესების დაცვის განსაზღვრას. აუდიტის ზოგიერთი სახეობა, მაგალითად, საგადასახადო ინსპექციის მიერ ჩატარებული, ტარდება მხოლოდ და მხოლოდ როგორც შესაბამისობის შემოწმება.

არსებობს სახელმწიფო აუდიტორთა მრავალი ჯგუფი, ისე რომ, პრაქტიკულად ყოველ მმართველ სტრუქტურას თავისი აუდიტორები ჰყავს. მაგრამ მაოგან ერთი ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ესაა ბუღალტერთა მთავარი სამმაროველო /GAO/. ეს არაპოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელსაც აშშ – ის გენერალური კონტროლიორი მეთაურობს, შეიქმნა კონგრესის მიერ და უშუალოდ მას ემორჩილება. GAO უფლებამოსილია, შეამოწმოს პრაქტიკულად ყველა სააგენტო და მათი ხარჯები. მისი საქმიანობის საფუძველია მიზნობრივი პროგრამების ეკონომიკის, ეფექტურობის და დაფინანსების ცნებებისა და ნორმატივების ჩამოყალიბება.

აუდიტური ფირმები სხვადასხვა სიდიდისაა – დაწყებული მცირე ფირმით, რომელშიც მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს და დამთავრებული მსხვილი ფირმებით, რომლებიც საერთაშორისო საქმიანობას ეწეიან, ასობით კანტორა ეკუთვნის სხვადასხვა ქვეყნებში და ათასობით პარტნიორი და მოსამსახურე ჰყავს. ამ საზღვრებს შორის მოქცეულია პროფესიონალ ბუღალტერთა უამრავი წვრილი და საშუალო ფირმა. მსხვილი ფირმები კლიენტებს უფრო ფართო მომსახურებას სთავაზობენ. საშუალო და მსხვილი ფირმების უმეტესობა მრავალ ფუნქციას ასრულებს. ეს ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ კლიენტებს მთელ რიგ მსხვილ სფეროებში უწევენ მომსახურებას, როგორიცაა: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული საქმიანობა, დაბეგვრა, კონსულტაციები მენეჯმენტში, აგრეთვე სადაზღვევო სტატისტიკა, სადაზღვევო გადასახადები.

აუდიტური ფირმის ძირითადი საქმიანობაა აუდიტორული მომსახურება. საქმიანობის ძირითადი სფერო ამ შემთხვევაში არის ანგარიშის წარმოება და აუდიტორული საქმიანობა, რომელიც ძირითადად კომპანიების ფინანსური ანგარიშგების შემოწმებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ჩვეულებრივ, კლიენტს სთავაზობენ, აგრეთვე, აუდიტთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებასაც, რომელიც აუდიტთან ერთად დამოუკიდებლად ხორცი-

ელდება. ერთ-ერთი ასეთი მომსახურებაა ხელმძღვანელობისათვის ბარათის შედგენა, რომელშიც მოცემული იქნება რეკომენდაციები შინაგანი მმართველობის სტრუქტურის სრულყოფისა და სხვა საკითხების თაობაზე.

აუდიტორული ორგანიზაციები აწარმოებენ, აგრეთვე, ინფორმაციის შეკრებასა და ანალიზს, რაც გულისხმობს ინფორმაციის წარდგენას ფინანსური ანგარიშების სახით ყოველგვარი დასკვნების გარეშე. მომსახურების არსი მდგომარეობს ფინანსური დოკუმენტების მიმართ გარკვეული პროცედურების გამოყენებაში, რათა დარწმუნებით ითქვას, რომ ისინი არავითარ ცვლილებებს არ საჭიროებენ.

მომსახურების სხვა სახე, რომელსაც სთავაზობენ აუდიტური ფირმები, დაბეგვრის სფეროს მიეკუთვნება – გადასახადებისა და ბიზნესის დაგეგმვა და შესაბამისობათა შეძოწმება, რომელიც ტარდება როგორც კორპორაციებისათვის, ისე ცალკეული პირებისათვის. საგადასახადო მომსახურება, რომელსაც საწარმოებს უწევენ, ფართო სპექტრს მოიცავს, კერძოდ კი მოიცავს: დეკლარაციების მომზადებას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების თაობაზე, სტრუქტურულ ღონისძიებებს საგადასახადო შეღავათებით სარგებლობისათვის; კონსულტაციებს გადასახადების შემცირების მიზნით გაერთიანებასა, ან შეძენაზე, ასევე კანონებისა და წესების დაცვის შესახებ და საგადასახადო დეკლარაციების მიმოხილვას. ცალკეული პირების მომსახურებაში შედის საგადასახადო და ფინანსური დაგეგმვაც.

<u>აუდიტორული საქმიანობა საქართველოში</u>. აუდიტორული სამსახურის ჩამოყალიბება ერთ-ერთი წარმატებული აღმოჩნდა საქართველოში მიმდინარე სხვა რეფორმათა შორის. აუდიტორული საქმიანობა, მიუხედავად მთელი რიგი ობიექტური, თუ სუბიექტური პრობლემებისა, დღესდღეობით წარმატებით ახერხებს თვითდაფინანსებას, ინარჩუნებს განვითარების რეზერვებს და პერსპექტივას. ამ დარგში ასეთი შედეგების მიღწევას ხელს უწყობს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა.

დღეს აუდიტურ ფირმებში და ინდივიდუალური აუდიტორის პროფესიით დასაქმებულია 511 აუდიტორი, გარდა ამისა, ექსპერტების, სპეციალისტებისა და ტექნიკური პერსონალის სა-

ხით აუდიტურ ფირმებში მუშაობს 400-ზე მეტი პირი, ანუ სულ აუდიტორულ საქმიანობაში დასაქმებულთა რაოდენობამ თითქმის 1200 კაცს მიაღწია.

2000 წელს აუდიტორულმა საქმიანობამ მოიცვა 10072 საწარმო და ორგანიზაცია, რაც წინა 1999 წლის შესაბამის მაჩვენებელს 2 ჯერ აღემატება, ხოლო ამავე პერიოდში დასაქმებულთა რიცხვი 147 %-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში ინდივიდუალური აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების მიერ შესრულებულია 5226,7 ათასი ლარის /დღგ-ს გარეშე/ სამუშაოები, რაც 169 % - ით გაზრდილია წინა წელთან შედარებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში ჩამოყალიბდა პროფესიონალ აუდიტორთა ინსტიტუტი. ეკონომიკურ სამსახურში გაჩნდა და აქტიურად საქმიანობს სრულიად ახალი სუბიექტი – დამოუკიდებელი აუდიტორი, რომლის მომსახურების ნუსხა მკვეთრად გაიზარდა, მოდერნიზაცია განიცადა აუდიტორული მომსახურების პროგრამებმა და მათი განსორციელების მეთოდებმა, დღითი დღე იზრდება აუდიტორთა კორპუსი ახალი ფენით, ახალგაზრდა სპეციალისტებით, რომელთათვისაც დამახასიათებელია ეკონომიკური აზროვნების სრულიად ახალი წესი.

აუდიტორთა კორპუსის ჩამოსაყალიბებლად, მათი თეორიული ცოდნის განსასაზღვრავად აუცილებელი შეიქნა აუდიტორთა ატესტაცია – სერთიფიცირება. აუდიტორული საქმიანობის საბჭომ შეიმუშავა აუდიტორთა კვალიფიკაციის განმსაზღვრელი მოთხოვნების პროგრამა. ამ პროგრამის შემუშავება ნაკარნახევი იყო იმითაც, რომ საბჭოთა პერიოდში მომზადებული ეკონომისტების, ბუღალტრების, რევიზორების, ფინანსისტების თეორიული ცოდნის დონე ხშირ შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს სანახევროდაც ვერ პასუხობდა და ამ პირების ცოდნის შემოწმების გარეშე აუდიტის ჩატარების უფლების /ლიცენზიის/ გაცემა ყოვლად დაუშვებელი იყო. აუდიტორული საქმიანობის საბჭომ შეიმუშავა, ხოლო შემდეგ ცალ-ცალკე ოთხი ბროშურის სახით გამოსცა: ზოგადი, საბანკო, სადაზღვევო ორგანიზაციების, საბირჟო აუდიტის აუდიტორთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროგრამები, რის საფუძველზეც ხორციელდება აუდიტორთა ატესტაცია. ამასთან ეროვნულ, აუდიტორთა პრაქტიკული

და თეორიული დონის შემდგომი ამაღლების მიზნით, ქართულ ენაზე გამოიცა რუსეთში აუდიტის ფუძემდებლის – პროფესორ ა.შერემეტის "აუდიტის საფუძვლები", საბჭოს დაკვეთით პროფესორმა ი.გოდერძიშვილმა მოამზადა და ბროშურად გამოსცა "აუდიტორული საკანონმდებლო უზრუნველყოფა", ხოლო პროფესორმა ზ.შსვაცბაიამ – "სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟის აუდიტი", ცალკე აღნიშვნის ღირსია ამერიკელი მეცნიერ – პრაქტიკოსის – რობერტ მონტგომერის, მსოფლიოში აღიარებული აუდიტის ფუნდამენტურ-პოპულარული სახელმძღვანელოს "მონტგომერ – აუდიტის" ქართულ ენაზე გამოცემა.

ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის ჩამოყალიბების საქმეში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა აუდიტორული საქმიანობის საბჭოს, პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტოროა ფედერაციის და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს /USAID/ მიერ ერთობლივად ჩატარებულ თეორიულ კონფერენციას – "ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა საქართველოს საწარმოებში". ამ კონფერენციაზე შემუშავებულმა პროგრამამ პრაქტიკულად განსაზღვრა საბჭოს მრავალწლიანი საქმიანობის სამუშაო გეგმა და საფუძველი ჩაუყარა საქართველოში აუდიტორული საქმიანობის რეფორმის განხორციელებას.

აუდიტორული საქმიანობის საბჭოს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველოაგანია, რომელმაც მოიპოვა მშობლიურ ენაზე IFAC – ის მიერ მომზადებული და მსოფლიოში აღიარებული "აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები"-ს გამოცემის, მისი წესების და დებულებების პრაქტიკაში დამკვიდრების უფლება.

აუდიტორული საქმიანობის საბჭომ, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიღების შემდეგ, შეიმუშავა და დანერგა აუდიტორების ტესტირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომზადება-გადამზადების სრულიად ახალი, უფრო სრულყოფილი და მოქნილი სისტემა.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების სწავლების მთელი კურსის მოსმენის შემდეგ, ატესტაციაზე აუდიტორები სააატესტაციო კომისიას უდგენენ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების რომელიმე სტანდარტზე ავტორეფერატს და ხდება ტესტირების გზით მათი შეფასება. სულ ასეთი კურსები ჩატარ-

და 8 ნაკადად და იგი გაიარა 300-ზე მეტმა აუდიტორმა. აუდიტორთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შემოწმების მიზნით, საატესტაციო კომისიის მიერ /რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგებით, სხვადასხვა უწყებათა სპეციალისტებით/ ტარდება აუდიტორთა ატესტაცია, რის საფუძველზეც გაიცემა სერთიფიკატი.

2001 წლის 1 იანვრისათვის გაიცა 511 სერთიფიკატი /495 აუდიტორზე/ მ.შ. 23 სერთიფიკატი გაიცა 22 პროფესიონალ ბუღალტერზე, რომლებიც ფლობენ საქართველოს "პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის" პროფესიონალი ბუღალტრის სერთიფიკატს, 475 სერთიფიკატი გაიცა ზოგად აუდიტში, 12 საბანკო საქმიანობის აუდიტში, 7 სპეციალურ სახელმწიფო ფონდების და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტში და 7 სადაზღვევო ორგანიზაციების აუდიტში.

აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნების აუდიტორების მომსახურება ქართულ საწარმოებში წინა წლებთან შედარებით გაიზარდა და ამ მიზნით გაიცა 22 ლიცენზია /მ.შ. 20 საბანკო სფეროში; საზღვარგარეთის ქვეყნების აუდიტორულ ფირმებზე ერთჯერადი ლიცენზიები გაიცა "კუპერს ენდ ლაიბრანდზე", "ქეი-ფი-ემ-ჯიზე", "არტურ ანდერსენზე", "დელოიტ ენდ ტუშზე", "პრაიზვოთერფაუს კუპერსზე", "ერნსტ ენდ იანგზე", რომლებმაც შესაბამისად აუდიტორული მომსახურება განახორციელეს "გაერთიანებულ ქართულ ბანკში", "თბილკრედიტბანკში", "აბსოლუტბანკში", "თბილუნივერსალ ბანკში", "ბაზისბანკში", "ბანკ რესპუბლიკაში", "ინტელექტბანკში", "საფოსტო ბანკში", "თი-ბი-სი ბანკში". საერთაშორისო აუდიტური ფირმა "ქე-ფი-ემ-ჯიმ" ლიცენზია მიიღო საქართველოს ეროვნულ ბანკში აუდიტის ჩასატარებლად, ხოლო აუდიტურ ფირმა "არტურ ანდერსენზე" ლიცენზია გაიცა სადაზღვევო კომპანია "ალდაგში" და შპს "იორის ველი"-ს აუდიტის ჩასატარებლად. შპს "ყაზბეგი – კასტელში" აუდიტის განსახორციელებლად ერთდროულად გაცემულ იქნა ლიცენზიები აუდიტურ ფირმა "არტურ ანდერსენზე" და "დელოიტ ენდ ტუშზე".

2000 წელს და წინა წლებში გაცემული მოქმედი ლიცენზიების გათვალისწინებით, საქართველოში 2001 წლის 1 იანვრისათვის ფუნქციონირებს 193 ლიცენზირებული აუდიტური ფირმა, მ.შ. თბილისში 124, ბათუმში 16, ქუთაისში 7, რუსთავსა და

ფოთში 6 - 6, გორში, ზესტაფონსა და ზუგდიდში 3 – 3, ხოლო დანარჩენ რაიონებში – ერთი ან ორი აუდიტური ფირმა. მოქმედ 193 აუდიტურ ფირმაზე გაცემულია 222 ლიცენზია. ამ ფირმებიდან 16 ფირმა ორი სხვადასხვა სფეროს აუდიტის ლიცენზიის მფლობელია, 4 ფირმა – სამის, და 2 ფირმა – ოთხის. სახეობების მიხედვით ლიცენზია გაცემულია ზოგად აუდიტში 190, საბანკოში – 18, დაზღვევის – 8 და საბირჟო, სპეციალური სახელმწიფო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების–6.

2001 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში ლიცენზირებულია 169 ინდივიდუალური დამოუკიდებელი აუდიტორი, მ.შ. თბილისში 78, ბათუმში 4, ქუთაისში 6, მცხეთაში, წყალტუბოსა და სამტრედიაში 3 – 3, ხოლო დანარჩენი აუდიტორები საქმიანობენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში.

2000 წელს ქ. თბილისში განლაგებული ფირმები გაცილებით უფრო დაკავებული არიან აუდიტორული საქმიანობით სხვა რეგიონების აუდიტორ ფირმებთან შედარებით. თუ 1996 წელს თბილისში ფუნქციონირებად აუდიტურ ფირმებზე საქართველოში განსორციელებულ აუდიტორული მომსახურების საერთო მოცულობის 78,4 % მოდიოდა, 1997 წელს – 87,1 %, 1998 წელს – 90,5%, 1999 წელს – 87,9%, 2000 წელს მან 92% მიაღწია, ანუ ნათლად გამოიკვეთა, რომ ქვეყანაში აუდიტორული მომსახურების პრიორიტეტი თბილისში ფუნქციონირებად აუდიტურ ფირმებს ეკუთვნის.

თავი VII. საბაჟო საქმე და მისი ორგანიზაცია

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საბაჟო ორგანოების სტრუქტურა, მათი საქმიანობის მთავარი მიმართულებები და ფორმები

1. ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო ორგანოების მუშაობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავენ კონსტიტუცია და სხვა სამართლებრივი დოკუმენტები.

აშშ - ში საბაჟო სამართლის სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია კანონმდებლობას ბაჟის შესახებ. ფედერალური სტრუქტურების კანონთა კრებულში 50 კარიდან 19 დათმობილი აქვს საბაჟო საქმეს. იგი ასეა დასათაურებული: „საბაჟო გადასახადი". ამერიკის შეერთებულ შტატებში საბაჟო სამსახური ფუნქციონირებს ფინანსთა საჭინისტროს სისტემაში.

2. ინგლისის საბაჟო სისიტემის სტრუქტურა ასეთია: I. მთავარი სამმართველო შესაბამისი განყოფილებებით; II. ადგილობრივი საბაჟო დაწესებულებანი, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეა განლაგებული.

საბაჟო კონტროლის ყველა პრაქტიკული და ოპერატიული სამუშაო ეკისრება ინგლისის ადგილობრივ საბაჟო ორგანოებს. ისინი იყოფიან ორ სახეობად: ერთნი ახდენენ საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღებას; მეორენი ახორციელებენ ფაქტობრივ საბაჟო კონტროლს საზღვაო პორტებსა და სახმელეთო საბაჟო გამშვებ პუნქტებში, აგრეთვე აეროპორტებში. ამ მიზნით მთელი ქვეყანა დაყოფილია საბაჟო ოლქებად; ინგლისში მათი რიცხვი 30 - მდეა; ამათგან რამდენიმე ლონდონშია, აქ საზღვაო და საერთაშორისო აეროპორტები ითვლებიან დამოუკიდებელ საბაჟო ოლქებად.

3. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბაჟო სამსახური ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს. საბაჟო სისტემა აერთიანებს მთავარ საბაჟო სამმართველოს და საბაჟო სამმართველოებს, რომლებიც მოქმედებენ ძირითად ქვეყნის საბაჟო საზღვარზე.

ფედერაციის კუთვნილი შემოსავლებიდან, უპირველეს ყოვლისა, საბაჟო გადასახადებია. საბაჟო და სხვა აკრეფილი გადასახადის მართვას ახორციელებენ ფედერალური საფინანსო უწყებები.

მნიშვნელოვანი დოკუმენტია 1961 წლის 23 ნოემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის განცხადება „საბაჟო წესდების შესახებ". წესდებაში დეტალურადაა რეგლამენტირებული საბაჟო რეჟიმები გერმანიაში.

4. საფრანგეთში ფინანსებისა და ბიუჯეტის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება საბაჟო დაწესებულებების განშტოებული ქსელის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა. ამ საქმეს უშუალოდ განაგებს საბაჟო საქმის გენერალური დირექცია. იგი უზრუნველყოფს კონტროლს საქონლისა და ვალუტის შეტანა - გამოტანაზე; შეიმუშავებს საბაჟო ტარიფებს, საბაჟო რეჟიმებსა და წესებს; ახორციელებს კონტროლს მათ შესრულებაზე.

5. საოანადო ყურადღებას უთმობს იტალიის რესპუბლიკა საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს. იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, რესპუბლიკა დაყოფილია ოლქებად, პროვინციებად და თემებად. ოლქს არ შეუძლია დაადგინოს ბაჟი შემოზიდვებზე, გატანაზე და ოლქებს შორის ტრანზიტზე.

იტალიაში საბაჟო საქმიანობას ხელმძღვანელობს ფინანსთა სამინისტროს საბაჟოების მთავარი სამმართველო.

6. ესპანეთის საბაჟო სისტემაში მთავარი საბაჟო ორგანოა საგადასახადო საქმის გენერალური დირექცია. იგი მონაწილეობს ესპანეთის საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. გენერალური დირექცია მოიცავს საბაჟო დაწესებულებათა სისტემას, უზრუნველყოფს საბაჟო სამსახურის ორგანიზაციას და მისი საქმიანობის ხელმძღვანელობას;

ესპანეთის საბაჟო სამსახური ექვემდებარება ძრეწველობის, ტურიზმისა და ვაჭრობის სამინისტროებს.

7. ფინეთში საბაჟო სამსახური ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს. იგი აშუშავებს საბაჟო კანონმდებლობის პროექტებს, აკონტროლებს ნორმატიული აქტების შესრულებას; გამოსცემს დადგენილებებს საბჟო შეღავათებისა და პრეფერენციების შესახებ; ადგენს ინსტრუქციებსა და წესებს საბაჟო გადასახადებსა და სხვა საკითხებზე. საბაჟო საქმისადმი უშუალო

ხელმძღვანელობას ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს მოადგილე საბაჟო სამმართველო.

8. შვეიცარიაში საბაჟო საქმე ექვემდებარება საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტს; იგი შედის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში. საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტი შეიმუშავებს საბაჟო პოლიტიკის საფუძვლებს და უზრუნველყოფს საბაჟო კანონმდებლობის შესრულებას. დეპარტამენტის სპეციალური განყოფილება ახორციელებს საბაჟო გადასახადების ამოღებას, ადგენს საქონლის წარმოშობის და კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვის კონტროლის წესებს.

9. იაპონიაში საბაჟო საქმე მოიცავს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას. ამ საქმესთან დაკავშირებულია ფინანსთა სამინისტრო. მის შემადგენლობაშია კადრების მომზადება, ფინანსების, საბაჟოების და აუდიტის სამსახურები, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები.

10. არგენტინაში ეროვნული საბაჟო სამმართველო ექვემდებარება ეკონომიკის სამინისტროს; პერუში კი მთავარი საბაჟო სამმართველო შედის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების სტრუქტურაში.

<u>საქართველოს საბაჟო პოლიტიკა</u>. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოზე გადიოდა აზიის და ევროპის დამაკავშირებელი საქარავნო გზა – აბრეშუმის გზად წოდებული. ამ გზით აბრეშუმის გარდა, ევროპაში გაჰქონდათ სუნელ -სანელებლები, ნელსაცხებელნი და უძვირფასესი ქვები. აქედან გამომდინარე, საქართველოსათვის არც საბაჟო საქმე იყო უცხო.

ქართულ წყაროებში გამოთქმა „ბაჟი" პირველად მეთერთმეტე საუკუნეში იხსენიება. ესაა გიორგი მეორის /1072-1089/ სიგელი შიო მღვიმის მონასტრისადმი /1072 წ./. ადრე ბაჟს ზუერი /ზვერი/ ერქვა.

სულხან საბა ორბელიანის მიხედვით – „ზუერი /ზვერი/ ხარკი, ქირა, ბაჟი. ბაჟი – ტვირთის ხარკი. მეზუერე /მეზვერე/

ზუერის ამღები, მებაჟე. საზუერე ზვერის ადგილი, ზუერის ასაღები ადგილი, საბაჟო"[1].

თეიმურაზ ბაგრატიონი მიიჩნევს, რომ „ქართულად ბაჟი" ზვერი არის, აქედან მე'ზვერე – მებაჟე[2].

ფეოდალური საქართველოს ეკონომიკაში ბაჟი არაპირდაპირი გადასახადის მნიშვნელოვანი წყარო იყო. საბაჟო საქმეს საგანგებო მოხელე – ბურტა, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა. „ბაჟი ფეოდალური ეკონომიკის დიდმნიშვნელოვანი დარგია, აღნიშნავდა გამოჩენილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. მეათე საუკუნეში მეზუერე და საზუერე /და მაშასადამე ზუერიც/ უკვე ცოცხალი ტერმინები არიან"[3]

მეჭურჭლეთუხუცესი, როგორც საქართველოს ფინასთა მინისტრი, ახდენდა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის რეგულაციას:

1. აწესრიგებდა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს;
2. განსაზღვრავდა ბაჟების ოდენობას, სასაქონლო გავლა – გამოვლის წესებს;
3. უზრუნველყოფდა სავაჭრო – ეკონომიკური მაგისტრალების სრულყოფასა და უშიშროებას;
4. უცხოელი ვაჭრების ქონებისა და პიროვნების უშიშროებას;
5. უცხოელი ვაჭრებისა და მათ მიერ შემოტანილი საქონლის დაბინავება-შენახვას;

საქართველოში არსებობდა არაპირდაპირი გადასახადების სამი ფორმა: ბაჟი, აქციზი და სახაზინო მონოპოლიები. იყო შინაგანი ბაჟები, ანუ აქციზის განუვითარებელი ფორმები და ბაჟები ნამდვილი აზრით /ე.ი. საგარეო/. შინაგანი ბაჟები განიყოფებოდა: ა) ვაჭრობის მოსაკრებლებად; ბ) შეზიდვა – გაზიდვის მოსაკრებლებად.

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი I, 1991, გვ.94,288,460, ტომი II, 1993, გვ. 28-29.

[2] თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, თბ., 1979, გვ.27.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.I, თბ., 1964, გვ. 193.

შინაგანი ბაჟები იყო: ა) სამეფო (სახაზინო, საუფლისწულო, სადედოფლო, სამინბაშო); ბ) საკათალიკოსო, საეკლესიო, სამინისტრო და გ) ბაჟები კერძო პირთა სასარგებლოდ. ბაჟები განიყოფებოდა შემოზიდვისა და ტრანზიტის ბაჟებად.

კავკასიის მთიანეთის ხალხები ბაჟისაგან განთავისუფლებული იყვნენ.

საქართველო, გასაბჭოებიდან თითქმის 70 წლის მანძილზე, ჩამოშორებული იყო საბაჟო საქმეს, საბაჟო კონტროლისა და გაფორმების განხორციელებას, საბაჟო გადასახადებისა და საბაჟო მოსაკრებლების აღებას, საზღვარზე გადაადგილების წესების შემუშავებასა და საბაჟო ორგანოების ფუნქციების განსაზღვრას. საქმე იქამდე მივიდა, რომ საბაჟო ორგანოები ფორმალურადაც კი არ ფუნქციონირებდნენ საქართველოში.

მდგომარეობა მაშინვე შეიცვალა, როგორც კი საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

<u>საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა</u>. 1991 წლის 15 სექტემბრის კანონით – „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“ – დაიწყო საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბება.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბება განხორციელდა ეტაპებად. გამოიყოფა სამი ეტაპი.

პირველი მოიცავს 1990 - 1991 წლებს. ამ ეტაპზე შეიქმნა საქართველოს საბაჟო სამსახური, მიღებულია საქართველოს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“ (1991 წლის 15 სექტემბერი) და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებშიც განისაზღვრა საბაჟო საქმის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები, საბაჟოების ფუნქციები და ამოცანები.

მეორე ეტაპი დაკავშირებულია საქართველოს პირველი საბაჟო კოდექსის, საბაჟო ტარიფის შესახებ დეკრეტის /1992 – წლის 21 ოქტომბერი/, საქართველოს კანონის, „საბაჟო გადასახადის შესახებ“ /1996 წლის 27 დეკემბერი/, პირველი ნორმატიული აქტების, დებულებების, ინსტრუქციების, სხვა კანონქვემდებარე დოკუმენტების მიღებასთან. ეს ეტაპი მოიცავს 1992 1996 წლებს. ამ ეტაპის დამახასიათებელია საბაჟო კანონმდებლობის შექმნა და მისი სრულყოფა; პრაქტიკული მუშაობის განზოგადება, გაანალიზება, მუშაობის ეფექტიანი ფორმებისა

და მეთოდების განსაზღვრა; საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემებისა და სტრუქტურების ფორმირება.

მესამე ეტაპი დაიწყო 1997 წლის ნოემბერში, როდესაც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საბაჟო კოდექსი. 1998 წლის დამდეგს მიღებულია აგრეთვე საქართველოს კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადის, მოსაკრებლების შესახებ, სხვა კანონქვემდებარე აქტები და დოკუმენტები.

1999 წლის 8 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა დებულებები: „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის შესახებ" და „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ"; ეს ეტაპი დღესაც გრძელდება.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 15 სექტემბრის კანონმა „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ", „საქართველოს საბაჟო კოდექსმა" /1992 წლის 21 ოქტომბერი/, საქართველოს 1996 წლის კანონმა „საბაჟო გადასახადის შესახებ". ამ დოკუმენტებმა შექმნეს საბაჟო კანონმდებლობის საფუძვლები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 15 სექტემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ". ამ კანონის მიხედვით, „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციაა, რომელიც ახორციელებს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკას, უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური საზღვრების დაცვას და ანგარიშვალდებულია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წინაშე"[1]. კანონის შესაბამისად /მუხლი 2/, საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. საბაჟო კონტროლი სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დაცვის ერთ ერთი ფორმაა, რომლითაც ხორციელდება კონტროლი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებაზე. საბაჟო კონტროლს ექვემდებარება ყველა სატრანსპორტო საშუალება, მგზავრები, მათი ტვირთი და ბარ-

---

[1] გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 17 სექტემბერი.

გი, ასევე საბარგო და საფოსტო გზავნილები. კანონმა აღიარა, რომ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო იურიდიული პირია.

ზემოაღნიშნულ საქართველოს კანონში განსაზღვრულია საბაჟოს ფუნქციები და ამოცანები:

1. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო პოლიტიკის განხორციელება;
2. საბაჟო ტარიფების შემუშავება;
3. საბაჟო ტარიფების გამოყენება და საბაჟო გადასახადების გადახდევინება;
4. ბრძოლა კონტრაბანდის წინააღმდეგ;
5. საბაჟო წესების დარღვევების აღკვეთის ღონისძიებათა შემუშავება და მათი განხორციელება;
6. მონაწილეობა საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებათა პროექტების განხილვაში;
7. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დაწესებულებათა მართვა; საბაჟოს შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და საბაჟო ნორმების შესრულებაზე კონტროლის დაწესება;
8. საბაჟო საქმიანობის სრულყოფისათვის სტატისტიკური და კვლევითი სამუშაოების წარმოება.

საქართველოს კანონში ნაჩვენებია საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს სტრუქტურა. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს მმართველი ორგანოს საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი, რომელსაც ექვემდებარება საბაჟოები და საბაჟო საგუშაგოები.

საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 21 ოქტომბრის „საბაჟო კოდექსი", იგი დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო საბაჟომ. კოდექსის თანახმად, გაუქმდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტი და მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი. საბაჟო ორგანოებზე გავრცელდა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფლება — მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ექსპორტისა და იმპორტის მიმართ.

კოდექსის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოები შეადგენენ ერთიან სისტემას, რომელშიც შედის:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი;

საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოები. კოდექსში განსაზღვრულია საქართველოს საბაჟო ორგანოების მთავარი ამოცანები.

კოდექსის მიღებიდან გავიდა ათი წელი. ჩამოყალიბდა საბაჟო სისტემა, მისი სტრუქტურა, განმტკიცდა და განვითარდა საბაჟო კანონმდებლობა, მიღებულია უზენაესი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია, სხვა კანონები, უკეთ გამოიკვეთა საბაჟო ორგანოების ფუნქციები, საბაჟო დეპარტამენტმა შეიძინა დადებითი გამოცდილება, გახსნა ახალი საბაჟოები და გამტარი პუნქტები. დადებით მხარეებთან ერთად, მკვეთრად გამოიკვეთა საქართველოს 1992 წლის საბაჟო კოდექსის ნაკლოვანებები და ხარვეზები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის დეკრეტი „საბაჟო ტარიფის შესახებ“. ამ დეკრეტში განსაზღვრულია საბაჟო გადასახადების სახეობანი და განაკვეთები /ადვალელური, სპეციფიკური, კომბინირებული, სეზონური და სხვა/.

საბაჟო ტარიფის მიხედვით, საქონლის წარმოშობის ქვეყნად ითვლება ქვეყანა, სადაც საქონელი წარმოებულია მთლიანად, ანდა საკმარისად გადამუშავდა და დამუშავდა.

საქართველოს კანონი /1996 წლის 27 დეკემბერი/ „საბაჟო გადასახადის შესახებ“[1]. ამ კანონის თანახმად, საბაჟო გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტში საგალდებულო შენატანი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის. საბაჟო გადასახადის გადამხდელი არის საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელი პირი. დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის საბაჟო ღირებულება.

---

[1] საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული, წიგნი 4, თბ., 1998, გვ.709-713.

კანონში განსაზღვრულია საბაჟო გადასახადის განაკვეთები. ეს განაკვეთებია 5 და 12 %. საბაჟო გადასახადის გადასდის საფუძველია სატვირთო საბაჟო დეკლარაცია.

საქართველოს საბაჟო კოდექსი /1997 წლის 14 ნოემბერი/. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ 1992 წელს მიღებულმა საბაჟო კოდექსმა, მართალია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბაჟო საქმეში საკანონმდებლო ვაკუუმის შესავსებად, მაგრამ იგი უკვე ვერ პასუხობდა ჩვენს ქვეყანაში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კვალობაზე ჩამოყალიბებული მრავალსახოვანი საბაჟო ურთიერთობების განვითარების კომპლექსური რეგულირების უზრუნველყოფის მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით მომზადდა საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი, რომელმაც სახელმწიფო უწყებებში, მმართველობის სხვადასხვა ორგანოებში, მეცნიერ - სპეციალისტთა ექსპერტიზის მეტად რთული გზა განვლო. იგი ჯერ კიდევ 1995 წელს წარედგინა განსახილველად ყოფილ მინისტრთა კაბინეტს, ხოლო 1996 წელს საბაჟო კოდექსის პროექტი განიხილა და მოიწონა საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა საკონსულტაციო ეკონომიკურმა საბჭომ და საქართველოს მთავრობამ.

საქართველოს „საბაჟო კოდექსი" პარლამენტმა დაამტკიცა 1997 წლის 14 ნოემბერს. იგი ამოქმედდა 1998 წლის 1 იანვრიდან. ამ დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის „საბაჟო კოდექსი".

„საბაჟო კოდექსით" დაწესებულია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმის შემდეგი სახეობანი:

1. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი);
2. რეიმპორტი;
3. ტრანზიტი;
4. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა;
5. უბაჟო ვაჭრობა;
6. გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე;
7. გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ;
8. დროებითი შემოტანა და გატანა;

9. თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსება და გამოყენება;
10. თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და გამოყენება;
11. გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ;
12. ექსპორტი;
13. რეექსპორტი;
14. განადგურება;
15. უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

საბაჟო კოდექსის /მუხლი 9/ შესაბამისად, პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს აირჩიოს ნებისმიერი საბაჟო რეჟიმი ან შეცვალოს იგი მეორეთი.

საბაჟო კოდექსში ნაჩვენებია საბაჟო გადასახდელების სახეები; ეს გადასახდელებია: ა) საბაჟო; ბ) დამატებული ღირებულების; გ) აქციზი. საბაჟო მოსაკრებლებია: ა) საბაჟო პროცედურებისათვის; ბ) ლიცენზიების გაცემისათვის.

საქართველოს საბაჟო კოდექსის საფუძველზე მიღებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები: ა) საბაჟო რეჟიმის დებულებები; ბ) საბაჟო ბრეკერისა და საბაჟო გადამზიდველის დებულებები; გ) დებულება საბაჟო გაფორმების წესის შესახებ; დ) დებულება ფიზიკური პირის მიერ საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის წესის შესახებ; ე) დებულება წინასწარი ოპერაციების ჩატარებისა და წინასწარი გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ; ვ) დებულება საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო გაფორმების წესის შესახებ; ზ) დებულება ინფორმირებისა და კონსულტირების წესის შესახებ.

<u>საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“</u>. კანონი დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის მარტს, და იგი ადგენს საქართველოს საბაჟო ტარიფის, როგორც საქართველოს შიდა სასაქონლო ბაზრის სახელმწიფო რეგულირებისა და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმის, ფორმირებისა და გამოყენების წესს, აგრეთვე საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის საბაჟო გადასახადით დაბეგვრის წესებს.

კანონმა განსაზღვრა საბაჟო გადასახადის სახეები. საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის საბაჟო გადასახადები: I. ჩვეულებრივი; II. სეზონური; III. განსაკუთრებული.

ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი არის მუდმივმოქმედი გადასახადი, რომლის მოქმედებაც დროებით ჩერდება სეზონური და განსაკუთრებული გადასახადების გამოყენების პერიოდში.

სეზონური საბაჟო გადასახადი არის დროის გარკვეული პერიოდისათვის დაწესებული გადასახადი, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის, ან ამ ტერიტორიიდან გატანის რეგულირება მისი წარმოებისა და მოხმარების სეზონური თავისებურებების გათვალისწინებით. სეზონური საბაჟო გადასასადის მოქმედების ვადა არ აღემატება წელიწადში ექვს თვეს.

განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი არის გადასახადი, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც დაცვითი და საპასუხო ღონისძიება იმ სახელმწიფოთა, ან პირთა მიმართ, რომელთა საქმიანობაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის, ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს ზიანს აყენებს, ან შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს.

კანონის შესაბამისად, საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის განსაკუთრებული საბაჟო გადასახადები: I. სპეციალური; II. ანტიდემპინგური; III. საკომპენსაციო.

სპეციალური საბაჟო გადასახადები გამოიყენება სამი მნიშვნელობით: I. როგორც თავდაცვითი ღონისძიება, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება იმ რაოდენობითა და ისეთი პირობებით, რომლებიც ზიანს აყენებს, ან შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ, ან მსგავსი საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს; II. როგორც საპასუხო ღონისძიება დისკრიმინაციული, ან მსგავსი ქმედებისათვის სხვა სახელმწიფოების, ან მათი კავშირების მხრიდან, რომელიც ლახავს საქართველოს ინტერესებს; III. როგორც დაცვითი ღონისძიება განსაკუთრებულ შემთხვევებში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის ცალკეული სახეობის ექსპორტის დროებით შეზღუდვის მიზნით.

ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება მის რეალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით

და ამ საქონლის შემოტანა ზიანს აყენებს, ან შეიძლება ზიანი მიაყენოს საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს, ან ხელს უშლის საქართველოს მსგავსი საქონლის წარმოების ორგანიზებას, ან გაფართოებას.

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი იმ საქონლის მიმართ, რომლის წარმოების, ან შემოტანის დროს გამოიყენეს პირდაპირი, ან არაპირდაპირი სუბსიდიები და ამ საქონლის შემოტანა ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს მსგავსი საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს, ან ხელს უშლის საქართველოს მსგავსი საქონლის წარმოების ორგანიზებას, ან გაფართოებას.

კანონის შესაბამისად, საბაჟო გადასახადის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც საქონლით გადაკვეთენ საქართველოს საბაჟო საზღვარს. საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს.

კანონის მიხედვით, საქონლის საბაჟო ღირებულება არის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის ფასი, რომლის საფუძველზეც გაიანგარიშება საბაჟო გადასახადი.

კანონი განსაზღვრავს საბაჟო გადასახადის განაკვეთების სახეებს. საქართველოში გამოიყენება გადასახადების განაკვეთების შემდეგი სახეები: I. ადვალელური – განისაზღვრება პროცენტებით, დასაბეგრი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ; II. სპეციფიკური – განისაზღვრება ლარებით, დასაბეგრი საქონლის ერთეულის მიმართ; III. კომბინირებული – მოიცავს განაკვეთების ორივე სახეს.

საბაჟო გადასახადების განაკვეთები ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და დაუშვებელია მათი შეცვლა საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამტანი პირების, გარიგების შინაარსის და სხვა ფაქტორების მიხედვით.

<u>საქართველოს კანონი „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ /1998 წლის 18 თებერვალი/</u> ადგენს საქართველოს „საბაჟო კოდექსით“ განსაზღვრული საბაჟო პროცედურებისათვის და საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზიების გაცემისათვის გადასახდევინებელი მოსაკრებლების სახეებსა და განაკვეთებს, ამ მოსაკრებლების გადახდევინების წესსა და ვადებს. ამ კანონის მიხედვით,

საბაჟო მოსაკრებლები არის ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სავალდებულო ფულადი შენატანი საქართველოს ბიუჯეტში, რომელსაც ახდევინებენ საბაჟო ორგანოები საქონლის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას განხორციელებული სავალდებულო საბაჟო პროცედურებისათვის და ლიცენზიების გაცემისათვის.

საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოაქვთ, ან ამ ტერიტორიიდან გააქვთ საქონელი, საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემომყვანი პირები, რომლებიც რეგისტრაციაში გაატარებენ ამ საშუალებებს, აგრეთვე პირები, რომლებიც იღებენ საქართველოს „საბაჟო კოდექსით" განსაზღვრულ ლიცენზიებს.

კანონის მეოთხე მუხლის მიხედვით, საბაჟო მოსაკრებლების სახეებია:

1. მოსაკრებელი საქონლის საბაჟო დათვალიერებისა და გაფორმებისათვის;
2. მოსაკრებელი საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზიების გაცემისათვის.

კანონში განსაზღვრულია საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები.

<u>საბაჟო რეჟიმი</u>. საბაჟო რეჟიმი არის საბაჟო საქმის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი. მხოლოდ საბაჟო რეჟიმის შესაბამისად ხდება საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა.

საბაჟო რეჟიმი იმ დებულებათა ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის წესსა და მიზნებს.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის საბაჟო რეჟიმების სახეობათა რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. მაგალითად, საქართველოში თხუთმეტია, რუსეთის ფედერაციაში ჩვიდმეტი[1] და ა.შ. საბაჟო რეჟიმების სახეობანი განსაზღვრულია შესაბამისი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობით.

---

[1] Основы таможенного дела. Под общ.ред.В.Г.Драганова, учебник. 1998, гл.14.1.

საბაჟო რეჟიმების რეგულირების მიზნით, გამოიყოფა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმების სახეობათა ჯგუფი.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება რეჟიმები, რომელთა მიხედვით საბაჟო რეჟიმში მოქცევის შემდეგ საქონელი გადადის მესაკუთრის, მფლობელის, ან მათ მიერ უფლებამოსილი პირის გამგებლობაში, ე.ი. ამ ჯგუფის რეჟიმებს აქვთ დამამთავრებელი ხასიათი. დამამთავრებელი ჯგუფის საბაჟო რეჟიმებია: მიმოქცევაში გაშვება /იმპორტი/, ექსპორტი, რეიმპორტი, რეექსპორტი.

მეორე ჯგუფის საბაჟო რეჟიმები დასაშვებად მიიჩნევენ საქონლის გამოყენებას მკაცრად განსაზღვრული მიზნებისათვის. ეგი ხორციელდება საქართველოს საბაჟო ორგანოების მიერ დადგენილი პრინციპებისა და ნორმების დაცვის პირობებში. ამ ჯგუფს მიეკუთვნება საბაჟო რეჟიმების შემდეგი სახეობანი: საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა, უბაჟო ვაჭრობა, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე, გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ, დროებითი შემოტანა და/ან გატანა, თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ, განადგურება, უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

მეორე ჯგუფის რეჟიმებს გააჩნიათ განსაზღვრული მიზანი – სხვადასხვა ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა.

საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული თხუთმეტივე საბაჟო რეჟიმი ორიენტირებულია ვაჭრობის, მრეწველობისა და საერთაშორისო გადაზიდვების განვითარებაზე.

საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთა ხდება მათი საბაჟო რეჟიმების შესაბამისად „საბაჟო კოდექსითა“ და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს „საბაჟო კოდექსის“ მერვე მუხლის შესაბამისად, საბაჟო რეგულირების მიზნით დაწესებულია საქონლისა და საბაჟო რეჟიმების შემდეგი სახეობანი: 1. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი); 2. რეიმპორტი; 3.ტრანზიტი; 4. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა; 5. უბაჟო ვაჭრობა; 6.გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე; 7. გადამუშავება საბაჟო კონტროლით; 8. დროებითი შემოტანა და გატანა; 9. თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსება და გამოყენება;

10. თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და გამოყენება; 11. გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ; 12.ექსპორტი; 13. რეექსპორტი; 14. განადგურება; 15. უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ. განვიხილოთ თითოეული ცალ - ცალკე.

1. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების /იმპორტის/ საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის მუდმივ დატოვებას ამ ტერიტორიაზე მისი გატანის ვალდებულებების გარეშე. ტერმინი – „საქონელი თავისუფალი მიმოქცევისათვის" – ნიშნავს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გატარებულ საქონელს, რომლითაც სარგებლობა შეიძლება საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე.

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება /იმპორტი/ ითვალისწინებს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ აუცილებელ პირობას: ა) საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდას; ბ) ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების დაცვას.

2. რეიმპორტი. საქონლის რეიმპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად გადატანილი სამამულო საქონლის უკან შემოტანას დადგენილ ვადებში.

3. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების უცხო სახელმწიფოთა /ან ეროი სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებს/ შორის გადაადგილებას საქართველოს ტერიტორიის გავლით საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

4. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმი გულისხმობს საქართველოში შემოტანილი, ან საქართველოდან გასატანი საქონლის შენახვას საბაჟო კონტროლით, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საქონელი საბაჟო საწყობში შენახვის რეჟიმში შეიძლება ინახებოდეს ერთ წლამდე ვადით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში.

5. უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გაყიდვას უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტებში საბაჟო კონტროლით, საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონებში /აერო-

პორტებში, ნავსადგურებსა და სხვა ადგილებში, რომლებიც ღია-აა საერთაშორისო მიმოსვლისათვის/ საქონლის მიმარო ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად.

საქართველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია უბაჟო ვაჭრობის რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები. უბაჟო ვაჭრობის რეჟიმით შეიძლება გაიყიდოს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა საქართველოში, საქართველოდან გატანა, ან საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა აკრძალულია. საქონელი, რომლის გაყიდვა საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდულია, შეიძლება გაიყიდოს უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საბაჟო რეჟიმით მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმში არსებული საქონლის რეალიზაცია ხდება საამისოდ სპეციალურად განკუთვნილ მაღაზიებში (უბაჟო ვაჭრობის მაღაზიები). მათი დაარსება შეიძლება აეროპორტში, პორტებში, რომლებიც გამიზნულია ფიზიკური პირების მიერ საზღვრის გადაკვეთისათვის და საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილებში.

6. გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის გამოყენებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დადგენილი წესით გადასამუშავებლად, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად და გადამუშავების პროდუქტების ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებიდან გატანის პირობით. აღნიშნული რეჟიმი რეგულირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე. მას გამოსცემს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება ხორციელდება საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზიით.

7. საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის პირობებში. საბაჟო კონტროლით საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე დადგენილი წესით უცხოური საქონლის საბაჟო კონტროლის პირობებში გადასამუშავებლად გამოყენებას, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოსაყენებლად და გადამუშავების პროდუქტების თავისუფალ

მიმოქცევაში გაშვების /იმპორტის/ ან სხვა საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად.

საქართველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია აგრეთვე საბაჟო კონტროლით საქონლის გადამუშავების წესები. საქონლის გადამუშავების ოპერაციები მოიცავენ: ა) საქონლის დამზადებას /დამუშავებას, გადამუშავებას/, მათ შორის მონტაჟს, აწყობასა და სხვა საქონელზე მორგებას; ბ) საქონლის შეკეთებას, მის აღდგენასა და წესრიგში მოყვანას; გ) იმ საქონლის გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს, ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად, ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში.

8. საქონლის დროებით შემოტანის და გატანის რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანას, ან მის ფარგლებს გარეთ გატანას განსაზღვრული ვადით, უკან დაბრუნების ვალდებულებით ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით, დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი ექვემდებარება უკან დაბრუნებას უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით, ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

კოდექსში განსაზღვრულია საქონლის დროებით შემოტანისა და გატანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები. საქონლის დროებითი შემოტანა და გატანა დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ წარმოდგენილი იქნება შემოტანის და უკან გატანის ვალდებულება.

9. თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსებისა და გამოყენების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის მოთავსებას და გამოყენებას შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში, ან სათავსოებში ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად, ხოლო სამამულო საქონლის მოთავსებას და/ან გამოყენებას – ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისი პირობებით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი2. ნაწილი 3,4) შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება იყოს თავისუფალი საბაჟო ზონები და თავისუფალი საწყობები, რომელთა ტერიტორიები განიხილება, როგორც საქართველოს საბაჟო

ტერიტორიის გარეთ არსებული. თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების ტერიტორიებზე მოქმედებს საქართველოს საბაჟო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული საბაჟო რეჟიმები. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლები, აგრეთვე თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრები შეადგენენ საქართველოს საბაჟო საზღვრებს.

თავისუფალი ზონების დიდი მრავალსახეობა არსებობს: თავისუფალი საბაჟო ზონები, თავისუფალი ზონები ნავსადგურებში, თავისუფალი სავაჭრო ზონები, თავისუფალი ეკონომიკური ზონები და ა.შ. გაეროს დოკუმენტებში 30 - ზე მეტი დასახელების თავისუფალი ზონაა მითითებული[1].

საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება კიოტოს 1973 წლის კონვენციის მერვე დანართის განმარტება: „თავისუფალ ზონა"ში იგულისხმება ქვეყნის ნაწილი, რომელზეც შემოტანილი საქონელი ჩვეულებრივ განიხილება როგორც საქონელი, რომელიც იმყოფება საბაჟო ტერიტორიის გარეთ იმპორტის და შესაბამისი გადასახადების მიმართ, და არ ექვემდებარება ჩვეულებრივ საბაჟო კონტროლს".

ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე არ მოქმედებს არც ერთი თავისუფალი ზონა. ბუნებრივია, როდესაც შეიქმნება, იმოქმედებს ასეთი ზონებისათვის გათვალისწინებული განსაკუთრებული საბაჟო რეჟიმები.

10. თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსებისა და გამოყენების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის მოთავსებას და გამოყენებას შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში, ან სათავსებში ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად, ხოლო სამამულო საქონლის მოთავსებასა და/ან გამოყენებას – ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისი პირობებით. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ მისი ამავე ტერიტორიაზე შემოტანის ვალდებულების გარეშე.

ტერმინით – „თავისუფალი საწყობი" – მოიხსენება: ჯერ ერთი, როგორც საბაჟო რეჟიმი; მეორე, როგორც ადგილი, შენობა, ტერიტორია, რომელშიც ხორციელდება ეს რეჟიმი. თავი-

[1] საქართველოს საბაჟო კოდექსი, კომენტარები, თბ., 1998, გვ. 96.

სუფალი საბაჟო საწყობის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე. საწყობის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის საჭიროა საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზია.

თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საწყობში შემოტანილი უცხოური საქონელი კვეთს სახელმწიფო საზღვარს, მაგრამ არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს და მის მიმართ ვერ გამოიყენება ვერც ერთი საბაჟო რეჟიმი. ვინაიდან დადგენილია, რომ ნებისმიერი საბაჟო რეჟიმი დაკავშირებულია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან.

აქედან დასკვნა: თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საწყობებში საქონლის იმპორტი თავისუფალია საბაჟო გადასახადებისაგან და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისაგან.

11. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საქონლის გატანასა და გამოყენებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად მისი გადამუშავებისა და მიღებული პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით.

საქონლის საქართველოს გარეთ გადამუშავების ოპერაციები იგივეა, რაც საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების დროს. სახელდობრ, ეს ოპერაციებია: ა) საქონლის დამზადება (დამუშავება, გადამუშავება), მათ შორის მონტაჟი, აწყობა და სხვა საქონელზე მორგება; ბ) საქონლის შეკეთება, კერძოდ, მისი აღდგენა და წესრიგში მოყვანა; გ) იმ საქონლის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს, ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად, ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში. საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საქონლის გადამუშავების ცალკეული ოპერაციები შეიძლება შეიზღუდოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქართველოს საბაჟო კოდექსი /მუხლი 50/ განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც არ შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი. იგი არ შეიძლება გამოიყენონ შემდეგ შემთხვე-

ვებში: I. თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმპორტისათვის საბაჟო გადასახდელების დაბრუნება, ან გადასახდელებისაგან გათავისუფლება; II. თუ საქონელი გატანამდე გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის საბაჟო გადასახდელებისაგან სრული გათავისუფლებით; III. კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება ხდება საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზიის საფუძველზე.

12. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გადატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ მისი ამავე ტერიტორიაზე შემოტანის ვალდებულების გარეშე. ამასთან, საქონლის ექსპორტი ხორციელდება კანონმდებლობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა დაცვით.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმით საქონლის გაშვებისას საქონელი საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაიტანება იმავე მდგომარეობაში, როგორც იყო საბაჟო ორგანოებისათვის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დროს გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით, ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

13. საქონლის რეექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. საქონლის რეექსპორტი დაიშვება საბაჟო ორგანოს ნებართვით კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

საქართველოს საბაჟო კოდექსში (მუხლი 62) განსაზღვრულია საქონლის რეექსპორტის პირობები: ჯერ ერთი, საქონელი, რომლის შემოტანაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას განცხადებულ იქნა რეექსპორტისათვის, უნდა გაიტანონ ამ ტერიტორიიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა მასზე საბაჟო დეკლარაციის მიღების დღიდან. დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში საქონელი განიხილება იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულად; მეორე რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას უნდა იყოს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო შემოტანის მომენტში, გარდა საქონლის მდგომარეობის იმ ცვლილებისა, რომლე-

ბიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირების, ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

14. საქონლის განადგურების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის განადგურებას საბაჟოს კონტროლით, მათ შორის მის გამოსაყენებლად უვარგის მდგომარეობაში მოყვანას საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. საქონლის განადგურების ნებართვას იძლევა საბაჟო ორგანო შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საქონელს ანადგურებს მესაკუთრე, ან მფლობელი საკუთარი სახსრებით. ასეთი განადგურება არ უნდა იწვევდეს სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯს. რაც შეეხება საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენებს, იგი უნდა მოექცეს შესაბამის საბაჟო რეჟიმში, როგორც საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული უცხოური საქონელი.

15. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს: პირის მიერ საქონელზე მესაკუთრის, ან მფლობელის უფლებებზე უარის თქმას, მის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა დაიშვება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ამასთან, დადგენილია, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა არ იწვევს სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯებს.

<u>საბაჟო გადასახდელები</u>. საქართველოს კანონებში „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“, „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“, დაკონკრეტებულია საბაჟო გადასახადების სახეები და განსაზღვრულია საბაჟო ორგანოების მუშაობის მთავარი მიმართულებები.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში გამოყენებულია გამოთქმები: საბაჟო გადასახდელები, საბაჟო გადასახადები, საბაჟო მოსაკრებლები, საბაჟო გადასახადი.

საბაჟო გადასახდელების ცნება მოიცავს ყველა გადასახდელს, რომელთა გადახდევინების ადგილია საბაჟო ორგანო.

საბაჟო გადასახადების ცნება გულისხმობს საბაჟო, დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადებს.

საბაჟო გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის[1].

საბაჟო მოსაკრებელი არის ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სავალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდევინებენ საბაჟო ორგანოები საქონლის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას განსორციელებული სავალდებულო საბაჟო პროცედურებისათვის და ლიცენზიების გაცემისათვის.

საბაჟო გადასახადი – ეს არაპირდაპირი გადასახადების ერთ ერთი სახეა, რომლითაც იბეგრება საგარეო - საგაჭრო საქონელბრუნვა საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას და მას აქვს სახელმწიფო გადასახადის ყველა მახასიათებლები.

1. საბაჟო გადასახადის გადახდა სავალდებულოა;
2. საბაჟო გადასახადი გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში და არ არის გათვალისწინებული მისი გამოყენება რაიმე კონკრეტული მიზნისათვის.

საბაჟო - სატარიფო ურთიერთობა საბაჟო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის გამორიცხავს საბაჟო - სატარიფო ურთიერთობის მონაწილეთა რაიმე მოლაპარაკებას და შეთანხმებას დაბეგვრის ოდენობის, ვადების, გადახდის ადგილის სხვა მიმართულებებზე. იგი სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანია. მისი ოდენობა, შეტანის ვადები, ადგილი და სხვა ასპექტები განსაზღვრულია კანონმდებლობით.

საბაჟო გადასახადის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც საქონლით გადაკვეთენ საქართველოს საბაჟო საზღვარს.

საქართველოში საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებულია:

1. საქონლის ექსპორტი;
2. საქონლის რეექსპორტი;
3. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;

---

[1] საქართველოს კანონი "საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ", გაზ."საქართველოს რესპუბლიკა", 1998 წლის 29 მარტი.

4. საქონლის ექსპორტი სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;
5. საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებებით გრანტების შესახებ;
6. საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსირდება გრანტებით, ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოსა, თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით, რომლებიც შეიცავს გრანტის ელემენტს არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით;
7. საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ასევე უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი;
8. საქონლის დროებითი შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე;
9. საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა შესაფუთი მასალის იმპორტი ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში.
10. ფიზიკური პირის მიერ უცხოეთიდან ყოველი შემოსავლისას შემოტანილი 300 ლარამდე ღირებულების საქონელი.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის საბაჟო გაფორმება და შესაბამისი საბაჟო გადასახადით დაბეგვრა ხდება იმ საბაჟო ორგანოში, რომლის მოქმედების ზონაშიც არის რეგისტრირებული იურიდიული, ან ფიზიკური პირი. საბაჟო გადასახადი გადაიხდევინება ტვირთის საბაჟო გაფორმების მომენტში.

საბაჟო გადასახადის გადახდა წარმოებს მხოლოდ ეროვნული ვალუტით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 74, მეორე ნაწილი) მიხედვით, „თუ საბაჟო გადასახდელების გადამხდელმა არ გადაიხადა შესაბამისი თანხა დადგენილ ვადაში, საბაჟო დეპარტამენტსა და მის შესაბამის ორგანოებს უფლება აქვთ სასამართლოში გადაწყვეტილების საფუძველზე ყადაღა დაადონ გადამხდელის ქონებას".

საბაჟო გადასახადის თანხა ექვემდებარება დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანოების მიერ არასწორად, ან ზედმეტად არის გამოთვლილი თანხა და საბაჟო ღირებულება.

განაკვეთები მიეყენება საქონლის საბაჟო ღრებულებას.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა წარმოებს შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ა) შემოტანილი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
გ) ერთგვაროვანი საქონლის ფასის მიხედვით;
დ) ღირებულების გამოკლებით;
ე) ღირებულების შეკრებით;
ვ) სარეზერვო მეთოდით.

საქართველოში ძალაშია საბაჟო გადასახადის 5% და 12%-იანი განაკვეთები.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ძირითად მეთოდად ითვლება მეთოდი – შემოტანილი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მეთოდის გამოყენება არ შეიძლება, თანმიმდევრულად გამოიყენება ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული მეთოდი.

საბაჟო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით იბეგრება[1]: ა) ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი (გარდა 16 დასახელებისა): ბ) ძირითადი საშუალებების, მათი სათადარიგო ნაწილების იმპორტი; გ) საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტი (პერბიციდები, ფუნგიციდები, ინსექტიციდები და სხვა); დ) ხის ცელულოზა; ე) აბრეშუმის პარკი; ვ) საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტი (პერბიციდები, ფუნგიციდები, ინსექტიციდები და სხვა); ზ) მატყლი; თ) ბამბის ბოჭკო; ი) სინთეზური ძაფები;

---

[1] ვ. ქარუმიძე, საბაჟო საქმე, თბ., ცოდნა, 1999, გვ.154.

კ) ფოლადის და რკინის ნახევარფაბრიკატები; ლ) ფოლადის და რკინის ფასონური ნაწარმი; მ) სპილენძის მავთული; ნ) ფურცლოვანი ალუმინი; ო) ინვალიდთა ეტლები და მათი სათადარიგო ნაწილები.

დანარჩენი საქონლის იმპორტი საქართველოში იბეგრება 12% - იანი განაკვეთით.

საბაჟო გადასახადის გარდა, იმპორტირებული საქონელი იბეგრება აქციზით და დამატებული ღირებულების გადასახადით. საზღვრის გადმოკვეთისას მათ არავითარი სპეციფიკა არ გააჩნიათ და იბეგრებიან საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

რაც შეეხება მოსაკრებლებს, საქართველოში მოქმედი საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები ასეთია[1]:

ა) ათი ათას კილოგრამამდე წონის ყოველ კილოგრამზე ერთი თეთრი;

ბ) ათი ათას კილოგრამზე მეტი წონის ქონებაზე 100 ლარი და დამატებით 0,3 თეთრი ათი ათას კილოგრამის ზემოთ ყოველ კილოგრამზე.

გ) საგამოფენო დანიშნულების ყოველ კილოგრამზე – 2,5 თეთრი.

<u>საბაჟო გაფორმება.</u> საბაჟო გაფორმება გარკვეული საბაჟო პროცედურების ჩატარებაა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევისა და ამ რეჟიმის დამთავრების მიზნით.

საბაჟო ორგანოს მოთხოვნით, საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლით გადაკვეთისას, ამ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განახორციელოს საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციები: საქონლის ტრანსპორტირება, რაოდენობის განსაზღვრა, დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, საფუთავის გახსნა, შეფუთვა, ან ხელახალი შეფუთვა. საწყობის მფლობელი ასევე ვალდებულია გააღოს სათავსები, საცავები და სხვა ადგილები, სადაც შეიძლება იყოს მოთავსებული საბაჟო გაფორმებას დაქ-

[1] ვ. ქარუმიძე, საბაჟო საქმე, თბილისი, ცოდნა, 1999, გვ.158.

ვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები. აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული სატვირთო და სხვა ოპერაციები ხორციელდება მესაკუთრის ხარჯით და მათ არ უნდა გამოიწვიონ ამ მიზნით სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯი.

საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, აგრეთვე საბაჟო რეჟიმის შეცვლისას საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება საბაჟო ორგანოში დეკლარირებას.

საბაჟო საზღვრის გავლით ფიზიკური პირების მიერ ხელბარგითა და ბარგით საქონლის გადაადგილებისას საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საქონელთან ერთად.

დეკლარანტი შეიძლება იყოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადამაადგილებელი პირი, ან საბაჟო ბროკერი.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისათვის გამოიყენება საბაჟო დეკლარაციის შემდეგი სახეები: ა) სატვირთო - საბაჟო დეკლარაცია; ბ) ფიზიკური პირის დეკლარაცია; გ) საფოსტო გზავნილების დეკლარაცია.

საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულია საქონელი, რომლის შემოტანა ხორციელდება ლიცენზიებით; ესენია:

1) სამედიცინო მოწყობილობა;
2) სამკურნალო საშუალებები და ნედლეული;
3) მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები;
4) სამრეწველო ნარჩენები;
5) ნარკოტიკული ნივთიერებები;
6) იარაღი და ტყვია - წამალი[1].

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით აკრძალულია:

1) ქვეყნის ტერიტორიაზე იარაღის, ტყვია წამლის და სხვა საბრძოლო დანიშნულების ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და გატანა შესაბამისი სამსახურების /შსს, უშიშროების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო/ ნებართვის გარეშე;

---

[1] საქართველოს საბაჟო კოდექსი. კომენტარები, გვ.223.

2) სამკურნალო საშუალებების /მედიკამენტები, წამლები, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები/ – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვის გარეშე;

3) ბირთვული, ატომური, ქიმიური ნივთიერებებისა და მათი შემცველი საგნების შემოტანა, გატანა და ტრანზიტი შესაბამისი სამსახურების / შსს, უშიშროების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ბუნებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო/ ნებართვის გარეშე.

საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო ორგანოების მიერ მისი შემოწმების შემდეგ, ხორციელდება საბაჟო გაფორმების შემდეგი პროცედურები: 1) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენა, მათი დათვალიერება და საბაჟო შემოწმება; 2) საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება; 3) გადასახადების გამოანგარიშება და გადახდევინება; 4) საბაჟოსათვის გარანტიების წარდგენა; 5) საქონლის გაშვება.

საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საბაჟო გაფორმების მიზნით საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ აიღონ საქონლის სინჯები და ჩაატარონ მათი გამოკვლევა /ექსპერტიზა/.

საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საქონლის მესაკუთრეს, მფლობელსა და სხვა უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ დაესწრონ საბაჟო ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას.

საბაჟო გაფორმებას წინ უსწრებს წინასწარი ოპერაციები. წინასწარ ოპერაციებს განეკუთვნება ყველა ქმედება, რომელიც წინ უსწრებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაფორმებას.

წინასწარ ოპერაციებს მიეკუთვნება:

1. საბაჟო ორგანოების შეტყობინება საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის, ან გადაკვეთის სურვილის შესახებ;
2. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანა, მიყვანა და დაყენება საბაჟო ორგანოების მიერ მითითებულ საბაჟო გაფორმების ადგილას;
3. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა საბაჟო ორგანოებისათვის;

4. მოკლე დეკლარაციის წარმოდგენა.

საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო ორგანოსათვის წარდგენის მომენტიდან და მათ გაშვებამდე, ან არსებული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად პირის განკარგულებაში გადაცემამდე, დროებით ინახება საბაჟო კონტროლის ქვეშ.

დროებითი შენახვა ხდება სპეციალურად გამოყოფილ და მოწყობილ სათავსოებში, ან სხვა ადგილებში (დროებით შესანახ საწყობში).

საბაჟო საწყობის ტერიტორია არის საბაჟო კონტროლის ზონა. საბაჟო საწყობი შეიძლება დაარსდეს საბაჟო ორგანოს ლიცენზიის არსებობისას. თუ საწყობის დამაარსებელია საბაჟო ორგანო, ლიცენზია საჭირო არაა.

საწყობი ისე უნდა მოეწყოს, რომ გამოირიცხებოდეს საქონლის შემოტანა - გატანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით და უნდა უზრუნველვყოთ საწყობში არსებული საქონლის სათანადო შენახვა.

საბაჟო საწყობში შეიძლება მოთავსდეს ნებისმიერი საქონელი საქართველოში შემოსატანი და საქართველოდან გასატანი, აკრძალული საქონლის გარდა. საქონელი, რომელსაც შეუძლია ავნოს სხვა საქონელს, ამასთან, მოითხოვს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს, უნდა მოთავსდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსოებში.

<u>საბაჟო კონტროლი</u>. საქართველოში, ისე როგორც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირნი ასორციელებენ საბაჟო კონტროლს. საბაჟო კონტროლი ითვალისწინებს[1]:

ა) საბაჟო მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმებას;

ბ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო შემოწმებას;

გ) პირად გასინჯვას;

დ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო შემოწმებას;

ე) ფიზიკური პირების ზეპირ გამოკითხვას;

---

[1] საქართველოს საბაჟო კოდექსი, თბ., 1998, გვ.31.

ვ) აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმებას;

ზ) დროებითი შენახვის საწყობის ტერიტორიისა და სათავსების, საბაჟო საწყობების, თავისუფალი საწყობების, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და უბაჟო ვაჭრობის მაღაზიების და სხვა ადგილების დათვალიერებას, სადაც შეიძლება ინახებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, ანდა ხორციელდება საქმიანობა, რომლის კონტროლი ევალებათ საბაჟო ორგანოებს;

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონტროლის სხვა სახეებს.

საქონლის მახასიათებლების მიხედვით, გამოიყოფა საბაჟო კონტროლის შემდეგი ჯგუფები: ა) საერთაშორისო გადაზიდვების ტვირთების კონტროლი; ბ) იმ ბარგის კონტროლი, რომელიც ფიზიკურ პირს ჩაბარებული აქვს სატრანსპორტო ორგანიზაციებზე და გადაიზიდება მისი უშუალო თანხლების გარეშე; გ) ხელბარგის და მგზავრის თანხლებით საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ბარგის კონტროლი; დ) ფიზიკური პირის პირადი საბაჟო კონტროლი.

უცხო ქვეყნებთან საბაჟო კონტროლის საქმეში თანამშრომლობის სახეობების მიხედვით, განასხვავებენ საბაჟო კონტროლის ფორმებს: ა) ორმხრივი საბაჟო კონტროლი. საბაჟო კონტროლს ახორციელებენ ორივე ქვეყნის საბაჟო დაწესებულებები; ბ) ცალმხრივი საბაჟო კონტროლი. ამ შემთხვევაშიც ორივე ქვეყნის საბაჟო სამსახურები ერთობლივად ახორციელებენ საბაჟო კონტროლს.

საბაჟო კონტროლი ხორციელდება ხუთ ეტაპად. კონტროლის ჩატარების საფუძველია საბაჟო დეკლარაცია.

პირველ ეტაპზე ტარდება დეკლარაციის მონაცემების ფორმალურ - ლოგიკური კონტროლი. მთავარია დადგინდეს დეკლარაციის უტყუარობა. მისი გადამოწმება ხდება კომპიუტერული პროგრამით. თუ ასეთი ტექნიკა არ გააჩნიათ, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი ვიზუალურად ათვალიერებს საბაჟო დეკლარაციის ყველა გრაფის შევსების სისწორეს და თანმხლები დოკუმენტების შესაბამისობას გამოცხადებული რეჟიმისადმი და საქონლის ამ სახისადმი.

მეორე ეტაპი. ამ ეტაპზე საბაჟო კონტროლის საგანია საგადასახადო ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. ამავე პერიოდში მოწმდება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სავალუტო კანონმდებლობის დაცვა.

მესამე ეტაპი. ამ ეტაპზე საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ამოწმებენ საბაჟო გადასახადების სისწორეს, საბაჟო - სატარიფო კანონმდებლობის შესრულებას, ახორციელებენ გადასახადების საბაჟო ანგარიშებზე შემოსავლის კონტროლს.

მეოთხე ეტაპი. ამ ეტაპზე საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ამოწმებენ საბაჟო დეკლარაციის იმ გრაფების სისწორეს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საბაჟო სტატისტიკა.

მეხუთე ეტაპი. ამ ეტაპზე საბაჟო ორგანოს სატვირთო განყოფილების უფროსი, ან სხვა ამაზე უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას საქონლის შემოწმების ჩატარების შესახებ.

საბაჟო კონტროლის ხუთივე ეტაპის განხორციელების დამთავრებისთანავე, სატვირთო დოკუმენტში ისმება შტამპი — „გაშვება ნებადართულია".

<u>საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტი</u>. საქართველოში საბაჟო საქმიანობას ხელმძღვანელობს საბაჟო დეპარტამენტი. საქართველოს კანონით „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საბაჟო დეპარტამენტი დაექვემდებარა ფინანსთა სამინისტროს. იგი 1998 წლის ნოემბრამდე იყო სამინისტროს სისტემაში არსებული დეპარტამენტი. ამჟამად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტია.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებულია საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება.

საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტი არის სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე დამოუკიდებლად მოქმედი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მმართველობით ფუნქციებს და სახელმწიფო ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემა შედგება აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკე-

ბის საბაჟო სამმართველოებისაგან, რეგიონალური საბაჟო საგუშაგოების და საბაჟო გამტარი პუნქტების და სხვა დანაყოფებისაგან. დეპარტამენტის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის დებულებაში ასეა განსაზღვრული დეპარტამენტის ფუნქციები: 1). ამზადებს წინადადებებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფისათვის; 2). შეიმუშავებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განხორციელებისათვის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ მექანიზმებს და უზრუნველყოფს მის ცხოვრებაში გატარებას; 3). შეიმუშავებს და ახორციელებს საბაჟო საქმიანობის განვითარების პროგრამებს. 4) ამზადებს საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტებს; 5) მონაწილეობს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში, მათ შორის ექსპორტის სტიმულირებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სფეროში; 6) შეაქვს წინადადებები საბაჟო გადასახდელების და მათი გამოყენების მექანიზმების შესახებ; 7) ორგანიზაციას უწევს საბაჟო გადასახდელების ამოღებას და უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში მათ დროულ და სრულ შეტანას; 8) მონაწილეობს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების, მათ შორის ლიცენზირების, ფასების რეგულირების და სხვა არასატარიფო ღონისძიებების შემუშავებაში; 9) ორგანიზაციას უწევს საქონლის საბაჟო ღირებულების სისწორის განსაზღვრას; 10) უზრუნველყოფს საბაჟო რეჟიმების ეფექტურ გამოყენებას საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას და საქართველოს ტერიტორიაზე საშეწარმეო საქმიანობის წარმოებისას და ა.შ.

დებულებაში განსაზღვრულია საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის უფლებები, ეს უფლებებია: 1) განსაზღვროს საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები; 2) დააწესოს ფიზიკური პირების მიერ საქონლის არაკომერციული მიზნებით გადაადგილების გაიოლებული, შეღავათიანი წესი; 3) განსაზღვროს საბაჟო ბროკერისა და საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები; 4) მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების

მიზნით, გამოითხოვოს საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, მათ შორის აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტებისაგან, საწარმოებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, განურჩევლად საკუთრების ფორმისა და დაქვემდებარებისა, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისაგან დოკუმენტები და მონაცემები, გააკონტროლოს მიღებული ინფორმაცია და საჭირეობის შემთხვევაში ჩაატაროს მოკვლევა და შექმნას საექსპერტო საბჭოები და დროებითი სამუშაო ჯგუფები საბაჟო საქმიანობის საკითხებზე; 5) იქონიოს კავშირისა და მონაცემების გადაცემის საუწყებო სისტემა; 6) დაამტკიცოს სტრუქტურული დანაყოფების, დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებები და წესდებები და განახორციელოს მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა; 7) შეიმუშაოს და დაამტკიცოს საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, განურჩევლად საკუთრების ფორმისა და დაქვემდებარებისა, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

საქართველოს საბაჟო სასელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურა: 1) ხელმძღვანელობა; 2) თავმჯდომარის აპარატი; 3) შიდა კონტროლის სამსახური; 4) საინფორმაციო სადაზვერვო სამსახური; 5) საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლობები; 6) სტატისტიკისა და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო; 7) აქციზური საქონლის მონიტორინგის სამმართველო; 8) საბაჟო ტექნოლოგიების სრულყოფის და კოდიფიცირების სამმართველო; 9) კადრების სამმართველო; 10) ცენტრალური ბუღალტერია; 11) იურიდიული სამმართველო; 12) საერთაშორისო ურთიერთობებისა და დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის კოორდინაციის სამმართველო; 13) საბაჟო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფის სამმართველო; 14) სატერმინალო მომსახურებისა და ინსპექტირების სამმართველო; 15) რეგიონალური საბაჟოების საქმიანობის კოორდინაციის სამმართველო; 16) კონტრაბანდისა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა დარღვევების წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო; 17) მოკვლევის სამმართველო; 18) საბაჟო ტვირთების გაცილების სამმართველო.

საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულებები – საბაჟო ორგანოებია:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველო: ა) საბაჟო საგუშაგო – სარფი; ბ) საბაჟო საგუშაგო – ბათუმის ნავსადგური; გ) საბაჟო საგუშაგო – ბათუმის აეროპორტი;
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველო: ა) საბაჟო საგუშაგო – ფსოუ; საბაჟო საგუშაგო – გაგრა; ბ) საბაჟო საგუშაგო – სოხუმის ნავსადგური; გ) საბაჟო საგუშაგო – სოხუმის აეროპორტი.
3. თბილისის რეგიონალური საბაჟო: ა) საბაჟო რკინიგზა; ბ) საბაჟო გამტარი პუნქტი – საგარეჯო.
4. საბაჟო სადახლო: ა) საბაჟო გამტარი პუნქტი – ახკერპი; ბ) საბაჟო გამტარი პუნქტი – გეგუთი; გ) საბაჟო გამტარი პუნქტი – სადახლო – რკინიგზა.
5. საბაჟო ლაგოდეხი: ა) საბაჟო გამტარი პუნქტი – ერისიმედი; ბ) საბაჟო გამტარი პუნქტი – დედოფლისწყარო.
6. საბაჟო ვალე: საბაჟო გამტარი – კარწახი.
7. საბაჟო გარდაბანი: საბაჟო გამტარი პუნქტი – ჯანდარა – ვახტანგისი.
8. საბაჟო ქუთაისი: საბაჟო გამტარი პუნქტი – მამისონი.
9. საბაჟო თელავი: საბაჟო გამტარი პუნქტი – თელავის აეროპორტი;
10. საბაჟო: გორი;
11. საბაჟო: ფოთი;
12. საბაჟო: წითელი ხიდი;
13. საბაჟო: ყაზბეგი;
14. საბაჟო: ნინოწმინდა;
15. საბაჟო: ქუთაისი აეროპორტი;
16. საბაჟო: თბილისის აეროპორტი.

საბაჟო დეპარტამენტი საგადასახადოს ანალოგიურად არის ის სტრუქტურა, რომლის შენატანები ბიუჯეტში არის ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო. 2000 წელს საქართვე-

ლოს ცენტრალურ ბიუჯეტში საბაჟო დეპარტამენტიდან შევიდა 226.9 მლნ ლარი. იგი შეადგენდა ბიუჯეტის მთელი საგადასახადო შემოსავლების 51.8%-ს (1999 წელს ეს მაჩვენებელი 51% იყო). აქედან 72,2 მლნ ლარი იყო აქციზის სახით შემოსული, ხოლო 106,6 მლნ ლარი დამატებული ღირებულების გადასახადის სახით შემოსული, ხოლო დანარჩენი საბაჟო გადასახადი (44 მლნ ლარი)[1].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბიუჯეტში შესული საბაჟო გადასახადის მოცულობის ზრდის რეზერვები არ არის ამოწურული. 2000 წელს შემოსული საბაჟო გადასახადი უფრო მცირე აღმოჩნდა, ვიდრე 1997-1998 წ.წ. - ში შემოსული (საშუალოდ 58 მლნ. ლარი), რაც იმას ნიშნავს, რომ 2000 წელს ადგილი ჰქონდა არალეგალურ იმპორტს.

საბაჟო გადასახადს მარტო ბიუჯეტის შევსების ფუნქცია არ ეკისრება. მან ადგილობრივი მწარმოებლებიც უნდა დაიცვას იმპორტირებული პროდუქციის კონკურენციისაგან. საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ჯერჯერობით ისეა აგებული, რომ იგი ვერ იცავს ადგილობრივ მწარმოებლებს. მომავალში ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

---

[1] საქართველოს 2000 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, მოხსენება, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბ., 2001, გვ.26-28,57.

თავი VIII. სადაზღვევო კომპანიები

<u>დაზღვევის არსი</u>. დაზღვევის არსი ცალკეული სუბიექტის, ან სამეურნეო ერთეულის მიერ მიღებული ზარალის სხვა მრავალ სუბიექტზე გადანაწილებით ამ მავნე შემთხვევითობის გავლენის გაუვნებლობაშია.

ეკონომიკური თვალსაზრისით დაზღვევა სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც მავნე შემთხვევითობებისაგან იცავს სამეურნეო პროცესებს. სადაზღვევო საქმე პრაქტიკულად ხორციელდება სამეურნეო ორგანიზაციების მიერ, რომელთაც სადაზღვევო ორგანიზაციები ეწოდებათ.

სადაზღვევო საქმიანობაში მონაწილეობენ შემდეგი მხარეები:

1. მზღვეველი, ანუ სადაზღვევო ორგანიზაცია; 2. დამზღვევი, ანუ დაზღვეული /დასაზღვევი/ პირი; 3. გადამზღვევი ორგანიზაცია.

/სადაზღვევო ორგანიზაციაში გამოიყოფა: დაზღვევის ობიექტი, დაზღვევის სუბიექტი და დაზღვევის ველი. დაზღვევის ობიექტი არის საზიანო შემთხვევის სახე, რომლისგანაც მიყენებული ზარალი სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ მოლიანად, ან /ნაწილობრივ/ ანაზღაურებას ექვემდებარება.

დაზღვევის სუბიექტი არის სადაზღვევო ხელშეკრულებაში მოხსენიებული მხარეები – მზღვეველი და დასაზღვევი. სადაზღვევო ველი არის დაზღვეული ობიექტების ერთიანობა.

მზღვეველსა და დამზღვევს შორის ფორმდება ხელშეკრულება დაზღვევის მომსახურების ყიდვაზე. ხელშეკრულებით განისაზღვრება დაზღვევის ვადა და დამზღვევის წინასწარი გადასახდელი, რომელსაც სადაზღვევო პრემია ეწოდება. ამ ურთიერთობებში პერიოდულად მონაწილეობენ გადამზღვევები. ისინი გარკვეული გასამრჯელოს ფასად თავის თავზე იღებენ მსხვილი რისკების ნაწილს.

<u>სადაზღვევო საქმის წარმოშობა</u>, სადაზღვევო საქმე უძველეს დროს წარმოიშვა. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, ჯერ კიდევ მონათმფლობელური წყობილების დროს არსებობდა შეთანხმებები, რომლებიც წააგავდა ეხლანდელი დაზღვევის ხელ-

შეკრულებებს. ეს შეთანხმებები ეხებოდა უძრავ ქონებას, საზღვაო და სავაჭრო საქმეს. ამ შეთანხმებების ძირითადი მიზანი იყო იმ მოსალოდნელი ზარალის რისკის განაწილება სხვადასხვა პირთა შორის, რომელიც შეიძლება შემოხვეოდა საზღვაო მოგზაურობისას. მაგალითად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 916 წელს კუნძულ როდოსზე მოქმედებდა შეთანხმება /ორდონანსად წოდებული/, რომელშიც დაფიქსირებული იყო ზარალის განაწილება ავარიის შემოხვევაში. ამ დოკუმენტში მოცემული პრინციპები დღემდე მოქმედებენ.

დაზღვევის ყველაზე ძველი წესები თალმუდის ერთ-ერთ წიგნშია მოცემული. იგი ეხება ვირების მწყემსებს. ამ წესების მიხედვით, თუ ერთი მწყემსი ვირებს დაკარგავდა, სხვა მწყემსებს ევალებოდათ შეევსოთ მისთვის დანაკლისი ისევ ვირებით. დანაკლისის ფულით შევსება მაშინ აკრძალული იყო. მაშასადამე, მაშინაც დაზღვევის ძირითადი პრინციპი იყო მოსალოდნელი ზარალისაგან თავის დაზღვევა და არა გამდიდრება.

დასახლებული პუნქტების ზრდამ და ქალაქების წარმოშობამ გაზარდა სხვადასხვა სტიქიური უბედურებით /ხანძარი, წყალდიდობა და სხვა/ მოსახლეობის ქონების განადგურების საშიშროება. ამიტომ დაიწყო ადამიანთა სრულიად ბუნებრივი სწრაფვა გაერთიანებისაკენ, რათა ერთობლივად /კოლექტიურად/ მოეხდინათ მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილება, ხოლო თუ ეს საშიშროება მაინც მოხდებოდა - მისი უარყოფითი შედეგების გადანაწილება. ამის მაგალითია 1310 წელს ქ. ბრიუგეში /გერმანია/ სადაზღვევო პალატის შექმნა, რომლის მიზანი იყო ვაჭართა და ხელოსანთა გილდიების ქონებრივი ინტერესების დაცვა.

გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქაში დიდი გაქანება პოვა ზღვაოსნობამ და საერთაშორისო ვაჭრობამ. წარმოიშვა ახალი ბაზრები, რომლებიც ხშირად სრულიად უცნობი იყო ვაჭრებისათვის. ამ მიზეზით გაიზარდა რისკიც, რამაც სწორედ გაზარდა რისკისაგან თავის დაზღვევის ინტერესიც. დაიწყო წარმოშობა ისეთმა სადაზღვევო ორგანიზაციებმა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქონების ცალკეული მეპატრონეები /მაგ. გემის მფლობელი/. მათ შორის იდებოდა ხელშეკრულება, რომ თუ ქონება /მაგ. გემი თავისი ტვირთით, ან სახმელეთო ქარავანი/

დაიღუპებოდა, მაშინ ზარალი მათ შორის განაწილებულიყო პროპორციულად.

ქონების, როგორც სამეწარმეო ობიექტის დაზღვევის გვერდით, ვითარდებოდა ხანძრისგან დაზღვევაც. მისი უძველესი ფორმა იყო მოსაკრებლის შეგროვება იმ პირთათვის, ვინც ხანძრისგან დაზარალდა. მაგალითად, 1666 წელს ლონდონში მომხდარი ხანძრის შემდეგ, რომელმაც გაანადგურა ქალაქის მთლიანი ცენტრი, დაწესდა „სახანძრო პოლისი", რომელიც ხანძრისგან აზღვევდა შენობებსა და ნაგებობებს. 1667 წელს ქ. ოსლოში /მაშინ ის იწოდებოდა ქრისტიანიად/ დაწესდა ნორვეგიული ბრანდ - სალარო. ეს იყო სადაზღვევო ორგანიზაცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირვანდელ სადაზღვევო ორგანიზაციებს არ ჰქონდათ მოგების მიღების მიზანი და ისინი მხოლოდ ზარალის ურთიერთ შორის განაწილების მიზნით იქმნებოდა. შემდეგში თანდათან მოხდა მათი გარდაქმნა კომერციულ სადაზღვევო დაწესებულებებად. მათი შემოსავალი იყო განსხვავება აკრეფილ სადაზღვევო გადასახადსა და ზარალის დაფარვის თანხას /თუ ზარალი მოხდებოდა/ შორის.

ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, ვითარდებოდა სადაზღვევო კომპანიების რიცხვიც და მათი საბრუნავი კაპიტალიც. მე - 18 საუკუნის 60 - იანი წლების დასაწყისში დასავლეთში ქონებისა და პირადი დაზღვევის 100-მდე სახე ითვლებოდა.[1] დაზღვევის იდეა სრულიად პასუხობდა ეკონომიკის განვითარებას. ამიტომ იგი სწრაფად ვრცელდებოდა ადამიანთა საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. იცვლებოდა დაზღვევის ფასები და მეთოდები დროის მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, 1706 წელს დაარსდა სიცოცხლის დაზღვევის პირველი საზოგადოება, ფინანსური რისკების დაზღვევა კი დაიწყო ყველაზე გვიან – მე-18 საუკუნის ბოლოს.

დაზღვევის სახეებს შორის ქონების დაზღვევის შემდეგ ერთ ერთი ძველია პირადი დაზღვევა. იგი ჯერ კიდევ ძველი რომაელებისათვის იყო ცნობილი. ძველ რომში არსებობდა დიანას და ანტონიოს თაყვანისმცემელთა რელიგიური საზოგადოება, რომელშიც გაწევრიანების უფლება ჰქონდათ მონებსაც კი.

---

[1] Гвозденко А.А., Основы страхования, М., Финансы и статистика, 2000, გვ.10.

წევრები იხდიდნენ შესასვლელ შენატანს /საწევროს/ და სიკვდილის შემთხვევაში საზოგადოება მათ თაყვის ხარჯზე კრძალავდა და ფულის გარკვეულ ნაწილს მემკვიდრეებს გადასცემდა. ძველ რომში არსებობდა ლეგიონერების სალაროებიც. მათ სახელმწიფო აზღვევდა. ლეგიონერებსაც მასში გარკვეული შენატანი შეჰქონდათ, რომ ოჯახის მარჩენალის /ე.ი. ლეგიონერის/ სიკვდილის შემთხვევაში აქედან მათ სადაზღვევო კომპენსაცია მიეღოთ.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იტალიაში წარმოიქმნა ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობის ღარიბ ფენებს ეხმარებოდნენ ქალიშვილებისათვის მზითვის შეძენაში. მე-17 საუკუნეში განხორციელდა ვენეციელი ექიმის, გვარად ტოტის იდეა, გამოშვებულიყო სახელმწიფო სადაზღვევო სესხი. ეს სისტემა ითვალისწინებდა ჯგუფურ დაზღვევას /10 ჯგუფი/. თითოეული ჯგუფი გარკვეულ თანხაზე ეზღვეოდა. სადაზღვევო თანხას ბოლოს ის იღებდა და ფაქტობრივად ის ხდებოდა „ჯგუფის მემკვიდრე“, ვინც ჯგუფიდან ცოცხალი რჩებოდა.

1699 წელს შეიქმნა პროფესიული სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც ჯერ ქვრივებსა და ობლებს აზღვევდა, შემდეგ კი ყველა მსურველს. იწოდებოდა იგი „ეკვიტებლ“-ად. ამ ორგანიზაციამ დაზღვევის საქმეში პირველმა გამოიყენა ალბათობის თეორია, შეადგინა სიკვდილიანობის ცხრილები.

<u>სადაზღვევო საქმის განვითარება რუსეთში და ყოფილ სსრ კავშირში.</u> რუსეთში პირადი დაზღვევა 1897 წელს დაიწყეს, მაშინდელი 5 სადაზღვევო ორგანიზაციიდან 3 იყო უცხოური. რუსეთი იყო პიონერი მუშების სიცოცხლის დაზღვევისა მათი დამქირავებლის /მეწარმეები/ ხარჯზე. რუსეთშიც პირველი სადაზღვევო ორგანიზაციები საზღვაო საქმეში წარმოიშვა. ამ საქმის პიონერი იყო ეკატერინე მეორე, რომელმაც 1781 წელს შესაბამისი წესდება გამოსცა. მასვე ეკუთვნის ხანძრისგან დაცვის სადაზღვევო საქმის დაწყებაც. 1786 წელს მან დააფუძნა სადაზღვევო ბანკი ხანძრისგან მოსახლეობის ქონების დასაცავად.

ძალიან მოკლე ვადაში, კერძოდ 1867 1866 წ.წ. – ში, რუსეთში შეიქმნა მრავალი სადაზღვევო კომპანია /1867 წელს „რუსკოე“, 1870 წელს „კომერჩესკოე“, „ვარშავსკოე“, 1872

წელს „სევერნოე“ და ა.შ/, რის შედეგადაც ხანძრისგან დაზღვევის თანხამ 1886 წელს 4 მლრდ მანეთი შეადგინა.

რუსეთის უმსხვილესი სადაზღვევო საზოგადოება „როსია“ 1881 წელს აწარმოებდა სიცოცხლის დაზღვევას, კაპიტალის დაზღვევას, ხოლო კომპანია „პომოშჩი“ ამის გარდა დანაკარგის /ქურდობით/ დაზღვევასაც.

1903 წელს რუსეთის ცენტრალური საძრეწველო რაიონის 141 მა ფირმამ ქ. მოსკოვში შექმნა რუსეთის ურთიერთდაზღვევის კავშირი, რომელიც აწარმოებდა ხანძრისგან ქონების დაცვის დაზღვევას. 1913 წელს მისი აქტივები შეადგენდა 5.2 მლნ მანეთს. მოქმედებდნენ სეტყვისაგან ნათესების დაცვის სადაზღვევო ორგანიზაციები - „ცერერა“, „მოსკოვსკოე“ და სხვა.

პირადი დაზღვევა რუსეთში ძირითადად შეძლებულ მოსახლეობას მოიცავდა. მას ახორციელებდა 20 სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელთა შორის იყო „გენერალნოე“, „ზაბოტლივოსტ“, „ჟიზნი“ და სხვა.

1913 წლისათვის რუსეთის სადაზღვევო კომპანიები უკვე დიდ გამოცდილებასაც და დიდ კაპიტალსაც ფლობდნენ /374 მლნ მან/. შეგროვილი სადაზღვევო მოსაკრებლების 63% მოდიოდა რუსულ კომპანიებზე, ხოლო 17% - უცხოურ კომპანიებზე.

გასაბჭოების შემდეგ რუსეთშიც და საქართველოშიც დაზღვევის ყველა სახეზე სახელმწიფო კონტროლი დაწესდა. 1918 წლის 28 ნოემბრის დეკრეტით იგი სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადდა, ხოლო 1925 წლის 18 სექტემბერს დამტკიცდა მისი დებულება. შეიქმნა მისი მართვის სახელმწიფო სისტემა, რომელსაც სათავეში ედგა „სახდაზღვევა“. სახდაზღვევის სისტემა მკაცრად ცენტრალიზებული იყო მთელი სსრ კავშირის მასშტაბით. 1958 წელს სახდაზღვევის სისტემის ნაწილი გადაეცა ფინანსთა სამინისტროს.

საბჭოთა წლებში დაზღვევას ჰქონდა ფორმალური ხასიათი. საბჭოთა ადამიანების შეგნებაში იგი არ ფიგურირებდა როგორც მათი ყოფის აუცილებელი ელემენტი.

სიტუაცია მოლიანად შეიცვალა 1988 წლის შემდეგ, როცა კანონში „კოოპერაციის შესახებ“ გარკვევით ჩაიწერა უფლება კოოპერატიული სადაზღვევო ორგანიზაციების შექმნის

შესახებ. ეს უკვე ეროიანი, მონოპოლიური საბჭოთა „სახდაზღვევის“ დემონოპოლიზაციას ნიშნავდა.

1992 წლიდან, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ. მთელ საბჭოთა სივრცეში და მათ შორის საქართველოშიც დაიწყო კერძო სადაზღვევო ორგანიზაციების წარმოშობა.

<u>სადაზღვევო საქმე საზღვარგარეთის ქვეყნებში.</u> სადაზღვევო ბაზრის საერთო მდგომარეობას საზღვარგარეთ კარგად ახასიათებს მისი მოსაკრებლის სიდიდე. მან 1991 წელს შეადგინა 1209,4 მლრდ დოლარი.[1]

1993 წლის მონაცემებით იაპონიამ მიაღწია სადაზღვევო საქმის ყველაზე მაღალ დონეს. აქ ერთ სულ მოსახლეზე მოსულმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 4395 დოლარი, შვეიცარიაში – 3097 დოლარი, აშშ - ში 2192 დოლარი, რუსეთში მხოლოდ 9,1 დოლარი.[2]

საზღვარგარეთ სადაზღვევო ოპერაციებს ძირითადად აწარმოებენ:

1. სააქციო სადაზღვევო კომპანიები /ღია და დახურული/;
2. ურთიერთდაზღვევის საზოგადოებები;
3. სახელმწიფო დაზღვევის კომპანიები.

უმრავლეს ქვეყნებში უპირატესად გავრცელებულია ურთიერთდაზღვევის საზოგადოებები, რომლებიც დაჯგუფებული არიან საწარმოო ნიშნის მიხედვით, მაგალითად: ფერმერების დამზღვევი საზოგადოებები, ეკოლოგიურად მავნე საწარმოთა დამზღვევი საზოგადოებები და ა.შ. ეს საზოგადოებები მრავალ ქვეყანაში გაერთიანებულნი არიან კლუბებში. მაგ. მსოფლიოში გემომესაკუთრეთა დაზღვევის 70 მდე კლუბია შექმნილი /იაპონიაში, აშშ - ში, დიდ ბრიტანეთში და სხვაგან/.

მსხვილი კომერციული და ინდუსტრიული კონცერნები და საავიაციო კომპანიები მიმართავენ თვითდაზღვევას. ისინი ამისათვის ქმნიან სადაზღვევო ფონდს იმ შემთხვევისთვის, თუ

---

[1] Банки и страхование плюс ценные бумаги для всех, М., Экология 1995, გვ.17.

[2] Гвозденко А.А., Основы страхования, М., Финансы и статистика, 2000, გვ.21.

მიიღეს გაუთვალისწინებელი ზარალი. ამ თვალსაზრისით უნიკალური არის კორპორაცია „ლლოიდი“, რომელიც იურიდიული თვალსაზრისით არ არის სადაზღვევო ორგანიზაცია, მაგრამ არის კერძო პირების გაერთიანება, რომელთა შორის თითოეული აზღვევს თავის რისკს.

ამჟამად „ლლოიდი“-ს წევრია 30000 კაცი, რომელთაც ყოველ წელს „ლლოიდის“ ფონდში შეაქვთ სადაზღვევო შესატანი. ისინი დაყოფილი არიან სინდიკატებად /მაგ. ხანძრისგან დაზღვეულთა სინდიკატი/. ყოველ სინდიკატს სათავეში უდგის ანდერრაიტერი. ეს არის მაღალკვალიფიციური დაზღვევის სპეციალისტი, რომელიც თავის თავზე იღებს სინდიკატის ყველა წევრის დაზღვევას და ანაწილებს რისკს მათ შორის შემოტანილი მოსაკრებლების პროპორციულად. სინდიკატის თითოეულ წევრს ეძლევა სლიპ - დოკუმენტი.

ლლოიდი ბრიტანელი აზნაურის ედუარდის გვარია. მას აზნაურის ტიტული და „სერ“-ის წოდება ბრიტანეთის მეფემ სწორედ მისი კეთილგონიერებისათვის უბოძა. ეს მოხდა XVII საუკუნეში. მაშინ ედუარდ ლლოიდს ლონდონში ყავის სახლი ჰქონდა. იმ ხანად ლონდონში მრავალი მოგზაური, ვაჭარი, გემთმფლობელი თუ მეკობრე დაეხეტებოდა და ბევრი მათგანი „ლლოიდის“ ყავახანის ხშირი სტუმარი იყო. ლლოიდი და მისი თანამშრომლები უსმენდნენ მათ სათავგადასავლო ისტორიებს. ლლოიდი, რომელიც მეტად სსარტი გონების კაცი იყო. დარწმუნდა, რომ ალბათობის თეორიაზე დაფუძნებულ საზღვაო ბიზნესს დიდი შესაძლებლობები გააჩნდა. გამჭრიახმა ლლოიდმა იდეა საქმედ აქცია და სარისკო გზაზე დამდგარ გემთმშენებლებს, ვაჭრებს და სხვა სჯულის ზღვაოსნებს მათი სანუკვარი საკუთრების დაზღვევა შესთავაზა. 1696 წელს ლლოიდმა გაზეთი „Loud Nows“ და იმავე სახელწოდების სადაზღვეო კომპანია დაარსა. იმ დროისათვის ხალხის შემოსავალი ძირითადად საზღვაო ბიმოსვლაზე, საზღვაო გადაზიდვებზე და ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ ბევრი გამოეხმაურა ლლოიდის შეთავაზებას. ედვარდ ლლოიდმა პირველმა შემოიღო და გამოიყენა სატარიფო მახასიათებლები საზღვაო გადაზიდვების დაზღვევისათვის.

სერ ედვარდ ლლოიდის სიკვდილის შემდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სადაზღვევო კომპანიებს უბრალოდ „ლლოიდებს“ უწოდებდნენ. ამ სახელით ყველაფერი გასაგები იყო. აქედან მოდის ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები თვითდაზღვევის ბრიტანული კორპორაცია „ლლოიდის“ სახელწოდებაც.

საზღვარგარეთის სადაზღვევო საქმეში დომინირებული მდგომარეობა უკავია პირად დაზღვევას. იგი იყოფა: სიცოცხლის დაზღვევად, რენტის დაზღვევად, პენსიის დაზღვევად, ავადმყოფობისაგან და უბედური შემთხვევისაგან დაზღვევად. მეტად გავრცელებულია სამედიცინო დაზღვევა და რესტორნების, ტრანსპორტის საშუალებების, კაზინოების და სხვათა მეპატრონეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

<u>დაზღვევის ფორმები და სახეები.</u> დაზღვევის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ორი კრიტერიუმი:

1. განსხვავება დაზღვევის ობიექტებს შორის და
2. განსხვავება სადაზღვევო პასუხისმგებლობის მოცულობაში.

პირველი ნიშანი საერთოა და დაზღვევის ყველა ობიექტს ეხება, მეორე კი ეხება მხოლოდ ქონების დაზღვევას.

საერთო კრიტერიუმს შეიძლება ასეთი განმარტება მიეცეს: იგი არის დაზღვევის დარგებად, ქვედარგებად და სახეებად პირობითი დაყოფის იურიდიული სისტემა. მათ შორის თითოეული არის რგოლი. ყოველი შემდგომი რგოლი კი წინა რგოლის შემადგენელ ნაწილს შეადგენს.

ევროპის ეკონომიკური საზოგადოების 1977 წლის დირექტივით და კანონით „სადაზღვევო კომპანიების შესახებ“ ყველა სადაზღვევო კომპანიას, რომლებიც ამ საზოგადოებაში შედიან, დაუწესდათ საერთო სახის დაზღვევის 17 და გრძელვადიანი დაზღვევის 6 ფორმა.[1]

ამ დირექტივით გრძელვადიანი დაზღვევის ფორმებად საერთაშორისო დონეზე აღიარებულია:

1. სიცოცხლისა და ანუიტეტების დაზღვევა;

---

[1] Шахов В.В., Введение в страхование, М., Финансы и статистика, 1992, გვ.31.

2. ქორწილისათვის და ბავშვის დაბადებისათვის დაზღვევა;
3. შერეული დაზღვევა;
4. ჯანმრთელობის უწყვეტი დაზღვევა;
5. ფინანსური კაპიტალის დაზღვევა;
6. პენსიის დაზღვევა.

დაზღვევის საერთო ფორმებია:
1. უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევა;
2. აკადმყოფობისგან დაზღვევა;
3. ავტომანქანების დაზღვევა;
4. რკინიგზის ტრანსპორტის დაზღვევა;
5. თვითმფრინავების დაზღვევა;
6. გემების დაზღვევა /კასკო/;
7. ტვირთების სატრანსპორტო დაზღვევა; /კარგო/;
8. ხანძრის და უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევა;
9. ქონების დაზღვევა;
10. ტრანსპორტის მძღოლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
11. ავიაკომპანიების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
12. გემთმესაკუთრეების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
13. საერთო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
14. კრედიტების დაზღვევა;
15. ფინანსური დანაკარგების დაზღვევა;
16. დაქირავებულ მუშაკთაგან მიყენებული ზარალისაგან დაზღვევა;
17. სასამართლო ხარჯებისაგან დაზღვევა.

ჩვენთან დაზღვევა კლასიფიცირდება დარგების, ქვედარგების და სახეების მიხედვით /ცხადია, აქ არ იგულისხმება მეურნეობის დარგები/. დარგად ითვლება დაზღვევის გამსხვილებული სახე. მაგალითად, პირადი დაზღვევა, ქონების დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა - დარგებია. მათი ქვედარგებია: პირადი დაზღვევის:

ა) სიცოცხლის და პენსიის დაზღვევა;

ბ) ავადმყოფობისაგან და უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევა;
გ) სამედიცინო დაზღვევა;
ქონების დაზღვევის:
ა) სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;
ბ) ტვირთების დაზღვევა;
გ) მოსახლეობისა და სახელმწიფოს ქონების დაზღვევა;
დ) ტექნიკური, საწარმოო, კოსმოსური რისკების დაზღვევა;
ე) ცხოველების, ფრინველების, ფუტკრის და სხვათა დაზღვევა;
ვ) ფინანსური რისკების დაზღვევა;
პასუხისმგებლობის დაზღვევის:
ა) სატრანსპორტო საშუალების მძღოლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
ბ) მსესხებელთა დაზღვევა სესხის არდაფარვისგან;
გ) სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა.

დაზღვევის თითოეულ ქვედარგს აქვს თავისი სახეები. ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვედარგების რგოლებია, ქვედარგები კი - დარგის რგოლები. დარგები კი მთლიანობაში წარმოადგენენ დაზღვევის სისტემას.

დაზღვევა იყოფა სავალდებულო და ნებაყოფლობით დაზღვევად. მაგ. სამედიცინო დაზღვევა სავალდებულოცაა და ნებაყოფლობითიც. სავალდებულო დაზღვევა შემოიფარგლება მინიმალური სამედიცინო მომსახურებით /სასწრაფო დახმარება, პოლიკლინიკის მომსახურება, ბინაზე მომსახურება, საავადმყოფოში დაწვენა/, ნებაყოფლობითი კი – ფართო და მაღალი რანგის მომსახურებით/ უახლესი სამედიცინო ტექნიკით გამოკვლევა და ა.შ./.

ჯანდაცვის ორგანიზაციის მსოფლიო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ფუნქციონირების სამი ძირითადი სისტემა - სახელმწიფო, სადაზღვევო და კერძო. ამასთან, მეთოდები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციას, განსაზღვრავს დარგის დაფინანსების პრინციპებს და მისი სუბიექტების ურთიერთობის მექანიზმს.

ჯანდაცვის ორგანიზაციის სახელმწიფოებრივი სისტემა ეფუძნება ჯანდაცვის ობიექტების საბიუჯეტო დაფინანსების პრინციპებს და უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობას უფასო სამედიცინო მომსახურებით.

სადაზღვევო სისტემას საფუძვლად უდევს მოქალაქეთა, საკუთრების ყველა ფორმის და ორგანიზაციულ სამართლებრივი სტატუსის მქონე სამეურნეო სუბიექტების, მეწარმეთა მონაწილეობის პრინციპი მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიების ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებაში უშუალოდ, ან შუამავლების - სადაზღვევო სამედიცინო კომპანიებისა და ორგანიზაციების - მეშვეობით.

ჯერჯერ მედიცინა კი სამედიცინო მომსახურების ბაზარზე წარმოდგენილია ჯანდაცვის ობიექტების /კლინიკების და საავადმყოფოების/ სახით, რომელთა ქონებრივი საფუძველი კერძო საკუთრებაა.

ამჟამად საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის მიმდინარე ეტაპის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია სამედიცინო დახმარების გადასვლა სამედიცინო დაზღვევის პრინციპებზე. ამიტომაც, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა გავცნობოდით სამედიცინო დაზღვევის წარმოშობის წინა პირობებს.

როგორც ისტორიული ცნობები ადასტურებს, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის წარმოშობა უკავშირდება ხელოსნობის განვითარებას. კაცობრიობის არსებობის ყველა დროში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ავადმყოფებს სამედიცინო დახმარებას უწევდნენ. ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზაციის ეპოქაში მოქმედებდა გარკვეული წესები, რომლებიც სამედიცინო საქმიანობას არეგულირებდა. ძველ ბაბილონში ჰამურაბის კოდექსში /III საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე/ ნათქვამი იყო, რომ, თუ ქირურგი გადაარჩენდა პაციენტს, ივი კარგ გასამრჯელოს მიიღებდა. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტის ჯანმრთელობას ოპერაციით ზიანი მიადგებოდა, ქირურგს ხელს აჭრიდნენ.

ანალოგიური ურთიერთობები იყო პაციენტსა და ექიმს შორის ძველ ინდოეთში. ამგვარი ურთიერთობა, როგორც ჩანს, ჯანდაცვის ყველაზე პირველ მოდელს განსაზღვრავს. ასეთ მოდელს ფასიან მედიცინას უწოდებენ. ასეთ დროს სამედიცინო

მომსახურების საფასურს იხდის თვითონ ავადმყოფი, ან მისი ნათესავი და მეგობრები.

კაცობრიობის განვითარების, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების და მისი არსებობის პირობების გართულების კვალობაზე სულ უფრო რთულდება და ვრცელდება დაავადებები, ხოლო მეორე მხრივ, მკურნალობის შესაძლებლობებიც ფართოვდება და სრულყოფილი ხდება. შედეგად კი, გახშირდა შემთხვევები, როდესაც ადამიანები, რომლებიც მკურნალობას საჭიროებენ, ვერ იღებენ მას, ვინაიდან არ შეუძლიათ მისი საფასურის გადახდა.

შუა საუკუნეების ევროპაში წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარებამ განაპირობა მოსახლეობის ჯგუფის - ხელოსნების გამოყოფა, რომლებსაც არ შეეძლო სამედიცინო დახმარებისათვის საფასურის გადახდა. მათ არც სახელმწიფო და საქველმოქმედო დახმარების იმედი უნდა ჰქონოდათ, ვინაიდან არ მიეკუთვნებოდნენ მოსახლეობის უღარიბეს ფენებს.

სწორედ მაშინ წარმოიქმნა საერთო სალაროების შექმნის იდეა, სადაც ნათესაური, პროფესიული, ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით გაერთიანებულ ადამიანებს შეჰქონდათ მცირე გადასახადები, რომლებიც განკუთვნილი იყო აუცილებლობის შემთხვევაში ერთი, ან რამდენიმე მათგანისათვის სამედიცინო დახმარების გასაწევად. ასე ძალიან გამარტივებული სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ მოდელის ჩამოყალიბების ისტორიული საწყისები, რომელსაც დღეს სადაზღვევოს ვუწოდებთ.

დაზღვევის სისტემას სჭირდება საზოგადოების ორგანიზაციის და საზოგადოებრივი შეგნების გარკვეული, საკმაოდ მაღალი დონე. ამიტომაც ისტორიული თვალსაზრისით იგი წარმოიქმნა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ.

შუა საუკუნეებში ხელოსნები ერთიანდებოდნენ გილდიებში, რომლებიც სხვადასხვა ფონდებს ქმნიდნენ, მათ შორის, გილდიის წევრების ავადმყოფობის შემთხვევისათვის. გილდიის თითოეულ წევრს აუცილებლად უნდა გადაეხადა გარკვეული თანხა იმ ფონდში. სამრეწველო განვითარება სულ უფრო ასტიმულირებდა ასეთი ფონდის შექმნას. ყოველი მუშაკი დაინტერესებული იყო თავისი შემოსავლის შენარჩუნებაში ავადმყოფობის შემთხვევაშიც, რისოვისაც მკურნალობაზე დანახარჯების რისკი ნაწილდებოდა გილდიისა და სხვა ჯგუფების წევრებს შორის.

XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისში, როგორც მსხვილი, ისე მცირე საწარმოს მუშაკებმა დაიწყეს ურთიერთსოლიდარობის საზოგადოებების /ავადმყოფობის შემთხვევისათვის/ ფონდების შექმნა. ეს ფონდები განკუთვნილი იყო მკურნალობის ასანაზღაურებლად და ხელფასის დანაკარგის კომპენსირებისათვის ავადმყოფობის შემთხვევაში და არა მოგების, ან რაიმე სარგებლის მიღების მიზნით.

ამ სისტემის განვითარების კვალობაზე ზოგიერთი ფონდიდან დაიწყეს არა მხოლოდ ექიმების მომსახურების ანაზღაურება, არამედ ხელშეკრულებების დადება ექიმებთან მათ მიერ ფონდის წევრებისათვის სამედიცინო დახმარების რეგულარულად გაწევის მიზნით, მოგვიანებით კი საკუთარი საავადმყოფოების შექმნა.

საზოგადოებრივი მოძრაობის საფუძველზე წარმოქმნილი დაზღვევის ეს მოდელი შემდგომში გამოიყენეს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნის დროს გერმანიაში, მოგვიანებით კი – სხვა ქვეყნებშიც.

სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა საკანონმდებლო წესით პირველად მიიღეს პრუსიაში 1845 წელს, ჯერ კიდევ გერმანიის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, წარმოქმნამდე. კანონი ავალდებულებდა ზოგიერთი პროფესიის და სპეციალობის მუშაკს /და არა ყველას/, დაზღვეულიყვნენ ავადმყოფობის შემთხვევაში. შემდგომში იმის გაცნობიერებამ, რომ ერს უნდა ჰქონდეს ყველა მოქალაქის სოციალური დაცვის გარანტიები, განაპირობა 1883 წ. გერმანიის მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო დაზღვევის შესახებ კანონის მიღება. ამ კანონის თანახმად, მეურნეობის ზოგიერთი დარგის ყოველი მუშაკი, რომლის შრომის ანაზღაურება დადგენილ ლიმიტზე ნაკლებს შეადგენდა, ექვემდებარებოდა საავალდებულო წესით დაზღვევას. სადაზღვევო ფონდებს აფინანსებდნენ მუშაკთა და დამქირავებელთა ხარჯზე.

აქედან მოყოლებული, დაზღვევა გერმანიაში საავალდებულო ხდება /თუმცა არა ყოვლისმომცველი/ და ეს ვრცელდება სხვა ქვეყნებშიც, სადაც ამას არცთუ იშვიათად წინ უსწრებდა ნებაყოფლობითი დაზღვევის განვითარება. თანდათანობით სადაზღვევო კანონი პოპულარული ხდება პოლიტიკოსებში, რომლებმაც მათ განვითარებაში დაინახეს მუშათა შორის მხარდაჭერის შესაძლებლობა.

XIX საუკუნის დასასრულს სადაზღვევო კანონები მიიღო ევროპის უმეტესმა ქვეყანამ.

ამჟამად საკალდებულო სამედიცინო დაზღვევა ჯანდაცვის განვითარების ძირითადი მიმართულებაა. მას დიდი ტრადიციები აქვს დასაკლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებში. ბოლო 10 - 20 წლის მანძილზე იგი მნიშვნელოვნად განვითარდა ლათინური ამერიკის, ჩრდილოეთ აფრიკის, სამხრეთ - აღმოსაკლეთ აზიის ქვეყნებში. საკალდებულო სამედიცინო დაზღვევა შემოიღეს ასევე ცენტრალური და აღმოსაკლეთ ევროპის უმრავლეს ქვეყანაში.

სამედიცინო დაზღვევის გამოცდილება უცხო არ არის ჩვენი ქვეყნისათვის. საკალდებულო სამედიცინო დაზღვევა, როგორც სოციალური დაზღვევის ნაწილი, არსებობდა მეფის რუსეთში 1917 1919 წ.წ. „მუშათა სადაზღვევო მედიცინის“ სისტემის შემადგენლობაში, 1921 1929 წ.წ. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში. ამ პერიოდისათვის საქართველოში, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილში, ფუნქციონირებდა სახელმწიფო დაწესებულებები, „საავადმყოფოს სალაროები“ /სადაზღვევო მედიცინა/ და კერძო სამედიცინო დაწესებულებები. დაზღვევა ვრცელდებოდა ძირითადად მრეწველობის ყველა დარგზე. ფუნქციონირებდა მრავალი „საავადმყოფოს სალაროები“, რომლებიც ემსახურებოდნენ სხვადასხვა საწარმოთა მუშებს. მაგრამ იგი ვერ განვითარდა გასაბჭოების შემდეგ. სადაზღვევო მედიცინამ, როგორც სისტემამ, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა ვერ პოვა, რადგან შეუთავსებელი იყო ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ზოგად პრინციპებთან.

ბოლო პერიოდში, ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარების ახალმა პირობებმა მოითხოვა ჯანდაცვის გადაყვანა ფუნქციონირების ახალ ეტაპზე.

საქართველოს მთავრობის 1994 წლის №728 დადგენილებისა და სახელმწიფოს მეთაურის №400 ბრძანებულებების საფუძველზე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული კონცეფციის თანახმად, არსებითად შეიცვალა მოსახლეობის ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება. სამედიცინო დაწესებულებები გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე. სამედიცინო დაწესებულებებისა და ცალკეული სამედიცინო მუშაკების შრო-

მის ანაზღაურება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მოცულობის ხარისხისა და მნიშვნელობის მიხედვით.

ამასთან, სამედიცინო დახმარების მაღალი ღირებულების გამო, კონკრეტულ მომხმარებელს, ბუნებრივია, არ შეუძლია ხარჯების უშუალოდ ანაზღაურება, ამიტომაც აუცილებელია ქვეყანაში ფართოდ გავრცელდეს სამედიცინო დაზღვევის პროგრესული ფორმები.

საქართველოში 1997 წლის აპრილში მიღებული კანონის „სამედიცინო დაზღვევის შესახებ" – თანახმად, სამედიცინო დაზღვევა განხორციელდება სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის ფორმებით. ამჟამად საყოველთაო /სავალდებულო/ დაზღვევის ორგანიზაციული საფუძველია სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია, რომელიც 1996 წლის იანვარში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წ. №351 და №464 ბრძანებულებათა საფუძველზე შეიქმნა.

საყოველთაო სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის დროს დამზღვევის ფუნქციით გამოდის დამქირავებელი და დაქირავებული /დასაქმებული ინდივიდი/, რომლებიც იხდიან ე.წ. სავალდებულო სამედიცინო გადასახადს, არსებითად, სავალდებულო სადაზღვევო შესატანს.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა არ წარმოადგენს „საყოველთაოს", ვინაიდან იგი გავრცელდა სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ კონტინგენტზე.

1997 წ. სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია სადაზღვევო პროგრამებს ახორციელებს სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით შერჩეულ 185000 - მდე სელმოკლე /უმწეო/ მოქალაქეებისათვის ღირებულება 1997 წ. 5,9 მლნ ლარი; ორსულოათვის - 6,9 მლნ ლარი; 0,1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის 7,0 მლნ ლარი; ონკოლოგიური - 3,0 მლნ ლარი; ფიზიატრიული 3,5 მლნ ლარი; და ფსიქიატრიული – 3,0 მლნ ლარი.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო დაზღვევა ჯანდაცვის ორგანიზაციის თვისებრივად ახალი ეტაპია. სავალდებუ-

---

[1] თ. ჯანაშია, სამედიცინო დაზღვევა – ახალი ეტაპი საქართველოს ჯანდაცვის ორგანიზაციაში, ჟ."ეკონომიკა", №11-12, 1997, გვ.145.

ლო სამედიცინო დაზღვევის მიმზიდველობა საზოგადოების სოლიდარობის პრინციპშია, როცა მდიდარი ღარიბის, ხოლო ჯანმრთელი -ავადმყოფის ფულს იხდის. უფრო მეტიც, ეკონომიკური კრიზისის პირობებში სწორედ სამედიცინო დაზღვევის სისტემა უზრუნველყოფს სამედიცინო დასმარების ხელმისაწვდომობას მოსახლეობისათვის. ამაზე მეტყველებს მრავალი ქვეყნის გამოცდილება, მათ შორის – ყოფილი სოციალისტური ქვეყნების /უნგრეთი, ჩინეთი, სლოვაკია/.

ცნობილია, რომ ჯანდაცვის ეფექტიანობის მახასიათებელია სამედიცინო დახმარების ღირებულება, ფართო ფენებისათვის მისაწვდომობა და ხარისხი.

ბოლო წლებში ჩამოყალიბებული სოციალურ ეკონომიკური ვითარების შედეგად მოსახლეობის მიმართვა სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მკვეთრად შემცირდა. მოსახლეობა სამედიცინო დაწესებულებას მიმართავს მხოლოდ ავადმყოფობის უკიდურესად გართულების შედეგად და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან სამედიცინო მომსახურების ღირებულება გაცილებით აღემატება მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას. საკმარისია ითქვას, რომ 1996 წლის მდგომარეობით, საქართველოში საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლების მქონე მოსახლეობის ხვედრითმა წილმა 65% შეადგინა.

<u>დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი</u>. დაზღვევა არის დამზღვევსა /სადაზღვევო ორგანიზაცია/ და დაზღვეულ პირს შორის ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება დაზღვეული პირის /ფიზიკური, თუ იურიდიული/ სადაზღვევო შენატანების საფუძველზე მისი ზარალის ანაზღაურებას. დაზღვევის ეს შინაარსი არასოდეს არ შეცვლილა. ეს მიზანი ჰქონდა მას მისი წარმოშობისთანავე და ეს მიზანი აქვს მას ახლაც.

თუმცა სადაზღვევო ორგანიზაციები მარტო იმისათვის როდი იქმნებიან, რომ შეაგროვონ მხოლოდ იმდენი შენატანები, რაც ეყოფა მზღვეველთა ზარალის ანაზღაურებას. რა თქმა უნდა არა. შენატანი უფრო მეტია, ვიდრე ფაქტობრივი ზარალი; რაც სადაზღვევო ორგანიზაციებს აძლევს მოგებას. მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის დროს დაზღვევა, ერთი მხრივ, გამოდის როგორც დაზღვეულთა ინტერესების დამცველი და მეორე მხრივ, როგორც კომერციული საქმიანობა, რომელსაც მოაქვს

მოგება. მოგება აქ მიიღება როგორც სადაზღვევო შენატანების გარდამეტით ფაქტობრივ ზარალზე, ისე თავისუფალი ფულადი სახსრების ინვესტირებით სხვა საქმიანობაში. ისე რომ, სადაზღვევო საქმე ქვეყნის სამეურნეო აქტივობის ამაღლების ფაქტორიცაა.

სადაზღვევო შენატანებით იქმნება სადაზღვევო ფონდი. მისი ხარჯვა მკაცრად მიზნობრივია და შეესაბამება დამზღვევი ორგანიზაციის წესდებას. ფონდის სიდიდე /მოცულობა/ ისაზღვრება ემპირიული პროგნოზებით და აქტუალური გაანგარიშებებით /აქტუალური გაანგარიშებები ეწოდება სხვადასხვა სახის დაზღვევისთვის საჭირო მათემატიკურ გაანგარიშებათა ერთობლიობას/. ამ გაანგარიშებებით ფაქტობრივად ხდება ზარალის გადანაწილება დაზღვევის მონაწილეთა შორის, რაც იძლევა სახსრების მანევრირების საშუალებას.

<u>სადაზღვევო ფონდი და სატარიფო პოლიტიკა.</u> სადაზღვეეო ფონდი იქმნება სადაზღვევო შენატანით. მისი ტარიფი ინდივიდუალურია და განსხვავდება დაზღვევის სახეებისა და დამზღვევი ორგანიზაციების მიხედვით. ტარიფის სწორ განსაზღვრას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ტარიფი არის სადაზღვევო ფონდის შექმნის წყარო, ეს უკანასკნელი კი – ზარალის დაფარვის საშუალება. ტარიფზე, უფრო ზუსტად, სატარიფო პოლიტიკაზე არის დამოკიდებული სადაზღვევო ორგანიზაციის რენტაბელური, თუ ზარალიანი მუშაობა. სავალდებულო დაზღვევის დროს ტარიფის სიდიდეს ადგენს სახელმწიფო, ნებაყოფლობითი დაზღვევის დროს კი – სადაზღვევო ორგანიზაცია.

სადაზღვევო საქმეში სატარიფო პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. მხარეების /დამზღვევი და დაზღვეული/ სადაზღვევო ურთიერთობათა ეკვივალენტურობას;

ეს პრინციპი იმას ნიშნავს, რომ ტარიფის ნეტო განაკვეთი ზუსტად შეესაბამებოდეს მოსალოდნელი ზარალის ალბათობას. ამით უზრუნველყოფილი იქნება დაზღვეულთა ზარალის დაფარვა, თუ ასეთი ზარალი იქნება.

2. სადაზღვევო ტარიფების ხელმისაწვდომობას. მისი არსი ისაა, რომ ტარიფი არ იყოს ისეთი მაღალი, რომ მოსახლეობის ფართო მასა ვერ მიწვდეს მას და ვერ დაიზღვიოს თავი.

3. სადაზღვევო ტარიფების განაკვეთების სტაბილურობას. ტარიფების მუდმივ განაკვეთებს ეწვევა მომხმარებელიც და დაზღვევის მუშაკებიც. ამასთან, მაღლდება სადაზღვევო ორგანიზაციების პრესტიჟი და სოლიდურობა.

4. სადაზღვევო პასუხისმგებლობის მოცულობის გაფართოებას. ამ პრინციპის დაცვა ახასიათებს სადაზღვევო ორგანიზაციის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვლევებს.

5. სადაზღვევო ოპერაციების თვითგამოსყიდვის და რენტაბელობის უზრუნველყოფას. ეს პრინციპი შესრულდება მაშინ, როცა სადაზღვევო ტარიფების განაკვეთები იქნება ისეთი სიდიდის, რომლის მეშვეობით შემოსული სადაზღვევო შენატანები დაფარავს ხარჯებსაც /დაზღვეულთა ზარალის დაფარვა, სადაზღვევო ორგანიზაციის აპარატის შენახვა, გადასახადი მოგებიდან, ქონებიდან და სხვა/ და უზრუნველყოფს გარკვეულ მოგებასაც.

<u>სადაზღვევო ბაზარი და მისი</u> სტრუქტურა. სადაზღვევო ბაზარი ეს არის სადაზღვევო მომსახურების ყიდვა გაყიდვის ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა. სადაზღვევო ბაზრის არსებობის აუცილებელი პირობა არის სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნის არსებობა და იმ დამზღვევ ორგანიზაციათა არსებობა, რომლებიც დააკმაყოფილებენ მათ მოთხოვნას /ე.ი. გაუწევენ მათ სადაზღვევო მომსახურებას/. მაშასადამე, სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირების პირველხარისხოვანი ეკონომიკური კანონებია ღირებულების კანონი და მიწოდება - მოთხოვნის კანონი.

სადაზღვევო ბაზარი გულისხმობს საბაზრო ურთიერთობების სუბიექტების დამოუკიდებლობას, თანასწორუფლებიანობას და მათ შორის ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირების სისტემის არსებობას.

სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა ორი ასპექტით განიხილება:

1. ორგანიზაციულ – სამართლებრივი;

2. ტერიტორიული;.

ორგანიზაციულ – სამაროლებრივი თვალსაზრისით ბაზრის სტრუქტურა წარმოგვიდგება მასში კერძო, სააქციო, სახელმწიფო და შერეული სადაზღვევო ორგანიზაციების მონაწილეობით.

ტერიტორიული თვალსაზრისით, ბაზრის სტრუქტურა წარმოგვიდგება დაზღვევის გავრცელებით გარკვეულ ტერიტორიაზე. ასეთი მიდგომით სადაზღვევო ბაზარი შეიძლება იყოს ადგილობრივი /რეგიონული/, ეროვნული /ქვეყნის/ და მსოფლიო დონის /მაგ.არსებობს საერთო ევროპული სადაზღვევო ბაზარი/.

მომსახურების სფეროების თვალსაზრისით, ამ ბაზრებს სხვა სახელებიც აქვთ: ადგილობრივი ბაზრები იწოდებიან შიგაბაზრებად, ეროვნული - საშინაო ბაზრებად და მსოფლიო ბაზრები - გლობალურ ბაზრებად.

შიგა სადაზღვევო ბაზრების ძირითადი შემადგენელი ნაწილებია სადაზღვევო ორგანიზაციების მატერიალური და ფინანსური რესურსები. შიგაბაზრის მთავარი ამოცანებია სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნის ფორმირება /მარკეტინგით, რეკლამით/, ხელშეკრულებების გაფორმება დასაზღვევ პირებთან, სადაზღვევო პოლისების /სერთიფიკატების/ გაყიდვა, მოქნილი სატარიფო პოლიტიკის გატარება და საკუთარი ინფრასტრუქტურის რეგულირება.

დაზღვევის მსოფლიო პრაქტიკაში ამჟამად გაძლიერდა სადაზღვევო საქმის სპეციალიზაციის და უნივერსალიზაციის ტენდენციები. ეს დაეტყო სადაზღვევო მომსახურების ბაზარსაც. სადაზღვევო ორგანიზაციები სულ უფრო მეტად გამოდიან საკრედიტო ორგანიზაციების როლში და ამ საქმეში ბანკების შემდეგ მეორე ადგილი უკავიათ. სადაზღვევო ორგანიზაციები თავისუფალ ფულს აბანდებენ /უშუალოდ თვითონ/ სხვადასხვა ინვესტიციურ პროექტებში. ეს უკვე ნიშნავს სადაზღვევო ორგანიზაციების საქმიანობის უნივერსალიზაციას. ეს ფაქტი მოქმედებს სადაზღვევო ბაზარზეც და მას მეტად მრავალფაქტორულს ხდის.

<u>საქართველოს სადაზღვევო ბაზარი</u>. რადიკალურ გარდაქმნამდე საქართველოში არსებობდა სახელმწიფო დაზღვევა

/"სახსაქდაზღვევა"/, რომელიც შექმნილი იყო 1925 წელს და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ნაწილი იყო.

1992 წლიდან, ე.ი. მის შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ეს ორგანიზაცია გამოეყო ერთიან საკავშირო სადაზღვევო სისტემას და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია. 1997 წელს იგი გარდაიქმნა სახელმწიფო სააქციო საზოგადოებად, ხოლო 2001 წელს მისი აქციების 9%-ის მფლობელი გახდა კერძო ფიზიკური პირი.

ამის პარალელურად დაიწყო საქართველოში ახალი დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებასა და პრაქტიკას დაფუძნებული ახალი სადაზღვევო ურთიერთობებისა და დაზღვევის ახალი სისტემის ჩამოყალიბება. მიიღეს კანონი „დაზღვევის შესახებ", „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ", „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ" და ა.შ.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 29 ივნისის №330 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. იგი არის დამოუკიდებელი, პრეზიდენტის გამგეობაში მყოფი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანებია:[1]

სადაზღვევო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელება;

სადაზღვევო საქმიანობის კოორდინაცია;

სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა;

სადაზღვევო მექანიზმების სრულყოფა;

სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობა;

ჩამოყალიბების დღიდან დაიხვეწა სამსახურის სტრუქტურა, მნიშვნელოვნად ამაღლდა სამსახურის სპეციალისტთა კვალიფიკაციის დონე და პროფესიული უნარ - ჩვევები.

---

[1] საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფოებრივი რეგულირება, თბ., 2000, გვ.13.

დღეისათვის საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში დასაქმებულია 30 თანამშრომელი და ამ სამსახურს ასეთი სტრუქტურა გააჩნია /იხ. ნახაზი 5/.

მართვის მოცემულ სტრუქტურაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ ნორმატივების, იურიდიულ საკითხთა და საჩივრების სამმართველოს, ლიცენზირების და რეგისტრაციის სამმართველოს, ზედამხედველობის საამმართველოს და საერთაშორისო ურთიერთობათა, ინფორმაციისა და ანალიზის სამმართველოს.

ნორმატივებისა და დაგეგმარების სამმართველოს ამოცანები და ფუნქციებია დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, სადაზღვევო ურთიერთობების მარეგულირებელი კანონებისა და სხვა სადაზღვევო კომპანიათა გადახდისუნარიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, სამსახურის უზრუნველყოფა იურიდიული მომსახურებით, სადაზღვევო ბაზარზე არსებული მდგომარეობის პროგნოზირება, ბაზრის ფუნქციონირების ეფექტურობის ზრდის საკითხთა დამუშავება.

ლიცენზირებისა და რეგისტრაციის სამმართველოს ფუნქციებში შედის სადაზღვევო კომპანიებისა და სადაზღვევო ბროკერების სალიცენზიო დოკუმენტების ექსპერტიზა.

ზედამხედველობის სამმართველო აწარმოებს სადაზღვევო კომპანიების მიერ განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობას, რისთვისაც იყენებს ორ მეთოდს: 1. სადაზღვევო კომპანიების მიერ წარმოდგენილ ყოველკვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი და სადაზღვევო კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობა. 2. სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობის (ადგილებზე, უშუალოდ კომპანიებში) შესწავლა და შემოწმება.



ნახ. 5. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა

<u>საერთაშორისო ურთიერთობების, ინფორმაციისა და ანალიზის სამმართველოს</u> ფუნქციებში შედის ანალოგიურ საზედამხედველო სამსახურებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოეთის სადაზღვევო, გადამზღვევ, საბროკერო ორგანიზაცი-

ებთან ურთიერთობა, ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციასთან და მის ქვეკომიტეტებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მისი ანალიზი და ექსპერტიზა.

2001 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში 18 სადაზღვევო კომპანია მოქმედებდა. ესენია: „ალდაგი", „იმედი L International", „კარგო", „ენიკი", „ანგლო - ქართული", „ჰელიოსი", „ბრიტანეთი - კავკასია", „ნაბათი", „მადლი", „ახალი სადაზღვევო კომპანია", „არესი", „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი", „სტანდარტ ინშურენსი", „ჯანი", „ევროაზიური", „ინტერენერჯი GA", „ანკორა" და „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა". ჩამოთვლილი კომპანიებიდან 17 არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო მე-18 „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა" – სააქციო საზოგადოება. ამ კომპანიების ძირითადი მახასიათებლები იხ. ცხრილში 14.

საქართველოს სადაზღვევო კომპანიებიდან 6 კომპანია არის ერთობლივი /იხ. ცხრილი 13/. მოზიდულ სადაზღვევო პრემიაში მათი წილი წლობით იზრდება. თუ 1997 წელს მათი წილი 5%-მდე აღწევდა, 2000 წლისათვის იგი თითქმის 35%-ს გაუტოლდა.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე საკმაოდ ხელსაყრელი გარემოა შექმნილი. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს სადაზღვევო ბაზრის მოცულობის ზრდა. 1997 - 2000 წლებში იგი 5 მლნ ლარიდან 18 მლნ ლარამდე, ე.ი. 3,5-ჯერ არის გაზრდილი. უცხოელი ინვესტორების დაინტერესებაც საქართველოს სადაზღვევო ბიზნესით იმის მიმნიშნებელია, რომ ამ სფეროში შეიძლება რისკის გაწევა.

ცხრილი 13

ერთობლივი სადაზღვევო კომპანიები და მაოი უცხოელი კონტრაქტორები[1]

სადაზღვევო კომპანია	უცხოელი კონტრაქტორი /კომპანია/	უცხოეთის ქვეყანა
1. „იმედი L International“	ESG Re	ბერმუდი
2. „ენიკი“	RT.Tugu prathama Hazean Investment Ltd	ინდონეზია
3. „ანგლო-ქართული“	Riceman Insuzance Investment	დიდი ბრიტანეთი
4. „ბრიტანეთ-კავკასია“	Richard Investment	დიდი ბრიტანეთი
5. „ანკორა“	Ltd Beil Investment	თურქეთი
6. „ევრო - აზიური“	Hemisphere Trade and Commerce	მავრიკია

ცხრილი 14 გვიჩვენებს, რომ 1999 - 2000 წ.წ. - ში მოზიდული ჯამური პრემია მთლიანად 18,9 % ით არის გაზრდილი. ასეთ პირობებში შპს „ენიკში“ იგი ორჯერ არის გაზრდილი, შპს „ბრიტანეთ კავკასიაში“ ასევე 2 - ჯერ, „იმედი L International“-ში – 74,5% ით. პრემიის მოზიდვა შემცირებულია შპს „ანკორა“ - ში, „ევრო - აზიურში“, „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევაში“, „არესში“ და სხვაგან.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ანაზღაურებადი ზარალი 1999 - 2000 წ.წ ში 82,5% - ით არის გაზრდილი. ზარალის დაფარვა 6 - ჯერ არის გაზრდილი შპს „ენიკში“, 4 - ჯერ და მეტად „ბრიტანეთ – კავკასიაში“, 3 - ჯერ „ალდაგში“ და ა.შ. (ცხრილი 15)

[1] საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფოებრივი რეგულირება, თბ., 2001, გვ.3.

ცხრილი 14

საქართველოს სადაზღვევო კომპანიების ძირითადი მახასიათებლები

კომპანიის დასახელება	შექმნის თარიღი	ადგილ-მდებარეობა	ფილიალების რიცხვი	მუშაკთა რიცხვი	აგენტთა რიცხვი	დაზღვ[illegible] სახეობ[illegible] რიცხ[illegible]
1	2	3	4	5	6	7
1. ალდაგი	1990	თბილისი	8	79	257	13
2. იმედი	1995	თბილისი	10	56	77	13
3. კარგო	1995	ბათუმი	2	7	12	11
4. ენიკი	1998	თბილისი	4	25	30	8
5. ანგლო-ქართული	1997	თბილისი		8	1	12
6. პელიოსი	1996	თბილისი	7	45	25	6
7. ბრიტანეთი-კავკასია	1998	თბილისი	2	19	37	11
8. ნაბადი	1998	თბილისი		16	11	8
9. მადლი	1997	თბილისი		5	15	8
10. ახალი საადაზღვევო კომპანია	1998	თბილისი	-	7	4	5
11. არესი	1997	სენაკი	3	11	23	4
12. სტანდარტ ინშურენსი	2000	ქობულეთი	1	7	12	3
13. ჯანი	1995	ქუთაისი	1	7	2	3
14. ინტერენერჯი G A	1998	თბილისი		5	2	5
15. საქართველოს საადაზღვევო ჯგუფი	1998	თბილისი	-	14	35	5
16. ანკორა	2000	თბილისი	2	20	30	8
17. საქართველოსს სახელმწიფო დაზღვევა	1997	თბილისი	75	1500	2000	13
18. ევრო - აზიური	2000	თბილისი	-	20	40	8

საქართველოს სადაზღვევო კომპანიებს შორის, როგორც მოზიდული ჯამური პრემიით, ისე დაფარული ზარალით, ლიდერობს "პს „ალდაგი". „ალდაგი"-ს მიერ ბაზრის ათვისების მაჩვენებელი 2000 წელს 48,7%-ია. მე-2 და მე-3 ადგილებზე არიან „იმედი L International" - / 17,6 % / და „ენიკი" / 8,3 % / /იხ. ცხრილი 16/

ცხრილი 15

საქართველოს სადაზღვევო კომპანიების მუშაობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები / ლარი /

კომპანიები	მოზიდული ჯამური პრემია			ანაზღაურებული ზარალი		
	1999	2000	ზრდის %	1999	2000	ზრდის %
1. ალდაგი	6937862	8805722	127	812560	2453206	302
2. ამედი L International	1820240	3177339	174,5	60936	267839	439
3. კარგო	851456			14728		
4. ენიკი	674545	1507063	223,4	21389	135584	634
5. ანგლო-ქართული	608564	600261	98,6	469437	274740	58,5
6. პელიოსი	575554	470324	81,7	9750	19277	198
7. ბრიტანეთი-კავკასია	549553	1228959	223,6	12750	59549	467
8. ნაბადი	527270	958580	182	69503	212493	306
9. მადლი	389670	208582	53,5	16157	10150	63
10. ახალი სადაზღვევო კომპანია	378806	216130	57	13403		
11. არსი	192800	160909	83,4	35148	28796	82
12. საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი		170573				
13. სტანდარტ-ინშურენსი	113552	116		2800	7080	253

ცხრილი 15-ის გაგრძელება

კომპანიები	მოზიდული ჯამური ბრუნვა			ანაზღაურებული ზარალი		
	1999	2000	ზრდის %	1999	2000	ზრდის %
14. ჯ ა ნ ი	110360	120954	109,5	105244	111572	106
15. ევროსაზღვური		127127			42750	
16. ინტერნერჯი	29043	20817	71,6			
17. ანკარა		75026				
18. საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა	410969	122000	29,6	221271	60000	27,1
ს უ ლ :	14370700	18087753	118,9	1882200	3435771	182,5

სადაზღვევო კომპანიების მიერ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ათვისება 2000 წელს[1]

ცხრილი 16

კომპანიის დასახელება	მოზიდული ჯამური პრემია	ბაზრის ათვისების %
1	2	3
1. ალდაგი	8805722	48,7
2. იმედი L International	3177339	17,6
3. ენიკი	1507063	8,3
4. ბრიტანეთი-კავკასია	1228959	6,8
5. ნაბათი	958580	5,3
6. ანგლო-ქართული	600261	3,3
7. ჰელიოსი	470924	2,6
8. ახალი სადაზღვევო კომპანია	216130	1,2
9. მადლი	208582	1,2
10. საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი	170573	0,9
11. არესი	160909	0,9
12. ევრო-აზიური	127127	0,7
13. საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა	122000	0,7
14. ჯანი	120954	0,7
15. სტანდარტ ინშურენსი	116787	0,6
16. ანკარა	75026	0,4
17. ინტერენერჯი	20817	0,1
ს უ ლ :	18087753	100,0

დაზღვევის სახეებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წონა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 2000 წლამდე ეკავა ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას / 30,7% /, 2000 წელს კი სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევას / 22% / /იხ. ცხრილი 17/.

ცხრილიდან ირკვევა, რომ 1999 2000წ.წ.-ის პერიოდში გაზრდილია სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის

[1] საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფოებრივი რეგულირება, თბ., 2001, გვ.30.

/18,7% - დან 22% - მდე/, სამედიცინო დაზღვევის /8% - დან 16,6% - მდე/, ქონების დაზღვევის / 11,7% - დან 14% - მდე/, სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის /3,9% - დან 4,2% მდე/, საჰაერო და საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის /1,7% დან 2,3% მდე/ ავტოტრანსპორტის მფლობელთა ნებაყოფლობითი დაზღვევის /2,7% - დან 3% - მდე/, გადამზიდველთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის და სხვა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხვედრითი წონები. ამასთან, შემცირებულია უბედურ შემთხვევათა დაზღვევა, ავტოტრანსპორტის მფლობელთა სავალდებულო დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა და ფინანსური რისკების დაზღვევა.

ზარალიანობის კოეფიციენტი, რაც ასახავს ზარალის დაფარვის პროცენტს შემოსავალთან მიმართებაში, ყველაზე მაღალი ჰქონდა სასმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევას /56,4 %/, შემდეგ კი სამედიცინო დაზღვევას / 48,5 % /. ზარალიანობის საშუალო დონე საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 2000 წელს მხოლოდ 13,2 % - ს შეადგენდა.

2001 წლის დასაწყისში საქართველოს სადაზღვევო კომპანიებს კლიენტებთან გაფორმებული აქვთ 422334 ხელშეკრულება. აქედან 371616 ხელშეკრულება ეკუთვნის „ალდაგს“, 13621 „იმედი L International“-ს, 11600 – „ჰელიოსს“, 8972 „მადლს“ და ა.შ. ყველა ეს ხელშეკრულება მოქმედია.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ამ მიმოხილვითი ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაზრო ინფრასტრუქტურის ეს სახე საქართველოში უკვე ფორმირებულია და ნორმალურად ფუნქციონირებს.

სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა დაზღვევის სახეობების მიხედვით[1]

ცხრილი 17

	დაზღვევის სახეები	მოზიდული ჯამური პრემია			
		1999 წ.		2000 წ.	
		თანხა	%	თანხა	%
	1	2	3	4	5
1.	აუტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;	4418,9	30,7	3747,3	20,7
2.	სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა;	2691,7	18,7	3987,2	22,0
3.	სიცოცხლის დაზღვევა;	224,8	1,5	122,3	0,7
4.	უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა;	1408,4	9,8	1108,7	6,1
5.	სამედიცინო დაზღვევა;	1146,5	8,2	3010,8	16,6
6.	სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა;	564,3	3,9	768,2	4,2
7.	საჰაერო - სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა;	247,1	1,7	389,9	2,1
8.	საწყალოსნო - სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა;			30,5	0,2
9.	ტვირთების დაზღვევა;	713,1	4,9	561,5	3,1
10.	ყველა სახის ქონების დაზღვევა;	1685,1	11,7	2534,1	14,0
11.	ფინანსური რისკების დაზღვევა;	230,8	1,6	240,1	1,3
12.	ავტო - მოტო ტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა;	392,3	2,7	546,6	3,0
13.	გადამზიდველთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;	269	1,9	465	2,8
14.	ყველა სხვა სახის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;	384,7	2,7	575,5	3,2
	ს უ ლ	14370,7	100,0	18087,8	100,0

[1] საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფოებრივი რეგულირება, თბ., 2001, გვ.28.

თავი IX. მმართველობითი კონსალტინგი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ყოველი საწარმოსა და ორგანიზაციის წინაშე დგება ახალი პრობლემები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და ეფექტიანად მოეკიდებიან ორგანიზაცია დაწესებულებები ამ პრობლემას. ამისათვის საჭიროა დასმული პრობლემისადმი ახლებურად მიდგომა, ახალი იდეები, მშართველი კადრების მაღალი პროფესიონალიზმი, მათი მრავალმხრივი განვითარება, ნიჭი, რეალური მდგომარეობის შეფასებისა და მისი განვითარების პერსპექტივების განჭვრეტის უნარი, ყოველგვარ სიახლეებზე სწორად და დროულად რეაგირება. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაზრის შესწავლას, ახალი მოთხოვნილებების ფორმირებასა და განვითარებას, პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, საინვესტიციო პროცესების მართვას, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საწარმოო - ეკონომიკური კავშირების, შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობების ორგანიზაციას, სამამულო და საზღვარგარეთის ფირმების, ორგანიზაციების საწარმოო კოოპერირებას, კადრების შერჩევას, გადამზადებას და სხვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საწარმოზე მოქმედი გარე ფაქტორების ანალიზი, რაც დახმარებას უწევს ორგანიზაციას გარემოსადმი ადაპტირების პროცესში.

ამისათვის გასაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მმართველობით კონსულტირებას /კონსალტინგს/. მსოფლიო პრაქტიკაში საკონსულტაციო საქმიანობის ეფექტიანობა· ყველასათვის ცნობილი და აღიარებულია. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მსოფლიო ბანკმა და TACIS - მა მხედველობაში მიიღო საქართველოსათვის ამ სამსახურის დიდი მნიშვნელობა და მისი ინიციატივითა და პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საკონსულტაციო ცენტრი CERMA, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს პრივატიზებულ საწარმოებს რესტრუქტურიზაციასა და მენეჯმენტში. მმართველობითი კონსულტირების დანერგვით შესაძლებელია საწარმოთა მართვის დონის ამაღლება. ამასთან,

არ შეიძლება კონსალტინგის როლისა და მისი შესაძლებლობების გაზვიადება. კონსულტანტები ვერ გადაწყვეტენ საწარმოსა თუ ფირმის წინაშე არსებულ ყველა პრობლემას; მაგრამ ამოცანაა, დახმარება გაუწიონ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ მუშაობა.

მმართველობითი კონსულტირება კვალიფიციური დახმარების მხოლოდ ერთ ერთი სახეობაა, ორგანიზაციების საშეურნეო და სხვა პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესების ერთ ერთი მეთოდია. კონსულტირების წარმატება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე და კონკრეტულ პირობებზე, როგორიცაა: კონსულტანტის კვალიფიკაცია, კლიენტის ორგანიზაციის შესაძლებლობები, ორგანიზაციის ხელმძღვანელის დამოკიდებულება ამ პროცედურისადმი და სხვა.

მმართველობითი კონსულტირება /კონსალტინგი/ არის პროფესიული მომსახურება, რომლის მიზანია საწარმოო ეკონომიკური პროცესების მართვისა და პერსონალის ხელმძღვანელობის პრობლემების გადაწყვეტისას საწარმოსა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის დახმარების გაწევა.

საკონსულტაციო მომსახურებამ მართვის დარგში, რომელიც სპეციალური ფირმებისა და ბიუროების მეშვეობით ხორციელდება, ფართო გავრცელება ჰპოვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ფაქტობრივად ეს საქმიანობა გარდაიქმნება დამოუკიდებელ ინდუსტრიად. ამ სპეციალიზებული საქმიანობის მასშტაბებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აშშ - ში კორპორაციების დაახლოებით 3/4 სისტემატურად სარგებლობს კონსულტანტების მომსახურებით. მსხვილი კორპორაციებიც კი, რომელთა შემადგენლობაშია მუდმივმოქმედი საკონსულტაციო სამსახური, სარგებლობენ გარეშე კონსულტანტების რჩევებით. კონკურენციის პირობებში, გადარჩენისა და კომპანიის შემოსავლის ზრდის მიზნით, მაგრამ ხელმძღვანელები დიდ თანხებს ხარჯავენ მმართველობით სფეროში სიახლეების შესწავლაზე, ცდილობენ სწრაფად დანერგონ პერსპექტიული იდეები, რათა არ ჩამორჩნენ და შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა.

საკონსულტაციო საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ასორტიმენტის განახლება, მათზე მოთხოვნის

დონის შეფასება, მისი პროგნოზირება და მზა პროდუქციის შეცვლა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარება, წარმოების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მექანიზაცია - ავტომატიზაციის, ტექნიკური გადაიარაღებისა და რემონტის ჩათვლით;

ახალი ტექნოლოგიების დამუშავება და ათვისება;

ახალი სახეობის მასალების ათვისება და გადამუშავება, მათი ეფექტიანად მოხმარება, ნარჩენებისა და მეორადი ნედლეულის გამოყენება;

პროდუქციის გასაღების ორგანიზაცია, გასაღების ახალ ბაზარზე გადასვლა;

მატერიალურ ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის ორგანიზაციის გაუმჯობესება;

სარევიზიო - საბუღალტრო და ფინანსური ანალიზი, საფინანსო - საკრედიტო ოპერაციების სრულყოფა;

საინვესტიციო საქმიანობის ჩატარება;

ერთობლივი საწარმოებისა და შერეული ფირმების შექმნა;

წარმოების მართვის სტრუქტურების შემუშავება, ფუნქციების განსაზღვრა, კადრების შერჩევა, მათი შრომის ორგანიზაციის სრულყოფა;

მმართველობითი საქმიანობის ავტომატიზაცია და თანამედროვე მართვის ტექნიკის გამოყენება.

საკონსულტაციო ორგანიზაციების სპეციალიზაცია მრავალფეროვანია და რაიმე კანონზომიერების დადგენა აქ პრაქტიკულად შეუძლებელია. კონსულტირება ეკონომიკისა და სახელმწიფო ადმინისტრირების სფეროში მოიცავს სხვადასხვა პრობლემატიკას, მაგრამ მაინც შეიძლება გამოიყოს კონსალტინგის ექვსი ძირითადი სფერო: ეკონომიკური, ორგანიზაციული, სოციოლოგიური, საკადრო, იურიდიული და ტექნიკური. ამ მიმართულებით კონსულტაციები შეიძლება ჩატარდეს როგორც საწარმოს დონეზე, ისე ცალკეულ სამუშაო ადგილზე.

სპეციალისტების გამოკვლევებით დადგინდა, რომ კონსულტირება ყველაზე მწვავედ სჭირდება ისეთ სფეროებს, როგორიცაა:

სამეწარმეო საქმიანობის წესები, ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ კვლევით, ტექნოლოგიურ, საინვესტიციო სამუშაოებს;

წარმოებისა და ტექნოლოგიების განვითარება, პროდუქციის სტრატეგიული ცვლილებების პროგნოზები და პროგრამები;

ბაზრის მოთხოვნის შესწავლა და ამის მიხედვით შესაბამისი საწარმოების განვითარება;

სამამულო და საზღვარგარეთის ფირმების საწარმოო კოოპერირება;

ხელმძღვანელი და აღმასრულებელი კადრების შერჩევა, ატესტაცია, მომზადება და გადამზადება საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუშაობისათვის.

როგორც გამოცდილებიდან ჩანს, მმართველობითი კონსულტირების ეფექტიანად ორგანიზაცია და ჩატარება დამოკიდებულია შემდეგი წინაპირობების შექმნაზე:

კონსალტინგის ეფექტიანობის, შესაძლებლობებისა და შედეგების ფართოდ პოპულარიზაცია;

საჭირო ინფორმაციის მოპოვება იმ მიზნით, რომ დადგინდეს, თუ რომელ სფეროში და რა პრობლემების გადაწყვეტისას უნდა მიენიჭოს უპირატესობა კონსალტინგს;

კონსულტანტების პროფესიული და თანამდებობრივი დახასიათების შედგენა;

ცალკეული კონსულტანტებისა და ორგანიზაციების მოსალოდნელი მომსახურების მიმართულების განსაზღვრა;

კონსალტინგის ტექნოლოგიის დამუშავება და იმ მეთოდებისა და მეთოდიკების ადაპტაცია, რომელსაც იყენებენ განვითარებული ქვეყნების საკონსულტაციო ფირმები.

რეგლამენტის უზრუნველმყოფი აუცილებელი სამართლებრივი ნორმატიული დოკუმენტაციის მომზადება;

უცხოელ სპეციალისტებთან თანამშრომლობის რაციონალური ფორმების შერჩევა, მათი მეთოდებისა და დაგროვილი გამოცდილების გამოყენება;

კონსულტანტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემების გადაწყვეტა.

მართვის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას კონსულტანტებმა უნდა იცოდნენ სამეცნიერო კვლევების შედეგები და შეეძლოთ მათგან სათანადო დასკვნების გამოტანა. ამ მიზნით საკონსულტაციო ფირმები კავშირს ამყარებენ სხვადასხვა დარგის წამყვან სამეცნიერო კოლექტივებთან და ცალკეულ მეცნიერებთან.

მეცნიერებას კონსალტინგით კავშირისაგან შეუძლია მიიღოს დიდი სარგებლობა. კონსულტანტის მიერ მიღებული მონაცემები კლიენტმა ორგანიზაციამ შესაძლოა გამოიყენოს უფრო ფართო სამეცნიერო მიზნებისათვის. რამდენიმე ორგანიზაციის მონაცემების გამოყენება კი ძირითადი მიმართულებების დახასიათების საშუალებას იძლევა ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის გარეშე. ამიტომაც მრავალი საკონსულტაციო ფირმა ეწევა სამეცნიერო - კვლევით სამუშაოებს. მათ აქვთ ჩამოყალიბებული პროგრამა, აქვეყნებენ საკუთარ კვლევებზე დაფუძნებულ შრომებს, თანამშრომლობენ უნივერსიტეტებსა და ცალკეულ მეცნიერებთან.

კონსალტინგის პროცესში /ასევე, სამეცნიერო - კვლევით მუშაობაში/ იზრდება კოოპერირების დონე როგორც ცალკეულ კონსულტანტებთან, ისე კვლევით ორგანიზაციებთან. იზრდება გონებრივი შრომისა და ნოუ - ჰაუს არამატერიალური შედეგების შესყიდვის მასშტაბები. იმთავითვე გათვალისწინებულია სრული საიდუმლოების დაცვა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში კონსულტირებადი ობიექტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ არის სასურველი.

როგორც წესი, საკონსულტაციო სამუშაოები ტარდება ორგანიზაციისათვის გარკვეული პრობლემური სიტუაციების გადაწყვეტის მიზნით. რიგ შემთხვევაში კონსულტირების ობიექ-

ტია ორგანიზაციის განვითარების სრული სტრატეგიის შემუშავება /მიზნობრივი კონსულტირება/.

კონსულტირება იწყება კლიენტი ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზით, ან მიზნობრივი კონსულტირების შემთხვევაში შექმნილი სიტუაციის ანალიზით. გამოიყენება ანალიზის მრავალი მეთოდი, კერძოდ, მომუშავეთა გამოკითხვა, თათბირების ჩატარება შექმნილი სიტუაციისა და მისი გამომწვევი მიზეზების გარჩევით; ანკეტირება, საანგარიშო დოკუმენტაციის სტატისტიკური დამუშავება; პირადი დაკვირვებების, შერჩევითი გამოკვლევების ჩატარება; ფოტოგრაფიის მეთოდები და ქრონომეტრაჟი; სათამაშო იმიტაციური მოდელების კონსტრუირება სწორი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. თანამედროვე ეტაპზე იყენებენ აგრეთვე მთელ რიგ მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებს: პრობლემების გადაწყვეტის უნივერსალურ მეთოდს /კეპნერ ტრეგოს მეთოდი/, პროცედურების ანალიზს, ჯგუფური მუშაობის მეთოდს, ექსპერტული შეფასებების მეთოდს და ა.შ.

ანალიზის პროცესში ვლინდება შესასწავლი პრობლემის არსი, მისი გადაწყვეტის გზები. რიგ შემთხვევაში ანალიზის ჩატარება კონსულტირების ძირითადი პირობაა, რადგან ანალიზი პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო გზების დადგენის საშუალებას იძლევა.

არსებული მდგომარეობის ანალიზის დროს ყოველმხრივ სწავლობენ საწარმოს პოტენციალს, მის ტექნიკურ შესაძლებლობებს და რესურსების უზრუნველყოფის საკითხებს. ამ ეტაპზე ადგენენ საწარმოს სუსტ და ძლიერ მხარეებს, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ რა მიზნებს მიაღწევს საწარმო გარეშე ფაქტორების გათვალისწინებით. ანალიზის საფუძველზე დგინდება პროგნოზი, რომელიც ითვალისწინებს მოსალოდნელ ცვლილებებს, შეზღუდვებს და დაბრკოლებებს. აღნიშნული ანალიზის დასკვნები საფუძვლად ედება საწარმოს დიაგნოსტირებას.

დიაგნოსტიკის პროცესში კონსულტანტი და კლიენტი თანამშრომლობენ, რათა განსაზღვრონ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მიმართულებები. მათი ამოცანაა დაადგინონ, თუ რა ხასიათისაა პრობლემა, რომელიც არსებობს საწარმოში: ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ინფორმაციული, თუ ფსიქოლოგიური? რომელი პრობლემაა ყველაზე მნიშვნელოვანი? ამ

ფაზის შედეგების სინთეზისა და ანალიზის საფუძველზე ასკვნიან, თუ როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა პრობლემების გადასაწყვეტად.

საკონსულტაციო სამუშაო მოიცავდა პრობლემების ფორმულირებით და მათი გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავებით; რომელიმე ობიექტის ექსპერტიზის ჩატარებით /ტექნიკური, ან ეკონომიკური/; ორიგინალური კვლევის, ან საპროექტო სამუშაოების განხორციელებით; ინოვაციური დანერგვის ორგანიზაციითა და საპროექტო სამუშაოების ათვისებით.

მმართველობითი კონსულტირება სრულდება დოკუმენტების, პროექტების, პროგრამების, ანალიზის, ანგარიშებისა და სხვა საქმიანი ქაღალდების შედგენით, ე.ი. იმ ფორმით, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში.

მმართველობითი კონსულტაციების ძირითადი სახეობებია:

პროექტის კონსულტირება – კონსულტანტი დიაგნოსტიკის, საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე თვითონ ამუშავებს და წარუდგენს ორგანიზაციის ხელმძღვანელობას არსებული პრობლემის კონკრეტული გადაწყვეტის პროექტს;

- პროცესის კონსულტირება – კონსულტანტი კლიენტი ორგანიზაციის თანამშრომლებთან ერთად მუშაობს საჭირო გადაწყვეტილების პოვნის მიზნით;

- კონსულტირება რეფლექსის მეშვეობით – დიაგნოსტირების საფუძველზე კონსულტანტი ხელმძღვანელს წარუდგენს თავის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ სად უშვებს ხელმძღვანელი შეცდომებს, რათა მან ამის საფუძველზე ცვლილებები შეიტანოს თავის ქცევასა და ქმედებაში;

კონსულტირება ურთიერთსწავლების გზით – კონსულტანტი სპეციალური პროგრამის მიხედვით აწყობს ორგანიზაციებისა და სამსახურების ხელმძღვანელებს შორის მიღწევებისა და უნარ - ჩვევების უშუალოდ გაცვლას.

- სასწავლო კონსულტირება – კონსულტანტი აუდიტორულ პირობებში მართვის სპეციალისტების წინაშე ახდენს სხვადასხვა არატრივიალური ამოცანების გადაწყვეტის გზებისა და ხერხების დემონსტრირებას.

პრაქტიკაში კონსულტანტები ცდილობენ ამ მეთოდების შეხამებას იმისდა მიხედვით, თუ რა სასიათისაა წამოჭრილი პრობლემა და რა სახის ამოცანებია გადასაწყვეტი.

კონსალტინგური სამსახურის ჩამოყალიბება, მისი ფართო ფრონტით დანერგვა ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა იერარქიულ დონეზე დიდ სამსახურს გაუწევს ქვეყანას.

ამჟამად საქართველოში კონსალტინგურ მომსახურებას აწარმოებს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით შექმნილი საკონსულტაციო ცენტრი CERMA და აუდიტური ფირმები. CERM 1997 წელს ჩამოყალიბდა და პოსტ - საპრივატიზაციო პროცესების მხარდაჭერას და დახმარებას ემსახურებოდა ქართული საწარმოებისათვის. ამჟამად CERM ახორციელებს საწარმოების რეაბილიტაციის პროექტს. CERM - ამ ფეხზე დააყენა 30 ზე მეტი ქართული საწარმო და ბევრი მათგანი მსოფლიო ბაზარზე გაიყვანა. ასეთია: ქ. ვანში მდებარე თხილის გადამამუშავებელი საწარმო "დიხაშბედი", რეზინის და ლითონის საინჟინრო დეტალების დამამზადებელი კომპანია "დინა" და მრავალი სხვა.[1]

[1] შსაღირაშვილი. სერიოზული მცდელობა საქართველოში არსებული კომპანიების განვითარებისათვის, ჟ."მაკრო-მიკრო ეკონომიკა", №7-8, 2001, გვ.16.

თავი X. საგადასახადო ორგანოები

<u>საგადასახადო კანონმდებლობა.</u> "საგადასახადო კოდექსი" არეგულირებს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, საგადასახადო სისტემაში შემავალი გადასახადების აკრეფასა და გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, გადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს "საგადასახადო კოდექსით" გათვალისწინებული გადასახადების /მათი დაწესების, შეცვლისა და გაუქმების/ გადასდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოებისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.

ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია გადაიხადოს "საგადასახადო კოდექსით" დაწესებული საერთო - სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები, რომელთა მიხედვითაც ეს პირი გადასახადის გადამხდელია.

დაუშვებელია საგადასახადო კოდექსით გაუთვალისწინებელი გადასახადის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება.

"საგადასახადო კოდექსის" მიხედვით დარიცხული გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე და ექვემდებარება ბიუჯეტში აუცილებელ გადახდას.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შემოიღონ მხოლოდ საქართველოს "საგადასახადო კოდექსით" დაწესებული ადგილობრივი გადასახადები.

გადასახადი არის "საგადასახადო კოდექსის" მიხედვით ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში /შემდგომში - სახელმწიფო ფონდი/ სავალდებულო შენატანი, რომელსაც

ხდის გადასახადის გადამხდელი გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

საქართველოში მოქმედებს საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. მათი განაკვეთები იხილეთ ცხრილში /№18/.

საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:

ა) საშემოსავლო გადასახადი;

ბ) მოგების გადასახადი;

გ) დამატებული ღირებულების გადასახადი;

დ) აქციზი;

ე) ქონების გადასახადი;

ვ) მიწის გადასახადი;

ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;

თ) გადასახადი ქონების გადაცემისათვის;

ი) სოციალური გადასახადი;

კ) გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;

ლ) გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის;

მ) გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის.

ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება:

ა) გადასახადი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ბ) სათამაშო ბიზნესის გადასახადი;

გ) საკურორტო გადასახადი;

დ) სასტუმროს გადასახადი;

ე) რეკლამის გადასახადი;

ვ) მანქანების პარკირების გადასახადი;

ზ) გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

ადმინისტრირების დებულებები გამოიყენება ყველა სახის გადასახადისათვის.

საგადასახადო კონტროლს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ გადასახადების გამოანგარიშების სისწორესა და დროულად გადახდაზე, ისევე როგორც გადასახადების ადმინისტრირე-

ბისა და მოკრების ყველა ასპექტზე, ახორციელებენ მხოლოდ საგადასახადო ორგანოები.

საგადასახადო კონტროლი ხორციელდება გადასახადის გადამხდელებისა და გადასახადით დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის და ანგარიშგების მონაცემების საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელთა და სხვა პირთა გამოკითხვის, გადასახადით დასაბეგრი და შემოსავლების /მოგების/ მისაღებად გამოყენებული ობიექტების დათვალიერება გამოკვლევითა და სხვა ფორმით.

საგადასახადო შემოწმება, რომელიც ტარდება საგადასახადო ორგანოს მიერ, შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი. კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ბალანსების, დეკლარაციების, განმარტებების, დასკვნებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების საფუძველზე. გასვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით გადასახადის გადამხდელისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გზით.

საგადასახადო შემოწმების შედეგები ფორმდება აქტით, რომელსაც ხელს აწერენ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი /შემმოწმებელი/ და გადასახადის გადამხდელი.

საგადასახადო ორგანო თითოეულ გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო აგენტს ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისა და მათ შორის საბაჟო გადასახადებისთვისაც.

ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან მიუთითონ გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი საგადასახადო დეკლარაციასა და ამ კოდექსით განსაზღვრულ სხვა დოკუმენტებში.

საერთაშორისო სუბიექტთა საგადასახადო რეჟიმი საქართველოში

ცხრილი 18

გადასახდელების და გადასახადების დასახელება	კანონმდებლობა	გადასახადის განაკვეთი	გადასახადის ანგარიშის ბაზა	ადგილობრივ საწარმოებში	ვინ იხდის გადასახადს ერთობლივ საწარმოებში
1	2	3	4	5	6
1. მოგების გადასახადი	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 44 - 89	20 %	დასაბეგრი მოგება	ადგილობრივი საწარმო	ერთობლივ საწარმოში მოგების გადასახადს იხდიან ადგილობრივი საწარმო და უცხოელი ქვეკონტრაქტორი პროდუქციის წილობრივი განაწილების კონტრაქტის შესაბამისად მიღებული მოგების პროპორციულად. უცხოელი კონტრაქტორის მოგების გადასახადს იხდის მისი წარმომადგენელი. ადგილობრივი კონტაქტორი იხდის თავის გადასახადს. საგადასახადო კოდექსით დაშვებულია, რომ უცხოელი კონტრაქტორის ნაცვლად, მოგების გადასახადი გადაიხადოს ადგილობრივმა კონტრაქტორებმა.
2. დამატებული ღირებულების გადასახადი /დღგ/	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 90 - 121	შიდა მიწოდება და იმპორტი 20% ექსპორტი - 0	სარეალიზაციო ფასი	ადგილობრივი საწარმო	ერთობლივ საწარმოში დღგ-ს გადამხდელია საქონლის გამყიდველი თუ უცხოელი ქვეკონტრაქტორი, ოღონდ ყიდის გამოშვებულ პროდუქციას შიდა ბაზარზე, მაშინ იგი იხდერება 20% იანი განაკვეთით. ასევეა ერთობლივი საწარმოს მეორე მხარე ადგილობრივი კონტრაქტორი.

1	2	3	4	5	6
3. აქციზი /აქციზი გადასდება მხოლოდ ზოგიერთ საქონელს, მაგალითად ნავთობპროდუქტებს, ხიგარეტს, სპირტს, ალკოჰოლიან სასმელებს და სხვა/	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 273	200 ლარი I ტონა ნავთობპროდუქ-ტებზე და ა.შ. (დიფერენცირებულია საქონლის სახეებსდა მიხედვით)	აქციზით დასაბეგრი საქონლის ერთეული	ადგილობრივი საწარმო	ოპერატორი კომპანია
4. მიწის გადასახადი	საგადასახადო კოდექსი, მუხლი 146 -158	მიწის ფართობი	1 კვ.მეტრი 0,24 ლარი (დიფერენცი-რებულია ზონირების მიხედვით)	ადგილობრივი საწარმო	უცხოელი კონტრაქტორი
5. ქონების გადასახადი	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 140 -145	ქონების ნარჩენი ღირებულება	1 %	ადგილობრივი საწარმო	უცხოელი ქვეკონტრაქტორი და ადგილობრივი კონტრაქტორი
6. სოციალური გადასახადი	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 184 - 189	ა) დამქირავებელი პირი დაქირავებულებზე დარიცხული ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემები	27% სოცდაზ-ღვევისათვის 1% დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდ.	ადგილობრივი საწარმო დამქირავებელი	ოპერატორი კომპანია - დამქირავებელი

1	2	3	4	5	6
			ბ) ფიზიკური ბირი – მეწარმე: 27% სოცუზრუნველყოფის ფონდში 1% დასაქმების ფონდში გ) დაქირაგებული ფიზიკური ბირი 1% სოცუზრუნველყოფის ფონდში		
7. უძრავი ქონების გადაცემისოგის გადასახადი	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 164 - 169	გადაცემული ქონების ღირებულება	2%	ქონების მიმღები	ქონების მიმღები
8. საგზაო ფონდის გადასახადი		1%			
9. საბაჟო გადასახადი	საქართველოს საბაჟო კოდექსი	12 %	იმპორტირებული საქონლის ღირებულება	იმპორტიორი	იმპორტიორი
10. ეკონომიკური საქმიანობის გადასახადი /საშეწარმეო საქმიანობის გადასახადი/	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 209	1 %	მიღებული შემოსავალი დღგ-ს გარეშე	ადგილობრივი საწარმო	უცხოური ქვეკონტრაქტორი და ადგილობრივი კონტრაქტორი

1	2	3	4	5	6
11. წაღლით სარგებლობის გადასახადი /რენტალტი/	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 194 - 196	5 - 10 %	მოპოვებული ნედლეულის სარეალიზაცია ღირებულება დღგ-ს გარეშე	ადგილობრივი საწარმო	ოპერატორი კონტრაქტორი
12. გადასახადი მაგნე ნავთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 197 - 202	იმპორტ.წარმ. და მიწოდებ. ბენზინის, ნავთობის და დიზელის ყოველ 1 კგ-ზე 0,01 - 0,12 ლ.	იმპორტირებული, წარმოებული მიწოდებული ნავთობპ. და გაზი	ადგილობრივი საწარმო	ოპერატორი კომპანია
13. საშემოსავლო გადასახადი	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 35-43	12-20 %	მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი	ადგილობრივი საწარმოს მუშა - მოსამსახურენი	ოპერატორი კომპანიის მუშა მოსამსახურენი
14. არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლიდან გადასახადი	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 64	4 - 10 %	საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი		უცხოელი ქვეკონტრაქტორი

1	2	3	4	5	6
15. სალიცენზიო მოსაკრებელი	სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ	5 - 10 %	წლიური მოპოვების საეშპორტო შეფასებიდან გამოდინარე	ადგილობრივი საწარმო	უცხოელი ქვეკონტრაქტორი
16 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადასახადი	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 203 - 207	ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 60 - 880 ლარის ფარგ.	ავტოსატრანსპორტო ღირებული დატვირთვა და ავტოტრანსპორტში ადგილების რაოდენობა	ავტოტრანსპორტის მფლობელი	ავტოტრანსპორტის მფლობელი
17. რეკლამის გადასახადი	საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 213	10%	სარეკლამო საშუალებების ღირებულება	ადგილობრივი საწარმო, რომელიც ყიდულობს რეკლამას	უცხოური ქვეკონტრაქტორი, რომელიც ყიდულობს რეკლამას

იურიდიული პირები და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26 - ე მუხლით განსაზღვრული ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან მიმართონ საგადასახადო ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის მისაღებად რეგისტრაციიდან, ან სამეწარმეო საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს:

ა) საგადასახადო ორგანოებს წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საგადასახადო შეღავათების უფლებას;

ბ) გაეცნოს ჩატარებული შემოწმებების აქტებს;

გ) საგადასახადო ორგანოებს წარუდგინოს ახსნა განმარტებები ჩატარებულ შემოწმებათა აქტების შესახებ, აგრეთვე გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის შესახებ;

დ) კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოთა გადაწყვეტილებები;

საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელისათვის გასაგზავნი შეტყობინება, ან სხვა დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ხელმოწერილი ხელმძღვანელის, ან უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გვარისა და სახელის მითითებით, დამოწმებული ბეჭდით. გადამხდელს უნდა ჩაბარდეს დოკუმენტის ორიგინალი. დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი გაიგზავნა დაზღვეული ფოსტით შეტყობინებითურო, ან პირადად ჩაბარდა გადამხდელს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი საქართველოს "საგადასახადო კოდექსის" აღსრულების მიზნით გამოსცემს ინსტრუქციებს. ინსტრუქციის არც ერთ დებულებას, რომელიც არ შეესაბამება ამ კოდექსს, სამართლებრივი ძალა არ გააჩნია.

ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში ინსტრუქციები უნდა შეუთანხმდეს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;

ბ) გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის — საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი — საგზაო დარგის მართვის ორგანოს;

დ) მიწის გადასახადი – საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს;

ე) სოციალური გადასახადი – საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს;

ვ) გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის – საგზაო დარგის მართვის ორგანოს.

გადასახადის გადამხდელები ვალდებულნი არიან საქართველოს საგადასახადო კოდექსის დებულებათა მიხედვით საგადასახადო დეკლარაციები წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს იმ ვადებში, რომლებიც ამ კოდექსით არის განსაზღვრული.

თუ გადასახადის გადამხდელი არ იხდის გადასახადს დადგენილ ვადაში, დავალიანების თანხა და სანქციები /გადახდევინებისას შესაძლო დანახარჯებთან ერთად/ არის საფუძველი სახელმწიფოს სასარგებლოდ გირავნობის უფლების გამოსაყენებლად ამ გადამხდელის მთელი ქონების მიმართ და ეს უფლება პრიორიტეტულია ყველა სხვა უფლებასთან შედარებით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადაუხდელი თანხის გადახდევინება მოახდინოს გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადებით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კანონით დადგენილი წესით.

<u>საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტი.</u> საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის № 250 ბრძანებით /2000 წ. 4 სექტემბერი/ დამტკიცდა საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის დებულება. ამ დებულების მიხედვით, საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტი არის საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს, კოორდინაციას უწევს საგადასახადო ორგანოების საქმიანობას და ახორციელებს მათ მეთოდურ უზრუნველყოფას.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს დეპარტამენტი ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკების, მსხვილ გადამხდელთა და ტერიტორიული სა-

გადასახადო ინსპექციების ოპერატიული მართვის, მათი საქმიანობის კოორდინაციისა და მეთოდური ხელმძღვანელობის მეშვეობით.

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი:

დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრი, დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

დეპარტამენტის დაქვემდებარებული საგადასახადო ორგანოებია:

ა) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საგადასახადო ინსპექციები;

ბ) მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია;

გ) საოლქო, ზონალური და რაიონული საგადასახადო ინსპექციები.

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) თავმჯდომარის აპარატი;

ბ) საგადასახადო შემოსავლების ანალიზის, გადამხდელთა მომსახურების და დაბეგვრის პოლიტიკის სამსახური;

გ) აღრიცხვის მონიტორინგის სამმართველო;

დ) კომპიუტერული სისტემების სამმართველო;

ე) საფინანსო - სამეურნეო სამმართველო;

ვ) კადრების განყოფილება;

ზ) იურიდიული განყოფილება;

თ) საგადასახადო საჩივრების განყოფილება;

ი) საგადასახადო ინსპექციების კოორდინაციის განყოფილება.

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტისა და მისი ორგანოების ძირითადი ფუნქციებია:

ა) საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) გადასახადით დაბეგვრის საკითხებზე კანონპროექტებისა და სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

გ) გადასახადის გადამხდელისათვის უფლებებისა და მოვალეობების განმარტება;

დ) გადასახადის გადამხდელთა დროული ინფორმირება საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებათა შესახებ.

საქართველოს საგადასახადო ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი არის საქართველოს კონსტიტუცია. საგადასახადო კოდექსი და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები.

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტი არის საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის კონტროლის ერთიანი სახელმწიფო და ცენტრალიზებული მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც შედის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. მხოლოდ საგადასახადო ორგანოები არიან უფლებამოსილნი, უზრუნველყონ გადასახადების სრულად და დროულად გადახდის სახელმწიფო კონტროლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც "საგადასახადო კოდექსით" გათვალისწინებულია გადასახადის აკრეფა სხვა ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტი შედგება ცენტალური აპარატის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების საგადასახადო ინსპექციის სამმართველოებისაგან (იხ. ნახ.6).

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის უფროსი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების საგადასახადო ინსპექციების უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის უფროსი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების საგადასახადო ინსპექციები ექვემდებარებიან საქართველოს საგადასახადო ინსპექციას;

საგადასახადო ორგანოები ფინანსდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

საგადასახადო ორგანოები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ დამოუკიდებლად და საჭიროებისამებრ თანამშრომლობენ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან, ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებისა და მოკვლევის ჩატარების მიზნით კი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო საფინანსო ლეგიონთან.

აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოვალენი არიან დასმარება აღმოუჩინონ და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ საგადასახადო ორგანოებს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისა და გადასახადის გადახდაზე კონტროლის დაწესების მიზნით. ამავე მიზნით საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან რეგულარულად წარუდგინონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო ინსპექციას. აკრძალულია საგადასახადო ორგანოების საქმიანობაში ჩარევა, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომელს ეკრძალება საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების, ან მინდობილი უფლებამოსილების გადაცემა სხვა თანამშრომლისათვის.

ყოველი საფინანსო წლის დამთავრების შემდეგ სამი თვის ვადაში საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის უფროსი აქვეყნებს საქართველოს საგადასახადო სისტემის მუშაობის ანგარიშს.

ანგარიშში უნდა შევიდეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) გადასახადების თანხები, რომლებიც აკრეფილია საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად გადასახადების სახეებისა და რეგიონების მიხედვით;

ბ) გადასახადებზე დავალიანებათა თანხები სათანადო დაყოფით;

გ) ხარჯები, რომლებიც გასწია საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტმა გადასახადის აკრეფის პერიოდში;

დ) სტატისტიკური მონაცემები საგადასახადო შენატანების ელემენტების მიხედვით;

ე) საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების დადებითი და უარყოფითი მხარეების აღწერა;

ვ) იმ ფიზიკური და იურიდიული პირების ჩამონათვალი, რომლებსაც დაერიცხათ გადასახადი და რომლებმაც დარიცხული გადასახადი არ გადაიხადეს სრულად, თუ გადასახდელი თანხა აღემატება 10.000 ლარს.

საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულნი არიან:

ა) დაიცვან გადასახადის გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები, გააკონტროლონ გადასახადების გამოანგარიშების სისწორე, სისრულე და დროულად გადახდა;

ბ) უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა დროული აღრიცხვა, აწარმოონ დარიცხული და ბიუჯეტებსა და სპეციალურ ფონდებში გადახდილი გადასახადების აღრიცხვა; შეადგინონ გადახდილი გადასახადების ანგარიშგება;

გ) აწარმოონ სახელმწიფოს საკუთრებაში გადასული ჩამორთმეული და უპატრონო ქონების აღრიცხვა, შეფასება და რეალიზაცია;

დ) აწარმოონ საგალუტო ოპერაციების კონტროლი შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით;

ე) დაუბრუნონ გადასახადის გადამხდელებს გადასახადების დარიცხულ თანხასთან შედარებით ზედმეტად გადახდილი თანხები ამ კოდექსის 240 - ე მუხლის მიხედვით;

ვ) დაიცვან გადასახადის გადამხდელთა შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება საქართველოს "საგადასახადო კოდექსის" 268 - ე მუხლის დებულების შესაბამისად;

ზ) შეიმუშაონ დეკლარაციების და გადასახადის გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ფორმები;

თ) აწარმოონ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება და შეიტანონ შესაბამისი წინადადებები საგადასახადო სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად;

ი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო საფინანსო ლეგიონის ქვედანაყოფების მეშვეობით აწარმოონ ოპერატიულ - საძებრო საქმიანობა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) გამოავლინონ და აღკვეთონ სამართალდარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადის გადაუხდელობასთან, ან ჩადენილია მოგების /შემოსავლის/ დამალვის, ან შემცირებისა და სხვა დასაბეგრი ობიექტების დამალვის მიზნით, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, აგრეთვე სხვა სამართალდარღვევები, რის შედეგადაც ზარალი ადგება სახელმწიფოს გადასახადების გადაუხდელობის ან /და არასრულად გადახდის გამო;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ საგადასახადო დეპარტამენტის საქმიანობის უსაფრთხოება, მის თანამშრომელთა დაცვა კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;

მ) გამოავლინონ გადასახადისათვის თავის ამრიდებელი ფიზიკური და იურიდიული პირები.

"საგადასახადო კოდექსის" დებულებათა გათვალისწინებით, საგადასახადო ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ:

ა) შეამოწმონ იურიდიული პირების /განსაკუთრებული რეჟიმით მომუშავე იურიდიულ პირთა ჩათვლით/ და ფიზიკური პირების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი დოკუმენტები, საბუღალტრო წიგნი, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობანი, გაანგარიშებები, დეკლარაციები, გადასახადებისა და ბიუჯეტში სხვა გადასახდელების გაანგარიშებისა თუ გადახდის სხვა დოკუმენტები; მიიღონ თანამდებობის პირებისა და საწარმოს სხვა თანამშრომლებისაგან, აგრეთვე მოქალაქეებისაგან წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები აღნიშნული შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე;

ბ) გამოავლინონ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ორგანიზაციათა და მოქალაქეთა საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა სათავსები, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის, ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების ოდენობა;

გ) მისცენ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირებს საგალდებულოდ შესასრულებელი მითითებები საგადასახადო კანონმდებლობის გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ და გააკონტროლონ მათი შესრულება;

დ) იმ საწარმოთა, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს საგადასახადო კანონმდებლობა, გამოიყენონ საგადასახადო სანქციები ამ კოდექსის მიხედვით და ჯარიმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) ამოიღონ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადი, ფინანსური სანქციის სახით დაკისრებული ჯარიმა და საურავი, აგრეთვე ადმინისტრაციული ჯარიმა საწარმოებისაგან, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისაგან;

ვ) კანონით დადგენილ შემთხვევებში შეადგინონ ოქმები საწარმოთა, თანამდებობის პირთა, ან მოქალაქეთა მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე და გამოიტანონ დადგენილება ფინანსური სანქციებისა და ადმინისტრაციული სასჯელების შესახებ;

ზ) დასაბეგრი ობიექტის სრულად განსაზღვრის მიზნით, განახორციელონ სავაჭრო და სხვა საწარმოებში, აგრეთვე ინდივიდუალურ მეწარმეებთან, საქონლის /პროდუქციის/ საკონტროლო შესყიდვა;

თ) სამსახურებრივი მიზნებისათვის მიიღონ მონაცემები, ცნობები, აგრეთვე დოკუმენტები სამეწარმეო საქმიანობის, შესამოწმებელი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების მდგომარეობისა და ოპერაციების შესახებ ბანკებიდან და სხვა საკრედიტო დაწესებულებებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნახ. 6. საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის სტრუქტურა




ამერეთი 163.5
75
ჭუთაისი
22.5
ზესტაფონი
3.5
თერჯოლა
3.5
ხარაგაული
3.5
ტყიბული
16.5
ჭიათურა
3.5
სამტრედია
21.5
სამტრედია
3.5
3.5
3.5
წყალტუბო
3.5
ბაღდათი
სულ 15
ზონალური 12
რაიონული 36
63
საშუალო ზსკანეთი 124.5
29
ფოთი
48
ზუგდიდი
3.5
3.5
3.5
26.5
სენაკი
3.5
3.5
3.5
ბუთია 36
29
ოზურგეთი
3.5
3.5
რაჭა-ლეჩხუმი 41.5
ამბროლაური
3.5
3.5
3.5
რეგიონი
სულ ა-კლასი
ზონალური ბ-კლასი
რაიონული გ-კლასი

საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა, ან არასათანადო შესრულება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის არაკანონიერი ქმედების შედეგად გადასახადის გადამხდელისათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებს ეკრძალებათ პროფესიულ ვალდებულებათა შესრულება იმ გადამხდელის მიმართ,

ა) რომელთანაც თანამშრომელი ნათესაურ კავშირშია;

ბ) რომლის მიმართაც ამ თანამშრომელს, ან მის ნათესავს აქვს პირდაპირი, ან არაპირდაპირი ფინანსური ინტერესი.

საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემთა საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და უფლება აქვს გადასცეს ეს ინფორმაცია შემდეგ პირებს:

ა) საგადასახადო ორგანოების თანამშრომლებს – ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;

ბ) სამართალდამცავ ორგანოებს – იმ პირთა შესახებ, რომლებიც კანონით იდევნებიან საგადასახადო სამართალდარღვევათა ჩადენისათვის;

გ) სასამართლოებს – გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების, ან პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით.

დ) სხვა ქვეყნების საგადასახადო ორგანოებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიხედვით;

ე) სახელმწიფო ფონდებს - სახელმწიფო ფონდების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების აღსრულების მიზნით;

ვ) საბაჟო ორგანოებს საბაჟო კანონმდებლობის ადმინისტრირების მიზნით, აგრეთვე ორგანოებს, რომელთაც აქვთ

გადასახადის ადმინისტრირების უფლება ამ კოდექსის მიხედვით მოცემული გადასახადების ადმინისტრირების მიზნით.

საგადასახადო ორგანოების თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება და გამოიყენონ მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რის გამოც ნებადართულია მათთვის ამ ინფორმაციის წარდგენა.

პირს, რომელმაც მიიღო ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია, უფლება არა აქვს გასცეს ამ ინფორმაციის საიდუმლოება და ვალდებულია მისი ამსახველი დოკუმენტები დაუბრუნოს საგადასახადო ორგანოს.

ინფორმაციას, რომელიც ეხება გადასახადის გადამხდელს, შეიძლება გაეცნოს სხვა პირი, თუ მისი თხოვნით გადასახადის გადამხდელი დაადასტურებს თავის თანხმობას პირადად, ან წერილობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის ფუნქცია გადასახადების აკრეფა არის. მრავალი მიზეზის გამო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ ამ ფუნქციის შესრულება დიდი სირთულეებით და წინააღმდეგობებით ხასიათდება. თითქმის ყოველ წელს გადასახადების სახით ამოღებული შემოსავლების ოდენობა ბევრად ნაკლებია დასაბეგრი ბაზის რეალურ შესაძლებლობაზე.

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტიდან საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში 2000 წელს დაგეგმილი იყო 219,9 მილიონი ლარის მიღება. ფაქტობრივად ბიუჯეტში შემოვიდა 211,0 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 96,0%. ბიუჯეტს დააკლდა 8,9 მილიონი ლარი.[1]

საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტში შესულ შემოსავლებს ბიუჯეტის მთელი შემოსავლების 48% უკავია. ისე რომ, საგადასახადო დეპარტამენტის მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ნაწილის შესრულება — არშესრულება. ცალკეული გადასახადების სახით საგადასახადო დეპარტამენტმა ბიუჯეტში 2000 წელს შეიტანა:

---

[1] საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, მოხსენება, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბ., 2001, გვ. 26.

მოგების გადასახადი 21 მლნ ლარი, საშემოსავლო გადასახადი - 31,3 მლნ ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადი 148,3 მლნ ლარი, აქციზი - 10,4 მლნ ლარი.[1]

[1] საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, მოხსენება, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბ., 2001, გვ. 15.

თავი XI. ტრანსპორტი

ტრანსპორტის სოციალურ - ეკონომიკური ფუნქციები საზოგადოებრივ წარმოებაში. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია ტრანსპორტის გარეშე.

ტრანსპორტი, როგორც წარმოების დამოუკიდებელი დარგი, არის ქვეყნის მატერიალური დოვლათის წარმოების საერთო პირობა. "ყოველ წარმოების პროცესში დიდ როლს ასრულებენ შრომის საგნების ადგილცვლა და ამისათვის საჭირო შრომის საშუალებანი და სამუშაო ძალა"[1]. ბამბა, მაგალითად, საწეწი განყოფილებიდან გადაინაცვლებს სართავ განყოფილებაში. ნახშირი მაღაროდან მიწის ზედაპირზე ამოაქვთ. ასეთსავე მოვლენას, მხოლოდ უფრო დიდი მასშტაბით, ვხედავთ როდესაც მზა პროდუქტები მზა საქონლის სახით გადადის წარმოების ერთი დამოუკიდებელი ადგილიდან მეორეზე, რომელიც პირველისაგან სივრცობრივად დაშორებულია. პროდუქტთა გადატანას წარმოების ერთი ადგილიდან მეორეზე მოსდევს აგრეთვე პროდუქტთა გადატანა წარმოების სფეროდან მოხმარების სფეროში. პროდუქტი მხოლოდ მაშინაა მზად მოხმარებისათვის, როდესაც იგი დაასრულებს ამ მოძრაობას.[2]

და, მართლაც, წარმოება პროდუქტის მოხმარებით მთავრდება. წარმოება გვევლინება ამოსავალ პუნქტად, მოხმარება - საბოლოო პუნქტად. ე.ი. წარმოება და მოხმარება არის ორი აქტი, რომლებიც როგორც ა.ჩუპროვი ამბობს, - "ერთმანეთისაგან განცალკევებულია სივრცეში და დროში".

ტრანსპორტის ძირითადი ამოცანაა მატერიალური წარმოების სფეროდან მოხმარების სფეროში მათი გადაადგილება, რაც ობიექტურად აუცილებელია საზოგადოებრივი კვლავწარმოებისათვის.

ტრანსპორტი მჭიდროდ აკავშირებს საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგსა და კვლავწარმოების ყველა მომენტს წარმოებას, განაწილებას, გაცვლას და მოხმარებას.

---

1 კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. I, გვ. 506.
2 კ.მარქსი, კაპიტალი. ტ. II, გვ. 184-185.

ამასთან, ტრანსპორტი და მრეწველობა აქტიურად მოქმედებენ ერთმანეთზე და განაპირობებენ ურთიერთგანვითარებასა და სრულყოფას. მაგალითად, ქმნის რა მრეწველობის განვითარებისათვის პირობებს, ტრანსპორტი მისგან იღებს ახალ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ სატრანსპორტო მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

ტრანსპორტის მუშაობის შედეგად წარმოებს ადამიანებისა და პროდუქტების ადგილმდებარეობის შეცვლა, იქმნება ეზა საქონლის, მისი სახმარი ღირებულებისა და ღირებულების რეალიზაციის შესაძლებლობა.

ადამიანები და საქონელი მგზავრობენ ტრანსპორტის საშუალებებთან ერთად, და ამ უკანასკნელთა მგზავრობა, მათი მოძრაობა სივრცეში, სწორედ ის წარმოების პროცესია, რომელსაც ტრანსპორტის საშუალება ახორციელებს.

სატრანსპორტო მრეწველობა არის წარმოებისა და მიმოქცევის შემაკავშირებელი რგოლი, აქტიურად ზემოქმედებს საქონლის რეალიზაციაზე და მის კვლავწარმოებაზე. თუ, მაგალითად, სატრანსპორტო წარმოების პროცესი გაგრძელდება განუსაზღვრელად დიდი ვადით, საქონელი ვერ მივა მოხმარების ადგილზე და ამით დაირღვევა მიმოქცევის პროცესი, რაც თავის მხრივ შეცვლის საზოგადოებრივი კვლავწარმოების ნორმალურ მსვლელობას; პირიქით, მთელი სატრანსპორტო პროცესის დაჩქარება საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, უზრუნველვყოთ ნორმალური სამეურნეო კავშირები და გაფართოებული კვლავწარმოება, მეორე მხრივ - სწრაფად რეალიზდეს ტრანსპორტის მუშაკთა მიერ შექმნილი გადაზიდვის ღირებულება და ზედმეტი ღირებულება.

ამრიგად, გადაზიდვების პროცესის დაჩქარებით, ან შენელებით ტრანსპორტი გავლენას ახდენს წარმოების პროცესის განახლებაზე.

ტრანსპორტის მიერ შესრულებულ სამუშაოს საწარმოო ხასიათი აქვს და მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია ტრანსპორტის საწარმოო საქმიანობის ხარისხზე, კერძოდ იმაზე, თუ რამდენად სწორად და როგორი დანახარჯებით იქნება იგი განხორციელებული. რაც უფრო ეფექტურია გადაადგილება, მით მაღალია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება და დაბალია

პროდუქციის თვითღირებულება, რამდენადაც მასში ყოველთვის შედის გადაზიდვის ღირებულება.

ვინაიდან ტრანსპორტი არ აწარმოებს პროდუქციას საგნების სახით, მრეწველობისაგან განსხვავებით, სატრანსპორტო დანახარჯებში არ შედის ნედლეულის ხარჯები, ხოლო სატრანსპორტო პროდუქციის თვითღირებულებაში ხელფასზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი მაღალია ვიდრე მრეწველობის დარგების პროდუქციის თვითღირებულებაში.

ტრანსპორტის პროდუქცია არ შეიძლება დაგროვდეს კონკრეტული ნივთობრივი პროდუქტებისა და საქონლის სახით. იგი მოიხმარება ტრანსპორტირების პროცესთან ერთდროულად.

"მიმოქცევის პროცესის ფარგლებში და მიმოქცევის პროცესისათვის" საქონლის გადაზიდვის განხორციელებისას ტრანსპორტი გვევლინება როგორც საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის ფაქტორი და საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის გაცვლის საშუალება.

ტრანსპორტი არ ქმნის ახალ პროდუქტს. მისი პროდუქცია საწარმოო პროცესის გარეთ, დამოუკიდებლად არ არსებობს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს რომ ტვირთების გადაადგილებით არ ხდება არავითარი მატერიალური ცვლილება. გადაადგილების პროცესში ხდება განსაკუთრებული სახის ცვლილება - საქონლის ადგილმდებარეობის სივრცობრივი შეცვლა, რაც წარმოებული პროდუქტის სახმარი ღირებულების რეალიზაციის საშუალებას იძლევა. მაგალითად, მაღაროში მოპოვებული ნახშირი, თვით მაღაროსათვის საჭირო არ არის, იგი გამიზნულია იმ მომხმარებლისათვის, რომელსაც სჭირდება. როდესაც ნახშირი მიიტანება მომხმარებლამდე, მაშინ უკვე ხდება მისი, როგორც ღირებულებისა და სახმარი ღირებულების, რეალიზაცია.

ტრანსპორტისადმი საზოგადოებრივი წარმოების სოციალურ - ეკონომიკური და ორგანიზაციულ - ტექნოლოგიური მოთხოვნების შინაარსი ასეთია:

1. გადაზიდვებზე ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება. ეროვნულ მეურნეობაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნორმალური წარმოებისა და მიმოქცევის უზრუნველყოფა შესაძლებელია გადაზიდვებზე ეროვნული მეურნეობის მოთხოვნილე-

ბათა სრული დაკმაყოფილებით. რამდენადაც ტვირთების გადაზიდვა იგეგმება, ტრანსპორტმა უნდა უზრუნველყოს გადაზიდვების ისეთი მოცულობის შესრულება, რომლებიც განსაზღვრულია საგეგმო ორგანოების მიერ საძრეწველო და სასოფლო - სამეურნეო წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ ტექნიკური მომარაგებისა და საქონელბრუნვის გეგმების საფუძველზე შედგენილი ეკონომიკურად დასაბუთებული განაცხადებით. გადაზიდვების ეს მოცულობა უნდა ჩავრთოთ სატვირთო გადაზიდვების გეგმაში ტრანსპორტის ცალკეულ სახეობათა შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სამგზავრო გადაზიდვების გეგმების შედგენაც უნდა წარმოებდეს გადაყვანაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების ამოცანიდან გამომდინარე. მაგრამ, ეკონომიკურად დასაბუთებული გადაზიდვების გეგმის შედგენა - საკითხის ერთი მხარეა, აუცილებელია აგრეთვე გეგმის მაჩვენებელთა რეალურობის შენარჩუნება, რაც აგრეთვე ტრანსპორტისადმი საზოგადოებრივი წარმოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს.

2. სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების გეგმების შესრულება. ქვეყანაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნორმალური წარმოებისა და მიმოქცევის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ გადაზიდვების გეგმების შესრულებით. თუ გადაზიდვების გეგმები შედგენილია ეროვნული მეურნეობის მოთხოვნილებასთან ზუსტი შესაბამისობით, მაშინ მათი შეუსრულებლობით სრულად ვერ კმაყოფილდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებები, რითაც ირღვევა წარმოებისა და მიმოქცევის ნორმალური რიტმი. გადაზიდვების გეგმის შეუსრულებლობა უარყოფითად მოქმედებს სამრეწველო და სასოფლო - სამეურნეო წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების, საქონელბრუნვისა და სხვა გეგმების შესრულებაზე. ამიტომ გადაზიდვების გეგმების შეუსრულებლობა ითვლება სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევად. გადაზიდვების გეგმების შეუსრულებლობა იწვევს ტრანსპორტისა და ტვირთგამგზავნთა მატერიალურ პასუხისმგებლობას.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მგზავრთა გადაყვანის გეგმის შესრულებასაც, რამდენადაც მოსახლეობის გადაადგილება ძირითადად ხდება წარმოებისა და მიმოქცევის სფეროების უზრუნველყოფის, აგრეთვე მათი სოციალურ - კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით.

3. გადასაზიდი ტვირთების დაცულობის უზრუნველყოფა. ტრანსპორტის ეს მთავარი ამოცანა განიხილება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნორმალური წარმოებისა და მიმოქცევის უზრუნველყოფის მოთხოვნასთან ურთიერთკავშირში. ტრანსპორტი თვითონ არ ქმნის მატერიალურ ფასეულობებს, არამედ ახორციელებს მხოლოდ მათ გადაადგილებას, რომლის დროსაც შენარჩუნებულ უნდა იქნეს მატერიალურ ფასეულობათა რაოდენობა და ხარისხი. თუ ეს მოთხოვნა არ იქნება შესრულებული, მაშინ ეროვნული მეურნეობა ძნიშვნელოვან ზარალს ნახავს. გადასაზიდი ტვირთების დაცულობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ მათი დაკარგვის, დანაკლისის, გაფუჭებისა და დაზიანების საწინააღმდეგო ორგანიზაციულ - ტექნიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებების გატარებით.

4. დანიშნულების პუნქტებში ტვირთების დროული მიტანის უზრუნველყოფა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნორმალური წარმოებისა და მიმოქცევის უზრუნველყოფა შესაძლებელია აგრეთვე დანიშნულების პუნქტებში ტვირთების დროული მიტანით. დანიშნულების პუნქტებში ტვირთების არადროული მიტანა იწვევს საწარმოო ტექნიკური დანიშნულების ტვირთებისა და ფართო მოხმარების საქონლის ნორმალური წარმოებისა და მიმოქცევის რიტმის დარღვევას. გარდა ამისა, ტვირთები, რომლებიც იმყოფებიან გადაზიდვის პროცესში, არიან ეროვნული მეურნეობის განყენებული საბრუნავი საშუალებები, ამიტომ დანიშნულების ადგილზე მათი დროული მიტანა ხელს უწყობს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარებას და ქმნის ეროვნული მეურნეობის განვითარების დამატებით რეზერვებს. ტვირთების დაგვიანებით მიტანამ შეიძლება გამოიწვიოს მათი გაფუჭებაც. ტრანსპორტის ცალკეული სახეობებით დროული მიტანის ამოცანის შესრულების ობიექტური კრიტერიუმის მიტანის დადგენილი ვადების დაცვაა.

5. ტვირთების გადაზიდვისას სახელმწიფო ინტერესების დაცვა. საზოგადოების წარმოების ეს მოთხოვნა ვრცელდება არა მარტო ტრანსპორტისადმი, არამედ ყველა იმ დარგებისადმი, რომლებიც სატრანსპორტო მომსახურებით სარგებლობენ. იმასთან დაკავშირებით, რომ ტვირთების გადაზიდვა იგეგმება, ტვირთგამგზავნი და ტვირთმიმღები საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან სახელმწიფო ინტერესები გადაზიდვების გეგმების შედგენისა და შესრულების პროცესში. ეს ნიშნავს, რომ წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, მატერიალურ - ტექნიკური მომარაგებისა და საქონელბრუნვის გეგმების შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ სატრანსპორტო დანახარჯებისა და გადაზიდვების სიშორის შემცირების აუცილებლობა. თავის მხრივ, გადაზიდვების გეგმების შედგენის დროს უნდა უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობაში სატრანსპორტო დანახარჯების შემცირება, ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის რაციონალური გამოყენება, შემხვედრი, ზედმეტად შორეული, განმეორებითი და სხვა არარაციონალური გადაზიდვების აღმოფხვრა, მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანად გამოყენება.

6. მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა. მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენება უზრუნველყოფს ერთი და იმავე რაოდენობის მოძრავი შემადგენლობით მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობის ტვირთების გადაზიდვას. მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენება შესაძლებელია მისი დატვირთვის გაზრდითა და ბრუნვის დაჩქარებით. მოძრავი შემადგენლობის დატვირთვა უნდა მოხდეს არანაკლებ დატვირთვის ტექნიკური ნორმებისა. დატვირთვის ტექნიკური ნორმების დაცვა კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მოძრავი შემადგენლობის ტვირთამწეობის მაქსიმალურ გამოყენებას. მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენება შესაძლებელია დატვირთვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების გამოყენების, მოძრავი შემადგენლობის ცარიელი გარბენების შემცირების, მათი ბრუნვის დაჩქარების, სატვირთო ოპერაციებში ზენორმატიული მოცდენების ლიკვიდაციისა და სხვა სახის ღონისძიებათა გატარებით.

7. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მოთხოვნის შესრულება ტრანსპორტის ექსპლუატაციის აუცილებელი პირობაა. სატრანსპორტო საწარმოები, ტვირთგამგზავნები და ტვირთმიმღებები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის მოთხოვნები, ვინაიდან მათი დარღვევა იწვევს ტრანსპორტისადმი წაყენებული საზოგადოებრივი წარმოების მთელი რიგი მოთხოვნების შეუსრულებლობას.

8. ეროვნულ მეურნეობაში სატრანსპორტო დანახარჯების ეკონომიის უზრუნველყოფა. სატრანსპორტო დანახარჯების შემცირება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვია. სატრანსპორტო დანახარჯები ასახვას პოულობენ მატერიალურ ფასეულობათა ღირებულებაში. ამიტომ სატრანსპორტო დანახარჯების შემცირება გადაზიდვებში მონაწილე მხარეების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. სატრანსპორტო დანახარჯების შემცირება შესაძლებელია წარმოებისა და გადაზიდვის ეკონომიკურად დასაბუთებული გეგმების შედგენით, საგეგმო დისციპლინის მკაცრი დაცვით, მოძრავი შემადგენლობის რაციონალურად გამოყენებითა და სხვა.

<u>საქართველოს სატრანსპორტო - ეკონომიკური კავშირები.</u> ჩვენი ქვეყნის ტერიტორია, წარმოებისა და მოხმარების რაიონების სივრცობრივი დაშლილობა, სხვადასხვა სახის პროდუქციის გაცვლისა და გადაადგილების აუცილებლობა, ქმნის ობიექტურ პირობებს მრავალრიცხოვანი შიდასარაიონო და რაიონთაშორისო სატრანსპორტო - ეკონიმიკური კავშირების ფორმირებისათვის.

სატრანსპორტო ეკონომიკური კავშირების სრულყოფის ამოცანა არის ქვეყნის საწარმოო ძალთა ოპტიმალური განლაგება საერთო პრობლემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და მის დროულად და ნაკლები დანახარჯებით გადაწყვეტას აქვს დიდი სახალხო - სამეურნეო მნიშვნელობა.

სატრანსპორტო - ეკონომიკური კავშირი საქართველოში ძირითადად ხორციელდება მაგისტრალური ტრანსპორტის ისეთი სახეობებით, როგორიცაა: რკინიგზის, საავტომობილო, საზღვაო, სამდინარო, სამილგამტარო და სამოქალაქო-საჰაერო ტრანს-

პორტი. ყველა ისინი, ჩვენს პირობებში ქმნიან რა ეროვნულ სატრანსპორტო სისტემას და ახორციელებენ რა ეკონომიკურ კავშირებს როგორც ეროვნულ მეურნეობის დარგებს შორის, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებს შორისაც, აქტიურად ზემოქმედებენ საწარმოო ძალთა განლაგებაზე და დიდ გავლენას ახდენენ საერთო საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობაზე. ტრანსპორტის პროდუქცია გამოიხატება ტვირთებისა და ადამიანების სივრცობრივი გადანაცვლებით, ტრანსპორტი აგრძელებს წარმოების პროცესს მიმოქცევის პროცესში. ეს გარემოებანი მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ეფექტიანობა არ შეიძლება განისაზღვროს მარტო სატრანსპორტო სისტემის შიგნით, რადგან, საბოლოოდ, მისი ეფექტი ვლინდება ეროვნული მეურნეობის იმ დარგებშიც, რომლებსაც იგი ემსახურება.

სატრანსპორტო ეკონომიკური კავშირები უნდა დამყარდეს იმ ანგარიშით, რომ შეიქმნას უფრო ხელსაყრელი პირობები პროდუქციის წარმოების სწრაფი ზრდისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ბუნებრივ სიმდიდრეთა და შრომის რესურსების უფრო ხელსაყრელად გამოყენებისათვის, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციისათვის.

სატრანსპორტო ეკონომიკური კავშირების დამყარების ზემოაღნიშნული საერთო პრინციპების განხორციელებისათვის საჭიროა:

ყოველი ღონისძიებით დაახლოვდეს მრეწველობა ნედლეულისა და სათბობის /ენერგიის/ წყაროებთან და პროდუქციის მოხმარების რაიონებთან, რათა რაციონალურად გამოვიყენოთ ტრანსპორტი და შემცირდეს სახალხო მეურნეობის დანახარჯები ტვირთზიდვაზე;

ეროვნული მეურნეობის კომპლექსურად განვითარების გათვალისწინებით სწორად განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებს შორის შრომის ტერიტორიული დანაწილება;

უზრუნველვყოთ ჩამორჩენილი /დეპრესირებული/ რაიონების მეურნეობის სწრაფი განვითარება;

ქვეყნის ტერიტორიაზე მსხვილი მრეწველობის უფრო თანაბარზომიერად განლაგების და აგრარულ რაიონებში ახალი

ქალაქებისა და მრეწველობის კერების შექმნის გზით უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის დაახლოება მრეწველობასთან.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა ქვეყნის ყველა სახის ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივები ემყარებოდეს ტვირთზიდვის იმ მოცულობას, რომელიც მოცემული სახის ტრანსპორტმა უნდა შეასრულოს. ტვირთზიდვის ამ მოცულობის განსაზღვრა და მეცნიერულად დასაბუთება კი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ მეურნეობაში პერსპექტიული სატრანსპორტო - ეკონომიკური კავშირების საფუძველზე.

აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტით არ ამოიწურება სატრანსპორტო ეკონომიკური კავშირების მეცნიერულად დასაბუთებული დაგეგმვის მნიშვნელობა. იგი მოიცავს აგრეთვე სატრანსპორტო - ეკონომიკური კავშირების რაციონალური სქემის აგებას, რაც წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის სრულყოფის წანაძღვარია. ერთიანი სატრანსპორტო სისტემა იძლევა შესაძლებლობას სამეურნეო ბრუნვაში მოაქციოს ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი, ხელს უწყობს წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებას, აგრეთვე მრავალდარგოვანი ეკონომიკური რაიონების კომპლექსურ განვითარებას.

ქვეყნის, ეკონომიკური რაიონების, ან რესპუბლიკების მასშტაბით საწარმოთა განლაგების მეცნიერული დასაბუთება, როგორც წესი, ხდება ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, დამხმარე მასალების, სათბობის, ენერგიისა და მზა პროდუქციის მიხედვით სატრანსპორტო ეკონომიკური კავშირების ეფექტიანობის გამოანგარიშების საფუძველზე. ამა თუ იმ რაიონში წარმოების ორგანიზაციის, ან განვითარების ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ ნედლეულის, სათბობისა და ენერგიის მიწოდების მოცულობისა და ადგილმდებარეობის, წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და მოხმარების რაიონების, აგრეთვე ამ მატერიალური საშუალებებისა და ხარჯების ტრანსპორტთან კავშირის ყველა მონაცემის დაწვრილებით გათვალისწინების საფუძველზე.

<u>ერთიანი სატრანსპორტო სისტემა და ტრანსპორტის სახეთა გამოყენების მიზანშეწონილობა.</u> მატერიალურ ფასეულობათა და ადამიანების გადაადგილება იყოფა სამ ჯგუფად. პირ-

ველ ჯგუფს მიეკუთვნება შრომის საგნებისა და პროდუქტების შიდასაწარმოო გადაადგილება, მეორეს - მზა პროდუქციის გადაადგილება წარმოების ერთი ადგილიდან მეორეში, მესამეს მზა პროდუქციის გადაადგილება წარმოების სფეროდან მოხმარების სფეროში.

განასხვავებენ შიდასაწარმოო /სამრეწველო/ და მიმოქცევის სფეროს ტრანსპორტს. შიდასაწარმოო ტრანსპორტით ხდება საწარმოს შიგნით შრომის საშუალებებისა და ადამიანების გადაადგილება, ხოლო მიმოქცევის სფეროს ტრანსპორტით მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის სხვადასხვა სახის პროდუქციის გადაადგილება. ცნობილია, რომ საწარმოო ფონდების წრებრუნვის პროცესი შეიცავს წარმოებისა და მიმოქცევის სტადიებს.

შიდასაწარმოო ტრანსპორტი თავის ფუნქციებს ასრულებს წარმოების სტადიაზე. მისი მუშაობა საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის შემადგენელი ნაწილია, ხოლო შიდასამეურნეო ტრანსპორტის საშუალებანი /რკინიგზები, ავტომობილები, ტრანსპორტიორები, საბაგირო გზები, ამწეები, ავტოდამტვირთავები და სხვ./ - საწარმოს წარმოების საშუალებების შემადგენლობაში შედიან.

შიდასაწარმოო ტრანსპორტი მატერიალური წარმოების დამოუკიდებელი დარგი არ არის.

მიმოქცევის სფეროში თავის ფუნქციებს ასრულებს მაგისტრალური /საერთო სარგებლობის/ ტრანსპორტი, რომელიც წარმოდგენილია რკინიგზის, საავტომობილო, წყლის /საზღვაო და სამდინარო/, საჰაერო და მილსადენი ტრანსპორტის სახეობებით, აგრეთვე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით.

თანამედროვე პირობებში საქართველოში შექმნილია მძლავრი ერთიანი სატრანსპორტო სისტემა. ერთიანი სატრანსპორტო სისტემაში იგულისხმება ტრანსპორტის სხვადასხვა სახეების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთების გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანას და ფუნქციონირებს როგორც კომპლექსი.

<u>ტრანსპორტის სახის შერჩევა.</u> ტრანსპორტის ეფექტური სახის შერჩევა ხდება ტექნიკურ -ეკონომიკურ გაანგარიშებათა

საფუძველზე, გადაზიდვის კონკრეტული პირობებისა და თითოეული მათგანის ტექნიკურ - ეკონომიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოიყენება ტრანსპორტის სახეთა ტექნიკურ - ეკონომიკური შედარებისათვის იყოფა ტექნიკურ საექსპლოატაციო, ნატურალურ და ღირებულებით მაჩვენებლებად.

<u>საექსპლოატაციო - ტექნიკურ მაჩვენებლებს</u> მიეკუთვნებიან: გადაზიდვის რეგულარობის /შეუფერხებლობის/, თანაბარზომიერებისა და რიტმულობის ხარისხი; გამტარ და გადაზიდვითუნარიანობა; ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სიჩქარე და დრო; ტვირთების დაცულობის ხარისხი და მგზავრთა კომფორტულობა; მოძრაობის უსაფრთხოება და საიმედოობა, აგრეთვე ტრანსპორტის სახეთა მანევრირების უნარი.

<u>ნატურალურ მაჩვენებელთა</u> ჯგუფში შედიან: სამუშაო ძალაზე მოთხოვნილება, რომელიც იზომება შრომატევადობით /ერთეულ სატრანსპორტო პროდუქციაზე შრომითი დანახარჯებით/, ან შრომის ნაყოფიერებით /ერთ მომუშავეზე გამომუშავებით/; სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვა მასალების ხვედრითი დანახარჯები.

<u>ღირებულებით მაჩვენებლებს</u> მიეკუთვნებიან: მიმდინარე საექსპლოატაციო ხარჯები და გადაზიდვის თვითღირებულება; საჭირო კაპიტალდაბანდებანი და გადაზიდვის ფონდტევადობა; გადაზიდვების პროცესში მყოფი ტვირთების, როგორც ეროვნული მეურნეობის საბრუნავი საშუალებების, ღირებულება; დანაკარგები და არასაწარმოო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ტრანსპორტირების პროცესში ტვირთების დაკარგვასთან, დაზიანებასა და გაფუჭებასთან.

ტრანსპორტირების სახეების შერჩევა წარმოებს ერთიანი განზოგადებული მაჩვენებლის დაყვანილი ხარჯების საფუძველზე. ტრანსპორტის უფრო ეფექტიან სახედ ჩაითვლება ის, რომელიც მოცემულ გადაზიდვებს შეასრულებს შედარებით ნაკლები დაყვანილი დანახარჯებით. ამ დანახარჯების სიდიდე განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$Э = С + Е_н(К + М) + П,$$

სადაც: С - მიმდინარე საექსპლოატაციო ხარჯებია,

К - საჭირო კაპიტალდაბანდებები,

М - გადაზიდვების პროცესში ერთდროულად მყოფი სატვირთო მასის ღირებულება,

П ტრანსპორტირების პროცესში დაკარგული ტვირთების ღირებულება,

$Е_н$ - ტრანსპორტზე კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი.

გადაზიდვის პროცესში მყოფი სატვირთო მასის ღირებულება განისაზღვრება ფორმულით:

$$V = \frac{Ц * \Sigma P}{365} * T$$

სადაც: Ц - ერთი ტონა ტვირთის საშუალო საანგარიშო ფასია;

ΣР - ტვირთზიდვის წლიური მოცულობა, ტ.;

Т - ტვირთების მიტანის დრო, დღე - ღამე.

ტრანსპორტირების პროცესში დაკარგული ტვირთების ღირებულება გამოითვლება ფორმულით:

$$П = \frac{Ц * \Sigma Н \alpha}{100}$$

სადაც α დანაკარგის ნორმატიული, ან ფაქტობრივი სიდიდეა /პროცენტებით ტვირთზიდვის თავდაპირველ მოცულობასთან/;

Ц ერთი ტონა გადაზიდული პროდუქციის საშუალო ფასი.

ტრანსპორტის სახეების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე თითოეული მათგანის თავისებურებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ერთიან სატრანსპორტო სისტემაში მათ ადგილსა და როლს.

ერთიან სატრანსპორტო სისტემაში წამყვანი ადგილი რკინიგზის ტრანსპორტს უკავია, რომლისთვისაც დამახასიათებელია: გადაზიდვების რეგულარობა, დიდი გამტარ და გადაზიდვითუნარიანობა, გადაზიდვის შედარებით დაბალი თვითღირებულება, ტვირთების მიტანის მაღალი სიჩქარე, ვიდრე სამდინარო ტრანსპორტზე და მაღალი ეფექტიანობა მასობრივი ტვირთების მარშრუტებით გადაზიდვის დროს. რკინიგზის ტრანსპორტის გამოყენება მიზანშეწონილია საშუალო, შორეულ და ზედმეტად შორეულ მანძილებზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ტვირთმიმღებს გააჩნია მისასვლელი ლიანდაგი - მოკლე მანძილებზეც. რკინიგზის ტრანსპორტის გამოყენება ყველაზე ეფექტურია დიდ ტვირთტევადობის მასობრივი ტვირთების /ქვანახშირი, მადანი, ხე ტყე, შავი და ფერადი ლითონები, მანქანათმშენებლობისა და სასოფლო -სამეურნეო პროდუქცია/ გადაზიდვისათვის.

საავტომობილო ტრანსპორტი უპირატესად გამოიყენება მასიური ტვირთების მოკლე მანძილზე, აგრეთვე, სასწრაფო და მაღალფუჭებადი ტვირთების მოკლე და საშუალო მანძილებზე გადაზიდვისათვის. საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელია საწარმოების, სამრეწველო ცენტრებისა და სასოფლო-სამეურნეო რაიონების შიდატერიტორიული მომსახურებისათვის. საავტომობილო ტრანსპორტით შესაძლებელია ტვირთების მიტანა მაგისტრალურ ტრანსპორტამდე და უშუალოდ მომხმარებლამდე. მთელ რიგ შემთხვევებში საავტომობილო ტრანსპორტი გამოიყენება დიდ მანძილზე /საქალაქთაშორისო და საერთაშორისო მიმოსვლაში/ გადაზიდვებისათვის, თუ ასეთი გადაზიდვები ეკონომიკურად დასაბუთებულია.

სამდინარო ტრანსპორტის უპირატესი გამოყენება წარმოებს საშუალო და შორეულ მანძილზე მასიური ტვირთების გადაზიდვისათვის. გადაზიდვა ხორციელდება განსაკუთრებით იმ პუნქტებს შორის, რომლებიც განლაგებულია სამდინარო გზების მიდამოებში, და იმ რაიონებში, რომლებშიც სხვა სახის ტრან-

სპორტი ან არ ფუნქციონირებს, ან კიდევ დაბალ დონეზეა განვითარებული.

საზღვაო ტრანსპორტის გამოყენება მიზანშეწონილია შორეულ და ზედმეტად შორეულ მანძილებზე საკონტინენტთაშორისი, აგრეთვე ერთ, ან რამოდენიმე ზღვის აუზებს შორის გადაზიდვებისათვის /მცირე და დიდი კაბოტაჟი/.

მილსადენი ტრანსპორტის გამოყენება ხელსაყრელია თხევადი და გაზისებრი ტვირთების შორეულ და ზედმეტად შორეულ მანძილებზე გადაზიდვისათვის, განსაკუთრებით დიდი ტვირთნაკადების პირობებში.

საჰაერო ტრანსპორტი ძირითადად სამგზავრო ტრანსპორტია. მისი გამოყენება მიზანშეწონილია აგრეთვე შორეულ და ზედმეტად შორეულ მანძილებზე ფოსტის, მაღალფასიან, სასწრაფო და მალფუჭებადი ტვირთების გადაზიდვისათვის, კერძოდ, იმ რაიონებში, რომლებიც საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილი სახმელეთო და წყლის ტრანსპორტის სახეებით.

სამგზავრო გადაზიდვებისათვის ცალკეული სახის ტრანსპორტის გამოყენება დამოკიდებულია დასახლებულ პუნქტებში სატრანსპორტო კავშირების განვითარებაზე, მგზავრთა გადაყვანის სიჩქარეზე, მოძრაობის რეგულარობაზე, ტარიფებზე, მგზავრობის კომფორტულობაზე და სხვა.

ამ პირობების გათვალისწინებით რკინიგზის ტრანსპორტი ფართოდ გამოიყენება საგარეუბნო ზონებში, აგრეთვე, საშუალო და შორეულ მანძილებზე მგზავრთა გადაყვანისათვის. საგარეუბნო გადაზიდვებში ფართოდ გამოიყენება საავტომობილო ტრანსპორტიც /ავტობუსები/, განსაკუთრებით იმ პუნქტებში, რომლებსაც სარკინიგზო მიმოსვლა არ გააჩნიათ. ასეთ რაიონებში ადგილობრივ ხაზებზე მგზავრთა გადაყვანისათვის ხელსაყრელია საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებაც.

<u>ტრანსპორტის პროდუქცია</u>. მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე პროდუქციის გადაადგილებით იცვლება მისი ადგილმდებარეობა. ეს მატერიალური ცვლილება-გადაადგილება წარმოადგენს ტრანსპორტის პროდუქციას. ტრანსპორტის პროდუქცია იზომება სხვადასხვა მაჩვენებლით.

<u>სატვირთო გადაზიდვების</u> შემთხვევაში ტრანსპორტის პროდუქციის განზოგადებული მაჩვენებელია ტვირთბრუნვა, რომელიც გამოისახება ნეტო ტონა - კილომეტრებით:

$$\sum_{i=1}^{n} P_i L_i = P_1 L_1 + P_2 L_2 + \quad + P_n L_n. ,$$

სადაც, $P_1, P_2 \quad P_n$ - სხვადასხვა პუნქტებიდან გაგზავნილი ტვირთების მოცულობაა, ტონობით;

$L_1, L_2 \quad L_n$ შესაბამისად $P_1, P_2 \quad P_n$ ტვირთების გადაზიდვის მანძილებია, კილომეტრობით.

<u>სამგზავრო გადაზიდვების</u> შემთხვევაში ტრანსპორტის პროდუქციის განზოგადებული მაჩვენებელია მგზავრთბრუნვა, რომელიც გამოისახება მგზავრ კილომეტრებით:

$$\sum_{i=1}^{n} A_i L_i = A_1 L_1 + A_2 L_2 + \ldots + A_n L_n ,$$

სადაც: $A_1, A_2 \ldots A_n$ - სხვადასხვა პუნქტებიდან გამგზავრებულ მგზავრთა რიცხვია, კაცობით;

$L_1, L_2 \ldots L_n$ შესაბამისად $A_1, A_2 \ldots A_n$ მგზავრების მგზავრობის მანძილებია, კილომეტრებით.

ტრანსპორტის პროდუქციის საერთო მოცულობის გაზომვისათვის გამოიყენება დაყვანილი ტონა კილომეტრების მაჩვენებელი. იგი გამოითვლება ფორმულით:

$$\sum PL = \sum_{i=1}^{n} P_i L_i + K \sum_{i=1}^{n} A_i L_i ,$$

სადაც: $\sum_{i=1}^{n} P_i L_i$ ტვირთბრუნვის საერთო მოცულობაა,

ტონა - კილომეტრობით;

$$\sum_{i=1}^{n} A_i L_i$$ - მგზავრთბრუნვის საერთო მოცულობა,

მგზავრ-კილომეტრობით;

K – მგზავრთ-კილომეტრების ტონა-კილომეტრებში გადაყვანი კოეფიციენტია /რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტზე K=1; საავტომობილო ტრანსპორტზე საქალაქთაშორისო მიმოსვლაში K=0,25; საჰაერო ტრანსპორტზე K=0,095;

<u>ტვირთებისა და ტვირთაკადების ტექნოლოგია</u>. ტვირთებად იწოდებიან მატერიალური ფასეულობანი ტრანსპორტის მიერ გადასაზიდად მათი მიღების მომენტიდან ტვირთმიმღებზე ჩაბარების მომენტამდე.

ტრანსპორტი გადასაზიდად იღებს სხვადასხვა სახის ტვირთებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიკური თვისებებით, გეომეტრიული ზომებით, შეფუთვის სახეობით და ა.შ. ტვირთის სახე არის ერთ - ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს მოძრავი შემადგენლობის ტიპსა და მისი ექსპლუატაციის პირობებს, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა შესრულების ხერხებს და სხვა.

ტვირთები შეიძლება დაჯგუფდეს მოელი რიგი ნიშნების მიხედვით. დატვირთვა -გადმოტვირთვის ხერხების მიხედვით ტვირთები იყოფიან ცალობრივ, დაყრით და ჩასხმით ტვირთებად.

ცალობრივი ტვირთები ხასიათდებიან გაბარიტული ზომებით, მასით, ფორმით. მათი გადასაზიდად მიღება და ტვირთმიმღებთათვის ჩაბარება წარმოებს რაოდენობისა და მასის მიხედვით.

<u>დაყრილი</u> ტვირთები ისეთი ტვირთებია, რომელთა გადაზიდვა, დატვირთვა და გადმოტვირთვა შესაძლებელია დაყრითი წესით. ასეთ ტვირთებს ძირითადად მიეკუთვნებიან: ცემენტი, ქვიშა, ღორღი, ნახშირი, ხორბალი და ა.შ.

ჩასხმით ტვირთებს მიეკუთვნებიან თხევადი და ნახევრად თხევადი ნივთიერებები, რომელთა გადაზიდვაც ცისტერნებით წარმოებს.

ტვირთნაკადი ეწოდება ტონებში გამოსახულ ტვირთების რაოდენობას, რომელიც გადაიზიდება გარკვეული მიმართულებით დროის განსაზღვრულ პერიოდში.

ტვირთნაკადების სტრუქტურა სამი სახისაა: დარგობრივი, ჯგუფური და გვარეობითი.

დარგობრივი გვიჩვენებს, თუ სახალხო მეურნეობის რომელ დარგს მიეკუთვნება მოცემული ტვირთი. მაგალითად, ნავთობმომპოვებელი მრეწველობის, კვების მრეწველობის პროდუქცია და ა.შ.

ჯგუფური გვიჩვენებს, თუ ტვირთების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მოცემული ტვირთი. მაგალითად, სასურსათო საქონელი, სამშენებლო მასალები და ა.შ.

გვარეობითი გვიჩვენებს, თუ თვისებების მიხედვით როგორაა განაწილებული მოცემული ტვირთი. მაგალითად, მარცვლოვანი კულტურები, რძის პროდუქტები, რკინა-ბეტონის ნაკეთობანი და ა.შ.

სატრანსპორტო სისტემის გამტარუნარიანობა. ამა თუ იმ სახის ტრანსპორტის უნარს განახორციელოს გადაზიდვა, ხშირ შემთხვევაში აფასებენ გამტარუნარიანობის სიდიდით.

გამტარუნარიანობა გამოისახება მატარებლების, გემების, ავტომობილების, თვითმფრინავების და ა.შ. მაქსიმალური რაოდენობით, რომელთა მომსახურებაც /გატარებაც/ შეუძლია სატრანსპორტო მოწყობილობას /გზას, სადგურს, პორტს, აეროპორტს და სხვა/ დროის გარკვეულ პერიოდში.

განასხვავებენ არსებულ და საჭირო /აუცილებელ/ გამტარუნარიანობას. არსებული ეწოდება გამტარუნარიანობას, რომელიც გააჩნია მოცემულ სატრანსპორტო მოწყობილობას, ხოლო საჭირო რომელიც აუცილებელია მოცემული გადაზიდვების განხორციელებისათვის.

არსებული გამტარუნარიანობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$n = T_0 / T_t,$$

სადაც: T_0 დროის საანგარიშო პერიოდია /საათი, დღე ღამე/, რომელიც გამოიყენება მატარებლების, გემების, ავტომობილების, თვითმფრინავების სატრანსპორტო ნაკადების მომსახურებისათვის;

T_1 ტექნოლოგიური დროა, რომელიც აუცილებელია საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო მოწყობილობის უწყვეტი და თანაბარზომიერი გამოყენების პირობებში სატრანსპორტო ნაკადის ერთეულის /ვაგონი, მატარებელი, ავტომობილი, გემი, 1 ტონა, 1 კუბური მეტრი და სხვა/ დამუშავებისათვის /გატარებისა და მომსახურებისათვის/.

<u>ტრანსპორტის მუშაობის მდგომარეობა საქართველოში.</u> სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით საქართველოს საერთო სარგებლობის ტრანსპორტის მუშაობა 1991 წლიდან კრიზისმა მოიცვა. შემცირდა ტვირთბრუნვის მოცულობა; 1992 წელს ყველა სახის საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 40927,7 მლნ ტონა/კმ შეადგინა, ხოლო 1998 წელს კიდევ უფრო მცირე - 10418,6 მლნ ტონა/კმ[1]. 1980 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მიმართ ისინი შესაბამისად შეადგენდნენ 55 და 14 პროცენტს. კიდევ უფრო დაბალი იყო სარკინიგზო ტვირთბრუნვის დონე, 1998 წელს მან მხოლოდ 12% შეადგინა 1980 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

შესამჩნევად შემცირდა მგზავრთა გადაყვანაც. თუ 1980 წელს გადაიყვანეს 984 მლნ კაცი, 1998 წელს იგი 326,3 მლნ ს, ანუ 1980 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 33%-ს გაუტოლდა. მათ შორის რკინიგზამ გადაიყვანა 2,3 მლნ კაცი, საავტომობილო ტრანსპორტმა 205 მლნ, საჰაერომ 0,2 მლნ კაცი[2].

შექმნილი მდგომარეობა გამოიწვია საქართველოს გამოსვლამ საერთო საკავშირო ტრანსპორტის სისტემიდან, ძველი

---

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ.,1999, გვ.200.
[2] იქვე, გვ. 201.

კავშირების მოშლამ, ეკონომიკურმა კრიზისმა და კრიმინოგენულმა სიტუაციებმა ქვეყანაში, რაც დღესაც გრძელდება.

ტრანსპორტის განვითარების მიმდინარე მდგომარეობა. სატრანსპორტო სექტორის მაჩვენებლების ანალიზი 2000 წლის შედეგების მიხედვით მოლიანობაში პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. ძირითადი პარამეტრების მიხედვით ყველა სატრანსპორტო ქვედარგს ახასიათებს დადებითი დინამიკა როგორც წინა წელთან, ისე წინასწარ განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებლებთან შედარებით, თუმცა სხვადასხვა ზრდის ტემპით.

სატრანსპორტო სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ტემპმა საშუალოდ შეადგინა 40,3%, რამაც ძირითადად განაპირობა შემოსავლების ზრდა და შესაბამისად, დარგიდან საბიუჯეტო შენატანების გაზრდა 32,5% - ით.

ამ სისტემის ყველა სხვა ქვედარგის წარმატებული საქმიანობის ფონზე აღსანიშნავია წინა წელთან შედარებით მაჩვენებლების არსებითი გაუარესება სამოქალაქო ავიაციის ქვედარგში, სადაც შემოსავლები შემცირდა როგორც საშგზავრო /29% ით/, ისე სატვირთო /31% ით/ გადაზიდვებში. მიუხედავად ამისა, ამ ქვედარგში დაფიქსირდა საბიუჯეტო შენატანების ზრდა 6,6%-ით წინა წელთან შედარებით, რაც საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვებზე მიუთითებს.

საავტომობილო გადაზიდვები. არსებული მონაცემები მიანიშნებს საქართველოში საკმაოდ განვითარებული საავტომობილო გზების ქსელის არსებობაზე, რომელთა საერთო სიგრძე 20,2 ათ. კმ - ს აღემატება. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ გზების მხოლოდ 43,6% არის საფარიანი გზა და აქედან მხოლოდ 37,5 % - ს გააჩნია ასფალტ - ბეტონის საფარი.

საავტომობილო გზები 20215 კმ - ია, აქედან 1474 კმ საერთაშორისო მნიშვნელობისაა, 3326 კმ შიდასახელმწიფოებრივი, ხოლო 15415 კმ ადგილობრივი მნიშვნელობისა.

საგზაო ქსელის სტრუქტურა კატეგორიების მიხედვით გვიჩვენებს, რომ მისი ძირითადი ნაწილი მიეკუთვნება მე – 3 5 კატეგორიებს, ხოლო 1 ელი და მე- 2 კატეგორიის გზები

საქართველოში პრაქტიკულად არ არის. ეს სერიოზული პრობლემაა სატრანზიტო გადაზიდვებისათვის. გზების ტოპოგრაფია მიეკუთვნება ნაწილობრივ სამთო გზების ჯგუფს, რაც ქმნის ქვედარგის თვითღირებულების გაძვირების წინაპირობას.

მიუხედავად იმისა, რომ მაგისტრალური გზების ძირითად ნაწილს გააჩნია ასფალტის საფარი, მის მდგომარეობას საკმაოდ დიდ ნაწილში არ შეიძლება მიეცეს კარგი შეფასება. ამ გზებზე ღერძული დატვირთვა არ აღემატება 10ტ, ხოლო მოძრაობის საშუალო სიჩქარე მხოლოდ 60 კმ/სთ-ია, რაც არასაკმარისია ევროპულ სტანდარტთან შესაბამისობისათვის, რის გამოც სხვადასხვა მონაკვეთზე საგზაო მაგისტრალების გამტარუნარიანობა ძალზედ არათანაბარია /1000 - დან 7000 ავტომობილამდე დღე - ღამეში/. ეს არსებითად ზღუდავს ჩვენი ქვეყნის ავტოტრანსპორტის გამტარუნარიანობის საერთო პოტენციალს.

მსოფლიო ბანკმა 1996 წლიდან საქართველოს გზების განვითარებისათვის და დარგის რესტრუქტურიზაციისათვის გამოყო პირველი კრედიტი. აღნიშნული კრედიტი წარიმართა მოვლა-შენახვის სამუშაოებზე. ძირითადი აქცენტი აღებული იყო მაგისტრალებზე ორმული შეკეთების სამუშაოების ჩატარებაზე. ყველა სამუშაო ტარდებოდა ჩვენი ზედამხედველობით, მაგრამ კონტროლს აწარმოებდა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი. ფაქტობრივად ამ დროიდან მოხდა გარდატეხა სამუშაოების ხარისხის ამაღლებაში, მისი მაგალითია ის, რომ ამჟამად არც ერთი ორმო გეომეტრიული ფორმის და ბიტუმის წასმის გარეშე არ კეთდება.

ამავე პერიოდიდან მსოფლიო ბანკის კონსულტანტებმა შეისწავლეს დარგისა და საავტომობილო გზების მდგომარეობა. შესაბამისად დამუშავდა დარგის განვითარების პერსპექტივა და უშუალოდ მისი რეკომენდაციების საფუძველზე დაიწყო სრული რესტრუქტურიზაცია, რამაც მოიცვა ყველა სფერო. კერძოდ, დაიწყო პრივატიზაციის აქტიური პროცესი. დღევანდელი მდგომარეობით სარემონტო სამშენებლო საამმართველოები ყველა პრივატიზებულია და მხოლოდ საექსპლუატაციო სამმართველოების მცირე ნაწილი დარჩა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად სახელმწიფოს 100% - იანი წილით.

ყველა სახის სამუშაოები ამჟამად სრულდება ტენდერების წესით და მათ შორის გზების მოვლა შენახვის სამუშაოებიც. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების ტენდერის პრინციპით მუშაობას დეპარტამენტი შეუდგა 1999 წლიდან, რისთვისაც გზები დაიყო 12 ზონად, 10 ზონაზე გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაციები, თითოეული კონცესიისათვის განსაზღვრულია შესასრულებელ სამუშაოთა სახეობა და მათი სავარაუდო მოცულობები. თანხობრივად წელიწადში უნდა შესრულდეს 85,0 მლნ ლარის სამუშაოები.

კონცესიების მიერ გაწეულმა მუშაობამ გვიჩვენა, რომ ასეთი მეთოდით მუშაობა პროგრესულია, კერძოდ ხდება მანქანა-მექანიზმების, ბეტონის ქარხნების და ქვის სამსხვრევი დანადგარების რაციონალური გამოყენება.

განსაკუთრებული ეფექტი მოგვცა გზების მოვლა შენახვამ ზამთრის პერიოდში. ექსტრემალურ პირობებში დეპარტამენტის ჩარევის გარეშე ხდება საგზაო მექანიზმებისა და ქვიშა მარილის გადანაწილება.

მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე ოპერატიულად ხდება დაზიანებული ნაწილის შეკეთება, დაზიანებული დამცავი ნაგებობებისა და საგზაო ნიშნების აღდგენა. მაშინ, როდესაც ზემოთ ნახსენები სამუშაოების დაწყება და ქარხანა-დანადგარების გამოყენება 1999 წლამდე ხდებოდა დეპარტამენტის უშუალო დავალებით, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევდა დროის დაკარგვას და შესაბამისად იზრდებოდა ფინანსური დანახარჯები.

მართვის საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას ხელს უწყობენ ტექნიკური ზედამხედველები, რომლებიც აწარმოებენ კონცესიების მიერ შესრულებული სამუშაოების სისტემატურ კონტროლს და ადგილზევე იღებენ ყველა აუცილებელ გადაწყვეტილებას.

კონტრაქტების პრინციპით მუშაობის ძირითადი მიზანი გახლავთ მოვლა-შენახვის სამუშაოებისათვის გამიზნული სახსრებისა და საგზაო ტექნიკის რაციონალური გამოყენება, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-განვითარება, პერსპექტივაში კონკურენტუნარიანი

საგზაო ფირმების ჩამოყალიბება, რომელთაც თავიანთი კვალიფიკაციით და საბრუნავი კაპიტალით შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ტენდერით ჩატარებულ საგზაო სამუშაოებში.

ბოლო პერიოდში კარდინალური ცვლილებები მოხდა ინერტული მასალების და ასფალტ-ბეტონის დამზადების ტექნოლოგიასა და ხარისხში, რისთვისაც ძირითად ქვეყნებზე, საიდანაც ხდება საწარმოების ასფალტით უზრუნველყოფა, ჩატარდა ქვის სამსხვრევ დამამხარისხებელი დანადგარების გადაიარაღება, რამაც მოგვცა საშუალება ქვა - მასალა დაიმტვრეს 100%-ით, ხოლო მიღებულ ღორღს ჰქონდეს კუბური ფორმა. ქვიშაც ასევე მიიღება ქვის დამსხვრევის შედეგად. ბიტუმის გაცხელება ხდება ორთქლის მეშვეობით, ელექტროენერგიით მისი გაცხელება აღარ წარმოებს, რაც მკვეთრად აუმჯობესებს ბიტუმის ხარისხს.

ყოველივე ამან მოგვცა საშუალება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ვაწარმოოთ "ა" კლასის ასფალტობეტონი მაღალი ხორკლიანობით, რომელსაც გამოიყენებენ მსოფლიო ბანკის კრედიტებით ჩასატარებელ სამუშაოებში, ხოლო შემდეგში მთლიანად იქნება დანერგილი მაღალი ინტენსიობის გზებზე.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლიდან მსოფლიო ბანკის პროექტით იწყება ახალი პროგრამა, რომლითაც 157 კმ გზას ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, 282 კმ გზაზე მოეწყობა ზედაპირული დამუშავება, ხოლო სადრენაჟო სამუშაოები 470 კმ გზაზე. ახალი ხიდები აშენდება თბილისი — სენაკი - ლესელიძე საავტომობილო გზის 298 კმ ზე მდ. ცივზე და მცხეთა - ყაზბეგი ლარსის საავტომობილო გზის 57 კმ ზე მდ. სონდის ხევზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საავტომობილო გზები ყველა ქვეყნისათვის როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და სტატეგიული მნიშვნელობით ერთ - ერთი მომგებიანი დარგია და მით უმეტეს საქართველოსათვის, როგორც სატრანზიტო ქვეყნისათვის.

საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის სტატისტიკა მეტყველებს მის ინტენსიურ ცვეთაზე და დაბერე-

ბაზე, რის გამოც არსებითად მცირდება /5% წელიწადში/ ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა ძირითადად, კომერციული დანიშნულების მოძრავი შემადგენლობის ხარჯზე.

ამის ფონზე, ტექნიკურად გამართული ავტომობილების არაადეკვატური ზრდა /7 - 8% - ით წელიწადში/ ქმნის გადაზიდვების გაძვირებას, ეკოლოგიური და მოძრაობის უსაფრთხოების გაუარესების და, ყოველივე ამის შედეგად, უცხოელ გადამზიდველებთან კონკრეტულ ბრძოლაში პოზიციების შესუსტების წინაპირობას.

საავტომობილო მოძრაობის ინტენსიობის ანალიზი გვიჩვენებს მისი რიცხვიოი პარამეტრების საგრძნობ ზრდას. მსუბუქ ავტომობილებში უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ამ პარამეტრის წლიური ზრდის ტემპია საშუალოდ 5,1%. შესაბამისად - მოკროავტობუსებში 12,7%, ავტობუსებში 18,9%, ხოლო სატვირთო ავტომობილებში შეიმჩნევა კლება 18,5%-ით. ამასთან, ეს კლება ეროვნული გადამზიდველის უფრო მაღალი ხვედრითი წილით შემდგარი მცირეტვირთამწეობის ავტომობილების სექტორში უფრო მეტია /-29,5%/, ვიდრე უცხოური გადამზიდველების მიერ ფორმირებული მაღალი ტვირთამწეობის ავტომობილების სექტორში /-14,3%/.

მოძრაობის ინტენსიობის სიდიდეები საგზაო ქსელის უდიდეს ნაწილში მნიშვნელოვნად ნაკლებია მაგისტრალის გამტარუნარიანობასთან შედარებით, ანუ არსებობს მოძრაობის ინტენსიობის ზრდის რეზერვები.

სატრანზიტო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვების პროცესში არასატრანსპორტო გადასახადების შემცირების პრობლემის მიმართ მუდმივი ყურადღების მიუხედავად, საქართველოში დღესაც გადასახადის ჯამური ოდენობა აღემატება ჩვენი მეზობელი ქვეყნის - აზერბაიჯანის ანალოგიურ ჯამურ მაჩვენებელს.

ამავე დროს, ყველა სახის გადასახადები საავტომობილო სატრანზიტო გადაზიდვებისათვის გასული 3 წლის განმავლობაში შემცირდა - კონტეინერების მიხედვით 10,8%-ით, ხოლო გენერალური ტვირთების მიხედვით 6,8%-ით.

მიუხედავად ამისა, ასეთი საგადასახადო პოლიტიკა ეროვნული საავტომობილო გადაზიდვების დაბალი კონკურენტუნარიანობის პირობებში ეწინააღმდეგება ქვეყნის რეზიდენტ მეწარმეთა ინტერესებს, რადგან ხელს უწყობს, ძირითადად, უცხოელი მეწარმეების მიერ საავტომობილო გადაზიდვების გაიაფებას და სატრანზიტო ტვიროს გადაზიდვებში ართმევს საქართველოს რკინიგზასაც.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასაზღვრო-საბაჟო გადასასვლელებზე რეგისტრირებული ავტომობილების შედარება შემოსული და გასული ავტომობილების რაოდენობის მიხედვით გვიჩვენებს მნიშვნელოვან დისბალანსს /26%/, რაც აქ არსებული აღრიცხვიანობის სისტემის არასრულყოფილებაზე მიანიშნებს. ამ მიმართებით ყველაზე დიდი შეუსაბამობა ფიქსირდება შემოსული ავტომობილების სიჭარბის თვალსაზრისით ვალეს, ფოთის /ნავსადგური/, სარფის და ბათუმის /ნავსადგური/ გადასასვლელებზე, ხოლო გასული ავტომობილების სიჭარბის თვალსაზრისით წითელი ხიდის, ლაგოდეხის, ნინოწმინდის გადასასვლელებზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თურქეთიდან და ბორნებით შემოსული ავტომობილები ტრანზიტით კვეთენ საქართველოს ტერიტორიას აღმოსავლეთის მიმართულებით /აზერბაიჯანი, სომხეთი/ დ შემდეგ აღარ ბრუნდებიან უკან.

ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს ამ სფეროში აღრიცხვიანობის დაბალ დონეზე, რადგან საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული მოძრაობის ინტენსიობის ანალიზი გვიჩვენებს, ამ სასაზღვრო - საბაჟო გადასასვლელებზე რეალურად გატარებული ავტომობილების რაოდენობის რამოდენიმე რიგით მეტობას საბაჟო სამსახურის მიერ რეგისტრირებულ ავტომობილების რიცხვთან შედარებით.

<u>სარკინიგზო ტრანსპორტი</u>. რკინიგზის ტრანსპორტი ჩვენს ქვეყანაში უკვე 125 წელია ფუნქციონირებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, იგი არის ქვეყნის "სასიცოცხლო არტერია", რომელიც გადის ბუნებრივად შექმნილ დერეფანში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს აკავშირებს მეზობელ ქვეყნებთან /რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი; ახლო მომავალში დაგეგმილია საქართველო - თურქეთის რკინიგზის მშენებლობა/

და აზია ევროპის ე.წ. სატრანსპორტო დერეფნის ძირითადი ხერხემალია. თვითონ ქვეყნის შიგნით დიდია რკინიგზის ტრანსპორტის როლი ქვეყნის ეროიან სატრანსპორტო სისტემაში. რკინიგზის ტრანსპორტის განშტოებები და ხაზები შედის ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში, გარდა რამდენიმე მთიანი რაიონისა და ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებს.

საბჭოთა კავშირის პირობებში საქართველოს რკინიგზა შემადგენელი ნაწილი იყო ამიერკავკასიის რკინიგზისა, რომელიც აერთიანებდა ორ ქვეყანას საქართველოსა და სომხეთს და საკავშირო მასშტაბით ერთ-ერთი მოწინავე იყო. მის მუშაობაში სარკინიგზო ტვირთების გადაზიდვასთან ერთად განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა მგზავრების გადაყვანას ნაწილობრივ ტურიზმისა და, ძირითადად, საკურორტო ზონების სატრანსპორტო მომსახურების ხარჯზე. 1990 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე კურსირებდა დაახლოებით 130 წყვილი სამგზავრო მატარებელი. სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა ხორციელდებოდა საქართველოს რკინიგზის ყველა უბანსა და განშტოებაზე: თბილისი — ხაშური — ზესტაფონი — სამტრედია — ინგირი — სოხუმი — გაგრა - სოჭი; სამტრედია ბათუმი, ნატანები - ოზურგეთი, სენაკი - ფოთი, ოჩამჩირე -ტყვარჩელი; ინგირი — ზუგდიდი - ჯვარი; რიონი - ქუთაისი, ქუთაისი - ტყიბული, ზესტაფონი —ჭიათურა - საჩხერე; ხაშური — ბორჯომი — ახალციხე - ვალე; გორი ცხინვალი; თბილისი -გარდაბანი, თბილისი - თელავი, თბილისი - წნორი, თბილისი - დედოფლისწყარო და სხვა. იმ დროისათვის წლიური მგზავრთბრუნვა შეადგენდა 2,81 მლრდ მგზავრ.კმ - ს. განსაკუთრებით ინტენსიური იყო სამგზავრო მატარებელთა მოძრაობა ზაფხულის პერიოდში. რკინიგზით უზრუნველყოფილი იყო ათასობით ტურისტისა და დამსვენებლის ტრანსპორტირება საქართველოში იმდროინდელი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხიდან. მაღალ ტექნიკურ დონეზე ხორციელდებოდა სამგზავრო ბილეთების დაჯავშნისა და გაყიდვის ორგანიზაცია, სამგზავრო მატარებლებში საკმაოდ მაღალი იყო კომფორტის დონეც.

1990 - 1992 წლების პოლიტიკურად არასტაბილურმა მდგომარეობამ ჩვენს რკინიგზას და მის მეურნეობას მეტად დი-

დი ზარალი მიაყენა და თითქმის მთლიანად გამოიყვანა მწყობრიდან; გაიძარცვა სამგზავრო მატარებლების მოძრავი შემადგენლობა, დაინგრა მრავალი ნაგებობა და მოწყობილობა. სამწუხაროდ, ეს პროცესი თითქმის 1995 წლამდე გრძელდებოდა. 1995 წლიდან რკინიგზის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობის უშუალო ძალისხმევით, მართალია, ნელა, მაგრამ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა მაინც გამოსწორდა. ყურადღება გამახვილდა შემდეგ ფაქტორებზე: სამგზავრო მატარებლების მოძრავი შემადგენლობის აღდგენა შეკეთება /თუნდაც ნაწილობრივ/ უმოკლეს დროში; მგზავრთა მომსახურების ელემენტარული პირობების /საწყის ეტაპზე/ შექმნა და მისი დონის განუწყვეტელი ზრდა საერთაშორისო სტანდარტებამდე. რკინიგზით მგზავრთა გადაყვანა ტრანსპორტირებას სხვა სახეობებთან შედარებით მოძრაობის სიჩქარეების გაზრდის გამო უფრო ეფექტიანი გახდა. გარდა ამისა, ელექტრული და თბოწევის რაციონალური მეთოდების მაქსიმალური გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნა აგრეთვე რკინიგზის ლიანდაგების აღდგენისა და გაჯანსაღების სამუშაოების ინტენსიური ჩატარება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საშენი მასალების დეფიციტის დროს შეკეთდა და მწყობრში ჩადგა მრავალი სამგზავრო სადგური და გაგზალი /ფოთი, ლანჩხუთი, ქუთაისი, ზუგდიდი და სხვა/. დღეისათვის საქართველოს რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის სტაბილურობის კონტროლი განპირობებულია სამგზავრო მატარებლების მოძრაობის გრაფიკის დაცვით. საგარეუბნო და ჩვეულებრივი მატარებლების გარდა, ფუნქციონირება დაიწყეს საფირმო მატარებლებმა: "აჭარა", "გონიო", "ოდიში", "იმერეთი", "ფაზისი" და სხვა.

<u>სარკინიგზო გადაზიდვები</u>. საქართველოს რკინიგზის პარკი საკმაოდ მოძველებულია. მის შემადგენლობაში ჭარბობს 20 წელზე მეტი ხნის წინ წარმოებული როგორც გამწევი, ისე სავაგონო შემადგენლობა. აღსანიშნავია მის სტრუქტურაში ელექტროწევის უპირატესი წარმომადგენლობა, რაც პოზიტიურ მომენტად შეიძლება ჩაითვალოს, და, რომ არა განსაკუთრებული ზრუნვა მის ელექტრომომარაგებაზე ქვეყანაში არსებული

ელექტროენერგიის ქრონიკული დეფიციტის პირობებში, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა რკინიგზით გადაზიდვების საიმედოობა.

სატვირთო ვაგონების სტრუქტურაში, გარდა მაღალი ამორტიზების დონისა, აღსანიშნავია დისბალანსი არსებულ ტვირთნაკადთან მიმართებაში. კერძოდ, თუ მიმდინარე ტვირთნაკადის თითქმის 70,4%-ს შეადგენს თხევადი ტვირთები /ძირითადში, ნავთობი და ნავთობპროდუქტები/, მთლიანად სავაგონო პარკის მხოლოდ მესამედს /33,6%/ შეადგენენ ცისტერნები.

რკინიგზის ლიანდაგების საერთო სიგრძის 67,4% არის ერთხაზიანი. მოქმედი სიგნალიზაციის უმნიშვნელო ნაწილი მიეკუთვნება ავტომატურს /6,2%/ და ნახევრადავტომატურს /48,8%/, ტვირთზიდვის ინტენსიობის ზრდის პირობებში ეს გარემოება შეიძლება გახდეს მოძრაობის უსაფრთხოების დონის შემცირების მიზეზი.

სარკინიგზო ლიანდაგების ქსელი ძირითადად ელექტროფიცირებულია. ქსელის 11,0% სიგრძეზე დაწესებულია სიჩქარის სხვადასხვა შეზღუდვები.

ყოველივე ამის შედეგად მაქსიმალური ტექნიკური სიჩქარე საქართველოს რკინიგზაზე არ აღემატება 54,0 კმ/სთ ს, ხოლო სატვირთო მატარებლების სიჩქარე - 30,0 კმ/სთ - ს; მათივე კომერციული სიჩქარეა 22,2 კმ/სთ.

საერთო ტვირთზიდვის საკმარისად მაღალი ტემპით ზრდის ტენდენციის ფონზე უკანასკნელი 5 - 6 წლის განმავლობაში მკვეთრად იზრდება სატრანზიტო და მცირდება ადგილობრივი ტვირთების ხვედრითი წილი. ერთი მხრივ, ეს დადებითი მოვლენაა, რადგან ხდება განვითარების სწრაფი დინამიკა და მკაფიოდ იკვეთება სატრანსპორტო სექტორის გლობალური სატრანზიტო ფუნქცია. ამავე დროს, ამის შედეგად მცირდება დარგის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე, რადგან გარე ფაქტორებზე დამოკიდებულების ზრდა ამცირებს დარგის პოტენციურ სტაბილურობას.

აღსანიშნავია, რომ თუ აღგილობრივი ტვირთზიდვა საშუალოდ იზრდება 6,7% - ით წელიწადში, სატრანზიტო გადაზიდვების ზრდის ტემპი შეადგენს 33,0%-ს. ასეთი ზრდის ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში 5 წლის შემდეგ სარკინიგზო გადაზიდვები პრაქტიკულად მიაღწევს დაფიქსირებული პიკის

/1985 წლის/ ნიშნულს /40,4 მლნ.ტ./, მაგრამ ადგილობრივი გადაზიდვების წილი შემცირდება 16% - დან 6% - მდე, ხოლო სატრანზიტოსი - გაიზრდება თითქმის 94% ით და ამ ტენდენციით მისი ზრდის საშუალო წლიური ტემპი მიაღწევს 25 27%-ს.

1999 წლის მონაცემებით სარკინიგზო ლიანდაგის გამოყენების ეფექტურობის კუთრი პარამეტრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის 14 რესპუბლიკიდან დღეისათვის საქართველოს რკინიგზაზე უფრო დაბალი ეფექტურობა მხოლოდ ორ ქვეყანაში აღირიცხება მოლდოვაში და ტაჯიკეთში. ამასთან, ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლის - ესტონეთის დონის მიღწევის შემთვევაში, საქართველოს რკინიგზის მიერ 2000 წელს შესრულებული ტვირზიდვა გაიზრდებოდა 6,3 - ჯერ და მიაღწევდა /ტვირთის არსებობის შემთხვევაში/ 72,1 მლნ.ტ - ს, ხოლო საქართველოს რკინიგზის მაჩვენებლის თუნდაც საშუალო დონემდე /12,1 ათ.ტ/კმ/ გაზრდის შემთხვევაში - 22,6 მლნ ტ - ს.

მოყვანილი მონაცემები მკაფიოდ მეტყველებენ საქართველოს რკინიგზის ტვირთზიდვაში რამოდენიმე ძირითადი ტვირთის გამორჩეულ ადგილზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ჩასასხმელი ტვირთები - ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები /70,4%/. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ ტვირთნაკადში ხორბალს /5,8%/, შაქარს /2,5%/, აზოტის სასუქებს /2,5%/, და ფერადი ლითონის მადანს /7,1%/.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი ტვირთების 21 დასახელებიდან მხოლოდ 7 - ის დინამიკა არის უარყოფითი ყველა დანარჩენი ხასიათდება ზრდის მდგრადი ტენდენციით.

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს საერთაშორისო გადაზიდვების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას /21,5%/, რაც გამოწვეულია ძირითადად ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებით /23,4%/. ამავე დროს, ხდება იმპორტის უმნიშვნელო /1%/ და ექსპორტის მნიშვნელოვანი /23,1%/ ზრდა, რაც უდავოდ დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს, რადგან ოავისებურად მიანიშნებს ეროვნული ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის დასაწყისზე.

ტრანსპორტის უფრო აქტიური გამოყენების პირობებში დისონანსად იკვეთება ბენზინის /-16,3%/, დიზელის საწვავის /-50%/ და მაზუთის /-98,6%/ სატრანზიტო გადაზიდვების შემცირება ამ ნავთობპროდუქტების ტრადიციულად იმპორტიორი ქვეყნებიდან.

საქართველოს რკინიგზით გადაზიდული თითქმის ორი ასეული /192/ დასახელების ტვირთებიდან სახეობათა 10,3% - ის მოცულობა დავიდა 0 - მდე, ხოლო 26,4% - სა - მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც ჯამში შეადგენს 36,7% - ს, ანუ მესამედზე მეტს. ამასთან, მნიშვნელოვნად მცირდება ეროვნული ეკონომიკისათვის საექსპორტო ტვირთები - ცემენტი, თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი, ფეროშენადნობი, ფოლადის ნამზადი, ბუნებრივი ქვა და თიხა, ქსოვილები, ტექსტილი, საკვები კონცენტრატები, შავი ლითონის ნაგლინი და ნაკეთობები, წვენები და მრავალი სხვა.

რიგ სახეობათა მიხედვით მნიშვნელოვნად შემცირდა სატრანზიტო ტვირზიდვა - ახალი ხილი და კენკროვანი, თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი, ფოლადის ნამზადი, ნავთი, ნახშირწყალბადები, სამშენებლო თიხა და ქვიშა, ფერადი ლითონის ნაკეთობები, შაქარი, შავი ლითონის ნაგლინი და ნაკეთობები, სპირტი და მისი ნაწარმი, შხამქიმიკატები, მარცვლეული, წვენები, ხორცის მრეწველობის პროდუქცია და ა.შ.

ანალიზი მეტყველებს ტვირთების სატრანზიტო ნაკადების მნიშვნელოვან უთანაბრობაზე დსთ ს ქვეყნების მიხედვით. კერძოდ, ტვირთნაკადი საქართველოს /13,3%/ გარდა, მოდის 9,4%- სომხეთზე, 74,0% - აზერბაიჯანზე /შეიცავს "შევრონის" ნავთობს/, 1,5% - თურქმენეთზე, 1,5% - უზბეკეთზე და დანარჩენი /0,3% / - სხვა აზიურ ქვეყნებზე.

აღნიშნული სტრუქტურის ბოლო 2 წლის დინამიკა გვიჩვენებს, რომ საქაროველოს წილი მცირდება / იყო 15,9%, გახდა 13,3% /, სომხეთის წილი პრაქტიკულად უცვლელია, აზერბაიჯანის წილი /ძირითადად "შევრონის" ნავთობის ხარჯზე/ გაიზარდა /იყო 70,4%, გახდა 74,0% /, ხოლო თურქმენეთის /იყო 2,1%, გახდა 1,5%/, უზბეკეთის /იყო 1,8%, გახდა 1,5%/, ტვირთნაკადი მცირდება. ამავე დროს, მცირედი მოცულობით გაჩნდა

ახალი მიმართულების ტვირთნაკადი ყაზახეთიდან /0,1%/, ტაჯიკეთიდან /0,2%/ და ირანიდან /0,1%/.

რეჟიმის მიხედვით საქართველოს იმპორტი და ექსპორტი თითქმის თანაბარია /1999 წელს იმპორტი აღემატებოდა ექსპორტს 35,3% ით/, სომხეთში მნიშვნელოვნად /5,2 - ჯერ/ ჭარბობს იმპორტი /1999 წელს ეს შეფარდება იყო 5,7-ჯერ, ხოლო ბრუნვა 28,7%-ით ნაკლები/, აზერბაიჯანში მკვეთრად ჭარბობს ექსპორტი /7,4-ჯერ/. ირანის ტვირთნაკადი უფრო მეტად იმპორტზეა ორიენტირებული.

კუთრი მაჩვენებლების მიხედვით, კერძო მშრალი ტვირთების გადაზიდვისას 1 ტ.კმ ტარიფით მთელ ამ მარშრუტზე ყველაზე მაღალი ტარიფი ახასიათებს საქართველოს /0,023 ტ/კმ/, რომელიც ამ მაჩვენებლის მიხედვით 27,8%-ით აღემატება აზერბაიჯანის და თურქმენეთის, 53,3%-ით უზბეკეთის და 109%-ით ყაზახეთის შესაბამის მაჩვენებელს. ანალოგიური მდგომარეობაა თხევად ტვირთებშიც, სადაც საქართველოს რკინიგზით თხევადი ტვირთის გადაზიდვის 1 ტ.კმ-ის ღირებულება /0,021 ტ.კმ/ აღემატება აზერბაიჯანის /5,0%-ით/, თურქმენეთის /5,0%-ით/, უზბეკეთის /31,3%-ით/ და ყაზახეთის /75,0%-ით/ ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ოდნავ განსხვავებული სიტუაცია შეიქმნა კონტეინერების გადაზიდვაში, სადაც ყველაზე მაღალი ტარიფი გამოიყენება აზერბაიჯანში /0,347 დოლარი ტ.კმ/, რომელთან შედარებით საქართველოს /-26,2%/, თურქმენეთის /-13,8%/, უზბეკეთის /-59,9%/ და ყაზახეთის /-116,9%/ ტარიფები დაბალია, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რკინიგზით კონტეინერების გადაზიდვის ხვედრითი წილი საერთო მოცულობაში უმნიშვნელოა /4,2%/.

ასეთი სურათი დიდ წილად იმის გამო შეიქმნა, რომ საქართველოს რკინიგზის ტარიფები, პრაქტიკულად, ყოველწლიურად იზრდებოდა, კერძოდ:

> 1996 წელს "სერახსის" ხელშეკრულების ამოქმედებით ტარიფები შემცირდა ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე საშუალოდ 63% - ით, კონტეინერებზე 50% - ით, მშრალ ტვირთებზე - 25% - ით.

1997 წელს - საქართველოს რკინიგზის მარეგულირებელი კოეფიციენტის 2-ჯერ გაზრდით და შემდგომ განახორციელებით დაფიქსირდა "სერახსის" ხელშეკრულების ამოქმედება და ამავე დროს ტარიფების დონე უცვლელი დარჩა;

დსთ - ს სატარიფო კონფერენციამ გამოიტანა ტარიფებიდან დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი), რის შედეგადაც ტარიფები უნდა შემცირებულყო 20%-ით, მაგრამ რეალურად ეს არ მოხდა, რადგან რკინიგზამ 20% - ით გააძვირა ტარიფები;

"საგადასახადო კოდექსში" ცვლილებების გამო ტარიფები გაიზარდა 20%-ით;

აშშ დოლარის შეფარდება შვეიცარულ ფრანკთან შეიცვალა საკურსო რხევების გამო და შედეგად ტარიფები გაიზარდა 11%-ით;

1998 წელს - საქართველოს პირობებიდან გამომდინარე სატრანზიტო ტვირთებისათვის გადაზიდვების დამატებითი კოეფიციენტის გამოყენებამ 20%-ით გაზარდა ამ მიმართულების ტარიფები;

უნივერსალურ მოძრავ შემადგენლობაზე წონითი შემასწორებელი კოეფიციენტის გამოყენებამ 15% - ით გაზარდა ტარიფი;

აშშ დოლარის შვეიცარულ ფრანკთან შეფარდებამ შეცვალა სავალუტო კურსის რხევა და შედეგად შეამცირა რკინიგზის რეალური ტარიფი 7%-ით;

1999 წელს - სატარიფო პოლიტიკის მოქმედების პირველ 6 თვეში ტარიფების დონე გაიზარდა 8%-ით;

მომდევნო 6 თვეში კურსის უცვლელად შენარჩუნების პირობებში საქართველოს რკინიგზამ რეალურად არ გაზარდა ტარიფი. დსთ - ს სხვა ქვეყნებმა კი დაიცვეს მათ შორის არსებული მოლაპარაკებები და შეამცირეს თავისი ტარიფები 9%-ით;

2000 წელს ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე მაკორექტირებელი კოეფიციენტის გაზრდამ გამოიწვია ამ სახეობის ტვირთზე ტარიფების 8%-ით გადიდება.

რკინიგზის საერთო ტვირთზიდვის მიხედვით მოყვანილი მონაცემები მეტყველებენ, ერთი მხრივ - რკინიგზის საკმარისად მნიშვნელოვან წილზე /60,8%/ სატრანსპორტო დერეფანში განხორციელებულ სატრანზიტო ტვირთზიდვაში, ხოლო მეორე მხრივ - მის ძლიერ კონკურენციაზე მილსადენი ტრანსპორტის მხრიდან.

ამავე დროს, არის საერთაშორისო გადაზიდვების ჯამურ მოცულობაში სატრანზიტო ტვირთზიდვის ხვედრითი წილის აშკარად გამოხატული ზრდის ტენდენცია. გარკვეულ ინტერესს იმსახურებს ის გარემოებაც, რომ საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელებული გადაზიდვების ხვედრითი წილი საერთო გადაზიდვებში სწრაფი ტემპით მცირდება და 2000 წლის მონაცემებით შეადგინა მხოლოდ 8,5% /ნაცვლად 21% - სა 1998 წელს/.

საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანში საკონტეინერო ბრუნვის სტრუქტურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი საერთო მოცულობის 55,7% მოდის ქვეყნის ექსპორტ იმპორტულ ბრუნვაზე, დანარჩენი კი - არის სატრანზიტო, რომ საქართველოში საკონტეინერო ბრუნვის ექსპორტი თითქმის 2 - ჯერ აღემატება იმპორტს, ხოლო სატრანზიტო ტვირთზიდვის მთლიან მოცულობაში სიტუაცია საპირისპიროა - იმპორტი 3 ჯერ აღემატება ექსპორტს.

საკონტეინერო ბრუნვაში აშკარად ჭარბობს 40 - ფუტიანი კონტეინერები /1,6 - ჯერ/, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თუ საქართველოში იმპორტ - ექსპორტის რეჟიმით განხორციელებულ საკონტეინერო ბრუნვაში სავსე კონტეინერების წილი შეადგენს 61,0% - ს, სატრანზიტო ბრუნვაში ეს წილი გაცილებით მაღალია და აღწევს 97,6% - იან დონეს, ანუ კონტეინერები აქ უფრო რაციონალურად გამოიყენება და ეს მაჩვენებელი ბევრი მოწინავე ქვეყნისათვის მისაღწევია.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კონტეინერების ძირითადი ნაწილი /95,3%/ ჩაბმულია ამ ბრუნვაში საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებით, ანუ რკინიგზა, პრაქტიკულად, არ გამოიყენება /4,7%/ გადაზიდვის ამ პროგრესულ ფორმაში. მთლიანობაში საკონტეინერო ბრუნვის მოცულობა ქვეყანაში

განხორციელებულ საერთო ტვირთბიდვაში ძალიან უმნიშვნელოა - 1,1%.

სატრანზიტო ტვირთბრუნვა ძირითადად კონცენტრირებულია ტვირთების სულ ოციოდე ძირითად სახეობათა მიხედვით, რომელთა შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უკავია ნედლ ნავთობს /41,6%/, დიზელის საწვავს /14,8%/, მაზუთს /10,6%/ და ფერადი ლითონების მადანს /8,0%/. ამ ძირითადი ტვირთების ჯამური წილი შეადგენს მთელი ამ ბრუნვის 75%-ს.

მთელ ტრანზიტში ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება - რკინიგზით გადაზიდული, ან ნავსადგურებში გადამუშავებული ტვირთების მოცულობითი მაჩვენებლების დისბალანსი - ნავსადგურებში გადამუშავებულია მეტი ტვირთები, ვიდრე შესულია იქ რკინიგზით.

ეს დისბალანსი ყველაზე გამოკვეთილად არის გამოხატული ისეთი "დამკვიდრებული" ტვირთების მიხედვით, როგორიც არის: ბენზინი /55,6%/, ხორბალი /86,7%/, შავი ლითონების ჯართი /14,9%/, ბუნებრივი ქვა /30%/, ხორცის მრეწველობის პროდუქცია /58,7%/ და ა.შ.

შედარებამ მნიშვნელოვანი განსხვავება გამოავლინა რკინიგზის მონაცემების და ამ ტვირთების ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში გადამუშავებულ მოცულობებს შორის, რომელიც სცილდება საშუალო სტატისტიკური ცდომილების ზღვარს. კერძოდ, ეს განსხვავება დაფიქსირდა შემდეგ სახეობათა ტვირთების მოცულობების აღრიცხვაში: დიზელის საწვავი 69 ათ.ტ., მაზუთი - 30 ათ.ტ., ნავთი - 291 ათ.ტ., ხორბალი 85 ათ.ტ., აზოტის სასუქი 70 ათ.ტ., შავი ლითონის ჯართი 682 ათ.ტ., ბუნებრივი ქვა 57 ათ.ტ., ხორცის მრეწველობის პროდუქცია - 40 ათ.ტ. და ა.შ.

<u>საზღვაო ნავსადგურები.</u> ბათუმის ნავსადგურის ძირითადი ტექნიკურ - ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი ავლენს მაოი გაუმჯობესების და ზრდის საერთო ტენდენციას. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია თვითღირებულების შემცირება.

ამავდროულად, დაუშვებლად მაღალ მნიშვნელობას აღწევს რენტაბელობა, რაც ძირითადად უნდა აიხსნას ტარიფების საკმაოდ მაღალი დონით.

უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა ნავსადგურის სპეციალიზება ჩასასხმელ ტვირთებზე, პირველ რიგში, ნავთობის გატარებაზე, რომლის ხვედრითი წილი საერთო ბრუნვაში შეადგენს 86,9% ს. ამასთან უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ნაყარი ტვირთების გადამუშავება შემცირებულია 8,9% - ით, გენერალურ ტვირთებში ზრდის ტემპები შეადგენს საშუალოდ 18,9% ს, ხოლო სხვა ჩასასხმელ ტვირთებზე - 29,6% - ს.

ყურადღებას იქცევს ლითონის და ლითონნაკეთობების /ჯართის/ გადამუშავების ზრდის ძალიან მაღალი ტემპი - თითქმის 40 - ჯერ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში.

თუ გავაანალიზებთ არსებულ ტვირთნაკადს საბაჟო რეჟიმის მიხედვით, საქართველოს ტვირთბრუნვაზე მოდის "ტრასეკას" საერთო ექსპორტის 61,1%, აზერბაიჯანზე /ყაზახეთის "შევრონის" ნავთობთან ერთად/ 32,8%, ანუ საერთო ექსპორტის 93,9% მოდის ამიერკავკასიის ამ ორ ქვეყანაზე. სასომხეთი ძირითადად იმპორტის რეჟიმში მუშაობს.

ბათუმის ნავსადგურის პოტენციალური შესაძლებლობები, ძირითადად, გამოუყენებელია /გარდა სპეციალიზებული პირველი ნავმისადგომისა/. საშუალოდ ნავმისადგომების გამტარუნარიანობა აითვისეს მხოლოდ 26,8% - ით.

ბათუმის ნავსადგურში გადამუშავებული ტვირთების ძირითადი ნაწილი, როგორც აღინიშნა, არის ჩასასხმელი ტვირთები - ნავთობი და ნავთობპროდუქტები. მათი გადამუშავების მოცულობები ყოველწლიურად იზრდება საკმაოდ მაღალი ტემპით /თითქმის 30% წელიწადში/.

გადამუშავებული თხევადი ტვირთების ძირითადი ნაწილია ნედლი ნავთობი /60,1%/, ბენზინი /10,3%/, დიზელის საწვავი /14,9%/ და მაზუთი /14,7%/.

გადამუშავებული ტვირთების სტრუქტურული ანალიზი დინამიკაში ქვეყნების მიხედვით გვიჩვენებს, რომ თუ 1998 წელს აქ გადამუშავდა ტვირთები 4 ქვეყნის მიმართულებით, 1999 წელს ეს რიცხვი გაიზარდა 8 - მდე, ხოლო 2000 წელს – 10 - მდე.

აქ გადამუშავებული ტვირთების უმრავლესობა მოდის საქართველოს ექსპორტ - იმპორტზე 143,2 ათ.ტ. და აზერბაიჯანზე /ბოქსიტები 187,5 ათ.ტ/. დანარჩენი ქვეყნების მიმართულებით ტვირთბრუნვა შემოიფარგლება 1 - 2 სახეობით და 1 - 2 მცირე წყალწყვის გემის მოცულობით.

მთლიანობაში ბათუმის ნავსადგურში გადამუშავებული მშრალი ტვირთებიდან მოცულობის მიხედვით შეიძლება მხოლოდ შაქრის და ფქვილის გამოყოფა.

აღსანიშნავია, რომ ესოდენ შეზღუდული ნომერკლატურით ტვირთების გადამუშავებაც ხორციელდებოდა სულ 2 - 3 საააგენტო ფირმის მეშვეობით, რომლებიც ტრადიციულად მუშაობენ ამ ნავსადგურთან.

ნავსადგურის წარმატებული მუშაობის მაჩვენებლების საერთო ფონზე, აქ მკაფიოდ არის გამოხატული მარკეტინგული მუშაობის სისტემურობის, მოქნილი სატარიფო პოლიტიკის წარმართვის და ტვირთების მოსაზიდად თანმიმდევრული მუშაობის წარმართვის პრობლემა.

ფოთის ნავსადგურის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა ასახავს მათი თანმიმდევრული ზრდის ტენდენციას /გარდა საკონტეინერო გადაზიდვებისა/.

ამავე დროს, ყურადღებას იპყრობს რამოდენიმე გარემოება - სტაბილურია თვითღირებულება შემოსავლების მიხედვით. ბოლო ორი წლის განმავლობაში შემოსავლები გაიზარდა 60,0% - ით /ტვირთბრუნვა 45,6%/, ხოლო საბიუჯეტო შენატანები კი - მხოლოდ 11,1% - ით, ანუ 5 - ჯერ უფრო ნაკლებად. მუდმივია რენტაბელობაც ასეთ ვითარებაში /თვითღირებულების გაჯერებული დონის პირობებში/, ვინაიდან შემოსავლების და საბიუჯეტო გადასახადების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

ცალკე ყურადღების ღირსია თავად მაღალი რენტაბელობის პარამეტრი, რომელიც მერყეობს 35 - 37%-ის ფარგლებში.

ფოთის ნავსადგურის პოტენციალური შესაძლებლობები ძირითადად გამოყენებულია /გარდა საკონტეინერო ტერმინალისა/. ამასთან, ნავმისადგომების გამტარუნარიანობა /გარდა №7 სა/ გამოიყენება საშუალოდ 42,8% - ით, ანუ არსებობს სიმ-

ძლავრის მნიშვნელოვანი პოტენციალური რეზერვები ტვირთბრუნვის გასაზრდელად.

ნავსადგურში ტვირთბრუნვის დინამიკა მთლიანობაში დადებითია ტვირთების სახეობათა უმრავლესობის მიხედვით. ამასთან, ზოგიერთი ტვირთების მიხედვით /მაგალითად, ფქვილი, შაქარი, კონტეინერები, ლითონის კონსტრუქციები, მილები, ბენზინი/ აღინიშნება ბრუნვის კლება.

მოყვანილი მაჩვენებლები მეტყველებენ საკონტეინერო ტექნოლოგიების პროგრესული ფორმით გადამუშავებული ტვირთების მოცულობის შემცირებაზე. ამასთან, ამ ბრუნვის არსებითი კლება შეიმჩნეოდა 1999 წელს, და ამის გამოსწორება ვერც 2000 წელს მოხერხდა. მთლიანობაში, საერთო მოცულობაში საკონტეინერო ტვირთების ხვედრითი წილი არ აღემატება 10,8% - ს, რაც თანამედროვე პროგრესული სატრანსპორტო ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით მეტად სერიოზულ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ - განსაკუთრებით საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრირებისათვის.

უკანასკნელი პერიოდში აქ ყველა სახის ნავთობპროდუქტების იმპორტი შემცირდა. აღნიშნული ტენდენცია - განსაკუთრებით იმპორტირებული ბენზინისა და დიზელის საწვავის ბრუნვების /შესაბამისად 30,0% - მდე და 20,1% - მდე/ შემცირება - მოითხოვს მთლიანად ქვეყანაში იმპორტირებული საწვავის დაბალანსებას და შემცირების მიზეზების გადამოწმებას კონტრაბანდული ბრუნვების შესაძლებლობათა გამოსარიცხავად.

2000 წლის განმავლობაში ფოთის ნავსადგურში გადამუშავდა 3,6 მლნ ტ. ტვირთი, რაც 44% - ით აღემატება 1998 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ქვეყნების რაოდენობის მიხედვით ფოთის ნავსადგურში გადამუშავებული ტვირთების გეოგრაფია 15 ქვეყნიდან /10 ათ. ტონიანზე მეტი გემშემოსვლით/ 1998 წელს, 2000 წელს გაიზარდა 20 ქვეყნამდე, ხოლო მცირე ბრუნვების /10 ათ. ტონიანზე გემშემოსვლით/ მქონე ქვეყანათა რაოდენობა /18/ ამ პერიოდში სტაბილურია.

ტვირთბრუნვის საერთო მოცულობის 10% ზე მეტი ხვედრითი წილის მიხედვით შეიძლება გამოიყოს: თურქეთი /24,4%/, უკრაინა /10,7%/, იტალია /14,5%/, და რუმინეთი /10,4%/. აღსანიშნავია აქ მომხდარი ცვლილებები თურქეთის

ხვედრითი წილი გაიზარდა 19,7% დან 1998 წელს 24,4% მდე 2000 წელს, უკრაინის - 7,7% - დან 10,7% - მდე, იტალიის - 11,2% - დან 14,5% - მდე. ყველა ეს მატება, ძირითადად, განხორციელდა ბულგარეთის ხვედრითი წილის შემცირების ხარჯზე /16,9% დან 7,1% - მდე/. საბაჟო რეჟიმის მიხედვით ტვირთნაკადების დიფერენცირებამ აჩვენა, რომ თურქეთი ძირითადად საქართველოს იმპორტზე მუშაობს, უკრაინამ მეტნაკლებად დააბალანსა თავისი ბრუნვები, იტალიამ საქართველოს ექსპორტული ნაკადები საპირისპიროზე შეცვალა და ა.შ.

სუფსის ნავსადგურში გემების მოძრაობის ანალიზით ფიქსირდება ორი არსებითი გარემოება. ეს ნავსადგური უკვე შევიდა სტაბილური ექსპლუატაციის რეჟიმში და საშუალოდ ყოველ 10 დღეში აქ იტვირთება მსხვილტონაჟიანი ტანკერი /საშუალოდ 122 - 125 ათასი ტონა ტვირთტევადობით/.

ამასთან, ტერმინალის გახსნის დღიდან /1999 წლის 17 აპრილი/ დღემდე აქ დამუშავებული გემების მომსახურებიდან ქვეყნის ბიუჯეტში არაფერი შემოსულა.

მოყვანილი მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ ევრაზიის დერეფნის რეალური არეალი ჯერჯერობით ამიერკავკასიით შემოიფარგლება /"შევრონის" ნავთობის გათვალისწინების გარეშე/. უფრო მეტიც, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ამ რეგიონის ტვირთების ხვედრითი წილი თანმიმდევრულად იზრდება, რაც მეტყველებს სატრანსპორტო დერეფნის არეალის შევიწროვებაზე. პრაქტიკულად, შუა აზიის რეგიონიდან /ყაზახეთის "შევრონის" ნავთობის გარდა/ მხოლოდ უზბეკეთს და თურქმენეთს გააჩნიათ მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ტვირთზიდვა /2,1% და 0,7%/.

<u>"ტრასეკას" არეალის სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი.</u> საბაზო ტარიფების შედარება შავი ზღვის სხვადასხვა ნავსადგურებთან მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ნავსადგურებში გემების მომსახურებისათვის გადასახდელი თანხა მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ნავსადგურებში ჯამურ გადასახდელს, მ.შ. ილიჩევსკის - 11,1%, სოჭის - 22,1%, ნოვოროსიისკის /ჩვენი ძირითადი კონკურენტი/ 31,1%, ტუაფსესი 33,3%, ხოლო ოდესისას - 92,8%-ით. ამით მცირდება საზოგადოდ დერეფნის

კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად გამოიყენება მისი პოტენციალი.

არსებული მონაცემების ანალიზით გამოიკვეთა "ტრასეკა"-ს დერეფნისათვის პოტენციურად დაკარგული ტვირთნაკადის საერთო მოცულობა და მისი სტრუქტურა ტვირთების სახეობებისა და ქვეყნების მიხედვით. მათი მოცულობა ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების მიხედვით ჯამში შეადგენს 14,3 მლნ ტონას, რაც გაშიფრულია ტვირთების ცალკეული გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით. ხვედრითი წილის თვალსაზრისით ყველაზე დიდი პოტენციალური დანაკარგები გაგვაჩნია ნედლი ნავთობის /6,2 მლნ .ტ/, ნავთობპროდუქტების /1,0 მლნ .ტ/, ბამბის /0,8 მლნ.ტ/, სასურსათო პროდუქტების /0,7 მლნ .ტ/ და მარცვლეულია /0,5 მლნ .ტ/ მიხედვით – და, თუ აღნიშნული მშრალი ტვირთების გადასამუშავებლად საქართველოს ნავსადგურებში სიმძლავრეთა დიდი რეზერვი გაგვაჩნია, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ხსენებულ მოცულობათა მხოლოდ ბათუმის ნავსადგურში დამატებითი მოზიდვით, ამ ტვირთებისათვის აქ არსებული სიმძლავრეების პრაქტიკულად 90 - 95% იქნებოდა ათვისებული.

<u>საპაერო გადაზიდვები</u>. არსებულ მონაცემთა ბაზიდან ირკვევა საპაერო გადაზიდვებში ეროვნული გადამზიდველის წილის შემცირების ტენდენცია, რომლის ხვედრითი წილი მგზავრთზიდვაში შემცირდა 47,1% დან 1998 წელს 39,8% - მდე 2000 წელს, რაც აშკარად მიანიშნებს ეროვნული გადამზიდველის პოზიციების დათმობაზე უცხოელ გადამზიდველებთან კონკურენტულ ბრძოლაში. სერიოზული ვითარება შეიქმნა შიდა ბაზარზე, სადაც 1998 წელს აქტიურად მოქმედი 12 კომპანიის ნაცვლად 2000 წელს ფუნქციონირებდა მხოლოდ 4 კომპანია.

გაძლიერდა შიდა ბაზრის მონოპოლიზირების ტენდენციები, თუ 1998 წელს შიდა ბაზრის ყველაზე დიდი სეგმენტის მფლობელი სახელმწიფო კომპანიის წილი შეადგენდა 20,5%-ს და იგი უსწრებდა მის უახლოეს კონკურენტს 15,1% - ით, 2000 წლისათვის შიდა ბაზრის უკვე 90,5% ეკუთვნის უმსხვილეს ავიაკომპანია "აირზენას" და იგი უსწრებს მის უახლოეს კონკურენტს 85,7% -ით.

დასკვნები. 1. ქვეყნის სატრანსპორტო ფუნქცია, კერძოდ, ტვიროზიდვის მიხედვით საკმარისად მაღალი ინტენსივობით /23,4%/ ხასიათდება ძირითადად, კასპის რეგიონის ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების ზრდის ხარჯზე.

2. იზრდება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალიც /23,2%/, რაც მეტყველებს ეროვნული ეკონომიკის კრიზისული ფაზის დასრულებაზე და ეკონომიკური ზრდის ფაზაში გადასვლის პირველ ნიშნებზე.

3. სატრანსპორტო სექტორის განვითარების ტემპები მეტყველებს მისი შემდგომი ინტენსიური განვითარების რეზერვების არსებობაზე, რომელთა ამოქმედება არ მოითხოვს მნიშვნელოვანი დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას.

თავი XII. კავშირგაბმულობა

<u>კავშირგაბმულობის არსი და განვითარება.</u> კავშირგაბმულობა მატერიალური წარმოების დარგებს განეკუთვნება და დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა მრავალწყობიან საკუთრებაზე. კავშირგაბმულობას, ისე როგორც ტრანსპორტს, ახასიათებს მრეწველობის დარგების ყველა ნიშან-თვისება.

კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებას დიდი ხნის ისტორია აქვს; იგი ცივილიზაციის ადრინდელი პერიოდიდან იწყება. ადამიანთა შრომითი საქმიანობისა და ცხოვრების პირობების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა კავშირგაბმულობის საშუალებებიც.

კავშირგაბმულობის ერთ - ერთი უძველესი დარგია „ფოსტა", რომელსაც ჯერ კიდევ X საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, თუმცა, რუსეთში მისი დაარსების ოფიციალური თარიღი 1665 წელია, ხოლო ფუძემდებელი - მაშინდელი გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ათანასე ორდინ - ნაშჩოკინი. შემდგომ პერიოდში კავშირგაბმულობის განვითარება დაკავშირებულია პეტრე პირველის სახელთან, რომელმაც პირველმა დაარსა ფოსტამტები, საფოსტო კანტორები, და შემოიღო „პოჩტმეისტერის" თანამდებობა.

პირველი საფოსტო კანტორა ქ. თბილისში გაიხსნა 1805 წელს, რომელიც XIX საუკუნის 30 - იან წლებში გადაკეთდა საოლქო კანტორად და მის დაქვემდებარებაში შედიოდა პირველი და მეორე კლასის რამოდენიმე საძაზრო კანტორა.

ოფიციალური მონაცემებით, მეფის რუსეთში 1913 წლისათვის ფუნქციონირებდა 13 ათასი კავშირგაბმულობის საწარმო, რომლებიც განლაგებული იყო „მსხვილ" სამრეწველო გარეუბნებში და თითქმის არ უწევდნენ მომსახურებას სოფლის მოსახლეობას.

კავშირგაბმულობის შემდეგი დარგის - ტელეგრაფის დაარსების ოფიციალური თარიღი 1855 წლის 12 აპრილია, როცა გაიხსნა პირველი სატელეგრაფო კავშირი პეტერბურგ მოსკოვს შორის. ამ საქმეში დიდი წყლილი შეიტანეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა პ. შპილინგმა და შ. იაკობმა.

ჩვენს რესპუბლიკაში პირველად სატელეგრაფო კავშირი დამყარდა თბილისსა და ფოთს შორის /1860 წ. /, ხოლო შემდეგ თბილისსა და კოჯორს შორის /1858 წ./.

1863 წელს დაიწყო სატელეგრაფო ხაზის მშენებლობა თბილისიდან რუსეთის მიმართულებით და გაიხსნა დუშეთის სატელეგრაფო სადგური, რომლის დახმარებით საქართველო დაუკავშირდა რუსეთის მსხვილ სამრეწველო გუბერნიებს /ქალაქებს/. 1868 წელს დამყარდა სატელეგრაფო კავშირი ამიერკავკასიის ქალაქებთან - ბაქოსთან, ნუხასთან, შემახასთან და სხვა.

1881 წელს საფუძველი ჩაეყარა სატელეფონო კავშირს. 1882 წელს პირველი საქალაქო სატელეფონო სადგურები ამოქმედდა პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესასა და რიგაში, რომლებიც უცხოელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდა. 1886 წელს კი ქ. კიევში საექსპლუატაციოდ გადაეცა პირველი სამამულო სატელეფონო სადგური.

საქართველოში პირველ საქალაქო სატელეფონო სადგურს XIX საუკუნის ბოლოს ჩაეყარა საფუძველი. 1902 წელს თბილისში ამოქმედდა ათასნომრიანი ხელით მომსახურე სატელეფონო სადგური, რომელიც ძირითადად სახელმწიფო დაწესებულებებს ემსახურებოდა. საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური ამოქმედდა 1885 წელს, რომელიც 1890 წელს გადაკეთდა მთავრობის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურად.

1895 წელს რადიომიმღების გამოგონებამ საფუძველი ჩაუყარა რადიოსადგურების მშენებლობის იდეას. 1909 წელს დაიწყო რადიოსადგურების მშენებლობა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ზღვაში მყოფი ხომალდების მომსახურება.

<u>კავშირგაბმულობის ქსელის აგება და განლაგება.</u> კავშირგაბმულობის ქსელი საინფორმაციო ბაზის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო ნაკადების გადაცემასა და განაწილებას. თანამედროვე პირობებში ცხოვრება შეუძლებელია აუცილებელი ინფორმაციის მიღებისა და განაწილების გარეშე, რომელ'შიც ასახვას პოულობს საზოგადოებრივი კვლავწარმოებისა და ადამიანთა შორის ურთიერთობის ყველა პროცესი.

კავშირგაბმულობის ნაგებობებისა და მოწყობილობებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს მიეკუთვნება ინფორმა-

ციის გადაცემის ფუნქციის შესრულება, მიუხედავად ინფორმაციის ხასიათისა /საწარმოო, საყოფაცხოვრებო, თუ სამმართველო/ ინფორმაციის სახეების, მათი ფიზიკური არსისა და განაწილების ხასიათის მიხედვით კავშირგაბმულობის დარგი ორ სახედ იყოფა:

საფოსტო კავშირად, რომელიც ინფორმაციას გადასცემს მატერიალური ობიექტების /საფოსტო გზავნილების/ სახით;

ელექტრულ კავშირად, რომელიც ნებისმიერი სახის ინფორმაციას /სიტყვა, ტექსტი, მოძრავი ან უძრავი გამოსახულება, ნიშნები და სხვა/ გადასცემს ელექტრული სიგნალებით სხვადასხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობათა მეშვეობით.

საფოსტო კავშირის ქვედარგი აწარმოებს წერილობითი კორესპონდენციების, ამანათების, აგრეთვე, ბეჭდვით პერიოდულ გამოცემათა მიტანის სამუშაოებს.

ელექტრული კავშირის ქვედარგების ჯგუფი უზრუნველყოფს ისეთი სახის ინფორმაციათა გადაცემას, როგორებიცაა: სატელეფონო ლაპარაკი, სატელეფონო შეტყობინება, ფოტოტელეგრაფული შეტყობინება, სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის პროგრამები, ტელემექანიკისა და ტელემართვის სიგნალები და ა.შ.

ერთგვაროვან შეტყობინებათა ერთობლიობა ქმნის ინფორმაციულ ნაკადებს, რომელიც გადის კავშირგაბმულობის ქსელში. ამ ქსელის აბონენტები გაფანტულია ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე და ამიტომ ქსელის საშუალებით ინფორმაციის გადაცემა უნდა მოხდეს სქემით „თითოეული თითოეულიდან“.

კავშირგაბმულობის საწარმოები, პუნქტები და ინფორმაციის გადამცემი ხაზები ქმნიან საერთო - სახელმწიფოებრივ ქსელს, რომლის განლაგება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებს ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით. კავშირგაბმულობის მეურნეობის ძირითადი რგოლია საწარმო, სადაც უშუალოდ ხორციელდება კავშირგაბმულობის საშუალებებით მოშსახურება, ე.ი. პროდუქციის შექმნა და რეალიზაცია.

დანიშნულებისა და სამუშაოს ხასიათის მიხედვით კავშირგაბმულობის საწარმოები იყოფა შემდეგ ტიპებად:

- სპეციალიზებული და გაერთიანებული;

წარმოების დამთავრებული და დაუმთავრებელი ციკლით;

- ღია /საერთო სარგებლობის/ და დახურული.

სპეციალიზებულს მიეკუთვნება ის საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ერთი ქვედარგის მომსახურებას. ასეთებია: ტელეგრაფები, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურები, რადიო და ტელეცენტრები, რკინიგზისპირა ფოსტამტები და ა.შ.

გაერთიანებულს მიეკუთვნება ის საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ორი და მეტი ქვედარგის მომსახურებას. ასეთებია: კავშირგაბმულობის საქალაქო და რაიონული კვანძები, მაგისტრალური კავშირისა და ტელევიზიის მართვის ტერიტორიული ცენტრები, ფოსტა- ტელეგრაფის, ტელეფონ - ტელეგრაფის სადგურები, კავშირგაბმულობის სადგურები და სხვა.

კავშირგაბმულობის დარგის თაოსებურებებიდან გამომდინარე ინფორმაციის გადაცემაში ხშირად მონაწილეობს ორი და მეტი საწარმო, ვინაიდან მთლიანი საწარმოო პროცესი ერთი საწარმოს ფარგლებში არ მთავრდება. ასეთი საწარმოები /ფოსტამტები, ტელეგრაფები, საქალაქთაშორისო სადგურები და სხვა/ დაუმთავრებელი ტიპის საწარმოებია.

დამთავრებული ტიპის საწარმოებს მიეკუთვნება საწარმოები, სადაც ინფორმაციის გადაცემა ერთი საწარმოს ფარგლებში ხორციელდება. მათ რიცხვს მიეკუთვნება ქალაქის სატელეფონო კვანძები, რადიოსატრანსლაციო ქსელი და სხვა.

ღია /საერთო სარგებლობის/ საწარმოებს მიეკუთვნება ის საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიისათვის კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურებას. დახურულ საწარმოებს მიეკუთვნება წარმოება - დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მომსახურების მიზნით მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები.

კავშირგაბმულობის ქსელში შედის აგრეთვე კავშირგაბმულობის პუნქტები და ხაზები. პუნქტი ეწოდება ადგილს, სადაც ხდება კავშირგაბმულობის მომსახურება. პუნქტი ორი სახისაა: საერთო სარგებლობის და სააბონენტო სარგებლობის. საერთო სარგებლობის პუნქტებს მიეკუთვნება კავშირგაბმულობის განყოფილებები, სადაც ხორციელდება სხვადასახვა სახის კავშირგაბმულობის მომსახურება. სააბონენტო სარგებლობის პუნქტებს მიეკუთვნება წარმოება-დაწესებულებებში და ბინებში დადგმული ტელეფონის აპარატები; სააბონენტო ტელეგრაფისა და რადიოსატრანსლაციო წერტები.

კავშირგაბმულობის ხაზები ერთმანეთთან აერთებენ კავშირგაბმულობის საწარმოებსა და პუნქტებს. არსებობს მაგისტრალური, შიდასაქალაქო და საქალაქო ხაზები.

<u>მაგისტრალური</u> ხაზებით წარმოებს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის სხვა ქვეყნების დედაქალაქებთან, აგრეთვე მნიშვნელოვან საოლქო და სამხარეო ცენტრებთან დაკავშირება.

შიდასაოლქო ხაზებით ხდება საოლქო, სამხარეო, ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრების დაკავშირება მათ დაქვემდებარებაში მყოფ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებთან.

<u>შიდასარაიონო</u> ხაზებით ხორციელდება რაიონული ცენტრის რაიონის დასახლებულ პუნქტებთან და ამ პუნქტების ერთმანეთთან დაკავშირება.

<u>საქალაქო</u> ხაზებით ხდება ქალაქის შიგნით ინფორმაციის გადაცემა.

კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების თანამედროვე პირობებში ქსელის აგება უნდა ემყარებოდეს ეკონომიკურობის მოთხოვნებს.

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებობს კავშირგაბმულობის ქსელის აგების სამი სქემა:

1. კავშირის სქემა „თითოეული თითოეულიდან“ /ყველა პუნქტს პირდაპირი კავშირი აქვს სხვა პუნქტებთან/;

2. რადიალური სქემა /ქსელის ყველა პუნქტი ერთმანეთს უკავშირდება ცენტრალური კვანძის მეშვეობით/;

3. რადიალურ - კვანძური სქემა /კავშირგაბმულობის ქსელში შემავალი თითოეული კვანძი უკავშირდება მეორე კვანძს/.

ქსელის აგება 1 - ელი სქემა გამორიცხავს ტრანზიტულ გადაცემებს და უზრუნველყოფს ხარისხის ყველა მაჩვენებელს /გადაცემის სიჩქარე, უტყუარობა, კავშირის საიმედოობა/. მაგრამ იგი მოითხოვს ძალზე დიდ კაპიტალურ და საექსპლოატაციო დანახარჯებს. ამ სქემით მიზანშეწონილია მაგისტრალური ქსელის აგება.

მე - 2 სქემის უპირატესობა ის არის, რომ შედარებით იაფია კავშირგაბმულობის ხაზების მშენებლობა და ექსპლოატაცია, მაღალია ხაზების გამოყენების კოეფიციენტი. მისი უარყოფითი მხარეა ის, რომ ინფორმაციამ აუცილებლად უნდა გაიაროს სატრანზიტო პუნქტში /კვანძში/, რაც განსაკუთრებით დი-

დი ინფორმაციის პირობებში, ვერ უზრუნველყოფს მათი გადაცემის სათანადო სიჩქარეს. ამასთან ერთად, თუ მწყობრიდან გამოვიდა კვანძი, მთელი ქსელი პარალიზებული იქნება.

რადიალურ - კვანძური სქემით აგებული ქსელი შედარებით საიმედო და ეკონომიურია. ნებისმიერი კვანძის მწყობრიდან გამოსვლა არ იწვევს კავშირის შეწყვეტას, ვინაიდან ორ პუნქტს შორის კავშირის დამყარება შესაძლებელია შემოვლითი კავშირის გზით სხვა კვანძების მეშვეობით. რადიალურ - კვანძული სქემით აგებულია ელექტრო და საფოსტო კავშირის ქსელები.

<u>კავშირგაბმულობის ერთიანი ავტომატიზებული ქსელი.</u> თანამედროვე პირობებში ინფორმაციული ნაკადების გადაცემა და განაწილება შეუძლებელია ელექტროკავშირგაბმულობის საშუალებათა გარეშე. ცნობილია, რომ ელექტროკავშირგაბმულობის საშუალებებით წარმოებს სატელეფონო, სატელეგრაფო, რადიომაუწყებლობის, საგაზეთო ზოლების /ფოტოტელეგრაფირების წესით/ ინფორმაციის გადაცემა.

კავშირგაბმულობის ერთიანი ავტომატიზებული ქსელის შექმნამ განაპირობა მისი სტრუქტურული დაყოფა - წარმოიშვა ე.წ. პირველადი და მეორადი ერთიანი ავტომატიზებული ქსელები.

პირველადი - არის ქსელი არხების ყველა მომხმარებლისათვის. იგი იყოფა მაგისტრალურ, შიდასაოლქო /შიდაზონურ/ და ადგილობრივ ქსელებად. ყოველი შიდასაოლქო პირველადი ქსელი სხვადასხვა არხებით აერთებს მოცემული ოლქის რაიონულ ცენტრებს საოლქო ცენტრთან და ერთმანეთთან. შიდაზონური პირველადი ქსელი თითქმის იგივეა რაც შიდასაოლქო ქსელი, იმ განსხვავებით, რომ ერთმანეთს არ ემთხვევა ავტომატური სატელეფონო ქსელისა და ოლქის ნუმერაციის ზონების ტერიტორიები. ასეთ შემთხვევაში ოლქის ტერიტორიაზე შეიძლება აღმოჩნდეს ორი ზონური ქსელი, ან პირიქით, ერთმა ზონამ შეიძლება მოიცვას რამოდენიმე ოლქი.

<u>ადგილობრივი</u> პირველადი ქსელი იქმნება სასოფლო რაიონებში. იგი არის არხების ერთობლიობა, რომელიც ერთმანეთთან და აბონენტებთან აერთებს სასოფლო რაიონების კვანძებსა და სადგურებს.

კავშირგაბმულობის პირველადი ქსელი, რომელიც არის ადგილობრივ /საქალაქო და სასოფლო/, შიდაზონურ /როგორც წესი, შიდასაოლქო/ და მაგისტრალური ქსელების ერთობლიობას, ასახავს არსებულ ადმინისტრაციულ სტრუქტურას. ასეთი ტერიტორიული დაყოფა ითვალისწინებს პირველადი ქსელის სამ იარუსიან სტრუქტურას, რომელსაც ვერტიკალურ ჭრილში ასეთი სახე აქვს:



პირველადი ქსელი მეორადი ქსელის ორგანიზაციის ბაზაა. მეორადი საქალაქთაშორისო ქსელები პირველად ქსელებთნ მიერთებულია შემაერთებელი ხაზებით. მეორადი ქსელით გადაცემული ინფორმაცია პირველადის ანალოგიური და დისკრეტულია. ანალოგიურ ინფორმაციას მიეკუთვნება ტელეფონით ლაპარაკი, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის პროგრამების გადაცემა, დისკრეტულ - სატელეგრაფო შეტყობინება, მონაცემების გადაცემა, ინფორმაციის გადაცემა მართვის ავტომატიზებული სისტემებისათვის და ა.შ.

მეორადი ქსელი პირველ რიგში იყოფა იმ ინფორმაციის ნიშან-თვისებების შესაბამისად, რომლის გადაცემისთვისაც ისინია შექმნილი /სატელეფონო ქსელი, სატელეგრაფო ქსელი, მონაცემთა გადაცემის ქსელი და ა.შ./. გარდა ამისა, მეორადი ქსელი შეიძლება დაიყოს უწყებრივი კუთვნილების მიხედვითაც /მაგალითად, გზათა მიმოსვლის სამინისტროს ქსელი, გაზსადენების კავშირგაბმულობის ქსელი და ა.შ./. ამჟამად ქვეყნის კავშირგაბმულობის ერთიან ავტომატიზებულ ქსელში გაერთიანებულია შემდეგი მეორადი ქსელები:[1]

- სატელეფონო კავშირი ავტომატური ქსელი;
- კავშირგაბმულობის საწარმოთა შორის სატელეგრაფო კავშირის ქსელი;

[1] ა.კუჭუხიძე, ნ.ზერეკიძე, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ეკონომიკის საფუძვლები, თბ., 1988, გვ. 128.

- სახალხო მეურნეობის დარგთა, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საბონენტო ტელეგრაფის ქსელი;
- მონაცემთა გადაცემის საერთო სახელმწიფოებრივი ქსელი;
- სატელევიზიო პროგრამების გადაცემის ქსელი;
- გაზეთების ფოტოტელეგრაფიული გადაცემის ქსელი;
- ფაქსიმილური კავშირის ქსელი;
  კავშირის სხვადასხვა საუწყებო ქსელი.

<u>კავშირგაბმულობის საწარმოთა მართვა.</u> კავშირგაბმულობის საწარმო არის კავშირგაბმულობის ქსელის ძირითადი რგოლი, რომლის დანიშნულებაა ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის მაღალხარისხოვანი და შეუფერხებელი მომსახურება. საწარმო თავის საქმიანობას წარმართავს დემოკრატიული ცენტრალიზაციის საფუძველზე. ის სამეურნეო ანგარიშის წესით ახორციელებს საწარმოო - სამეურნეო საქმიანობას და იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე. საწარმოო - სამეურნეო საქმიანობის განხორციელების მიზნით საწარმოს გააჩნია ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებანი, ჰყავს მუშებისა და ინჟინერ - ტექნიკური პერსონალის სათანადო შემადგენლობა, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

კავშირგაბმულობის საწარმოებში საწარმოო სამეურნეო საქმიანობის მართვა არის სახაზო და ფუნქციონალური მართვა. ამის შესაბამისად მართვის აპარატის მუშაკები იყოფა სახაზო და ფუნქციონლურ პერსონალად.

<u>სახაზო პერსონალს</u> მიეკუთვნება საწარმოს ხელმძღვანელი მუშაკები /საწარმოს უფროსი, მთავარი ინჟინერი, უფროსის მოადგილეები/ და საწარმოს ქვედანაყოფების ხელმძღვანელები /განყოფილებების, საამქროების უფროსები და მათი მოადგილეები, უბნებისა და ცვლის უფროსები, ბრიგადირები/;

<u>ფუნქციონალურ პერსონალს</u> მიეკუთვნება ინჟინერ - ტექნიკური მუშაკები და მომსახურენი /გარდა ხელმძღვანელი მუშაკებისა/.

კავშირგაბმულობის საწარმოთა მართვა ხორციელდება ეკონომიკური მეთოდებით. საწარმოს ხელმძღვანელი პასუხს აგებს საწარმოს მუშაობის შედეგებზე. იგი ვალდებულია უზრუნველყოს: დავალებების შესრულება პროდუქციის რაოდენო-

ბისა და ხარისხის მიხედვით; შემოსავლებისა და კაპიტალური მშენებლობის დავალებების შესრულება; კავშირგაბმულობის ახალი ტექნიკის დანერგვა; კავშირგაბმულობის საშუალებათა ორგანიზაციისა და ექსპლუატაციის გაუმჯობესება; საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენება; შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება; შრომის ნაყოფიერების სისტემატური ამაღლება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება; მომუშავეთა კულტურულ – საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესება.

კავშირგაბმულობის მსხვილ საწარმოებში შექმნილია ფუნქციონალური განყოფილებები – საგეგმო - საფინანსო, ტექნიკური, შრომისა და ხელფასის და სხვ. მცირე საწარმოებში განყოფილებათა რიცხვი შეზღუდულია, ხოლო სხვადასხვა განყოფილებათა ფუნქციებს ასრულებენ ცალკეული შემსრულებლები.

კავშირგაბმულობის საწარმოთა მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა ორ და სამსაფეხურიანია. საფეხური არის მართვის სტრუქტურის გარკვეული დონე. რაც მეტია მართვის საფეხურები, მით უფრო რთულია საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა.

კავშირგაბმულობის ისეთ საწარმოებში, როგორიცაა: რკინიგზისპირა ფოსტები, ფოსტის ავიაგადაზიდვის განყოფილებები, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურები, ტელეგრაფები და სხვა, მიღებულია მართვის ორსაფეხურიანი სტრუქტურა. ისეთ საწარმოებში, როგორიცაა: კავშირგაბმულობის კვანძები, ფოსტები, კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო ტექნიკური კვანძები, სატელეგრაფო - სატელეფონო სადგურები, რადიოსატრანსლაციო სადგურები და ა.შ., მიღებულია მართვის სამსაფეხურიანი სისტემა.

ორსაფეხურიანი სისტემის დროს საწარმოს ქვედანაყოფების მომსახურება წარმოებს ცენტრალიზებულად საწარმოს შესაბამის განყოფილებებში; ქვედანაყოფის უფროსი უშუალოდ ემორჩილება საწარმოს ხელმძღვანელობას. სამსაფეხურიანი სისტემის დროს საწარმოო ქვედანაყოფები /კავშირგაბმულობის განყოფილებები, სააქროები/ აერთიანებენ რამდენიმე უბანს, რომლებიც ტერიტორიული პრინციპით იქმნება.

კავშირგაბმულობის პროდუქციის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება. კავშირგაბმულობის დარგის პროდუქცია თავისი ეკონომიკური ბუნებით არსებითად განსხვავდება სხვა დარგების პროდუქციისაგან. კავშირგაბმულობის პროდუქცია არის სასარგებლო ეფექტი, რომელიც მიიღება შეტყობინებათა და ინფორმაციის გადაცემის შედეგად.

კავშირგაბმულობის არსებით გადაიცემა არა მარტო ცალკეული შეტყობინება /წერილები, დეპეშები, სატელეფონო ლაპარაკი/, არამედ მასობრივი ინფორმაციის ორგანიზაციული ნაკადები - რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის პროგრამები, პერიოდული ბეჭდვითი სიტყვა და სხვ.

კავშირგაბმულობის პროდუქციას აქვს სახმარი ღირებულება, ე.ი. ის აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებებს სხვა დარგების პროდუქციის მსგავსად. მაგრამ, კავშირგაბმულობის პროდუქცია არ იქმნება გარკვეული ნივთის სახით, მისი მოხმარება ხდება თვით წარმოების პროცესში და მის ფარგლებს არ სცილდება. ამიტომ მას უწოდებენ „სასარგებლო ეფექტს", რომელიც მიიღება ინფორმაციის გადაადგილებით.

კავშირგაბმულობის დარგის ყველა საწარმოს მიერ შექმნილი პროდუქციის საერთო ჯამი არის კავშირგაბმულობის პროდუქციის საერთო მოცულობა და ამავე დროს გამოხატავს მომსახურებათა რაოდენობას.

აღსანიშნავია, რომ კავშირგაბმულობის თითოეული საწარმო ნაწილობრივ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შექმნის პროცესში. აქედან გამომდინარე, კავშირგაბმულობაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ დარგებისა და საწარმოს პროდუქციას. კავშირგაბმულობის დარგის /ქვედარგის/ პროდუქციას ახასიათებს გამგზავნიდან მიმღებამდე ინფორმაციის გადაცემის პროცესის საბოლოო შედეგი. ამ შემთხვევაში კავშირგაბმულობის პროდუქცია დამთავრებული სახისაა და გამოისახება სასარგებლო ეფექტის სახით.

კავშირგაბმულობის საწარმოს პროდუქცია შეტყობინების გადაცემის სრული საწარმოო პროცესის ნაწილია გადაცემის ცალკეულ ეტაპზე და მიეკუთვნება დაუმთავრებელი სახის პროდუქციას. დაუმთავრებელი სახის პროდუქციას ქმნიან საფოსტო, სატელეგრაფო, საქალაქთაშორისო კავშირისა და რადიოკავშირის საწარმოები.

დამთავრებული სახის პროდუქცია იქმნება ერთი საწარმოს ფარგლებში, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება: ქალაქის სატელეფონო ქსელი, სატელეფონო კვანძები, რადიოსატრანსლაციო ქსელი და სხვა.

კავშირგაბმულობის პროდუქციას აქვს ორი ძირითადი ფორმა: პირველი - საფოსტო, სატელეგრაფო, საქალაქთაშორისო და ა.შ. შეტყობინებათა ცვლა; მეორე - ინფორმაციისა და გადაცემის მიღების განხორციელებისათვის მომხმარებელს ეძლევა მის სარგებლობაში ტექნიკური საშუალებანი: ტელეფონი, რადიოსატრანსლაციო წერტილი, სააბონენტო ტელეგრაფის დანადგარი, კავშირგაბმულობის არხი და სხვა.

კავშირგაბმულობის პროდუქცია იზომება ნატურალური და ღირებულებითი მაჩვენებლებით. ნატურალური მაჩვენებლების უპირატესობა ისაა, რომ მათი დახმარებით შესაძლებელია განისაზღვროს პროდუქციის წარმოების საბოლოო შედეგები და ამ პროდუქციაზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე. ღირებულებითი მაჩვენებლებით წარმოებს პროდუქციის საერთო მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალების, ფონდუკუგებისა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული საგეგმო გაანგარიშებანი.

კავშირგაბმულობის დარგის დაგეგმვისა და მართვის ყველა დონეზე გამოიყენება კავშირგაბმულობის საწარმოთა პროდუქციის ნომენკლატურის მაჩვენებლები. განასხვავებენ სამი სახის ნომენკლატურას: კავშირგაბმულობის საწარმოთა პროდუქციის, კავშირგაბმულობის ქვედარგების პროდუქციისა და კავშირგაბმულობის მომსახურებათა პროდუქციის ნომენკლატურას.

პროდუქციის პირველი სახე თითოეული საწარმოს მიერ შექმნილი სხვადასხვა სახის პროდუქციის ჩამონათვალია. მეორე სახე დამთავრებული პროდუქციის ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება დარგის მასშტაბით პერსპექტიული გეგმების შედგენისას. მესამე სახე გამოხატავს მომხმარებლის მიერ მომსახურებულ პროდუქციის სახეებს, ანაზღაურებულს ტარიფების მიხედვით. ეს ნომენკლატურა მოცემულია კავშირგაბმულობის მომსახურებათა ტარიფების კრებულში.

კავშირგაბმულობის პროდუქციის /მომსახურების/ მოცულობის ფულადი გაზომვის მიზნით გამოიყენება ფასების რამოდენიმე სისტემა, რომლებსაც კონკრეტული დანიშნულება გააჩ-

ნიათ. კავშირგაბმულობაში გამოიყენება ფასების სამი სისტემა: ტარიფები კავშირგაბმულობის მომსახურებაზე, კავშირგაბმულობის საწარმოთა პროდუქციის ფასები და კავშირგაბმულობის ქვედარგების პროდუქციის ფასები.

კავშირგაბმულობის მომსახურების ტარიფების საფუძველზე კავშირგაბმულობის საწარმოები რეალიზაციას უკეთებენ კავშირგაბმულობის მომსახურებას. მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით კავშირგაბმულობის ტარიფები ასრულებს საბითუმო და საცალო ფასების ფუნქციას: ეროვნული მეურნეობის დარგების მიმართ – საბითუმო ფასების ფუნქციას, ხოლო მოსახლეობის მიმართ – საცალო ფასების ფუნქციას. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი ქმნის კავშირგაბმულობის მომსახურების ტარიფების სისტემატური სრულყოფის აუცილებელ წანამძღვრებს კავშირგაბმულობის მომსახურების მოხმარების ხასიათის /პირადი თუ საწარმოო/ გათვალისწინებით.

კავშირგაბმულობის ტარიფები იყოფა საერთო /ჩვეულებრივ/, შეღავათიან, გადიდებულ და დამატებითი მომსახურების ტარიფებად.

<u>ჩვეულებრივი /საერთო/</u> ტარიფები არის ტარიფების ძირითადი სახე და მოიცავს კავშირგაბმულობის ყველა ქვედარგის მომსახურებას.

<u>შეღავათიანი ტარიფები</u> გამოიყენება კავშირგაბმულობის ცალკეული სახის მომსახურებაზე და მათი სიდიდე საერთო ტარიფების სიდიდეზე ნაკლებია. მაგ. შეღავათიანი ტარიფები საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკზე საღამოს და ღამის საათებში 25%-ით ნაკლებია საერთო ტარიფებზე.

<u>გადიდებული ტარიფები</u> საერთო ტარიფებზე მაღალია და მისი დანიშნულებაა რამდენადმე შეზღუდოს ამა თუ იმ სახის მომსახურების სარგებლობა. მაგ. იჯარით გასაცემი სატელეფონო არხებით სარგებლობის და ა.შ. ტარიფები.

<u>კავშირგაბმულობის დამატებითი მომსახურების</u> ტარიფები დადგენილია ისეთ მომსახურებაზე, როგორიცაა: ამანათების და ბანდეროლების შეფუთვა, გზავნილებზე მისამართის დაწერა, ამანათების, ფულის, ფასიანი წერილებისა და ბანდეროლების ბინაზე მიტანა და ა.შ.

კავშირგაბმულობის მომსახურების ტარიფები დიფერენცირებულია სხვადასხვა ნიშან-თვისების მიხედვით. ტარიფების დიფერენცირება დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორებთან, რომლებსაც მიეკუთვნება საფოსტო გზავნილების წონა და გადაცემის მანძილი; საქალაქთაშორისო ლაპარაკის არხების, საბონენტო ტელეგრაფის მანძილი; გადაცემის ან გადაგზავნის სიჩქარე; კავშირგაბმულობის მომსახურების მომხმარებელთა კატეგორია; ელექტროკავშირით სარგებლობის ხანგრძლივობა; საფოსტო გზავნილების დაცვა /ხელშეუხებლობა/; ფულის გზავნილების სახეობა და თანხა /ფოსტით, ტელეგრაფით/ და ა.შ.

დადგენილი ტარიფების მიხედვით კავშირგაბმულობის საწარმოთა მომსახურებიდან მიღებული ამონაგები არის ამ საწარმოთა საექსპლოატაციო შემოსავლები, რომლებსაც სატარიფო შემოსავლებს უწოდებენ.

<u>კავშირგაბმულობის განვითარება საქართველოში.</u> კაცობრიობის განვითარების ისტორია განუხრელადაა დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლასთან. რაც უფრო განვითარებულია საზოგადოების საწარმოო ძალები და საზოგადოების მოთხოვნილებანი, მით მეტია გადასაცემი და დასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობა. ცხოვრების პრაქტიკამ დაგვანახა, რომ სწორედ ინფორმაციის რაოდენობა ახასიათებს ადამიანთა მოღვაწეობის ინტენსიურობას. მართვის ავტომატიზებული სისტემების ფართოდ დანერგვის პირობებში ინფორმაციის გადაცემის როლი კიდევ უფრო იზრდება. ეფექტური მართვა დღეს მთელი თავისი სიცხადითაა შეცნობილი, რადგანაც იგი შესაძლებელია მხოლოდ ზუსტი და დროულად მიღებული ინფორმაციის პირობებში.

ინფორმატიკის მეცნიერების ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა ა. ხარკევიჩმა თავის დროზე აღნიშნა, რომ საზოგადოების ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად სწრაფად იზრდება გადასაცემი ინფორმაციის რაოდენობა და, რომ ეს ინფორმაცია სხვადასხვაგვარად უნდა გამოვიყენოთ ადამიანთა ურთიერთობისათვის. მისი მტკიცებით „ინფორმაციის რაოდენობა იზრდება სამრეწველო პოტენციალის კვადრატის პროპორციულად“; რაც იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის ნაკადის ზრდის სისწრაფე სახალხო მეურნეობის ზრდას

მნიშვნელოვნად უნდა უსწრებდეს წინ. აღნიშნულის გამო, კავშირგაბმულობის საშუალებების განვითარება უფრო სწრაფი ტემპით უნდა მოხდეს ვიდრე სხვა დარგებისა.

სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის შედეგად ეკონომიკა წარმოების ავტომატიზაციიდან თანდათან გადადის მართვის ავტომატიზაციაზე. წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებები – სპეციალიზაცია და ავტომატიზაცია იწვევენ საჭიროებას, რომ სწრაფად გაიცვალოს ინფორმაცია სპეციალიზებული და ტერიტორიულად ერთმანეთისაგან დაცილებულ წარმოებებს შორის. აღნიშნული შესაძლებელია ელექტროკავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების დახმარებით. მათი მართვის ავტომატიზებულ და გამოთვლით სისტემებთან კომპლექსური გამოყენება უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში კაპიტალური დაბანდების 10 - 15 პროცენტით ეკონომიას, იწვევს ხარჯების 5 7 პროცენტით ხოლო მართვის აპარატის 10 პროცენტით შემცირებას.

სატელეფონო კავშირების განხორციელება საუკუნეზე მეტ ხანს მოიცავს. ცნობილი რუსი გამომგონებელი ე. გვოზდევი თბილისში 1893 წლის ივლისის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა. მასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა ინჟინერი ა. ბუნგესი. თბილისში ჩამოსულმა ე. გვოზდევმა გადაწყვიტა ტელეგრაფის ხაზით სატელეფონო კავშირი დაემყარებინა თბილისსა და კოჯორს შორის.

1893 წლის 11 ივლისს გაზეთი „ტიფლისკი ლისტოვკი“ წერდა: „ამ დღეებში თბილისი და კოჯორი ერთმანეთს დაუკავშირდა გვოზდევის ტელეფონით, რომელიც ტელეგრაფთან ერთდოულად და ერთ ხაზში ამოქმედდა“. ყველა ულოცავდა მეცნიერს ამ გამარჯვებას და თბილისის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორამ იგი საექსპლუატაციოდ მიიღო. ამ პერიოდისათვის საქართველოში ტექნიკურ მიღწევებსა და მათ პრაქტიკაში დანერგვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სწორედ ამ მიზეზით ა.ბუნგესთან ერთად ე. გვოზდევმა პირველად თბილისში განახორციელა ექსპერიმენტი - ერთ ხაზში დეპეშებისა და ტელეფონის ლაპარაკის ერთდოულად გადაცემა. ეს კი, ცნობილი ქართველი მეცნიერის ნ. ნიკოლაძის თხოვნითა და მხარდაჭერით მოხდა, რომელიც ა. ბუნგეს ახლო მეგობარი გახლდათ.

როცა ა. ბუნგესთან ერთად სახელგანთქმული გამომგონებელი ე.გვოზდევი ექსპერიმენტებს ატარებდა, ევროპის სხვა ქვეყნის მეცნიერები და გამომგონებლები დაძაბული მუშაობდნენ, რათა საკუთარი ელექტრონული სქემებით მსგავსი ტექნიკური ეფექტი მიეღოთ. ამ მხრივ ყველაზე უფრო კარგი შედეგი მიიღო ბელგიის სატელეგრაფო საამართველოს ელექტროტექნიკოსმა ფონ ვან რისსელბერგმა, რომელმაც სალაპარაკო დენებისა და ტელეგრაფის სიგნალების ერთმანეთისაგან განსაცალკევებლად კონდენსატორები და ინდუქციური კოჭები გამოიყენა.

„თბილისი - კოჯრის" მსგავსი კავშირის დამყარების მცდელობა ჩატარდა ავსტრალიასა და გერმანიაში, რაზედაც დიდძალი თანხა დაიხარჯა, მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია და ამ ქვეყნებში იძულებული იყვნენ სატელეგრაფო ხაზებიდან მოეხსნათ დეპეშებისა და ლაპარაკის ერთდროულად გადაცემის მოწყობილობა.

საქართველოში ჩატარებული ექსპერიმენტის შესახებ კარგად იცოდა კავშირგაბმულობის ცნობილმა ქართველმა მოამაგემ მ. იანქოშვილმა. მან 1895 წელს თბილისში პირველმა გამოსცა ქართული წიგნი კავშირგაბმულობის ტექნიკის შესახებ. წიგნი დასათაურებულია „ელექტრონი და საოცარი მანქანები", ავტორი აღნიშნავს, რომ „ტელეგრაფი და ტელეფონი ერთმანეთს სრულებით არ უშლიდნენ".

შემდგომ პერიოდებში ასეთი ექსპერიმენტები ჩატარდა პეტერბურგში, პარიზსა და სხვაგან.

პირველი სატელეფონო კავშირის დამყარება თბილისსა და ბორჯომს შორის შესაძლებელი გახდა 1894 წელს.

ტელეფონის აპარატს სატელეგრაფო დენებისაგან იცავდა სატელეფონო ფილტრი, რომელიც ატარებდა დენებს 150 - დან 3500 ჰერცამდე. პ.ა. აზბუკინის ქვეტონალური ტელეგრაფების სისტემა გამოიყენებოდა მოსკოვსა და ხარკოვს, ასევე მოსკოვს და როსტოვს შორის.

ქალაქის სატელფონო ქსელების ტექნიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა: პ. გოლუბიცკიმ, ნ. გვოზდევმა, გ. იგნატიევმა, მ. მახალსკიმ და სხვებმა.

თბილისში სატელეფონო ქსელის ამოქმედების შემდეგ ტელეფონები ამუშავდა ბათუმსა და ფოთში /1895/. 1900 წლისათვის თბილისის სატელეფონო ქსელში ჩართული იყო 682

აბონენტი, მას ემსახურებოდა 34 თანამშრომელი. საჰაერო ხაზების საერთო სიგრძე 214 კილომეტრს შეადგენდა, მიწისქვეშა კაბელები არ იყო გაყვანილი, ხოლო, საჰაერო კაბელის სიგრძე მხოლოდ ერთი კილომეტრი იყო.

ბათუმის სატელეფონო ქსელს კი 134 აბონენტი ჰყავდა, მომსახურებას მათ 8 თანამშრომელი უწევდა, საჰაერო ხაზების სიგრძე 22 კილომეტრს უდრიდა, მიწისქვეშა კაბელები ქსელში არ იყო, ხოლო საჰაერო კაბელის სიგრძე თბილისში არსებულს აღემატებოდა და შეადგენდა 2 კილომეტრს.

ფოთის სატელეფონო ქსელში 41 აბონენტი იყო ჩართული. მომსახურე პერსონალი სულ 4 კაცს შეადგენდა. საჰაერო ხაზების სიგრძე 19 კილომეტრი იყო.

ქუთაისში სატელეფონო ქსელის დანერგვის საკითხი ჯერ კიდევ 1894 წელს დაისვა, მაგრამ აბონენტთა არასაკმარისი რაოდენობის გამო ვერ გადაწყდა და კარგა ხნით გადაიდო, იგი მხოლოდ 1905 წლისათვის გადაიჭრა. ამ დროისათვის ილიასეული „ივერია“ წერდა, რომ „ქალაქის თვითმმართველობამ აირჩია აბონენტები და უკვე შეუდგა ტელეფონის კეთებას. ეს საქმე გასაკეთებლად ტყიბულის ინჟინერს, ალიბოვს აქვს აღებული“. მან ქალაქს 1000 მან გირაო წარუდგინა. 1905 წლისათვის ინჟინერმა ალიბოვმა ქუთაისში დაამთავრა ტელეფონების გამართვა. 1905 წლის სექტემბრისათვის ქუთაისში ტელეფონს 75 აბონენტი ჰყავდა და ქუთაისის ტელეფონები ერთმანეთთან პირველად შეაერთეს ტელეფონისტებმა მიქელაძემ და ასათიანმა.

ამიერკავკასიაში სატელეფონო ქსელი მხოლოდ ბაქოში იყო მოწყობილი, რომელშიც 1162 ტელეფონი იყო ჩართული. ბაქოშიც მხოლოდ საჰაერო ხაზებს იყენებდნენ. თბილისში, ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში სატელეფონო ქსელი სახელმწიფო კუთვნილებას შეადგენდა, ბაქოში კი იგი კერძო კომპანიის ხელში იყო.

ამ პერიოდისათვის მოსახლეობა თბილისში 160 645, ბათუმში-30 000 და ფოთში 7 660 მცხოვრებს შეადგენდა. ამრიგად, ერთი ტელეფონი მოდიოდა თბილისის 195, ბათუმის 205 და ფოთის 172 მცხოვრებზე.

საქართველოს სატელეფონო ქსელებში ტელეფონებით სარგებლობა წლიურად 75 მან. ღირდა, თუ ხაზის სიგრძე 2

ვერსზე მეტი იყო, მაშინ 90 მანეთი. ბაქოში ტელეფონით სარგებლობისათვის აბონენტები 250 მანეთს იხდიდნენ წლიურად.

აღნიშნულ ქსელებში სატელეფონო ქსელების ამუშავებას საზოგადოება გაგებით შეხვდა და შემდგომ წლებში დიდ ინტერესს იჩენდა ქსელის გაფართოებისადმი, მაგრამ ეს პროცესები ძალზედ ნელი ტემპით მიმდინარეობდა, როგორც საქართველოში ასევე რუსეთში.

1921 წლისათვის საქართველოში სატელეფონო სადგურების საერთო ტევადობა 3100 ნომერს შეადგენდა, ხოლო აბონენტთა რიცხვი 1143 აღწევდა. ყველა სატელეფონო სადგურები ხელით მომსახურე, მოძველებული კონსტრუქციისა იყო და ვერ აკმაყოფილებდნენ იმდროინდელ მოთხოვნილებას სატელეფონო კავშირზე.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად 1930 წელს სატელეფონო ქსელების რიცხვმა 25 –ს მიაღწია, სადგურების ტევადობა 6719 ნომერი გახდა. აიგო ახალი და გადაკეთდა ძველი სატელეფონო ქსელები ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, ბორჯომსა და სხვაგან.

სატელეფონო ქსელში აბონენტთა რაოდენობის გაზრდის მიუხედავად სატელეფონო კავშირი მთელი რესპუბლიკის და თბილისის სატელეფონო ქსელზე არ იყო დამაკმაყოფილებელი. საჭირო იყო ქსელის რეკონსტრუქცია. 1934 წლისათვის რესპუბლიკაში 67 ადგილობრივი სატელეფონო ქსელი მუშაობდა.

საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე, რესპუბლიკის მოსახლეობისა და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ ადგილობრივი სატელეფონო ქსელები, რომლებიც მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის შედეგად რეკონსტრუქცია - გაფართოებას საჭიროებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში დიდი სამუშაოები ჩატარდა ადგილობრივი სატელეფონო ქსელის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის, მათი მდგომარეობა არასასურველი რჩება და გასაკეთებელიც ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია.

თუ შევადარებთ ქალაქის და სოფლის სატელეფონო სადგურების განვითარების ძირითად ტექნიკურ მაჩვენებლებს ბოლო 25 წლის მონაცემებით /ცხრ. 19/, დავინახავთ, რომ სასოფლო სატელეფონო ქსელის განვითარების ტექნიკური მაჩვე-

ნებლები ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით საგრძნობლად ჩამორჩება ქალაქის სატელეფონო ქსელის ტექნიკურ მაჩვენებლებს.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით 1970 1995 წლების პერიოდში შეიმჩნევა სატელეფონო აპარატების რაოდენობის ზრდა მოლიანად სატელეფონო ქსელში, მაგრამ ზრდის ტემპი ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალი რჩება. საშუალო ზრდა ხუთი წლის პერიოდით 19,5 პროცენტს შეადგენს. უფრო დაბალი ზრდის ტემპების სასოფლო სატელეფონო ქსელში, სადაც სატელეფონო აპარატების რიცხვი 1990 1995 წლებში საშუალოდ 6,8 % ით გაიზარდა, განსაკუთრებით დაბალი ზრდის ტემპებით გამოირჩევა საბინაო ტელეფონ - აპარატების ზრდა სოფლად. არსებული მდგომარეობა არაა გამოწვეული მომხმარებლის მოთხოვნიდან, არამედ ეს ძირითადად სასოფლო ადგილებში კავშირგაბმულობის არასათანადო ტექნიკური ბაზის ბრალია. აღნიშნული მაჩვენებლით კი სრული ტელეფონიზაციისა და ერთიანი ავტომატიზებული ქსელის არსებობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

აღნიშნული კიდევ უფრო ნათელი იქნება, თუ ამ მაჩვენებლებს შევუდარებთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებს /ცხრ.20/.

როგორც ვხედავთ, ყოფილ სსრკ-ში ტელეფონ აპარატების რიცხვი საერთო მოხმარების სატელეფონო ქსელზე უმნიშვნელოდ იზრდება. ბოლო ათ წელიწადში მისი საშუალო ზრდის პროცენტი 36-ს შეადგენს, რაც საგრძნობლად ჩამორჩება ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაჩვენებლებს. აქ ტელეფონ - აპარატების რაოდენობა იმავე პერიოდში შესაბამისად 44 და 38 პროცენტით გაიზარდა, საშუალო წლიური ზრდა კი 4 პროცენტს შეადგენდა.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი მნიშვნელობა ეძლევა კავშირგაბმულობაში ისეთ მაჩვენებელს, როგორიცაა ყოველ 100 მცხოვრებზე დადგმული სატელეფონო აპარატების რიცხვი. ეს მაჩვენებელი ბოლო ათ წელიწადში /1985 - 1995/ მხოლოდ 5 ერთეულით გაიზარდა, მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიუ-

რად იზრდება ეს მაჩვენებელი საშუალოდ 10, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იაპონიაში 12 ერთეულით.

ცხრილი 19

საერთო მოხმარების სატელეფონო ქსელზე
სატელეფონო აპარატურის რიცხვი /1970 - 1995/[1]

მაჩვენებლები	1970	1975	1980	1985	1990	1995
1	2	3	4	5	6	7
სატელეფონო ქსელის სატელეფონო აპარატები (საქალაქთაშორისო ტაქსოფონები, სატელეფონო აპარატები) მლნ.ცალი		14,0	20,2	27,2	33,3	34,7
მათ შორის:						
საქალაქთაშორისო ტაქსოფონები, ათ.ცალი		12	19	28	52	60
ქალაქის და სოფლის სატელეფონო აპარატები, მლნ ცალი	8,4	14,0	20,1	27,2	34,2	40,1
მათ შორის:						
საქალაქო ქსელში	7,0	11,6	16,6	22,4	28,4	33,9
სასოფლო ქსელში	1,4	2,4	3,5	4,8	5,8	6,2
ტაქსოფონები, ათ. ცალი				288	364	480
მათ შორის:						
საქალაქო ქსელში				281	359	458
სასოფლო ქსელში				7	15	22
ბინის სატელეფონო აპარატები მლნ ცალი	4,1	7,7	11,8	17,1	22,5	28,7
მათ შორის:						
საქალაქო ქსელში	3,8	6,9	10,3	14,8	19,0	24,2
სასოფლო ქსელში	0,3	0,8	1,5	2,3	3,5	4,5

[1] ცხრილი შედგენილია სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების საფუძველზე.

აღნიშნული მდგომარეობა წლების განმავლობაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ბრალია, რომელიც ზღუდავდა სახელმწიფოში საკუთრების სხვადასხვა ფორმის არსებობას და ერთმმართველური, ცენტრალური დაგეგმვიდან და მართვიდან გამომდინარე ფერხდებოდა კავშირგაბმულობის დარგის სწრაფი განვითარება, რომელიც მთლიან ტელეფონიზაციასაც გულისხმობს.

არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რა თქმა უნდა, საქართველოს კავშირგაბმულობაზეც ვრცელდება. 1980 - 1990 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით ქალაქის მოსახლეობაზე /ყოველ 100 მაცხოვრებელზე/ ირიცხებოდა 20,31 სატელეფონო აპარატი, ხოლო ყოველ 100 ოჯახზე ეს მაჩვენებელი 42,3 - ის ტოლი იყო. გაცილებით რთული მდგომარეობა შეიმჩნეოდა სასოფლო - სატელეფონო ქსელში. აქ ყოველ 100 მოსახლეზე აღირიცხა 6,3 სატელეფონო აპარატი, ხოლო ყოველ 100 ოჯახზე კი 15 სატელეფონო აპარატი.[1] თუ მაჩვენებლებს შევუდარებთ იმდროინდელ საკავშირო მაჩვენებლებს, ვიღებთ, რომ საქართველოს ქალაქის სატელეფონო ქსელისა და სოფლის სატელეფონო ქსელის მაჩვენებლები ამ უკანასკნელს შესაბამისად 12,2 პროცენტით ჩამორჩება, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მაჩვენებლებზე კი შესაბამისად აშშ - ზე 2, გფრ – ზე 35 და იაპონიაზე 20 პროცენტით დაბალია. აშშ ის აღნიშნული მაჩვენებლები აიხსნება არა ტელეფონიზაციის დაბალი დონით, არამედ პირიქით, მომხმარებელთა სრული ტელეფონიზაციით.

---

[1] ლ. ჩაგელიშვილი, ტექნიკური პროგრესი და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს კავშირგაბმულობის სფეროში, თბილისი, მერანი-3, 1999, გვ.54.

ცხრილი 20

სატელეფონო აპარატების რაოდენობა საერთო მოხმარების სატელეფონო ქსელზე სხვადასხვა ქვეყნებში /1970 - 1995/[1]

მაჩვენებლები	1970	1975	1980	1985	1990	1995
საერთო მოხმარების სატელეფონო ქსელზე ანდა მასზე გასვლის უფლების მქონე ტელეფონ - აპარატების რიცხვი მლნ ცალი ყოფილ სსრკ – ში შემაყალ ქვეყნებში	11,0	17,2	23,7	31,1	37,5	44,0
ა შ შ	120	149	180	205	230	280
გ ფ რ	13,8	19,6	28,6	37,9	44,5	51,3
ყოველ 100 მცხოვრებზე დადგმული აპარატების რიცხვი, ცალი ყოფილ სსრკ – ში შემაყალ ქვეყნებში	4,5	6,7	8,9	11,2	12,7	16,7
ა შ შ	59	69	79	86	96	106
გ ფ რ	24	33	48	64	75	87
იაპონია	25	35	46	55	65	75

საქართველოს კავშირგაბმულობის ქსელის წინაშე დღეს მრავალი პრობლემა დადგა, საჭიროა შეიქმნას დამოუკიდებელი ერთიანი კავშირგაბმულობის ქსელი, რომელიც აიგება ყოფილი საბჭოთა კავშირის მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებით. აღნიშნულის გაკეთება კი ჯერჯერობით ძალზე რთულია. იმ ტექნიკურ ბაზის მოდერნიზაციასა და რენოვაციას, რომელიც დღემდე შემორჩა საქართველოს კავშირგაბმულობის ქსელს, დიდძალი თანხები დასჭირდება. რაც რესპუბლიკას არ გააჩნია. მათი მოზიდვა უცხოეთიდან კი ისეთ პრობლემებთანაა დაკავშირებული როგორიცაა რისკი და ნდობა.

რაც შეეხებოდა თბილისის ფოსტას, აქ საფოსტო ავტომატების რაოდენობა 1975 - 85 წლებში ერთი ერთეულით გაიზარდა /59 - 60/, ჩატვირთვა - გადატვირთვის საშუალებები 71 ერთეულიდან 78 - მდე გაიზარდა, ხოლო ფოსტის დამამუშავებელი მანქანები 1975 წელს შეადგენდა 21 ერთეულს. 1990

[1] ლ. ჩაგელიშვილი, ტექნიკური პროგრესი და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს კავშირგაბმულობის სფეროში, თბ., მერანი-3, 1999, გვ.55.

წელს მათი რიცხვი 78 ერთეულამდე გაიზარდა. ქ. თბილისის საფოსტო გზავნილებათა რესპუბლიკურ ცენტრში ამავე პერიოდში ჩატვირთვა - გადმოტვირთვის სატრანსპორტო საშუალებანი 354 ერთეულიდან 425 - მდე გაიზარდა, ხოლო ფოსტის დამამუშავებელი მანქანები 11 ერთეულით შემცირდა /28 17/. ასევე შემცირდა მანქანა მოტოროლერები 11 - დან 5 ერთეულამდე. ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ 1985 - 1990 წლებში გაიზარდა მცირე მექანიზაციის საშუალებები, რის გამოც შემცირდა მანქანებისა და მოტოროლერების რიცხვი. სულ სხვა სურათია რაიონების მიხედვით. გამოკვლეული 60 რეგიონიდან შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აფხაზეთისა და აჭარის საწარმოო ტექნიკურ კვანძებში, თუ არ ჩაყთვლით ბოლოდროინდელ აფხაზეთის პოლიტიკურ კრიზისსა და ომებს, რის შედეგადაც სარწმუნო წყაროებიდან ზუსტი მონაცემები აფხაზეთის კავშირგაბმულობის საწარმოო - ტექნიკური კვანძის ტექნიკური ბაზის შესახებ არ არსებობს. ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისის, ზუგდიდის, რუსთავის, სამტრედიისა და გორის საქალაქო და რაიონულ კვანძებში. 53 რეგიონში ავტომატიზაციისა და მცირე მექანიზაციის საშუალებები ან სულ არ არსებობს /ახმეტა, ახალქალაქი, თერჯოლა, თიანეთი/, ან მხოლოდ 1 - დან 3 ერთეულამდე მერყეობს.

1995 წლიდან დაიწყო კავშირგაბმულობის დარგის სტრუქტურული რეორგანიზაცია, შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტა". ამ პერიოდიდან იწყება „საქართველოს ფოსტის" ცხოვრების ახალი ერა, რომელიც მიზნად ისახავს სტრუქტურულად სრულყოფილ და მოდერნიზებულ საწარმოთა შექმნას საზოგადოების მოთხოვნათა თანამედროვე დონეზე უზრუნველსაყოფად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამსახური საინფორმაციო კომუნიკაციათა სისტემებში ადგილობრივი სატელეფონო ქსელია. უკანასკნელი ოცი წლის შედეგებმა დაგვანახეს, რომ ინფორმაციის დროული გადაცემის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად ქ. თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელს, მიუხედავად მოძველებული ტექნიკური ბაზისა /მათი ასაკობრივი სტრუქტურა 30 წელს აღემატება/, საკმაო რეზერვები გააჩნია მოქმედი სიმძლავრეებისა და ძირითადი საწარმოო ფონდების სრულად გამოყენებაში. ეს ძირითადად და-

კავშირებულია სატელეფონო არხების ექსტენსიური და ინტენსიური გამოყენების ამაღლებაში.

დადგენილია, რომ არხის გამოყენების გაუმჯობესება 1 %-ით უზრუნველყოფს არსებულ ქსელზე ყოველწლიურად დამატებით 7,8 მილიონ ლაპარაკს, რის შედეგადაც დამატებით მიიღება შემოსავლები 1 მილიონი ლარის ოდენობით.

ტექნიკური აღჭურვილობისა და სიმძლავრის ანალიზის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება დატვირთვის არათანაბრობის ზეგავლენის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ კავშირგაბმულობის საშუალებების არათანაბარ გამოყენებას განაპირობებს.

საქალაქო სატელეფონო ქსელის ტექნიკური ბაზის შესწავლის თვალსაზრისით, სპეციალისტებმა გაშოიკვლიეს 28 სადგური. ჩატარებული სამუშაოებიდან გამოვლინდა, რომ 1975 - 1990 წლებში ქ. თბილისის ქალაქის სატელეფონო ქსელის ტექნიკური ბაზა არ შეესაბამება მოთხოვნათა თანამედროვე დონეს. სადგურების მოწყობილობის 32 % 10 წელზე მეტ პერიოდს ემსახურება ინფორმაციის გაცვლას, ხოლო მოწყობილობების 68 % 20 წელზე მეტხანს მუშაობს.[1]

28 სადგურიდან 1975 - 1990 წ.წ. 26 ავტომატური სადგური მუშაობდა ქსელზე, მათ შორის 15 კოორდინატული ტიპისა, ხოლო 5 კვაზიელექტრონული სადგურია. კოორდინატული და კვაზიელექტრონული ავტომატური სატელეფონო სადგურების რიცხვის ზრდით იზრდება და უმჯობესდება ქალაქის სატელეფონო ქსელის მუშაობის ხარისხი.

1994 წლიდან მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ქალაქის სატელეფონო ქსელის განვითარებაში. დაიწყო სატელეფონო ქსელის ტექნიკური ბაზის მოდერნიზაცია - რენოვაციის პროცესი, რის შედეგადაც ელექტრონული ავტომატური სატელეფონო სადგურების რაოდენობა 12 ერთეულით გაიზარდა, 1994 - 1997 წლების პერიოდში. მათი ტევადობაც შესაბამისად 63 858 ნომრიდან 214 601 ნომრამდე გაიზარდა, დეკადურ - ბიჯური და კოორდინატულ ავტომატური სატელეფონო სადგურების რაოდენობა კი ამ პერიოდში უცვლელი დარჩა /10 - 10/. ტევა-

---

[1] ლ. ჩაგელიშვილი, ტექნიკური პროგრესი და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს კავშირგაბმულობის სფეროში, თბილისი, მერანი-3, 1999, გვ.60.

დობამ კოორდინატულ სადგურებში 15 % ით, ხოლო დეკადურ - ბიჯურ სადგურებში 10 % - ით მოიმატა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემაში ფართოდ დაინერგა ფიჭური კავშირგაბმულობის საშუალებები. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს სამი დამოუკიდებელი ოპერატორი: „მეგაკომი", „ჯეოსელი", „მაგთიკომი". ფიჭური კავშირგაბმულობის აბონენტთა ძირითადი ნაწილი თავმოყრილია დედაქალაქში. მობილური ქსელით დაიფარა საავტომობილო მაგისტრალების დიდი ნაწილი.

მიუხედავად ბოლო პერიოდში ჩატარებული სამუშაოებისა, მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა სოფლად მასობრივი ტელეფონიზაციის თვალსაზრისით. მსოფლიო გამოცდილების თანახმად, ტელეფონიზაცია ქვეყანაში დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ სატელეფონო სიმკვრივე შეადგენს 40 ტელეფონს 100 სულ მოსახლეზე. 1997 წლის დასაწყისის მონაცემებით ქ. თბილისში ეს მაჩვენებელი 26 ტელეფონია 100 მცხოვრებზე, სოფლად კი ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ამჟამად შემუშავების პროცესშია ადგილობრივი ქსელების სატელეფონო კავშირების კონცეფცია, რომლის მიხედვითაც საგრძნობი ძვრები უნდა მოხდეს რაიონებისა და მთიანი რეგიონების სატელეფონო კავშირებით უზრუნველყოფაში.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ გამოცხადდა ტენდერი საქართველოს რეგიონების კახეთისა და რაჭის სატელეკომუნიკაციო ქსელების თანამედროვე ტექნიკურ დონეზე გადასაიარაღებლად. ამჟამად ამ რაიონებში მოქმედებენ დეკადურ-ფიჭური და კოორდინატულ სისტემათა ავტომატური სატელეფონო სადგურები. განახლებას საჭიროებს სააბონენტო ქსელიც. რაიონული ცენტრების დაკავშირება ზონის ცენტრებთან ხორციელდება სტეროფლექსის იზოლაციანი კოაქსილური კაბელების მეშვეობით, რომელიც შემჭიდროვებულია ანალოგიური მრავალარხიანი სისტემებით. სერიოზული პრობლემაა ამ რაიონებში სატელევიზიო პროგრამების ხარისხიანი მიწოდება. რადიოსარელეო ხაზები, რომლებიც გამოიყენება სატელევიზიო პროგრამების გადასაცემად, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს.

არსებული ანალოგიური საქალაქთაშორისო ქსელი გამორიცხავს მაღალეფექტურ მონაცემთა გადაცემის სისტემათა დანერგვას.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს გადაწყვეტილებით აღნიშნულ რეგიონებში ავტომატური სატელეფონო სადგურები საჭიროა შეიცვალოს ციფრულით. რაიონულ ცენტრებსა და ზონის ცენტრებს შორის კავშირი კი უნდა განხორციელდეს ოპტიკური კაბელების გამოყენებით, SDH - გადაცემის სისტემის ორგანიზმებით, რათა მომავალში შესაძლებელი იყოს თითოეულ რაიონულ ცენტრთან საჭირო რაოდენობის სატელევიზიო პროგრამების მიწოდება.

კავშირგაბმულობის დარგის განვითარებასა და სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების დანერგვას ამ სფეროში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ჯერ კიდევ 30 იანი წლებიდან. საქართველოში პირველი სატელეფონო სადგურების ამუშაკებიდან ორი ათეული წლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ავტომატური სადგურის მშენებლობის საკითხი. ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველომ 1928 წელს თხოვნით მიმართა კავშრიგაბმულობის სახალხო კომისარიატს, თბილისი შეეტანათ იმ ქალაქების სიაში, სადაც გათვალისწინებული იყო ავტომატური სადგურების მონტაჟი. იმ დროისათვის თბილისის სატელეფონო სადგური აღჭურვილი იყო „სიმენს" - ის და „ჰალსკე" - ს მოძველებული სისტემით, რომელიც აღარ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს. გარკვეული ორგანიზაციულ ტექნიკური პრობლემების გამო ავტომატური სადგურის მშენებლობა ჭიანურდებოდა და იგი მხოლოდ 1934 წლის დასაწყისში დამთავრდა. ამავე წლის აგვისტოში ავტომატური ტელეფონის სადგურთან ჩაირთო 3 400 ტელეფონი. 1935 წელს რესპუბლიკაში ახალი სატელეფონო სადგურების ტევადობამ 17300 ნომერს მიაღწია, ხოლო 1937 წლისათვის სატელეფონო ქსელების მონტირებული ტევადობა 19 400 ნომერი გახდა, აბონენტების რიცხვმა კი 16 000 შეადგენდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ქსელების სიმძლავრე სამამულო ომის წინა პერიოდში. 1940 წელს მათი რიცხვი 22 430

ნომერს შეადგენდა, მათ შორის თბილისში იყო 10 ათასი ნომერი. 85 ქსელიდან 11 ავტომატურ სადგურს ეკუთვნოდა. სამამულო ომის წლებში და მის შემდგომ პერიოდში ქსელების გაფართოვება და აბონენტთა ზრდა უმნიშვნელო იყო. 1941 50 წლებში სატელეფონო ქსელებში მონტირებული ტევადობა მხოლოდ 4640 ნომრით გაიზარდა, აბონენტთა რიცხვი კი ამ პერიოდში ყოველწლიურად საშუალოდ ექვსასით იზრდებოდა. მომდევნო ათი წლის განმავლობაში სატელეფონო სადგურების მონტირებული ტევადობა 153 პროცენტით გაიზარდა და მათთან მიერთებული იყო 29000 ტელეფონის აპარატი.

1961 - 1963 წლებში ტელეფონების სადგურების ტევადობის ზრდა იმდენად სწრაფი იყო, რომ სადგურების მშენებლობის ტემპებს საგრძნობლად ჩამორჩა აბონენტთა ჩართვა ქსელში. 1964 1966 წლებში სატელეფონო ქსელების საერთო ტევადობა 30 000 ნომრით გაიზარდა, აბონენტთა რიცხვის ზრდა კი ამავე პერიოდში საშუალოდ 10 745-ს შეადგენდა. 1968 წლისათვის რესპუბლიკის საქალაქო სატელეფონო ქსელების საერთო ტევადობამ 136,6 ათას ნომერს მიაღწია.

1980 წელს რესპუბლიკის ქალაქებში 118 ტელეფონის სადგური მუშაობდა, მათ შორის 113 ავტომატური სისტემის. სადგურების საერთო ტევადობამ 301 ათას ნომერს გადააჭარბა. რესპუბლიკაში 304,8 ათასი ტელეფონი მუშაობდა.

გაცილებით ნელი ტემპით ვითარდებოდა სასოფლო სატელეფონო ქსელი. 1928 წელს საქართველოში სოფლად 87 სასოფლო სატელეფონო ქსელი მუშაობდა. სატელეფონო სადგურები ძირითადად ხელით მომსახურებისა იყო საერთო ტევადობით 938 ნომერი, საიდანაც 499 თავისუფალი იყო. 1940 წლისათვის სოფელ ადგილებში მოქმედებდა 165 ხელით მომსახურე სატელეფონო სადგური 3,3 ათასი ნომრის ტევადობით, რომელთაგან გამოყენებული იყო მხოლოდ 66 პროცენტი ე.ი. 2200 ნომერი.

ავტომატური სატელეფონო სადგურების დამონტაჟება სოფლად 1955 წლიდან დაიწყო. 1955 წელს რესპუბლიკაში მუ-

შაობდა სამი სასოფლო ავტომატური სადგური, მაოი რიცხვი ყოველ წელს საშუალოდ 12 პროცენტით მატულობდა /ცხრილი 21/.

1995 წლისათვის რესპუბლიკაში 160,7 ათასი ტელეფონი მუშაობდა, მათგან 157,7 ათასი მიერთებული იყო ავტომატური ტელეფონის სადგურებთან. ყოველწლიურად ავტომატური სატელეფონო სადგურების რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია სადგურების საერთო ტევადობის გაზრდა. ამან კი შესაძლებელი გახადა სოფლად გაზრდილიყო სატელეფონო ქსელი.

ცხრილი 21

ადგილობრივი სატელეფონო ქსელის განვითარება
საქართველოში 1950 - 1995 წლებში

მაჩვენებლები	1950	1955	1960	1965	1970	1975	1980	1985	1990	1995
სატელეფონო სადგურების რაოდენობა /ერთეული/	381	442	605	723	862	872	908	958	1009	1030
მათ შორის:										
ავტომატური		3	19	53	125	283	499	542	662	720
ტელეფონების სადგურების სიმძლავრე /ათასი ნომერი/	6,1	8,7	13,8	20,8	30,9	50,4	77,0	97	117	139
მათ შორის:										
ავტომატური სისტემის /ათასი ნომერი/		0,1	0,8	3,6	0,1	33,1	64,7	95,6	125,1	157,7
ტელეფონების რაოდენობა /ათასი/	3,6	5,4	8,5	12,9	22,8	39,9	65,0	80,5	100,5	160,7

დღეისათვის საქართველოს ტელეკომუნიკაციის სექტორს შემდეგი სახე აქვს:[1]

საქართველოს სახელმწიფო სექტორში არსებული ტელეფონების დაახლოებითი რაოდენობა 510 000, მათ შორის:

ბინის – 440 000;

[1] საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვთარების სააგენტო, ბიულეტენი №21, 1999, გვ.24-25.

ციფრული სატელეფონო ნომრების რაოდენობა – 180 000;

საერთაშორისო არხების რაოდენობა – 300 ;

რადიო სარელეო ხაზების სიგრძე – 3000 კმ;

სატელეფონო ნომრების რიცხვი ქ.თბილისში 270000 ნომერი, მათ შორის:

ციფრული 70 000;

- კერძო სექტორის – 30 000

სატელეფონო სიმკვრივე თბილისში დაახლოებით 25 ნომერი /100 აბონენტზე/;

- სატელეფონო სიმკვრივე ადგილობრივ ქსელებში დაახლოებით 10 ნომერი /100 აბონენტზე/.

- ავტომატური სატელეფონო სადგურების რაოდენობა 734, მათ შორის:

დეკადურ-ფიჭური – 45;

კოორდინატული – 647;

კვაზი – ელექტრონული – 19.

- ავტომატური სატელეფონო სადგურების რაოდენობა თბილისში – 37, მათ შორის:

დეკადურ-ფიჭური – 10 /დაახლოებით 65 000 ნომერი/;

კოორდინატული –13 /დაახლოებით 105 000 ნომერი/;

კვაზი-ელექტრონული – 14 /დაახლოებით 10 000 ნომერი/.

მობილური კავშირგაბმულობა GSM 900 დაახლოებით 346 000 აბონენტი /კერძო სექტორი/.

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში დარგების მიხედვით გაცემულია და მოქმედებს 540 - ზე მეტი ლიცენზია, მათ შორის:

რადიო - სამაუწყებლო კომპანია – 21;

სატელევიზიო კომპანია – 104;

საკაბელო ტელევიზია – 26.

მობილური ტელეფონ აპარატების შემოტანა – რეალიზაცია - 71;

საინფორმაციო სამსახური, რეკლამა, ფოსტა - 23;

სადისპეტჩერო სამსახური /სერიული ნომრები/ - 23;

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ტელეფონავტომატებით მომსახურება – 81;

სხვადასხვა – 195.

ტელეკომუნკაციის ბაზარზე ფუნქციონირებს შემდეგი ოპერატორები:

- ადგილობრივი ოპერატორები:

შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“ - ძირითადი ოპერატორი /სახელმწიფო სექტორი/, გაწეული მომსახურების მოცულობა დაახლოებით 85 პროცენტი;

შპს „ახალი ქსელები“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“, გაწეული მომსახურების მოცულობა დაახლოებით 15 პროცენტი.

- საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ოპერატორები:

შპს „საქართველოს ტელეკომი“ /ერთობლივი საწარმო/, გაწეული მომსახურების მოცულობა დაასლოებით 80 პროცენტი;

სს „ეგრისი“, გაწეული მომსახურების მოცულობა დაახლოებით 15 %;

შპს „გუდვილკომი“, გაწეული მომსახურების მოცულობა დაახლოებით 5 პროცენტი.

მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი /კერძო სექტორი/.

შპს „მეგაკომი“ /AMDS სტანდარტი/, დაახლოებით 600 აბონენტი;

შპს „ჯეოსელი“ /GSM სტანდარტი/, დაახლოებით 1200 აბონენტი;

შპს „მაგთიკომი“ / GSM სტანდარტი/, დაახლოებით 22 000 აბონენტი;

საქართველოს ტელეკომუნიკაციის ბაზარზე ფუნქციონირებს შემდეგი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ოპერატორები:

შპს „ეგრისი“ /კერძო სექტორი/, გაწეული მომსახურების მოცულობა შეადგენს 15 პროცენტს.

შპს „გუდვილკომი“ /კერძო სექტორი/, გაწეული მომსახურების მოცულობა შეადგენს 5 პროცენტს.

მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორები /კერძო სექტორი/, გაწეული მომსახურების მოცულობა – 100 პროცენტი, მათ შორის:

შპს „მეგაკომი“

შპს „ჯეოსელი“

შპს „მაგთიკომი“

შპს „საქართველოს ტელეკომი“ არის საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირის განმახორციელებელი დომინანტი ოპერატორი, რომლის მომსახურების მოცულობა 80 პროცენტია.

შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“ მოლიანად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოა. იგი წარმოადგენს ადგილობრივი სატელეფონო კავშირის განმახორციელებელ ძირითად ოპერატორს, რომლის გაწეული მომსახურების მოცულობა შეადგენს 85 % - ს.

შპს „საქართველოს ელექტროკავშირს“ კონკურენტების სახით ჰყავს შპს „ახალი ქსელები“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია„ /ორივე კერძო საკუთრებაშია/, რომელთა მიერ გაწეული მომსახურების საერთო მოცულობა შეადგენს 15 % - ს.

მიუხედავად ფიჭური კავშირგაბმულობის განვითარებისა, „მეგაკომის“, „ჯეოსელის“ და „მაგთიკომის“ მობილური ქსელი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას, აღნიშნული ქსელები უკვე საკმაოდ გადატვირთულია.

მობილური სატელეფონო ქსელის მუშაობის შეფერხება შესაბამისად აისახება ფირმების რიტმის დარღვევაში. მეორე მხრივ, მობილური სატელეფონო ქსელის მონოპოლიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად აფერხებს სატელეფონო ქსელის განვითარებას ქვეყანაში; მაღალი ტარიფები და მომსახურების დაბალი დონე მობილური სატელეფონო ქსელის მონოპოლიური მდგომარეობის შედეგია.

მიუხედავად კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ უკანასკნელ წლებში ტექნიკური აღჭურვილობის ზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება მოსახლეობისა და საწარმოო დაწესებულებათა სატელეფონო ქსელით მომსახურების უზრუნველყოფა და მისი გამართული მუშაობა. საწარმოო ბაზისა და მისი ტექნიკური

დონის დაბალი ხარისხი დღემდე ქვეყნის მოსახლეობის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს. განსაკუთრებით მაღალია უცხოელ ინვესტორთა უკმაყოფილება ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით.

ახალი-ტექნოლოგიები. საქართველოს ტერიტორიის რელიეფის თავისებურებების გამო გართულებული იყო მთიანი ადგილების ტელეფონიზაცია, რაც, როგორც ტექნიკურ, ასევე ფინანსურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამ მიზეზის გამო საჭირო იყო ისეთი ტექნიკური გამოგონება, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ნაკლებ ხარჯებთან და მაღალ მთიან რაიონებში ტელეფონიზაციის საკითხსაც მოაგვარებდა. ასეთი სიახლე იყო რადიოდამაგრძელებლების, ანუ ერთარხიანი ულტრამაღალი სიხშირის დუპლექსური სატელეფონო მოწყობილობების გამოყენება. მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა რაიონის ცენტრის ავტომატური ტელეფონის სადგურიდან 40 კილომეტრით დაშორებულ მცირე დასახლებულ სოფელში დაიდგას ტელეფონი. პირველად 36 - 301 ტიპის რადიოდამაგრძელებელი საქართველოს ადგილებში გამოიყენეს 1984 წელს.

აღნიშნული გამაძლიერებლების გამოყენება ეკონომიკურადაც გამართლებულია. თუ სატელეფონო სადგურიდან მოშორებით, მაგალითად 14 კილომეტრის მანძილზე /სასოფლო ობიექტზე/ აუცილებელია სატელეფონო კავშირი, ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზის მშენებლობას 48,0 ათასი ლარი სჭირდება, ხოლო 36 - 301 ტიპის მოწყობილობით იგივე მანძილზე კავშირის დამყარებას 16 ათასი ლარი. გარდა ამისა, დამაგრძელებლის საშუალებით კავშირის დამყარება შეიძლება მუდმივად მომსახურე პერსონალისა და ხაზის კაპიტალური რემონტის გარეშე, იგი არ ზიანდება ბუნებრივი პირობების ზემოქმედებით და სატელეფონო კავშირიც მაღალხარისხიანია.

რადიოდამაგრძელებელი ულტრამაღალი სიხშირეების აპარატურაა. იგი ითქმის არ მოითხოვს ტექნიკურ მომსახურებას, მისი მუშაობა შეიძლება შემოწმდეს ტელეფონის სადგურიდან დისტანციური კონტროლის გზით. ზემაღალი და ულტრამაღალი სიხშირის რადიოტალღების გავრცელების მახასიათებლების მიხედვით, მოწყობილობის მოქმედების სიშორე დამოკიდებულია ადგილმდებარეობის პირობებზე. სწორ, ან ოდნავ გო-

რაკიან ადგილებში მაქსიმალურმა მანძილმა შეიძლება 50 კილომეტრს მიაღწიოს, მთიან ადგილებში კი მანძილი შეიძლება უფრო მეტიც იყოს. თუ ორ პუნქტს შორის მანძილი 4 კილომეტრზე მეტია, აღნიშნული მოწყობილობის გამოყენება უფრო ეკონომიურია, ვიდრე ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზის მშენებლობა.

36 301 ტიპის მოწყობილობა დღეისათვის მოქმედებს: გორის, მესტიის, საგარეჯოს, ქუთაისის, ჩოხატაურის, გურჯაანის, კასპის, ლაგოდეხის და თელავის რაიონებში. მეტად აქტუალურია მცირეკომლიან სასოფლო ადგილებში ტელეფონიზაციის საკითხი, სადაც ჩვეულებრივი 50 ნომრით ავტომატური სადგურების დამონტაჟება არაეკონომიურია, ხოლო მცირე ტევადობის კვაზიელექტრონული ავტომატური სადგურები „ატკ - 10" - ის მონტაჟი დღეისათვის ისევ ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული. საბჭოთა კავშირის პირობებში ეს საკითხი რთული გადასაწყვეტი არ იყო. აღნიშნულ სადგურს აშზადებდა ოდესის ქარხანა „პრომსვიაზი" და საქართველოს სასოფლო ადგილებში მისი მონტაჟი უფრო იოლად გადასაჭრელი იყო, ვიდრე დღევანდელ სოციალურ - პოლიტიკურ პირობებში. იმედია, რომ საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო, კავშირგაბმულობის სამეცნიერო -კვლევით ინსტიტუტთან „ეგრის" თან და მრეწველობის სამინისტროსთან ერთად რესპუბლიკის საკეთილდღეოდ გადაწყვეტენ მისი სადგურების დამზადების საკითხს და ახლო მომავალში სოფლის ტელეფონიზაციის პრობლემაც იოლად გადაწყდება. აქვე ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც გვინდა განვიხილოთ. დღეს საქართველოს, როგორც ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის ძლიერი ბაზის მქონე ქვეყანას მნიშვნელოვანი თანხები შეუძლია მოიზიდოს უცხოური პარტნიორისაგან. მაგრამ ეს თანხები მაშინ იქნება მოზიდული, თუ ჩვენი საკურორტო და ტურისტული ბაზები აღჭურვილი იქნება თანამედროვე კომუნიკაციის სისტემებით და საშუალებებით, კავშირგაბმულობის მომსახურების ახალი სახეობებითა და ტექნოლოგიებით. საქართველოში კი ასეთი ბაზები მეტწილად მაღალმთიან რეგიონებშია განთავსებული /ბაკურიანი, გუდაური, შოვი, უწერა, ბახმარო და სხვა/.

სასოფლო კვაზი - ელექტრონულ ავტომატურ სატელეფონო სადგურებთან შეიძლება ჩართული იყოს ტელეფონები,

რომლებიც ამ სადგურებიდან 10 12 კილომეტრით არიან დაშორებული. ამ ტიპის სადგური აბონენტებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ მომსახურების სხვადასხვა სახით, რაც სადგურის პერსპექტიული გამოყენების მთავარი ღირსებაა.

კვაზიელექტრონული ატს - ს „კონფერენც კავშირის" სისტემა საშუალებას აძლევს აბონენტს ერთდროულად ესაუბროს რამოდენიმე აბონენტი და ჩაატაროს ოპერატიული თათბირი.

ათეული წლების განმავლობაში სისტემატურად მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მეცნიერებისა და ინჟინრების მიერ, რათა შეექმნათ სატელეფონო კავშირების უახლესი საშუალებები, აგრეთვე ისეთი მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ინფორმაციის გაზრდილი ნაკადების გადაცემას. ასეთ საშუალებად მიჩნეული არიან ლაზერული და ოპტიკური კაბელები. მათი გამოყენების შესაძლებლობები ჩვენს რესპუბლიკაში 90 - იანი წლებიდან გამოჩნდა.

ლაზერის გამომგონებლებმა ნ. ბასოვმა და ა. პროხოროვმა დაამზადეს ხელსაწყო სინათლის ძალზე ვიწრო კონის მისაღებად, რომელიც საშუალებას იძლეოდა სწრაფად გაეკეთებინათ ნახვრეტები ფოლადის ფირფიტებში და მყარ ძვირფასის ქვებში. მათი აღმოჩენა ფიზიკის დარგში ნობელის პრემიით აღინიშნა. „ლაზერის" შესანიშნავი თვისება ის არის, რომ მისგან გამომავალი სხივები ერთმანეთის პარალელური არიან. მათ ფართო გამოყენება ჰპოვეს როგორც მრეწველობაში, ასევე მედიცინაში, კოსმოსში და ასევე საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემებში.

ლაზერის სხივის გამოყენება შესაძლებელი ხდება რადიოსარელეო ხაზებში, რადიოტალღებში და ასობით სპილენძის სადენიან სატელეფონო კაბელში. ლაზერის მიერ გამოსხივებული ტალღების სიგრძე 10 000 - ჯერ ნაკლებია ყველაზე მოკლე რადიოტალღის სიგრძეზე, ხოლო, რაც უფრო მოკლეა ტალღა, მით მეტი რაოდენობის სატელეფონო ლაპარაკი შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად. მისი დახმარებით შესაძლებელია ასევე აითობით სატელევიზიო პროგრამის გადაცემა, რაც შეეხება სატელეფონო ლაპარაკს მისი რაოდენობა 10 მილიარდს აღწევს. ლაზერის სხივს გამოიყენებენ მოსკოვის საინ-

ფორმაციო კომუნიკაციათა სისტემებში, ტალინში, ერევანში, ვარშავასა და სხვა ქვეყნებში.

მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ სფეროში გარკვეული გამოყენება ჰპოვა ბოჭკოვანმა ოპტიკამ. ოპტიკური ბოჭკო, ანუ სინათლის სადენი შედგება მაღალი გარდატეხის მაჩვენებლის მქონე სინათლის გამტარი გულაკისა და დაბალი გარდატეხის მაჩვენებლის მქონე გამამხოლოებელი გარსისგან. ოპტიკური ბოჭკოს ტორსზე გარკვეული ზღვრული კუთხით დაცემული სინათლის სხივი ვრცელდება ოპტიკურად უფრო მკვრივ გარემოში, გულაკში, ვიდრე არ მიაღწევს მის გვერდით ზღვრულ კედლებს, ნაკლებად მკვრივი გარსის გარემოს ზღვრიდან არ აირეკლება. სხივის მრავალჯერადი არეკვლა ზღვარზე წარმოებს მანამ, სანამ არ მიაღწევს ბოჭკოს გამოსავალ ტორსს და არ გამოვა მისგან იმავე კუთხით. ასეთი ხერხით შესაძლებელია სატელეფონო ლაპარაკების გადაცემა. სინათლის კაბელი 100 ჯერ ნაკლებს იწონის, ვიდრე სპილენძის კაბელი. 13 მილიმეტრიანი დიამეტრის მქონე კაბელს იმდენივე ინფორმაციის გადაცემა შეუძლია, რაც მრავალძარღვიან მკლავის სისქე სპილენძის ძარღვიან კაბელს.

მრავალარხიან კავშირგაბმულობაში ხშირად გამოიყენება ოთს და რვაბოჭკოვანი კაბელები.

ოპტიკური მაგისტრალები გაყვანილია ინგლისში /1981 წლიდან/, იაპონიაში, აშშ - ში, გფრ - ში, იტალიაში, ლუბლიანაში, მოსკოვში, ლენინგრადსა და გორკში. სინათლის გამტარი კაბელების მოწყობილობების დამზადება, გაყვანა და მონტაჟი განახორციელა მოსკოვის ტელევიზიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა და სსრკ აკადემიის ზოგადი ფიზიკისა და ქიმიის ინსტიტუტების სპეციალისტებმა.

რუსეთის მრეწველობის მიერ სულ უფრო ფართოვდება სინათლის კაბელების ტექნოლოგიის ათვისება. დიდი შესაძლებლობები აქვს როგორც მიწისქვეშა, ასევე წყალქვეშა ოპტიკური კაბელების გამოყენებას. XIX საუკუნეში წარმოშობილი იდეა წყლის ქვეშ სატელეფონო კაბელების გაყვანისა დღეს უკვე ფანტასტიკა არ არის.

ზღვებსა და ოკეანეებში ჩადებული მაგისტრალების გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირი დამყარებულია მსოფლიოს 130 ზე მეტ ქვეყანასთან. დღეს წყალქვეშა

კაბელებს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ კავშირგაბმულობის ხელოვნური თანამგზავრების სახით.

მსოფლიო კავშირგაბმულობის ავტომატური სისტემის შექმნის თანახმად უკვე მოქმედებაში არიან თანამგზავრები ატლანტიკის, წყნარი ოკეანისა და ინდოეთის ოკეანის თავზე. ზოგი მაიგანი ერთდროულად 480, ხოლო ზოგი 1200 სატელეფონო ლაპარაკის რეტრანსლიაციას ახდენს. უახლეს დროში თანამგზავრების გამოყენებით 6000 მდე სატელეფონო ლაპარაკის განხორციელება იქნება შესაძლებელი. ასევე უცხო აღარ არის დღეს თანამგზავრების მეშვეობით რამდენიმე სატელევიზიო პროგრამების რეტრანსლიაცია.

თანამგზავრის საშუალებით წყნარი ოკეანიდან სატელეფონო კავშირები ხორციელდება ავსტრალიასა და ინდონეზიაში, ახალ ზელანდიასა და ფილიპინებზე, ტაილანდსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამხრეთ კორეასა და სხვა ქვეყნებში; ატლანტიკის ოკეანიდან კი თანამგზავრები ემსახურებიან ალჟირს, არგენტინას, ბრაზილიას, კანადას, საფრანგეთს, საბერძნეთს, ირანს, იტალიასა და სხვა ქვეყნების კავშირგაბმულობის სამსახურებს. თანამგზავრებით ინდოეთის ოკეანიდან ხორციელდება კავშირი ასევე ინდოეთთან, ცეილონთან, ავსტრალიასთან, კუვეიტთან, ლიბანთან, ესპანეთთან, ტაილანდთან, ინგლისთან.

ზემოთ მოყვანილი ორი სისტემა /თანამგზავრები და წყლისქვეშა ოპტიკური კაბელები/, სულ უფრო გააფართოებს საერთაშორისო სატელეფონო კავშირებს და უზრუნველყოფს ერთიანი მსოფლიო ავტომატური სატელეფონო ქსელის განხორციელებას.

ოპტიკური კაბელების მეშვეობით შესაძლებელი იქნება ვიდეოსატელეფონო კავშირების დამყარება, რომელიც, ვფიქრობთ, რომ დღეს არცთუ ისე შორეული პერსპექტივაა საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემისათვის.

ოპტიკური კაბელების ღირებულება დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე და მათი მშენებლობის გაფართოებასთან ერთად ხარჯები მათ წარმოებაზე უფრო ნაკლები იქნება. აღნიშნულის გათვალისწინებით არსებობს მოსაზრება, რომ საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირების განხორციელება ოპტიკური კაბელებით უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე დღემდე არსებული ტრადიციული კოაქსიალური კაბელების გამოყენე-

ბით. მსოფლიო ბაზარზე ოპტიკური კაბელების მოცულობა ყოველწლიურად 2 ჯერ იზრდება. თუ მოვიშველიებთ სტატისტიკურ მონაცემებს, 1981 წელს ოპტიკური კაბელების ღირებულება 200 მილიონ დოლარს შეადგენდა, 1982 და 1983 წლებში კი შესაბამისად 400 და 800 მილიონ დოლარამდე მიაღწია.

1990 იან წლებში საქართველოს ეკონომიკის საბაზრო სტრუქტურებზე გადასვლამ წარმოაჩინა ის აუცილებლობანი, რომლებიც საინფორმაციო კომუნიკაციის სისტემების განვითარებასთან უშუალო კავშირში იმყოფებიან. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინაშე სტრუქტურული რეორგანიზაციის ამოცანები დაისახა; საჭირო გახდა პირველი ნაბიჯების გადადგმა, რათა საქართველო ჩართული ყოფილიყო ერთიან მსოფლიო საკომუნიკაციო სისტემაში. აქედან გამომდინარე, რთული აღარ იქნებოდა საქართველოს ცხოვრებაში თანამგზავრული კავშირისა და ოპტიკური ქსელების შემოტანა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 1994 წელს საქართველო შეუერთდა პროექტს ტრანს – აზია -ევროპის ოპტიკურ - ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის /TAE/ სახელწოდებით. ამ სისტემის მშენებლობის იდეა ჩინეთში დაიბადა. 1993 წლისათვის TAE - ის მშენებელობაში ჩაბმული იყო 14 ქვეყანა. TAE - ს ტერმინალებად დამტკიცდა ევროპაში ფრანკფურტი მაინზე /გერმანია/, ხოლო აზიაში შანხაი /ჩინეთი/. საკაბელო ტრასის მთლიანი სიგრძე განისაზღვრა 17000 კმ - ით. TAE ტრასად გამოიყენებს სამ ოპტიკურ ბოჭკოვან საკაბელო სისტემას: ITUR, BSFOC და KAFOS. საქაროველოსათვის ამ პროექტს დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობას უმაღლესი ხარისხის პირდაპირი კავშირით მის წევრქვეყნებთან, ანუ ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის 20 ქვეყანასთან; აგრეთვე შესაძლებელი იქნება სატრანზიტო ტარიფისაგან მყარ ვალუტაში უდიდესი შემოსავლის მიღება, რომელიც გამოყენებული იქნება შიდა სატელეკომუნიკაციო ქსელების აღდგენა - მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციისათვის.

ყოველი მონაწილე ქვეყანა თავის თავზე იღებს მის ტერიტორიაზე გამავალი კაბელის მშენებლობასა და ექსპლოატაციას. რაც შეეხება საქართველოს მან გამოაცხადა ტენდერი

დამფინანსებელ ინვესტორის გამოსავლენად. ძირითად კონკურენტებად აქ Siemens-ი და Akatel-ი გამოდიან. საქართველოს სეგმენტის საორიენტაციო ღირებულება 7 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლის დასაწყისისათვის გარკვეული საქმეშაოები ჩატარდა მაგისტრალის ფოთი ბათუმის მშენებლობაზე. ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრანს – აზია ევროპის ოპტიკურ - ბოჭკოვანი საკაბელო სისტემა საქართველოს მკვიდრიცაა. აღნიშნულ პროექტში ჩართული არიან აგრეთვე თურქმენეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემა 90 იანი წლებისათვის არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზით ვერ განახორციელებდა იმ გლობალურ ამოცანებს, რომლებიც აუცილებელი იყო მსოფლიო ინტეგრაციის პროცესებში ჩართვისათვის. საჭირო იყო ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება. საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ 1993 წელს ჩაატარა ტენდერი საქართველოს საერთაშორისო კავშირგაბმულობის სამსახურის შექმნისა და ექსპლუატაციისათვის საზღვარგარეთელი პარტნიორების შესარჩევად. საერთაშორისო ტენდერი ჩატარდა 5 ეტაპად. საუკეთესო პროექტებად მიიჩნიეს ავსტრალიის საოპერატორო კომპანია TELSTRA და აშშ - ის კომპანიის TELCELL - ის პროექტები საქართველოში საერთაშორისო კავშირგაბმულობის შექმნისა და ექსპლუატაციისათვის.

საქართველოში გამოჩნდა ახალი ტექნოლოგიები. 1989 წელს ექსპლუატაციაში გაშვებული AXE - 10 ტიპის სადგურების გვერდით გამოჩნდნენ პირველი ციფრული სადგურები. ამით 60 000 მომხმარებელს საშუალება მიეცა ისარგებლოს თანამედროვე მაღალი სატელეფონო კავშირით. ახლო მომავალში თბილისში ციფრული ავტომატური სადგურების ტევადობა 12 000 ნომრით გაიზრდება. პერსპექტივაში გათვალისწინებულია ყველა ანალოგიური ავტომატური სატელეფონო სადგურის ციფრულით შეცვლა.

1995 წელს ქობულეთში, ბათუმსა და ფოთში მწყობრში ჩადგა ციფრული სადგურები. ქობულეთში მათი ტევადობა 4000 ნომრით განისაზღვრა, ბათუმში 7000, ფოთში კი - 3072 ნომრით.

ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს სამუშაოები ერთიანი ციფრული სატელეკომუნიკაციო ქსელის შესაქმნელად. ამ მიზნით 1995 წელს თბილისსა და ქუთაისში ამოქმედდა EWSD ტიპის ციფრული ავტომატური საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სადგურები. მოქმედებს ციფრული რადიოსარელეო ხაზი ბათუმს, ფოთსა და ქუთაისს შორის.

ახლო მომავალში მოძველებული ანალოგიური ავტომატური სატელეფონო სადგურები ციფრულით შეიცვლება, რაც გააუმჯობესებს სატელეკომუნიკაციო ქსელის მუშაობას და მიუახლოებს მას მსოფლიო სტანდარტების დონეს.

„სიმენსის" ციფრული ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა EWSD არის მძლავრი და მოქნილი სადგური საერთო სარგებლობის კავშირგაბმულობის ქსელებისათვის, რომელიც აკმაყოფილებს მოსახმარებელთა როგორც თანამედროვე, ასევე სამომავლო მოთხოვნებს. სისტემის ტექნოლოგია და არქიტექტურა ემყარება ფირმის მიერ კავშირგაბმულობის ტექნიკის, გამომთვლელი მანქანებისა და მიკროელექტრონიკის დარგში დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას. EWSD მსოფლიო ბაზარზე გამოჩნდა 1981 წელს და თავისი საიმედოობის, ეკონომიკური ეფექტიანობისა და საექსპლუატაციო კომპანიებისათვის გათვალისწინებული მრავალფეროვანი მომსახურებით მაშინვე აღიარება მოიპოვა მრავალ ქვეყანაში.

EWSD –ს პოპულარობა განსაზღვრა „სიმენსის" მუდმივმა მონაწილეობამ სტანდარტიზაციის მრავალ რეგიონულ, თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში. ფირმის მიერ შემუშავებული Wision ONE (Optmized Network Evolution) ქსელების ოპტიმიზაციის კონცეფცია საშუალებას აძლევს საექსპლუატაციო კომპანიებს, განახორციელონ კაპიტალდაბანდება. ამ თვალთახედვის ტექნიკური საფუძველია ციფრული ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა EWSD, რომელიც უნიკალურია ტევადობის, წარმადობის დამატებითი სახეებისა და ექსპლუატაციის თვალსაზრისით. მის ბაზაზე შესაძლებელია აშენდეს, როგორც სოფლის მცირე, ასევე დიდი ტევადობის ადგილობრივი, ან სატრანზიტო სატელეფონო სადგურები.

სრულყოფილი აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე EWSD საშუალებას იძლევა მივიღოთ

საკომუნიკაციო ქსელების აგების ოპტიმალური გადაწყვეტილება გამოყენებათა სფეროს ფართო დიაპაზონში, რომელიც ორიენტირებულია სამომავლოდ. სისტემის მოქნილობისა და მაღალი გამტარუნარიანობის მეშვეობით შესაძლებელია:

- EWSD მარტივად და ოპტიმალურად მოერგოს საექსპლოატაციო კომპანიების მოთხოვნებსა და სპეციალური ქსელების პირობებს;

- მოემსახუროს 25 000 ერთ დატვირთვას და 1 000 000 - მდე გამოძახებას უდიდესი დატვირთვით საათში.

ამ სისტემის გამოყენება შესაძლებელია, როგორც ადგილობრივი, საატრანზიტო და საერთაშორისო სატელეფონო სადგურად, ასევე მოძრავი ობიექტების საკომუნიკაციო, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ცენტრად. ასს - ები ემსახურება ერთ ზონას, ქალაქს, რაიონს, ან დასახლებულ პუნქტს. სადგურთან მიერთებული აბონენტების რაოდენობა შეიძლება იყოს მცირე, რამდენიმე ასეული, ან დიდი 250 000 - მდე.

საქალაქთაშორისო, ან საატრანზიტო სადგურები უზრუნველყოფს სხვადასხვა ასს ის ერთმანეთთან დაკავშირებას. ამ უკანასკნელთან შესაძლებელია 60 000 - მდე გამავალი, შემავალი, ან ორმხრივი მოქმედების არხების მიერთება.

მოძრავი რადიოტელეფონების თანამედროვე ქსელებს აქვს ფიჭური სტრუქტურა, რომელიც ემყარება აბონენტთა განკარგულებაში მყოფ სიხშირეთა მრავალჯერად გამოყენებას მთელ ზონაში. თუ მომხმარებელი გადაადგილდება ერთი რადიოზონიდან მეორეში, გადამცემი და მიმღებიც გადაერთვება. იმავდროულად შესაბამისი საკომუნიკაციო ცენტრები განსაზღვრავს მოძრავი ობიექტების მონაცემებს რადიოტელეფონით /ოპერატიულ მდგომარეობას, აბონენტის ნომერს ცნობარის მიხედვით, ადგილმდებარეობას და სხვა/.

ეს ნიშნავს, რომ მოძრავ აბონენტთან დაკავშირება განხორციელდება ყოველთვის ერთი და იმავე ნომრით. EWSD – ს ერთი საკომუნიკაციო ცენტრი მოემსახურება 65 000 - მდე მოძრავ მომხმარებელს.

ამ სისტემის გამოყენებით შესაძლებელია აიგოს ერთიანი ინტეგრალური მომსახურების ციფრული ქსელი /ISDN/, რომ-

ლის საშუალებით ხდება სხვადასხვა სახის კავშირის /სატელეფონო, ფაქსიმილური, მონაცემთა გადაცემის, ვიდეო სატელეფონო/ შესაბამისი ინფორმაციის კომუტაცია და გადაცემა. ეს იძლევა მნიშვნელოვან ტექნიკურ, საექსპლოატაციო და ეკონომიკურ მოგებას როგორც კომპანიებისათვის, ასევე აბონენტთათვის. ფირმა „სიმენსი" აწარმოებს ინტეგრალური მოხმარების ციფრული ქსელებისათვის არა მარტო EWSD საკომუნიკაციო სისტემას, არამედ მომხმარებელს სთავაზობს, აგრეთვე, არხების შესაბამის დამაბოლოებელ მოწყობილობებს და ადაპტერებს, არსებული ქსელების ინტეგრალური მომსახურების ციფრულ ქსელებთან მიერთებისათვის საჭირო პაკეტური კომუტაციის მოდელებსა და სხვა მოწყობილობებს.

EWSD სისტემა ინტეგრალური მომსახურების ციფრული ქსელის ფარგლებში საშუალებას იძლევა შეიქმნას ინტელექტუალური ქსელი /IN/ და მომხმარებელი უზრუნველყოს სპეციალური სერვისის /Value added services/ სახეებით. ინტელექტუალური ქსელის კონცეფცია ითვალისწინებს დამატებითი კომპიუტერული ინტელექტის არსებობას, რაც განაპირობებს მომსახურების ახალი სახეების სწრაფ დანერგვას მოქმედი ქსელის ფუნქციონირების შეუჩერებლად.

ინტელექტუალური ქსელების შექმნის მიზანია ერთიანი მონაცემების ბაზის შექმნა სხვადასხვა დანიშნულების ქსელისათვის.

EWSD ხასიათდება ტექნიკური მომსახურებისა და გამოყენების სიმარტივით, აგრეთვე, ეკონომიურობით, ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება ერთ საკომუნიკაციო სადგურში ჩვეულებრივ ხორციელდება ლოკალური რეჟიმით, რამდენიმესთვის კი ფირმა „სიმენსმა" შეიმუშავა მონაცემთა გადაცემის სისტემა, რომლის ბირთვი არის მონაცემთა გადაცემის პროცესორი.

ფირმა „სიმენსის" მიერ შემუშავებული ქსელის მართვის TNM სისტემით განისაზღვრება ქსელის მუშაობისა და გამოძახებათა მომსახურების ხარისხი, რის შედეგადაც იზრდება არხების კოეფიციენტი და მათი ეკონომიურობა.

რუსთავში, ქობულეთში, ბათუმსა და ფოთში მოქმედებენ „სისტემა - 12"-ის ციფრული სატელეფონო სადგურები. „S - 12"

ოურქულ ფრანგული ერთობლივი საწარმოს „ალკატელი“-ს მიერაა დამზადებული, რომელიც შეიცავს მთლიანად დეცენტრალიზებულ მართვის სისტემას. მასში მიკროპროცესორებით მუშავდება არა მხოლოდ მართვის, არამედ კომუტაციის სხვადასხვა ფუნქციაც, რომლებიც მთელ ქსელშია გაბნეული. მიკროპროცესორებს აქვთ უნარი, ცენტრალური კონტროლიორის მომსახურების გარეშე დაამყაროს ციფრული ტრაქტი ქსელის გავლით.

„S - 12“ - ში დეცენტრალიზებულ მართვა უზრუნველყოფს ქსელის მესაკუთრისათვის და მომხმარებლისათვის საიმედოობის სისტემას სრული ავარიის წინააღმდეგ, სტანდარტიზაციის სარისხს. კომუნიკაციის განვითარებაში წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ფართოზოლიანი ISDN – ის განხორციელება მართვის მთლიანი დეცენტრალიზებული სისტემის გამოყენებით, რომელიც საკომუნიკაციო ქსელებში გამოსავალი მონაცემებით მართვას დაეფუძნა.

აღნიშნული სისტემის დამუშავება მოხდა სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ორი უმთავრესი მიზეზის გამო: I. ციფრული სისტემები გათვალისწინებული იყო არა მარტო საუბრის გადასაცემად, არამედ ISDN – თან მუშაობისათვის; 2. ოთხმოციანი წლების ახალმა ნახევარგამტარულმა ტექნოლოგიამ დაიმკვიდრა მდიდარი გამოთვლითი შესაძლებლობები და დიდი ტევადობის დამამახსოვრებელი მოწყობილობები; ასევე გამოსავალი მონაცემებით მართული ციფრული საკომუნკაციო ქსელი DSN და კონსტრუირებული იქნა საკომუნიკაციო პორტის ძირითადი მექანიზმი. ეს სამუშაო სხვადასხვა ევროპული ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა აშშ ის ლაბორატორიაში. შემდეგი სამუშაოები გაგრძელდა: ბელგიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიისა და ესპანეთის ლაბორატორიებსა და საცდელ -საკონსტრუქტორო ცენტრებში.

„S - 12“ გამოიყენება როგორც ქალაქის, საკვანძო, შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სატრანზიტო ავტომატური სატელეფონო სადგური, ასევე კომბინირებული საქალაქო ტრანზიტული სადგური.

„S - 12“ ის საერთო გამოყენების სატელეფონო ქსელებში დანერგვამ მისი ფუნქციები და საშუალებები საგრძნობლად გაზარდა.

შეზღუდულ ფორმებში მოხმარების სფეროს გასაფართოებლად სოფლის ქსელებისათვის შემუშავდა გასატანი სააბონენტო ბლოკი.

შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სატრანზიტო ასს - თვის გათვალისწინებულია ოპერატორის სამუშაო ადგილების სრულ ფუნქციათა კომპლექსის სისტემა.

ISDN – ის დასანერგად „სისტემა 12“-მა, MKKTT-ს თანახმად, საერთო არხში დაიწყო №7 სიგნალიზაციის გამოყენება.

ერთ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო „S - 12“ ის ქსელის ტექნიკური ექსპლუატაციის ცენტრის შექმნა.

ციფრულ ავტომატური სატელეფონო სადგურის სახესხვაობაა „DMS - 10“. მასში ჩართულია დროით დამკვირვებელი არხები. ამ არხებში იმპულსურ კოდური მოდულაციის შედეგად 8 ბიტიან სიგნალებად კოდირებული სალაპარაკო დიაპაზონის სიგნალების კომუტაციისათვის გამოყენება წინასწარ დამახსოვრებული პროგრამით მართვა და ციფრული კავშირგაბმულობის ნახევარგამტარული ქსელი.

„DMS - 10“ უზრუნველყოფს ადგილობრივი სატელეფონო ქსელის, ან საშუალო ტევადობის სატრანზიტო სადგურის /12 800 არხი/ კომუტაციას. სისტემაში რეალიზებულია მე 5 კლასის სტანდარტული შესაძლებლობანი.

ტელეფონის აპარატები, საუწყებო ავტომატური სატელეფონო სადგურები და სხვა სააბონენტო მოწყობილობანი „DMS 10“ ის კომუტატორის სააბონენტო კომპლექსებს უერთდება სააბონენტო ხაზების საშუალებით. მაგისტრალური ხაზები კი, რომლებიც კომუტატორს აერთებს სატელეფონო ქსელის სხვა საკომუტაციო მოწყობილობებთან, მიერთებულია „DMS - 10“ შემაერთებელი ხაზების კომპლექტებთან.

„DMS - 10“ სერია 450 ახორციელებს გამავალი, შემავალი და სატრანზიტო გამოძახების მომსახურებას სიგნალიზაციის საყოველთაოდ მიღებული ფორმატის დახმარებით.

სისტემაში გათვალისწინებულია სადგუროშორისო სიგნალიზაცია, რომლის საშუალებითაც ხდება გამოძახებული მხარის ამოსაცნობი კოდის გადაცემა „DMS - 10“-ის საბაზო მე 4 კლასის სადგურზე და კავშირი ისეთ სამსახურებთან, როგორიცაა: საქალაქთაშორისო ხაზების ოპერატორი, სარემონტო და საინფორმაციო-საცნობარო სამსახურები და ავტომატური შეტყობინება.

„DMS 10“ იძლევა საერთაშორისო არხების /ILCE/ კონცენტრაციის მოწყობილობასთან შეერთების საშუალებას დაშორებულ პუნქტებში.

ასს „DMS - 10“ უზრუნველყოფს კლასტერული კონფიგურაციის შენარჩუნებას. ესენია „DMS - 10“-ის ტიპის ასს - ების ერთი ჯგუფი, რომელთათვისაც ერთად ხდება ანგარიშსწორების ოპერატორების, მართვისა და მომსახურების ცენტრალიზაცია. ამ ჯგუფებში ერთი ავტომატური სატელეფონო სადგური მუშაობს როგორც მთავარი /HSO/, სოლო სხვა სადგურები მოქმედებენ როგორც თანამგზავრული /SSO/ სადგურები და მათი რიცხვი 16 მდე აღწევს. ჯგუფში შემავალ ნებისმიერ „DMS - 10“ - თან მიერთებული დაშორებული მოწყობილობა შეიძლება ასევე ჩაირთოს ამ ჯგუფში შემავალ ცალკეულ კომუტატორთან „HSO“ ან „SSO“ - თან.

მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები ახალ მოთხოვნებს უყენებს სატელეკომუნიკაციო სისტემებს. მოსახლეობას უკვე ვეღარ აკმაყოფილებს კომუნიკაციის მხოლოდ სტაციონალური საშუალებები, რომელთაც, თანამედროვე გაგებით, შეზღუდული შესაძლებლობები აქვს: ისინი ვერ უზრუნველყოფენ ე.წ. მოძრავ /მობილურ/ კავშირს აბონენტებს შორის, როცა ერთი, ან ორივე მომხმარებელი იმყოფება შენობის გარეთ /მანქანაში, ქუჩაში და ა.შ./; მათი მეშვეობით ძნელად განსახორციელებელია არასატელეფონო სიგნალების გადაცემა /ფაქსი, მონაცემთა გადაცემა/, რომლებსაც აბონენტებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სატელეფონო კავშირს. სტაციონალური სატელეფონო სისტემები არ იძლევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მომხმარებლებთან ოპერატიული კავშირის საშუალებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომუნიკაციის პერსპექტიული განვითარება მხოლოდ სტაციონალური სისტემების ხარჯზე დაკავშირებულია კავშირგაბმულობის მეტად ძვირადღირებული კაბელების დამზადებასთან /თუმცა შედარებით იაფფასიანი ბოჭკოვან -ოპტიკური კაბელების ტექნოლოგიის შექმნამ გარკვეულწილად მოხსნა ეს პრობლემა/.

ზემოაღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად ამჟამად არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: ტელეკომუნიკაციის ფიჭური ქსელებისა და სისტემების ფართო დანერგვა.

სტაციონალური ქსელებისაგნ განსხვავებით, აბონენტებს შორის კავშირის ფორმა ფიჭურ ქსელებში არის რადიოკავშირი, სატელეფონო აპარატი კი - მიმღებ გადამცემი რადიოსადგურით აღჭურვილი პორტატიული ტელეფონი /რადიოტელეფონი/. საქალაქო სტაციონალური ქსელი შედგება ტერიტორიული უბნებისაგან, რომელთაგან თითოეულში განლაგებულია ასს – ი. ფიჭური ქსელები შედგება ფიჭებისაგან /ფუტკრის ფიჭის ფორმის მქონე ტერიტორიული დანაყოფებისაგან/, რომელთა ცენტრში დამონტაჟებულია მოცემული ფიჭის მიმღებ - გადამცემი საბაზო სადგური. მათი მართვა ხდება ერთიანი საკომუნიკაციო ცენტრიდან. ფიჭის ტერიტორიაზე მყოფი აბონენტი თავის რადიოტელეფონზე აკრეფს გამოსაძახებელი მომხმარებლის ნომერს, რომელიც მიეწოდება ფიჭის საბაზო სადგურს. საკომუნიკაციო ცენტრის საშუალებით გამოძახების სიგნალი გადაეცემა სხვა საბაზო სადგურს, იქიდან კი - თვით მეორე აბონენტს /თუ მეორეც იგივე ფიჭის ტერიტორიაზეა, მაშინ ცხადია საშუალედო ოპერაცია საჭირო აღარ არის/; ფიჭების რადიუსი, ძირითადად, დამოკიდებულია მდებარეობასა და მოსახლეობის სიმჭიდროვეზე და შესაძლებელია შეიცვალოს რამდენიმე ასეული მეტრიდან ათეულ კილომეტრამდე.

80 - იანი წლების დასაწყისში, როცა დაიწყო პირველი ფიჭური ქსელების წარმოება, გამოიყენებოდა ინფორმაციის გადაცემის ანალოგიური მეთოდები, თანდათანობით კი სულ უფრო იზრდება ციფრულ-ფიჭური ქსელების ხვედრითი წილი. ტელეკომუნიკაციის ნებისმიერი სისტემის ხარისხობრივი მაჩვენებლები, აპარატურის გაბარიტები, ღირებულება, საიმედოობა, სისტემის ხელშეშლისადმი მდგრადობა, გადაცემული ინფორმაციის ფარუ-

ლობა ციფრულ სისტემებში გაცილებით მაღალია, ვიდრე ანალოგიურში.

მე-7 ნახაზზე მოყვანილია დასავლეთ ევროპული ფიჭური ქსელების განვითარების გრაფიკი პერსპექტივის გათვალისწინებით, რომლიდანაც ნათლად ჩანს ციფრული ფიჭური ქსელების ზრდის ტენდენცია ანალოგიურ ქსელებთან შედარებით.



ნახ.5 დასავლეთ ევროპული ფიჭური ქსელების განვითარება

ოფიციალურ დოკუმენტს ციფრულ მობილურ საკომუნიკაციო გლობალურ სისტემათა /Global System for Mobile comunication/ შექმნაზე ხელი მოაწერა 1987 წლის სექტემბერში ევროპის 17 სახელმწიფომ. მანამდე კი, 1982 წელს დაარსდა GSM ის სტანდარტიზაციის ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა რეკომენდაციები სისტემის არქიტექტურისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. ეს კი საფუძვლად დაედო ტელესაკომუნიკაციო საშუალებათა მწარმოებელი მსოფლიოს მრავალი ცნობილი ფირმის საქმიანობას ორიგინალური პროექტების შექმნისა და განსორციელების დროს. ესე იგი, სტანდარტიზაციის ჯგუფმა წარმოადგინა არქიტექტურის პირობითი სქემა, რომელზე დაყრდნობითაც ხდებოდა სისტემის შემდგომი სრულყოფა სხვადასხვა ფირმების მიერ.

GSM - ის ფუნქციური შესაძლებლობებია:

1. ტელეფონირება;
2. ექსტრემალური სიგნალები;
3. ფაქსიმილური ჯგუფი;
4. მოკლე შეტყობინების სამსახური;
5. მოკლე შეტყობინების ფიჭური რადიო გადამცემები;
6. მონაცემთა გადაცემა;
7. მონაცვლეობითი საუბარი და ფიქსირება;
8. სატელეფონო სიგნალის შენარჩუნება;
9. მრავალმხრივი მომსახურება;
10. აქტიური ნომრის ამოცნობა და ამოცნობის შეზღუდვა;
11. მომხმარებელთა ვიწრო წრე.

1991 წლის ზაფხულში, წინასწარ შემუშავებული პროექტების საფუძველზე, GSM - მა ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება ევროპის 18 ქვეყანაში. გაშვების პირველივე დღიდანვე შეიმჩნევა მოთხოვნის ფართო ზრდა. GSM - ის საერთაშორისო ქსელის მშენებლობაში ჩართულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წამყვანი ფირმა /SIEMENS, NOKIA, MOTOROLA და სხვა./. GSM - ის გავრცელება – განვითარებას გარკვეულ წილად ხელი შეუწყო ე.წ. ღია სტანდარტმა, რომელიც უზრუნველყოფდა აპარატურის წარმოებას მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

ციფრული ფიჭური ქსელების დანერგვა ყველგან ერთნაირი ტემპით ვერ ხერხდება, რაც გამოწვეულია ზოგიერთი სახელმწიფოს არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, ან კავშირგაბმულობის სისტემის განვითარების დაბალი დონით. ამჟამად GSM ის მწარმოებელ-თათვის უმთავრესი ამოცანაა ქსელის ტექნიკური შესაძლებების დახვეწა -სრულყოფა.

უკანასკნელ ხანს ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა სტაბილურმა ვითარებამ შესაძლებელი გახადა უახლესი ტექნიკის გამოყენებით საგრძნობლად გაუმჯობესებულიყო კავშირგაბმულობის მუშაობა. შეიქმნა წინაპირობა ვიდეო კომპიუტერული სისტემის დანერგვისა. ამ მიზნით ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი – შპს „პერსონალური კომუნიკაციის“, შპს „საქართველოს ელექტროკავშირის“, შპს „საქართველოს ფოსტის“, შპს

„ეგრისის“ შემადგენლობით და შეიქმნა ახალი საზოგადოება „ვიდეოკომუნიკაცია“, რომელმაც ივალდებულა ვიდეკომპიუტერული კავშირების დამყარება.

Share Vision pc 3000-ის საშუალებით შესაძლებელია კავშირის დამყარება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილთან; შესაძლებელია ხმის, ვიდეო და სხვადასხვა მონაცემთა გადაცემა შორ მანძილზე ჩვეულებრივი ტელეფონის ხაზით; მომხმარებლებს, რომლებიც დაშორებულნი არიან, შეუძლიათ ერთდროულად იმუშაონ ერთსა და იმავე დოკუმენტზე.

ვიდეოკომუნიკაციის ეს სისტემა მუშაობის უსწრაფესი და ყველზე ეფექტური საშუალებაა. ამისათვის არც არის საჭირო ოფისიდან გასვლა. Share Vision pc 3000 - ის სისტემა ადვილი დასამონტაჟებელია და საშუალებას გვაძლევს ავტომატური კავშირები დავამყაროთ ადვილად და იაფად მსოფლიოს ნებისმიერ კუთხესთან.

Share Vision pc 3000 საშუალებას იძლევა ჩვენგან დაშორებულ ადამიანს, რომელთანაც დავამყარეთ ვიდეოკავშირი, გადავუღოთ სურათი, შევიდეთ მის ფაილებში, გადმოვიტანოთ ჩვენთან და ამოვბეჭდოთ.

სურათის გადაღება ხდება ვიდეოკამერით, რომელიც ვიდეო კავშირის ორივე მხარესაა დაყენებული. დაყენების შემდეგ ეკრანზე ჩაიღება ფერადი მაღალი ხარისხის ფოტოსურათი, რომელსაც შემდგომში ჩვენ ამოვბეჭდავთ პრინტერზე.

ფაილების გადმოგზავნა ხდება მარტივად და სწრაფად – საუბრის მსვლელობისას.

Win Fax – პროგრამა უზრუნველყოფს ფაქსის მიღებისა და გაგზავნის საშუალებას პერსონალურ კომპიუტერში, რაც მეტად ხელსაყრელია.

ფაქსის გაგზავნა შეიძლება ადრე დაყენებული დროის მიხედვით, მიღება დასაშვებია კომპიუტერთან მუშაობის შეუწყვეტლადაც.

Share Vision - ის კომპლექტი შეიცავს Share Vision – ის აუდიო და Video plaster - ის პლასტებს, მაღალი სისწრაფის ფაქს - მონაცემების მოდემს, დასამაგრებელ აუდიო მიკროფონს, დინამიკებს, ვიდეოკამერასა და მისაერთებლებს.

90 იან წლებში განსორციელებულმა ძირეულმა გარდაქმნებმა და საზოგადოების ტექნიკურმა აღჭურვამ წარმოშვა ინფორმაციის მომხმარებელთა ახალი თაობა – პროფესიული ინტერესების მიხედვით გაერთიანებული ცალკეული ჯგუფები და კერძო პირები, რომლებიც მონაცემთა გადაცემისა და მისი მომსახურების მიმართ მოითხოვენ ახლებულ მიდგომას, რადგან ინფორმაციათა რაოდენობა მატულობს ისეთი ტემპებით, რომ ადამიანი ვერ ასწრებს მათ სწრაფ ოპერატიულ გადამუშავებას.

კავშირგაბმულობის სისტემის წინაშე დადგა ახალი ამოცანები: მონაცემთა გადაცემის სიჩქარის მომატება და მათი გადამუშავების შესაძლებლობა უქაღალდო ოპერაციებით. უკანასკნელ დრომდე ჩვენს ქვეყანაში ინფორმაცია ვრცელდებოდა რამდენიმე გზით: ტრადიციული ტელექსის, ტელეტაიპის, ან უფრო სწრაფი და მოხერხებული ფაქსის საშუალებით; ამ შემთხვევებში გადაცემის ხარისხი ხარვეზიანია. შეტყობინების მიღების დრო იზომება საათებითა და წუთებით.

ტელექსი და ტელეტაიპი სუსტადაა ათვისებული. მათ არ შესწევთ უნარი, გადასცენ მონაცემთა დიდი მოცულობები იმ სახით, რომელსაც დღევანდელობა მოითხოვს. გარდა ამისა, ტექსტები სატელეგრაფო აპარატებიდან შემდგომი დამუშავებისათვის საჭიროებს დამატებით მომზადებას. ამ საშუალებებს მომხმარებელთა მხოლოდ ვიწრო წრე მიმართავს. ფაქსის გამოყენება ხელით შესასრულებელ მთელ რიგ დამატებით ოპერაციებთანაა დაკავშირებული, ამასთან, ხშირია ჩიფილი ტექსტის ბეჭდვის ხარისხისა და აპარატის მიერ ფურცლის გატანის შესახებ.

კავშირგაბმულობის სისტემის ეს პრობლემები განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხნის წინათ გადაიჭრა კომპიუტერის მეშვეობით, რომლებიც ერთმანეთს მონაცემთა გადაცემის ქსელებით უკავშირდება. ამ შემთხვევაში კომპიუტერები არის მონაცემთა საიმედო და კომპაქტური საცავი. ინფორმაციის გადაცემის ქსელი - სატელეფონო ქსელის ანალოგია, სადაც სატელეფონო აპარატის ნაცვლად მოდემები გამოიყენება. მან მძლავრი ბიძგი მისცა ახალი სისტემების შექმნას. საკმარისია, კომპიუტერზე რომელიმე ტექსტი აიკრიფოს, იგი შეტყობინებად გარდაიქმნება, გადაცემა მიღების /საკომუნიკაციო/ პროგრამის ჩართვის შემდეგ ინფორმაცია ადრესატს გადაეგზავნება. გადაცემის ქსელები

„ელექტრონული ფოსტალიონის“ ფუნქციას ასრულებენ, ხოლო საკვანძო კომპიუტერები საფოსტო განყოფილებების სახით წარმოგვიდგება.

ელექტრული ფოსტა კომპიუტერული ურთიერთობის უნივერსალური საშუალებაა. იგი ბევრ რამეში ჩვეულებრივ ფოსტას წააგავს. მისი მეშვეობით წერილი - ტექსტი სტანდარტული სათაურით /კონვერტით/ იგზავნება მოცემულ მისამართზე, რომელიც მიუთითებს კომპიუტერის ადგილმდებარეობასა და ადრესატის სახელს. ეს ინფორმაცია თავსდება ფაილში ანუ ადრესატის ყუთში, იმ ვარაუდით რომ მისი წაკითხვა შესაძლებელი იქნება მომხმარებლისათვის ხელსაყრელ დროს.

„იბერიაპაკი“ უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტის ინფორმაციის გადაცემას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ქსელის აბონენტი ჩართულია კომუნიკაციების მსოფლიო სისტემაში, რომელსაც დაახლოებით ოცი მილიონი მომხმარებელი ჰყავს.

ელექტრონული ფოსტა, ჩვეულებრივთან შედარებით, ბევრად მოსახერხებელია. მისი გამოყენებისას მომხმარებელს არ მოუწევს სამუშაო ადგილის მიტოვება და საფოსტო ყუთამდე მისვლა.

ამჟამად „იბერიაპაკი“ იყენებს dionis - ის ქსელურ ტექნოლოგიას. მის საფუძველზე თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში შექმნილია, ე.წ. hosl - ის სისტემები, საფოსტო სერვისების სახით.

„იბერიაპაკის“ საფოსტო სერვერების მომხმარებელთა სპექტრი მეტად მრავალფეროვანია: ხელისუფლების სტრუქტურები, ბანკები, კომერციული სფეროები, სამრეწველო და სამეცნიერო დაწესებულებები, გაზეთების რედაქციები, სატრანსპორტო და ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაციები, ფიზიკური პირები. მათ შორის განსაკუთრებულ აქტიურობას საბანკო დაწესებულებები იჩენენ. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკი და მისი ექვსი კლირინგ -ცენტრი ქუთაისში, ბათუმში, გორში, ზუგდიდში, გურჯაანსა და ახალციხეში არსებით ჩართულია „იბერიაპაკის“ შესაბამის რეგიონულ კვანძებში. ყოველ მათგანს მინიჭებული აქვს ქსელური მისამართი. ეს საშუალებას აძლევს ეროვნულ ბანკსა და მის ფილიალებს ერთმანეთთან ინ-

ფორმაცია გაცვალონ, როგორც უშუალოდ დროის რეალურ რეჟიმში, ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ეს „იბერია-აპაკის“ ბაზაზე კორპორატიული ქსელის შექმნის პირველი მცდელობაა, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა და 1994 წლის 16 ნოემბრიდან ეროვნულმა ბანკმა თავის კლირინგ ცენტრებთან დაიწყო „ელექტრონული“ ანგარიშსწორება. თუ ამგვარ ოპერაციას რამდენიმე კვირა სჭირდებოდა, ამჟამად ეს დრო დაყვანილია წუთებამდე. ტელეკომუნიკაცია გახდა ძირითადი ნაწილი არასატელეკომუნიკაციო მომსახურებისთვისაც. ძირითადად უნდა აღვნიშნოთ საბანკო ურთიერთობების სფერო.

მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო სატელეკომუნიკაციო საზოგადოება „სვიფტ“-ი /S.W.I.F.T/ ორი ათეული წლის წინ შეიქმნა ბრიუსელში. მასში შედიოდა 15 ქვეყნის 239 ბანკის წარმომადგენელი. მათი გადაწყვეტილებით საერთაშორისო საბანკო ანგარიშსწორებები უნდა მომხდარიყო გამომთვლელი ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებების ბაზაზე.

საზოგადოების მიზანი იყო სისტემის კვლევა, დამუშავება, დანერგვა, ექსპლუატაცია, სრულყოფა და განვითარება. მან გადაჭრა საერთაშორისო, საგადასახადო, საბრუნავ და საბანკო ინფორმაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახისა და შინაარსის მონაცემთა ავტომატიზებული ტრანსპორტირების პრობლემა.

S.W.I.F.T – ის ოფიციალური გახსნა შესდგა 1977 წლის 19 ოქტომბერს. პირველმა გადამცემებმა მოიცვეს 15 ქვეყნის 513 ბანკი. ყოველდღიურად იცვლებოდა დაახლოებით 500 ათასი ცნობა. დღეს ასეთი ბანკები 5000 - ზე მეტია /120 ქვეყნიდან/. მათ შეუძლიათ კვირის მანძილზე განახორციელონ სადღეღამისო ურთიერთმოქმედება 1,7 მილიონი ცნობის გადაცემის საერთო მოცულობით, ადრესატის გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად.

ამჟამად „სვიფტი“-ს მონაწილეთა მიერ ეს პრობლემა გადაწყვეტილია და არასაბანკო დაწესებულებებს საბანკო ქსელისაკენ გზა გახსნილი აქვთ. დღეს „სვიფტ“-ის მონაწილეთა შორის შევხვდებით საბანკო და სადილერო კანტორებს, საკლირინგო და სადაზღვევო კომპანიებს, სხვა ფირმებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდებით აწარმოებენ ოპერაციებს. „სვიფტი“ უზრუნველყოფს მათ პირდაპირ კავშირებს ყველა ქვეყნის კორეს-

პონდენტებსა და კონტრაგენტებთან. „სვიფტის“ დამფუძნებლები არიან ბანკები, რომელთა მონაწილეობა საწესდებო ფონდში წარმოდგენილია 51 % - ით, საინვესტიციო კომპანიები – 35 % - ით, ბირჟები 10 % - ით, კორპორაციები, რომლებიც ქმნიან პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებას S.W.I.F.T – ისათვის – 2 % - ით, საფინანსო - სამრეწველო ჯგუფები 2 % - ით. „სვიფტი“-ის კონსორციუმს აქვს „ჰოლდინგ კომპანიები“, რომლებიც დაკავებულია სატელეკომუნიკაციო ბიზნესით. ისინი ლიზინგში აძაგრებენ ელექტროსაქონლით ვაჭრობასა და აუქციონებს, ელექტროგაზეთს სისტემაზე ინფორმაციით და ეწევიან კომერციული ბანკების კლიენტების მომსახურებას ფართო სპექტრით.

დღეისათვის ფუნქციონირებს ორი სისტემა: S.W.I.F.T – 1 და S.W.I.F.T – 2. ახალი სისტემის შექმნის ძირითადი მიზანია უმტკივნეულოდ, კლიენტებისაგან შეუმჩნევლად საექსპლუატაციო ტექნიკის გარდაუვალი მორალური და ფიზიკური ცვეთის გათვალისწინებით განახორციელოს სისტემის ახალ ტექნიკურ საშუალებებზე გადაყვანა. პრინციპულად „სვიფტ -1“ და „სვიფტ - 2“ ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება. უკანასკნელი იყენებს კომპიუტერული ტექნიკის ახალ მიღწევებს და უზრუნველყოფს ძიების სრულყოფილ მეთოდს, რომლის დახმარებითაც შეიძლება ოთხი თვის წინ განხორციელებული ოპერაციების მოძიება, მას გააჩნია სრულყოფილი კონტროლის სისტემა, რაც, როგორც გამგზავნს, ისე მიმღებს საშუალებას აძლევს ინფორმაციის ყველა ნაკადის მოწესრიგებისა და მართვის მიზნით, განსაზღვროს ამა თუ იმ ცნობის გადაცემის თანმიმდევრობა; ცნობების გადაცემის საიმედოობა და მათი პირის გადაღების დაჩქარება, მაღალი წარმადობა /დღეში ერთ მილიონზე მეტი/ და ინფორმაციის გადაცემის სისწრაფე /9,6 კბიტ/წ და მეტი/.

ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო ფართოდ შემოვიდა მონაცემთა გადაცემის მსოფლიო ქსელი „ინტერნეტი“. იგი ორ ათეულ წელზე მეტია რაც ფუნქციონირებს. დიდი დროის განმავლობაში „ინტერნეტი“ ასრულებდა მოკავშირის როლს იმ მკვლევართათვის, რომლებიც მოიხმარდნენ გლობალურ ტექსტურ მონაცემთა ბაზას და ერთობლივად იყენებდნენ ერთმანეთის მუშაობის შედეგებს. დღიდან შექმნისა ინტერნეტის ქსელი სულ უფრო ვითარდება. ელექტრონული ფოსტის ადრესატის მარტივი სქემა საშუალებას იძლევა ერთმანეთს დაუკავშირდეს

უნივერსიტეტების კომპიუტერული ქსელი, კომერციული ორგანიზაციებისა და კერძო პირთა კომპიუტერები და ქსელი გაერთიანდეს გლობალურ ურთიერთშეთანხმებულ კავშირში.

ბოლო პერიოდში „ინტერნეტის“ ქსელმა განვითარება პოვა. ინტერნეტის ქსელით რეალური ბიზნესის განხორციელებისათვის საჭიროა ოთხი ძირითადი პირობა: ფართო მასების მიერ „ინტერნეტის“ ფლობა; ქსელთან მიერთების უსაფრთხოება; გამოქვეყნებათა საერთო მისაწვდომობა და საავტორო უფლებების დაცვა და ინფრასტრუქტურის არსებობა კომერციული საქმიანობისათვის.

ინტერნეტი არის მოქნილი საშუალება ინფორმაციის გაცვლისათვის და გამოყენების ფართო სპექტრი გააჩნია. სამეცნიერო სფეროში მოღვაწეობაში მის ტრადიციულ როლს დღეს კომერციული საქმიანობაც ემატება. მას იყენებს მრავალი კორპორაცია პარტნიორთან და დამკვეთთან ურთიერთობისათვის. სულ უფრო იზრდება იმ ფირმათა რიცხვი, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ ინტერნეტის ქსელით მომსახურებას დაბალ ფასებში, რაც ყოველდღიურად იზიდავს ათასობით ახალ დაინტერესებულ პირს.

დღეისათვის, სხვადასხვა შეფასების მიხედვით, ინტერნეტი აერთიანებს 30 – დან 40 მილიონამდე მომხმარებელს და შეიცავს დაახლოებით 70000 ქსელს მთელ მსოფლიოში: ინტერნეტის ფენომენი არის ე.წ. „მსოფლიო ობობას“ ქსელი, /World wide web/ მისამართთა მინიშნებით www - ში. ამ ქსელის განმასხვავებელი ნიშანია ათასობით სხვადასხვა დოკუმენტის მონაცემებს შორის კავშირის დამყარება და მათი გრაფიკული დათვალიერება. თანამედროვე პირობებში „ობობას“ ჰყავს მილიონზე მეტი მომხმარებელი, რომელიც მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

დღეისათვის საქართველოს მრავალ მსხვილ საწარმოს, კერძო კორპორაციებსა და სასწავლო დაწესებულებებს შეუძლიათ ნებისმიერი სახით ინფორმაციის მიღება ინტერნეტის ქსელის საშუალებით. ინტერნეტის ქსელით მათი უზრუნველყოფა ხდება საქართველოში შექმნილი პაკეტური კომუტაციის კომპიუტერული ქსელი „იბერიაპაკის“ საშუალებით.

თავი XIII. ინოვაციური საქმიანობა და მისი სუბიექტები

ტერმინი "ინოვაცია" ნიშნავს განახლებას, გარდაქმნას, უფრო ზუსტად ამ გარდაქმნის შედეგს. თვით გარდაქმნა - განახლების პროცესს ინოვაციური საქმიანობა ეწოდება. ფართო გაგებით ინოვაციური საქმიანობა არის საზოგადოების განვითარების გარკვეული მომენტი, ადამიანების გააზრებული, მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც იწვევს გარკვეულ პროცესს ბუნებაში, ან სოციალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

იმის გამო, რომ ინოვაცია ფირმებს აძლევს კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე, ისინი მუდმივად მზად არიან ინოვაციების შესაძენად. ფირმების ასეთმა სტრატეგიულმა ორიენტაციამ ინოვაციური საქმიანობა გასადა სისტემური და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განსაკუთრებულ სფეროდ აქცია. ამის შედეგად ყველა ქვეყანაში ჩამოყალიბდა ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური სფერო, რომელიც ახდენს სამეცნიერო პროდუქციის რეალიზაციას მატერიალურ წარმოებაში.

ინოვაციური სფერო ეს არის ეროვნული მეურნეობის დარგების და საქმიანობის სახეების ერთობლიობა, რომლებიც, მართალია, „პირდაპირ მონაწილეობას არ იღებენ მატერიალურ წარმოებაში, მაგრამ ქმნიან განსაკუთრებული სახის სახმარ ღირებულებებს, ხშირად ისეთს, რომელსაც არა აქვს მატერიალური სუბსტანცია, მაგრამ საჭიროა მატერიალური წარმოების ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის“.[1]

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სისტემაში ინოვაციური სფეროს ფუნქციონალური დანიშნულება დაკავშირებულია მის ფუნქციასთან, შექმნას სიახლეები და დააკმაყოფილოს მასზე მატერიალური წარმოების და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილება. ეს სფერო მოიცავს სამეცნიერო კვლევით, საცდელ - საკონსტრუქტორო, მარკეტინგის, სამეწარმეო სტრუქტურების და სხვა ობიექტებს, რომელთა საქმიანობა მი-

[1] Кокурин Д.И.. Инновационная деятельность. М., Экзамен, 2001, გვ. 29.

მართულია ინოვაციებზე მატერიალური წარმოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს სფერო მონაწილეობს ერთობლივი ეროვნული შემოსავლის შექმნასა და გადანაწილებაში და იგი უზრუნველყოფს სამეცნიერო პროდუქციის გადასვლას მეცნიერებიდან მატერიალურ წარმოებაში.

ინოვაციური სფეროს ფუნქციონირებას საფუძვლად უდევს ინტელექტუალური საკუთრება და საკუთრება ინოვაციური საქმიანობის პროდუქტებზე. ამ სფეროს აქვს თავისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა და საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის შესაბამისი მეთოდები და ხერხები.

ინოვაციური საქმიანობის გამოკვლევა განსაკუთრებით გააქტიურდა 70 - იანი წლების შუა ნახევრიდან. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ი.შუმპეტერმა. მან ასე ჩამოაყალიბა ინოვაციური სფეროს ფუნქციონალური დანიშნულება, ესენია:

ინოვაციების პოტენციურ მომხმარებელთა კომერციული ანალიზი;

პერსპექტიული იდეებისა და ფუნქციონირების წყაროების ძიება;

სიახლეების შექმნისა და დანერგვის ორგანიზაცია;

სიახლეების ტირაჟირება;

მხარდაჭერა და უტილიზაცია.

ინოვაციური სფეროს პროდუქცია /პროდუქტი/, როგორც წესი, არის იმ საქონლის ნიმუში, რომლის საფუძველზე შემდეგ ხდება მისი მასიური წარმოების მოწყობა.

ინოვაციური სფეროს პროდუქციის ძირითადი ნაწილი სასაქონლო პროდუქციაა და განსხვავებით სამეცნიერო სფეროსაგან, აქ საჭიროებს გაცვლით ოპერაციებს, რომლის დროსაც მკაცრად ფიქსირდება ინოვაციის ძველი და ახალი მესაკუთრე.

ინოვაციური პროდუქტის ღირებულებას მის შექმნაზე გაწეული დანახარჯები კი არ განსაზღვრავს, არამედ ის ფუნქციონალური სიახლე, რომელიც ამ პროდუქტში დევს და რომელსაც შეუძლია უფრო მაღალ ხარისხობრივ დონეზე /ანდა ნაკლები დანახარჯებით/ დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილებები მასზე.

ადამიანთა შრომითი საქმიანობის მოტივი არის მათი მოთხოვნილებები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ საქმიანობის მოცულობას, სტრუქტურასა და სირთულეს. შრომითი საქმიანობა შეიძლება დაჯგუფდეს ინოვაციურ /ახალი პროდუქტის შემქმნელ/ და რუტინულ /რეპროდუქციულ/ საქმიანობად; პირველი ქმნის ახალ პროდუქციას /ახალ შედეგს/, მეორე კი მხოლოდ ახდენს არსებულის გამეორებას. ინოვაციური საქმიანობის დროს ხდება მიზნის, საქმიანობის ხერხის არჩევა და მასზე კონტროლის დამყარება, რუტინული შრომის დროს კი ხდება ფუნქციის გამეორება. ინოვაციურ საქმიანობას ი. შუმპეტერი შემოქმედებით საქმიანობას უწოდებს და წერს, რომ "იგი თვითონ ირჩევს მიზანს და ასრულებს თავის ფუნქციას".[1]

ინოვაციური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ინოვაციური ციკლი. ეს არის პერიოდი, რომელიც გრძელდება ახალი იდეების წარმოშობიდან მათ პრაქტიკულ გამოყენებამდე, ანდა კონკრეტული შედეგების მიღებამდე. ცნობილია ინოვაციის ციკლი და ინოვაციის სიცოცხლისუნარიანობის ციკლი. პირველი გრძელდება იდეის წარმოშობიდან მის სამრეწველო წარმოებაში გამოყენებამდე, ხოლო მეორე – წარმოებაში დანერგვიდან მის სრულ დაძველებამდე.[2] ისე, რომ, თუ ინოვაციური ციკლი მეცნიერული იდეის წარმოშობით იწყება ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი იწყება სამეცნიერო ტექნიკური მიღწევის პრაქტიკულ დანერგვით.

ყოველ ქვეყანას აქვს თავისი ინოვაციური პოტენციალი. ეს არის მისი გამოუყენებელი, ფარული რესურსების ერთობლიობა, რომელთა ამოქმედებით მოხდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ინოვაციური საქმიანობის ინტენსიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ეფექტიანობით იქნება გამოყენებული ამ რესურსების თითოეული ერთეული და ცხადია, ამის შედეგად მთელი ინოვაციური პოტენციალი.

ინოვაციური პოტენციალი მოიცავს: ფინანსურ რესურსებს, მატერიალურ ტექნიკურ რესურსებს, ინფორმაციულ რესურ-

---

[1] Шумпетер И., Теория экономического развития. М., "Прогресс", 1982, გვ. 79.

[2] Яковец Ю., Ускорение НТП. Теория и экономизм. М., "Экономика", 1989, გვ. 98.

სებს. ეს რესურსები, ანდა მათი ნაწილი, ინოვაციურ პროცესში გადამუშავდებიან და ამის შედეგად მიიღება ინოვაციური პროდუქტი, რომელიც თავის მხრივ არის ამოსავალი რესურსი ახალი ინოვაციური საქმიანობისათვის.

როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ცალკეულ სამეურნეო სუბიექტებთან ინოვაციური პოტენციალის გამოყენება დამოკიდებულია მათ კონკრეტულ სტრატეგიაზე. ცნობილია მისი ორი სახე: ლიდერების, ანუ წარმატებით განვითარების სტრატეგია და მყარი განვითარების სტრატეგია. ლიდერები სიახლეების სისტემატური დანერგვით მონოპოლისტები ხდებიან და აქედან გამომდინარე, დიდი მოგება აქვთ. მაშასადამე, ლიდერობა წარმატებული განვითარების საწინდარია, მაგრამ დიდ რისკთან არის დაკავშირებული. მყარი განვითარების სტრატეგიის მიმდევრები იყენებენ ლიდერების გამოცდილებას და შედარებით ნაკლები დანახარჯებით და ცხადია, ნაკლები რისკითაც უზრუნველყოფენ თავიანთ სტაბილურობას ბაზარზე. თუ რომელ სტრატეგიას აირჩევს სახელმწიფო, ან მეურნე - სუბიექტი, ეს დამოკიდებულია მის ინვესტიციურ შესაძლებლობებზე და მეწარმეულ რისკზე.

ინოვაციური საქმიანობის შედეგი, ანუ ინოვაციური პროდუქტი არის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს ინოვაციური პროდუქტის სიმრავლე; ესენია; ინფორმაციის დამუშავების ახალი ორიგინალური სისტემები, ახალი ნიმუშები, ახალი პროგრამები, პროდუქციის მიღების ახალი ლაბორატორიული პროცესები და ა.შ. ამ ინოვაციურ ინიციატივებს მრავალმხრივი მხარდაჭერა სჭირდებათ სახელმწიფოს მხრიდან, ინოვაციური ფონდების მხრიდან, ცალკეული ფირმებისა და მოქალაქეების მხრიდან. ამიტომ ინოვაციურ პროდუქტზე საკუთრების ფორმა არის შერეული.

ინოვაციური პროდუქტის თავისებურება ისაა, რომ იგი არ ემორჩილება საბაზრო ეკონომიკის ზოგიერთ კანონებს, მაგალითად მიწოდება - მოთხოვნის კანონს, შემცირებადი შემოსავლიანობის კანონს და ა.შ. პირველი კანონის მიხედვით საქონელი იწარმოება მაშინ, როცა მასზე მოთხოვნა არსებობს. ინოვაციური საქმიანობის შემთხვევაში ეს ასე არ არის. ეს სფერო თავის პროდუქციას ისე აწარმოებს, რომ მან არ იცის მიიღებს, თუ

არა მას მომხმარებელი. ამის მიზეზი ისაა, რომ ინოვაციური პროდუქტი არის სიახლე, რომელსაც არ იცნობს მომხმარებელი.

ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები ჯგუფდებიან:

1. სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციები;
2. სამეწარმეო სექტორის ორგანიზაციები;
3. უმაღლესი განათლების სფეროს ორგანიზაციები;
4. კერძო არაკომერციული სექტორის ორგანიზაციები.

ამ ჯგუფიდან საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობენ კერძო არაკომერციული ინოვაციური ორგანიზაციები, კერძოდ, ბრუკლინის ინსტიტუტი, ბეტელევის მემორიალური ინსტიტუტი, "რენდ კორპორეიშნ"-ი, საერთაშორისო გამოკვლევების სტენფორდის ცენტრი და სხვა.

იმ პრობლემატიკათა რიცხვიდან, რომელთა გამოკვლევითაც სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ინოვაციური ორგანიზაციები, წინა პლანზე დგას:

სტრატეგიული მარკეტინგი;
ფუნდამენტური გამოკვლევები;
გამოყენებითი გამოკვლევები;
საცდელ - საკონსტრუქტორო სამუშაოები;
წარმოების ტექნოლოგიური მომზადება;
ტექნიკური მარკეტინგი;
ინოვაციის სერვისი;
სიახლის ათვისება და წარმოება.

ამ ნიშნებით ინოვაციურ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან: მარკეტინგის კვლევის სამეცნიერო ორგანიზაციები, საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციები, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები, ფირმები, სერვისული და სარემონტო ორგანიზაციები, სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციები.

საქართველოში 1999 წლის 1 იანვრისათვის სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს ასრულებდა 129 ორგანიზაცია; მათ შორის 18 უმაღლესი სასწავლებელი და 118 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.[1] ამ წელს შესრულებულია 16596,1 ათ. ლარის სამეცნიერო - კვლევითი სამუშაო, აქედან 4730,7 ათ.

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 1999, გვ.98.

ლარის ფუნდამენტური გამოკვლევები, 445,1 ათ. ლარის — საპროექტო - საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამუშაოები, 73 ათ. ლარის - საცდელი ნიმუშების, 21,8 ათ. ლარის — სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურება, 3,7 ათ. ლარის - საპროექტო სამუშაოები მშენებლობისათვის.[1]

ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები შეიძლება დასპეციალიზებული იყვნენ საქმიანობის დარგების მიხედვით /ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი/, ანდა მეურნეობის დარგების მიხედვით /მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და სხვა/. მათ შეიძლება ჰქონდეთ საწარმოს ნებისმიერი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა /შპს, სპს, საქციო საზოგადოება და სხვა/, რაც დაშვებულია ქვეყნის სამეწარმეო კანონმდებლობით. ისინი შეიძლება იყვნენ დროებითი, ანდა მუდმივი, იურიდიულად დამოუკიდებელნი, ანდა იურიდიულად დამოკიდებულნი. სიდიდის მიხედვით ინოვაციური ფირმები შეიძლება იყვნენ მცირე, საშუალო და მსხვილი.

მცირე საწარმოს ფორმირების კრიტერიუმები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. საქართველოს კანონით „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ", მცირედ ითვლება საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა რიცხვი და წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ სიდიდეებს: მრეწველობაში - 40 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს; მშენებლობაში 20 დასაქმებულსა და 300 ათას ლარს; ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 20 დასაქმებულსა და 200 ათას ლარს; სოფლის მეურნეობაში - 20 დასაქმებულსა და 150 ათას ლარს; საბითუმო და საცალო ვაჭრობაში - 10 დასაქმებულსა და 50 ათას ლარს; განათლებაში, ჯანმრთელობაში და კულტურაში 25 დასაქმებულსა და 60 ათას ლარს; სხვა საქმიანობაში 15 დასაქმებულსა და 100 ათას ლარს. მაშასადამე, ინოვაციური სამეურნეო სუბიექტის მცირე საწარმოთა ჯგუფისთვის მიკუთვნებისას უპირველესად უნდა გავარკვიოთ, რამდენად აკმაყოფილებს იგი ამ დარგის მცირე საწარმოთა პარამეტრებს.

საერთოდ, ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მცირე საწარმოთა 50 — 60 % ინოვაციურ საქმიანობით არის დაკავებული /აშშ ში 60 %, დიდ ბრიტანეთში 40 %/.

---

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ, 1999, გვ.101.

როგორც ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, ეს იმითაა გამართლებული, რომ მცირე საწარმომ თავისი სიახლე ბაზარზე რომ გაიტანოს სჭირდება საშუალოდ 2,22 წელი, მსხვილ ფირმებს კი - 3,05 წელი.

ინოვაციური მეწარმეობის დაფინანსება საზღვარგარეთ ძირითადად ვენჩურული კაპიტალით ხდება. ვენჩურული კაპიტალი სარისკო კაპიტალია, მაგრამ გამართლების შემთხვევაში დიდ მოგებას იძლევა. ასეთი სარისკო საქმიანობა არის ინოვაციური საქმიანობაც. რისკის დიდი საშიშროების გამო ინოვაციური პროექტები ტრადიციული წყაროებიდან ფინანსურ მხარდაჭერას ვერ პოულობენ. ეს საქმე, როგორც წესი, გრძელვადიანია. ინვესტორს 3 - 5 წელი მარტო ახალი იდეის პერსპექტიულობის შესამოწმებლად სჭირდება, 5 10 წელი კი მოგების მისაღებად.

სარისკო კაპიტალი ინოვაციურ სუბიექტს კრედიტის სახით კი არ მიეცემა, არამედ შედის მის საწესდებო ფონდში როგორც წილი, ინვესტორი კი ხდება ინოვაციური ფირმის პარტნიორი, რომელსაც სამეწარმეო მოგება კი არ აინტერესებს, არამედ სადამფუძნებლო შემოსავალი. ამჟამად ამერიკაში ინოვაციურ ფირმებზე წელიწადში 4 4,5 მილიარდი დოლარი სარისკო კაპიტალი გაიცემა. მის 4 % - ს გასცემენ ინვესტიციური კომპანიები, 37 % - ს კორპორაციული კომპანიები და 39 % -ს დამოუკიდებელი კომპანიები. ინოვაციური ფირმებიდან დაფინანსების მოთხოვნით წელიწადში საშუალოდ 1200 განაცხადი შემოდის, მათგან მხოლოდ 1 - 1,5 % კმაყოფილდება.[1]

ვენჩურული ფირმების კაპიტალის წყარო აშშ ში ძირითადად არის საპენსიო ფონდები /47 %/, სადაზღვევო კომპანიები /13 %/, კორპორაციები /12 %/, კერძო დანაზოგები /12 %/, საზღვარგარეთული ანაბრების /12 %/ და ქველმოქმედების ფონდები /4 %/. ევროპაში ვენჩურული კაპიტალი იგივე წყაროებითა და სახელმწიფო ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობით /10 %/ ფორმირდება.

ინოვაციური საქმიანობის განვითარებაში განსაკუთრებული ეტაპია ინოვაციური ცენტრების, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკების, აგლომერაციების და ინკუბატორების შექმნა. ინო-

---

[1] Кокурин Д.И., Инновационная деятельность, М.,Экзамен, 2001, გვ .233.

ვაციურ საწარმოთა ასეთ განთავსებას ის უპირატესობა აქვს, რომ ამით მცირდება ინვესტიციური და სასტარტო ხარჯები, მიმდინარე /განსაკუთრებით კომუნალური/ და სატრანსპორტო ხარჯები და ა.შ. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში /აშშ, დიდი ბრიტანეთი/ აპრობირებული ეს მეთოდი წარმატებით დაინერგა ჩინეთში, უნგრეთში, კუბაში. რუსეთში ფუნქციონირებს 40 ინოვაციურ - ტექნოლოგიური ცენტრი, რომლებშიც 80 ინოვაციური ფირმა და 150 სერვისული საწარმოა თავმოყრილი.[1] რუსეთში აქტიურად მოქმედ ტექნოპარკებიდან აღსანიშნავია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პარკი, ტომსკის ტექნოპარკი, ზელენოგრადის სამეცნიერო - ტექნიკური პარკი და სხვა.

საქართველოში ჯერჯერობით არც ერთი ინოვაციური ცენტრი არ არის შექმნილი. ეკონომიკაში გამეფებული კრიზისის გამო აქ ჯერჯერობით კაპიტალი მიისწრაფვის მოკლევადიანი ციკლის დარგებში - ვაჭრობა, საშუამავლო საქმე, საბანკო და სადაზღვევო საქმე და არა გრძელვადიანი ციკლის საწარმოო და საინვესტიციო საქმიანობაში. ისე, რომ კრიზისის დროს ქვეყნის ინოვაციური აქტუალობის დონე მინიმუმამდის კლებულობს, საიდანაც ერთადერთი გამოსავალი არის ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.

როცა სახელმწიფოს ამისთვის საკუთარი სახსრები არ გააჩნია, ინოვაციური საქმიანობის განვითარება შეიძლება უცხოური ინვესტიციებით, ანდა ლიზინგით. საქართველოს ინვესტიციური კლიმატი ნაკლებმიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის, ამიტომ უმჯობესია ფინანსური ლიზინგის გამოყენება, რომელიც გულისხმობს საჭირო ტექნიკის იჯარით აღებას, თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი ფირმების 80 % რეგულარულად იყენებს ლიზინგს. ფინანსური ლიზინგი კი გრძელვადიანია და თითქმის ემთხვევა არენდით მიღებული მოწყობილობის სასარგებლო სამსახურის ვადას. ფინანსური ლიზინგის დროს ლიზინგის მიმღებ მხარეს შეუძლია აანაზღაუროს იჯარით აღებული ქონება როგორც ფულით, ისე საქონლით.

---

[1] Фатхутдинов Р., Инновационный менеджмент, М., Интел-Синтез, 2000, გვ.64.

ინოვაციური საქმიანობა მაღალი რისკით ხასიათდება. მას იწვევს როგორც ბუნებრივი და ტექნოლოგიური ფაქტორები, რომელთა გავლენის სრული გათვალისწინება შეუძლებელია, ისე გაუთვალისწინებელი შემოხვევითი მოვლენები. რისკის შემცირების ყველაზე საუკეთესო საშუალება არის ინოვაციური საქმიანობის დაზღვევა. დაზღვევის ობიექტი ამ დროს ხდება ინოვაციური საქმიანობის მონაწილეთა ქონებრივი ინტერესები.

ინოვაციურ საქმიანობას სახელმწიფო რეგულირება სჭირდება. სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები შემდეგია:[1] 1. ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად სახსრების აკუმულაცია; 2. ინოვაციური საქმიანობის კოორდინაცია; 3. ინოვაციების სტიმულირება; 4. ინოვაციური საქმიანობისთვის სამართლებრივი ბაზის შექმნა; 5. კადრებით უზრუნველყოფა; 6. ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება; 7. ინოვაციური პროცესების ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა; 8. ინოვაციების სოციალური და ეკოლოგიური მიმართულებებით წარმართვა; 9. ინოვაციური საქმიანობის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლება; 10. ინოვაციური პროცესების რეგიონალური რეგულირება; 11. ინოვაციური პროცესების საერთაშორისო ასპექტების რეგულირება.

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება ეფუძნება ქვეყნის განვითარებაში პრიორიტეტებს და გენერალურ სტრატეგიულ მიმართულებებს. ამის მიხედვით აყალიბებს სახელმწიფო ინოვაციურ სფეროში თავის მიზნებსა და პოლიტიკას. ამ მიზეზით სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა სხვადასხვაა. რიგი ქვეყნები იყენებენ სახლმწიფოს აქტიური ჩარევის პოლიტიკას /ასეთებია იაპონია, საფრანგეთი, ნიდერლანდები/, სხვები კი მისი დეცენტრალიზებული რეგულირებით კმაყოფილდებიან /მაგ. აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვები/. ზოგიერთ ქვეყანაში /მაგ. შვედეთი/ გამოიყენება შერეული სტრატეგიაც.

ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების კარგი საშუალებაა მისი მასტიმულირებელი დაბეგვრა. გადასახადი შედის საწარმოს ხარჯებში და მისი შემცირებით საწარმოს ეძლევა მოგების გაზრდის და შესაბამისად ინოვაციური საქმიანობისათვის

[1] Инновационный менеджмент, под ред.П.Завлина, М.,Наука, 1997, გვ.89.

მისი გამოყენების შესაძლებლობა. ამიტომ არის, რომ თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფირმებს იმ კაპიტალდაბანდებაზე, რომლებიც მიმართულია გამოკვლევების ჩასატარებლად, ახალი ტექნიკა - ტექნოლოგიების შესაქმნელად ეძლევათ დაბეგვრაში შეღავათები. მაგ. აშშ ში მცირე ინოვაციური ფირმები იხდიან 25 % - ით უფრო ნაკლებ გადასახადებს, ვიდრე დანარჩენი მცირე ფირმები. ირლანდიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, იაპონიაში და სხვაგან გამოიყენება საგადასახადო დათმობები /ახალი მოწყობილობის გამოყენების პირველ წლებში/ და საგადასახადო კრედიტები. სასურველია ასეთი შეღავათები საქართველოშიც დაინერგოს. თუ ეს ასე მოხდება, მაშინ საქართველოშიც სათანადოდ განვითარდება ინოვაციური მეწარმეობა, რომელიც აგრე რიგად საჭიროა სამეცნიერო - ტექნიკური სიახლეების დასანერგად საწარმოო სფეროში და რომელიც ამჟამად, შეიძლება ითქვას, ნულის დონეზე დგას. ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველო სიახლეების შექმნით და მათი წარმოებაში დანერგვით ერთ - ერთი პირველი იყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის. კავშირის დაშლის შემდეგ ეს ინსტიტუტი დაიშალა. გაიფანტა კადრები, გაიძარცვა მისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზა. ამ სფეროს სარეაბილიტაციოდ ქვეყანას სჭირდება დიდი მოცულობის ინვესტიციები, რაც დეფიციტური და მწირი ბიუჯეტის მქონე საქართველოს არ გააჩნია.

ლიტერატურა

1. ხმალაძე გ., ხმალაძე ნ., ძნელაძე ლ., სასაქონლო და საფონდო ბაზარი, თბ., „ნიკე“, 1997.
2. სასაქონლო ბირჟა, თბ., ფირმა „ივერია“, 1992, სასაქონლო ბირჟის ცნობარი, თბ., მცირე საწარმო „შრომის ბირჟა“, 1991.
3. მძინარაშვილი რ., საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა – 2000 წელი, ჟ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“, №2, 2001.
4. ფასიანი ქაღალდების საქართველოს ეროვნული კომისიის პირველი წლიური ანგარიში, თბ., 2001.
5. ლომიძე დ., რუსიძე დ., ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ბიულეტენი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, №18, 1998.
6. ძნელაძე დ., საბაზრო ეკონომიკის საკითხები, თბ., 1993.
7. კაკულია რ., ხაბურზანია ლ., საბანკო სისტემა და ფასიანი ქაღალდები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თბ., 1993.
8. ერვინ როდე, ბანკები, ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში, ქუთაისი, „სარანგი“, 1993.
9. საბანკო საქმე, ო. დავრუშინის რედაქციით, თბ., 1996.
10. ლომიძე დ., საქართველოს საბანკო სისტემა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №11, 1998.
11. მელია მ., ერთადერთი წარმატებული სფერო ეროვნული ბანკი – ეროვნული ატრიბუტი, ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, №7-8, 2001.
12. მონტგომერი, აუდიტი, თბ., 1997.
13. პრაქტიკული აუდიტი (მეთოდური სახელმძღვანელო), თბ., 1995.
14. გოდერძიშვილი ივ., აუდიტორული საქმიანობა და მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა, თბ., 1997.
15. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი I, 1991, ტომი II, 1993.
16. თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, თბ., 1979.
17. ბერძენიშვილი ნ., ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.I, 1964.
18. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 17 სექტემბერი.
19. საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული. წიგნი 4, 1998.

20. საქართველოს საბაჟო კოდექსი, კომენტარები, თბ., 1998.
21. საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადის შესახებ", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1998 წლის 29 მარტი.
22. ქარუმიძე ვ., საბაჟო საქმე, თბ., „ცოდნა", 1999.
23. საქართველოს 2000 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
მოხსენება, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისები, თბ., 2001.
24. ჯანაშია თ., სამედიცინო დაზღვევა — ახალი ეტაპი საქართველოს ჯანდაცვის ორგანიზაციაში, ჟ. „ეკონომიკა" №11-12, 1997.
25. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფოებრივი რეგულირება, თბ., 2000.
26. საღირაშვილი შ., სერიოზული მეცნიერება საქართველოში არსებული კომპანიების განვითარებისათვის, ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა", №7-8, 2001.
27. მაქსი კი., ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. I.
28. კ. მარქსი, კაპიტალი. ტ II.
29. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 1999.
30. კუჭუხიძე ა., ზერეკიძე ნ., ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ეკონომიკის საფუძვლები., თბ., 1988.
31. ჩაგელიშვილი ლ., ტექნიკური პროგრესი და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს კავშირგაბმულობის სფეროში, თბ., მერანი — 3, 1999.
32. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების სააგენტო, ბიულეტენი №21, 1999.
33. Прокофьев В.А., Управление отраслями инфраструктуры в системе региона. Межвуз. сб.А., 1980.
34. Федько В.П., Федько Н.Г., Инфраструктура товарного рынка. Ростов-на-Дону, Феникс, 2000.
35. Маергойз И. М., Инфраструктура и размещение производства. Экономическая география промышленности. Вып. 4-5, М., 1971.
36. Горкин А.П., Смирняшин Л.В., О факторах и условиях размещения капиталистической промышленности. Из. АН СССР. География, №1, 1973.
37. Jochimsen R., Theorie der Infrastruktur, Tuburgen, 1966.
38. Стаханов В.Н., Экономика инфраструктуры общественного производства. Учеб. пос., Ростов-на-Дону, 1989.

39. Шарипов А.Ю., Экономическая сущность инфраструктуры при социализме. Управление отраслями инфраструктуры в системе региона., Л., 1980.
40. Гликман Н., Экономический анализ региональных систем, М., 1980.
41. Государство и управление в США (отв. ред. Л.И. Евенко), М., 1985.
42. Говорин А.А., Инфраструктура современного предпринимательства: проблемы теории и практики, М., ЗАО "Финанстатинформ", 1999.
43. Николаев А.А., Товарная биржа, рынок ценных бумаг, М., 1992.
44. Рынок труда, учебник, под общей редакцией профессора Буланова В.С., М. "Экзамен", 2000.
45. Основы таможенного дела. Под общ. ред. В.Г. Драганова, учебник, 1998.
46. Гвозденко А.А., Основы страхования, М. "Финансы и статистика", 2000.
47. Банки и страхование плюс ценные бумаги для всех, М., "Экология", 1995.
48. Шахо В.В., Введение в страхование, М., Финансы и статистика", 1992.
49. Какурин Д.И., Инновационная деятельность, М., "Экзамен", 2001.
50. Шумпетер И., Теория экономического развития, М., "Прогресс"., 1982.
51. Яковец Ю., Ускорение НТП. Теория и экономизм, М., "Экономика", 1989.
52. Фатхутдинов Р., Инновационный менеджмент, М., "Интел-Синтез", 2000.
53. Инновационный менеджмент, под ред. П. Завлина, М., "Наука", 1997.

შინაარსი

თავი I. ინფრასტრუქტურა ---------- 3

თავი II. სასაქონლო ბირჟა ---------- 14

თავი III. საფონდო ბირჟა ---------- 45

თავი IV. შრომის ბირჟა ---------- 84

თავი V. საბანკო სისტემა ---------- 108

თავი VI. აუდიტური ფირმები ---------- 170

თავი VII. საბაჟო საქმე და მისი ორგანიზაცია ---------- 212

თავი VIII. სადაზღვევო კომპანიები ---------- 246

თავი IX. მმართველობითი კონსალტინგი ---------- 276

თავი X. საგადასახადო ორგანოები ---------- 284

თავი XI. ტრანსპორტი ---------- 305

თავი XII. კავშირგაბმულობა ---------- 344

თავი XIII. ინოვაციური საქმიანობა და მისი სუბიექტები ---------- 396

გამომცემლობის რედაქტორი ზ. გიორგაძე
ტექრედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორიები: ც. მოლოდინი
ნ. ჩახაია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.04.04
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 29,87
სააღრ.-საგამომც. თაბახი 19,69

შეკვეთა №35 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

გამომცემლობა „უნივერსალი“
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.